ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ნანიტაშვილი

ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია
მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945—1990 წწ.).
მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები

II ნაწილის II ნაკვეთი მეორე გადამუშავებული და

შევსებული გამოცემა

გამომცემლობა „ალმაშენებელი"
თბილისი 1997

წინადადებარე სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა 1978 წელს გამოვიდა და დამტკიცებული იყო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელო გაფართოებული იყო აგრეთვე არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ისტორიის მასწავლებლებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელთაც სურთ გაეცნონ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს. პირველ გამოცემაში მოვლენები მოცემულია 1977 წლამდე. მეორე გამოცემაში, რომელიც ძირეულადაა გადამუშავებული, მოვლენები გაშუქებულია 1990 წლამდე.

ნაშრომი სახელმძღვანელოდ რეკომენდირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრისა და თბილისის ს. ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის მიერ. ნაშრომი შედგენილია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ნიკოლოზ (ვახტანგ) ნანეიშვილის მიერ. წინადადებარე სახელმძღვანელოს ავტორს პედაგოგიური მუშაობა 40 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს უახლესი ისტორიის სწავლებაში.

ავტორი კმაყოფილებით მიიღებს ყველა შენიშვნას, რომელიც არსებული ნაშრომის სრულყოფისათვის იქნება განკუთვნილი.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **გურამ მანჯგალაძე**

თ ა ვ ი

თანამედროვე სამყაროს თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ომში გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ მოჰყვა რეაქციული რეჟიმების დამხობა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ახალგაზრდა ეროვნებში. მან ხელშემწყობი ვითარება შეუქმნა კომუნისტების ბრძოლას სოციალიზმისათვის. ეგრეთ წოდებული სახალხო დემოკრატიული რევოლუციები ევროპაში. აზიაში და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და აბჭოთა ჯარების უხეში ჩარევის შედეგი იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემის ბრძოლით. რომელიც თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე გაგრძელდა.

მეორე მსოფლიო ომში რეაქციული ძალების დამარცხებამ დაარჩარა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. ორ სისტემას. კაპიტალისტურს და სოციალისტურს შორის ცივი ომია და გამალებულ შეიარაღებაში შეჯიბრების შედეგი ის იყო, რომ მსოფლიო ომის ხელეარზე იყო. 50-80-იან წლებში. რნაირად მასშტაბებით იზრდებოდა საომარი ხარჯები და ტრილიონი დოლარის ზღვარს მიაღწია ყოველწლიურად. მაგალითად, 1990 წელს ყოველ წუთში საომარი მიზნებისათვის იხარჯებოდა 2 მილიონამდე დოლარი. ასეთი მონაცემები გამოაქვეყნა ამერიკელმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ „ეროლდ პრაიორიტეტმა". ამ დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნულ წელს საომარი ხარჯები მსოფლიოში შეადგენდა 900 მილიარდ დოლარს. დოკუმენტში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებით. მსოფლიოში რეგულარული ჯარების რაოდენობა შეადგენდა 26 მილიონ კაცს. საომარი რეზერვისტების რაოდენობა კი 40 მილიონ კაცს. პლანეტაზე 51 ათასი ბირთვული იარაღის ერთეული იყო. 66 ახალგაზრდა ეწეოდა იარაღით ვაჭრობას. და 64 ქვეყნის მთავრობა ამა თუ იმ სახით მოქცეული იყო საომარი ბლოკების კონტროლის ქვეშ. ეს ასეთია ორ სისტემას. კაპიტალისტურსა და სოციალისტურს შორის ბრძოლის შედეგი. ეს ბრძოლა სოციალიზმი. მსოფლიო სისტემის დაშლით

დამთავრდა. სოციალისტურმა ექსპერიმენტმა დედამიწის 1/6 ხეწილზე, ე. ი. ყოფილ სსრ კავშირში და აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არ გაამართლა.

თანამედროვე მსოფლიოს ძირითადად ახასიათებს კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ძალების განუხრელი ზრდა. კაპიტალიზმი გადაიქცა მსოფლიო განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად. ამ ამად მთელი ჩვენი პლანეტა ცხოვრობს ეროვნული დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მომხრეთა ძალების განმტკიცების ვითარებაში. ამასთანავე საერთაშორისო არენაზე გამოვლინდა ახალი საშიშროება აგრესიული სეპარატიზმი, რომლის მსხვერპლი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ასიათასობით ადამიანი გახდა.

დღეისათვის საერთო-საკაცობრიო საქმეში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, უპირველეს ყოვლისა, კაცობრიობის მოდგმის გადარჩენის უზრუნველყოფას და სწორედ ეს არის საერთაშორისო ურთიერთობაში წინა ხაზზე წამოწეული. სწორედ ასეთი მიდგომაა ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობისადმი სწორედ ასეთი მიდგომა წარმოადგენს ამჟამინდელ საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს, თუ დიდმა სახელმწიფოებმა არ გადაუხვიეს ამ გზის.

§ 1. თანამედროვე კაპიტალიზმი

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ომის შემდეგ მომხდარმა უდიდესმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა დააჩქარეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმში გადაზრდა[1]. ეს პროცესი 80 წლებამდე გრძელდებოდა.

80-იან წლებამდე სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი

---

[1] „სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის" ცნების გაიგივება „სახელმწიფო კაპიტალიზმის" ცნებასთან შეცდომა იქნება. ეს უკანასკნელი შეიძლება არსებობდეს ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმში ეს იგივე მონოპოლიათა და სახელმწიფო ძალების გაერთიანებაა მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოზიციათა და კაპიტალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი გვხვდება მხოლოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

გიგანტურ ბოსნიერ ლიებთან იყო შერწყმული. სახელმწიფო თანთან იყო უმსხვილესი მესაკუთრე. უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო დაბანდებანი საშუალოდ შეადგენდა საერთო კაპიტალური დაბანდების 30%-ს.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი დიდი მოგებებისა და თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით ცდილობდა დაეპროგრამებინა ეკონომიკის განვითარება საერთო-ეროვნული მასშტაბით. სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების უმნიშვნელოვანესი მატერიალური ბაზა იყო სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც სახელმწიფო ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ ანაწილებდა. უზარმაზარი თანხები ბანდდებოდა პერსპექტიულ წარმოებებში, მილიტარიზაციის მიზნებისათვის და სხვა. 60—70-იან წლებში სახელმწიფო ეკონომიკას აკრედიტებდა მცირე დაბანდებების, საპენსიო ფონდების და მშრომელთა ანაბრების ხარჯზე, რითაც მშრომელთა შემოსავალს აქცევდა კაპიტალად.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ქმნიდა სახელმწიფო სექტორს წარმოებაში. თავისი არსით ეს იყო სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრება, რომელიც იქმნებოდა 1) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ახალი საწარმოების მშენებლობის გზით; 2) მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციის გზით; 3) კაპიტალისტური კომპანიების აქციათა ნაწილის სახელმწიფოს მიერ შეძენის გზით.

სახელმწიფოს ხელში ხშირად თავს იყრიდა ასეთი დარგები, რომლებიც დიდ კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვდნენ (ატომის მრეწველობა), ან რენტაბელური არ იყო (ქვანახშირის, ენერგეტიკის).

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი დიდი მოგებების მიღებისა და თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით მიმართავდა კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა მხარის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, ცდილობდა დაეპროგრამებინა ეკონომიკის განვითარება საერთო-ეროვნული მასშტაბით.

ეკონომიკური განვითარების დაპროგრამება მიზნად ისახავდა კაპიტალისტური წარმოების სტაბილიზაციას, ანარქიისა და კონკურენციის დამანგრეველი მოქმედების ნაწილობრივ შეზღუდვას. მაგრამ ეს პროგრამირება ისეთნაირად ხორციელდებოდა, რომ არ შეეზღუდა მონოპოლისტთა ინტერესები. კერძო საწარმოები და

მონოპოლისტური გაერთიანებანი არ იღებდნენ სახელმწიფოსაგან კონკრეტულ საწარმოო დავალებას, ისინი თავიანთი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს ამა თუ იმ რეკომენდაციის შესრულებაში.

სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი თავისთავად მოითხოვდა სახალხო მეურნეობაში გეგმიანი საწყისის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის აუმაღლებლად. შრომისა და კაპიტალის ურთიერთობაში თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო მიუკერძოებელ, ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დაცვის არბიტრის როლს ასრულებს.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი აქტიურად იჭრებოდა შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის სფეროშიც, ზრდიდა მუშათა კლასის ხელფასს, აუმჯობესებდა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების საქმეს. ამ დათმობების მიზანი იყო ნშრომელი მასების კლასობრივი ბრძოლის შესუსტება, მათში ე. წ. „ტრანსფორმირებული კაპიტალიზმის", ე. ი. „უკრიზისო საზოგადოების" და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" ერის დადგომის შეგნების შექმნა, სოციალურ დარგში სოციალისტური სისტემის გავლენის შესუსტება და ა. შ. ასეთი გზით ბურჟუაზია ცდილობს თავიდან აიცილოს კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის.

საერთაშორისო მრავალეროვანი კორპორაციები, ანუ ზემონოპოლიები. 50-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 60—70-იან წლებში, ჩქარდება მონოპოლიების გაერთიანების პროცესი, რაც იწვევს ეროვნული სიმდიდრის თავმოყრას გიგანტური კორპორაციების ძალზე ვიწრო ჯგუფის ხელში. 1950—1954 წლებში აშშ-ში გაერთიანდა 1424 საწარმო, 1960—1964 წლებში — 4366, 1965—1969 წლებში კი — 14533. ამ გაერთიანების შედეგად შექმნილი სამრეწველო ფინანსური ჯგუფები ახდენდნენ არა მარტო პროდუქციის წარმოების ცალკეული დარგების, არამედ მრეწველობის მთელი დარგების მონოპოლიზირებას.

დიდ მასშტაბებს მიაღწია აგრეთვე ფულის რესურსების კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ უმსხვილესი ბანკებისა და სადამზღვევო კომპანიების ხელში. კაპიტალისტური სამყაროს 25 უმს-

ხვილეული ბანკის თანხის აქტივები 260 მლრდ. დოლარზე მეტ. იყო.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმის შედეგად მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი მუჭა მაგნატების ხელში აღმოჩნდა.

მრავალეროვანი კორპორაციები ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოვლენა იყო სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებაში. მთელ მსოფლიოში მოფენილი თავიანთი ფილიალებისა და შვილობრივი საწარმოების საშუალებით ისინი აულ უფრო მეტ გავლენას ახდენდნენ კაპიტალისტურ სამყაროში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებაზე.

კაპიტალისტურ სამყაროში უკვე 60—70-იანი წლების მიჯნაზე 7 ათასამდე მრავალეროვნული კორპორაცია იყო, რომელთა წლიური წარმოების მოცულობა 500 მლრდ.-დოლარს აღემატებოდა. ისინი კონტროლს უწევდნენ მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით მესამედს.

7 ათასი მრავალეროვნული კორპორაციიდან ყველა თანაბარ როლს როდი ასრულებდა მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკაში. მათ შორის უდიდეს ზემონოპოლიებს მიეკუთვნებოდა 200-მდე კომპანია.

უდიდესი მრავალეროვნული კორპორაციები ამერიკული იყო. ამჟამადაც ეს არის „ექსონი“, „ფორდი“, „კრაისლერი“, „ჯენერალ მოტორსი“, „ჯენერალ ელექტრიკი“ და სხვები. თითოეული კორპორაციის წარმოების მოცულობა დიდად განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების — ბელგიის და ნორვეგიის — ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს აღემატებოდა. აშშ-ის 20 უდიდესი მრავალეროვნული კორპორაცია ქვეყნის სამრეწველო წარმოებიდაახლოებით მესამედს და ამერიკის ექსპორტის თითქმის ნახევარს იძლეოდა.

ამერიკის მონოპოლიებია ინტერესების მთავარი ობიექტები იყო დასავლეთ ევროპა და კანადა. აშშ-ის მონოპოლიათა ხელში კაპიტალის უზარმაზარი კონცენტრაციის შედეგად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა ზეეროვნული ეკონომიკური მონოპოლიები, რომელთა ინტერესები შეესაბამებოდა იმ ქვეყნების ინტერესებს, სადაც მრავალეროვნული გიგანტები მოქმედებენ. მონოპოლიები ისეთ დარგებში იკიდებდა ფეხს, რომლებშიც აშშ-ის ტექნო-

ლოგიას უპირატესობა აქვს და კონკურენციას ვერავინ უწევს. ამის, და აგრეთვე მაღალი რენტაბელობის წყალობით კორპორაციები სულ ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობდნენ დასავლეთ ევროპაში.

70-იანი წლების დამდეგს ამერიკის მონოპოლიები დასავლეთ ევროპაში კონტროლს უწევდნენ საავტომობილო წარმოების მესამედს, ელექტროგამოთვლითი მანქანების წარმოების 80% და ა. შ.

მრავალეროვანი კომპანიების ინტერესების დიდმნიშვნელოვანი ობიექტი გახდა განვითარებადი ქვეყნები. მათ თავიანთი კაპიტალი გააქვთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში და საშუალოდ ორ-სამჯერ მეტ მოგებას იღებენ, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სულ 7—8 წელიწადში ისინი დიდი მოგებით ინაზღაურებენ მთელ თავიანთ დანახარჯებს ამ კონტინენტის ქვეყნებში.

კაპიტალისტური მონოპოლიები სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ქმნიან აქ თავიანთი საწარმოების ფილიალებს, რითაც თავიანთ კონტროლს უქვემდებარებენ მთელ საწარმოო ტექნოლოგიას და გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ბაზარზე. ამასთანავე ხელს უწყობენ ამ ქვეყნების ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. მისი მიზანია სამუშაო მანქანა გადააქციოს მანქანა-ავტომატად. წარმოების ავტომატიზაციის პროცესი ხორციელდება **კიბერნეტიკის, ე. ი.** წარმოების მართვის მოწყობილობებისა და გამოსათვლელი ტექნიკის საანგარიშო-ამომხსნელი მოწყობილობების მეშვეობით. ავტომატიზაციის უბრწყინვალესი შედეგი ისაა, რომ თვითონ მანქანებს იყენებენ მანქანების სამართავად. მმართვადი მანქანა აძევებს მწარმოებელს, ცვლის მის ფუნქციებს. ავტომატიზებულ საწარმოში მწარმოებლის მოვალეობაა მანქანების მართვა.

წარმოების ავტომატიზაცია განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება ელექტროენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, მანქანათმშენებლობის, შავი მეტალურგიის, ქიმიურ მრეწველობის, მიკროელექტრონიკისა და ბიოტექნოლოგიის სფეროებში.

ინდუსტრიალიზაციამ მოიცვა უდიდესი კაპიტალისტური ქვეყ-

ნების სოფლის მეურნეობაც, რომელიც გადავიდა განვითარების შანქანურ სტადიაზე.

ახალი ტექნიკური პროგრესი ხარისხობრივად განსხვავდება XVIII—XIX საუკუნეების სამრეწველო რევოლუციისა და სხვა ტექნიკური გადატრიალებისაგან. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საწარმოო ძალების განვითარების ისტორიული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია თერმობირთვული ენერგიის დაუფლებასა და კოსმოსის ათვისებასთან, ქიმიის განვითარებასთან, წარმოების ავტომატიზაციასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა უმნიშვნელოვანეს მიღწევებთან. თავისი გაქანებით მას ინტერნაციონალური ხასიათი აქვს.

წარსულში მომხდარი ტექნიკური გადატრიალებისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად მოიცავდა მრეწველობას, ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყავს ტრადიციულად ჩამორჩენილი დარგები, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და არამწარმოებლური სფერო: ვაჭრობა, საკრედიტო-ფინანსური სისტემა, მართვის აპარატი და სხვა.

ვინაიდან ამ მთელი პროცესის საფუძველია მეცნიერება, მკვეთრად იზრდება მისი შემდგომი განვითარებისა და ახალი კვლევისათვის საჭირო ხარჯები. იზრდება აგრეთვე შრომის ინტენსიფიკაცია. ინტენსიურად მიმდინარეობს წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია წარმოშობს აგროსამრეწველო კომპლექსს, სადაც ბატონობენ მსხვილი მონოპოლიები.

სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა უარი თქვა ტექნიკური პროგრესის ხელოვნურად დაყოვნების პრაქტიკაზე და ფართოდ იწყო ტექნიკური სიახლეების დანერგვა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ გაიზარდა არაწარმოებრივი სამუშაო ძალის რაოდენობა. „საშუალო კლასის“ მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა წამოაყენეს კლასობრივი განსხვავების თანდათანობით გაქრობის თეზისი. მათ შემოიღეს ახალი ტერმინები: მუშებს, რომელნიც მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობენ, ეწოდებათ „ცისფერსაყელოიანები“, ხოლო მომსახუ-

რებაში „თეთრსაყელიანები“. 1955 წლიდან „თეთრსაყელიანთა“ რიცხვი უკვე სჭარბობდა „ცისფერსაყელიანთა“ რაოდენობას.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა სამუშაო ძალის კვალიფიციურ სტრუქტურაში. ოცი წლის განმავლობაში (1950—1970 წწ.) კვალიფიციურ მუშათა რაოდენობა დასავლეთში მკვეთრად გაიზარდა. 1965 წლისათვის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მაღალკვალიფიციური მუშების ხვედრითი წონა აშშ-ში 47 პროცენტს შეადგენდა, ხოლო არაკვალიფიციური მუშების რიცხვი იმავე პერიოდში 13 მილიონიდან 3—4 მილიონამდე შემცირდა. წარმოების ზოგიერთ დარგში მხოლოდ უმაღლესდამთავრებულნი მუშაობენ. საერთო განათლების დონის ერთდროული ამაღლება კულტურულ-ინტელექტუალური განსხვავების შემცირებას იწვევს თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებსა და სხვა მშრომელებს შორის. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ინტელიგენციის რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა გამოიწვია 60—70-იან წლებში. — დასავლეთის სოციოლოგებმა და მეცნიერებმა წამოაყენეს მუშათა კლასის გაქრობისა და მისი ინჟინერ-ტექნიკურ ინტელიგენციად თანდათანობით გადაქცევის თეზისი, ამ ინტელიგენციის ნაწილის შრომა მკაცრად სტანდარტიზებული და რეგლამენტირებული იყო და არსებითად არ განსხვავდებოდა მუშათა შრომის რეგლამენტაციისაგან. მართალია, მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის განსხვავება არსებობდა, მაგრამ ეს განსხვავება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად თანდათანობით ქრებოდა.

ამრიგად, მუშათა სოციალურ სტრუქტურაში მეცნერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მომხდარ ცვლილებებზე ლაპარაკისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დასავლეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა კლასის არა გაქრობა, არამედ მისი სტრუქტურული ცვლილებები და არაკვალიფიციური მუშების რაოდენობის შემცირება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფართოვდება ინტელიგენციის, ე. წ. საშუალო ფენების რაოდენობა.

ომის შემდგომი დასავლეთის კიდევ ერთი დემოგრაფიული ვისებურებაა ის, რომ სწრაფად იზრდება ქალაქთა გარეუბნები, რომლებსაც ავსებენ „საშუალო ფენები“ და ის პირები, რომელთაც შედარებით მაღალი შემოსავალი აქვთ და შეუძლიათ ქალაქ-

გარეთ, ანუ, როგორც აშშ-ში უწოდებენ, „აბერბიებში“ განვადებით იყიდონ სახლები და საკუთარი მანქანებით იარონ ქალაქებში სამუშაოზე. საყურადღებოა, რომ აშშ-ში 60-იანი წლების დამლევს ქალაქგარეთ თითქმის იმდენივე მცხოვრები იყო, რამდენიც ქალაქად. 20 წლის განმავლობაში ქალაქგარეთ მოსახლეობა გაიზარდა 30 მილიონით, ქალაქად — 15 მილიონით. დასავლეთის საზოგადოებაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მომხდარმა ცვლილებებმა უშუალო გავლენა მოახდინა ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების კარდინალური ცვლილებების საკითხი. საქმე იმაში იყო, რომ ომის წინა და ომის შემდგომმა სახელმწიფო რეგულირების კურსმა ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და იგი ერთგვარ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა ეკონომიკის შემდგომი წინსვლის საქმეში. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა აშშ-ში, ინვენსტიციური პროცესის ქრონიკული მოდუნება გამოწვეული იყო საგანგებო „ამკრძალავი“ და გადასახადების მაღალი დონით (უპირველეს ყოვლისა მეწარმეების), სახელმწიფო რეგლამენტაციების გაუფასურებით, მოგებისა და დანაზოგის სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვით და ამის გამო კვლავწარმოების სტიმულირების დაცემით. მოხდა არა კაპიტალიზმის კრიზისი, არამედ ეკონომიკური ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების კრიზისი. სახელმწიფოს რეგულირების კურსი აკავებდა ინიციატივას, იწვევდა ეკონომიკური ზრდის შენელებას, აჯარიმებდა მუყაითობას, მომჭირნეობასა და კაპიტალის დაბანდებას, იწვევდა კაპიტალისა და შრომის შეზღუდული რესურსების განიავებას. ანიავებდა გადასახადის გადამხდელთა სახსრებს და ქმნიდა ბიუჯეტის დეფიციტს. 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში და დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში განხორციელებული ღონისძიებები იყო შემდეგი: შეიზღუდა და შემცირდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა, რომლის შედეგად ამუშავდა ბაზრის მექანიზმი, სტიმულირება მიეცა კერძო კაპიტალურ დაბანდებებს, მოიხსნა საგარეო ეკონომიკური შეზღუდვები, მკვეთრად შემცირდა გადასახადები შემოსავალზე. განვითარდა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე თავისუფალი მეწარმეობა. ამრიგად, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგიდან

იწყება სახელმწიფო კონტროლის შეღწევა სამეურნეო პროცესზე და საბაზრო მექანიზმის მარეგულირებელი ფუნქციების ამოღება. რამაც მასტიმულირებელი ხელგავლენა მოახდინა ეკონომიკაზე და დადებითი შედეგები გამოიღო.

70-80-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებში დიდი მასშტაბებით განხორციელებულ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალ ეტაპზე ინტენსიურ სტრუქტურულ, ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ გარდაქმნებს დიდი ძვრები მოჰყვა მუშათა კლასის შემადგენლობაში რიცხობრივად და ხარისხობრივად.

მრეწველობაში სულ უფრო ცოტა მშრომელი რჩება, მათი დიდი ნაწილის გადანაცვლება ხდება მომსახურების სფეროში, სადაც 80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე დაკავებული იყო მოსახლეობის დასაქმებულთა ნაწილის 70 პროცენტი. ამასთანავე, კაპიტალისტურ მეურნეობაში უკვე დამკვიდრებული ახალი ტექნიკის ავტომატიზაციის და ელექტრო-გამოთვლითი მანქანების საყოველთაო დანერგვა მოითხოვს უფრო განათლებულ და კვალიფიციურ სამუშაო ძალას. ამის შედეგი ისაა, რომ „ცისფერ საყელოიანთა“ რაოდენობა წარმოების სფეროში მკვეთრად მცირდება და მათ ადგილს „თეთრსაყელოიანები“ იკავებენ (მომსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სხვები) ან „ოქროს საყელოიანები“. ასე უწოდებენ ახლა დასავლეთში მაღალკვალიფიურ მეცნიერულ-ტექნიკურ სპეციალისტებს, რომელნიც ჰქმნიან და ემსახურებიან რთულ ტექნიკას. „ოქროსსაყელოიანებმა“ დაიკავეს რა „ცისფერ-საყელოიანების“ ადგილი წარმოებაში არ კისრულობენ თავიანთ თავზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ როლს, რომელიც ეკავათ იქ „ცისფერსაყელოიანებს“. სოლიდური თეორიული მომზადება „ოქროსსაყელოიანებს“ ერთგვარ გარანტიას აძლევს სტაბილურ დასაქმებასა და შემოსავალში, ამიტომ მათ სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავიათ საგაფიცვო მოძრაობისა და პროფკავშირების მიმართ. „თეთრსაყელოიანები“, განსაკუთრებით კი „ოქროსსაყელოიანები“, როგორც წესი, პრივილეგირებული მდგომარეობის გამო თავს იკავებენ პროფკავშირებში შესვლასა და საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობაზე და სრულიად საპირისპირო პოზიციას უკავიათ სამრეწველო მუშების ბრძოლის მეთოდებისაგან. ამიტომ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კლასი არ წარმოადგენს დაქირავებულ შრომის არმიის უმრავლესობას და მასში ერთგვარი განხეთქილე

ხელება. განახორციელებული ინტერესებისა, პოზიციისა და შეხედულებების გამო. ამის შედეგი კი ისაა, რომ პროფკავშირთა რიგები მცირდება და მათი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეცემა. ასევე მკვეთრად ეცემა ნუშათა საკავშირო მოძრაობაც ე. წ. საფაბრიკო-საწარმოო საწარმოებში დაქირავებულ-დაქირავებული მშრომელების „დეპროლეტარიზაციის“ გამო, როგორც მას უწოდებენ ამერიკელი სოციოლოგები.

კაპიტალიზმის სამი ცენტრი. ინტეგრაცია „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნისა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის შედეგად მკვეთრად შეივიწროვდა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის მოქმედების სფერო. ევროპის ყველაზე ძველმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დაკარგეს თავიანთი ძველი სპეციფიკური თავისებურებანი. ინგლისის იმპერიალიზმმა კოლონიური, საფრანგეთის იმპერიალიზმმა სამეცადინო, იტალიის იმპერიალიზმმა [illegible] ფეოდალური ხასიათი.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შედეგი ის იყო, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნის (1949 წ.) პირველი გაძლიერებისა და მისი გავლენის გაფართოებისა და აგრეთვე იმპერიალიზმი კოლონიური სისტემის დაშლის შემდეგ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის მოქმედების სფერო მნიშვნელოვნად შეივიწროვდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში. ახლად აღმოცენებულმა ე. წ. „მესამე სამყაროს“ ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელიც ომამდე იმპერიალისტური სახელმწიფოების მეტროპოლიების კოლონიურ „პერიფერიას“ წარმოადგენდა, გადამჭრელი ზომები მიიღო თავისი ეკონომიკის დაცვისა და მისი დამოუკიდებელი განვითარებისათვის. „მესამე სამყაროს“ რიგ ფიდ ქვეყნებში, მაგალითად, ინდოეთში, ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინაში და [illegible] შ., გაიზარდა ეროვნული ბურჟუაზიის პოზიციები და იგი წარმატებით იცავს თავის ეკონომიკას ტრანსეროვნული კორპორაციების მხრივ ხელყოფისაგან. ამის შედეგია კაპიტალის-

ტური მსოფლიო მეურნეობის და საერთაშორისო ურთიერთობის ძველი სტრუქტურის მსხვრევა, ახალი მსოფლიო მეურნეობის და პოლიტიკური ურთიერთობის სისტემის შექმნა.

ამასთანავე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში გაძლიერდა კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკური განვითარება.

თუ 50-იან წლებამდე მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში აშშ-ის კაპიტალიზმი, რომელიც კაპიტალიზმის პირველ ცენტრს წარმოადგენს, განუყოფლად ბატონობდა, შემდგომ პერიოდში კი, კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების შედეგად, აშშ-ი ჰკარგავს თავის პოზიციებს. 50-60-იან წლებში წარმოების ზრდის ტემპები უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში მკვეთრად განსხვავებული იყო: აშშ-ში იგი შეადგენდა 4,5%, ინგლისში მხოლოდ 3%, გფრ-სა და იტალიაში 7%. მრეწველობის ზრდის ტემპებით ამ პერიოდში საფრანგეთმა აშშ-სა და ინგლისს გაუსწრო, მაგრამ ჩამორჩებოდა გფრ-ს და იტალიას. იაპონიამ კი თავისი მრეწველობის განვითარების ტემპებით, რომელიც 14% შეადგენდა, უკან ჩამოიტოვა ყველა უდიდესი კაპიტალისტური ქვეყანა. განვითარების უთანაბრო ტემპებმა გამოიწვია ცვლილებები ეკონომიკური ურთიერთობების თანაფარდობაში უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, გაამწვავა მათ შორის წინააღმდეგობები და დააჩქარა სამი კაპიტალისტური ცენტრის ჩამოყალიბება — აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია.

50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში გამოვლინდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ახალი ფორმა ეკონომიკური გაერთიანება ანუ ინტეგრაცია. ინტეგრაცია და სუვერენიტეტი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები კი არ არის, არამედ ერთი მედლის ორი მხარეა. ინტეგრაციისადმი მისწრაფება საწარმოო ძალების განვითარების შედეგია, როდესაც ეროვნული საზღვრები აღარ აკმაყოფილებს მათ და ძლიერდება ტენდენცია შრომის საერთაშორისო დანაწილებისადმი. ცალკეული ქვეყნების მიერ უპირატესად ტრადიციული დარგების განვითარებას, ეკონომიკურ ინტეგრაციას და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციებს პროგრესული მნიშვნელობა აქვს, თუ დიდი სახელმწიფოები ამ ტენდენციას თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის არ იყენებენ. მსოფლიოში ამჟამად 20 მილიონზე მეტ სხვადასხვა სახის საწარმოო

პროდუქციასა და საბოლოო [illegible] ფასებზე, რომლის ასორტიმენტი კვლავ სწრაფად იზრდება. ცალკეულ ქვეყნებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ აწარმოონ ფენომენული რაოდენობის საქონელი, ვინაიდან თუ თითოეულს ცალ-ცალკე ავიღებთ, მათში ადამიანების, ნატურალური და ფინანსური რესურსები ძალზე შეზღუდულია. ბატარა და საშუალო ქვეყნებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ ნაოფლიო ტექნიკურ დონემდე ამაღლება. ამიტომ ეკონომიკური განვითარების მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ინტეგრაციის განვითარების საკითხებს.

1957 წელს რომში დადებული ხელშეკრულებით საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი გაერთიანდნენ „საერთო ბაზარში", ანუ „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში", რომელიც ითვალისწინებდა გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადების თანდათანობით შემცირებას და [illegible]. კაპიტალის და მოსახურების თავისუფალ გადანაცვლებას.

„საერთო ბაზარში" თავდაპირველად, საფრანგეთის უარყოფითი პოზიციის გამო, არ მიიღეს ინგლისი, რომელმაც თავის მხრივ შექმნა „თავისუფალი კაჭრობის ევროპული ასოციაცია". 1973 წლის 1 იანვრიდან ხანგრძლივი დავისა და მოლაპარაკების შემდეგ, ინგლისი, დანია და ირლანდია შეერთდნენ „საერთო ბაზარში". 1986 წელს „საერთო ბაზარში" მიიღეს ესპანეთი და პორტუგალია. უფრო ადრე კი საბერძნეთი. ამრიგად, ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებაში, ანუ „საერთო ბაზარში" შევიდა 12 სახელმწიფო. „საერთო ბაზრის" ერთ-ერთი მიზანი იყო აშშ-თან შედარებით დასავლეთ ევროპის ჩამორჩენილობა დაძლევა. ეს ამოცანა საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა. თუ 1948 წელს აშშ-ის ხვედრითი წონა კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში 54% შეადგენდა, 1973 წელს იგი 40%-ზე დავიდა, ხოლო 70-იანი წლების მიჯნაზე და 80-იანი წლების პოლოს, „საერთო ბაზრის" და იაპონიის გავლენის ზრდის შედეგად, გრძელდებოდა ამერიკის კაპიტალის პოზიციის ნაწილობრივი შესუსტება მსოფლიო ბაზარზე. განსხვავება აშშ-სა და მის წამყვან პარტნიორებს შორის ამ ბოლო დროს ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ იზრდება. არიან ისეთი ქვეყნები, რომელნიც ერთ ათულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავ-

ლის დონით წინ უსწრებენ აშშ-ს: შვეიცია, შვეიცარია, გფრ, ჰოლანდია და სხვები. დღეისათვის იაპონია ამერიკაზე სწრაფად ნერგავს მეცნიერულ მიღწევებს წარმოების ყველა დარგში, ხოლო „საერთო ბაზრის“ ქვეყნები წინ უსწრებენ აშშ-ს საერთო ეროვნული პროდუქციით.

1988 წლისათვის გფრ-მ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ვაჭრობაში, ხოლო თავისი კაპიტალის გატანით გაუტოლდა აშშ-ს. ამავე წელს მსოფლიო ექსპორტიორებს შორის პირველი ადგილი აშშ-ა და გფრ-მა გაიყო (11.3 და 11,4%). შემდეგ ადგილზე მოდის იაპონია (9,3%), საფრანგეთი (5.9%) და დიდი ბრიტანეთი (5,1%). იმპორტშიც ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მოდის აშშ-ზე. მეორე ადგილზეა გფრ (8,4%), შემდეგ დიდი ბრიტანეთი (6,4%), იაპონია (5,3%) და საფრანგეთი (5,9). კაპიტალისტურ სამყაროში სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობით პირველ ადგილზეა — აშშ, მეორეზე — იაპონია, მესამეზე - გფრ-ი, მეოთხეზე — საფრანგეთი, მეხუთეზე დიდი ბრიტანეთი, მეექვსეზე იტალია, მეშვიდეზე — კანადა.

უკვე 50-60-იან წლებში მსოფლიოში ჩამოყალიბდა კაპიტალისტური სამყაროს სამი ცენტრი - აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია.

1992 წელს ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ და „თავისუფალი ვაჭრობის ევროპულმა ასოციაციამ“ (შეიქმნა 1960 წ.) ხელი მოაწერეს შეთანხმებას გაერთიანებაზე. ევროპულ ასოციაციაში შედიოდნენ: ავსტრია, ისლანდია, ნორვეგია, შვეცია, შვეიცარია, ფინეთი, ლიხტენშტეინი. შეთანხმებაში (რომელიც მონუმენტური ნაშრომია — დოკუმენტები და მასზე დანართები 12000 გვერდისაგან შედგება) ჩამოყალიბებულია წესები და პროცედურები, რომელნიც შეიცავენ კანონმდებლობებს ვაჭრობაზე, ფინანსებზე, ტრანსპორტზე და სხვა მრავალზე. ამ შეთანხმებით 1993 წლის 1 იანვრიდან 19 სახელმწიფოს 380 მილიონმა ადამიანმა უნდა იცხოვროს და იმუშაოს ერთიანი ევროპის შიგნით. მაგრამ ამ ერთიან ევროპაში გაერთიანდნენ დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნები. გაერთიანების მიღმა დარჩნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და აგრეთვე თურქეთი და მალტა. ცხრამეტი მაღალგანვითარებული ქვეყნის მიერ შექმნილი „ევროპის ეკონომიკური სივრცე“ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა. ამ გაერთიანებაში შე-

მავალ ცხრამეტი ქვეყნის მოქალაქეებს უფლება ეძლევათ ნებისმიერი ადგილი აირჩიონ ცხოვრებისთვის, შრომისთვის, კაპიტალის დაბანდებისათვის, დასვენებისათვის. „ევროპის ეკონომიკურ სივრცეში“ შემავალ ქვეყნებში მყარდება ერთიანი წესები როგორც პიროვნებების, ასევე საქონლისა და კაპიტალის საზღვარზე გადასვლისა, ეს წესები არ ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომელნიც „ევროპის ეკონომიკურ სივრცეში“ არ შედიან, მაგრამ თვით „ევროპის ეკონომიკურ სივრცეში“ შემავალ ქვეყნებს შორის ამ ბოლო დროს ერთგვარმა მერყეობამ იჩინა თავი, განსაკუთრებით ევროპის გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების მიერ მაასტრიხტის შეთანხმების დადების შემდეგ. ეს შეთანხმება ითვალისწინებს ევროპული გაერთიანების ერთიან ბლოკად გადაქცევას ერთიანი უშიშროების პოლიტიკით, ერთიანი ფულადი მიმოქცევით. ინგლისის, შვეიცის, შვეიცარიის, დანიის, და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხელმძღვანელები წინააღმდეგი იყვნენ პოლიტიკური და სავალუტო კავშირის შექმნისა, ერთიანი უშიშროების პოლიტიკისა და მხოლოდ ეკონომიკურ გაერთიანებას უჭერენ მხარს.

საბჭოთა კავშირის და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ ნეიტრალურმა ქვეყნებმა: შვეციამ, შვეიცარიამ, ფინეთმა და ავსტრიამ ფაქტობრივად უარი თქვეს ნეიტრალურ სახელმწიფოებად დარჩენაზე. ამჟამად „ევროპის ერთიან სივრცეში“ გაერთიანებული ქვეყნები დაკავშირებულნი არიან შიდა ურთიერთობების გარკვევით, რაც, ალბათ, გაართულებს მათთან ახალი სახელმწიფოების ინტეგრაციას. აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოთა უნრაველესობა წინააღმდეგია ამ გაერთიანებებში გაბაკითარების უფრო დაბალ დონეზე მდგომი ევროპის სხვა ქვეყნების მიღებისა. გარდა ამისა, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში მიმდინარე ეთნოკრიზისები დიდ შეშფოთებას იწვევს „ევროპის ეკონომიკურ სივრცეში“ შემავალ და, აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქვეყნებს შორის. ბუნებრივია, ეს პატარა ქვეყნები შეეცდებიან თავისი ადგილი ეძიონ ევროპის „თავშესაფარში“ ტრადიციულად აგრესიული ქვეყნების აბრივ ხელყოფისაგან. ევროპის ეკონომიკურ სივრცეში შემავალ ყველა ქვეყანას აქვს თავისი ფულის ერთეული, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის მათ წარმატებით ითანამშრომლონ სავაჭრო-ეკონომიკურ დარგში. ასე რომ ერთიან ფულის ზონაში ყოფნისას, დოლარის ზონა იქნება ეს

სტერლინგის ზონა, თუ მანეთის ზონა, არ არის აუცილებელი საკუთარ ფულის ერთეულზე უარის თქმა. ევროპის ეკონომიკურ სივრცეში მყოფი ქვეყნები ეკონომიკურ ურთიერთობას არ იყენებენ პოლიტიკური მიზნებისათვის, ურთიერთ პოლიტიკური ზეგავლენისათვის. უფრო მეტიც, 49000 გვერდისაგან შემდგარი ევროპის ეკონომიკურ სივრცეში შემავალი ქვეყნების კანონთა კრებული და წესები არა თუ არ ითვალისწინებს რაიმე ეკონომიკურ სანქციებს ურთიერთმიმართ, არამედ პირიქით, კრძალავს ასეთ სანქციებს. ამ კანონთა კრებულის ერთ-ერთ მუხლში ეკონომიკური სანქციების აკრძალვის შესახებ ნათქვამია, რომ ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობის უკან დგას მილიონობით ყველა ეროვნების ადამიანი. ამიტომ პოლიტიკოსების მიერ დაშვებული რაიმე პოლიტიკურად მცდარი ნაბიჯების გამო ეკონომიკური სანქციებით ან სამხედრო აქციებით არ უნდა დაისაჯოს მილიონობით ადამიანი. კარგი იქნება თუ ამ შესანიშნავ დებულებას გაითვალისწინებენ რუსეთის, ამერიკის და სხვა ეკონომიკური სანქციებისა და სამხედრო აქციების მოყვარული დიდი ქვეყნების პოლიტიკოსები.

„საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის ხშირად თავს იჩენს წინააღმდეგობანი, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება ბიუჯეტისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში. მაგალითად 1987 წელს „საერთო ბაზრის" ბიუჯეტი 36,2 მილიარდ ეკიუს შეადგენდა, მაგრამ იგი არასაკმარისი აღმოჩნდა ეკონომიკური გაერთიანების ხარჯების დასაფარავად და დეფიციტმა შეადგინა 2,5 მილიარდი ეკიუ (1986 წელს კი იყო 1,3 მილიარდი ეკიუ). დეფიციტის მთავარი მიზეზი იყო სოფლის მეურნეობის დაფინანსება, რომელიც ყოველწლიურად ბიუჯეტის ორ მესამედს ნთქავს. ეს რთული პრობლემა დიდი ხანია რაც „საერთო ბაზრის" ქვეყნების მუდმივი განხილვის საგნად და მოუგვარებელ საკითხად რჩება. „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის არსებობს მწვავე სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობანი, რაც სწორად მათ შორის სავაჭრო ომით მთავრდება. მაგალითად, 1981—1982 წლებში ადგილი ჰქონდა „ღვინის ომს" საფრანგეთსა და იტალიას შორის, 1982—1983 წლებში „ვირთევზას ომს" დასავლეთ გერმანიასა და „საერთო ბაზრის" დანარჩენ ქვეყნებს შორის, 1985 წელს „თევზის ომს" „საერთო ბაზრის" ქვეყნები შეაჯახა ისლანდიასა და ნორვეგიას, წინააღმდეგობანი ინგლისსა, საფრანგეთსა, გფრ-სა, ბელგიასა და ჰოლანდიას შორის არის ხორცის, კარა-

ქის, ძეხვეულის და ყველის ბაზრების გამო, საფრანგეთსა და იტალიას შორის თეთრი ღვინის, კონიაკის და სხვა საქონლის გასაღების გამო, ესპანეთსა და საფრანგეთს შორის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების ბაზრისათვის.

წინააღმდეგობანი არის ყოფილ „თავისუფალი ვაჭრობის" „ევროპულ ასოციაციაში" შემავალ ქვეყნებს შორისაც, რომელიც ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანდნენ. ამ უკანასკნელში გაერთიანებული ქვეყნები 70-80 პროცენტით ითვლებიან „საერთო ბაზრის" ქვეყნებთაც. 1995 წლისათვის, ევროპული გაერთიანების კომისიის თავმჯდომარის ჟაკ უელორის აზრით ისინიც ეკონომიკური გაერთიანების 100 პროცენტიანი წევრები გახდებიან. მაგრამ წინააღმდეგობანი მათ შორის იყო, არის და ალბათ მომავალშიც იქნება. მაგალითად, ისლანდია თვლის, რომ მისთვის საკმარისია ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრობაც ვირთევზას გასასაღებლად. შვეიცარიასაც, რომელიც აქამდე ბრწყინვალე ნეიტრალიტეტის სტატუსით ამაყობდა, მიაჩნია, რომ მისთვის სრულიად საკმარისია ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრობაც. ნორვეგიაც შვეიცარიის პოზიციაზე დგას. რაც შეეხება შვეციას, ავსტრიას და ფინეთს ისინი მზად არიან უარი თქვან თავისი ნეიტრალიტეტის სტატუსზე ევროგაერთიანებაში შესვლის სანაცვლოდ.

„საერთო ბაზრისა" და ევროპის ეკონომიკური სივრცის შექმნის ორგანიზატორები მიზნად ისახავდნენ საკუთარი ვაჭრობის და მრეწველობის დაცვას ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის და სხვა სახელმწიფოების კონკურენციისაგან. მაგრამ ამ სახელმწიფოებს შორის კონკურენცია ხშირად უკომპრომისოა. იმარჯვებს ის, ვისი საქონელიც უფრო მაღალხარისხოვანი და მოხმარებლისათვის ხელმისაწვდომია — უფრო ძლიერი და განვითარებული ქვეყანაა.

80-იან წლებში აშშ-სა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა — „ფოლადის", „ხილის", „მაკარონის", ღვინის", „ქათმის", „ხორბლის" გაუთავებელი „სავაჭრო ომი". აშშ-სა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის სავაჭრო ომი განსაკუთრებით გაძლიერდა 1986 წლის 31 დეკემბერს ამერიკის ბითავრობის ბიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო 1987 წლის იანვრის ბოლოდან საბაჟო გადასახადების 200 პროცენტით გაზრდის შესახებ დასავლეთ ევროპიდან შემოსატან სოფლის მეურნეობის ისეთ პროდუ-

ტაპზე. ოგბორიც არის: ჯეელი ზეთისხილი, ჯინ (ინგლისური
ჯინ), სტაფილო, ღვინო, „ონიანი“ და შ. ამ ექციით პრეზიდენტ
რ. ოეიგანის ადმინისტრაცია ივლიდა, რომ ევროპული საქონელი
ამერიკის ბაზარზე ფასების გაზრდის გამო კონკურენციის უნარს
დაკარგავდა. ეკონომიკური წინააღმდეგობის ერთ-ერთ საბაბად გახ-
და ესპანეთის მიერ ახალი ტარიფების შემოღება ამერიკიდან ამ
ქვეყანაში შესატან საკვებ მარცვლეულზე. ესპანეთისა და პორტუ-
გალიის „საერთო ბაზარში“ შესვლის პირობებით პირველნი ქვეყ-
ნებმა უფლება მიიღეს ათი წლის განმავლობაში ზაღალი ბაჟები
დაწესებებზე ამ ქვეყანაში აშშ-ის მიერ შესატან სოფლის მეურნე-
ობის პროდუქტებზე. ეს გამოიწვევდა აშშ-ის ნიერ 400-500 მილი
ონი დოლარის სიმინდისა და სორგოს შემანის შემცირებას პირ-
ნეის ქვეყნებში. რ. რეიგანმა გადაწყვიტა „საერთო ბაზრის“ ქვეყ-
ნების სწორედ ამ თანხით დასჯა მათ მიერ აშშ-ში შესატან ზემოთ
ჩამოთვლილ საქონელზე 200-პროცენტიანი ტარიფების შემოღე-
ბით, რომელიც ამერიკის მთავრობის ვარაუდით 400-500 მილიონ
დოლარს შეადგენდა. კაშინგტონის ეს გადაწყვეტილება დიდ ღრ-
ტყვეს, პირველ რიგში, საფრანგეთი დასავლეთ გერმანიასა და ინ-
ლ. ს მიაყენებდა. ვაშინგტონის ოლიერი ზეგავლენა შედეგად „ა-
ერთო ბაზრის“ ქვეყნები იძულებულნი ვახდენ, რომ დათმობაზე
წასულიყვნენ. 1987 წლის 29 იანვარს, „საერთო ბაზრის“ წინააღ-
მდეგ სანქციების გამოყენებაზე, კერძოდ 200 პროცენტით ბაჟების
გაზრდაზე ამერიკის ულტიმატუმის ვადის გასვლის ბოლო დღეს
„საერთო ბაზრის“ ქვეყნები დათანხმდნენ, რომ თავიანთი კანონ-
ებით ამერიკულ ზორბალს და სიმინდს განსაკუთრებით ესპანეთ-
სა და პორტუგალიაში. ამის შედეგად აშშ-მა უფლება მიიღო ოთხ
წლის განმავლობაში შეღავათიანი ტარიფებით გაყიდოს თავისი
2,3 მილიონი ტონა სიმინდი და სხვა საბის მარცვლეული. გარდა
ამისა, ამერიკამ შეამცირა ტარიფები ამერიკის ზოგიერთ სამრეწველ-
ო საქონელზე. ამერიკის მიმართ ასევე მნიშვნელოვან დათმობაზე
წასვლა მოიითხოვა საფრანგეთმა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად
ზარალდებოდა ამერიკული სანქციებით – კერძოდ, მასზე მოდიო-
და მთელი „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ზარალის 47 პროცენტი.
ვფრ-ზე კი მხოლოდ 3%

დიდი წინააღმდეგობებია საკვაჭრო ურთიერთობაში აშშ-სა და
იაპონიას „საერთო ბაზრის“ და იაპონიის შორის. რამდენიმე წე-

„საერთო ბაზრის“ ყველაზე მეტად [illegible] ევროპაში და ამ მიზნით ახვალდასტვა ლონისძიებათა ახალ-ეტაპებს. ცდილობს აიძულოს იაპონია, რათა შეამციროს თავისი კონკურენტუნარიანი ელექტრონულ-ტექნიკური ნაწარმისა და ავტომანქანების შეტანა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ იაპონიასთან ვაჭრობაში დასავლეთ ევროპას დეფიციტი აქვს უფრო დიდი უარყოფითი სალდო აქვს იაპონიასთან ვაჭრობაში. აშშ-ს იაპონიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა ცნობით, საგაჭრო ბალანსმა ჭარბალგანვითარებულ ქვეყნებსა და იაპონიას შორის 1992 წლისათვის რეკორდულ ზღვარს 107 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია. იაპონიის ასალგებლოდ. მთელი თანხიდან 43 მილიარდი იაპონიამ აშშ-ის ბაზრიდან მიიღო. წინა წელთან შედარებით მოგება 38% გაიზარდა. ამრიგად, განვითარებული კაპიტალ-ტული ქვეყნების ეს ძირითად ცენტრს შორის — აშშ-ის, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის შორის მწვავდა საგაჭრო ურთიერთობებთან ერთად არსებობს მწვავე საკონკურენციო ბრძოლა, რომელიც ხშირად საგაჭრო ომებში გადადის, მაგრამ იაც ხომ ცნობილია, რომ საკონკურენციო ბრძოლა ხელს უწყობს წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვას და საბოლოო ჯამში ეკონომიკის განვითარებას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალ ეტაპზე, როდესაც ყურადღების ცენტრშია მიკროელექტრონიკა და ბიოტექნოლოგია, მწვავე მეტოქეობაა გაჩაღებული ტექნიკისა თუ ტექნოლოგიის ყველაზე უფრო პერსპექტიულ დარგებში ბირველობისათვის. მიჩხეულია, რომ ის, ვინც კონტროლს უწევს უმნიშვნელოვანეს გამოგონებებს და აღმოჩენებს, იღებს „გეოპოლიტიკური გავლენის“ უპირველეს საშუალებას. ამ საქმეში ჯერჯერობით იაპონია და აშშ ლიდერობენ, დასავლეთ ევროპა კი ჩამორჩება.

1985 წლის აპრილში ჩამორჩენილ დასავლეთ ევროპის დაჩქარებული განვითარების მიზნით წამოაყენა თანამშრომლობის კომპლექსური პროგრამის პროექტი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში. ამ პროგრამას „ევრიკას“ საფუძველი მიეცა „ევრიკას“ ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ ხელი შეუწყოს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მექანიზმი და პარალელურად განვითარდეს თანამშრომლობა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ტექნიკიოებისა და ტექნიკის დარგში. ამასთანავე, ევრიკამ იწყო ვავ-

რცელება ევროპის ეკონომიკურ სივრცეში შემავალ ყველა ქვეყანაში და ალბათ ის ტექნოლოგიური დონით არსებული განსხვავება, რომელიც არის კაპიტალისტური სამყაროს სამ ცენტრს შორის, მალე გაქრება. დღეისათვის კი იაპონია ამერიკაზე სწრაფად ნერგავს მეცნიერულ მიღწევებს წარმოების ყველა დარგში, ხოლო „საერთო ბაზრის" ქვეყნები წინ უსწრებენ აშშ-ს საერთო ეროვნული პროდუქტით. მაგრამ ამ სახელმწიფოებს თუ გაერთიანებებს არა აქვთ ის კომპლექსური უპირატესობა, რაც ამერიკას გააჩნია. აშშ, როგორც ეკონომიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა, თავისი დიდი ეკონომიკური პოტენციალის წყალობით აშშ დიდ ზეგავლენას ახდენს სხვა სახელმწიფოების მოქმედებაზე, მოვლენების განვითარებაზე და მშვიდობის საქმეზე საერთაშორისო მასშტაბით.

რა თქმა უნდა, სამხედრო სიძლიერე, მისი პარამეტრები — ბირთვული იარაღი, ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები, ფლოტი, ავიაცია და ა. შ. — უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და ვისაც ეს სამხედრო ძალები ძლიერი აქვს შეუძლია საერთაშორისო არენაზე წინ წამოიწიოს და მისი სხვა დარგების სისუსტის ერთგვარი კომპენსირება მოახდინოს. აშშ-ის თავისებურება, მისი სიძლიერისა და გავლენის წყარო სხვა ქვეყნებზე მრავალმხრივია, და მრავალი მიმართულებით აშშ წინ უსწრებს სხვა დიდ სახელმწიფოებს. მაგრამ ეს განსხვავება აშშ-სა და მის წამყვან პარტნიორებს შორის ამ ბოლო დროს უკანასკნელთა სასარგებლოთ მცირდება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არიან ისეთი ქვეყნები, რომელნიც ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის დონით წინ უსწრებენ აშშ-ს: შვეცია, შვეიცარია, გფრ, ჰოლანდია და სხვები. დღეისათვის იაპონია ამერიკაზე სწრაფად ნერგავს მეცნიერულ მიღწევებს წარმოების ყველა დარგში, ხოლო „საერთო ბაზრის" ქვეყნები წინ უსწრებენ აშშ-ს საერთო ეროვნული პროდუქტით, მაგრამ ამ სახელმწიფოებს თუ გაერთიანებებს არა აქვთ ის კომპლექსური უპირატესობა, რაც ამერიკას გააჩნია და ალბათ აშშ კიდევ დიდხანს, შეინარჩუნებს ამ უპირატესობას.

80-იანი წლების დამდეგს აშშ „საერთო ბაზრის" კონკურენციის წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს ღებულობს. საქმე იმაშია, რომ 70-იან წლებში „საერთო ბაზრის" ქვეყნების კაპიტალმა მნიშვნელოვნად შეძლო აშშ-ის შევიწროება მსოფლიო ბაზარზე სავაჭრო-

ეკონომიკურ დარგში და იმას მიაღწია, რომ მაოფლიო კაპიტალის ექსპორტში „საერთო ბაზრის“ ხვედრითი წონა 3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე აშშ-სა. „საერთო ბაზრის“ ქვეყნებმა თავის ხელში მოაქციეს კაპიტალისტური სამყაროს მთელი სავალუტო რესურსების ნახევარი.

ამის საპასუხოდ იყო, რომ აშშ-ის მთავრობამ, რომელიც თითქოს აღიარებს თავისუფალ ვაჭრობას, სხვადასხვა შეზღუდვების შემოღება დაიწყო „საერთო ბაზრის“ ქვეყნების საქონლის ექსპორტის მიმართ თავის ქვეყანაში და სხვა ზომებსაც მიმართავს დასავლეთ ევროპის ფირმების დასასუსტებლად. ესაა დოლარის კურსის განუწყვეტელი ცვალებადობა. მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ა. შ. აშშ-ის მთავრობა მაღალი სარგებლიანი პროცენტის შემოღების გზით დასავლეთ ევროპიდან თავის ქვეყანაში იზიდავს კაპიტალს. მარტო 1983 წელს აშშ-ში დასავლეთ ევროპიდან გავიდა 150 მლრდ დოლარი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა უკანასკნელის ეკონომიკას. „საერთო ბაზრის“ ქვეყნების დავა აშშ-ის მთავრობის ეკონომიკურ შეტევისას ისეთ საკითხებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა, სავალუტო-ფინანსური ურთიერთობის სფერო და მთელი რიგი სხვა პრობლემები. მთავრდებოდა აშშ-ის გამარჯვებით.

ამრიგად, კაპიტალიზმის სამ ცენტრს შორის, მიუხედავად მათი ერთობლივი ინტერესებისა, მიმდინარეობს უსასტიკესი საკონკურენციო ბრძოლა. თვით „საერთო ბაზარში“ შემავალ ქვეყნებს შორის არსებობს რიგი სერიოზული წინააღმდეგობებისა. ამ წინააღმდეგობების დაძლევას დასავლეთ ევროპის ზეეროვნული კორპორაციები პოლიტიკური აქცევებით ცდილობენ კერძოდ, პოლიტიკური ალიანსის შექმნის გზით, რათა დემოკრატიული სარჩული დაუდონ დასავლეთ ევროპის გაერთიანებას — ევროპულ პარლამენტს, ევროპული მთავრობის შექმნისა და მათი რწმუნებების ეროვნული მთავრობების რწმუნებების ხარჯზე გაფართოების გზით. მაგალითად, გფრ მოითხოვს „ევროპული საბჭოს“ შექმნას და ეროვნული სუვერენული უფლებების მათთვის გადაცემას. ბონში თვლიან, რომ ასეთ მთავრობაში გფრ მთავარ როლს შეასრულებს. ბონის ხელმძღვანელები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ „ერთიანი ევროპის“ შექმნა გააძლიერებს ევროპასაც და ნატოსაც. მაგრამ ამ შეხედულებებს ყველა სახელმწიფო როდი იზიარებს. ბევრი მათ-

განი, მათ შორის საფრანგეთიც, სასტიკი წინააღმდეგი არიან ეროვნული მთავრობების რწმუნებების შელახვისა დასავლეთ ევროპის კავშირის და მისი სტრასბურგში არსებული ევროპული პარლამენტის ან გაერთიანების სხვა ინსტიტუტების მიერ

დიდი შვიდეული

დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად ეკონომიკურ საკითხებში საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟისკარ დ'ესტენმა წამოაყენა წინადადება რეგულარულად, საჭიროების შემთხვევაში, მოწყობილიყო განვითარებული შვიდი სახელმწიფოს შეხვედრები. „დიდი შვიდეულის" ტრადიციულ შეხვედრის, როგორც წესი, უწოდებენ ეკონომიკურ შეხვედრას, სადაც იხილავენ საგაჭრო, ფინანსურ, სავალუტო და სხვა ეკონომიკურ პრობლემებს, მაგრამ ამ შეხვედრებზე მთავარ პოლიტიკურ საკითხებსაც იხილავენ. ეს შეხვედრები შვიდი წამყვანი სახელმწიფოსი: აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (შემდეგში გფრ), იტალიის, კანადის და იაპონიის ყოველწლიურად ტარდება 1975 წლიდან. ეს შვიდივე სახელმწიფო აწარმოებს კაპიტალისტური სამყაროს საერთო პროდუქციის ორ მესამედს. „დიდი შვიდეულის" შეხვედრისას მხარეები ცდილობენ საერთო ენა გამონახონ მათ შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სავალუტო და სხვა სახის წინააღმდეგობების დასაძლევად. აშშ და „საერთო ბაზრის" ქვეყნები შეშფოთებულნი არიან იმ სავაჭრო დეფიციტით, რომელიც არსებობს აშშ-სა და იაპონიას შორის და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების („საერთო ბაზრის") ქვეყნებსა და იაპონიას შორის. მაგალითად, 1986 წელს აშშ-ის საგაჭრო დეფიციტი შეადგენდა 150 მილიარდ დოლარს. მარტო იაპონიასთან იგი შეადგენდა 50 მილიარდ დოლარს, ხოლო „საერთო ბაზრის" დეფიციტი იაპონიასთან ვაჭრობაში 11 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, 1992 წლისათვის კი საგაჭრო ბალანსმა მაღალგანვითარებულ ქვეყნებსა და იაპონიას შორის 107 მილიარდ

დოლარს მიაღწია იაპონიის სასარგებლოდ. საქმე ისაა, რომ იაპონიის საქონელი ხარისხით უკეთესია და უფრო იაფიც, ვიდრე მისი პარტნიორებისა და ამიტომ უფრო მეტი მყიდველი ჰყავს, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების საქონელს. 1984 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ აშშ-ში წარმოებული ნაწარმი 70-ჯერ უარესია (!) იაპონიაში წარმოებულ ნაწარმთან შედარებით. ავტომანქანას, წარმოებულს ავტომშენებლობის სამშობლოში მიჩიგანის შტატში — ერთი წლის განმავლობაში 17-ჯერ ჭირდება შემოწმება ავტოპროფილაქტიკაში, იაპონიისას კი მხოლოდ ერთჯერ. ეს უპირატესობა ხარისხში იმით აიხსნება, რომ მაგალითად. 1980 წელს იაპონიამ თავისი საერთო ეროვნული პროდუქციის შემოსავლის 10 პროცენტი დაბანდა თავისი საწარმოებისათვის ახალი მანქანა-დანადგარების შესაძენად, აშშ-მა კი — მხოლოდ 3 პროცენტი

„დიდი შვიდეულის" არაერთი შეხვედრის დროა მიღებულ დოკუმენტებში ცხადდებოდა, რომ მიღწეულია „ურთიერთგაგება" და „აზრთა ერთობა" საგაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებში, მაგრამ მათ შორის თითქმის მაშინვე იწყებოდა საგაჭრო, ფინანსური და სხვა ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობაში წინააღმდეგობანი, „საგაჭრო ომები" და ფინანსური და საგალუტო კონფრონტაცია, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, „დიდი შვიდეული" თავისი შეხვედრების დროს იხილავს აგრეთვე განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსიური და ეკონომიკური და სხვა სახის დახმარებების გაწევის საკითხებს. მაგრამ ეს დახმარებები ძვირად უჯდებათ განვითარებად ქვეყნებს. „მსოფლიო ბანკის" მონაცემებით 1986 წელს განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალმა 1 ტრილიონ დოლარს გადაამეტა. ეს უზარმაზარი ვალი პირდაპირი შედეგია: არაექვივალენტური ვაჭრობისა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ამ უკანასკნელ ქვეყნების ნედლეულზე ფასების შემცირებისა, ტრანსეროვნული კორპორაციების ცდებისა. რომ განვითარებადი ქვეყნები თავის გავლენაში და ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნებად დატოვონ.

გაეროს 1986 წლის მონაცემებით მარტო ბოლო უკანასკნელ წლებში საგაჭრო ურთიერთობის გაუარესების გამო განვითარებადმა ქვეყნებმა 80 მილიარდი დოლარით იზარალეს. განვითარებადი ქვეყნებიდან ფინანსების უკუდენა ყოველწლიურად შეადგენს 200

მილიარდ დოლარზე მეტს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შეკვეცას. საგარეო კრედიტებზე და სესხებზე საპროცენტო გადასახადი იმდენად დიდია (100 მილიარდ დოლარზე მეტი ყოველწლიურად), რომ საშიშროებას ქვეშ დადგა და ბევრგან ჩაიშალა კიდეც ამ ქვეყნების განვითარების პერსპექტიული გეგმები.

განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მიზნით „დიდი შვიდეულის" შეხვედრის დროს ტოკიოში (1986 წ.), აშშ-მა წამოაყენა მაშინდელი ფინანსთა მინისტრის „ბეიკერის გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა კომერციული ბანკების მიერ 20 მილიარდი დოლარის სესხების მიცემას ყველაზე უფრო დიდ ვალებში ჩავარდნილი 15 ქვეყნისათვის. ტოკიოში შეკრებილმა „დიდმა შვიდეულმა" ნება დართო 15 ქვეყანას 20 მილიარდი დოლარის სესხის ალებისა, რომელმაც ბოლო მონაცემებით არა თუ გაუმჯობესა ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო მძიმე ვალებში ჩააგდო ისინი.

„დიდი შვიდეული" თავის შეხვედრებზე იხილავდა აგრეთვე მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებსაც, სოციალიზმის მსოფლიო სისტემასთან ურთიერთობის საკითხებს და ა. შ. მაგალითად, ტოკიოში შეხვედრისას, აშშ-მა წამოაყენა წინადადება, რათა ერთობლივი ღონისძიებები განეხორციელებინათ იმ ქვეყნების მიმართ, რომელნიც „საერთაშორისო ტერორიზმს" ეწევიან. ასეთ სახელმწიფოდ გამოცხადდნენ ლიბია და ირანი. ორივე ეს ქვეყანა მხარდაჭერას პოულობდა საბჭოთა კავშირის მხრივ, რომელიც მხარს უჭერდა და იარაღს აწვდიდა მაგალითად ლიბიის ხელმძღვანელის კადაფის დიქტატორულ რეჟიმს, ფაქტიურად „ხელს უწყობდა და მხარს უჭერდა „საერთაშორისო ტერორიზმს" და ფაქტობრივად თვითონაც წარმოადგენდა ასეთ სახელმწიფოს. ტოკიოში „დიდი შვიდეულის" მიერ მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოებს, რომელნიც აშკარად თანამონაწილენი არიან საერთაშორისო ტერორიზმის ხელის შეწყობასა და მხარდაჭერაში" შეუწყვიტონ იარაღის მიყიდვა, შეზღუდონ მათ საელჩოებში პერსონალთა რაოდენობა და დიპლომატების თავისუფალი გადანაცვლება, აეკრძალოთ ვიზების გაცემა პირებს, რომელნიც შემჩნეული არიან ტერორისტულ საქმიანობაში" და ა. შ. ტოკიოში შეხვედრის დამთავრებისთანავე „დიდმა შვიდეულმა" ზეგოთ ჩამოთვლილი სანქციები განახორციელა ლიბიის წინააღმდეგ.

რაც შეეხება „დიდი შვიდეულის“ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან ეს უკანასკნელი მსოფლიო ბაზარზე თავისი საქონლის დაბალი ხარისხის გამო „დიდ შვიდეულს“ ვერ უქმნიდა სიძნელეებს. საბჭოთა კავშირი იარაღით ვაჭრობაში თუ უწევდა კონკურენციას, ისიც ტერორისტული პოლიტიკის მომხრე სახელმწიფოებთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ცდილობს „დიდ შვიდეულში“ მერვე სახელმწიფოდ შესვლას და პრეზიდენტმა ელცინმა მონაწილეობაც კი მიიღო „დიდი შვიდეულის“ ბოლო შეხვედრაში, მაგრამ იქ რუსეთი დახმარების მთხოვნელის როლში უფრო გამოდიოდა. „დიდი შვიდეული“ არ თვლის რუსეთს მაღალგანვითარებულ ქვეყნად.

§ 2. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სსრკ-ის ზემოქმედებით, ჩარევით და მხარდაჭერით სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ მონღოლეთთან ერთად: ალბანეთი, ბულგარეთი, გდრ, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელთაც 1959 წლიდან, შეუერთდა კუბის რესპუბლიკა. ყველა ეს ქვეყანა შევიდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში, რომელიც მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას დაუპირისპირდა.

გარედან თავსმოხვეული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა განპირობებული იყო როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებით. საგარეო ფაქტორები შექმნა მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ყველაზე უფრო აგრესიულ და მებრძოლ ძალებს — გერმანიას, იაპონიასა და იტალიას, რის გამოც ეს სამი სახელმწიფო დროებით გამოეთიშა კაპიტალისტურ ბანაკს. ომმა დიდი დარტყმა მიაყენა აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციებს, რის შედეგადაც მსოფლიოში ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა მოსკოვის კრემლის გეგმების განსახორციელებლად — თავს მოეხვიათ ოკუპირებული ხალხებისათვის სოციალისტური წყობილების დამყარების საბჭოთა მოდელი.

ეს ქვეყნები, რომლებშიც [illegible] ჯარები [illegible], [illegible] გავლენით დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის უტოპიურ გზას. ხოლო ინგლის-ამერიკის მიერ განიარაღებულ ქვეყნებში ბურჟუაზიამ შეინარჩუნა ძალაუფლება. ამრიგად, ორივე მხარეა ფაქტობრივად ჯარების მხარდაჭერით ხდებოდა ხელისუფლების დამყარება.

ძირითადად 1944—1948 წლებში კომუნისტურმა პარტიებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელში აიღეს ქვეყნის მთელი ძალაუფლება, განდევნეს მთავრობიდან სხვა პარტიები, განახორციელეს იძულებითი გარდაქმნები და 50-იან წლებში დაიწყო ე. წ. სოციალიზმის მშენებლობა ძალმომრეობის საფუძველზე, ყოველგვარი ობიექტური პირობების გათვალისწინების გარეშე. კომუნისტებმა, ძალმომრეობის გზით, ხალხის აურვილია გარეშე მიიტაცეს ხელისუფლება და ამიტომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არ შეიძლება ყოფილიყო ხალხთა ერთსულოვნება სოციალისტური არჩევანის სასარგებლოდ. თავდაპირველად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბევრად თუ ცოტად ანგარიშს უწევდნენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეროვნული სპეციფიკა, ტრადიციები (კერძო საკუთრების ელემენტების შენარჩუნება, მრავალპარტიულობა და ა. შ.). მაგრამ შემდეგ ასეთ ტრადიციებს არავითარ ანგარიშს აღარ უწევდნენ და მათი არსებობა ფორმალური ხასიათისა იყო. სსრკ-ის ზეგავლენით თანდათანობით ხდებოდა ეროვნული განვითარების გზიდან გადახვევა და სოციალიზმის მშენებლობაში მთლიანი ერთსახეობის მეთოდებზე გადასვლა. ამის შედეგი ის იყო, რომ ამ ქვეყნებში მთლიანად გადაიღეს სოციალიზმის მშენებლობის ის მოდელი, რომელიც სსრკ-ში იყო დანერგილი. ამიტომ შემთხვევითი არაა ის, რომ ბევრმა ასეთი მოდელი მიიღო, როგორც გარედან შემოტანილი და თავსმოხვეული. ამას ისიც დაერთო, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საუკუნეებია განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობა დანარჩენ ევროპასთან შეწყდა. ძირითადად 1947-1948 წლებში ყველა საბალკანეთ დემოკრატიულ ქვეყანაში დამყარდა ერთპარტიული, უფრო ზუსტად კი კომუნისტთა ლიდერების პირადი ძალაუფლების რეჟიმები, რომლებსაც პროლეტარიატის დიქტატურის სასელმწიფოები უწოდეს. კომუნისტების პატარა ჯგუფს მინიჭებული ჰქონდა „მონოპოლიური“ უფლება ჭეშმარიტებაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებ

ათეული განვითარების თავისებურებული საბჭოური მოდელი უცხო იყო, ან პასუხობდა ეროვნულ სპეციფიკას. ამავე დროს იგი არაეფექტური გამოდგა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. ამან კი, თავის მხრივ, ურთიერთდამოკიდებულება გამოიწვია გამოცდილებულ სოციალიზმის მაღალ იდეალებს და დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით მიღწეულ უმნიშვნელო შედეგებს შორის. ალმოსავლეთ ევროპა მიღწეული დასავლეთის ქვეყნებთან შედარება, ბუნებრივია, სოციალისტური ქვეყნების უპირატესობის რეალური მოწმობა. ხრუშჩოვის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური შეჯიბრება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დამთავრდა იმით, რომ სოციალისტური ქვეყნები „განვითარების" დაბალ დონეზე აღმოჩნდნენ.

70-იანი წლებიდან ბოლოს ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის განვითარებაში უფრო აშკარად გამოვლინდა ნეგატიური ტენდენციები. სოციალიზმმა დაკარგა უპირატესობა კაპიტალიზმზე, ეკონომიკური განვითარების ტემპებით დაიწყო ჩამორჩენა განსაკუთრებით ტექნოლოგიის ბევრი ეტაპების ათვისებაში. რა თქმა უნდა, ყველა სოციალისტური ქვეყანა ერთნაირ მდგომარეობაში არ აღმოჩნდა, მაგრამ თუ საერთო ტენდენციას ავიღებთ, იგი ხასიათდებოდა ამ ქვეყნებში საერთო ნიშნელების გაღრმავებით, პოლიტიკური და განსაკუთრებით კი, ეკონომიკური განვითარების სფეროში, ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების შენელებით. ეს ქვეყნები ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდნენ იმ ტექნოლოგიური და ცივილიზაციული ბუმისაგან, რომელიც დაკავშირებულია საყოველთაო ელექტრონულ ცივილიზაციასთან. ეს პროცესი დასავლეთში 60—70-იან წლებში განხორციელდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ვერ მიიღეს დასავლეთის ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგია, სსრ კავშირი კი მხოლოდ სამხედრო ტექნოლოგიას აუმჯობესებდა. ამიტომ მოხდა ტექნოლოგიური თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მკვეთრი ჩამორჩენა დასავლეთისაგან

ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპები, ცხოვრების დონის დაცემა, ფართო დემოკრატიული თავისუფლებების უქონლობა იწვევდა მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას, კრიზისს, რომლის გადაწყვეტა ფაქტობრივად გარდაუვალი გახდა. ეკონომიკური და სხვა ხასიათის ბუდუკეულმართობა, რომელშიც აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, პირდაპირ უკავშირდება საბჭოთა მთავ-

რობის ყოფილი ხელმძღვანელების მიერ გატარებულ „შეთანხმებულ პოლიტიკას“, ამ ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის კურსს, საბჭოთა ჯარების შეყვანის გზით ამ ხალხების გამოსვლების ჩახშობას, როგორც ეს იყო უნგრეთში 1956 წელს და ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს. ზოგიერთ ამ ქვეყანაში ანტისაბჭოური განწყობილება გამოწეული იყო იმითაც, რომ აქ იყო საბჭოთა ჯარები (1989 წლის დეკემბრის ბოლოსთვის ჩეხოსლოვაკიაში იყო 73 ათასი, უნგრეთში კი 50 ათასი ჯარისკაცი)[1] და გარდა ამისა, მათ მიაჩნდათ, რომ, ვინაიდან ისინი აღმოჩნდნენ მოწყვეტილი დასავლეთისგან, „უფროსი რუსი ძმა“ ძარცვავდა მათ, უკრძალავდა დასავლეთიდან შედარებით იაფად ღირებული საქონლის, მაგალითად, ავტომანქანების შემოტანას; ვერ უზრუნველყოფდა უფრო დაბალი ხარისხის და ძვირად ღირებული საბჭოთა ავტომანქანებითაც კი და სხვა საქონლის მიწოდებას და თავს ახვევდა სსრკ-ში არსებული ხანგრძლივ ვადიან რიგებში დგომას.

ყველაფერი ამის შედეგი ის იყო, რომ დაიწყო ჩახშობასა და ძალადობაზე დაფუძნებული სოციალიზმის მიმართ რწმენის შერყევა, რომელზეც დიდ გავლენას ახდენდა საგარეო ფაქტორიც. 40—50-იანი წლებიდან კაპიტალისტური სახელმწიფოები აშშ მეთაურობით იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ კომუნისტური სახელმწიფოების გამოსვლა ომამდე არსებული გეოგრაფიული საზღვრებიდან, ამ ქვეყნების მიმართ ახორციელებდნენ ე. წ. „შეკავების დოქტრინას“. ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო კომუნისტური ძალმომრეობის მიმართ ძალის გამოყენების მუქარა, ეკონომიკური ბლოკადა და ა. შ. მაგრამ ამ პოლიტიკამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი.

ამის შემდეგ „შეკავების დოქტრინა“ „„კომუნისტების უკუგდებისა“ და მისგან განთავისუფლების დოქტრინებმა შესცვალეს. ამ ახალი დოქტრინებით ამერიკის ყველაზე უფრო აგრესიული წრეები აშკარად მოუწოდებდნენ პრევანტიული, ე. ი. გამაფრთხილებელი ომისაკენ კომუნისტური ქვეყნების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ დაემხოთ კომუნისტური რეჟიმები. კომუნისტური დიქტატურიდან განთავისუფლების პოლიტიკის იდეოლოგები ფიქრობდნენ

---

[1] 1991 წლის 1 ივლისისათვის უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა მთლიანად დამთავრდა.

თავისი დარტყმების სამი მიმართულებით წარმართვას: ყოველ-მხრივი პოლიტიკური ომი, დამხმარე სამხედრო აქციები, სადაც ეს საჭირო იქნებოდა, ყოველი სამხედრო აქციის მომზადება, რომელიც აუცილებელი გახდებოდა ნომავალში კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის ძირითადი ელემენტები იყო: ომი კორეაში 1950—1953 წწ., საბჭოთა ჯარების ინტერვენცია უნგრეთში 1956 წელს, საბჭოთა ბლოკების — ნატოს, სეატოს და სენტოს შექმნა, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა ნატოში, „ცივი ომისა“ და გამაღუებული შეიარაღების გაძლიერება, 1955 წელს სოციალისტური ქვეყნების მიერ სამხედრო დაჯგუფების ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა. საბჭოთა კავშირში შექმნილმა ატომის და წყალბადის ბომბებმა და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურმა რაკეტებმა დასავლეთი აიძულა „კომუნიზმის „შეკავების“, „ჩაკუგდების“ და მისგან „განთავისუფლების“ პოლიტიკა შეეცვალა ე. წ. „დიფერენცირებული“ პოლიტიკით. ამ პოლიტიკაზე საერთაშორისო კაპიტალიზმი აშშ-ის მეთაურობით გადავიდა მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდა იმაში, რომ ძალის პოზიციით სოციალისტური წყობილების დამხობა შეუძლებელი იქნებოდა. „დიფერენცირებული პოლიტიკის“ ავტორები თვლიდნენ, რომ სოციალისტურ ქვეყნებში დამკვიდრებული კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ დასაყრდენ ძალად უნდა გადააქციონ ქვეყნის შიგნით არსებული პატრიოტული და დემოკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები. ამ ძალების მოღვაწეობის გაშლით ისინი იმედოვნებდნენ მშვიდობიანი გზით საზოგადოებრივი წყობის „შინაურ რევოლუციას“ და კაპიტალიზმის რესტავრაციას, რა თქმა უნდა, დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით. ამ ელემენტებისათვის მხარდაჭერის და მათი აქტივობის მიზნით ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ყოველწლიურად 100 მლნ დოლარით აფინანსებდნენ.

1989—1990 წლებში მრავალათასიანი დემონსტრაციები და გამოსვლები, ამ ქვეყნებში არსებული რეჟიმების წინააღმდეგ, ნათლად ღაღადებენ იმაზეც, რომ ეს რეჟიმები ანტიხალხური ხასიათისა იყო და მასების მხარდაჭერით არ სარგებლობდა.

ახლა ყველა აღიარებს, რომ აღმოსავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანაში სოციალიზმი ნებაყოფლობით არ დამკვიდრებულა. მას „ქმნიდნენ“. შემდეგ კი ძალისმიერი. ტოტალიტარული რეჟიმის

დამყარების, მაბობრივი ოპერაციების და საბჭოთა იდეოლოგიურ, თუ სამხედრო მხარდაჭერის წყალობით ინარჩუნებდნენ ასეთ რეჟიმებს.

სსრ კავშირის დასავლეთის საზღვრების უშიშროების გარანტიად მიჩნეული იყო ერთ იდეოლოგიურ საფუძველზე დაფუძნებული სოციალისტური სახელმწიფოთა არსებობა და ამ სახელმწიფოებში საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ჯარის ნაწილების ყოფნა.

იმპერიული შეხედულებებია გამო, ათეული წლების განმავლობაში, ყოველგვარი გაჭიანურვის გარეშე, ერთგვარ აქსიომად იყო მიჩნეული, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-ის მეზობლების მაქსიმალური, საკუთარი საზომით განსაზღვრული, იდეოლოგიური სიახლოვე წარმოადგენდა საბჭოთა ქვეყნის უშიშროების საუკეთესო გარანტიას. საერთო-სამხედრო სტრატეგიის შემადგენელ ჰარიტეტს.

საერთაშორისო ურთიერთობაში გაბატონებულ შეხედულებაში ჰაშინ დამკვიდრებული იყო სოციალიზმის უშიშროების პრინციპები და უგულვებელყოფილი იყო საყოველთაოდ აღიარებული ასეთი საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპები. როგორიცა: ხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის პატივისცემა და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 1989 წლის დეკემბერში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ დაგმო უმართებულო აქტი — ჩეხოსლოვაკიის გამოცხადება სოციალისტური ქვეყნების საერთო საზღვრად და 1968 წელს აქ ჯარების შეყვანა. დასაგმობია 1956 წელს საბჭოთა ჯარების უნგრეთში შეყვანა და სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული განცხადება 80-იან წლებში პოლონეთში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით, რომ „მოძმე პოლონეთს ჩვენ განსაცდელში არ დავტოვებთ და არავის დავაჩაგვრინებთ!“ მაშინ საბჭოთა კავშირის ასეთი პოზიციის საფუძველი იყო „სამართლიანი მშვიდობის საქმისათვისა და ხალხთა უ[illegible]შროებისათვის“ ბრძოლის აუცილებლობა. თითქოს პოლონეთში [illegible]ინარე ამბები საშიშროებას უქმნიდა თვით პოლონეთისა და [illegible] კავშირის ეროვნულ ინტერესებს თუ შეადარებთ 1[illegible] ის ამბებს ჩეხოსლოვაკიაში. მოსალოდნელი

იყო იგივეა განმეორება პოლონეთის მიმართაც. მაგრამ, საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა.

ორივე ამ ამბავს ჩეხოსლოვაკიის — 1968 წლისას და 80-იანი წლების პოლონეთისას, მიუხედავად მათი ახვადახვა ხასიათ დამთავრებისა, ბევრი საერთო ჰქონდა. ე. წ. „მოძმე" თუ ახვა ქვეყნებში — მაგალითად ანგოლაში, მოზამბიკში, ეთიოპიაში, კიეტნამში, კამბოჯაში, ავღანეთში საბჭოთა ჯარის გაგზავნა ხდებოდა „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" და „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის" ლოზუნგებით, ხოლო საბჭოთა ჯარისკაცებს კი „ინტერნაციონალისტებს" უწოდებდნენ.

წარმოდგენილი ჰქონდა რა თანამედროვე სამყარო როგორც კლასობრივი ბრძოლის არენა, საბჭოთა სამხედრო დოქტრინა ორიენტირებული იყო „რევოლუციური მონაპოვრის საიმედო დაცვაზე და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყოველმხრივი განმტკიცებისაკენ". ბუნებრივია, რომ უშიშროებისადმი ასეთი მიდგომა დიდ საფრთხეს უქმნიდა მსოფლიო მშვიდობას. მოკავშირე ქვეყანაში მომხდარი ნებისმიერი შიდაპოლიტიკური არაკანონიერი მოვლენა ცხადდებოდა გარედან ზემოქმედების შედეგად, რაც შეუძლებლობას ქმნიდა შექმნილიყო მითი საგარეო საშიშროების არსებობის შესახებ, სინამდვილეში კი ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთში ზემოთ აღნიშნული ამბები საშინაო ხასიათისა იყო და უფერენულ სახელმწიფოებს არავითარ საშიშროებას არ უქმნიდა.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაში ახალი აზროვნების დამკვიდრების შედეგი ის იყო, რომ დაგმობილ იქნა ახვა ქვეყნებში ჯარების შეყვანა სოციალიზმის ინტერნაციონალისტური მოვალეობის შესრულების საბაბით და აღიარებულ იქნა უფერენული საახელმწიფოებია საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ ერთიანი იდეოლოგია (ე. ი. სოციალისტურია თუ არა ესა თუ ის ქვეყანა), ავტომატურად ვერ უზრუნველყოფდა მეგობრულ ურთიერთობას. მაგალითად, სოციალისტურ ალბანეთთან 1961 წლიდან დიპლომატიური ურთიერთობა იყო გაწყვეტილი, ხოლო ჩინეთთან „მცირე" ომამდეც კი მივიდა საქმე და წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ათასობით კილომეტრიან საზღვარზე დაძაბული მდგომარეობა ეუფლებოდა. თუმცა არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ იდეოლოგიური ერთიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ურთიერთობის

განვითარებიათვის. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ იდეოლოგიური ერთიანობა არ შეიძლება მიჩნეული იყოს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის ერთადერთ გარანტად. გადამწყვეტი მნიშვნელობა კარგი ურთიერთობის დამყარებისათვის ენიჭება ახალმწიფოთა კონკრეტულ მოქმედებას. მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მრავალი ფაქტორით განიმაზღვრება ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის აკაკ- წარმოდგენებით არსებული იდეოლოგიური ერთიანობა, როგორც 1989 1990 წლებია ამბებმა ცხადყო, არ აღმოჩნდა მყარი. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ამბებმა სულ ერთიანად გამოამზეურა აქ არსებული ხელისუფლების სტრუქტურის არასტაბილურობა და ინსტიტუტი. ცხადყო თუ რ. მცდარ დოგმებზე იყო აგებული ასეთი ხელისუფლებანი ქვეშ მყოფ ქვეყნებზე დამყარებული სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტის დოქტრინა და სარკ დასავლეთის საზღვრების უშიშროების დოგმები. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული არასტაბილური მდგომარეობა ადრევე გამომჟღავნდა: 1953 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1956 წელს უნგრეთში, 1968 წელს — ჩეხოსლოვაკიაში, 1980 წელს პოლონეთში. ე. კრიზისები ეკავ მაშინ ძალლოდნენ ნიშანს. უშიშროების ხაზის ინსტიტუტზე [illegible] ხდებოდა. საბჭოთა ტანკები, ძეშკეოთით (გა[illegible] [illegible] ასეთი ხაბიჯი. შემდეგ გარეგნულ [illegible] [illegible] დამყარებისათვანავე საფუძველი [illegible] ნელი მოქმედებაა ბომბ., რომელიც ადრე თუ გვიან უნ- და გამხდარიყო კიდევ ერთ დეტონატორად ახალ, უფრო ღრმა პოლიტიკურ აფეთქებად. რაც საბოლოო ანგარიშში მოხდა კიდეკ

საბჭოთა ჯარების ყოფნა მაგალითად, გერმანიაში გასაგები იყო თუნდაც იმის გამო, რომ ომის შემდგომ პერიოდში ე. ერთგვარად დაკანონდა პოტსდამის კონფერენციაზე. აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე აშშ-ის, ინგლისი., საფრანგეთის და სხვათა ჯარები, რომელთა გაყვანა გერმანიიდან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ არაფრით არ შეიძლებოდა საბჭოთა ჯარების შეყვანის და იქ ყოფნის გამართლება ომიდან და ნატოს შექმნიდან ათეული წლებია შემდეგ უნგრეთში (რომელიც ნატო. არც ერთ ქვეყანას არ ესაზღვრება) და ჩეხოსლოკაკიაში. აქ საბჭოთა ჯარების ყოფნა. სრ კავშირია მოწინააღმდეგენი დასავლეთში

ორულიად ამმართლიანად ბანიდენენ ამ ქვეყნებია შინაური პოლიტ-
აებით. მაგრამ აქმე მარტო ამაში კი არ იყო. ყოველი ა.ეთი ძა-
ლისმიერი მოქმედება დაკავშირებული იყო დიდ რისკთან. მაა შე-
ისლება გამოეწვია საერთაშორისო კონფლიქტი. გარდა ამისა, და-
საავლეთია ქვეყნები ასრკ-ის ბალისმიერ მოქმედებაა ალმოაავლეთ
ევროპის ქვეყნებში განიხილავდნენ როგორც აიბეჭოთა აგრეიდ-
ლობის ზრდა. დაალეთ ევროპია უშიშროებია წინააღმდეგ ამი-
გამო ათეული წლების განმავლობაში დაალეთ ევროპაში გაბა-
ტონებული იყო აზრი საბჭოთა აგრეიის შესახებ. რაც ხელს უწ-
ყობდა ნატოში შემავალი ქვეყნების შეკავშირებაა და მათი საბრკ-
რო ღონისძიებების სტიმულირებაა. ამას შედეგად მოაღეედა ორი-
ვე მხარის გამალებული შეიარაღება და ევროპია ცენტრში უზარ-
მაზარი შეიარაღებული ძალების თავმოყრა, რომელმაც თავ- ა.ო-
გეას 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალგარეთ ურთიერთობა კაპიტ-
ალისტურ ქვეყნებთან მხოლოდ „კლასობრივი კონცეფციის" ფარგ-
მით ხორციელდებოდა.

ალხელმწიფოთაშორისო ურთიერთობა ალისტემა დაფუძნებუ-
ლი იყო სხვადასხვა სოციალური სისტემა ურთიერთ დაპირისპი-
რებაზე. სოციალიზმი მსოფლიო ალისტემა ჩამოყალიბებია პრო-
ცესში ორ სისტემას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მკაცრ ხა-
ასიათს იღებდა: მსოფლიოში მიმდინარე ყველა მოვლენა ფასდებო-
და სოციალიზმსა და კაპიტალიზმ. შორის გლობალური ურთიერთ-
ბრძოლით. ყოველი რეგიონალური კონფლიქტი მ.ა.ა.ა.ის ნება-
მიერ კუთხეში ავტომატურად „ორი სისტემა გლობალურ ინ-
ფორნტაციად". ამ შეხედულებათა შესაბამისად და მკაცრ ცენ-
ტრალიზაციის ვითარებაში სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინ-
ტერესები ერთნაირად იხილებოდა. მსოფლიო კი კლასობრივ
ბრძოლის ასპარეზია თვალსაზრისით განიხილებოდა. ამია შესაბა-
მისად ხდებოდა დამოკიდებულება უშიშროებია საკითხებთან. მი-
ი უზრუნველყოფა გამომდინარეობდა პოლიტიკური კონცეფციე-
ბიდან და სამხედრო დოქტრინებიდან, თანაც ძალზედ გამარტივე-
ბული, საშიში და საარისკო წარმოდგენია საფუძველზე — რაც, მა-
შინდელი ხელმძღვანელობია გაგებით, მსოფლიოში სოციალიზმი-
პოზიციებს ამტკიცებდა.

მხოლოდ ამხედრო პარამეტრებია გზით უშიშროებია აბსოლუ-

ტიზაცია ჯერ უფრო მეტად ჰქმნიდა რეალური საშიშროების ვითარებას, როგორც სსრ კავშირისათვის, ისე მსოფლიოსთვისაც. ძნელია იმის წარმოდგენა თუ აბოლოოდ რითი დამთავრდებოდა ყველაფერი ეს, რომ არ მომხდარიყო მკვეთრი ცვლილებები საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. ასეთი ცვლილებების შედეგი იყო, ერთი მხრივ, დაძაბულობის განმუხტვა ომის რეალური საშიშროების თავიდან აცილება, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარი ძირეული ცვლილებები.

1986 წელს საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პრინციპები. ეს ფაქტობრივად კაცობრიობის უშიშროებისა და მისი გადარჩენის პრინციპები იყო, რომელიც მოიცავდა უშიშროების ყველა ასპექტს — პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ჰუმანიტარულს და საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა ერთობის მატერიალურ გარანტიებს. მთელი კაცობრიობის საერთო უშიშროებას. ნაოფლიო კაცობრიობა ერთ ორგანიზმად გადაიქცევა. სადაც საშიშროება რომელიმე მისი ნაწილისადმი გაგებული იქნება როგორც საშიშროება მთლიანად მთელი სამყაროსათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ „საერთოევროპული სახლის“ იდეას. ამ იდეის ცხოვრებაში განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვანი გარანტია გახდეს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცებისათვის. ამრიგად, საბჭოთა მთავრობამ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაცხადა „საკაცობრიო ღირებულება“ „კლასობრივი ინტერესების“ ნაცვლად. სსრკ-ში განხორციელებულმა გარდაქმნებმა და საგარეო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა დაიჩქარა ფეთქებადი ხასიათის ცვლილებები აღმოსავლეთ ევროპაში.

1989-1990 წლებში ამ რეგიონში თავბრუდამხვევი სიჩქარით ვითარდებოდა მოვლენები. ამ წლის ბობოქარი მოვლენები სხვა პირობებში ალბათ მთელ ათეულ წლებს ეყოფოდა. ამიტომაა, რომ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე ეს პროცესები განცვიფრებას იწვევდა მთელ მსოფლიოში თავიანი დინამიურობით და სიახლით. მანამდე ხომ კომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე ცხოვრება მდორე, ერთგვაროვანი, უინტერესო, დამახინჯებული და სიყალბით აღსავსე იყო.

ამ წლების საერთაშორისო ურთიერთობის ყველაზე მნიშვნე-

ლოვან მოვლენად ჩაითვალა აღმოსავლეთ ევროპაში არსებული მმართველობის და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უდიდესი. პრინციპული ხასიათის ივრები, რომელთაც ერთიანად შეკვეთა ამ სახელმწიფოთა სახე, სახელმწიფოებისა, რომელნიც ადრე სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნებად ითვლებოდნენ. ამ კვლევებებია არსია კომუნისტური პარტიების მონოპოლიების ლიკვიდაცია პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. მათ შორის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. მონოპოლიის ლიკვიდაციაც, საზოგადოებრივი წყობის საერთო დემოკრატიზაცია. კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობის რეაბილიტაცია. ამრიგად, 1990 წელს აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო სოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ შემობრუნება. სოციალიზმი არსებული მოდელია დემონტაჟი. ვინაიდან ეს მოდელი ახლა არაფერია, გარდა საბჭოთა კავშირის მიერ ექსპორტირებული და წლების განმავლობაში მისი ხიშტებით დანერგილი ყაზარმული სოციალიზმის მოდელია. ხალხის მასობრივი პროტესტი მიმართული იყო არა მარტო საკუთარი ხელისუფლებისა. არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და რუსების წინააღმდეგ. 1990 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ფირითადად დასრულდა ტოტალიტარული რეჟიმის ლიკვიდაცია და ნამდვილი დამოუკიდებლობის აღდგენა. ახალხო მოძრაობამ აღნიშნულ ქვეყნებში მიიღო აშკარად გამოკვეთილი ანტისოციალისტური, ანტიკომუნისტური ხასიათი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლა. გერმანიის გაერთიანება. ამრიგად, სოციალისტურმა ექსპერიმენტმა, რომლითაც მთელი მე-20 საუკუნე იყო აღსავსე, არ გაამართლა, მან არ გაამართლა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ მესამე სამყაროს იმ ქვეყნებშიც, რომელნიც სოციალისტური ორიენტაციისა იყვნენ. ამრიგად, სოციალიზმი კრიზისმა მოიცვა, ჩიხში აღმოჩნდა. რაც აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის მოღვრების კრიზისიცაა. ბუნებრივია, რომ არც მარქსი და არც ლენინს არ შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ დღევანდელი ცხოვრებისეული მოვლენები, ხოლო მათი მიმდევრები ვერ აღმოჩნდნენ იმ დონეზე. რომ შეგუებოდნენ თანამედროვე პირობებს და მბარი აეწყოთ მისთვის. მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში. ისიც 80-იანი წლები. ბოლოს დაიწყო საერთაშორისო არენაზე ახალ ისტორიულ პირობებთან შეგუები. კურ-

მაოფლიო ძალაშტაბით მიმდინარე გლობალური დემოკრატიული გარდაქმნების კურსისათვის მხარდაჭერა და მათში ჩაბმა.

80-იანი წლების ბოლოდან ევროპა დაადგა განვითარების გარდამავალ პერიოდს, რომლითაც ახალი ეტაპი დადგა კონტინენტის პოლიტიკურ წესებში. ახალმა აზროვნებამ საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ნორმალური ურთიერთობის დამკვიდრებას და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ყოველივე ამის შედეგი ის არის, რომ პირველად ომისშემდგომ ისტორიაში შეიქმნა ობიექტური პირობები კაცობრიობის არსებობისათვის მეტად საშიში ევროპის კონტინენტის გათიშულობის დასაძლევად და მომავალი ევროპული „საერთო სახლისათვის" საძირკვლის ჩასაყრელად.

1990 წელი, შეიძლება თამამად ითქვას, წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან წელს საერთო „ევროპული სახლის" მშენებლობის საქმეში.

სწორედ 1990 წლის ოქტომბერში მოეღო ბოლო გერმანიის გათიშულობას, ევროპის გათიშულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს და ორი გერმანული სახელმწიფოსაგან დასავლეთ გერმანიის კაპიტალისტური სახელმწიფოს ბაზაზე შეიქმნა ერთიანი გერმანული სახელმწიფო: დეკემბერში ჩატარებულმა საერთოგერმანულმა არჩევნებმა დაასრულა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი. დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც ბევრ გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეს მიაჩნდა, რომ გერმანიის გაერთიანების შედეგად ევროპის ცენტრში აღმოცენდა ეკონომიკური კოლოსი, რომელმაც მომავალში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს კონტინენტის განვითარებაზე. ამასთან უკვე არ არსებობენ ძალები, რომელთაც შეუძლიათ ამ მოძრაობის შეჩერება. პირიქით, ყველას, ზოგიერთის გამოკლებით, იმის იმედი აქვს, რომ გერმანია კადაიქცევა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის გაერთიანების საყრდენ ხიდად. ამჟამად ევროპის გავლენიან პოლიტიკოსებს სწორედ ასეთი სახით აქვთ წარმოდგენილი ევროპის გაერთიანება და მას გერმანიის გაერთიანებას უკავშირებენ, მაგრამ ყველაფერი გერმანიაზე როდია დამოკიდებული. მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული საერთოევროპული თანამშრომლობა. თუ ეს მოხდება თავისუფლების, სამართლია-

[illegible] ევროპის გაერთიანება შეამავლის ისტორიულ როლს, ვინაიდან ეს გაერთიანება უნდა მოხდეს ქვეყნის იმ ხელმძღვანელების მეთაურობით, რომელთაც გაწყვეტეს ყოველგვარი ურთიერთობა ოდესღაც ერთად ერთ რეჟიმულ ტრადიციებთან, რომელნიც [illegible] შეშიშროებას ქმნიდნენ მეზობელ ხალხებს. მაგრამ თუ ერთობლივ ღონისძიებებს წინ გადადგამენ თანამშრომლობის მოწინააღმდეგე კონსერვატორული ძალები რუსეთში, მაშინ გერმანია ნაგვის ყუთში გადაიყრება ომის შემდგომ მოპოვებულ საერთაშორისო ნდობის კაპიტალს [illegible] ევროპის ერთიერთ მიბაძვაღვილ და საშიშ ძალად გადაიქცევა.

ყველა დოგმში და განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკაში, ყველაზე საშიშია არაკომპეტენტური და არაპროფესიონალი პირების ხელმძღვანელობა. ასეთმა ვაი ხელმძღვანელობამ ერთ დღეში შეიძლება გააფუჭოს წლების მანძილზე ნაგები მშვიდობიანი ურთიერთობა და ევროპელი ახლა მშენებლობა ატლანტეგია და გუშინდელი მეგობრები თუ მოკავშირეები მტრებად აქცია. ამაზე მეტყველებს რუსეთის დეპუტატების არაკომპეტენტური [illegible] და ყოველგვარ რეალობას მოკლებული განცხადებები გერმანია გაერთიანება თუ უშიშროება საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ იმედია, რომ გერმანელი ხალხი თავისი მიზანდასახულობა, ნიჭი, შრომისმოყვარეობის და ორგანიზებულობა წყალობით დიდ წვლილს შეიტანს საერთაშორისო ახლა მშენებლობაში, ანუ, როგორც ფრანგები უწოდებენ, ევროპის კონფედერაციის შექმნაში.

დიდი მნიშვნელობისა იყო 1990 წლის ნოემბერში ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის 22 ქვეყნის მიერ მიღებული ერთობლივი დეკლარაცია, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამია: ახალ ეპოქაში, რომელიც დამკვიდრდა ევროპული ქვეყნების ურთიერთობაში, დეკლარაციაზე ხელმომწერი ახელმწიფოები აღარ არიან მოწინააღმდეგენი და მეგობრობის ხელს უწვდიან ერთმანეთს. იგინი აღიარებენ, რომ თითოეულია უშიშროება უცილობლად დაკავშირებულია დანარჩენების უშიშროებასთან [illegible] ალებენ. შეინარჩუნონ [illegible] [illegible] ძელიც აუცილებელია ომის თავიდან [illegible] თავდაცვის უზრუნველყოფად.

მშვიდობი [illegible] უშიშროების [illegible] ვანიტა [illegible]

დიდი მნიშვნელობა აქვს ვენაში 34 სახელმწიფოს მიერ მომზადებულ ხელშეკრულებას ევროპაში განლაგებული ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების, შეიარაღების შემცირების და მათი ეტაპობრივად გაყვანის შესახებ.

აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება სტრატეგიული, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების 50 პროცენტით შემცირების შესახებ, დაიწყო მოლაპარაკება აგრეთვე მცირე სიშორის ბირთვული რაკეტების შემცირების თაობაზეც.

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს, რუსეთის საშხედროების ერთი ჯგუფი კვლავ ეძებს „მტრის სახის" შექმნის გზებს, რათა გააგრძელოს გამალებული შეიარაღება და „ცივი ომის" კურსი. ამის ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი:

საქართველოში დიდი შეშფოთება გამოიწვია თავდაცვის მინისტრის ჰიუსნიუდოგანის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ თურქეთი გფრ-დან უფასოდ ელის საბჭოთა საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, რომელიც ადრე ყოფილი გდრ-ის განკარგულებაში იყო. გფრ-ის რადიოსადგურმა „გერმანიის ხმამ", „ამერიკის ხმამ" და სხვებმა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც კი გადმოსცეს თურქეთისათვის ყოფილი საბჭოთა იარაღის მიწოდების თაობაზე. კერძოდ, ეს არის 2200 ტანკი, 1500 ჯავშანტრანსპორტიორი, „მიგის" ტიპის 400 თვითმფრინავი, 300 ათასი სასროლი იარაღი. თავდაპირველად ამ ცნობას ჩვენში არ გამოუწვევია შეშფოთება თუნდაც იმის გამო, რომ მიაჩნდათ, რომ ალბათ დასავლეთი თურქეთისათვის მიცემული ამ იარაღის გამოყენებას ერაყის წინააღმდეგ ფიქრობს. მაგრამ საკდესის ცნობამ იმის შესახებ, რომ თურქეთი პირველ ნაბიჯებს დგამს „ამიერკავკასიაში მშვიდობის მისაღწევად" და 1990 წლის მიწურულს შვეიცის პრესაში გავრცელებულმა ცნობებმა რუსეთის ჯარების სამხრეთის რაიონებში გადანაცვლების შესახებ დიდი შეშფოთება გამოიწვია ჩვენში. ნუთუ ერთობლივი მოქმედება მზადდებოდა ამიერკავკასიის წინააღმდეგ, როგორც ეს 1918 წელს იყო? ან იქნებ ეს თურქეთის მიერ „საშიშროების მითის" შექმნის ცდებია, რათა ჩვენში დამატებითი ჯარები შემოეყვანათ რუსეთიდან? მაგრამ დღეისათვის დღის წესრიგში დგას ევროპის გათიშულობისათვის ბოლოს მოღება, ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკების არსებობის საკითხი და საერთოევროპული სახლის მშენებლობის პრინ-

ციპები. 1989 წლიდან ამბებიდან შემდეგ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. როდესაც ამ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები ხელისუფლებიდან ათავეში ოპოზიციური პარტიებით შეიცვალა და ბევრმა მათგანმა სოციალიზმზე უარი თქვა, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია ადარ იყო „ომური სახელმწიფოების" საერთო იდეურ-პოლიტიკურ პლატფორმაზე დაფუძნებული სახელმწიფოების ორგანიზაცია. მათი ინტერესები გაიწმინდა იდეოლოგიის მაცემენტებელი ზემოქმედებისაგან. პირველ ადგილზე წამოიწია „შიშველმა" პოლიტიკურმა ანგარიშმა, რომელიც, რა თქმა უნდა არღვევდა ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოების სამოკავშირო ვალდებულებებს[1].

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობდა, რომ უნგრეთი ერთდროულად შეუძლია იყოს ვარშავის ორგანიზაციის წევრიც და მონაწილეობდეს ნატოს პოლიტიკური ორგანოების მუშაობაშიც. ნატოს შტაბ-ბინაში 1990 წლის დამდეგს ვიზიტით იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ირჟი დინსტბირი. ნატოს ხელმძღვანელობამ ჩეხოსლოვაკიელი სტუდენტებისათვის 60 სტიპენდია დააწესა დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიდრე გერმანიის საკითხი არ იყო გადაწყვეტილი, ჩეხოსლოვაკია და მით უმეტეს პოლონეთი დაინტერესებულნი იყვნენ სტაბილურობის გარანტიებში. ვარშავის ხელშეკრულება კი იძლეოდა ასეთ გარანტიებს. სხვა საქმეა საბჭოთა ჯარების ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ყოფნის საკითხი. საბჭოთა მთავრობამ საერთო შეთანხმების საფუძველზე დაიწყო ამ ქვეყნებიდან ჯარების გაყვანა.

პრაქტიკულად აღნიშნულ ქვეყნებში გატარდა არსებითი გარდაქმნები ხელისუფლებისა და მმართველობის ახალი სისტემის შექმნისათვის, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიული სისტემის ყოველმხრივი განვითარების პრინციპებზე მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელური როლის გარეშე. თუ გატარებული ღონისძიებებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, აღნიშნულ ქვეყნებში ისეთი პოლიტიკური სისტემა იქმნება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადო-

---

[1] 1991 წლის ივლისს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაითხოვეს (ავტ. შენიშ.). დაწვრილებით ამ ორგანიზაციის შესახებ იხილე წიგნი — ნ. ნანიტაშვილი, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. ნაწ. II, ნაკვეთი 1 (1945—1989 წწ.) გამომცემლობა „განათლება". 1991.

ებია რეალური ალტერნატივა. ე. წ. პლურალიზმი ახლა ყველა სოციალური ჯგუფის და ადამიანების აზრთა ერთგვარ ნაზავად ითვალისწინებს და მრავალი ადამიანის ინტერესთა ერთობას.

1989—1990 წლების ზიჯნაზე აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა ცვლილებებია შემდეგ, რომელმაც არსებითად შეცვალა რეგიონის სახე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსალოდნელ ნამდვილ დემოკრატიული ხასიათის არჩევნებს. 1990 წლის პირველ ნახევარში ექვს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში, პირველად 40 წლის განმავლობაში, მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე ჩატარდა არჩევნები. ამ არჩევნების შედეგებში საერთო ის იყო, რომ ყველგან დამარცხდნენ ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმის მომხრე პარტიები. არჩევნებმა გამოავლინა ახალი ლიდერები, რომელნიც ჩაუდგნენ ქვეყანის სათავეში. მათ აღადგინეს რეგიონში ისტორიული პროცესის ბუნებრივი განვითარება, რომელიც ხელოვნურად შეჩერდა ომია დროს. პოლიტიკური ძალების განლაგება თვალსაზრისით შემდეგნაირი ვითარება შეიქმნა. უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში გამარჯვებას ძიალწიენ საზოგადოებრივმა ფორმირებებმა, რომელნიც უფრო ელასტიურნი აღმოჩნდნენ თავიანთი პროგრამის შინაარსით და პლურალიზმით (უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი, „სამოქალაქო ფორუმი", „საზოგადოება ძალმომრეობის წინააღმდეგ", „სოლიდარობა"), რომლებშიც ხელმძღვანელობა არასოციალისტური ძალების ხელში იყო.

ბულგარეთსა და რუმინეთში არჩევნებში წარმატებას ძიალწიენ მემარცხენეებმა და მემარცხენე ცენტრისტულმა გაერთიანებებმა. ბულგარეთში სოციალისტურმა პარტიამ (ყოფილმა კომუნისტებმა), რუმინეთში კი ეროვნული ხსნის ფრონტმა, რომლის სათავეში ყოფილი კომუნისტები იდგნენ. მაგრამ აქაც ოპოზიციური, არასოციალისტური ძალები შეეცადნენ ჩაძოეგდოთ არჩევნებში გამარჯვებული ხელმძღვანელები, მოაწყვეს გრანდიოზული გამოსვლები, რომლებიც სისხლისმღვრელი ბრძოლებით დამთავრდა. რუმინეთში ილიესკუმ შეძლო ხელისუფლებია შენარჩუნება, მაგრამ მასობრივმა გამოსვლებმა ბულგარეთში პრეზიდენტად ახლად არჩეული მლადენოვი აიძულა გადამდგარიყო. პრეზიდენტად ახლა ყოფილი დისიდენტი, ბულგარეთის დემოკრატიული ძალების კოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ჟელიო ჟელევი, რომელიც მთლიანად არასოციალიტურ იდეურ და პოლიტიკურ პოზიციებზე

ლკა... ამოგად, ბულგარეთში პოკბიკუტ... ...ოციალ...ტ... პარ-
ლამენტში კი დეპუტატთა ადგილებია უმრავლეობა იმყოფება
ბულგარეთის სოციალისტური პარტიის ხელში. მალე ამის შემდეგ
გადადგა ლუკანოვი (ყოფილი კომუნისტი) მთავრობაც და ერთი
თვის კრიზისის შემდეგ მანვე შექმნა ერთპარტიული მთავრობა
ოპოზიციონერების მონაწილეობის გარეშე.

არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ სოციალ-დემოკრატიულ-
მა და სოციალისტურმა პარტიებმა (გარდა ბულგარეთისა). მათ შო-
რის ვერც ახლად აღდგენილმა „ისტორიულმა", სოციალ-დემოკრა-
ტიულმა და ვერც კომუნისტურმა პარტიებმა ვერ მიიღეს ამომრ-
ჩეველთა ხმების იმდენი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებო-
და მათი წარმატებისათვის. პირიქით, არჩევნებმა ცხადყო, რომ ამ
პარტიებმა დაკარგეს გავლენა მასებზე. მაგალითად, უნგრეთში სო-
ციალისტებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს (8,5 პროცენტი ამომრჩე-
ველთა ხმებისა), ხოლო უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარ-
ტიამ (ე. ი. ყოფილმა კომუნისტებმა), რომელიც 1956 წლიდან იდ-
გა ხელისუფლების სათავეში და „ისტორიულმა" უნგრეთის სო-
ციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (უსდპ) ვერ გადალახეს 5-პროცენ-
ტიანი ბარიერი და ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს პარლა-
მენტში. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სოციალისტები და
სოციალ-დემოკრატები ჩეხოსლოვაკიაში. რომელთა საქმიანობა
აღდგა ე. წ. „ხავერდოვანი უსისხლო რევოლუციის" შემდეგ. მაგ-
რამ იმ დროს მოულოდნელი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიის კპ-ის წარ-
მატება, რომელმაც მიიღო ხმების 14 პროცენტი.

რუმინეთის პარლამენტში „ისტორიულმა" სოციალ-დემოკრა-
ტიულმა პარტიამ მხოლოდ 2 დეპუტატის ადგილი მიიღო, ხუთი
კი — ახლად შექმნილმა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარ-
ტიამ.

უფრო უმნიშვნელო იყო წარმატებები ძემოაცხენე პარტიებისა
ადგილობრივი ორგანოებისა არჩევნებში პოლონეთში, სადაც სოცი-
ალ-დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტზე ნაკლები
მიიღეს.

გდრ-ში (სანამ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია გაერთიან-
დებოდა), სადაც ახლად აღდგენილი სოციალ-დემოკრატიული პარ-
ტია დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიდი
მხარდაჭერით სარგებლობდა და ბევრი მიმომხილველი მას წარმა-

ტებან უწინასწარმეტყველებდა. ამან მეორე, დემოკრატიული სოციალიზმის პარტიასთან (ყოფილი კომუნისტები) ერთად უფრო ნაკლები ხმები მიიღო, ვიდრე ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა. ეს ალბათ ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები ფაქტობრივად მოშლილი და ხალხისაგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ, მათ ვერ მოააწრეს ან ვერ შეძლეს ახალი პროგრამების შემუშავება, ბევრგან აწყდებოდნენ აშკარა დისკრიმინაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ძირითადად რადიო-ტელევიზიის გამოყენებისას, დაკარგეს ძველი ფინანსური წყაროები. ამ პარტიებში, მიუხედავად მათი მისწრაფებებისა, რომ განთავისუფლებულიყვნენ წარსულის ნეგატიური მოვლენებისაგან, ბევრი აქტივისტი და რიგითი წევრი ვერ განთავისუფლდა ძველი შეხედულებებისაგან. ყველაფერი ეს კი გავლენას ახდენდა ამ პარტიების საარჩევნო კამპანიებზე. მათი დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად ისიცაა მიჩნეული, რომ ისინი ურთიერთ შორის ეწეოდნენ მძაფრ კონკურენციას, რამაც კიდევ უფრო დაქსაქსა მათი ძალები. განხეთქილების სილრმეზე მიგვითითებს, მაგალითად, არჩევნების წინ შექმნილი სიტუაცია, სადაც ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, მემარჯვენე პარტიებს კი მხოლოდ კონკურენტები უწოდა. უფრო მეტიც, არჩევნების შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის ქონების ნაციონალიზაცია და კითხვის ქვეშ დააყენეს ამ პარტიის არსებობის საკითხიც კი.

მაინც რითი აიხსნება მმართველი პარტიების საყოველთაო დამარცხება, პარტიებისა, რომელნიც 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განაგებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და იმ სოციალ-დემოკრატიული „ისტორიული“ პარტიებისა, რომელნიც აღდგენილ იქნენ დემოკრატიზაციის ვითარებაში. საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში საზოგადოებრივ ცნობიერებაში დისკრედიტირებული აღმოჩნდა თვითონ „სოციალიზმის“ ტერმინიც კი და მასთან დაკავშირებული პრინციპები, იდეები და მიზნები. ამ რეგიონის მოსახლეობის ფართო ფენები სწორედ „სოციალიზმს“ უკავშირებენ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა უყაირათობა, ეკონომიკური უეფექტურობა, სამოქალაქო უფლებებისა და

თავისუფლების შეზღალვა, ეზღუდული ეროვნული უნივერსიტეტი, საერთაშორისო-პარტიული ზედაფენების გადაგვარება და მორალური გახრწნა. გასაგებია, რომ „სოციალისტური წარსულისადმი" ე. წ. ალერგია გამოწვეულია იმ პოლიტიკოსებისა და პარტიებისაგან, რომელნიც მათთან გენეტიკურად არიან დაკავშირებულნი და ახლაც იცავენ იმ იდეებს, რომელნიც გარეგნულად მაინც მოაგონებთ წარსულ დროს. აწორეულ ანან გამოიწვია მათი ასეთი კატასტროფული დამარცხება. ხალხმა რწმენა დაკარგა სოციალისტური იდეებისადმი. სოციალისტურმა ორიენტაციამ ნდობა დაკარგა, გამოიფიტა. ზოგან კი — მაგალითად, პოლონეთში — არარაობამდე დავიდა. ყველა ამბოლოო ლოგიკური შედეგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში „სოციალიზმის" მოდელის ძალით თავსმოხვევისა, ბრმად გადაღებისა და დამკვიდრებისა, ისტორიული და ეროვნული პირობების გათვალისწინების გარეშე. კატასტროფული სურათი ეცირდება ყოფილ მმართველი პარტიების წევრთა რაოდენობა. მაგალითად, პოლონეთში ყოფილ გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრთა რაოდენობა 2 მილიონიდან 53 ათასამდე შემცირდა, უნგრეთში 850 ათასიდან (ანდრე უნგრეთის სოციალისტური პარტია) 50 ათასამდე (ახლა უნგრეთის სოციალისტური პარტია) და 82 ათასი ანალ უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიაში. ამ მონაცემების ანალიზმა ცხადყოფა, რომ ყოფილი მმართველი პარტიების დამარცხება არჩევნებში შემთხვევითი არაა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ზემარჯვენა პარტიები მონოპოლია ხელისუფლებაზე დიდხანს ვერ გაგრძელდება და შეიძლება კვლავ მოხდეს ის, რომ წარმატებას იღებ ყოფილმა მმართველმა, მაგრამ ირეულად განახლებულმა პარტიებმა მიაღწიონ. მაგრამ ამისათვის დიდი დროა საჭირო.

რანაირნი იქნებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორნი არიან ისინი ახლა? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უკან დაბრუნება აღარ მოხდება. გამორიცხულია ისიც, რომ ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდეს კომპარტიების ცკ-ის შემადგენლობიდან ეხვა პირებით, თვით კომპარტიებში ურთიერთობა წყდება იმათთან, ვინც გამოიწვია პარტიის დეფორმაცია და ახალი გაუტეხა როგორც პარტიას, ასევე სოციალიზმის იდეებს. კომუნისტურ პარტიებს ავტორიტეტის აღდგენისათვის, ალბათ, დიდი დრო დაჭირდებათ. მათი მდგომარეობა ამზოვადოებაში დამოკიდებული იქ-

ნება იმაზე, თუ როგორ ტაქტიკაა და სტრატეგია შეიმუშაკებენ ინი, როგორ გაითვალიწინებენ ქვეყნიკა და ხალხიკ საჭიროებანი და განწყობა.

აღმოსავლეთ ევროპაში დატრიალებული ბობოქარი ამბებიკ შედეგად, ხალხის ნება-სურვილით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ძალები, ახალი ლიდერები. წინ არის ასოზოგადოების რადიკალური განახლება, მიკი დემოკრატიული ტრადიციების განახლება, ეკონომიკის განთავისუფლება და მიკი განვითარებისათვის აუცილებელი პირობებიკ შექმნა

●

გარედან თავსმოხვეული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნისთანავე 1949 წლის იანვარს მოსკოვში შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების ასბჭო.

ევროპის და მსოფლიო ურთიერთაწინააღმდეგო დაყოფის პერიოდში შექმნილმა დახშულმა ადმინისტრაციულ-ბრძანებლურმა ბიუროკრატულმა ეკონომიკურმა ბლოკმა, 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ძირეული კვლილებების შემდეგ, ვერ გაუძლო გამოცდას და მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ დახშულმა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა ორგანიზაციამ, მიუხედავად მისი ზოგიერთ დარგის თანამშრომლობაში მიღწეული წარმატებისა, ვერ გააკთვა თავი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ამოცანების გადაწყვეტას[1]. პირიქით მასში შემავალ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში უარყოფითმა და დაძაბულმა მოვლენებმა იჩინა თავი. ამის შედეგად, მათ შორის ვერ შეიქმნა ერთიანი ბაზარი უბაჟო და ახვა ბარიერების გარეშე, რეალური კონვერტირებული ვალუტა, ერთიანი საგადასახადო სისტემა, როგორც ეს მოხდა დასავლეთ ევროპაში „საერთო ბაზარში" შემავალ ქვეყნებს შორის. უკანასკნელ წლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების ასბჭოს ქვეყნებს შორის ნამდვილი ომი დაიწყო. ამ ორგანომ, თავისი ორმოცწლიანი არსებობის განმავლობაში ცხადყო თავისი უაიცოცხლობა და

[1] 1991 წ. ივნისში გაუქმდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების ასბჭო, ოცი წელმაც 42 წელი და ექვსი თვე იარსება (ავტორის შენიშვნა).

უუნაროობა მოიფლეთ ეკონომიკათან ინტეგრირებაში. უკანასკნელ წლებში აღნიშნულ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები ურთიერთვაჭრობაში გადავიდნენ მოიცლიოში არსებულ ფასებზე და თავისუფლად კონვერტირებულ კალეტაზე. ამია შედეგად ძალზედ საშიში სიტუაცია შეიქმნა. ბანკნელ წლებში მათ შორის საქონლის ურთიერთმიწოდება გაჯანსაღდა საწყობებში უამრავი მოძველებული საზრისათვის საქონელი დაგროვდა. მაგრამ ძველ პარტნიორებს კი დოლარები არ გააჩნიათ, რათა ერთმანეთთან ივაჭრონ. განსაკუთრებით ეს ეხება საბჭოთა კავშირს შემდეგ კი რუსეთს. რომელთაც არ გააჩნიათ კალეტა, რათა შეიძენდნენ უნგრეთისა და პოლონეთის ავარმაცვტული საწარმოებისათვის მიცემული დაკვეთები. შედეგად შეჩერებული წამლები. თუ ამ ქვეყნებს შორის ხვა გზები არ გამოინახა ურთიერთ ვაჭრობაში, მაგალითად ბარტერული კარიგები. განვითარებისათვის, მათ შორის ვაჭრობაში კატასტროფულ მდგომარეობა შეიქმნება ურთიერთ ანგარიშში აეთი სიტუაცია მარტო ვაჭრობაში რომ. ეროვნული კალეტი. მთლიანმა გაქცევამ და დოლარზე გადასვლამ დიდი დარტყმა მიაყენა ადამიანთა შორის კონტაქტებს. ტურიზმს. აულტურულ ურთიერთობის. განვითარებას. ფასები ავი და ჩაინგრა ბილეთებზე. გაზეთებზე. [illegible] ქვეყნებში წევნებზე [illegible] ბიუჯეტდამელი გახდა.

ორმოცი [illegible] განმავლობაში ერთგვარ თუ ცუდად არსებული ეკონომიკური [illegible] ურთიერთობის. დარღვევა აღნიშნულ ორგანიზაციაში შემავალ ქვ[illegible] შორის ეარყოფთან გავლენა ახდენდა მათ ეკონომიკაზე [illegible] ევროპის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ფრეები ცვალებადნენ [illegible] ეკონ-ულტაციო ფორუმის შეკმნამ [illegible] ორმოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობა. გააგრძელებლად. არ არსებობ. აზრთა ხვადასხვაობა „ამეულ" ერთი მხრივ უნგრეთია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთა შორის. რომელნიც შორ. წავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლ. აქმეში. და მეორე მხრივ კუბა. შორის. „სამეული" მოლაპარაკება. აწარმოება „საერთო ბაზართან" მა. ში ასოცირებულ წევრად გახდომის შესახებ. ამასთანავე „სამეული "იაწრაფვის შეკმნა. საკონსულტაციო ხასიათის ორგანიზაცია. მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებია. მონაწილეობით მონგოლეთია. ვიეტნამი. კუბა მონაწილეობ. გარეშე. ამა.

„ამეული“ იმით ხასიათდება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას აერთიანებს არა მარტო წარსული, არამედ აწმყოც, — ყველა ისინი შედიან საბაზრო ეკონომიკაში, მსოფლიო მეურნეობაში, ყველა გაერთიანებულია საერთო ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, ყველას საერთო პრობლემა აქვს ეკოლოგიიდან დაწყებული ეროვნული ვალუტის შექმნამდე დამთავრებული. ალბათ, რომ ცალ-ცალკე მათი გასვლა არ იქნება მათთვის ხელსაყრელი და ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია. ამიტომ ისინი ეძებენ ურთიერთმოქმედების ახალ ფორმებს, თანასწორობის და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

§ 2. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა

პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები წარმოადგენდა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისის დასაწყისს. ამ დროს კოლონიებს და ნახევრად კოლონიებს ეკავათ დედამიწის ტერიტორიის 70%, სადაც მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედი ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომამდე იმპერიალიზმი ჯერ კიდევ განუყოფლად ბატონობდა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. მსოფლიოში არსებობდა ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის კოლონიური იმპერიები.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა განადგურებამ, ევროპის და აზიის რიგ ქვეყნებში გარედან ინსცენირებული სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებამ, და რაც მთავარია, ამერიკის უარყოფითმა დამოკიდებულებამ კოლონიებისადმი, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნამ პირობები შექმნა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის.

ომის დროს ამ ქვეყნებში რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური კვლილებები მოხდა: აღმოცენდა ბურჟუაზია და პროლეტარიატი და მათი ორგანიზებულობა, ბრძოლაში ფართოდ ჩაებნენ გლეხობა, ეროვნული ბურჟუაზია და სხვა პატრიოტული ძალები, რომლის შედეგად იქმნებოდა ეროვნული ძალების ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტი. ომის შემდეგ დაიწყო იმპერიალზმის კოლონიური სისტემის დაშლა ჯერ აზიის კონტინენტზე. სადაც მეორე

მსოფლიო ომის წინ მოსახლეობის 90%-ზე მეტი ანუ 1,2 მლრდ. კაცი კოლონიურ ან ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ომისშემდგომ პირველი ათი წლის განმავლობაში ჩინეთის, ვიეტნამის და კორეის გარდა კოლონიურ უღელს თავი დააღწია ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ, ცეილონმა, პაკისტანმა, ლაოსმა, კამბოჯამ და ფილიპინებმა. ამ დროისათვის თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს არაბულმა ქვეყნებმა: ეგვიპტემ, სირიამ, ლიბანმა, ლიბიამ, სუდანმა, მაროკომ და ტუნისმა.

50-იანი წლების დამლევი და 60-იანი წლების დასაწყისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდი იყო მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ ამ დროს განიცადა კოლონიალიზმმა გადამწყვეტი დარტყმა და კოლონიური იმპერიების ნანგრევებზე შეიქმნა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა აფრიკის კონტინენტზეც, რომელიც იმპერიალიზმს კოლონიალიზმის ჯერ კიდევ საიმედო ბურჯად მიაჩნდა. მეორე მსოფლიო ომამდე აქ ბატონობდა ხუთი სახელმწიფო: ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია და პორტუგალია. 1945 წლამდე ამ კონტინენტზე მხოლოდ ორ ქვეყანას ლიბერიას და ეგვიპტეს გააჩნდა ფორმალური დამოუკიდებლობა. 1945—1959 წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვა აფრიკის შვიდმა ქვეყანამ: ეთიოპიამ, ლიბიამ, სუდანმა, მაროკომ, ტუნისმა, ოქროს რქამ ანუ დღევანდელმა განამ და გვინეის რესპუბლიკამ. განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იყო ამ კონტინენტის განთავისუფლებისათვის 1960 წელი, რომელსაც „აფრიკის წელი“ უწოდეს. ამ წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა აფრიკის 17 ქვეყანამ 80 მლნ. მოსახლეობით[1].

60—70-იან წლებში იმპერიალზმის კოლონიური სისტემის დაშ-

---

[1] 1975 წლის მარტში ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რიცხვმა 4 მლრდს მიაღწია. 1990 წელს კი 5 მლრდს გადააბიჯა, პლანეტის ყველაზე დასახლებულ რაიონად რჩება აზია, სადაც, 1990 წელს ცხოვრობდა 2 მლრდ 400 მლნ. კაცი — მსოფლიოს მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი. მის შემდეგაა სამხრეთი და ჩრდილოეთ ამერიკა 690 მლნ., ევროპა — 490 მლნი., აფრიკა — 401 მლნ., ავსტრალია და ოკეანია — 26 მლნ. კაცი.

ლა დაჩქარდა და მის მთლიან კრახში გადაიზარდა. იმპერიალიზმის ყოველგვარი ცდები, რომ შეენარჩუნებინა ეს პროცესი შეიარაღებული ბრძოლით ან თავისი მომხრე პირებზე ხელისუფლების გადაცემის გზით, უშედეგოდ დამთავრდა. 70-იან წლებში ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის კოლონიურმა იმპერიებმა სამუდამოდ შეწყვიტეს თავისი არსებობა. ამ იმპერიების ნამსხვრევებზე 90-მდე ახალი ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

1977 წლის 27 ივნისს აფრიკის კონტინენტზე შეიქმნა რიგით 49-ე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჯიბუტის რესპუბლიკა,[1] რომელიც სექტემბერში მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

მიუხედავად იმისა, რომ 50—60-იან წლებში ბევრმა სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ჯერ კიდევ რჩებოდა საფლობელოები პროტექტორატების, ზღვის გაღმა ტერიტორიების და შინაგანი მართვის სახელმწიფოთა სახით. განსაკუთრებით ეს ეხება აფრიკის ტერიტორიას, სადაც ძლიერი იყო კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული გავლენა. აქ შეღწევას სოციალისტური ქვეყნებიც ცდილობდნენ.

კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 35 მლნ. მოსახლეობა (აფრიკელები, მეტისები, აზიური წარმოშობის მოსახლეობა), რომლებიც ცხოვრობდნენ მკაცრი რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის (რასობრივი დაყოფის) პირობებში. რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაციისა და აპარტეიდის სისტემების მხრივ ჩაგვრას განიცდიდნენ სამხრეთ აფრიკის. და სხვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები.

ზიმბაბვეს, ნამიბიის, ზაირის, და სამხრეთ აფრიკის მოსახლეობა ჯერ კიდევ იბრძოდა ეროვნული, კანონიერი უფლებების აღსადგენად.

აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმისა და რასიზმის პლაცდარმად რჩებოდა როდეზია და განსაკუთრებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (ეს უკანასკნელი 1961 წლამდე ინგლისის დომინიონი

---

[1] ჯიბუტის რესპუბლიკა შეიქმნა აფართა და ისას ტერიტორიაზე (ყოფილი საფრანგეთის სომალი).

იყო[1]. აქ ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა ეკუთვნოდა ინგლისელებისა და აფრიკანერების (ბურების) მცირერიცხოვან ნაწილს. იგი მოსახლეობის 20% აღწევდა, მაგრამ მის ხელში იყო მიწების 87%, ქვეყნის მთელი მრეწველობა და პოლიტიკური ძალაუფლება. მოსახლეობის არაევროპული ნაწილი (80%) მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებსა და ცხოვრობდა განსაკუთრებულ რაიონებსა და რეზერვაციებში.

---

[1] 1985 წლის აღწერით რესპუბლიკაში 35 მილიონი მცხოვრები იყო. დედაქალაქია პრეტორია — 1,3 მილიონი. ერთ-ერთი დიდი ქალაქია იოჰანესბურგი (1,5 მილიონი).

რასისტული კანონების მიხედვით მოსახლეობა ოთხ ჯგუფად იყოფოდა, თითოეულ მათგანს სამოქალაქო უფლებები ჰქონდა — ევროპელები, (5 მლნ-მდე), აფრიკელები (25 მლნ-მდე), „ფერადები" (ძირითადად მულატები და მეტისები — 2 მლნ-მდე) და აზიელები (ძირითადად ინდოელები — 1 მლნ-მდე).

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დააარსეს ჰოლანდიიდან გადასახლებულმა ბურებმა (გლეხებმა). ბურებმა თავდაპირველად (1652 წ.) დააარსეს კაპის კოლონია, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს ხელთ ჩაიგდო ინგლისმა. ბურებმა (ანუ, როგორც ახლა მათ უწოდებენ, აფრიკანელებმა) არ მოისურვეს ინგლისის კოლონიური უღლის ქვეშ ყოფნა და XIX ს. 30-იანი წლების ბოლოს აიყარნენ და დასახლდნენ რესპუბლიკის დღევანდელი ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში „დიდ ტრეკში", სადაც დააარსეს ორი რესპუბლიკა — ორანჟისა და ტრანსვალისა. ორივენი (ინგლის-ბურების 1899—1902 წლების ომის დროს) კვლავ ხელთ ჩაიგდო ინგლისმა. 1910 წ. ინგლისის კაპის კოლონია და ბურების რესპუბლიკა გაერთიანდნენ სამხრეთ აფრიკის კავშირში (საკ). რომელმაც დიდი ბრიტანეთის დომინიონის სტატუსი მიიღო. 1961 წ. სამხრეთ აფრიკის კავშირი გამოვიდა დიდი ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობიდან და მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (სარ) სახელწოდება. მისი ტერიტორია შეადგენს 1221 ათას კვ. კმ. ესაზღვრება ბოტსვანასა და ნამიბიას (ჩრდილო-დასავლეთით), მოზამბიკსა და სვაზილენდს (ჩრდილო-აღმოსავლეთით), სამხრეთის საზღვრები კი გადის ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეების სანაპიროებზე. აქვს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საზღვაო პორტები — დურბანი (1 მილიონი კაცი) და კეიპტაური (1,5 მილიონი კაცი). 1984 წ. მიღებულ ახალი კონსტიტუციამ, რომელმაც სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურად პრეზიდენტი გამოაცხადა. პარლამენტი სამი პალატისაგან შედგებოდა — ცალ-ცალკე თეთრკანიანებისათვის, ფერადკანიანებისათვის (შერეული წარმოშობის პირებისათვის, და ინდოელებისათვის). რეალური ხელისუფლება რასისტული კონსტიტუციით თეთრკანიანი უმცირესობის ხელში იყო, ხოლო ადგილობრივი აფრიკელი ზანგების უმრავლესობა მთლიანად ჩამოშორებული იყო სახელმწიფოს გამგებლობისაგან.

სარ-ი აფრიკის კონტინენტზე ერთადერთი მაღალგანვითარებული სამრეწველო ქვეყანაა. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო კაპიტალისტური

რასიზმი, შოვინიზმი და დიდმპყრობელური მისწრაფებები, რანაირი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდნენ ისინი, მიუღებელია კაცობრიობის განვითარების თანამედროვე დონისათვის. ამიტომაა, რომ მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანი სულ უფრო გადაჭრით იბრძვის მის წინააღმდეგ.

რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია თანამედროვე საერთაშორისო სამართლით აკრძალულია და იგი კანონგარეშედ არის გამოცხადებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, მაგალითად, ჩამოყალიბებულია ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის პრინციპი განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა და რელიგიისა, ხოლო გენერალური ასამბლეის მიერ 1965 წელს დამტკიცებული კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ რასიზმს სახელმწიფოთა მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებისათვის დიდ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი დოკუმენტი მიღებულია დასავლეთის ინიციატივით, მათ შორის კონვენცია აპარტეიდის დანაშაულებათა აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ. აპარტეიდი და გენოციდი რასიზმის ყველაზე მხეცური სახეობები კონვენციით კაცობრიობის წინაშე დანაშაულად არის გამოცხადებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლე-

სისტემის მეურნეობაში. ამ რესპუბლიკაზე მოდის აფრიკის ტერიტორიის 4 და მოსახლეობის 6 პროცენტი. მაგრამ მისი ხვედრითი წონა კონტინენტის საერთო წარმოებაში 30 პროცენტს შეადგენს. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაში — 40, ქვანახშირის მოპოვებაში 90, ფოლადის წარმოებაში — 80, ელექტრონერგიის გამომუშავებაში — 60 პროცენტს.

სარ-ი მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულით, აქ არის ალმასი, ოქრო, პლატინა, ურანი, სურმი, რკინა, მარგანეცი. ქრომი, აზბესტი, მაგრამ არ არის ნავთობი და გაზი.

მსოფლიოში ოქროს მოპოვებით სამხრეთ აფრიკა რესპუბლიკა პირველ ადგილზეა. სარ ნამიბიასთან ერთად მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში ალმასების მოპოვებაში. ნამიბიაში ალმასების საბადოებს მტაცებლურად ამუშავებდნენ. ეს ალბათ იმ სიხარბით იყო გამოწვეული რომ ნამიბია ადრე თუ გვიან დამოუკიდებლობას მიიღებდა. ნამიბიის ურანის საბადოები როსინგენში ყველაზე მდიდარია მსოფლიოში. ამ ქვეყნის ურანზე, ქრომსა და მარგანეცზე დიდი მოთხოვნებია დასავლეთში. მარგანეცისა და ქრომის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე შეიარაღება, ძრავების, საკისრების, ხელსაწყოების წარმოება. ამ ქვეყნის სტრატეგიული მასალა — ტიტანი ფოლადზე მსუბუქი და მაგარია.

ის XXVIII სესიამ კაპიტალისტური ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით 1973—1983 წლები გამოაცხადა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ათწლედად. შემუშავდა კონკრეტული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ამ სამარცხვინო მოვლენათა მოსპობას. ათწლეულის საბოლოო მიზანია, ნათქვამია პროგრამაში, იმ მცდარი და მითიური რწმენის, პოლიტიკის და პრაქტიკის გამოვლინება, იზოლაცია და მხილება, რომლებიც ხელს უწყობს რასიზმს და რასობრივ დისკრიმინაციას, და, რაც მთავარია, რასისტული რეჟიმის მოსპობა, კოლონიალიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის და აპარტეიდის შემდგომი შენარჩუნება გამოცხადდა დანაშაულად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევად.

აფრიკის განთავისუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დამხობას, რამაც ბოლო მოუღო აფრიკაში იმპერიალისტური ევროპის უშუალო ბატონობის ეპოქას. ამ იმპერიის ნანგრევებზე შეიქმნა ანგოლის სახალხო რესპუბლიკა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკა, რომლებიც ადრე რასისტული „თეთრი სამხრეთის“ განუყოფელ ნაწილად ითვლებოდნენ, შემდეგ კი რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ. ამის შედეგი ისაა, რომ განმანთავისუფლებელი მოძრაობა ტალღა უშუალოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზღვრებს მიადგა და შეიქმნა რეალური პირობები როდეზიაში, ნამიბიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ევროპელთა უმცირესობის რასისტული მთავრობების გადაყენებისა და ამ ქვეყნებში აფრიკელი უმრავლესობის ხელისუფლების დამყარებისათვის. ანგოლასა და მოზამბიკში საბჭოთა კავშირისა და კუბის, სოციალისტური ყველა ქვეყნის მხარდაჭერით ძალაუფლება კომუნისტების ხელში აღმოჩნდა. ამ ქვეყნებში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. 1980 წელს უშიშროების საბჭომ მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. ამ რეზოლუციას ხმა მისცა დასავლეთის ყველა ქვეყანამ და თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ. ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში გატარდა 1989 წელს, როდესაც საერთაშორისო დამკვირვებლების კონტროლის ქვეშ აქ ჩატარდა თავისუფალი არჩევნები. გაიმარჯვა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციამ. (მიიღო ხმე-

ბის 57%) ე. ი. ზანგთა მოსახლეობის უმრავლესობამ და გამოცხადდა ნამიბიის დამოუკიდებლობა.

როდეზიაც (1965 წლიდან დამოუკიდებელი) ევროპული უმცირესობის რასისტული სახელმწიფო იყო (ცხოვრობდა 275 ათასი ევროპელი და 5,1 მლნ. აფრიკელი), სადაც აფრიკელთა უმრავლესობა კოლონიური მონობის მდგომარეობაში იყო.

ლონდონი ერთი მხრივ, მხარს უჭერდა რასისტულ ბასტიონებს აფრიკის სამხრეთში, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა მანევრებით, რომელთა ამოცანა იყო ბრიტანეთის პოზიციებისა და გავლენის შენარჩუნება, ანვითარებდა ურთიერთობას ამ რეგიონის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან. მ. ტეტჩერის კაბინეტი, როდეზიაში მიმდინარე ძლიერი განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად იან სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ რეჟიმის შენარჩუნება და მხარი დაუჭირა აქ თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. 1980 წლის თებერვალში შემდგარი თავისუფალი არჩევნების დროს რასისტულმა რეჟიმმა მარცხი განიცადა და 1980 წ. 18 აპრილს როდეზიამ ახალი სახელწოდება მიიღო და გამოცხადდა ზიმბაბვეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომლის მთავრობას სათავეში ჩაუდგა რ. მუგაბე.

რასისტულმა რეჟიმმა მარცხი განიცადა აგრეთვე სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში 1994 წელს ჩატარებული თავისუფალი არჩევნების დროს, გაიმარჯვა ზანგთა მოსახლეობის უმრავლესობამ. პრეზიდენტი გახდა ნელსონ მანდელა.

დასავლეთის ქვეყნები კვლავ ინარჩუნებენ თავის სამფლობელოებს ე. წ. მცირე (ძირითადად კუნძულებზე) ტერიტორიაზე, რომელნიც მდებარეობენ კარიბის აუზის, ინდოეთის და წყნარი ოკეანის რაიონებში და იყენებენ მათ სამხედრო ბაზებად[1]. იმ მიზნით,

---

[1] ამჟამად კოლონიური იმპერია აღარ არსებობს. მისი ადგილი დაიკავა ათეულობით ახალგაზრდა სახელმწიფომ. 1919 წლისათვის ყველა კოლონიას და ნახევრად კოლონიას თუ 97, 8 მილიონი კვ. კმ. ტერიტორია ეკავა და იქ 1,2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა, 1986 წლისათვის კოლონიური იმპერიის მსხვრევის შედეგად აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს (სოციალისტური ქვეყნების გარეშე) ეკავათ 83,6 მილიონი კვ. კმ. ტერიტორია და აქ ცხოვრობდა 2,5 მილიარდი ადამიანი. დარჩენილ კოლონიებს კი, რომლებიც ძირითადად პატარა კუნძულებისაგან შედგება, ეკავათ 1 მილიონი კვ. კმ., მოსახლეობა კი შეადგენდა 13,6 მილიონ კაცს.

რომ სამუდამოდ შეინარჩუნონ ეს ტერიტორიები, თავს აბეგილობრივ მოსახლეობას სტატუსს — მეტროპოლიებთან მათი ასოცირების შესახებ. რაც ფაქტიურად არ ცვლის კოლონიურ მდგომარეობას, გარდა ამისა, ისინი ამ ტერიტორიების დეკოლონიზაციის წინააღმდეგ აყენებენ ისეთ არგუმენტებს. როგორიცაა მოსახლეობისა და ტერიტორიის სიმცირე და ა. შ. 1960 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ბოლო მოეღებოდა კოლონიალიზმს მის ყოველგვარ ფორმაში, ხოლო 1970 წელს კი გამოცხადდა, რომ ტერიტორიის მოცულობა, გეოგრაფიული იზოლირება და რესურსების სიმცირე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა აფერხებდეს დეკლარაციის განხორციელებას.

დეკლარაცია საქვეყნოდ აღიარებდა, რომ ხალხთა დამორჩილება უცხოეთის ბატონობისადმი და მათი ექსპლოატაცია ადამიანის ძირითადი უფლებების უარყოფას წარმოადგენს. იგი ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ხელს უშლის თანამშრომლობისა და მშვიდობის დამყარებას მთელ მსოფლიოში.

განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წონა მსოფლიოს წარმოებაში 1985 წლისათვის 18 პროცენტს შეადგენდა, მსოფლიო ექსპორტში 28%. ეს ქვეყნები ერთ სულზე გაანგარიშებით 13-ჯერ ნაკლებ პროდუქციას აწარმოებდნენ, ვიდრე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. გაანგარიშებულია, რომ განვითარებად ქვეყნებში მოშიმშილეთა რაოდენობა 500 მილიონ კაცს შეადგენდა, სამედიცინო მომსახურებას მოკლებულთა რაოდენობა — 1,5 მილიარდს, ზოზრდილი წერა-კითხვის უცოდინარი — 800 მილიონზე მეტს და ამდენივეა, რომელთა წლიური შემოსავალი 150 დოლარს არ აღემატება, 200 მლნ კი სკოლაში არ დადის. ეს მაშინ ხდება, როცა 80-იანი წლების დამდეგისათვის განვითარებადი ქვეყნების უკვე შესწავლილი წიაღისეული შეადგენდა: ნავთობის — 89 პროცენტს, გაზის — 72, რკინის მადანი — 45, სპილენძის მადანი — 70, კალა — 94, ნიკელი — 63, ვოლფრამი — 38, ურანი — 20, ბოქსიტი — 73, ფოსფორიტი და აპატიტი — 47 პროცენტს.

განვითარებადი ქვეყნების ლატაკური მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია, არა მარტო ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობა, დიდი საგარეო ვალი (1 ტრილიონ დოლარს აღე-

მატება) და სამხედრო ხარჯები (1987 წ. 200 მლრდ დოლარს მიაღწია), არამედ მოსახლეობის გამრავლების სწრაფი ზრდა. რაღაც 40 წლის განმავლობაში პლანეტის მოსახლეობა 100%-ზე მეტად გაიზარდა. თუ 1949 წ. იგი 2 მლრდ 400 მლნ მცხოვრებს შეადგენდა, 1987 წლის ზაფხულში 5 მილიარდს მიაღწია. ამასთანავე, მოსახლეობის სწრაფი ზრდა შეიმჩნევა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომელთაც უკავიათ დედამიწის ტერიტორიის ნახევარი და აქ ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 70%. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წონა მსოფლიო წარმოებაში იზრდება და ამასთანავე სწრაფი დემოგრაფიული ზრდის შედეგად იზრდება მოსახლეობის ხვედრითი წონაც მსოფლიო დასახლებაში. აზიის რიგ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება ხვედრითი წონა მსოფლიო წარმოებაში. ეს ქვეყნებია: თურქეთი (მოსახლეობა 1956 წლიდან 1985 წლამდე 24,7 მლნ-ან — 51,4 მილიონამდე გაიზარდა), ირანი (შესაბამისად 19 მილიონიდან — 43,4 მილიონამდე), პაკისტანი (38 მილიონიდან — 95 მილიონამდე), ტაილანდი (20,7 მილიონიდან — 50 მილიონზე მეტი), სინგაპური (1,2 მლნ — 2,6 მლნ), ფილიპინები (22,3 მლნ — 52 მლნ), სამხრეთ კორეა (18,9 მლნ — 40 მლნ), ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან: ბრაზილია (61 მლნ — 134 მლნ), კოლუმბია (12,9 მლნ — 32,4 მლნ), მექსიკა (30 მლნ — 80 მლნ). აფრიკის ქვეყნებიდან: კენია (6,1 მლნ — 20,1 მლნ), ნიგერია (32,7 მლნ — 92,1 მლნ). ჩამოთვლილ ქვეყნებში მიმდინარეობს გიგანტური თავისი მასშტაბებით გარდაქმნები, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 700 მილიონზე მეტ კაცს, ე. ი. აღემატება მთელი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობას. ამ ბოლო დროს ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში და განსაკუთრებით აფრიკაში მიმდინარეობს მოსახლეობის ცხოვრების დონის აშკარა დაცემა, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა მაინც გრძელდება.

აზიაში კი პირიქით მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება წარმოებაც, ამ კონტინენტის ზოგიერთ ქვეყანაში კი წარმოების ზრდა დაჩქარებულად მიმდინარეობს, მაგალითად ინდოეთში, რომელიც წარმოების საერთო შემოსავლით განვითარებული ინდუსტრიალური ქვეყნების ათეულში შევიდა, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე განაწილებით ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია. ინდოეთში

ომის შემდგომი 40 წლის განმავლობაში მოსახლეობა 100 პროცენტზე მეტად გაიზარდა — 381 მილიონიდან (1948 წ.) 800 მილიონამდე (1987 წ.).

დღეისათვის აფრიკის მცხოვრებნი (განსაკუთრებით შავი აფრიკის) უფრო გაღარიბდნენ, ვიდრე 70-იანი წლების დასაწყისში იყვნენ. საერთაშორისო კონიუნქტურამ, გვალვამ და ომებმა ბუნებრივია ხელი შეუშალა მათ განვითარებას, მაგრამ ამ უარყოფითმა მოვლენებმა ვერ შეაჩერა ამ რეგიონის მოსახლეობის ზრდა.

მოსახლეობა კონტინენტების მიხედვით შემდეგნაირად არის დასახლებული — ჩინეთს და ინდოეთს ყოველთვის ეკავათ შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები და დღეისათვისაც ინარჩუნებენ თავის უპირატესობას, ტერიტორიით კი ჩინეთს (9,6 მლნ კვ. კმ.), მესამე ადგილი უკავია სსრ კავშირის (22,4 მლნ კვ. კმ.) და კანადის (10 მლნ-მდე კვ. კმ.) შემდეგ, ინდოეთს კი ტერიტორიული ფართობით მეექვსე ადგილი უკავია (3288 ათასი კვ. კმ.) აშშ-ს 9364 კვ. კმ.) და ბრაზილიის (8512 კვ. კმ.) შემდეგ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დროს (1949 წ. ოქტომბერში) აქ მცხოვრები მოსახლეობა შეადგენდა დედამიწის მოსახლეობის მეხუთედ ნაწილს (540 მლნ კაცი). 40 წლის განმავლობაში მოსახლეობას 500 მილიონზე მეტი მოემატა და 1986 წლის ბოლოსათვის აქ მცხოვრებთა რიცხვმა შეადგინა 1057 მლნ კაცი ტაივანის, სიანგანის (ჰონკონგი) და აომინიას (მაკაო) გარდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მოსახლეობის ზრდას ხელი შეუწყო მაშინდელი ხელმძღვანელების დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, რომელიც, ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო წარმოების ზრდას მოსახლეობის, სამუშაო ძალის გაზრდით ცდილობდნენ და ამიტომ მსვლელობაში იყო ლოზუნგი „რაც უფრო მეტი სამუშაო ხელია, მით უფრო მეტი წარმოებაა, მეტი დაგროვებაა". ამიტომ განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან მოსახლეობის ძლიერად გამრავლების პოლიტიკა ხორციელდებოდა და ეს პროცესი 1976 წლამდე გრძელდებოდა, როდესაც მოსახლეობის ყოველწლიურმა მატებამ შეადგინა 20—25 მლნ კაცი. ამის შედეგად მოსახლეობის ჭარბად დასახლება ყველგან იგრძნობოდა, რამაც რიგი სოციალური სიძნელეები გამოიწვია — უმუშევრობა, პირველადი მოთხოვნილების პროდუქტების უკმარისობა და ა. შ. ერთ

სულ მოსახლეზე საერთო ეროვნული შემოსავლით ჩინეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე. აღმოჩნდა.

ყოველი ახალშობილი მთავრობას ყოველწლიურად 40 ათასი იუანი უჯდება დოტაციების სახით ბინაზე, წყალზე, განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, ტრანსპორტზე. 70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა უმუშევართა მრავალმილიონიანი არმია, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები დაეკავშირებინა ოჯახის დაგეგმვის, ანუ შობადობის გეგმასთან. 1978 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა ერთ ოჯახს ერთ შვილზე მეტი არ ყოლოდა. ეს გადაწყვეტილება შემდეგ კანონათ და ლოზუნგათ იქცა: „ერთი ოჯახი — ერთი ბავშვი". დადგინდა, რომ XX ს. ბოლოსათვის ქვეყნის მოსახლეობა არ გაზრდილიყო 1 მლრდ 200 მლნ-ზე მეტად. აქედან გამომდინარე განისაზღვრა, რომ მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა დადგენილიყო 12 მლნ 320 ათასი კაცით. შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ, რომელნიც დაარღვევდნენ პრინციპს: „ერთი ოჯახი — ერთი ბავშვი".

—❶—

განთავისუფლებული ქვეყნები იბრძოდნენ იმისათვის, რომ მიეღწიათ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ძირფესვიანად შეეცვალათ თავისი მდგომარეობა კაპიტალიზმის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სისტემაში. განვითარებადი ქვეყნების წინაშე დღემდე მწვავედ დგას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა განვითარების დაბალი ტემპები, ინდუსტრიალური სახელმწიფოებისაგან ჩამორჩენის ზრდა, სურსათის ნაკლოვანების ქრონიკული სიძნელეები, საგარეო ვალების კატასტროფული სისწრაფით ზრდა და ა. შ.

80-იანი წლების შუა პერიოდისათვის განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოების 1/7.

70-იანი წლების შუა პერიოდში საერთაშორისო კორპორაციების კაპიტალდაბანდება „მესამე სამყაროში" 73 მლრდ დოლარს შეადგენდა, მაგრამ ამ თანხას უცხოელი მონოპოლიები უპირატესად ბუნებრივი რესურსების მოპოვებისათვისა და სამუშაო ძალის

ექსპლოატაციისათვის იყენებდნენ, კაპიტალდაბანდებიდან მიღებული მოგებანი კი ბევრად აღემატებოდა ძირითად კაპიტალს. ფრანგი ეკონომისტის რ. სერვუაზის გამოანგარიშებით განვითარებადი ქვეყნებიდან გამოტანილი 20 მლრდ დოლარის ღირებულების ნედლეულიდან მონოპოლიებმა 170 მლრდ მოგება მიიღეს. ლათინურ ამერიკაში ინვესტიციები 60-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე 5-ჯერ გაიზარდა. მაგრამ მონოპოლიები დადგენილი 20 პროცენტიანი მოგებით კი არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი ყოველწლიურად იღებდნენ დამატებით მოგებებს მოწყობილობების მართვისა და მიწოდებისათვის, ხოლო ზოგიერთი მონოპოლიების კონტროლის ქვეშ იყო „მესამე სამყაროს“ ეროვნული ეკონომიკის მთელი დარგები.

ყოველწლიურად უარესდებოდა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ფინანსური მდგომარეობა, იზრდებოდა მათი დავალიანება და დასავლეთისადმი დამოკიდებულება. 1956 წელს მათი ვალი მხოლოდ 9 მლრდ დოლარს შეადგენდა, 1976 წლის ბოლოსათვის 150 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, 1978 წლისათვის 170—180 მლრდ დოლარამდე, 1990 წლისათვის კი 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. მაგრამ, სამაგიეროდ, განვითარდა მათი ეკონომიკაც.

განვითარებადმა ქვეყნებმა მრავალი მოთხოვნა წამოაყენეს: უცხოეთის მონოპოლიებზე კონტროლის გაძლიერება, საექსპორტო ნედლეულზე უფრო მაღალი ფასების დაწესება, საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე მთლიანი სუვერენიტეტის ცნობა, ინდუსტრიალური ქვეყნების მიერ „მესამე სამყაროში“ ფინანსური რესურსების დენადობის გაზრდა, ტექნოლოგიის გადაცემის პირობების გაუმჯობესება, ინდუსტრიალურ ქვეყნებში „მესამე სამყაროს“ საქონლის შეტანაზე შეღავათების დაწესება და ა. შ. ეს მოთხოვნები სამართლიანი, პროგრესული ხასიათისაა და მიზნად ისახავდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დემოკრატიზაციას.

მრავალეროვანი კორპორაციების ე. წ. „პარტნიორობის“ კურსი „მესამე სამყაროს“ ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელის მხარდაჭერას პოულობს. მათ მიაჩნიათ, რომ საზღვარგარეთის მონოპოლიებისადმი „ღია კარების“ პოლიტიკას უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ზარალი. მაგრამ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა უარყოფს მრავალეროვნულ კორპორაციებთან „პარტნიორობის“ პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნები

ჯერ კიდევ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ჩარჩოებში არიან, იბრძვიან სამართლიანი ე. ი. თანასწორუფლებიანი ეკონომიკური ურთიერთობისათვის.

„მესამე სამყაროს" ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი ძირითადად რეგიონალურ დონეზეა. მათი რეგიონების დიდი ნაწილი 60—70-იან წლებში ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს მიაღწია, „მესამე სამყაროს" ქვეყნების მიერ მიღებული ვაჭრობის გაფართოების, სამრეწველო კოოპერაციის განვითარების, სავალუტო-ფინანსურ სფეროში თანამშრომლობის და სხვა გეგმები უკვე ნათელსა ხდის მათ შორის ინტეგრაციული პროცესების დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს.

„მესამე სამყაროს" ქვეყნებში ინტეგრაციული გაერთიანება თავდაპირველად ლათინურ ამერიკაში დაიწყო. 1960 წელს შეიქმნა ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (ლათვა). მისი წევრებია: არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, მექსიკა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ჩილე და ეკვადორი. ამ ასოციაციის ჩარჩოებში განხორციელდა ურთიერთვაჭრობის ლიბერალიზაცია, რის შედეგად ვაჭრობა მათ შორის სამჯერ მეტად გაიზარდა. თანამშრომლობა ასოციაციაში შემავალ ქვეყნებს შორის ხორციელდება სამრეწველო კოოპერაციის საფუძველზე, სავალუტო-ფინანსურ დარგში და ა. შ.

1969 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დადეს „ანდის" პაქტი, რომლის ამოცანაა ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია, ერთობლივი გეგმიური საქმიანობა, მრეწველობის სპეციალიზაცია, ერთიანი საბაჟო სისტემისა და საფინანსო ფონდის შექმნა. „ანდის" პაქტის წევრები გახდნენ: ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია. პერუ. ეკვადორი, ჩილე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ლათინურ ამერიკაში, კიდევ ორი ეკონომიკური რეგიონი არსებობს — ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი და ლაპლატის ჯგუფები. მასში შედიან: არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, პარაგვაი, ურუგვაი და კარიბის გაერთიანება.

1975 წლის ოქტომბერში პანამაში შეიკრიბა ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის 25 სახელმწიფოს, მათ შორის სოციალისტური კუბის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის („ლაესის") შექმნის საკითხი. მათ ხელი მოაწერეს „პანამის ხელშეკრულებას",

რომლის შესაბამისად „ლაესმა“ მოქმედება დაიწყო, როგორც ლათინური ამერიკის კონტინენტის ორგანიზაციამ. ახალი სისტემის ძირითადი მიზანია ლათინური ამერიკის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა, მათი ინტერესების დაცვა უცხოეთის მონოპოლიებისაგან. „ლაესი“ ითვალისწინებს ლათინური ამერიკის მრავალეროვან საწარმოთა შექმნას, ინდუსტრიალიზაციას, საქონლის წარმოებასა და გასაღებაში კოოპერაციას, საექსპორტო ნედლეულის ფასების დარეგულირებას ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციათა კოორდინაციას, პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციისათვის ლაბირარებას და ა. შ.

აზიაში ორი ეკონომიკური დაჯგუფება მოქმედებს: პირველია აზიის განვითარების რეგიონალური თანამშრომლობა („აგრთ“-ა), რომელშიც შედიან: ირანი, თურქეთი და პაკისტანი. მეორეა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია „საარა“, რომელშიც შედიან: ინდონეზია, მალაზია, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინები.

პირველ რეგიონში („აგრთ-“აში) მიღებულია გადაწყვეტილება მრავალი ერთობლივი საწარმოების მშენებლობაზე, მაგრამ 1987 წლის დასაწყისისათვის რეალიზებული იყო მათი მხოლოდ 30 პროცენტი. მეორე რეგიონმა („საარა-მ“) თავისი საქმიანობა გააფართოვა 1975—1977 წლებში, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ბაჟების შემცირებაზე ურთიერთვაჭრობაში, ხუთი ერთობლივი სამრეწველო საწარმოს მშენებლობაზე, ერთობლივი ბანკის საბჭოს შექმნაზე და ა. შ.

აფრიკაში ინტეგრაციის პროცესი შედარებით უფრო ნელა ვითარდება, მაგრამ აქაც შეიქმნა ეკონომიკური დაჯგუფებები, რომელთა შორის აღსანიშნავია დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება („დაქეგ“), რომელშიც 15 სახელმწიფო შედის: სპილოს ძვლის სანაპირო, ზემო ვოლტა, გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, დაგომეა, ლიბერია, მავრიტანია, მალი, ნიგერი, ნიგერია, სენეგალი, სიერალეონე, ტოგო. ამ რეგიონში დაშვებულია სამუშაო ძალის თავისუფალი გადანაცვლება და შექმნილია ერთიანი საგალუტო სისტემა. მოქმედებს აგრეთვე აღმოსავლეთ აფრიკის გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშია: უგანდა, კენია, ტანზანია, საქმიანობს ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომი-

კური კავშირიც, რომელიც აერთიანებს გაბონს, კამერუნს, კონგოს, და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას.

აღმოსავლეთ აფრიკის გაერთიანებაში შემავალმა ქვეყნებმა შექმნეს სახელმწიფოთაშორისო კორპორაციები რკინიგზის ტრანსპორტის, ავიატრანსპორტის, ნავსადგურის მეურნეობის, საფოსტო და კომუნიკაციების დარგები, ხოლო მეორე დაჯგუფებამ განახორციელა საბაჟო კავშირი კაპიტალის, სამუშაო ძალის. მომსახურების თავისუფალი გადანაცვლების სფეროში შექმნილია საერთო ბანკი და საერთო ვალუტა.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანებები და ხელი შეუწყონ მათ განვითარებას.

განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელობაში სულ უფრო მტკიცდება მისწრაფებები, მათ შორის ერთობლივი მოქმედებისა და თანამშრომლობისადმი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების კოორდინაციისათვის, როგორიცაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. 1977 წლის იანვარში დელიში გაიმართა „მესამე სამყაროს“ ქვეყნების მინისტრების შეხვედრა, რომელმაც განიხილა ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ინდუსტრიალიზაციისა და ტექნოლოგიის დარგში. 1977 წლის მარტში კაიროში შედგა პირველი აფრიკა-არაბეთის კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს განვითარების ერთიანი სტრატეგიის და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესების დამყარების მიზნით. კონფერენციამ მოიწონა აფრიკის და არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საკმაოდ ფართო პროგრამა და მისი რეალიზაციისათვის გადაწყვიტა მუდმივი სამუშაო ორგანოების შექმნა.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავს მოეხვიათ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისათვის სოციალისტური ინტეგრაციიდან „მიღებული გამოცდილება“, სოციალისტურ გზაზე გადაეყვანათ განვითარებადი ქვეყნები და არწმუნებდნენ, რომ მათი ინტერესები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, კერძოდ ახალი სამართლიანი და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებასა და სხვა საკითხებში. მესამე სამყაროს ქვეყნებში მოსკოვის გავლენის ზრდისა და მათი სოციალისტური ორიენტაციის გზაზე გადაყვანისათვის რუსეთს არ გააჩნდა ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტე-

ბი. ამიტომ აქ ამოქმედდნენ სუკის აგენტები და ამ ქვეყნების კომუნისტები. განსაკუთრებული ადგილი კრემლის არსენალში ეთმობოდა ეთნოკონფლიქტების გაჩაღებას, აგრეთვე პუტჩების და შეთქმულებების მოწყობას. „ზეკაღლენის“ ცივილიზებული მეთოდები მოსკოვს (აშშ-საგან განსხვავებით), უბრალოდ, არ გააჩნდა. სწორედ ასეთი ყაჩაღური ხერხებით ჩაითრია რუსეთმა აფრიკაში: ალჟირი, გვინეა, ლიბია, კონგოს სახალხო რესპუბლიკა, ეთიოპია, გვინეა — ბისაუ, ტანზანია, ანგოლა, მოზამბიკი, ბენინი (ყოფილი დაგომეა) და მალაგაზის რესპუბლიკა.

აფრიკასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში თავიანთი ზრახვების განხორციელებისას სსრკ და მისი პარტნიორები დიდ იმედებს ამყარებენ შოვინიზმზე, ეროვნული შუღლისა და ტერიტორიული პრეტენზიების გაღვივებაზე. ამის შედეგი ის იყო, რომ აფრიკის კონტინენტის მთელ რიგ რეგიონებში დაძაბულობის კერები შეიქმნა, განსაკუთრებით ეთიოპიაში, ბენინსა და მაგადასკარში, სადაც ძალაუფლება აიღეს მოსკოვის მიერ შეიარაღებულმა სამხედროებმა.

საბჭოთა კავშირი ცდილობდა თავის საიმედო პლაცდარმად გადაექცია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი აფრიკა. აფრიკის რქის რაიონისადმი საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. აქ ორი კონტინენტის შესაყარზე გადის უმნიშვნელოვანესი საზღვაო გზები, რომლებითაც ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში მიდის ნავთობი და სხვადასხვაგვარი ნედლეული. ამ რაიონს დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება დასავლეთის სტრატეგიულ გეგმებში.

ვაშინგტონმა, ნისმა ნატოელმა პარტნიორებმა და აგრეთვე არაბულმა ქვეყნებმა დიდი თანხა და ენერგია დახარჯეს, რომ თავიანთი მიზნებისათვის სომალის რესპუბლიკა გამოეყენებინათ. თავის მხრივ მოგადიშოს ლიდერები, უკვე დიდი ხანია ადგენდნენ ეთიოპიის ოგადენის რაიონის, კენიის ჩრდილო სასაზღვრო ნაწილისა და ჯიბუტის რესპუბლიკის შთანთქმის გზით „დიდი სომალის“ შექმნის გეგმებს. ამ გეგმების განხორციელებისათვის, საბჭოთა კავშირისაგან მხარდაჭერის მიღების მიზნით, სომალის ხელმძღვანელობამ თავისი თავი, ფარისევლურად სოციალისტური ორიენტაციის მომხრედ გამოაცხადა, სომალის რესპუბლიკაში მართლაც განხორციელდა ზოგიერთი სოციალისტური ხასიათის ღონისძიება. სანამ ეთიოპიაში მონარქული რეჟიმი იყო, სომალის ტერიტორიულ პრეტენ-

ზიებს ძირითადად სიტუციური ხასიათი ჰქონდა. ეთიოპიაში მოსკოვის აგენტების მიერ მონარქიის დამხობისა და სოციალისტური განვითარების კურსის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში რთული ვითარება შეიქმნა. 1977 წლის იულისის დამლევს სომალის ჯარები ღრმად შეიჭრნენ ეთიოპიის ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის და კუბის რესპუბლიკის ჯარებმა სომალის ჯარები განდევნეს ოგადენიდან. ამრიგად, ეთიოპიაში საბჭოთა და კუბის ჯარების აგრესიას ჰქონდა ადგილი. აღნიშნული ქვეყნების მშრომელებმა, რომლებმაც ყველაზე მეტად იწვნიეს სოციალისტური განვითარების სიძნელეები, დარწმუნდნენ იმ არჩევანის დამღუპველ არსში, რომელიც მათი სახელით მოსკოვის აგენტურამ გააკეთა, ამიტომ მათ გადააყენეს მოსკოვის დამქაშები და ქვეყნის სათავეში ჩააყენეს ძალები, რომელთაც ძალუძთ ხალხის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზით წაყვანა.

თავი II

ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945—1990 წწ.)[1]

§ 1. ომის შედეგები

ომის მონაწილე დიდ სახელმწიფოებს შორის აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა. ამიტომ, გასაგებია, რომ ამერიკელ მოსახლეობას არ განუცდია ომის ის საშინელებანი, რაც ევროპის ხალხმა განიცადა. აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1.1 მლნ. კაცი დაკარგეს, მათ რიცხვში მოკლულნი და ჭრილობების შედეგად გარდაცვლილნი 407,8 ათას კაცს შეადგენდნენ. თუ ეს დანაკარგი უმნიშვნელოა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან შედარებით, ამერიკელი ხალხის როლი იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის წარმოების საქმეში დიდი იყო. აშშ დიდ დახმარებას უწევდა იარაღით და სტრატეგიული მასალებით ანტიფაშისტურ ქვეყნებს — ინგლისს, საფრანგეთს, ჩინეთს, საბჭოთა კავშირს და სხვებს. ამერიკელი ხალხი გულწრფელად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი ფ. რუზველტი.

ი. ვ. სტალინმა, თეირანის კონფერენციაზე, ჩერჩილის 69 წლის დაბადების დღისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოში აღნიშნა: ამერიკელების მიერ იარაღის წარმოების გარეშე „ომს წავაგებდით ო“. ომის დროს ამერიკის ეკონომიკა სასწაულებრივ ეფექტურობას

---

[1] ტერიტორია — 9364 ათასი კვ/კმ, მოსახლეობა 247 მლნ (1990 წლის 1 იანვრისათვის) დედაქალაქი — ვაშინგტონი — გარეუბნებთან ერთად 3 მილიონ. მცხოვრები.

ავლენდა. 1943 წლის 7 იანვრის მიმართვაში კონგრესისადმი პრეზიდენტმა აღნიშნა: 1942 წელს ამერიკის მრეწველობამ აწარმოვა 48 ათასი სამხედრო თვითმფრინავი, 56 ათასი ტანკი. არმია გაიზარდა 7 მილიონამდე. საზღვაო ფლოტი შეიქმნა რვა მილიონი ტონა წყალწვისა. ეს რვაჯერ მეტია, ვიდრე 1941 წელს. რუზველტმა, 1944 წლის ზაფხულში დიდი ბიზნესის პრესასთან შეხვედრისას განაცხადა: როცა ჩვენ დავსახეთ წელიწადში 50 ათასი თვითმფრინავის წარმოება ეს ფანტასტიკურად მიიჩნიეს. ახლა ჩვენ ვაწარმოებთ 100 ათას თვითმფრინავს წელიწადში, კვლავ ვაგრძელებთ წარმოების ზრდას და ყოველგვარი რეკორდები მოვხსენით: პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 1942 წლიდან ამერიკელებმა აწარმოეს 300 ათასი თვითმფრინავი, 100 ათასი ტანკი, 372 ათასი არტილერიის ქვემეხი, 25 მილიონი სატვირთო მანქანა, 87 ათასი სამხედრო გემი, 20 მილიონი ავტომატი და შაშხანა.

1943 წლიდან აშშ-ს სამხედრო ფლოტის მოავარი დამრტყმელი ძალა ხდება ავიამზიდი. 1945 წლისათვის ავიამზიდთა რაოდენობა ას ერთეულზე მეტი იყო.

ამერიკელმა სპეციალისტებმა გერმანიის ფაუ-1-ის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შექმნეს რადარები. სპეციალური რადარებით აღიჭურვა თვითმფრინავები, რომელნიც წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის განაწილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ შემდეგნაირი სურათია: 1940 წლიდან 1944 წლამდე ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 1 ათასიდან 1300 დოლარამდე გაიზარდა. სულ 1941—1945 წლებში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 90 პროცენტით.

1943 წლიდან ამერიკაში დაიწყო (კონვეიერული წესით) ბ-1 თვითმფრინავის წარმოება, რომელიც ოთხ ძრავიანი იყო („მფრინავი სიმაგრე") და ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე ადიოდა. იგი მიუწვდომელი იყო ფაშისტური სახელმწიფოების გამანადგურებლებისა და არტილერიისათვის, რომელთა სიმაღლის ჭერი იყო რვა ათასი მეტრი. მნიშვნელოვან წარმატებად არის აღიარებული ამერიკის მიღწევები ბირთვული ენერგიის დარგში. 1942 წლის ზაფხულში შემდგარ რუზველტის და ჩერჩილის თათბირზე გადაწყდა, რომ ორივე მხარეს ბირთვული იარაღის მთელი საქმიანობა ერთად წარე-

მართალი ამერიკაში. შემდეგ მეცნიერების მთავრობამ ინგლისი გამოთიშა ამ საქმიდან (მიეხედავად ჩერჩილის დიდი პროტესტებისა). ამერიკის მთავრობამ შექმნა ძალიან გაფართოებული ორგანიზაცია პირობითი სახელწოდებით „მანჰეტენის პროექტი", რომლის უფროსად დანიშნა გენერალი გროვსი, მეცნიერ-ხელმძღვანელად ცნობილი ფიზიკოსი ოპენჰაიმერი. 1942 წლის სექტემბრიდან ოპენჰაიმერი ლოს-ალამოსში (ნიუ-მექსიკის შტატში) სათავეში ჩაუდგა ლაბორატორიულ სამეცნიერო ჯგუფს. „მანჰეტენის პროექტი" განხორციელებისათვის სამეცნიერო ჯგუფი 150 ათასი კაცი. ამერიკის მთავრობამ ბრძოლიანი იარაღის შექმნისათვის დაბანდა ორასჯერ მეტი სახსრები, ვიდრე გერმანიამ თავისი „ატომური პროექტის" განხორციელებისათვის. უკვე 1942 წლის დეკემბერში იტალიელმა ფიზიკოსმა ფერმიმ, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა, თავის მეგობარ ინგლისელ ბირთვულ ინჟინერ-ფიზიკოსთან ერთად ჯაჭვური რეაქციის ... ... შემდეგ ბირთვული ბომბის შექმნისათვის გზა ხსნილი იყო. ამ შექმნისათვის ამერიკის მთავრობამ ოკრიჯში და ჰანფორდში ... ...

სახლების ხარჯზე შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები. როგორიცაა ატომის, ალუმინის, სინთეტური კაუჩუკის და სხვ.

ომის დროს ამერიკის მთავრობამ ააგო 2800 საწარმო. მათ შორის 534 საავიაციო, 116 დაზგათმშენებელი, 84 ალუმინის, 65 გემთმშენებლობის, 60 სინთეტური კაუჩუკის. 1944 წელს ქვეყანაში 50 პროცენტი მთელი დაზგების, 70% ალუმინის, 80% სინთეტური კაუჩუკის, 90% მაგნიუმის, თვითმფრინავების და საავიაციო ძრავების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს მიერ იყო აგებული. ყველაფერი ეს ომის დამთავრებიდან რაღაც ერთი წლის განმავლობაში ამერიკის მონოპოლიებს მიყიდეს. მთელი სახელმწიფო საწარმოების $^3/_4$ გადაიქცა 250 უმსხვილესი კორპორაციის საკუთრებად. მათ გადაიხადეს აღნიშნული საწარმოების ნომინალური ფასების 60 პროცენტი.

1945 წელს საერთო ეროვნული პროდუქციის ღირებულება 213,6 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1970 წლისათვის კი იგი 900 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. მაგრამ ეს უზარმაზარი სიმდიდრე მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე არათანაბრად ნაწილდებოდა. სიმდიდრის ძირითადი ნაწილი ერთი მუჭა მილიონერების ხელში იყო. მაგალითად, მოსახლეობის 1,6 პროცენტი მილიარდელ-მილიონერები — ფლობდა აქციების 80 პროცენტზე მეტს და ობლიგაციების 90 პროცენტს.

აშშ-ის მთავრობამ ომის მთელი დანახარჯების 41 პროცენტი აანაზღაურა გადასახადების ხარჯზე, დანარჩენი კი შეავსო ბონებისა და სესხების გამოშვების გზით. საშემოსავლო დაბეგვრას ექვემდებარებოდა ყველა კატეგორიის მშრომელი. მათ შორის დაბალი შემოსავლის მოქალაქეც, რომელიც ადრე თავისუფალი იყო გადასახადებისაგან. მაღალი გადასახადები დაწესდა დიდი შემოსავლის მქონე პირებზეც. 1942 წელს ყველაზე მაღალ შემოსავალზე გადასახადი დადგინდა 94%-ის ოდენობით. კანონით უმაღლესი წლიური შემოსავალი 25 ათას დოლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. 1943 წელს ზემოგებებზე კიდევ ახალი გადასახადები დაწესდა 90%-ის ოდენობით. მაგრამ ზემოგებების გარკვევა არც ისე იოლი იყო. წაგებულნი მაინც მშრომელები რჩებოდნენ, რომელნიც გადასახადებს ხელფასიდან იხდიდნენ. კორპორაციების სუფთა მოგება ომის ექვსი წლის განმავლობაში 55 მლრდ. დოლარს შეადგენდა, 1931—1938 წლებში კი — 9,5 მლრდ. დოლარით განისაზღვრებოდა.

ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს მოელოდა. გაწყვეტილებულ მიწს იწვევდა არმიის დემობილიზაციის შედეგად მოსალოდნელი მასობრივი უმუშევრობა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა საინფორმაციო გეგმავდა არმიის ანა ერთბაშად, ანაბედ ნაწილობრივ დემობილიზაციას. მაგალითად, მარტველ წელს უნდა დემობილიზებულიყო 2 მილიონი კაცი. მაგრამ დემობილიზაციის მოთხოვნის მასობრივი კმაყოფილების გამო მთავრობა იძულებული გახდა ერთბაშად 12 ნლ. ჯარისკაცი და ოფიცერი დაეთხოვნა. დემობილიზაციის შემდეგ უმუშევრობის საშიშროება შეიქმნა.

გაბატონებული კლასების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ომის დროს მოითხოვდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ომის დამთავრების შემდეგ ანალოგიური ტენდენცია კვლავ გრძელდებოდა. სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკა ჯერ კიდევ ფ. რუზველტის დროს დაიწყო ე. წ. „ახალი კურსის" გატარებისას, ხოლო ომის დროს იგი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. მონოპოლისტური ბურჟუაზიის მეორე ნაწილი ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტად ჩარევის წინააღმდეგი იყო. იგი სახელმწიფოსაგან მხოლოდ პროფკავშირების გავლენის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. ბურჟუაზიის ამ ნაწილს „ნეოკონსერვატორები" ეწოდა. ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზიის იმ ნაწილს კი, რომელიც მომხრე იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა მისი რეგულირების მიზნით და ზოგიერთ სოციალურ დათმობებზე წასვლისა, „ნეოლიბერალები" ეწოდათ.

1945 წლის 5 სექტემბერს პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესისადმი მიმართვაში ჩამოაყალიბა მთავრობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ომიდან მშვიდობიან რელსებზე გადასვლას. მან რეკონვერსიის სახელწოდება მიიღო. იგი წინადადებას იძლეოდა მიეღოთ კანონი მოსახლეობის სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ, შეემცირებინათ გადასახადები, გაეზარდათ ხელფასის მინიმუმი საათში 40-დან 65 ცენტამდე, გაეუქმებინათ მთავრობის ყველა სახის კონტროლი წარმოებაზე, შეემცირებინათ სამხედრო ხარჯები.

1946 წლის თებერვალში კონგრესმა თითქმის ერთხმად მიიღო

კანონები მთლიანი დასაქმებისა და ეკონომიკაზე სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული კანონი სამ ძირითად მიზანს ისახავდა: დეპრესიის თავიდან აცილებას ეკონომიკაში, მუშათა კლასის მთლიან დასაქმებას და დოლარის სტაბილიზაციას. მთავრობის სამეურნეო საქმეში აქტიურად ჩარევის შედეგად ეკონომიკის დაცემა შედარებით უმტკივნეულოდ იქნა თავიდან აცილებული. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ომის დროს ევროპიდან აშშ-ში უდიდესი სიმდიდრის გატანამ. ამერიკელ ხალხს არ განუცდია ომის საშინელებანი — ნგრევა, გაჭირვება. მოსახლეობას საკმაოდ დიდი თანხა გააჩნდა და მსყიდველობითი უნარი მაღალი იყო. საზღვარგარეთაც მაღალი იყო მოთხოვნები ამერიკულ საქონელზე. ყოველივე ამის გამო აშშ-მა თავიდან აიცილა ომის შემდგომი სერიოზული ეკონომიკური დაქვეითება. მაგალითად, თუ 1945 წელს წარმოების ინდექსი 110-ს შეადგენდა, 1946 წლისათვის იგი 90-მდე დაეცა, ხოლო 1947 წელს ისევ 100-მდე გაიზარდა, 1948 წლისათვის კი — 103-მდე. შედარებით უმნიშვნელო იყო უმუშევრობაც. 1947—1948 წლებში უმუშევარი იყო 2,8 მლნ. კაცი.

აშშ-ის მონოპოლიებმა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ისარგებლეს კონკურენტების დასუსტებით და პოზიციები გააძლიერეს მსოფლიო ბაზარზე. ომის შემდეგ ისინი დაეუფლნენ არა მარტო დამარცხებული სახელმწიფოების — გერმანიის, იაპონიის და იტალიის, არამედ მოკავშირეთა — ინგლისისა და საფრანგეთის ბაზრებსაც. აშშ-ის მონოპოლიების მსოფლიო ბაზრებზე გაბატონებამ ბიძგი მისცა ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას. ომის შემდეგ აშშ-ზე მოდიოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებული ნავთობის 50%, ფოლადის — 50%, ოქროს მარაგის — 73%, მსოფლიო ვაჭრობის მესამედი და ა. შ.

1946 წლისათვის აშშ-ზე მოდიოდა მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის წარმოების 62 პროცენტი.

მთავრობის დახმარებით მსხვილმა მონოპოლიებმა შედარებით მოკლე დროში შეძლეს სამხედრო მრეწველობის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანა.

მთავრობის სახელმწიფო დაკვეთების წესმა ხელი შეუწყო ეკონომიკური სიძლიერის კიდევ უფრო მეტად კონცენტრაციას ისეთი მსხვილი მონოპოლიების ხელში, როგორიცაა როკფელერის, დიუ-

პონის, მორგანის, ფორდის, მელონის და სხვების ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები.

ამერიკის კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტურში გადაზრდის პროცესი, რომელიც სწრაფად მიმდინარეობდა ომის წინ და ომის პერიოდში, ომის შემდგომაც გრძელდებოდა.

ომისა და ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ში გაძლიერდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. ომამდე აშშ-ში იყო 49 გიგანტური საწარმო, ომის დამთავრების წინ კი მათმა რიცხვმა 344 მიაღწია, ე. ი. 7-ჯერ მეტად გაიზარდა. ომამდე იმ გიგანტურ საწარმოებში, სადაც მუშათა რიცხვი 10 ათას კაცზე მეტი იყო, ქვეყნის მუშათა საერთო რაოდენობის 15 პროცენტი მუშაობდა, ხოლო ომის შემდეგ — 30 პროცენტი. მკვეთრად შემცირდა ბანკების საერთო რიცხვი და ძირითადმა კაპიტალმა თავი მოიყარა რამდენიმე მსხვილი გაერთიანებული ბანკის ხელში. მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი დარგების ხვედრითი წონა, როგორიცაა საავიაციო და ქიმიური მრეწველობა. აშშ-ის საგაჭრო ფლოტის ტონაჟი უფრო მეტი გახდა, ვიდრე ყველა კაპიტალისტური ქვეყნისა ერთად აღებული, კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება აშშ-ში შეადგენდა 50 მლრდ. დოლარს.

40-იანი წლების მუშათა გაფიცვების რეგულირების კანონები. ომის დროს აშშ-ის კომპარტიამ დაიკავა სწორი პოზიცია და სრულიად სამართლიანად განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომი, როგორც ანტიფაშისტური. კომუნისტები მხარს უჭერდნენ რუზველტის მთავრობის საგარეო პოლიტიკას იმდენად რამდენადაც იგი მოქმედებდა ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობდა.

ამ დროს კომპარტიის ხელმძღვანელობდა ბრაუდერი. ბრაუდერი თავის ბროშურაში „საერთაშორისო კომუნიზმი და აშშ-ის საგარეო პოლიტიკა“ გამოდიოდა თეორიით ამერიკის კაპიტალიზმის „განსაკუთრებულობის“ და „პროგრესულობის“ შესახებ. იგი აყენებდა იდეებს „კლასებია თანამშრომლობისა და მუშათა კლასისა და კაპიტალისტების ინტერესების ჰარმონიის შესახებ“ და უარყოფდა მარქსიზმის „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიას. მან წამოაყენა „კაპიტალიზმის დროა კრიზისებისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის“ თეორია. ამ თეორიებიდან გამომდინარე, ბრაუდერი მხარს

უქერდა რა ამერიკის ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მოითხოვდა მუშათა კლასის დამორჩილებას დემოკრატიული გამგებლობისადმი.

1944 წელს ბრაუდერმა კომპარტია დაითხოვა და მის ნაცვლად შექმნა კომუნისტურ-პოლიტიკური ასოციაცია. კომუნისტების ერთი ნაწილი დაეთანხმა ბრაუდერს. მაგრამ მეორე ნაწილმა გაილაშქრა ბრაუდერის წინააღმდეგ და, ალბათ მოსკოვის ჩარევით, 1945 წლის 26—29 ივლისს აშშ-ის კომპარტიის საგანგებო ყრილობაზე კომპარტია აღადგინა. განახლებულ კომუნისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ამერიკელი მუშები ფოსტერი და დენისი, ხოლო ბრაუდერი 1946 წლის თებერვალში პარტიის რიგებიდან გარიცხეს. უ. ფოსტერი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, უ. დენისი კი — გენერალურ მდივნად.

ომის შემდეგ. 1929—1933 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისისა და მის შემდგომ პერიოდში განვითარებული ანტიმონოპოლისტური განწყობილება, მუშათა კლასში ერთგვარად შესუსტდა. მუშათა მოძრაობაში აღმოცენდა „ეროვნული ერთობის“ ტენდენციები. უფრო მეტიც. ზოგიერთ მშრომელთა თვალში მსხვილი ბიზნესმენები გადაიქცნენ ამერიკელი ერის უდავო ლიდერებად.

ომის დამთავრების შემდეგ მუშები ფართოდ ჩაებნენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მათ მეწარმეებს მოსთხოვეს ხელფასის 30 პროცენტით გაზრდა, მოთხოვნებს თან სდევდა მრავალი გაფიცვა.

1945 წლის უკანასკნელი ოთხთვენახევრის განმავლობაში გაფიცვების შედეგად დაიკარგა 28 მილიონი მუშადღე, ხოლო 1946 წელს — 116 მილიონი. სულ მოეწყო 5 ათასამდე გაფიცვა. რომელშიც მონაწილეობდა 4,6 მლნ. კაცი. მუშადღეების დანაკარგებისა და გაფიცვაში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით 1946 წელი რეკორდული იყო ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მაგრამ ყველა ეს გაფიცვა სუფთა ეკონომიკური ხასიათის იყო და მიუხედავად კომპარტიის ცდებისა იგი ვერ გადაიზარდა პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებში. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ მუშათა შორის აშშ-ის კომპარტიის გავლენა სუსტი იყო. მუშათა კლასში კომპარტიაზე უფრო დიდი გავლენით პროფკავშირე-

ბი საერგებლობდნენ. მეორე მსოფლიო ომის ექვსი წლის განმავლობაში პროფკავშირების წევრთა რაოდენობა 8.8 მილიონიდან 14,3 მილიონამდე გაიზარდა. აქედან 7 მილიონი გაერთიანებული იყო შრომის ამერიკულ ფედერაციაში, 5 მილიონი — საწარმოო პროფკავშრების კონგრესში, ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელ პროფკავშირებში.

შრომის ამერიკული ფედერაციის ხელმძღვანელობა უ. გრინის მეთაურობით ილაშქრებდა კომპარტიისა და საწარმოო პროფკავშირების კონგრესის მემარცხენეების მოთხოვნის და მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგ. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში, სადაც მისი შექმნიდან მთელი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობა ცენტრისტებისა და მემარცხენეების ხელში იყო, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მთელი რიგი სერიოზული წინააღმდეგობანი არსებობდა, ორივე ეს მიმდინარეობა რიგ საკითხებში ერთიანი ფრონტით გამოდიოდა. რის შედეგადაც ამერიკის საწარმოო პროფკავშირის კონგრესმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნაში. მემარცხენეები ყოველმხრივ ცდილობდნენ კოალიცია შეენარჩუნებინათ ცენტრისტებთან, რასაც აქტიურად მხარს უჭერდა აშშ-ის კომუნისტური პარტიაც. მაგრამ 1946 წლის დასაწყისიდან, როდესაც სსრკ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეაქციული და აგრესიული კურსი აშკარა გახდა, პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერებმა ცენტრისტები თავის მხარეზე მიიმხრეს და კომუნისტები პროფკავშირებიდან დაითხოვეს. სწრაფი დაახლოება დაიწყო შრომის ამერიკული ფედერაციის ლიდერებსა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მემარჯვენეებს შორის. 1949 წელს მემარცხენეები გარიცხეს კონგრესიდან და ამერიკის ორივე პროფკავშირული ცენტრის ხელმძღვანელობა მემარჯვენე ლიდერების ხელში აღმოჩნდა.

1946 წლის არჩევნების შედეგად კონგრესის ორივე პალატაში ადგილების უმრავლესობა რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მან წამოაყენა „ახალი კურსის" ლიბერალიზმის წიინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგი. ამერიკის კონგრესმა მარტო ერთი წლის განმავლობაში (1946 წ. VI—1947 წ. VII) განიხილა 200-მდე კანონპროექტი, რომელიც მიმართული იყო მუშათა საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ. ამ კანონპროექტების ნაწილი შემდეგ კანონად იქცა. აღსანიშნავია ტაფტ-ჰარტლის 1947

წლის კანონი, მაკარენ-ვუდის 1950 წლის კანონი, მაკარენ-უოლტერის 1952 წლის კანონი, 1954 წლის კანონი „კომუნისტური მოღვაწეობისადმი კონტროლის შესახებ“ და ა. შ.

ტაფტ-ჰარტლის კანონი, რომელსაც პრეზიდენტმა ტრუმენმა ვეტო დაადო, კონგრესმა მიიღო 1947 წლის ივნისში. კანონით სასამართლომ უფლება მიიღო გაფიცვის გამოცხადების შემდეგ იგი 60 დღით გადაეტანა მაგრამ, თუ მოსალოდნელი გაფიცვა საშიშროებას უქმნიდა „ერის ჯანმრთელობის დაცვასა და უშიშროებას“, მაშინ მცირე გადადება პრეზიდენტს სასამართლოს მეშვეობით კიდევ 80 დღით შეეძლო. ამის შემდეგ გაფიცვა კანონიერი იქნებოდა, მაგრამ პრეზიდენტს უფლება ჰქონდა ამის შემდეგაც ეთხოვა კონგრესისათვის, რომ მიმდინარე გაფიცვა აეკრძალათ კონგრესის მიერ გამოცემული სპეციალური სტატუსით. ამრიგად, აღნიშნული კანონი მნიშვნელოვნად აძნელებდა გაფიცვებს, ბოიკოტებსა და პიკეტირებას. ზოგ შემთხვევაში გაფიცვებს მთლიანად კრძალავდა.

გარდა ამისა, ტაფტ-ჰარტლის კანონი მთავრობის კონტროლს აწესებდა შიდაპროფკავშირულ მოღვაწეობაზე. პროფკავშირები ვალდებული იყვნენ სახელმწიფო ორგანოებისათვის თავისი ფინანსური საქმიანობის ანგარიშის მთლიანი ინფორმაცია მიეწოდებინათ. პროფკავშირებს ეკრძალებოდათ ფულადი სახსრების გამოყოფა გაფიცულთა დასახმარებლად, პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისათვის. კანონი უკრძალავდა კომუნისტებს პროფკავშირების ხელმძღვანელობას. პროფკავშირთა ყველა ხელმძღვანელს ფიცი უნდა დაედო და წერილობით დაედასტურებინა, რომ იგი არაა კომუნისტი და არ იზიარებს კომუნისტურ იდეოლოგიას. ასეთი პროცედურა უნდა გაევლო პროფკავშირის ნახევარ მილიონზე მეტ ხელმძღვანელს.

ბუნებრივია, რომ ტაფტ-ჰარტლის კანონმა მუშათა დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოსალოდნელი იყო, რომ პროფკავშირთა ლიდერები, რომელთა უფლებებიც იზღუდებოდა, მუშათა ორგანიზებულ გამოსვლებს მოაწყობდნენ, მაგრამ შრომის ამერიკული ფედერაციის ლიდერები კანონის მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლნენ. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მემარცხენეები შეეცადნენ აღნიშნული კანონისადმი ბოიკოტის კამპანიის მოწყობას, მაგრამ ამ იდეამაც მხარდაჭერა ვერ პოვა მუშებში.

მართალია, ტაფტ-ჰარტლის კანონმა საგაფიცვო მოძრაობა შეა-

სუსტა, მაგრამ მთლიანად მისი აღკვეთა მაინც ვერ შეძლო. მაგალითად, 1947 წელს აშშ-ში მოხდა 3693 გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 2170 ათასი კაცი და დაიკარგა 34,6 მლნ. მუშადღე. 1948 წელს მოხდა 3419 გაფიცვა 1960 ათასი კაცის მონაწილეობით და დაიკარგა 34,1 მლნ. მუშადღე. ამრიგად, 1948 წელს 1947 წელთან შედარებით გაფიცვები შესუსტდა. მაგრამ 1949 წელს მათი რაოდენობა კვლავ გაიზარდა: მოხდა 3606 გაფიცვა, მონაწილეობდა 3030 ათასი კაცი და დაიკარგა 50,5 მლნ. მუშადღე.

1947—1948 წლების გაფიცვებმა ცხადყო მოძრაობის მთლიანი პოლიტიკური სისუსტე, ვინაიდან მუშათა კლასი ორგანიზებულად ვერ გამოვიდა, რის გამოც მას თავს მოახვიეს ტაფტ-ჰარტლის კანონი. პროფკავშირთა ხელმძღვანელობის დიდი ნაწილი დამორჩილდა აღნიშნულ ანტიმუშურ კანონს, რის შედეგად დაგვა მუშათა მოძრაობის მოდუნებისა და შემდგომი დათმობების ხანგრძლივი პერიოდი.

ახლა უკვე ცნობილია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებული კომპარტიები კრემლის მიერ ფინანსდებოდა და მოსკოვი მათ თავის აგენტებად იყენებდა ამა თუ იმ ქვეყანაში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ამერიკის კონტრდაზვერვისათვის მოსკოვის საქმიანობა ცნობილი იყო. ამიტომ იყო, რომ ამ დროს აშშ-ში ფართო სასიათი მიიღო კომუნიზმის საწინააღმდეგო აგიტაციამ. პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა კომპარტიის ხელმძღვანელობა. მას ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებდნენ. პარტიის პირველად ორგანიზაციებში მოქმედებდნენ პროვოკატორები. იუსტიციის სამინისტროში და გამოძიების ფედერალურ ბიუროში კომუნისტებზე მრავალი საფუძვლიანი ბრალდება შეიქმნა. 1947 წლის აპრილში უ. დენისის წინააღმდეგ საქმე აღძრეს კონგრესისადმი უპატივცემლობის შესახებ. უ. დენისს ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

1948 წელს რესპუბლიკური პარტიის სენატორებმა აშშ-ის კომპარტიის აკრძალვა მოითხოვეს იმის გამო, რომ იგი „საბჭოთა-კავშირის აგენტია" და ძირს უთხრის აშშ-ში არსებულ პოლიტიკურ წყობილებას. 1948 წლის 20 ივლისს დააპატიმრეს აშშ-ის კომპარტიის 12 ხელმძღვანელი უ. ფოსტერის მეთაურობით.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, რომელიც ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა მოქმედება.

1947 წლის მარტში ჰ. ტრუმენმა გამოსცა ბრძანება სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ლოიალობის შემოწმების შესახებ. მათ წერილობით უნდა დაედასტურებინათ, რომ არ იზიარებენ კომუნისტურ შეხედულებებს. ასეთი სახის შემოწმება გაიარა 2,5 მილიონმა კაცმა.

სახელმწიფო დაწესებულებებიდან განიდევნა არასაიმედო პირები. იუსტიციის სამინისტრომ შეადგინა „შავი სია", რომელშიც მოხვდა 90 „ძირგამომთხრელი ორგანიზაცია". ამ ორგანიზაციის წევრობა საკმარისი საფუძველი იყო სამსახურიდან დათხოვნისა და დევნისათვის. 1947—1948 წლებში „ლოიალობის ბრძანებით" დევნა განიცადეს მათ ვინც თანაუგრძნობდა კომუნისტურ მოძღვრებას.

როგორც აღვნიშნეთ. 1948 წლის ივლისში, სწორედ წინა საარჩევნო კამპანიის დროს დააპატიმრეს კომუნისტური პარტიის 12 წევრი, რომელთაც ბრალი ედებოდათ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელ საქმიანობაში და რუსეთის აგენტობაში. 1949 წლის 17 იანვარს ნიუ-იორკში კომპარტიის 11 წევრის წინააღმდეგ მოაწყვეს საჩვენებელი პროცესი. უ. ფოსტერის ავადმყოფობის გამო მისი საქმის გარჩევა გადაიდო გამოჯანმრთელებამდე. კომუნისტებს ბრალდებად წაუყენეს სმიტის კანონის დარღვევა, კერძოდ, მათ ადანაშაულებდნენ, იმაში, რომ პროპაგანდის მეშვეობით „შეთქმულებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის მთავრობის დამხობის მიზნით".

1949 წლის 21 ოქტომბერს მოსამართლე მედინამ მიუსაჯა 10 კომუნისტს 5 წელი პატიმრობა და თითოეულს 10 ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა, ხოლო მეთერთმეტეს, რ. ტომპსონს, სამი წელი პატიმრობა და იმდენივე ჯარიმა.

კომუნისტების წინააღმდეგ ამ დროს მოეწყო 20-ზე მეტი პროცესი და კომპარტიის 100-ზე მეტ ხელმძღვანელს მოწმეების ჩვენებით სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯეს.

ანტიკომუნისტური პროცესები მთელი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა და მათ ანტიკომუნისტური კამპანიისათვის იყენებდნენ. ანტიკომუნისტური რეპრესიების შედეგად პარტიის რიგები შემცირდა. თუ 1946 წელს პარტია თავის რიგებში ითვლიდა 70 ათას წევრს, 1948 წლისათვის იგი შემცირდა 40 ათას წევრამდე.

იმასთან დაკავშირებით, რომ კრემლი დიდი რაოდენობით აგზავნიდა თავის აგენტებს ამერიკაში, ამის საწინააღმდეგოდ აშშ-ში მიიღეს მრავალი კანონი მაგალითად, 1950 წლის დასაწყისში მიიღეს მაკარენ ვუდის კანონი. „საშინაო უშიშროების შესახებ". იგი მიიღეს შოვინისტური კამპანიის ვითარებაში. რაც კორეასთან ომით იყო გამოწვეული. კანონი ითვალისწინებდა უმკაცრეს რეპრესიებს ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ. რომელნიც გამოაცხადეს „ძირგამომთხრელებად", „შეთქმულებად" და „საბჭოთა კავშირის აგენტებად". ეს კანონი მოითხოვდა კომუნისტებისა და მათი თანამგრძნობი პარტიების იუსტიციის სამინისტროში აუცილებელ რეგისტრაციას. კანონის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მკაცრი სასჯელი — 10 წლის პატიმრობა.

1952 წლის დეკემბერში მიიღეს „მაკარენ-უოლტერის" კანონი „იმიგრაციისა და ნატურალიზაციის შესახებ", რომლითაც ხელისუფლებამ უფლება მიიღო უცხოელთა დაკითხვაზე და დაპატიმრებაზე. კანონ-თ უცხოელი მეზღვაურები, მფრინავები და სხვა პირები, რომელნიც აშშ-ში ჩავლენ, ვალდებული არიან თავიანთი თითების ანაბეჭდები მისცენ გამოძიების ფედერალურ ბიუროს, ეს კანონი ზღუდავს იმ უცხოელთა უფლებებსაც. რომელთაც აშშ-ის მოქალაქეობა აქვთ მიღებული. აღნიშნული კანონით იკრძალებოდა აფრიკიდან იმიგრაცია, ხოლო აზიიდან დასაშვები იყო წლიურად არა უმეტეს 2 ათასი კაცის იმიგრაცია.

საყურადღებოა, რომ პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა ვეტო დაადო კანონს, მაგრამ კონგრესის ორივე პალატამ ხმების უმრავლესობით უარყო ეს ვეტო და კანონი ძალაში შევიდა.

მაკარენ-ვუდისა და მაკარენ-უოლტერის კანონები, სმიტისა და ტაფტ-ჰარტლის კანონებთან ერთად, წარმოადგენდა კანონთა ერთიან სისტემას, რომლის მიზანი იყო მუშათა კლასის რიგებში კომპარტიის პოლიტიკური აქტიურობის შესუსტება. ეს კანონი აძლიერებდა მთავრობის კონტროლს კომპარტიაზე, პროფკავშირებზე, მათ მოღვაწეობაზე, და მათ მიერ გამოცემულ ლიტერატურაზე.

1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა ძალზე მწვავე პირობებში. რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი თომას

დიუი. ვიცე-პრეზიდენტად კი კალიფორნიის შტატის გუბერნატორი უორენი. რესპუბლიკური პარტია ომის შემდეგ გამოდიოდა ფ. რუზველტის „ახალი კურსის“ და, საერთოდ, რეფორმების გატარებისა და დათმობებზე წასვლის წინააღმდეგ. კონგრესში მას ადგილების უმრავლესობა ჰქონდა. ეს პარტია საშინაო პოლიტიკაში პროფკავშირების, მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გაგრძელების მომხრე იყო. მაგრამ ამ პარტიის ლიდერებმა გაითვალისწინეს ამერიკელი ამომრჩეველების უკმაყოფილება კონგრესის მიერ მიღებული გაფიცვების შეზღუდვების კანონმდებლობით და იძულებული გახდნენ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთა წინაშე რეფორმების დაპირებებით გამოსულიყვნენ.

დემოკრატიულ პარტიაში არჩევნების წინ მოხდა გაპარტეთქილება. მას გამოეყო მემარცხენე ლიბერალურ-რადიკალური ჯგუფი ჰ. უოლესისა და ჰ. ტეილორის მეთაურობით, რომელმაც ლაგმო დემოკრატიული პარტიის მიერ ომის შემდგომი რეპრესიების კურსი. ეს ჯგუფი გმობდა საგარეო პოლიტიკის კურსსაც. 1947 წელს ჰ. უოლესმა შექმნა ამერიკის პროგრესულ მოქალაქეთა ორგანიზაცია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ქვეყანაში, რათა აღმდგარიყო ფ. რუზველტის „ახალი კურსის“ სულისკვეთება.

პროფკავშირებმა მხარი დაუჭირეს ტრუმენის კანდიდატურას და მან გაიმარჯვა. ჰ. ტრუმენს ხმა მისცა 24,1 მლნ. ამომრჩეველმა. დემოკრატიულმა პარტიამ ადგილების უმრავლესობა მიიღო კონგრესშიც. რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს ხმა მისცა 21,9 მლნ. ამომრჩეველმა. პროგრესულ პარტიას კი — 1,1 მლნ. კაცმა. მალე ამის შემდეგ პროგრესულმა პარტიამ არსებობა შეწყვიტა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჰ. ტრუმენი გამოვიდა პროგრამით, რომლითაც დაპირებას იძლეოდა, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში გაუქმებდა ტაფტ-ჰარტლის კანონს და განახორციელებდა სოციალურ რეფორმებს. ეს პროგრამა ფ. რუზველტის „ახალი კურსის“ გაგრძელებადაა მიჩნეული და მას ჰ. ტრუმენის „სამართლიანი კურსი“ ეწოდა. ეს კურსი ჩამოყალიბდა 1949 წლის იანვარში პრეზიდენტის მიმართვაში კონგრესისადმი. იგი მოითხოვდა ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმებას, დამატებითი დაფინანსების გზით განათლების სისტემის გაუმჯობესებას, სამედიცინო დაზღვევის შემოღებას, ხელფასის მინიმუმის გაზრდას, ანუშაოზე

მიღების დროს რასისტული დისკრიმინაციის გაუქმებას, დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის საბინაო მშენებლობას, წვრილ და საშუალო ფერმერთა მაღალი შემოსავლის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო სუბსიდიების მიცემას და ა. შ. პრეზიდენტი მმართველობაში მოითხოვდა აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებული თავისი უფლებების ხელშეუხებლობას. ჰ. ტრუმენმა დაპირებებიდან მხოლოდ ზოგიერთი ღონისძიება განახორციელა, კერძოდ, მთავრობამ დააფინანსა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის ექვსი წლის განმავლობაში 800 ათასი ბინის მშენებლობა, გაზარდა საათობრივი ხელფასის მინიმუმი 40-დან 75 ცენტამდე, გაავრცელა სოციალური უზრუნველყოფის კანონის მოქმედება 10 მილიონ კაცზე. „სამართლიანი კურსის" დანარჩენი ნაწილი ქაღალდზე დარჩა. იგი ქვეყნის რეაქციამ და პრესამ სოციალისტურ კურსად, ხოლო ჰ. ტრუმენი „სოციალისტად" გამოაცხადა და მის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა. ტაფტ-ჰარტლის კანონი ძალაში დარჩა. კონგრესმა უარყო ზანგების მოქალაქეობრივი უფლებების, უფასო მედიცინო მომსახურების, ფერმერთათვის სახელმწიფო სუბსიდიების და განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მიერ დამატებითი დაფინანსების კანონპროექტები.

§ 6. „ცივი ომის" გაძლიერება 40-იანი წლების ბოლოს და 50-იან წლებში

ტრუმენის მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ამერიკის კონკურენტების დასუსტებისა და საერთაშორისო ასპარეზიდან მათი დროებით გამოთიშვის შედეგად მსოფლიოში ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა ამერიკის მიერ მათი ადგილების დაკავებისა და მსოფლიოში ჰეგემონიის დამყარებისათვის.

ომის შემდეგ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა ამერიკაზე დამოკიდებული გახდა და მისი მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდებოდა თავის პოზიციების აღდგენა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესი ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ასეთ რთულ საერთაშორისო პირობებში ამერიკის მმართველ წრეებში საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელების საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისი იყო. ერთნი თვლიდნენ, რომ მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების დასუ-

ტების შედეგად დადგა ამერიკის ბატონობის ერა. ამ მიზანს ისახავდა საბჭოთა კავშირიც – მსოფლიოში თავისი ჰეგემონიის დამყარებას სოციალიზმის დროშით.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერები ა. ვანდენბერგისა და ჯ. დალესის მეთაურობით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გამწვავებასა და „ძალის პოლიტიკაზე“ გადასვლას მოითხოვდნენ. ტრუმენი და სახელმწიფო მდივანი ბირნსი 1945—1946 წლებში ვერ ბედავდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ ძალის პოლიტიკაზე აშკარად გადასვლას. ისინი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ საბჭოთა კავშირის დამსახურებისათვის ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა განადგურებაში. ძნელი იყო გუშინდელი მოკავშირის წინააღმდეგ ძალის კურსზე გადასვლის გამართლება. მაგრამ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში და მსოფლიოში სსრკ-ის აგრესიულმა კურსმა ძალზე დიდი შეშფოთება გამოიწვია ამერიკელ პოლიტიკოსებში.

ამ პოლიტიკოსთა უმრავლესობა „ძალის პოლიტიკის“ მომხრეთა მხარეზე იხრებოდა. 1946 წლის 5 მარტს უ. ჩერჩილმა ამერიკის ქალაქ ფულტონში პრეზიდენტ ტრუმენის თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვაში აშკარად მოუწოდა ამერიკის მთავრობას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში „ძალის პოლიტიკაზე“ გადასვლისაკენ. ტრუმენის თანდასწრებით ჩერჩილის ასეთი მოწოდება შემთხვევითი როდი იყო. უკვე 1946 წლის იანვარში მიიღო ბირნსმა პრეზიდენტის ინსტრუქცია, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში „ძალის პოლიტიკის“ კურსს დასდგომოდა. ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო 1946 წლის ივლისში ორი ატომური ბომბის გამოცდა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო კომუნისტური ძალების დაშინებისათვის იყო გამიზნული. ასე დაიწყო „ატომური დიპლომატიის“ საგარეო პოლიტიკური კურსი. ამრიგად, 1945—1946 წლებში ამერიკის მმართველ წრეებში მხოლოდ ყალიბდებოდა საგარეო პოლიტიკის კონცეფციები, რის გამოც იგი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. 1947 წლიდან კი აშკარად გამოიკვეთა ძალისმიერ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლა.

ამ კურსის იდეოლოგიური საფუძველი გახდა „ცივი ომის“ და „რკინის ფარდის“ თეზისები, ხოლო პოლიტიკურ დოქტრინებად გადაიქცა „კომუნიზმის შეკავების“, „დაშინების“, „უკუგდების“, შემდეგ კი გამანადგურებელი დარტყმის მიყენების და სხვა თეზი-

სები. საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში დიპლომატებთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდა პენტაგონი, რომელთა შორის მჭიდრო კავშირი 1947 წლიდან დამყარდა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1947 წლის დასაწყისში გენერალ მარშალის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნა. აშშ-ის მმართველი წრეები ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის დაშინებას ბირთვული იარაღის გამოყენებით და ამით საბჭოთა კავშირის აგრესიული კურსის შეკავებას.

1947 წლიდან ამერიკის მმართველი წრეები ევროპის ქვეყნების მიმართ დაადგნენ აშკარა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის გზას, რომლის მთავარი ამოცანა იყო კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნება და განმტკიცება, ხოლო კომუნისტური და სხვა დემოკრატიული პარტიების დასუსტება და განადგურება. კერძოდ, ამ მიზანს ემსახურებოდა 1947 წლის მარტში პრეზიდენტ ტრუმენის კონგრესისადმი გაგზავნილი მიმართვა, რომელმაც მიიღო „ტრუმენის დოქტრინის" სახელწოდება. მასში ჩამოყალიბებული იყო აშშ-ს მიერ დასავლეთისათვის მხარდაჭერის პროგრამა. იგი ითვალისწინებდა სოციალისტური ბანაკის მიმართ მუდმივ ზეგავლენას და დემოკრატიული ძალებისათვის ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას. ჰ. ტრუმენმა კონგრესს 400 მილიონი დოლარი მოსთხოვა საბერძნეთისა და თურქეთისათვის, რომელთაც საერთაშორისო კომუნიზმი ემუქრებოდათ. ამრიგად, ტრუმენის დოქტრინა მოითხოვდა აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ ჩარევას იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობას არ შეეძლო კომუნისტური აგრესიის საკუთარი ძალებით ჩახშობა.

იმავე წლის ივნისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შეთანხმებით აშშ-ის მთავრობამ შეიმუშავა „მარშალის გეგმა". ამერიკის მმართველი წრეები ხედავდნენ, რომ მარტო სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებით შეუძლებელი იყო დასავლეთ ევროპაში სამეურნეო ცხოვრების აღდგენა, რომ საჭირო იყო ეკონომიკური დახმარების გაწევა ევროპისათვის ეკონომიკის აღდგენის საქმეში. „მარშალის გეგმის" ავტორების მთავარი მიზანი იყო ევროპის ეკონომიკაში ამერიკული კაპიტალის დაბანდება და ტექნოლოგიის დანერგვა. ამ გეგმების განსახორციელებლად 1948—1951 წლებში ასიგნებულ იქნა 12,5 მილიარდი დოლარი. ამ თანხის ანგარიშზე „მარშალის

ფეგმაში“ შემავალ ქვეყნებში იგზავნებოდა სამოქალაქო და სამხედრო საქონელი. ამერიკული მანქანა-დანადგარები. გაიზარდა ამერიკის მონოპოლიების პოზიციები დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში და აშშ-ის გავლენა ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ამერიკის მიერ „ცივი ომის“ გაჩაღება გამოიწვია სსრ კავშირის აგრესიულმა ტენდენციებმა.

1947 წლის სექტემბერში აშშ-მა ამერიკის კონტინენტის ქვეყნებთან დადო ხელშეკრულება ურთიერთუშიშროების შესახებ, რომლითაც ერთიანი ძალით უნდა დაეცვათ დასავლეთის ნახევარსფერო კომუნისტური აგრესიისაგან.

იმ დროს ტრუმენის ადმინისტრაციის წინაშე იდგა ყველაზე ძნელი ამოცანა — როგორ შეეძინა სამხედრო მოკავშირეები, რომლებიც საერთო ინტერესთა სამსახურში ჩადგებოდნენ. საბჭოთა კავშირის აგრესიულობის გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა უმრავლესობა ჩქარობდა თავისი ბედის დაკავშირებას აშშ-თან.

1948 წლის 11 ივნისს კონგრესმა მიიღო „ცივი ომის“ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი წამომწყების სენატორ ა. ვანდენბერგის რეზოლუცია, რომლითაც მშვიდობიან პერიოდში პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამხედრო კავშირი დაედო.

სამხედრო განგაშის ვითარებაში ასეთი კავშირის შექმნის შესახებ მოლაპარაკება დამთავრდა 1949 წლის 4 აპრილს. 12 სახელმწიფომ ხელი მოაწერა ჩრდილოეთ ატლანტიის სამხედრო პაქტს (ე. წ. ნატო).

აშშ-ს მმართველმა წრეებმა ნატოში შემავალ ევროპის სახელმწიფოებთან დადეს შეთანხმებები, რომლითაც ამერიკას მათ ტერიტორიაზე თავისი ჯარების შეყვანის უფლება ეძლეოდა.

ნატოს გიგანტური სამხედრო მანქანა სწრაფად დაადგა შეიარაღებაში შეჯიბრების და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების გზას.

ამერიკის მმართველი წრეები მხარს უჭერდნენ ომის შემდეგ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის შეჩერება და ჩახშობა მეორე მსოფლიო ომში დასუსტებულ ძველ კოლონიურ ქვეყნებს აღარ შეეძლოთ. ამერიკის მმართველმა წრეებმა დაგმეს კოლონი-

ალიზმი და გამოაცხადეს, რომ ცნობილნენ კოლონიური ხალხებისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების დამოუკიდებლობის უფლებებს. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკის გიგანტურ მონოპოლიებს თავიანთი მთავრობის მხარდაჭერით თვითონ სურდათ ფართო საერთაშორისო საქმიანობის ეკონომიკურ სარბიელზე გამოსვლა.

ამ მიზანს ემსახურებოდა 1949 წლის იანვარში ჰ. ტრუმენის ერ წამოყენებული „მეოთხე პუნქტი", რომელიც, მისი განცხადებით, უნდა გამხდარიყო „კომუნიზმის შეჯახის ძალების საწინააღმდეგო საშუალებად". მეოთხე პუნქტით ამერიკას ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარება უნდა გაეწია კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებისათვის. 1952 წელს ამ მიზნისათვის გამოყოფილ 160 მილიონამდე დოლარი, შემდგომ წლებში კი ეს თანხა მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რომლის ანგარიშზე კოლონიური ქვეყნების გაბატონებული კლასები აშშ-დან ღებულობდნენ იარაღს კომუნისტური მოძრაობის ჩახშობისა და თავისი რეჟიმის შენარჩუნებისათვის.

1949 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ტრუმენმა და ინგლისისა და კანადის მთავრობებმა ოფიციალურად აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირი დაეუფლა ბირთვული იარაღის საიდუმლოებას და გაშოცადა იგი. 1949 წლის 25 სექტემბერს საკავშირო [illegible] გაანცხადა, რომ 1947 წლიდან ბირთვული [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] იდუმლოებას არ წარმოადგენ[illegible] [illegible] [illegible] [

ზებომბის შექმნის აუცილებლობაში. ბირთვული ბომბის შექმნამდე ამერიკის მთავრობა ფიქრობდა, რომ კომუნიზმის შეკავებისათვის ბირთვული ბომბიც საკმარისი იქნებოდა.

აშშ-ის მთავრობა უარყოფდა საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ბირთვული იარაღის საკითხზე ყოველგვარი მოლაპარაკების იდეასაც კი იმის გამო, რომ სსრკ წინააღმდეგი იყო კონტროლის სისტემისა, რომელსაც საშინაო საქმეში ჩარევად აცხადებდა.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებამ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის საბჭოური მოდელის თავზე მოხვევამ ამერიკის მმართველი წრეები კიდევ უფრო შეაშფოთა.

ამერიკის მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები იმისათვის, რათა ხელი შეეშალა კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის ჩინეთში. ამ მიზნების მარცხმა დიდი შეშფოთება გამოიწვია აშშ-ს მმართველ წრეებში. ამიტომ, როცა ჩრდილოეთ კორეის კომუნისტურმა რეჟიმმა, საბჭოთა მთავრობის წაქეზებით ომი გააჩაღა სამხრეთ კორეის წინააღმდეგ აშშ-ს მთავრობამ გაეროში დაუყოვნებლივ დააყენა საკითხი კომუნისტური აგრესიის შესახებ სამხრეთ კორეაში. გადაწყდა შექმნილიყო გაეროს ჯარები და გადაესხათ ისინი სამხრეთ კორეაში აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აგრესორებმა გაეროს ჯარების წინააღმდეგ კორეაში გამოიყენეს ჩინეთის ჯარებიც, მაგრამ დამარცხდნენ და სასწრაფოდ უკან დაიხიეს. ამ ომთან დაკავშირებით აშშ-ში გაჩაღდა შოვინისტური კამპანია და მოწოდებები ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი ომის დაწყებისა და ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ.

შორეული აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი დ. მაკარტური ბირთვული ომის დაწყებას მოითხოვდა. ქვეყანაში

ხიროსიმას ტრაგედიის შემდეგაც ტელერი გაძლიერებით მუშაობდა წყალბადის ბომბის შექმნაზე.

1952 წლიდან ტელერი გადავიდა კალიფორნიის ქალაქ ლივერმოსში, სადაც სათავეში ჩაუდგა სუპერბომბის ძიების ლაბორატორიას და 1952 წლის 1 ნოემბერს წყნარი ოკეანის კუნძულ ელუგელაბში მოაწყო წყალბადის ბომბის პირველი გამოცდა. აფეთქების შედეგად კუნძული გაქრა, ხოლო მძლავრმა აფეთქებამ მთელი წყნარი ოკეანე თითქმის მთლიანად შეარყია. ზღვის ფსკერზე დარჩა გიგანტური ქაბურებური ხვრელი.

სამხედრო ფსიქოზის ატმოსფერო შეიქმნა. მაგრამ ამის საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ბირთვული ომისადმი მოწოდება იწვევდა ამერიკელი და მსოფლიო ხალხების საყოველთაო აღშფოთებას. ჰ. ტრუმენის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამისათვის და ბირთვული ომის მომხრე გენერალი დ. მაკარტური გადაეყენებინა. ამერიკაში დაიწყო ფართო მოძრაობა. მოეწყო ომის საწინააღმდეგო მრავალი მიტინგი და დემონსტრაცია.

1951 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი „ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფის შესახებ", რომლის მიხედვით აშშ ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს ხარჯავდა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზაციისათვის და ყველა იმათ მხარდასაჭერად, რომელნიც განდევნილი იყვნენ თავიანთი ქვეყნებიდან.

აშშ-ში გაჩაღდა ანტისაბჭოთა კამპანია, ხოლო სსრკ-ში ანტიამერიკული, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის. 1951 წელს ამერიკის მთავრობამ გააუქმა საბჭოთა კავშირთან 1937 წლიანი სავაჭრო ხელშეკრულება და ნაკლებად შეამცირა სსრ კავშირთან ვაჭრობა. იმავე წელს მიიღეს კანონი, რომლითაც თუ რომელიმე ქვეყანა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას არ შეწყვეტდა, დახმარებას ეღარ მიიღებდა აშშ-გან.

1951 წელს აშშ-მა შექმნა წყნარი ოკეანის სამხედრო კავშირი — ანზუსი, რომელშიც შევიდნენ ავსტრალია და ახალი ზელანდია, ხოლო სექტემბერში სან-ფრანცისკოში მოწვეულ კონფერენციაზე აშშ-მა და ინგლისმა ხელი მოაწერეს იაპონიასთან სეპარატულ ზავზე. იაპონიასთან დაიდო სამხედრო ხელშეკრულებაც, რომლითაც აშშ-მა იაპონიის ტერიტორიაზე ჯარების განუსაზღვრელი დროით ყოლის უფლება მიიღო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ამერიკა ხელს უწყობდა იაპონიის გაძლიერებას.

1952 წლის არჩევნები. 1952 წელს ჩატარდა კონგრესისა და პრეზიდენტის არჩევნები. დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც 20 წლის განმავლობაში შეუცველად იდგა ხელისუფლების სათავეში, თავისი ომის შემდგომი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად ამერიკელი ამომრჩეველების უნდობლობა და გულისწყრომა დაიმსახურა და მისმა კანდიდატმა ე. სტივენსონმა მარცხი განიცადა. გაიმარჯვა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა დ. ეიზენჰაუერმა, რომელიც ამომრჩეველებს შეპირდა ომის შეწყვეტას კო-

რეაში. სმის მიცემაში მონაწილე 61,5 მლნ. ამომრჩევლისაგან დ. ეიზენჰაუერმა, მიიღო 33,9 მლნ. ხმა, ე. ი. 55,1%. ე. სტივენსონმა — 27,3 მლნ. ხმა, ე. ი. 44,4%. კიცე-პრეზიდენტად აირჩიეს რ. ნიქსონი. საყურადღებოა, რომ არჩევნებში მესამე პარტიის სახით გამოდიოდა პროგრესული პარტიაც, რომელმაც პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა იურისტი ვ. ჰოლინენი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად — ზანგი ჟურნალისტი ქალი შარლოტა ბასი. მაგრამ მათ არა ჰქონდათ ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც მნიშვნელოვანია ამერიკის არჩევნებისათვის. ვ. ჰოლინენმა მიიღო მხოლოდ 140 ათასი ხმა, რის შემდეგ პროგრესული პარტია დაიშალა. წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელებმა მიიღეს 222 ადგილი, დემოკრატებმა — 213. სენატში შესაბამისად — 48 და 47. ეს რესპუბლიკური პარტიისათვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

ამრიგად, პრეზიდენტი გახდა გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი, რომლის მთავრობაში კაპიტალისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა[1], ვიდრე ჰ. ტრუმენის მთავრობაში.

დ. ეიზენჰაუერის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. ნეოკონსერვატორული კურსის მომხრე რესპუბლიკურმა პარტიამ ცვლილება შეიტანა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკაში. 1954 წლის იანვარში გაუქმდა კანონი ზემოგებებზე. აგვისტოში მიღებული კანონით გადასახადებზე მეწარმეებს დიდი შეღავათები ეძლეოდათ, მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადები კორპორაციის მოგებებზე. კონგრესის მიერ მიღებული კანონით ტეხასის, ლუიზიანისა და კალიფორნიის ნავთობის მაგნატებს ექსპლუატაციისათვის გადაეცათ უმდიდრესი ნავთობის საბადოები ამ შტატების სანაპიროზე.

დ. ეიზენჰაუერის დაპირება ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმების შესახებ ქაღალდზე დარჩა. კონგრესის ახალმა შემადგენლობამ გააძლიერა შეტევა კომპარტიის წინააღმდეგ.

1954 წელს მიიღეს ჰემფრი-ბატლერის კანონი „კომუნისტურ

---

[1] სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა „ჯენერალ მოტორსის" ყოფილმა პრეზიდენტმა ჩარლ ვილსონმა, რომლის ყოველწლიური ხელფასი 556 ათასი დოლარი იყო, სახელმწიფო მდივნის თანამდებობა მიიღო რიგი კომპანიების დირექტორმა ჯონ ფოსტერ დალესმა, იგი მარტო ერთი კომპანიიდან იღებდა 150 ათასი დოლარის წელიწადში; ფინანსთა მინისტრი გახდა ჯორჯ ჰემფრი, რომლის შემოსავალი მარტო 1951 წელს 305 ათას დოლარს შეადგენდა და ა. შ.

მოღვაწეობაზე კონტროლის შესახებ". ეს იყო 1950 წლის მაკარენ-ვუდის კანონის დამატება. აშშ-ის კომპარტია ცხადდებოდა „ხაზღვარგარეთის სახელმწიფოს და საერთაშორისო კომუნიზმის აგენტად". კანონი აცხადებდა, რომ კომუნისტებსა და მათ ორგანიზაციებს „არ შეუძლიათ პრეტენზიები ჰქონდეთ რაიმე უფლებებზე, პრივილეგიებსა და ხელშეუხებლობაზე, როგორც ეს გააჩნიათ ლეგალურ ორგანიზაციებს, რომელნიც აშშ-ის კანონების საფუძველზე მოქმედებენ".

1954 წლის 24 აგვისტოს პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა ჰემფრი-ბატლერის კანონს, რის შემდეგ იგი ძალაში შევიდა.

ამ კანონის საფუძველზე კომუნისტურ პარტიას და მის თანამგრძნობ ან მის გავლენაში მყოფ ორგანიზაციებს რეგისტრაცია უნდა გაევლოთ იუსტიციის სამინისტროში. კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს ანტიკომუნისტურ კანონებზე და აპელაციისათვის უმაღლეს სასამართლოს მიმართეს, რომელმაც მხოლოდ 1961 წლის ივნისში გამოთქვა აზრი და ეს კანონები კონსტიტუციის შესაბამისად ცნო. მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა უარი თქვეს რეგისტრაციაში გავლაზე, ხოლო კომპარტიამ განაცხადა, რომ ეს პროცედურა დამამცირებელია.

მაკარტიზმი და მაკარტისტული რეაქციის გაძვიერება 1950—1954 წწ.

საბჭოთა კავშირის ძალმოსილების კერაი აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ. აგრესიული ომგარეთ პოლიტიკა აზიის ქვეყნებში, პრეტენზიები მსოფლიოში თავიანთ ჰეგემონიის დამყარებაზე სოციალიზმის ნიღბით, დაბოლოს სუკის აგენტების ძირგამოთხრელი საქმიანობა დასავლეთის საბუთოოში ღიდ შეშფოთებას იწვევდა აშშ-ს მმართველ წრეებში. ათეთ ვითარებაში აშშ-ში მოხდა მემარჯვენე ძალების კონსოლიდაცია, რომლებიც უარყოფდნენ ქვეყნის დემოკრატიულ მარეგულ. მემარჯვენე ძალებს სათავეში ედგა რესპუბლიკური პარტიის სენატორი ჯოზეფ მაკარტი. იგი აცხადებდა, რომ „საქმეს დაამთავრებს თეთრი ხელთათ ან ციხით". ჯ. მაკარტის სენატში მხარს უჭერდნენ ტეხასის ნავთობის მაგნატები. აგრეთვე

უმსხვილესი კორპორაციების მფლობელები და სხვები. ჯ. მაკარტის მოღვაწეობა იმით დაგვწყო, რომ იგი სენატში გერმანიის სამხედრო დამნაშავეების დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა.

მაკარტისა და მისი მომხრეებისათვის ანტიკომუნიზმი გახდა მთავარი ლოზუნგი, რომელსაც ისინი საერთოდ ყველა პროგრესული ძალების წინააღმდეგ იყენებდნენ. მაკარტისტები ყოველგვარი რეფორმების, დემოკრატიული თავისუფლების, პროფკავშირთა, მშრომელთა უფლებებისა და ბოლოს თვით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლების წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. მათი ინიციატივით მიიღეს ანტიდემოკრატიული კანონები „საშინაო უშიშროების შესახებ", „მაკარენ-უოლტერის კანონი" და ა. შ. საგარეო პოლიტიკაში მაკარტისტები წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველგვარი ურთიერთობისა და მათ წინააღმდეგ ატომურ ომს მოითხოვდნენ.

მაკარტისტების საქმიანობა განსაკუთრებით ძლიერდება 1953—1954 წლებში დ. ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის პირველ პერიოდში. ეიზენჰაუერის მთავრობის პირველივე სხდომაზე 1953 წლის 27 იანვარს გამოცხადდა პოლიციური მეთვალყურეობის გაძლიერების პროგრამა, რომლის მოქმედებაში შესვლამ ფართო გასაქანი მისცა მაკარტიზმს. მაკარტისტული რეაქციის გაძლიერებამ გამოხატულება პოვა გამოძიების სხვადასხვა კომისიის მოღვაწეობაში. თვით ჯ. მაკარტი ჩაუდგა სათავეში სენატის კომისიას, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ფედერალური დაწესებულებების ხარჯებს. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე სენატის გამოძიების მუდმივ ქვეკომისიას, რომელმაც შეუზღუდავი ძალაუფლება მიიღო. მაკარტის ამ კომისიებში გაერთიანდნენ ულტრამემარჯვენე კონგრესმენები: გოლდუოტერი, ვუდი, უოლტერი, მაკარენი და სხვები, ხოლო მისი დამქაშები გახდნენ რესპუბლიკელები უ. ჯენერი და გ. ჰ. დი. კონგრესის ორგანოები, კომისიები და ქვეკომისიები, სადაც ძირითადად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, ჯ. მაკარტის საერთო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ.

სენატის და წარმომადგენელთა პალატის ამ კომისიებსა და ქვეკომისიებში სისტემატურად იბარებდნენ პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასობით მოღვაწეს, ხელმძღვანელს, რიგით პირებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, ცრუ მოწმეებს და ა. შ. პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში მაკარტისტებმა გააჩაღეს

ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული ისტერიული კამპანია. ყოველ გაფიცვას, საავტომობილო და საავიაციო კატასტროფასა და მკვლელობას კომუნისტებს და საბჭოთა ჯაშუშებს აბრალებდნენ.

მაკარტისტებმა პრაქტიკაში შემოიღეს გამოძიების კომისიების გაბსელელი სხდომების მოწყობა, სადაც იძახებდნენ მათთვის არასასურველი პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლის შედეგი იყო ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების განადგურება. ან დასუსტება.

. დ. ეიზენჰაუერი მემუარებში აღნიშნავს. რომ მან მაკარტისტების მითითებით სახელმწიფო სამსახურიდან 10 ათასი კაცი მოხსნა. კომუნისტების დევნამ ფართო ხასიათი მიიღო. 1953 წლის თებერვალში ნიუ-იორკის საოლქო სასამართლომ კომუნისტური პარტიის 13 ხელმძღვანელი გაასამართლა და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. 1953 წელს მუშათა მოძრაობის 100-ზე მეტ გამოჩენილ მოღვაწეს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პროფკავშირთა მემარცხენე ლიდერების წინააღმდეგ სასამართლო პროცესები მოეწყო ფილადელფიაში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში და სხვაგან. 400-ზე მეტი ამერიკაში მცხოვრები უცხოელი კომუნისტი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო გაასახლეს აშშ-დან.

ათიათასობით მოსამსახურემ გაიარა ლოიალობის შემოწმება, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი დარჩა. იუსტიციის სამინისტრომ 255 ორგანიზაცია შეიტანა ძირგამომთხრელი საქმიანობის სიაში, ხოლო ანტიამერიკული მოღვაწეობის გამოძიების წარმომადგენელთა პალატის კომისიამ გადააჭარბა ამ რიცხვს და 733 გამოაცხადა ძირგამომთხრელ ორგანიზაციად.

მაკარტიზმის რეაქციის პერიოდში სასამართლოები რეაქციის მორჩილ ორგანოებად გადაიქცნენ, უგულებელყვეს სამოქალაქო უფლებების ტრადიციები და კანონისადმი პატივისცემა.

შრომის ამერიკის ფედერაციამ და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელებმა დაგმეს მაკარტიზმი, ხოლო დ. ეიზენჰაუერს საყვედურობდნენ, რომ მან გზა გაუხსნა მაკარტისტული რეაქციის თარეშს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც პროფკავშირებს მიუმართავთ გადამწყვეტი ლონისძიებებისათვის მაკარტისტული რეაქციის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლების მოსა-

წყობად. როდესაც მაკარტიმ პენტაგონს, კონგრესს, სენატის და მთავრობის ზოგიერთ წევრს კომუნისტების „მფარველები“ უწოდა, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამიტომ ხმა აღიმაღლეს და მის წინააღმდეგ გამოვიდნენ რიგი სენატორები (დემოკრატები გ. ჰემფრი, უ. მორზე, გ. ლიმენი და რესპუბლიკელი რ. ფლანდერსი და სხვები) და თვით პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი. აღსანიშნავია აგრეთვე თ. რუზველტის მეუღლის ელეონორა რუზველტის უშიშარი გამოსვლა მაკარტის და, საერთოდ, მაკარტისტული რეაქციის წინააღმდეგ. რამაც უდავოდ გარკვეული როლი შეასრულა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1953 წლიდან მაკარტიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ახალმა თავმჯდომარემ ე. უორენმა, რომელმაც მოსამართლე ჰ. ბლეკთან, უ. დუგლასთან და უ. ბრენერთან ერთად ნელა, მაგრამ თანდათანობით და მტკიცედ თქვა უარი მაკარტიზმის ტრადიციების დამკვიდრებაზე პოლიტიკურ სისტემაში და მოქალაქეობრივი თავისუფლებების დაცვის ნიმბრედ გამოვიდა. ასეთმა პოზიციამ გამოიწვია მაკარტისტების ახალი გამოხდომები.

1954 წლის ბოლოსათვის მაკარტიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა დასუსტდა, ხოლო თვით ჯ. მაკარტი სენატიდან გაძევეს.

მაკარტისტების საბოლოო განადგურებაში მაინც სალხმა შეასრულა მთავარი როლი მასობრივი დემონსტრაციებითა და მანიფესტაციების მოწყობით.

მაკარტიზმის განადგურებაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ 1954 წელს დემოკრატიულმა პარტიამ კონგრესის ორივე პალატაში დაიბრუნა ადგილების უმრავლესობა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა რესპუბლიკური პარტიის პოზიციები. დემოკრატიული პარტიის კონგრესმენებმა ჩამოაშორეს მაკარტისტული ხროვა პოლიტიკურ საქმიანობას. პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერიც გაემიჯნა მაკარტისტულ რეაქციას და სასტიკად დაგმო მათი საქმიანობა. საქმე იმაში იყო, რომ ახლოვდებოდა პრეზიდენტის მორიგი არჩევნები, იგი კი ხელმეორედ აპირებდა თავის კანდიდატურის წამოყენებას.

1956 წლის პრეზიდენტის არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიამ კანდიდატად კვლავ ე. სტივენსონი წამოაყენა, მაგრამ რესპუბ-

ლიკელთა კანდიდატმა დ. ეიზენჰაუერმა გაიმარჯვა. ამ უკანასკნელის წარმატების მთავარ მიზეზად მიჩნეულია მისი გამოჯვნა მაკარტისტული რეაქციისაგან და მის წინააღმდეგ გამოსვლა. სამაგიეროდ დემოკრატებმა კონგრესის ორივე პალატაში აუდგილების უმრავლესობა მიიღეს. დემოკრატებს მხარი დაუჭირეს პროფკავშირებმა და მუშათა. ფერმერთა და ზანგთა ამომრჩეველების უდიდესმა ნაწილმა, რომელთაც კარგად ახსოვდათ რესპუბლიკელი მაკარტისტების რეაქციული პოლიტიკა.

1957 წლის თებერვალში შედგა აშშ-ს კომპარტიის XVI ყრილობა. მან მიიღო რეზოლუცია სოციალიზმში მშვიდობიანი, დემოკრატიული და კონსტიტუციური გზით გადასვლის შესახებ. რევრესიებმა და რევიზიონიზმმა დაასუსტა აშშ-ის კომპარტია. 1957 წლისათვის იგი თავის რიგებში მხოლოდ 7 ათას წევრს აერთიანებდა.

1959 წლის დეკემბერს კომპარტიის XVII ყრილობამ გენერალურ მდივნად აირჩია გეს ჰოლი, თავმჯდომარედ ეუჯინ დენიი. ყრილობაზე მოიხსნა ლოზუნგი ზანგების ეროვნული თვითმმართველობის შესახებ. რომელიც ჯერ კიდევ 1928 წელს მიიღეს, და დადგინდა, რომ ებრძოლათ ზანგების „მთლიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თანასწორობისათვის".

1959 წელს კონგრესმა დ. ეიზენჰაუერის წინადადებით მიიღო ახალი კანონი ლენდრამ-გრიფინის სახელწოდებით, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავდა მუშათა და პროფკავშირთა გაფიცვებს, დემონსტრაციებს და სხვა პოლიტიკურ უფლებებს. პროფკავშირებს დაეკისრათ ყოველწლიური რეგისტრაცია თავიანთი შემოსავლის წყაროებისა. კანონი პროფკავშირების არჩევნებისა და ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავების პირობებსაც კი აწესებდა. კომუნისტებს კანონი უკრძალავდა პროფკავშირებში თანამდებობების დაკავებას. პროფკავშირთა საქმიანობაში ჩარევის უფლება სასამართლოსაც მიეცა. კანონი ზრდიდა სახელმწიფოს კონტროლს მუშათა და მეწარმეთა შორის კონფლიქტებზე.

როდესაც კონგრესში კანონის განხილვა მიმდინარეობდა, ეიზენჰაუერის მთავრობა კონგრესისადმი მომართვაში მოითხოვდა პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვას. მომართვა ერთგვარი პროგრამა იყო, რომლის თანახმად, პრეზიდენტის სიტყვებით. „საზოგადოებისა და მისი ინტერესების რეალური დამცველი" მხო-

ლოდ მთლიანი და ეფექტური შრომის კანონმდებლობა უნდა გამ-ხდარიყო. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს პრეზიდენ-ტის პროგრამა მიაჩნდათ რესპუბლიკური პარტიის ერთგვარ მანევ-რად წინასაარჩევნო კამპანიის წინ. იგი მიზნად ისახავდა დემოკრა-ტების მხარდაჭერით ახალი კანონების მიღებას. მიუხედავად ამისა, კანონი კონგრესმა მოიწონა. პროფკავშირთა ხელმძღვანელებმა მხოლოდ პროტესტი განაცხადეს ახალი ანტიმუშური კანონმდებ-ლობის წინააღმდეგ. ახალი კანონი[1] ფაქტობრივად დამატება იყო ძველი ტაფტ-ჰარტლის კანონისა, მ-სი კ-დევ უფრო გაუარესების თვალსაზრისით.

დ. ეიზენჰაუერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა

წინასაარჩევნო დაპირება კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ დ. ეიზენჰაურმა მართლაც შეასრულა. იგი პირადად გაემგზავრა კორეაში. 1953 წლის ივნისში კორეასთან დროებითი ზავი დაი-დო, მაგრამ სახელმწიფო მდივანმა ჯ. დალესმა გაილაშქრა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში „შეკავების" დოქტრინის წინააღმდეგ; მან წამოაყენა „კომუნიზმისაგან იმ ხალხების განთავისუფლების" კურ-სი, რომლებიც, „საბჭოთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ". „გან-თავისუფლების" ანუ „კომუნიზმის უკუგდების" დოქტრინას ჯ. და-ლესმა საფუძვლად დაუდო „მასირებული შურისგება", თეზისი, რომელიც, მისი აზრით, აშშ-ს დიდ უპირატესობას მიანიჭებდა. ეს დოქტრინა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ემუქრებოდა ბირთვული იარაღის გამოყენებით. დ. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ თუ კომუნისტები წამოიწყებენ აგრესიას, ჩვენ დავარტყამთ მათ არჩეული საშუალებებით კომუნისტური „სიძლი-ერის ცენტრში". კიდევ უფრო შორს წავიდა სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, რომელიც იმუქრებოდა, რომ ყოველგვარ „კრიტიკულ სიტუაციაში" აშშ მიმართავს „მასირებული შურისგების" დამაში-ნებელ ძალას. ომის გაჩაღების მუქარამ მშვიდობიანი მოსახლეობის

[1] ამ კანონს სენატში ხმა მისცა 92 სენატორმა ორის წინააღმდეგ, წარმო-მადგენელთა პალატაში კი — 352 კონგრესმენმა 52 წინააღმდეგ.

საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და მათ შორის აშშ-ში.

1954 წლის აპრილში ჯ. დალესმა, მსოფლიო საზოგადოებრიობის დამშვიდების მიზნით, წამოაყენა ახალი თეზისები: პოლიტიკური „მოქნილობის“ და „სიფრთხილის“ კურსის ახალწოდებით.

დალესმა „ომის ზღვარზე ბალანსირების“ დოქტრინა წამოაყენა, რომლის მთავარი არსი იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების ეფექტურობის ამაღლება, გამალებული შეიარაღების უფრო დიდი მასშტაბებით გაზრდა და ქვეყნის შემდგომი მილიტარიზაცია სოციალისტური ქვეყნების დაშინების მიზნით. დალესის „ომის ზღვარის“ დოქტრინა ცხადია, ეიზენჰაუერთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. გამალებულ შეიარაღებაში ნატოელ პარტნიორებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, რათა სოციალისტურ ქვეყნებზე უპირატესობა მოეპოვებინათ. მაგრამ დალესმა ამასთანავე განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა არასოდეს არ დაიხევს უკან თავისი პოლიტიკისაგან, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული წყობილება დარჩება. დალესმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებისათვის არ შეიძლება რეალური მშვიდობა იყოს, ვიდრე არსებობს სოციალისტური სისტემაო. ამრიგად, „განთავისუფლების“ პოლიტიკა კვლავ ძალაში რჩებოდა, ამერიკის მთავრობამ მხოლოდ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, მან ხელი აიღო „მასირებული“ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. „ცივი ომის“ პოლიტიკაში ერთგვარი შენელება დაიწყო. რასაც ხელი შეუწყო ომის შეწყვეტამ ინდოჩინეთში.

1955 წლის ზაფხულში ჟენევაში მოეწყო ოთხი დიდი სახელმწიფოს — ინგლისის, აშშ-ის, სსრ კავშირის და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების შეხვედრა, რომელმაც მსოფლიოს ყველა ხალხს მშვიდობის განმტკიცების, ცივი ომისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის იმედი ჩაუსახა. ჟენევის თათბირს მსოფლიო პოლიტიკის რაიმე კონკრეტული საკითხი არ მოუგვარებია, მაგრამ მან და შემდგომმა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა რეალური შესაძლებლობები შექმნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის თანდათანობით მოგვარებისათვის. მაგრამ „ჟენევის სული“, ანუ „კლიმატი“, როგორც მას უწოდებდნენ, დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ მანამდე, 1954 წლის სექტემბერში აშშ-მა შეაკოწიწა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო დაჯ-

გუფება, ანუ სეატო, რომლის მიზანი იყო უპირველეს ყოვლისა ჩინეთის, კსდრ-ის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური აგრესიის შეკავება.

აშშ-მა ორმხრივი სამხედრო კავშირი დადო ჩან-კაი-შის მთავრობასთან და სამხრეთ კორეის მმართველ წრეებთან. მათზე დაყრდნობით აშშ-ს სურდა კომუნისტური აგრესიის აღკვეთა შორეულ აღმოსავლეთში, რომელიც შეიძლებოდა, მსოფლიო ომის ხანძარში გადაზრდილიყო. ჩრდილოეთ ვიეტნამმა ჩაშალა ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ვიეტნამში საყოველთაო არჩევნების ჩატარების საკითხზე, რის გამოც აშშ-ს მთავრობამ, კომუნისტური აგრესიის გაძლიერებასთან დაკავშირებით სამხრეთ ვიეტნამში ხელისუფლების სათავეში დასვა თავისი მომხრე ნგონ დინ დიემი. ასეთსავე პოლიტიკას ატარებდა დ. ეიზენჰაუერის მთავრობა ლაოსის და კამბოჯოს სახელმწიფოების მიმართ, სადაც მხარს უჭერდა ანტიკომუნისტურ ძალებს.

აშშ-ის მმართველ წრეებს განზრახული ჰქონდათ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შეექმნათ ძლიერი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც აშშ-ის ანტიკომუნისტური იარაღი უნდა გამხდარიყო ამ რაიონში. ამ მიზნით ჯერ წამოაყენეს ე. წ. „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის პროექტი, შემდეგ — „მუსულმანური ბლოკის“ შექმნის იდეა. ეს ორივე პროექტი ჩაიშალა. ამის შემდეგ 1955 წლის შემოდგომაზე ჯ. დალესის უშუალო ინიციატივით შეკოწიწდა ბაღდადის პაქტი (სენტო), მაგრამ ამ ბლოკში მთავარი არაბული ქვეყნები ვერ ჩააბეს (გარდა ერაყისა).

1956 წელს ინგლის-საფრანგეთის აგრესიის ჩაშლა სუეცის არხის ზონაში, აშშ-ის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ აზიის ამ რაიონში პოზიციების განმტკიცებისათვის. მათ წამოაყენეს ე. წ. „ვაკუუმის“, ანუ სიცარიელის თეზისი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის დამარცხების შედეგად შეიქმნა ე. წ. სიცარიელე და აზიის ამ რაიონის გადარჩენა კომუნისტური აგრესიისაგან უნდა ეკისრა აშშ-ს. ასე აღმოცენდა „ეიზენჰაუერ-დალესის“ დოქტრინა, რომელიც ფაქტობრივად „ტრუმენის დოქტრინის“ გაგრძელებას წარმოადგენდა. იგი 1957 წლის მარტში კონგრესმა დაამტკიცა. ეს დოქტრინა უარყვეს არაბული აღმოსავლეთის მთავარმა ქვეყნებმა. მისი პრაქტიკული განხორციელება იმაში გამოიხატა,

რომ იგი მიიღეს იორდანიის, ლიბანის და ერაყის მთავრობებმა. ლიბანში მომხდარი გადატრიალების შედეგად კანონიერი მთავრობა დაამხეს, რასაც ამერიკამ ლიბანსა და იორდანიაში ჯარების გადასხმით უპასუხა. ამან თვით აშშ-ში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ამიტომ ამერიკის მთავრობა იძულებული გახდა უკანვე გაეყვანა ჯარები. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებით აიხსნება ის, რომ 50-იანი წლების დამლევს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში ერთგვარი გაუმჯობესება ხდება, რაც გამოიხატა ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონის ვიზიტით საბჭოთა კავშირში და 1959 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტით აშშ-ში. ამერიკის ხელმძღვანელთა ასეთი ნაბიჯები აიხსნებოდა მოახლოებული არჩევნებით. „მასირებული დარტყმის“ და „ომის ზღვარის“ პოლიტიკა ისე, როგორც, საერთოდ, ომრალის ეღარუნია კურსი ოპოზიციურად იყო ამერიკელ ხალხში, ამიტომ მოახლოებული არჩევნების წინ აღნიშნულ პარტიას ეს კურსი უნდა შეერბილებინა.

მგზავრამ მიხდა პირიქით — ნ. ხრუშჩოვი, აშშ-ში ვიზიტის დროს, დაესწრო გაეროს სხდომას. აქ მის დასწრებას დაემთხვა „უნგრეთის საკითხის“ განხილვა, რაც დაკავშირებული იყო 1956 წლის შემოდგომაზე უნგრეთში საბჭოთა ჯარების შეყვანასთან და უნგრელი ხალხის სახალხო ანტიკომუნისტური აჯანყების ჩახშობასთან. გაცოფებულმა ნ. ხრუშჩოვმა წ�oსროლა მუქარით სავსე სიტყვები ამერიკელების მიმართ „ჩვენ ვაგმარსავთ თქვენს“. დიდი ქვეყნის ეს დაუფიქრებელი მუქარა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კვლავ დაძაბულიყო, ხოლო აშშ-ში მიეღოთ ახალი, გრანდიოზული, „გამალებული შეიარაღების“ პროგრამა.

§ 7 აშშ 60—70-იან წლების პირველ ნახევარში დიალოგის დასაწყისი კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. „ცივი ომის“ განახლება

1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. რესპუბლიკური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ამერიკელთა არა მარტო მშრომელი მასების, არამედ თვით „საშუალო ფენის“ უკმაყოფილება

გამოიწვია. „საშუალო ფენა“[1] ამერიკელი მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტს შეადგენს და ყოველთვის ორივე მმართველი პარტიის გაცხარებული ბრძოლის ობიექტია ხმებისათვის არჩევნებში.

რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მაკარტისტული რეაქციის თავაშვებულობამ სახელი გაუტეხა როგორც თვით პარტიას, ასევე, საერთოდ, პრეზიდენტის ხელისუფლებას. ამ უკანასკნელმა ამერიკელი ამომრჩევლების სრული უნდობლობა დაიმსახურა.

საგარეო პოლიტიკაში მარცხმაც შეასუსტა პრესტიჟი — კერძოდ არ გამართლდა მისი კურსი, რომ სოციალიზმის ბანაკზე მოიპოვებდა უპირატესობას, კერძოდ საბჭოთა კავშირს უკმარნახებდა თავის პირობებს.

გენერალი დ. ეიზენჰაუერი ომის პოპულარული სარდალი და გმირი იყო, მაგრამ, როგორც პრეზიდენტი, სუსტი აღმოჩნდა. მისი პრეზიდენტობის დროს მაკარტისტული ბრბო თავისუფლად თარეშობდა ამერიკაში და გახდა ერთგვარი სახელმწიფო სახელმწიფოში. ე. ი. ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა შეიქმნა. დ. ეიზენჰაუერმა ვერ შეძლო ან უბრალოდ არ მოინდომა მაკარტისტული ბრბოს დროულად ალაგმვა, რამაც პრეზიდენტის ხელისუფლებას დიდი ჩრდილი მიაყენა. დ. ეიზენჰაუერი, როგორც პრეზიდენტი, ერთგვარ პასიურობას იჩენდა სახელმწიფო საქმიანობაში და ამით ასუსტებდა პრეზიდენტის ფუნქციებს. ამერიკელებში პრეზიდენტის თანამდებობის შესახებ გავრცელებული იყო ასეთი გამოთქმა: „ფ. რუზველტმა დაამტკიცა, რომ პრეზიდენტს შეუძლია თეთრ სახლში იმდენ ხანს დაჰყოს, რამდენსაც მოისურვებს, ჰ. ტრუმენმა — პრეზიდენტი შეიძლება იყოს ყველა, ვინც კი მოისურვებს, დ. ეიზენჰაუერმა — პრეზიდენტი საერთოდ საჭირო არ არის“[2].

„საშუალო ფენას“ შუალედური მდგომარეობა უკავია ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. „საშუალო ფენაში“ შედიან: ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ე. ი. ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, დიასახლისები, პენსიონერები. ინტელიგენცია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად საშუალო ფენად გადაიქცა.

2 აშშ ჯერ კიდევ 1787 წელს მიღებული კონსტიტუციით, რომელიც 1789 წლიდან შევიდა ძალაში, ფედერაციული რესპუბლიკის სათავეში დგას პრეზი-

დენტი, რომელიც ითვლება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურად. პრეზიდენტის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პიროვნებამ, რომელიც არა ნაკლები 35 წლისაა და ცხოვრობს აშშ 14 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. პრეზიდენტი 4 წლის ვადით არჩევენ. 1951 წლის კონსტიტუციაში შეტანილი შესწორების საფუძველზე ერთი და იგივე პიროვნების არჩევა პრეზიდენტად მხოლოდ ორჯერ შეიძლება. თანაც პრეზიდენტის არჩევნები ორ საფეხურიანია. ორი პარტიის კანდიდატებიდან, ვინც მეტ ხმას მიიღებს, ის ხდება პრეზიდენტი. მაგრამ პირველ საფეხურზე მას არჩევენ არა ამომრჩეველთა პირდაპირი კენჭისყრით, არამედ ამრჩევთა კოლეგიის მეშვეობით, რომლებსაც ისინი ძალუძთ თავიანთ ხმებს. ამრჩევთა კოლეგია კი ვალდებულია ხმა მისცეს იმ კანდიდატს, რომლის წარმომადგენლადაც იგი აირჩეს. ალბათვე წ�itt არჩევენ ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც სენატის თავმჯდომარეა.

პრეზიდენტის რწმუნებები ძალზე დიდია. მის ხელში თავმოყრილია მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები. იგი სათავეში უდგას მთავრობას (კაბინეტს, ადმინისტრაციას), რომელიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ ფაქტობრივად არსებობს. აშშ პირველი პრეზიდენტის გ. ვაშინგტონის დროიდან, მთავრობის წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი, მაგრამ მას ამტკიცებს სენატი. ამასთანავე პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის ყველა წევრის განთავისუფლება. მთავრობა პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი. მთავრობაში შედიან სხვადასხვა უწყებების მინისტრები და სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა გამგებელი).

აშშ პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია და ფაქტობრივად შეუძლია სამხედრო მოქმედებები აწარმოოს ომის ფორმალურად გამოცხადების გარეშე. პრეზიდენტს შეუძლია საზღვარგარეთის ქვეყნებთან დადოს შეთანხმებები, რომლებიც ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით არ საჭიროებენ სენატის მიერ დამტკიცებას.

პრეზიდენტს, მართალია, არა აქვს საკანონმდებლო ხელისუფლება, მაგრამ მას დიდი სეგაელენის მოხდენა შეუძლია კონგრესზე. მას შეუძლია კონგრესის მიერ მიღებულ კანონზე ვეტოს დადება, ორის შემდეგ კანონი კონგრესს უბრუნდება განსახილველად და მხოლოდ დამსწრეთა 2/3 ხმებით შეიძლება მისი მიღება და

შემდეგ შ

ხელოვანეა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო საკითხებში. აღნიშნულ საბჭოში შედიან ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, სახელმწიფო მდივანი, ფინანსთა მინისტრი და ა. შ. საბჭოს თავმჯდომარე კი პრეზიდენტია, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას თვითონ იღებს.

სასამართლო ხელისუფლებას ანხორციელებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო, ფედერალური, სახალხო და აპელაციური სასამართლოები და ზოგიერთი სპეციალური სასამართლო. სასამართლოების ყველა წევრსა და თავმჯდომარეს პრეზიდენტი ნიშნავს, მაგრამ სენატის თანხმობით. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს კონსტიტუციური ზედამხედველობის ფუნქციები აქვს. ძალა შეუძლია ანტიკონსტიტუციურად სცნოს ფედერაციის და შტატების ესა თუ ის კანონი და გააუქმოს იგი.

ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ითვლება კონგრესი, რომელიც ორი პალატისაგან შედგება, — წარმომადგენელთა პალატისაგან და სენატისაგან. პირველს 2 წლის ვადით ირჩევენ 25 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქენი, რომელთაც აშშ არა ნაკლები 7 წლის მოქალაქეობა აქვთ. 1912 წლის კანონით წარმომადგენელთა პალატა — 435 დეპუტატისაგან შედგება. ამჟამად, ყოველი დეპუტატი 500 ათასი ამომრჩეველის წარმომადგენელია. ყოველ ორ წელიწადში პალატის გაახალება ხდება. ასეთივე ინტერვალით იბრძმება კონგრესია ყოველი მოწვევა. 1987 — 1988 წწ. მუშაობდა მე-100 მოწვევის კონგრესი. კონგრესის ყოველი მოწვევა ორ სესიას ატარებს დაწყებული იანვრიდან შესვენებით მთელი წლის განმავლობაში. პრეზიდენტს უფლება აქვს კონგრესის საგანგებო სესია მოიწვიოს. კონგრესის სხდომა კაპიტოლიუმის შენობაში მიმდინარეობს და იგი ვაშინგტონის ცენტრშია განლაგებული. სენატი უმაღლესი პალატაა სადაც ყოველი შტატი 2 სენატორს ირჩევს. სენატის მესამედის არჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდება. სენატში ირჩევენ 30 წლის ზემოთ მოქალაქეებს, რომელნიც აშშ-ს მოქალაქეები არიან და არა ნაკლებ 9 წლის განმავლობაში ყოველ სენატორს 6 წლის ვადით ირჩევენ თავის შტატში.

აშშ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები ურთიერთდამოკიდებულებაშია, ორივე ძლიერია და ემყარება კანონის მკაცრად დაცვის პრინციპებს, ცხოვრებას ხშირად კი შეაქვს კორექტივები პრეზიდენტისა და კონგრესის შეშლობაში, მაგრამ შეუცვლელი რჩება კონსტიტუციური ნორმები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. ხშირად პრეზიდენტი ივიწყებდა ან ვერ ასრულებდა თავის წინასაარჩევნო პროგრამას, ამის შესახებ მას კი შეახსენებდნენ პრესაში და პარლამენტში და საყვედურობდნენ კიდეც ეს იყო და ეს. მაგრამ საკმარისი იყო, პრეზიდენტს კანონი დაერღვია. მის წინააღმდეგ იყენებდნენ კონსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც მაშინვე აღკვეთავდა პრეზიდენტის ასეთ მოქმედებას. ამ სახის მაგალითები ბევრია ამერიკის პრეზიდენტების ისტორიაში (მაგალითად, 1974 წ. 9 აგვისტოს რ. ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო, როდესაც „უოტერგეიტის საქმის" გამო გართულდა ურთიერთობა კონგრესსა და პრეზიდენტს შორის, რ. ნიქსონის და რ. რეიგანის მინისტრები უკანონო ფინანსური მაქინაციების გამო საბრალდებო სკამებზე დასხდნენ).

ზუსტად არის გაყოფილი აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლ[illegible] შტატების ხელისუფლების ფუნქციები. შტატებს [illegible] ქვეყ[illegible] ხელისუფლებრივი სტატუსი, რომლის დარღვევის ან შეკვეცის უფლება არ აქვ[illegible]ვით პრეზიდენტს. შტატები ანხორციელებენ მრავალ ფუნქციას, რითაც ანთავისუფლებენ ცენტრალურ ხელისუფლებას ზედმეტი საქმისაგან. ეს გასაგებია [illegible]ებით ვლინდება ეკონომიკა სფეროში, ეწარმოებელი მოღვაწეობაში [illegible]ტებს, ედიდები და დამოუკიდებელი საქმიანობის [illegible] ფუნქციებია გამო[illegible] „პატარა პრეზიდენტების რესპუბლიკებ[illegible]" ეწოდებენ. ფედერალური მოვალეობა[illegible] დაიცვას შტატების ტერიტორია საგარეო თავდასხმისაგან, აგრეთვე „საშინაო [illegible]ალმომრეობისაგან". ორმოცდათერთმეტ შტატში აღმასრულებელ ხელისუფლ[illegible] ასრულებენ გუბერნატორები. რომელთაც ახლა და ახლა ვადა (ოთხიდან ოთ[illegible] წლამდე) ირჩევენ პირდაპირი კენჭისყრის საფუძველზე. [illegible] 30 წლის ასაკიდან, რომელნაც მოცემულ შტატში [illegible] წელზე მეტ ხან [illegible] ცხოვრობენ. გუბერნატორებს „მინი-პრეზიდენტებ[illegible] ეწოდებენ შტატებში. [illegible] უპირატესობა აქვთ მოპოვებული ადგილობრივ საკანონმდებლო არჩევითი ორგანოები[illegible] მიმართ. [illegible] დმინ[illegible] [illegible]ნობა [illegible]ერამ, მიუხედავად შტატების ხელისუფლების [illegible] ფართო [illegible]ებისა. ცენტრალურ ხელისუფლებას ბევრი მართვის ბერკეტი აქვს [illegible] ზეგავლენი[illegible] მოსახდენად, განსაკუთრებით დაფინანსების საქმეში. შტატების დიდი ნაწილ[illegible] დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება მეტი დ ფინანსები მიიღ[illegible] ეროვნულ[illegible] [illegible] ერთ შტატს უჭირს თავისი ეკონომიკური და სოციალური პროგრამ[illegible] განხორციელება ცენტრის დახმარების გარეშე. გუბერნატორებს აქვთ [illegible] საკანონმდებლო რწმუნებები, როგორიცაა შტატის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების სესიების მოწვევა. მასზე საკანონმდებლო პრძანებულებებ[illegible] დამტ[illegible]ცება. მმართველობის აპარატში პირების დანიშვნა. მაგრამ მისი ყველა [illegible] ტრაკიულ-საკანონმდებლო აქტები უნდა ფედერალური კანონმდებლობ[illegible] ჩარჩოებში მოექცეს და აშშ კონსტიტუციას [illegible] [illegible]ელ გუბერნატორებს თავისი წარმომადგენლობა აქვთ ვაშინგტონში [illegible] გუბერნატორების ეროვნული ასოციაცია, რომელიც 1908 წლიდან არსებობს. მას თავ[illegible] აპარატი და რიგი კომიტეტები [illegible] [illegible]ადაც [illegible]ელად [illegible]ერბენიან 50 შტატის გუბერნატორები. ამერიკის ტერიტორ[illegible] [illegible] [illegible]ია: ერთი მხრივ მოლიხოვენ ცენტრალური ხელისუფლებას დაეხმარონ შტატების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში და გადაწყვეტონ საერთოეროვნული ამოცანები. პრეზიდენტი [illegible] [illegible]ანონმდებლო [illegible]ების ან გუბერნატორის თხოვნით ამა ოთ[illegible] [illegible]ში [illegible] [illegible] [illegible]

ვალია, სადაც არსებული კანონით შედარებით ნაკლები სასჯელი [illegible], მას დაიკერენ, თავის შტატში დააბრუნებენ და არსებული კანონების საფუძველზე დასჯიან. შტატების კანონები შემადგენელი ნაწილია საერთო ფედერალური უფლებრივი სისტემისა. არიან შტატები, სადაც განქორწინება ძალზედ ძნელია, ზოგიერთში — შედარებით იოლია, მაგრამ თუ ამ მიზნით ერთ შტატში მცხოვრები მეორე შტატში გადავა, მას ამ შტატის კანონებით მოუდგებიან, რომელი შტატიდანაც არის მოსული.

აშშ ქორწინების 60 პროცენტი შერეული ეროვნებებითაა და ამ ნიადაგზე მიაჩნდათ, რომ იქ არ არსებობს ეროვნული პრობლემები; მაგრამ იგი სერიოზული პრობლემა იყო და დღევანდელამდე რჩება, არ არის აღმოფხვრილი რასიზმი, წინააღმდეგობანი „თეთრ" ამერიკასა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ასეთ პირობებში ფედერალური მთავრობა ცდილობს შუამავლის როლი შეასრულოს ეროვნული და ეთნიკური პრობლემების გადაჭრაში.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი დიდი შტატი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ურთიერთობით იყოფა ოლქად, ანუ როგორც იქ უწოდებენ, საგრაფოებად. აშშ ამისთანა საგრაფოები 3 ათასზე მეტია. რომელთა სათავეში დგანან 9 კაცისაგან შემდგარი მეთვალყურეთა საბჭოები. რვა კაცს ირჩევენ ყოველი რაიონიდან, თავმჯდომარეს კი ირჩევს მთლიანად მთელი საგრაფო, პირდაპირი კენჭისყრის საფუძველზე, 4 წლის ვადით. თავმჯდომარე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, მაგრამ იგი „შინაგან პრეზიდენტი" არაა, მას არა აქვს საბჭოსაგან დამოუკიდებელი რწმუნებების, ან ფედერალური პრეზიდენტისაგან თუ შტატის გუბერნატორისაგან განსხვავებით ვეტოს დადების უფლება.

მმართველობის მთელ ამ რთულ სისტემაში პრეზიდენტის რწმუნებები მაინც ყველაზე მაღალია. კონსტიტუცია მას ავალებს ამერიკის შტატებში დაიცვას მმართველობის რესპუბლიკური ფორმები, ხოლო შტატები კი ვალდებულნი არიან არ დაარღვიონ ფედერალური კონსტიტუცია და ზუსტად შეასრულონ ფედერალური კანონები. პრეზიდენტიც და გუბერნატორებიც თავისი მოვალეობის შესრულების პირველ დღეს საჯარო ფიცსა სდებენ, ბიბლიაზე მარცხენა ხელის დადებით და მარჯვენა ხელის მაღლა აწევით, რომ „დაიცვან და გაუფრთხილდნენ აშშ-ს კონსტიტუციას". როგორც პრეზიდენტის ასევე გუბერნატორების ფიცი საზეიმო სიმბოლოა ადგილობრივი და ფედერალური კონსტიტუციის დაცვის.

აშშ კონსტიტუცია სცნობს ადამიანის ხელშეუხებლობას, მრავალპარტიულობას, მოქალაქეთა სიტყვის, კრებების, დემონსტრაციების და გაფიცვების უფლებებს, თავისუფალი გადანაცვლების უფლებებს ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი კონგრესი და ძლიერი გუბერნატორი — ასეთია შტატების და ფედერაციის სტაბილურობის და კეთილდღეობის საწინდარი.

ასეთ რთულ სიტუაციაში დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად ჯ. კენედი წამოაყენა[1]. დემოკრატები ამომრჩეველებს პირდებოდნენ ქვეყნის „ახალ ნიჯნაზე" გაყვანას და მთელი ამერიკელი ერის ნობილიზაციას ქვეყნის განახლებისათვის. ჯ. კენედი პირობას იღებდა, რომ ალაგებენდა ფ. რუზველტის პოლიტიკურ კურსს. ახალგაზრდა, ჭკვიანი და ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე ჯ. კენედი[2], თავად მილიონერი, ცოლია მბრძანებელი ნათესაური ურთიერთობით უკავშირდებოდა მილიარდერ მორგანების ოჯახს. ბიზნესმენება ამინებდათ კენედის სიმდიდრე, ეინაიდან სიმდიდრის გამო იგი შეიძლებოდა ძალზე დამოუკიდებელი პრეზიდენტი გამხდარიყო.

რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა რიჩარდ ნიქსონი, რომელიც უფრო გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, ვიდრე ჯ. კენედი. მას რვა წლის განმავლობაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა აიზენჰაუერის მთავრობაში.

ჯ. კენედი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა რესპუბლიკური პარტიის მთავრობის სათავეში ყოფნის დროს დაშვებულ შეცდომებს. ეს იყო „აარჩევნო ბრძოლის ტრადიციული ფანდი, რომელსაც რეგულარულად იყენებენ მეტოქე პარტიები, და მან ამჯერად

[1] ჯ. კენედი ეკუთვნოდა ჩრდილო-აღმოსავლელ ამერიკელ მილიონერთა ერთ-ერთ ოჯახს. მისი მამა ფ. რუზველტის პრეზიდენტობის დროს ელჩად იყო ინგლისში. მან მილიონები დააგროვა. მის ოჯახს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობასთან. მამა თავის შვილებს ბავშვობიდანვე ენერგიულად, რომ ბიზნესი აეცილებლად ენდა გამხდარიყვნენ თეთრი სახლის ბატონ-პატრონნი. ამ მიზნით თავის უფროს შვილს ჯოზეფს ამზადებდა, მაგრამ იგი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, რის შემდეგ ამ საქმისათვის მამამ მომდევნო ვაჟი ჯონის მზადება დაიწყო. ჯ. კენედი სამჯერ აირჩიეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში და ორჯერ — სენატორად. მაკარტიზმის დროს ჯ. კენედის ფაქტობრივად ნეიტრალური პოზიცია ეკავა.

[2] ჯ. კენედიმ საუკეთო განათლება მიიღო. იგი კარგი ორატორი იყო და გამოსვლებისას სწრაფად იყენებდა აუდიტორიას.

[3] საყურადღებოა, რომ ამშ-ის არსებობის მანძილზე ანაც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო. კენედების ოჯახი თოლიკური სარწმუნოებისა მიმდევარი იყო.

წარმატება მოუტანა დემოკრატიულ პარტიას. ჯ. კენედიმ ხმების მცირე უპირატესობით გაიმარჯვა[1].

ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საშინაო პოლიტიკა

ჯ. კენედის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. რეაქციის 15 წლიანმა ბატონობამ დაძაბული პოლიტიკური ვითარება შექმნა ქვეყანაში. 1960 წლიდან, როდესაც დემოკრატიული პარტია ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, მან გადაწყვიტა დაძაბული ატმოსფეროს შენელება, ქვეყნის გადაყვანა „ახალ მიჯნაზე" და ზოგიერთ უწნიშვნელო დათმობაზე წასვლით ბურჟუაზიული მმართველობის აპარატის განმტკიცება. ასეთი ამოცანის განხორციელება დაეკისრა ჯ. კენედის. 1961 წლის 2 თებერვალს კონგრესისადმი მიმართვაში მან მოითხოვა ხელფასის მინიმუმის გაზრდა, საბინაო მშენებლობის გაფართოება, უმუშევრობის დაზღვევის გაფართოება, ქრონიკული დეპრესიის რაიონებისათვის დახმარების გაწევა და ა. შ. ყველა ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო ამერიკის ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა. ჯ. კენედი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ დიდი გადასახადები და დაბალი ხელფასი ხელს უშლის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის ამაღლებას და იწვევს ეკონომიკური აღმავლობის შენელებას.

მიმართვაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი კონგრესმა დააკანონა. მთავრობამ მეწარმეებს აუკრძალა

---

[1] 68,832 ათასი ამომრჩეველიდან ჯ. კენედიმ მიიღო 34,441 ათასი ხმა, ე. ი. 49,5%, რ. ნიქსონმა — 34.109 ათასი, ე. ი. 49,3%, განსხვავება 0,2% იყო: აშშ-ში, პრეზიდენტის არჩევნები ხდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ირჩევენ ამომრჩევლებს, რომელნიც ხმას აძლევენ პრეზიდენტის კანდიდატურას, მაგრამ, როგორც წესი, მეორე ეტაპზე ხმის მიცემა წინასწარ გადაწყვეტილია, ვინაიდან ამომრჩეველი ვალდებულია, იმ პარტიის კანდიდატს მისცეს ხმა, რომელ პარტიაშიც შედის. არჩევნების ასეთი წესიც არსებობს: ყოველ ოლქში თუ შტატში ამომრჩევლად ის ითვლება, ვინც უფრო მეტი ხმა მიიღო (ხმების აბსოლუტური უმრავლესობა). ეს ანტიდემოკრატიული წესია, ვინაიდან არჩევით ორგანოებში ადგილების განაწილება მიღებული ხმების პროპორციულად არ ხდება. ასეთივეა პრეზიდენტის არჩევნების წესიც. ამიტომაა, რომ ჯ. კენედიმ 1960 წლის არჩევნების ღროს რ. ნიქსონს სძლია მხოლოდ 0,2% ხმით.

დადგენილი ფასების გაზრდა, მიიღო უმუშევართა და ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლების სამწლიანი პროგრამა. ამ შტატებმა, სადაც დიდი უმუშევრობა იყო, დახმარება მიიღეს ადგილობრივ სამუშაოებზე მუშათა დასაქმებისათვის. რის შედეგად 1961—1964 წლებში უმუშევრობა 5,7 მლნ-დან 3,7 მილიონამდე შემცირდა. შემცირდა გადასახადები კორპორაციებსა და პირად შემოსავალზე. სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის მიზანი იყო ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა და მისი ტემპების ზრდის მიღწევა. ამ მიზნით გაიზარდა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ეკონომიკაში. მართლაც ამ ღონისძიებებმა გამოიწვია ეკონომიკის ტემპების გარკვეული ზრდა. კენედი ზრუნავდა შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაზე. მან მუშათა ხელფასის ყოველწლიური ზრდა 3,2%-ით განაზღვრა. გადაწყდა, რომ დაედგინათ განსაზღვრული თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების, ფასებისა და ხელფასის ზრდაში. გაიზარდა საბინაო მშენებლობის დაფინანსება. კენედიმ მოითხოვა განათლების სისტემის გაუმჯობესება სოციალისტურ ქვეყნებთან შეჯიბრებისა და ბრძოლის ინტერესებისათვის. 1963 წლის კანონით უმაღლესი განათლების საჭიროებისათვის იმაზე მეტი თანხა გამოიყო, ვიდრე მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში დაიხარჯა. ამასთანავე კენედის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო ხარჯები და საერთოდ ქვეყნის მილიტარიზაცია.

1965 წელს მიიღეს კანონი ავადმყოფთა და მოხუცთა სოციალური დაზღვევის შესახებ. გაიზარდა ხელფასიც ერთსაათიან ანაზღაურებაზე: თუ იგი 1955 წელს 1 დოლარი იყო, 1968 წელს 1,60 დოლარი გახდა.

სოფლის მეურნეობა. პროდუქტების წარმოების და ფასების სტაბილირების მიზნით ფერმერებს გაეზარდათ დახმარება, სუბსიდიები და კრედიტები. სუბსიდიების მიცემის პოლიტიკამ შეაჩერა წვრილი და საშუალო ფერმერების შემოსავლის დაცემა. ამასთანავე, მთავრობის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა რეაპუბლიკურმა პარტიამ. რომელიც დემოკრატიულ პარტიას ბრალს სდებდა „უარენტაბელო" ფერმებისადმი მხარდაჭერაში.

როგორც აღვნიშნეთ, 1960 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში დემოკრატები ზანგებს დაპირდნენ „ნოქალაქეობრივი უფლებების" კანონის შემუშავებას. მაგრამ აშშ-ში არსებული მმართველობის

სისტემის გამო, მთავრობას ყოველთვის როდი შეუძლია დასახული ამოცანის ცხოვრებაში განხორციელება. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შემადგენლობაა კონგრესში. როგორც წესი, მთავრობის ახალი პოლიტიკური და სოციალური ღონისძიებანი, რომელნიც, მაგალითად, ქვეყნის დემოკრატიზაციას და ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებენ, ზოგჯერ კონგრესის წინააღმდეგობას აწყდება. ასევე მოხდა ჯ. კენედის დროსაც, რომელმაც ვერ გაბედა კონგრესის წინააღმდეგ გამოსვლა. ვინაიდან კონგრესმენთა შემადგენლობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ზანგთა მოქალაქეობრივი საკითხის გადაჭრისა, მით უმეტეს, რომ სამხრეთ შტატების დეპუტატებს კონგრესში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ამიტომ დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ჯ. კენედი კონგრესის მაშინდელი შემადგენლობით ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგს.

ჯ. კენედიმ განაცხადა, რომ საშინაო პრობლემების გადაჭრას მთლიანად იმ შემთხვევაში შეუდგებოდა, თუ მეორე ვადით აირჩევდნენ პრეზიდენტად და კონგრესის შემადგენლობაც შეიცვლებოდა. ჯ. კენედის მიერ კონგრესში შეტანილი „მოქალაქეობრივი უფლებების“ კანონპროექტის განხილვა ჭიანურდებოდა. მხოლოდ ზანგთა მასობრივმა მოძრაობამ და თვით ამერიკელთა საყოველთაო აღშფოთებამ ჯ. კენედის მოკვლის გამო[1] კონგრესმენები იძულებუ-

---

[1] პრეზიდენტ ჯ. კენედის პოლიტიკური კურსი უკიდურეს რეაქციონერთა დიდ შეშფოთებას იწვევდა. 1963 წლის 22 ნოემბერს ჯ. კენედი დალასში (ტეხასის შტატი) წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ჩავიდა. იგი ავტომობილით მოკლეს. ეს „საუკუნის დანაშაული“, თვით ამერიკელი მრავალი სენატორის, კონგრესმენის და სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის აზრი ერთი განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ჩაიდინეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთან და გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან დაკავშირებულმა ულტრამემარჯვენეებმა. ჯ. კენედის მკვლელობის გარემოების შესასწავლად შეიქმნა მთავრობის კომისია უორენის მეთაურობით, რომელმაც დაადგინა, რომ მკვლელობა თითქოს ცალკე პირის — ოსვალდის მიერ ჩადენილი აქტი იყო და არა შეთქმულების შედეგი.

უორენის კომისიის დასკვნები გაუქმდა და ახალი კომისია შეიქმნა მკვლელობის გარემოების გამოსაძიებლად, ძაგრამ იგივე დასკვნები გააკეთა.

ჯ. კენედის მკვლელობამ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ამერიკელი რასისტები კი ამ ამბავს დიდი ზეიმით შეხვდნენ, განსაკუთრებით სამხრეთის შტატებში.

ლი გახადა თავიანთი დამოკიდებულება აღნიშნული კანონპროექტისადმი შეეცვალათ.

ზანგთა მოძრაობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით 50--60-იან წლებში ადამიანთა უფლებებისათვის ზანგთა მოძრაობა აშშ-ში მანამდე არნახული ძალით გაიზარდა და გაძლიერდა. აშშ-ში 25 მილიონი ზანგი ცხოვრობდა. რომელთა 73 პროცენტი 1968 წლისათვის ქალაქებზე მოდიოდა. ზანგთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მუშათა კლასისაგან შედგება. 1964--1970 წლებში აშშ-ის სამუშაო ძალის ზრდის 20% ზანგებზე მოდიოდა. ზანგები კი მოსახლეობის 12%-ს შეადგენენ. 1980 წლისათვის თეთრკანიანთა სამუშაო ძალა 28%-ით გაიზარდა. ზანგებისა -- 41 %-ით.

ზანგები ცხოვრობდნენ ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში: მათი ხელფასის ანაზღაურება ნაკლები იყო ვიდრე თეთრკანიანების. თანაბარ სამუშაოზე ზანგთა ხელფასი უდრიდა თეთრკანიანების ხელფასის 56.7 პროცენტს. სიღატაკე მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

სამხრეთის შტატებში არსებობდა სეგრეგაციის წესები, ე. ი. შავკანიანების იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისაგან. იქ აკრძალული იყო შავკანიანების და თეთრკანიანების ერთად სწავლა, საზოგადოებრივ ადგილებში ერთად ყოფნა. შერეული ქორწინება და მრავალი სხვა. სამხრეთში ზანგთა წინააღმდეგ არსებობდა მრავალი ანტისემიტური ორგანიზაცია.

ზანგთა საკითხი წმინდა კლასობრივი პრობლემა როდი იყო. ვინაიდან დისკრიმინაციას განიცდიდა მთელი ზანგი მოსახლეობა. სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

ზანგთა მოძრაობას თავიდანვე ორი მიმართულება ახასიათებდა. ერთი იყო ეროვნული განცალკევების მიმართულება. რომელიც მოითხოვდა თვით აშშ-ის ტერიტორიაზე ზანგთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ან ზანგების უკან დაბრუნებას აფრიკაში. მეორე კი ამერიკელთა ერთიანობის, თანასწორუფლებიანობის მომხრედ გამოდიოდა. თვით აშშ-ის მუშათა პარტიები, მათ შორის სოციალისტური და კომუნისტური პარტიაც კი. 20-იან წლებში პირველ მიმართულებას უჭერდნენ მხარს[1].

[1] ზანგებს ეკუთვნის ამერიკის საწარმოების 30%. მაგრამ თუ ზანგთა მთელ ბურჟუაზიას კაპიტალით განვსაზღვრავთ. იგი ძალზედ უმნიშვნელოა. ზანგთა ბურჟუაზიის ხელშია მხოლოდ წვრილი საწარმოები.

როგორც აღვნიშნეთ, ზანგი მოსახლეობის ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ განსაკუთრებით ძლიერდება 50-იანი წლების შუა პერიოდიდან. ალაბამის შტატში, სადაც ზანგთა დისკრიმინაცია განსაკუთრებით აშკარა იყო, არსებობდა წესი, რომლითაც ავტობუსში და საერთოდ ტრანსპორტში ზანგი ვალდებული იყო თეთრკანიანებისათვის ადგილი დაეთმო და თვით ფეხზე მდგარიყო. ამის საპასუხოდ ქალაქ მონტგომერში 50 ათასმა ზანგმა ბოიკოტი გამოაცხადა და მთელი ერთი წლის განმავლობაში ავტობუსში არ ჯდებოდა. გაკოტრების შიშით ავტობუსების მფლობელები იძულებული გახდნენ გაეუქმებინათ ეს წესი. საყურადღებოა, რომ ბოიკოტს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მღვდელი მარტინ ლუთერ კინგი. მონტგომერში გამარჯვებამ დასაბამი მისცა ზანგთა მოძრაობის შემდგომ განვითარებას. 1960 წელს იწყება ზანგთა მასობრივი გამოსვლები დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მჯდომარე გაფიცვა სასაუზმეებში, ბიბლიოთეკებში, თეატრებში, საბანაო აუზებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ მოძრაობამ მთელი სამხრეთის შტატები მოიცვა. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები, ზანგი ინტელიგენცია, მუშები და მოსამსახურეები. მთელი 6 თვის განმავლობაში მჯდომარე გაფიცვაში, რომელიც წარმატებით ერწყმოდა ეკონომიკურ ბოიკოტს, მონაწილეობდა 200 ათასი კაცი. 1961 წელს დისკრიმინაციის წინააღმდეგ იყენებდნენ „თავისუფლების რეიდებს", რომლის დროსაც ზანგი და თეთრკანიანი ახალგაზრდობა რეიდებს აწყობდა სამხრეთის შტატებში და მოითხოვდა ზანგთა თანასწორობას. პოლიციელები და რასისტები სასტიკად უსწორდებოდნენ რეიდების მონაწილეებს. მაგრამ ახალგაზრდობის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ზანგების დაძაბული ბრძოლა განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კვლავ გრძელდებოდა. 1954 წელს უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა სეგრეგაცია სკოლებში, მაგრამ იგი შემდეგაც გრძელდებოდა სამხრეთის შტატებში.

1957 წელს კონგრესმა მიიღო კანონი სამოქალაქო უფლებების შესახებ, რომლითაც ნაფიცმსაჯულთა სასამართლოებს ჯარიმების გადახდის უფლება ეძლეოდათ ზანგთა საარჩევნო უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მაგრამ ამ კანონს რაიმე არსებითი ცვლილება ზანგთა რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობაში არ შეუტანია.

1963 წელს ბირმინგენში მოხდა შეტაკება მშვიდობიან დემონ-

სტრანტებსა და პოლიციელებს შორის. დემონსტრანტები მოითხოვდნენ სეგრეგაციის გაუქმებას; ზანგთა ლიდერები დააპატიმრეს, რასაც ახალი მასობრივი გამოსვლები მოჰყვა. ზანგთა 250 ათასიანი ლაშქრობა მოეწყო ვაშინგტონზე. ზანგთა მოძრაობაში ეს გახდა ერთგვარი შემობრუნების პუნქტი და მან „ზანგთა რევოლუციის" ხასიათი მიიღო. რასიზმის წინააღმდეგ მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა და საყოველთაო მასობრივი ხასიათი მიიღო. მან გადაინაცვლა ჩრდილოეთის შტატებში. მარტინ ლუთერ კინგი[1] ზანგთა აღიარებული ბელადი გახდა.

აღმოცენდა ზანგთა ორი ტრადიციული ორგანიზაცია — ფერადი მოსახლეობის პროგრესის ხელშეწყობის ეროვნული ასოციაცია და ქალაქის ეროვნული ლიგა; შეიქმნა ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფედერაცია. ყველა ეს ორგანიზაცია ფართოდ იყენებდა ბოიკოტს, დემონსტრაციებს და მიტინგებს. 1966 წელს ჰ. ნიუტონის ხელმძღვანელობით შეიქმნა ზანგთა პოპულარული ორგანიზაცია „შავი პანთერები", რომელიც ზანგთა მოძრაობის სათავეში მოექცა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააპატიმრეს. წევრებმა კი რეპრესიები განიცადეს, მაგრამ მათი წინააღმდეგობა ვერ გატეხეს.

კინგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა ზანგთა მოძრაობის შერწყმა დემოკრატიულ მოძრაობასთან. 1968 წლის აპრილში კინგი რასისტების დაქირავებულმა აგენტებმა მოკლეს, რამაც მთელი ამერიკელი და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. სამხრეთის შტატებში მთავრობისა და სასამართლოს დადგენილების მიუხედავად წლების განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა თეთრკანიანი და ზანგი ბავშვების ერთად სწავლებისათვის. რასისტები აწყობდნენ თავყრილობას სკოლებთან და ხოტბას ასხამდნენ რასობრივ სეგრეგაციას. ხშირად ეს გამოხდომები სისხლისმღვრელი შეტაკებებით მთავრდებოდა.

1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ლ. ჯონსონის საშინაო პოლიტიკა. ჯ. კენედის მოკვლის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა. ქვეყანა ჯერ კიდევ „საუკუნის დანაშაულის" აღმაშფოთებელი შთაბეჭდილებებით იყო აღსავსე და ამიტომ მხარი დაუჭირა ახალ პრეზიდენტს. ჯონსონი შეკ-

[1] 1964 წლის ოქტომბერში ნოლვეგიის ტოლტინგმა პარტიზან ლუთერ კინგი ნობელის შშვიდობის პრემიით დაჯილდოვა. პრემია მან თვით ნორვეგიის მეფემ გადასცა.

ბნილ ვითარებაში მისდა უნებურად პარტიის ლიდერი გახდა, რამაც ერთხანს განამტკიცა პარტიის ერთიანობა. ახალ პრეზიდენტს მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინეს კონგრესის ორივე პალატის დეპუტატებმა და ბიზნესმენებმა. ამ უკანასკნელებთან ჯონსონი მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული.

ახალმა პრეზიდენტმა თავის პირველ მიმართვაში კონგრესისადმი განაცხადა, რომ იგი ჯ. კენედის იდეალების მიმდევარი იქნება და მის დაწყებულ საქმეს გააგრძელებს, რომ მოკლული პრეზიდენტის საუკეთესო სახსოვარი იქნება „მოქალაქეობრივი უფლებების“ კანონის მიღება. ჯონსონის ამ განცხადებას დიდი ოვაციით შეხვდნენ კონგრესში. მაგრამ მიუხედავად ამისა, სამხრეთის შტატებისა და ჩრდილოეთის მემარჯვენეების ბლოკმა სენატში ობსტრუქცია მოუწყო აღნიშნულ კანონპროექტს და მასში შესწორებების შეტანით ერთგვარი რეკორდიც კი დაამყარა ქვეყნის ისტორიაში. საბოლოოდ ჯონსონმა მაინც მიაღწია იმას, რომ ჯ. კენედის დროს წარდგენილი კანონპროექტი, გარკვეული ცვლილებებით, კონგრესმა 1964 წლის ივლისში დაამტკიცა. კანონი კრძალავდა რასობრივ დისკრიმინაციას საზოგადოებრივ ადგილებში და ზანგი მუშების სამუშაოზე მიღების ან სამუშაოდან დათხოვნის საქმეში. ჯონსონმა თავის მხრივ კონგრესში შეიტანა კანონპროექტი არჩევნებში ზანგთა დისკრიმინაციის გაუქმების შესახებ.

1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიამ კანდიდატად ლ. ჯონსონი წამოაყენა. ლ. ჯონსონმა „ომი გამოუცხადა სიღატაკეს“ და საარჩევნო კამპანიაში გამოვიდა „დიდი საზოგადოების“ შექმნის პროგრამით, რომელსაც უნდა მოესპო ქვეყანაში არსებული სიღატაკე (პრეზიდენტის აღიარებით 1966 წელს აშშ-ში 28,8 მილიონზე მეტი ღატაკი იყო). ეს იყო ლ. ჯონსონისა და, საერთოდ, დემოკრატიული პარტიის მორიგი წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც ხალხმა დაიჯერა. დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა, რომ იგი იბრძოლებდა რასობრივი თანასწორობის ცხოვრებაში ეფექტურად განხორციელებისათვის. მან გაითვალისწინა რა ამერიკელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისაკენ, არჩევნებში გამოვიდა, როგორც „მშვიდობის პარტია“.

პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ამერიკელი ულტრები, რომლებმაც კანდიდატად წამოაყენეს „ცოფიანთა“ ლიდერი სენატორი ბარი გოლდუოტერი არიზონის შტატიდან. სა-

ყურადღებოა, რომ მემარჯვენეებმა ხელთ იგდეს რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა და გოლდუოტერი პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენეს.

ბ. გოლდუოტერის პროგრამა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას. აშშ-ის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან, „ცივი ომის“ პოლიტიკის გაძლიერებას კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და თვით ბირთვული იარაღის გამოყენებას. იგი მოითხოვდა, რომ სამხედრო უწყებას მინიჭებოდა უფლება დამოუკიდებლად გამოეყენებინა ბირთვული იარაღი, აყენებდა ამ იარაღის შემდგომში მკვეთრი ზრდის პროგრამას და ა. შ.

საშინაო პოლიტიკაში ბ. გოლდუოტერი ზანგი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ გამოვიდა. მისმა მილიტარისტულმა წინასაარჩევნო პროგრამამ ამერიკელი ამომრჩევლების დიდი აღშფოთება გამოიწვია. დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა კანდიდატმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. ლ. ჯონსონმა მიიღო 42.3 მლნ ხმა, ბ. გოლდუოტერმა კი — 26.7 მლნ. ჯონსონმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 62%. ასეთი გამარჯვება უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში არც ერთ პრეზიდენტს არ მოუპოვებია. ფაქტობრივად ეს იყო კენედიზმის და არა პირადად ჯონსონის გამარჯვება. მან სცადა საკუთარი პოლიტიკის ჩამოყალიბება. მაგრამ ინამდვილეში მოუწია კენედის დაწყებული საქმის დამთავრება. უპირველესად განხორციელდა სოციალური ღონისძიებანი. ასეთივე დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს დემოკრატებმა კონგრესის ორივე პალატაში. ზანგთა ზოგიერთმა ლიდერმა აქტიურად დაუჭირა მხარი დემოკრატიულ პარტიას. თანამშრომლობდა მასთან, რადგან მიაჩნდა, რომ მთავრობას შეუძლია ეფექტურად იბრძოლოს რასობრივი თანასწორობის დამყარებისათვის. ზანგთა ორგანიზაციების წარმომადგენლები მთავრობის საუწყებო დაწესებულებებშიც კი შევიდნენ სახელმწიფო მოხელეების საბით.

1965 წელს კონგრესმა მიიღო კანონი შტატებში არსებული მთელი რიგი ცენზების გაუქმების შესახებ, რომელნიც ზანგთა არჩევნებში მონაწილეობას ზღუდავდნენ.

1968 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომლითაც გაუქმდა ბინის დაქირავების დროს დისკრიმინაცია. ვიეტნამის ომმა მნიშვნელოვ-

ნად შელახა დემოკრატიული პარტიის გაელენა და 1966 წელს კონგრესის არჩევნებში მან მარცხი განიცადა.

1968 წლისათვის აშკარა გახდა, რომ ჯონსონის საშინაო პოლიტიკას წარმატება არ ჰქონდა. ვიეტნამის ომმა დამატებითი დარტყმა მიაყენა მისი ადმინისტრაციის პრესტიჟს.

1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 1968 წლის არჩევნების წინ დემოკრატიულ პარტიაში არ იყო ერთიანობა. ლიბერალური ინტელიგენცია აშკარად აკრიტიკებდა ვიეტნამში ამერიკის ომს. დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტის კანდიდატობაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ თვით ლ. ჯონსონი, უ. მაკარტი და რობერტ კენედი. როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა, ლ. ჯონსონმა, რომელსაც მასთან მეტოქეობის იმედი არ ჰქონდა, მოხსნა თავისი კანდიდატურა. რ. კენედი გამოდიოდა ქვეყანაში საჭირბოროტო საკითხების მოგვარების მომხრედ. ხოლო საგარეო დარგში მოითხოვდა ვიეტნამში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. მაგრამ მისი სეთი კურსი არ მოსწონდათ ულტრამემარჯვენეებს, რომლებმაც იგი მოაკლეს ვინეს. დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონის მთავრობაში გ. ჰემფრი, ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად კი — სენატორი ე. მაკი.

რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა რ. ნიქსონის, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად — ს. აგნიუს კანდიდატურა. რ. ნიქსონმა გაითვალისწინა აშშ-ის საშინაო და საგარეო ვითარება და წამოაყენა ლოზუნგი: „კანონი და წესრიგი". ვიეტნამის ომის შესახებ კი რ. ნიქსონი გარკვეულ დაპირებას არ იძლეოდა. არჩევნებში გაიმარჯვა რ. ნიქსონმა, რომელიც გახდა პრეზიდენტი, კონგრესის ორივე პალატაში კი წარმატებას დემოკრატიულმა პარტიამ მიაღწია.

ულტრამემარჯვენეებმა თავიანთ კანდიდატად წამოაყენეს ალაბამის შტატის გუბერნატორი რასისტი და მილიტარისტი ჯ. უოლესი, რომელმაც ამ არჩევნებში 10 მლნ. ხმა მიიღო, რაც იმის მაჩვენებელი იყო, თუ როგორ ღრმად გაიდგა ფესვები რეაქციამ ამერიკაში.

ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საგარეო პოლიტიკა

მთავრობის სათავეში ჯ. კენედის ჩადგომის შემდეგ აშშ-ის „მასირებული შურისგებისა“ და „გლობალიზმის“ საგარეო პოლიტიკური კურსი გადაიხედა და შეიცვალა „ახალი მიჯნების“ პოლიტიკით. მაგრამ ეს არ ნიშნავდა ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და ხასიათის შეცვლას. ეს კურსი მიზნად ისახავდა ამ პოლიტიკის მხოლოდ ლონისძიებების, ფორმების და მეთოდების შეცვლას. კონგრესისადმი პირველსავე მიმართვაში ჯ. კენედი ამ ახალი პოლიტიკური კურსის არსს განმარტავდა. როგორც ცვალებად ამყაროსთან, მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებთან შეწყობისა და ხელმძღვანელობის განმტკიცების კურსს.

ამრიგად, „გლობალიზმის“ საგარეო პოლიტიკა შეიცვალა „მოქნილი რეაგირების“ პოლიტიკით. ეს იმას ნიშნავდა, რომ აშშ-ის მმართველმა წრეებმა საერთოდ უარი თქვეს „ძალის პოზიციაზე“. იქ, სადაც ვერ შეაჩერებდნენ კომუნისტურ რევოლუციას თუ აგრესიას ცენტრისათვის მასირებული დარტყმის ნაცვლად უნდა ეწარმოებინათ ლოკალური ხასიათის ე. წ. „ორ-ნახევარი“ „ორი დიდი და ერთი პატარა ომი“.

ჯ. კენედის მთავრობასაც არ უთქვამს უარი ომის პოლიტიკაზე. ქვეყნის შეიარაღებული ძალების ზრდა ისეთი ფორსირებული ალღით წარიმართა, როგორც არასდროს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და წყალქვეშა გემებიდან გასაშვები „პოლარისის“ რაკეტების წარმოების სწრაფ ზრდას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი ჯ. კენედი ახორციელებდა ე. წ. აქტიურ პოლიტიკას. რომლის არსი იყო მშვიდობიანი პოლიტიკის შერწყმა ომის მუქარასთან, რამაც აშკარა გამოხატულება პოვა კუბის რესპუბლიკის მიმართ. აშშ-მა 1961 წელს გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კუბის მთავრობასთან. 1961 წლის აპრილში აშშ-მა კუბაში, პლაია-ხირონის რაიონში, გადასხა კუბელ ემიგრანტთა დიდი ჯგუფი. მაგრამ იგი განიიარაღებულ იქნა.

ამის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ გაუგონარი ნაბიჯი გადადგა: კუბაში განალაგა საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტები. რომ-

ლებიც აშშ-ზე იყო დამიზნული. ამერიკის თანამგზავრებმა აღმოაჩინეს საბჭოთა ბირთვული რაკეტები კუბაში, საბჭოთა მთავრობის ამ ვანდალურ ნაბიჯებს საპასუხო რეაქცია მოჰყვა. 1962 წლის ოქტომბერში ჯ. კენედის მთავრობამ გამოაცხადა კუბის სამხედრო ბლოკადა, რომელსაც კარანტინი უწოდა. კარიბის ზღვის რაიონში კრიზისი შეექმნა, რამაც მსოფლიო თერმობირთვული ომის საშიშროების წინაშე დააყენა. სამხედრო კონფლიქტი ურთიერთდათმობებისა და გონივრული პოლიტიკის შედეგად იქნა აცილებული. ამასთან, კენედი, რომელმაც კუბის კრიზისის გამო სათანადო დასკვნები გაშოიტანა, დაადგა მოლაპარაკების მეშვეობით კონფლიქტის დაძლევის გზას. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა გამოეტანა თავისი ბირთვული რაკეტები კუბიდან. კარიბის კრიზისის მოლაპარაკების გზით მოგვარებამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის ერთგვარ გაუმჯობესებას. 1963 წელს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება თერმობირთვული იარაღის ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალში გამოცდის აკრძალვის შესახებ. მაგრამ ამერიკაში ხელშეკრულებას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. უპირველეს ყოვლისა მსხვილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელები, რომელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, „წყალბადის ბომბის მამამ“, ტელერმა კენედის მთავრობას ბრალი დასდო, რომ მის მოქმედება აგებულია „მშვიდობის ყალბ იმედებზე“, ხოლო კონგრესს ღია წერილი მისწერა და ზეგავლენის მოხდენის მიზნით აშინებდა მას „საშინელი შედეგებით“, რომლებიც შესაძლოა, მოსკოვის შეთანხმებას მოჰყოლოდა. ტელერი, მილიტარიზაციისა და გამალებული შეიარაღების სხვა მომხრენი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ტელერი აშშ-ის მთავრობის მთავარი კონსულტანტია თერმობირთვულ საკითხში, კონგრესმა ნახარი არ დაუჭირა მას და 1963 წლის 24 სექტემბერს მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ამის შემდეგ მილიტარისტებმა ყალბი კამპანია გააჩაღეს, თითქოს აშშ-ის მთავრობამ მოკავშირეებს გაუმჟღავნა თერმობირვული იარაღის წარმოების საიდუმლოება, ძალების თანაფარდობის გაწონასწორების მიზნით ევროპაში. მათ მხედველობაში ჰყავდათ, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ გერმანია. ვინაიდან ამ კამპანიას მხარს უჭერდნენ პენტაგონი და, ზოგადად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გავლენიანი

წრეები. მოსალოდნელი იყო აშშ-ის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენა.

აშშ-ის მმართველ წრეებში შეშფოთებით შეხვდნენ საფრანგეთის გამოსვლას ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან. შექმნილ ვითარებაში გაბატონებული კლასების ერთი ნაწილი მართლაც იხრებოდა იქითკენ, რათა საფრანგეთის გამოსვლის შედეგად დასუსტებული ნატო გაეძლიერებინათ დასავლეთ გერმანიის ჯარებით და გადაეცათ მისთვის ბირთვული ბომბის საიდუმლოება. მით უმეტეს, რომ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ბირთვული ბომბის დაუფლებას. მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის საყოველთაო აღშფოთების გამო აშშ-ის მთავრობამ ვერ გაბედა ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა. 1968 წლის 12 ივლისს ლ. ჯონსონის მთავრობამ ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, რომლის რატიფიკაცია გაჭიანურდა რ. ნიქსონის მთავრობის შექმნამდე. +

ჯ. კენედის მთავრობამ გამოაცხადა ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი „ახლებურად მიდგომის" კურსი, რომლითაც წინა პლანზე წამოიწია კუბის და სოციალიზმის იდეების წინააღმდეგ ბრძოლამ. აქედან გამომდინარეობდა ჯ. კენედის მთავრობის კერძოს მეორე თავისებურება — სოციალიზმის იდეებისათვის დაპირისპირებინა ბურჟუაზიული რეფორმიზმი. ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი „ახლებურად მიდგომის" კურსი აისახა „აშშ-ის დიდებიანი რევოლუციისა" და „კეშირი პროგრესისათვის" დოქტრინებში.

ახალი პრეზიდენტის მიზანი იყო ათ დაეშვა სოციალიზმის გამარჯვება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ჯ. კენედი ლათინური ამერიკის ჩამორჩენილ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას მიიჩნევდა სოციალური რევოლუციის მთავარ მიზეზად და მისი თავიდან აცილების მიზნით ბურჟუაზიული რეფორმების გატარების მომხრე იყო. თავისი ძირითადი შეხედულებანი ჯ. კენედიმ ჩამოაყალიბა 1961 წლის 13 მარტს, თეთრ სახლში აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაზე. აქ ჯ. კენედიმ განაცხადა, რომ დასავლეთის ნახევარ ფერი[illegible] „ნიგბოლ[illegible] შეეკმნა და ლათინუ-

1950 წლის იანვარში, ფიდელ კასტროს რევოლუციონერებმა საბჭოთა კავშირის ფარული მხარდაჭერით ი. ბატისტას დიქტატორული რეჟიმი დაამყარეს თავისი ხელისუფლება, რომელმაც სოციალიზმის შენებლობა გამოაცხადა და თავისი პირადი დიქტატურა დაამყარა.

რი ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეებს მოუწოდა ახალ კავშირში გაერთიანებულიყვნენ. ჯ. კენედიმ ეკონომიკური განვითარების ათწლიანი გეგმა წამოაყენა. ამ შეხვედრის მეორე დღესვე პრეზიდენტმა კონგრესს გაუგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც მოითხოვდა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას. რათა ხალხს კომუნიზმი არ მიეჩნია ხსნის ერთადერთ საშუალებად. ჯ. კენედის ამოცანა იყო შეესუსტებინა კუბის რევოლუციის გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, გზა მიეცა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, რათა გაეტარებინა რეფორმები, წასულიყო დათმობებზე და ბურჟუაზიული წყობილება განემტკიცებინა. ჯ. კენედის პოლიტიკამ მხარდაჭერა პოვა ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიბერალურ და რადიკალურ წრეებში, რომელნიც იმედოვნებდნენ, რომ დახმარების გზით განახორციელებდნენ ძველი საწარმოო ძალების „პროგრესულ ევოლუციას". ამ გეგმას ეწოდა „კავშირი პროგრესისათვის". „კენედის გეგმა" მათ მიიღეს, როგორც აშშ-ის დაპირება, რომ დაეხმარებოდა ამ ქვეყნების ეროვნული კაპიტალიზმის განვითარებას. რაც შეეხება ლათინური ამერიკის დიქტატორებს და რეაქციულ წრეებს, ისინი შეშფოთებით შეხვდნენ კენედის გეგმას. ჯ. კენედის გეგმით დახმარებას ღებულობდნენ ის ქვეყნები, სადაც დემოკრატიული რეჟიმი იყო. აშშ-ის მმართველი წრეები დათანხმდნენ ამერიკის საერთაშორისო ბანკის შექმნასა და დახმარების გაზრდაზე, კერძოდ, 10 წლის განმავლობაში ლათინური ამერიკისათვის სესხად უნდა მიეცათ 20 მლრდ. დოლარი. ლათინური ამერიკის ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ 80 მლრდ. დოლარი გაეღოთ. „კენედის გეგმის" თანახმად აუცილებელი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. აშშ-ის მხრივ დიდმნიშვნელოვანი დათმობა იყო სახელმწიფო სექტორისათვის მხარდაჭერა და ისეთი სფეროების დაფინანსებაც კი, რომელნიც ადრე არახელსაყრელად მიაჩნდათ — საბინაო მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა. შ. კენედი ამტკიცებდა, რომ ლათინურ ამერიკას შეუძლია და კიდეც უნდა წავიდეს ევოლუციის და არა რევოლუციის გზით. აქედან გამომდინარეობდა მისი პროგრამის იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანები. აშშ-ის მმართველი წრეების აზრით, „კავშირი პროგრესისათვის" ერთგვარი ნიმუში უნდა გამხდარიყო სხვა განვითარებადი ქვეყნებისათვის და ომი ორ იდეოლო-

გიას შორის სუსტად განვითარებადი ქვეყნების განვითარების გზების შესახებ უნდა მოეგო აშშ-ს.

პროგრამის საფუძველზე აშშ-ის მთავრობამ ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი დახმარებისათვის თავდაპირველად 4,5 მლრდ. დოლარი გამოყო. ამ პროგრამამ მართლაც გააძლიერა ლიბერალური ძალების გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

აფრიკისა და აზიის ხალხების მიმართ ამერიკის მმართველმა წრეებმა გამოიგონეს ა. წ. „მშვიდობის კორპუსი", რომელიც ასევე დახმარებას ითვალისწინებდა.

მშვიდობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა კომუნისტური აგრესიის შედეგად გაჩაღებული ომი ინდოჩინეთში. 1964 წლის 7 აგვისტოს კონგრესმა მიიღო ე. წ. „ტონკინის რეზოლუცია", რომლითაც პრეზიდენტს უფლება მიეცა შეიარაღებული ძალების გამოყენებისა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ხოლო 1965 წლის დასაწყისიდან აშშ-მა დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა; სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნა ჯარი, რომლის რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1968 წლისათვის ნახევარ მილიონ კაცს გადააჭარბა.

§ 6. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება ეკონომიკური განვითარება 60—70-იან წლებში მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის მასობრივად დანერგვა წარმოებაში.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება. ტერმინი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი პირველად იხმარა პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა 1961 წლის იანვარში გამოსათხოვარ სიტყვაში, როდესაც იგი პრეზიდენტი ბოლტ. ტოვებდა. 3.ნ აღნიშნა, რომ აშშ-მა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნა კოლოსალური სამხედრო მრეწველობა, რომელშიც ჩამბული იყო 3.5 მილიონი მამაკაცი და ქალი.

კოლოსალური სამხედრო-ადმინისტრაციული მანქანის შერწყმას უდიდეს სამხედრო ინდუსტრიასთან ეიზენჰაუერმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უწოდა, რომლის ტოტალური გავლენა იგრძნობოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაშიც; ეიზენჰაუერმა ხაზი გაუსვა იმ საშიშროებას, რომ ამ სამხედრო-

სამრეწველო კომპლექსს „ნებსით თუ უნებლიეთ შეუძლია უკონტროლო გავლენას მიაღწიოს“.

საყურადღებოა, რომ ომამდელი ამერიკა არ წარმოადგენდა მილიტარისტულ სახელმწიფოს. 1939 წლის ზაფხულისათვის მას ჰყავდა მხოლოდ 9 ქვეითი დივიზია და 2400 თვითმფრინავი. მაგრამ მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ამერიკა გახდა იარაღის მწარმოებელი. იარაღის წარმოება დიდი ბიზნესი გახდა.

ომის დროს შექმნილი სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი არამც თუ ძალაში რჩებოდა, პირიქით, იზრდებოდა. იზრდებოდა სამხედრო ხარჯებიც, რომლებმაც ომისდროინდელ დონესაც კი გადააჭარბეს. ომის დამთავრებიდან 25 წლის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო ხარჯებმა 1 000 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სამხედრო ხარჯები განსაკუთრებით იზრდებოდა 60-იანი წლებიდან ნ. ხრუშჩოვის მიერ ნიუ-იორკში გაეროს სხდომაზე წამოროშილი მუქარის შემდეგ ამერიკელი ხალხისადმი: „ჩვენ დაგმარხავთ თქვენ!“ ამრიგად, ქვეყნის მილიტარიზაციამ წარმოშვა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი წარმოადგენს თანამედროვე მილიტარიზაციის პოლიტიკის, ეკონომიკისა და იდეოლოგიის ურთიერთშერწყმულ მჭიდრო კავშირს. მასში გაერთიანებულია სამხედრო-ადმინისტრაციული, სამხედრო-სამრეწველო ინდუსტრიის, მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიის და რეაქციის ყველა წარმომადგენელი. სამხედროში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პენტაგონი თავისი ორგანოებით და სახელმწიფო აპარატის ის ორგანოები, რომელნიც მონაწილეობენ ქვეყნის სამხედრო პოლიტიკის შემუშავებაში.

60—70-იან წლებში აშშ-ში უფრო მკვეთრად გამოვლინდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა მხარე, მისი გავლენის ზრდა მთავრობის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. 50-იანი წლების პირველ ნახევარში სამხედრო ბიუჯეტი საშუალოდ 36 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1961 წელს — 47,4, ხოლო 1974 წელს — 81,0 დოლარს. 20 წლის განმავლობაში (1950—1970 წლებში) მთავრობის ბიუჯეტი 40-დან 200 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, მათ შორის სამხედრო ხარჯები კი — 40-დან 80 მილიარდ დოლარამდე. 70—80-იან წ. წ. ყოველწლიურმა სამხედრო ხარჯებმა 300 მილიარდ დოლარს მიაღწია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აშშ-ის მუშათა კლასის სტრუქტურული ცვლილებები. 50-იანი წლების განაკუთვრებით კი შუა პერიოდი კაპიტალისტურ ქვეყნებში, აღმოჩნდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დასაწყისით. მეცნიერული აღმოჩენები და ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობდა ამრეწველო წარმოების ზრდას და თავის მხრივ გაღლენას ახდენდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე. იქმნებოდა და აწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის (ატომის, ელექტრონიკა, რაკეტული, სინთეტური მასალების წარმოების) ახალი დარგები. ნელი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის [illegible] დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ მილიტარიზაციასთან. კერძოდ, ელექტროენერგიის, ბირთვული, რაკეტული და ა. შ. კაპიტალური დაბანდებანი ბირთვულ წარმოებაში ინახავდა მასშტაბებით იზრდებოდა.

50-იანი წლებიდან აშშ-ში იწყება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის დაფინანსების ზრდა. მაგალითად, თუ 1950 წელს გათვალისწინებული იყო 3 მილიარდი დოლარი, 1968 წლისათვის ამ ხარჯებმა 25 მლრდ. დოლარს მიაღწია. ჩვეულებრივ მოცულობად იქცა სხვა ქვეყნებიდან მეცნიერულ-ტექნიკური სპეციალისტების გადაბირება, რამაც გარკვეული გაღლენა მოახდინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროგრესზე.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოების მართვის აპარატის გარდაქმნაც გამოიწვია და მართვის ეფექტურობისათვის ბრძოლა იმდენად დიდ ბიზნესად გადაიქცა, რომ 60-იან წლებში მას ხელი მოკიდეს სპეციალიზებულმა ფირმებმა.

მეცნიერების შეჭრამ წარმოებაში გაზარდა მეცნიერთა რიცხვი და მათი კადრების მომზადება აშშ-ში. გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში. 1945 წელს აშშ-ში იყო 1,1 მლნ. სტუდენტი, 1970 წელს კი — 7,3 მლნ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დააჩქარა კაპიტალისტური საკუთრების ფორმის სახელმწიფო-მონოპოლისტური მიმართულებით განვითარება, რის შედეგად ხდება საკუთრების გასახელმწიფოებრივება. უმსხვილესი კორპორაციები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან და წამყვანი პოზიციები უკავიათ ეკონომიკაში. მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციის შედეგად კორპორაციებს სახელმწიფოს მეშვეობით უკეთესი შესაძლებლობები აქვთ მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და სოციალური პრობ-

ლემების გადაჭრისათვის. ამის შედეგად კაპიტალისტური საკუთრების ინდივიდუალური ფორმა იცვლება სააქციონერო. შემდეგ სააქციონერო-მონოპოლისტურ და ბოლოს სააქციონერო-სახელმწიფოებრივ საკუთრებად. კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ საკუთრებრივი ურთიერთობის საფუძვლად გადაიქცა სახელმწიფო-მონოპოლისტური სტრუქტურა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შედარებით წვრილი საწარმოები არ არსებობენ. მაგალითად, 1964 წელს აშშ-ში მეურნეობის ყველა დარგში იყო 11.489 ათასი საწარმო, აქედან — 1374 სააქციონერო საზოგადოება. 922 ათასი საპაიო კომპანია და 9193 ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. შეიქმნა ახალი ფორმა „კონგლომერატი", რომლის დროსაც ხდება ისეთი კომპანიების გაერთიანებაც, რომელნიც წარმოების პროცესით ერთმანეთთან ნაკლებად ან საერთოდ არ არიან დაკავშირებული.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ აშშ-ში შეამსუბუქა ადამიანის შრომა, მოახდინა მრავალი საწარმოო პროცესის ავტომატიზაცია. წარმოშვა ხარისხობრივი ძვრები მეცნიერებაში, ტექნიკაში და მრეწველობაში. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია წარმოების მანამდე არნახული ტემპებით განვითარება. მაგალითად, თუ 1950—1960 წლებში წარმოება გაიზარდა 45 პროცენტით, 9 წლის განმავლობაში კი (1960—1969 წლებში) — 56,5 პროცენტით. ახალი ტექნიკის დანერგვა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად თვითღირებულებას ამცირებს პროდუქციაზე, იწვევს მუშათა რაოდენობის შემცირებას. მართალია, მუშათა რაოდენობა მცირდება, მაგრამ ისინი უფრო მეტს აწარმოებენ, კაპიტალისტები კი მეტ მოგებას ნახულობენ.

აშშ-ის მიერ წარმოებული საერთო ეროვნული პროდუქციის ღირებულება 1945 წელს 213 მილიარდ დოლარს შეადგენდა. 1970 წლისათვის კი იგი 900 მილიარდამდე გაიზარდა. 1989 წელს კი 20 ტრილიონი დოლარი შეადგინა. მაგრამ ეს უზარმაზარი სიმდიდრე ხალზე არათანაბრად ნაწილდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. სიმდიდრის ძირითადმა ნაწილმა თავი მოიყარა ერთი მუჭა მილიონერების ხელში. მაგალითად, 1990 წელს მოზრდილი მოსახ-

ლეობის 1,4 პროცენტი ფლობდა აქციების 85 პროცენტზე მეტ- და ობლიგაციების 80 პროცენტს. 200 ათასი კომპანიიდან 350 გიგანტური კორპორაციის კონტროლია ქვეშა ამერიკა წარმოებისა 60 პროცენტი. აშშ-ის 20 ყველაზე ნახევარი კომპანიის ხელთა ნოგება 500 კომპანიის მოგება უფრ ილა.

ომის შემდგომ ამერიკაში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მანამდე არნახული მასშტაბებით წინდინარეობდა, რის შედეგად უფრო დიდი კომპანიები წითანქვეენ მეტოქეებს. აღმოცენდნენ გიგანტური, მანამდე არნახული მასშტაბით, ახალი მრავალდარგიანი ტიპი, და საერთაშორისო ნაწილენელობის მონოპოლისტური გაერთიანებანი.

1948- 1965 წლებში ალეთი ახლა მონოპოლიებმა შეადგინეს 800 კომპანია. რომელთაგან თითოეული ფლობდა ათეულ და უფრო მეტ მილიონ დოლარს. უდიდესი სამი ელექტრონიკილო კონცერნი: „ჯენერალს მოტორსი“, „ფორდი“ და „ქრაისლერი“ კონტროლ უწევენ მთელი ავტომანქანების გამოშვების 95 პროცენტს. 1965 წელს მარტო „ჯენერალს მოტორსმა“ ხელთანადო გადასახადის დაფარვის შემდეგ 2 მილიარდი დოლარი მოგება მიიღო, რაც ამერიკის 50 შტატიდან 48 შტატის მოგებას აღემატება. ამაგე „ჯენერალს მოტორსის“ რეალიზებული პროდუქცია უფრო ნეტია, ვიდრე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შენარეული. გარდა 9 ეროვნ- სამრეწველო ქვეყნისა. სამი კომპანიის ხელშია აშშ-ის ალუმინ ის კარმოების 90 პროცენტი. ასევე ამ კომპანიის ეკუთვნის ფოლადის ჩამოსხმის 60%, ხოლო ოთხი ფირმის ხელშია სპილენძის მთელი წარმოება და ა. შ.

ავტომატიზაცია კაპიტალისტურ პირობებში ბუშათა კლასისათვის მთელ რიგ რთულ პრობლემებს წარმოშობს. იგი დაკავშირებულია კვალიფიკაციასთან. ატრუქტურულ ცვლილებებთან, სამუშაო ძალის წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროში გადაყვანასთან, ექსპლუატაციის გაძლიერებასა და სამუშაოთი უზრუნველყოფასთან და ა. შ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გავლენას ახდენდა მუშათა კლასის პროფესიულ-ტექნიკურ შემადგენლობაზე და იწვევდა ცვლილებებს. მუშათა ძველი ტრადიციული პროფესიების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭირო აღარ იყო. შეიქმნა ახალი პროფესიები, რომლებიც სპეციალურ მომზადებასა და განათლების მაღალ დო-

ნეს მოითხოვდნენ. ავტომატიზაცია საჭიროებდა ინჟინერ-ტექნიკური კადრების სწრაფ ზრდას და მოთხოვნა არაკვალიფიციურ და ნახევრადკვალიფიციურ მუშებზე მნიშვნელოვნად შემცირდა. 1956 წელს შრომის სამინისტრომ უკვე აღრიცხა სამუშაოს ახალი 375 სახე.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ კიდევ უფრო დააჩქარა პროგრესული პროცესი სამუშაო ძალის სტრუქტურაში. აშშ-ის მოსახლეობა 1974 წლისათვის გაიზარდა 211.7 მილიონ კაცამდე. ე. ი. 1.5-ჯერ მეტად 1945 წელთან შედარებით. სოფლად მექანიზაციის და ენერგეტიკის განვითარებამ და დანერგვამ გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. თუ 1950 წელს სოფლის მოსახლეობა 7.5 მლნ. შეადგენდა, 20 წლის შემდეგ იგი 3.1 მლნ. კაცს უდრიდა. სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო რაიონების მოსახლეობის რაოდენობა.

ომის შემდგომი ამერიკის კიდევ ერთი დემოგრაფიული თავისებურებაა ის, რომ სწრაფად იზრდება ქალაქთა გარეუბნები, რომლებსაც ავსებენ „საშუალო კლასები“ და ის პირები, რომელთაც შედარებით მაღალი შემოსავალი აქვთ და შეუძლიათ ქალაქგარეთ, ანუ, როგორც აშშ-ში უწოდებენ, „საბერბიებში“ განვადებით იყიდონ სახლები და საკუთარი მანქანებით იარონ ქალაქებში სამუშაოზე. საყურადღებოა, რომ 60-იანი წლების დამლევს ქალაქგარეთ თითქმის იმდენივე მცხოვრები იყო, რამდენიც ქალაქად. 20 წლის განმავლობაში ქალაქგარეთ მოსახლეობა გაიზარდა 30 მილიონით, ქალაქად — 15 მილიონით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ გაიზარდა არაწარმოებრივი სამუშაო ძალის რაოდენობა.

„საბერბიებში“ მცხოვრები „საშუალო კლასის“ მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა წამოაყენეს კლასობრივი განსხვავების თანდათანობით გაქრობის თეზისი. აშშ-ში შემოიღეს ახალი ტერმინები: მუშებს, რომელნიც მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობენ, ეწოდებათ „ცისფერსაყელოიანები“, ხოლო მომსახურებაში „თეთრსაყელოიანები“. 1955 წლიდან „თეთრსაყელოიანთა“ რიცხვი უკვე სჭარბობდა „ცისფერსაყელოიანთა“ რაოდენობას. 1960 წელს „თეთრსაყელოიანთა“ რაოდენობა აღწევდა 28,7 მლნ. კაცს, „ცისფერსაყელოიანთა“ კი — 24.2 მლნ. კაცს. ათი წლის შემდეგ ეს რაოდენობრივი განსხვავება

კიდევ უფრო გაიზარდა და პირველი შეადგენდა 38, ხოლო მეორე - 28.7 მლნ. კაცს. ამერიკის სოციოლოგებმა და ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა წამოაყენეს მუშათა კლასის გაქრობისა და მისი ინჟინერ-ტექნიკურ ინტელიგენციად თანდათანობით გადაქცევის თეზისი. ამით ამერიკის სოციოლოგებს სურთ დაამტკიცონ, თითქოს ამერიკის საზოგადოება უკლასოა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა საბუშაო ძალის კვალიფიციურ სტრუქტურაში. ოცი წლის განმავლობაში (1950 1970 წწ.) კვალიფიციურ მუშათა რაოდენობა აშშ-ში მკვეთრად გაიზარდა. 1965 წლისათვის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მაღალკვალიფიციური მუშების ხვედრითი წონა უკვე 47 პროცენტს შეადგენდა, ხოლო არაკვალიფიციური მუშების რიცხვი იმავე პერიოდში 13 მილიონიდან 3—4 მილიონამდე შემცირდა. წარმოების ზოგიერთ დარგში მხოლოდ უმაღლესდამთავრებულნი მუშაობენ.

ამრიგად, აშშ-ის მუშათა სოციალურ სტრუქტურაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მომხდარ ცვლილებებზე ლაპარაკისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა კლასის არა გაქრობა, არამედ მისი სტრუქტურული ცვლილებები და არაკვალიფიციური მუშების რაოდენობის შემცირება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფართოვდება იმ პირების რაოდენობა, კერძოდ ინტელიგენციის, ე. წ. „აშუალო ფენების“, რომელნიც მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციის შედეგად შრომის პირობებითა და ინტერესებით მშრომელთა ფენებს უახლოვდებიან. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის სოციოლოგები „დეპროლეტარიზაციის“ არსებობას ამტკიცებენ, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გაზარდა ექსპლოატირებულთა რიცხვი მოსახლეობის იმ ფენების ხარჯზე, რომლებიც ობიექტურად და სუბიექტურად მუშათა კლასს არ ეკუთვნოდნენ.

თუ მთელი 20 წლის განმავლობაში (50 -70 წლები) აშშ-ში იგრძნობოდა ინჟინერთა და მეცნიერ-მუშაკთა ნაკლებობა, 70-იან წლებში უკვე „სიჭარბე“ შეიმჩნევა. 1971 წელს მიიღეს საკანონმდებლო აქტები, რომელნიც ზღუდავდნენ აშშ-ში სპეციალისტთა იმიგრაციას. წესით აშშ-ში სპეციალისტს მხოლოდ მიწვევით შეუძლია ჩავიდეს.

მეცნიერთა და ინჟინერთა სიჭარბემ 70-იანი წლების დასაწყის-

ში გამოიწვია სახელმწიფოს მიერ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების შემცირება.

სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა გარკვეულ პროგნოზს ეყრდნობა, რომლითაც მოთხოვნებსა და რაოდენობას შორის თანაფარდობა მეცნიერებსა და ინჟინრებზე 1980 წლისათვის დაირღვა რაოდენობის სასარგებლოდ; მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობამ გადააჭარბა მოთხოვნებს 10—13 პროცენტით.

საწარმოო ძალების და საზოგადოების შემდგომი წინსვლა და განვითარება, სადაც არ უნდა ხდებოდეს იგი, განუხრელად მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, მაღალკვალიფიციური კადრებისა და მეცნიერთა მომზადებისათვის დაფინანსების ზრდასა და მისი სტაბილობის უზრუნველყოფას.

სტუდენტთა მოძრაობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია ცვლილებები სოციალურ სტრუქტურაში, გაზარდა რიცხვი მოსახლეობის იმ ფენების ხარჯზე, რომელნიც ადრე არც ობიექტურად და არც სუბიექტურად არ ეკუთვნოდნენ მუშათა კლასს, და უშუალო გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე — მუშათა, სტუდენტთა და ზანგთა მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე. ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად გაფართოვდა მშრომელთა სოციალური ბაზა, ამ ახალი ფენების სოციალური პროტესტის მოძრაობაში ჩაბმამ ერთგვარი თავისებური ხასიათი მისცა მას. იგი უფრო არაორგანიზებული ხასიათისა იყო.

60-იან წლებში მშრომელთა ამ ახალი ფენების პროტესტის ერთგვარ გამომხატველად გამოვიდა „მშფოთვარე ახალგაზრდობა". აშშ-ის მმართველი წრეების ყოველგვარმა ცდებმა, რომ ახალგაზრდობა „მორჩილი ყოფილიყო", მარცხით დამთავრდა. 40—50-იანი წლების მაკარტისტული რეაქციისდროინდელი „მორჩილი" ახალგაზრდობა 60-იან წლებში შეცვალა „მშფოთვარე" ახალგაზრდობამ. ახალგაზრდობის მოძრაობა 60-იანი წლების დამდეგს ჯერ პასიურად დაიწყო, შემდეგ თანდათანობით აქტიურდებოდა და მალე გადაიზარდა აქტიურ წინააღმდეგობაში. ახალგაზრდობის ხვედრითი წონა 70-იან წლების ამერიკის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ დროისათვის 24 წლის ასაკამდე მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნახევარს. ამიტომ იყო, რომ ამერიკის მთელი არსებობის მანძილზე მმართველი წრეები

ახალგაზრდობის პრობლემას არ უთმობდნენ ისეთ ადგილს, როგორც ამჟამად, როდესაც ახალგაზრდობა უკვე პოტენციურ ამომრჩეველს შეადგენდა[1]. მეორე მხრივ კი უშუალოდ ამ მოძრაობის გაქანებით იყვნენ დაშინებული. 60-იანი წლების „მშფოთვარე" ახალგაზრდობამ მოითხოვა ქვეყანაში არსებული ცხოვრების წესის და ქვეყნის პოლიტიკური კურსის მთლიანი შეცვლა. სტუდენტთა მოძრაობა რადიკალურად გამოხატავდა ინტელიგენციის ოპოზიციურ განწყობილებას.

შეძლებული ბურჟუაზიული ოჯახიდან გამოსული უსაქმური და ცხოვრებისაგან განებივრებული სტუდენტი „ჰიპების" გარდა, სტუდენტთა ძირითადი მასა გამოსულია ე. წ. „თეთრსაყელოიანთა" და „ცისფერსაყელოიანთა" ოჯახებიდან. პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ-ის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში 400 ათასამდე ახალგაზრდა სწავლობდა. 1960 წლისათვის — 3580 ათასი, 1970 წლისათვის კი — 8 მილიონი. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა ადრე, როგორც წესი, დიდი და საშუალო შეძლების ოჯახებიდან იყო, ამჟამად კი, მიუხედავად სწავლის მაღალი ქირისა[2] მშრომელთა ოჯახიდან გამოსული სტუდენტობა შეადგენს 25—30 პროცენტს. სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის შეცვლამ ხელი შეუწყო მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდას. ბევრი დიდი კოლეჯი და უნივერსიტეტი ათიათასობით მოსწავლესა და სტუდენტს ითვლის, ამიტომ მღელვარება „სტუდენტთა ქალაქებში" უდიდეს მასშტაბებს აღწევს. თუ ადრე სტუდენტებს და მოსწავლეებს უყურებდნენ, როგორც პასიურ მასას, 60-იან წლებში, როდესაც სტუდენტობა ერთგვარ დიდმნიშვნელოვან მეამბოხე ფენად გადაიქცა, იგი საშიში გახდა.

სტუდენტთა მოძრაობა თავდაპირველად სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ამ მოძრაობაში გავლენის მოპოვებას შეეცადა მთავრობასთან ახლო მდგომი „სტუდენტთა ეროვნული ასოციაცია", რომელიც წარმოდგენილი იყო ყველა ცენტრალურ უნივერსიტეტსა და კოლეჯებში და თავის რიგებში 1 მლნ-მდე წევრს აერთიანებდა. ეს

---

[1] 1968 წლის არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩეველები შეადგენდნენ 11,5 მლნ. კაცს.

[2] კერძო კოლეჯებში ყოველწლიური გადასახადი საშუალოდ შეადგენს 2800 დოლარს, სახელმწიფო კოლეჯებში — 1800 დოლარს, უნივერსიტეტებში — 4000 დოლარს.

ორგანიზაცია ცდილობდა სტუდენტთა მოძრაობაზე კონტროლის დაწესებას. მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ ამ ორგანიზაციას კავშირი აქვს მთავრობასთან და ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსთან, მისი გავლენა სტუდენტთა შორის დაეცა. სტუდენტთა მასა დიდ ინტერესს იჩენდა ისეთი მოვლენების შესწავლისა და ღრმად გაგებისადმი, რომელთაც ადრე ყურადღებას არ აქცევდა. განსაკუთრებით ისეთი ნაწარმოებების შესწავლისადმი, რომლებიც სტუდენტობას პროტესტის გრძნობას უნერგავდნენ. სტუდენტთა შორის წინათ პოპულარული იყო ცნობილი წვრილბურჟუაზიული რადიკალების და იდეოლოგების — სოციოლოგ რ. მილსის, ფილოსოფოს გ. მარკუზის და სხვების იდეოლოგია.

სტუდენტთა გამოსვლების ორგანიზატორები გახდნენ „ახალი მემარცხენეები", რომელთა ინიციატივით შეიქმნა სტუდენტთა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები. მათ შორის აღსანიშნავია „არაძალადატანებითი მოქმედების სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტი", რომელიც შეიქმნა 1960 წელს, და „დემოკრატიული საზოგადოების მომხრე სტუდენტები". „ახალი მემარცხენეების" იდეები ყველაზე მკვეთრად სწორედ სტუდენტთა ამ ორ საზოგადოებაში გამოვლინდა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა 60-იანი წლების ამერიკელი ახალგაზრდობის ოპოზიციურ მოძრაობაში.

„არაძალადატანებითი მოქმედების სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტი" თავდაპირველად აღმოცენდა, როგორც მოქალაქეობრივი თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია. იგი მალე მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა და თავის რიგებში ძირითადად ღარიბი ოჯახიდან გამოსულ ზანგ სტუდენტობას აერთიანებდა. სამხრეთის შტატებში ამ ორგანიზაციის წევრებს ერთგვარი ფორმაც კი გააჩნდათ — ლურჯი ჯინსები და მზის საწინააღმდეგო სათვალე. თავდაპირველად ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში შავკანიანი და თეთრკანიანი სტუდენტები ერთად იყვნენ, შემდეგ კი იგი წმინდა ზანგთა ორგანიზაციად გადაიქცა. ეს ორგანიზაცია მონაწილეობდა სკოლაში სწავლების დესეგრეგაციის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. არჩევნებში ზანგთა აქტიურად ჩაბმისათვის და ა. შ., რის გამოც იგი ავტორიტეტულ და მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა. მაგრამ ამ ორგანიზაციაში თანდათანობით ნაციონალის-

ტური მიმართულება გაძლიერდა და არაზანგ სტუდენტობაში ყოველგვარი გავლენა დაკარგა.

1962 წელს შეიქმნა სტუდენტთა მეორე ორგანიზაცია — „დემოკრატიული საზოგადოების მომხრე სტუდენტები", რომელიც თავის რიგებში მხოლოდ თეთრკანიან სტუდენტობას აერთიანებდა. ამ ორგანიზაციის პროგრამაში ნათქვამია: საკუთრებაზე დაფუძნებული ხელისუფლების შეცვლა ისეთი ხელისუფლებით, რომლის „დასაყრდენი იქნება სიყვარული, აზროვნება, გონიერება და შემოქმედება". „ჩვენს წინაშე ორ ძირითად ამოცანას ვაყენებთ: პირველი — პირად მონაწილეობას იმ სოციალური საკითხების გადაჭრაში, რომლებიც განსაზღვრავენ მნიშვნელოვან მხარეებს და მიმართულებებს ადამიანის ცხოვრებაში, მეორე — რათა საზოგადოება ისეთნაირად იყოს ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის დამოუკიდებლობას."

„ახალი მემარცხენეების" სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მათი მოწოდებები და გამოსვლები არ იყო განმტკიცებული მტკიცე პოლიტიკური პროგრამით. მაგრამ 60-იან წლებში სტუდენტთა ფართო მოძრაობის მნიშვნელობა ის იყო, რომ ჩაიშალა აშშ-ის რეაქციული წრეების ცდები, „მორჩილი" ახალგაზრდობა აღეზარდათ და საერთო-დემოკრატიული მოძრაობა შეეფერხებინათ.

რესპუბლიკური პარტიის მთავრობების საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1968—1976 წწ.

რ. ნიქსონის და ჯ. ფორდის მთავრობების საშინაო პოლიტიკა. 1968 წლის არჩევნებში დემოკრატებმა მარცხი განიცადეს და პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი რ. ნიქსონი. ახალმწიფოში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო: აგრესია ვიეტნამში, ინფლაცია, ზანგთა ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის და „ს. ოაც დაძაბულ ატმოსფეროს ქმნიდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ფართოდ რეკლამირებული „ომი სიღატაკეს" და „დიდი საზოგადოების" აგება უმნიშვნელო შედეგებით დამთავრდა. უდიდესი „ამხედრო ხარჯების გამო სოციალური ხარჯები ყოველწლიურად მცირდებოდა.

1970 წელს ჩატარდა კონგრესის ორივე პალატის ნაწილობრივი არჩევნები და, მიუხედავად თვით პრეზიდენტის აქტიური მონაწი-

ლეობისა. ეს არჩევნები რესპუბლიკური პარტიის დამარცხებით დამთავრდა. დემოკრატებმა გაიმარჯვეს და ორივე პალატაში დეპუტატთა დიდ უმრავლესობას მიაღწიეს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ნიქსონის, შემდეგ კი ფორდის ადმინისტრაცია მიმართავდა სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების მეთოდებს, რომელიც მიზნად ისახავდა კერძო კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას. მაინც გამომჟღავნდა რესპუბლიკური პარტიის „ნეოკონსერვატიზმი", კენედ-ჯონსონის „ნეოლიბერალიზმისაგან" განსხვავებით.

რესპუბლიკური პარტიის „ნეოკონსერვატიზმმა" თავისი გამოხატულება პოვა შემდეგ ღონისძიებებში. 1971 წლის აგვისტოში ნიქსონმა „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე" გადასვლა გამოაცხადა, რომელიც 1973 წლამდე ოთხ ფაზად უნდა განხორციელებულიყო. ფაქტობრივად ამ ღონისძიების მთავარი ამოცანა იყო ფასებისა და ხელფასის ზრდის შეჩერება და ეკონომიკის ზრდის შეგნებულად დამუხრუჭება. რ. ნიქსონის საგანგებო განკარგულებით მარტო სამი თვის განმავლობაში (1971 წლის სექტემბერ-ნოემბერში, ე. ი. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირველი ფაზის დროს), აიკრძალა 353 გაფიცვა, რომელიც ხელფასის გაზრდას მოითხოვდა. მთავრობის ამ ღონისძიებებმა მხოლოდ ხელფასის ზრდა შეაჩერა, ფასების ზრდის შეჩერება კი ვერ შეძლო. 1972 წელს მთავრობის მიერ გატარებულ დოლარის დევალვაციამ უფრო მეტად გააუარესა ხალხის მდგომარეობა. 1974 წლის აპრილში მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა კონტროლი ხელფასსა და ფასებზე. შემდეგ წლებში აშშ-ის მთავრობა ეკონომიკური სტიმულირების მიზნით ამცირებდა გადასახადებს და ზრდიდა სამოქალაქო ხარჯებს. ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგები გამოიღო.

1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და შინაპოლიტიკური წინააღმდეგობის გამწვავება. 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას დემოკრატიულმა პარტიამ კანდიდატად წამოაყენა ჯონ მაკგოვერნი. მან მიიმხრო მემარცხენე დემოკრატები და საყურადღებო განცხადება გააკეთა ვიეტნამში ომის შეწყვეტის, შეიარაღების შემცირების, ღარიბთათვის დახმარების გაზრდის შესახებ და ა. შ. მაგრამ მაინც ამ განცხადებამ დემოკრატიული პარტიის მემარჯვენეების უკმაყოფილება გამოიწვია. მათი მხარდაჭერაც რომ მოეპოვებინა, მაკგოვერნმა მანევრირება დაიწყო ურთიერთსაწინააღმდეგო

განცხადებებით, რამაც მემარცხენეებში დაუკარგა ავტორიტეტი. ასე, რომ მაგკოვერნმა ვერც მემარცხენეებისა და ვერც მემარჯვენეების მტკიცე მხარდაჭერა ვერ პოვა.

რესპუბლიკურმა პარტიამ კანდიდატად კვლავ რ. ნიქსონი წამოაყენა, რომლის პოზიციები 1972 წლისათვის მნიშვნელოვნად განმტკიცდა საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელებასთან დაკავშირებით — მის არსენალში იყო მოლაპარაკებები და ხელშეკრულებანი სსრ კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აშშ-ის ჯარის გამოყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან და დაპირება ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტისა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

არჩევნებში გაიმარჯვა რ. ნიქსონმა, რომელმაც მიიღო 46 მლნ-ზე მეტი ხმა (ე. ი. არჩევნებში მონაწილეთა 61%). ვიცა-პრეზიდენტად აირჩიეს ს. აგნიუ.

დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა მაკგოვერნმა მიიღო 28,620 ათასი ხმა (38%).

კონგრესის ორივე პალატის არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ. ამრიგად, აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფებოდა რესპუბლიკური პარტიის, საკანონმდებლო კი — დემოკრატიული პარტიის ხელში, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა რ. ნიქსონის მთავრობის პოზიციებს.

მთავრობასა და კონგრესს შორის წინააღმდეგობის შედეგი ის იყო, რომ 1972—1973 წლებში კანონპროექტების უმრავლესობა, რომელნიც ითვალისწინებდნენ ხალხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას და ბუნებრივი რესურსების დაცვას, უმნიშვნელოდ შესრულდა ან სრულიად განუხორციელებელი დარჩა. მაგალითად, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო კანონპროექტები ღარიბი ოჯახებისა და პენსიონერებისათვის დახმარების გაწევის, მინიმალური ხელფასის გაზრდის, საბინაო მშენებლობისა და ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ და ა. შ.

70-იანი წლების დასაწყისში ამერიკის პოლიტიკური წყობის წინააღმდეგობის გამწვავების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად წარმოადგენს შიდაპარტიული დავა „უოტერგეიტის საქმესთან" დაკავშირებით. 1972 წლის საარჩევნო კამპანიის დროს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფის ერთმა ნაწილმა დემოკრატიული პარტიის საარჩევნო შტაბ-ბინაზე, სასტუმრო „უოტერგეიტ-

ში", დადგა მისაყურადებელი აპარატურა და უსმენდა ამ პარტიის ხელმძღვანელთა საქმიან საუბარს, ეცნობოდა წინასაარჩევნო გეგმებს, რაც კანონის უხეში დარღვევა იყო. ეს ამბავი გამომჟღავნდა. ამ საქმის გამოსაძიებლად შეიქმნა სპეციალური საპროკურორო ჯგუფი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იძიებდა იმ უდიდესი პოლიტიკური სკანდალის ძირითად მონაწილეთა საქმეს, რომელმაც საბოლოოდ პრეზიდენტ რ. ნიქსონის გადადგომა გამოიწვია. ამ საქმეში გარეული აღმოჩნდნენ ყოფილი იუსტიციის მინისტრი მიტჩელი, პრეზიდენტის უახლოესი თანაშემწეები ჰოლდემანი და ერლიხმანი, აგრეთვე თეთრი სახლის სხვა პასუხისმგებელ თანამშრომელთა დიდი ჯგუფი. 1973 წელს საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ „უოტერგეიტის საქმის" ბევრი მონაწილე. მათ სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიესაჯათ. სიახლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მიტჩელი, ჰოლდემანი და ერლიხმანი. სასამართლომ შედარებით ლმობიერი, განაჩენი გამოიტანა და მალე ზოგიერთი მათგანი განთავისუფლდა. მაგრამ გაირკვა, რომ საქმეში მონაწილეობდა რესპუბლიკური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც და თვით პირადად პრეზიდენტი რ. ნიქსონი. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ინტენსიური კამპანია გაჩაღდა. გამოსაძიებლად შეიქმნა სენატის სპეციალური კომისია. პრეზიდენტი რ. ნიქსონი უარყოფდა „უოტერგეიტის საქმეში" მონაწილეობას, მაგრამ განმარტავდა, რომ კანონის უხეშად დარღვევა შესაძლებელი გახდა წლების განმავლობაში შექმნილი ატმოსფეროთი: ადგილი ჰქონდა პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპის უხეშად დარღვევას, ძალადობას, თვალთვალს, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და ა. შ., რაც საერთოდ კონსტიტუციის უხეშად დარღვევას ნიშნავდა.

[1] „უოტერგეიტის სკანდალის" ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს გორდონ ლიდის, რომელიც იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი აგენტი, ოთხი სახლის კონსულტანტი, ბრალად დასდეს დანაშაულებრივ პირებთან კავშირი, მიყურადება, სასამართლოსა და კონგრესის უპატივცემულობა, აშშ-ის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა. მას მიუსაჯეს 21.5 წლის პატიმრობა, მაგრამ 1977 წელს კარტერმა სასჯელი ჯერ 8 წლამდე შეუმცირა. შემდეგ კი „სამაგალითო ყოფაქცევისათვის" სულ გაათავისუფლა. მიტჩელს, ერლიხმანს სასამართლომ მიუსაჯა $2^1/_2$-დან 8 წლამდე პატიმრობა. 1977 წლის ოქტომბერში აშშ-ის საოლქო სასამართლოს ფედერალურმა მოსამართლემ ჯ. სირიკამ მიიღო გადაწყვეტილება შეუმციროს მათ პატიმრობის ვადები 1—4 წლამდე. ერლიხმანი განთავისუფლდა უკვე ოქტომბრის დამლევს, ხოლო მიტჩელი და ჰოლდემანი 1978 წლის ივნისში.

1973 წლის ოქტომბრიდან რესპუბლიკური პარტიის დიდი ლიდერები შეექმნა ვიცე-პრეზიდენტის სპირო აგნიუს იძულებითი გადადგომის შემდეგ, რომელსაც ბრალს დებდნენ საშემოსავლო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში და აგრეთვე მექრთამეობასა და გამოძალვაში. ვიცე-პრეზიდენტი გახდა ჯერარდ ფორდი. ამ ამბების შემდეგ მოძრაობამ „უოტერგეიტი. საქმის" გამოკიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რაშიაც ძალზე შეასუსტა რ. ნიქსონის პოზიციები. გართულდა ურთიერთობა პრეზიდენტსა და კონგრესს შორის, სადაც უმრავლესობა დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1973 წლის შემოდგომაზე წარმომადგენელთა პალატაში წინადადება შეიტანეს რ ნიქსონის პასუხისგებაში მიცემისა და პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების შესახებ. ამ მოთხოვნამ კონგრესის ორივე პალატაში უფრო დაჟინებითი ხასიათი მიიღო. 1974 წლის 9 აგვისტოს რ. ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო. საქმე ამით როდი დამთავრდა. კონგრესმენები მოითხოვდნენ მის პასუხისგებაში მიცემას. მაგრამ ახალმა პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და ვეტო დაადო კონგრესის გადაწყვეტილებას რ. ნიქსონის პასუხისგებაში მიცემის შესახებ

ვიცე-პრეზიდენტი გახდა ნ. როკფელერი. 1974 წლის 24 დეკემბერს ჯ. ფორდმა ვიცე-პრეზიდენტი ნ. როკფელერი დანიშნა აგრეთვე ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და შინაგან საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილად ორივე საბჭოს თავმჯდომარედ თვითონ პრეზიდენტია ნ. როკფელერი ეროდროულად საგარეო პოლიტიკის საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრი გახდა.

§ 11. აშშ 70—80-იანი წლების მიჯნაზე „ცივი ომისა" და გამალებული ბირთვული ზეიარაღების გაძლიერება

პრეზიდენტი ჯ ფორდი,[1] რომელმაც ბიუხედავად იმისა, რომ კონგრესმა მას აღუთქვა მხარდაჭერა და ბრძოლის შეწყვეტა პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელსაც რ. ნიქსონის დროს ჰქონდა ად-

[1] ჯერალდ ფორდი — რესპუბლიკური პარტიის ცნობილი მოღვაწეა. დაბადა 1913 წ. 14 ივლისს ომახში (ნებრასკის შტატი). მიჩიგანისა და იელის უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ ეწეოდა ადვოკატის პრაქტიკას. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა საზღვაო ავიაციაში, მონაწილეობდა საომარ ოპე-

გილი, მაინც ვერ შეძლო თანხმობის მიღწევა, კონგრესსა და პრეზიდენტს შორის. მაგალითად, კონგრესმა სასტიკად გააკრიტიკა ჯ. ფორდის გადაწყვეტილება რ. ნიქსონის შეწყალების შესახებ. უარყო პრეზიდენტის კანონპროექტის დამტკიცება ვაჭრობის შესახებ იმ საბით, როგორც ის იქნა წარდგენილი კონგრესში, უარყო აგრეთვე თურქეთისათვის სამხედრო დახმარების ვადის გაგრძელება კვიპროსში ჯარების შეყვანის გამო. ჯ. ფორდმა მარტო პირველი ოთხი თვის განმავლობაში 16-ჯერ დაადო ვეტო კონგრესის მიერ მიღებულ კანონებს, აქედან კონგრესმა ოთხჯერ მიიღწია კანონპროექტების დამტკიცებას.

ჯ. ფორდის პრეზიდენტობია დროს მარტო ერთი წლის განმავლობაში მუშების 5,5 ათასი გაფიცვა მოხდა, რომლის დროსაც 40 მილიონი სამუშაო დღე დაიკარგა. ამ ვაფიცვებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1974 წლის ნოემბერ-დეკემბერში მეშახტეთა 120 ათასიანი 25 დღიანი გაფიცვა, რომლის დროსაც მეშახტეებმა მიაღწიეს ხელფასის გაზრდას, პენსიების მომატებას, დახმარების გაზრდას შრომის უნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, აგრეთვე კოლექტიურ ხელშეკრულებაში დამატებითი პუნქტის შეტანას, ფასების გაზრდის შემთხვევაში ხელფასების შესაბამისად გაზრდის შესახებ. 1974—1975 წლებში მოხდა რასობრივი შეტაკებები ბოსტონში, სადაც რასისტებმა გაილაშქრეს სკოლაში დესეგრეგაციის წინააღმდეგ.

1974 წლის ნოემბერში ჩატარდა კონგრესის ორივე პალატის შუალედური არჩევნები, რომლის დროსაც რესპუბლიკელებმა მნიშვნელოვანი მარცხი განიცადეს. სენატში დემოკრატებმა 60 ადგილი მიიღეს, რესპუბლიკელებმა კი 39 (1 ადგილი დამოუკიდებელმა მიიღო), ადრე კი შესაბამისად 57 და 42 ადგილი ჰქონდათ, წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატებს ჰქონდათ — 291, რესპუბლიკელებს 144 ადგილი (ადრე — 248 და 187) დემოკრატებმა გუბერნატორის 36, რესპუბლიკელებმა კი 18 ადგილი მიიღეს.

1975 წლის შემოდგომაზე ჯ. ფორდის მთავრობამ ფედერალური ბიუჯეტის ე. წ. „ბალანსირების მიზნით" კონგრესში შეიტანა

რაციებში და დაჯილდოებულია ორდენებით. 1948 წ. აირჩიეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატად და ამის შემდეგ ყოველთვის ირჩევდნენ. 1965 წლიდან წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელების ლიდერია. 1973 წ. 12 ოქტომბერს კი ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა.

კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ჯერ კიდევ 1964 წელს მიღებული უმუშევართათვის დახმარების პროგრამის დაფინანსების 1,2 მილიარდი დოლარით შემცირებას.

აშშ-ის ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1973 წელს, მას შემდეგ, რაც არაბულმა სახელმწიფოებმა უარი უთხრეს აშშ-ს ნავთობის მიყიდვაზე, ისრაელისათვის მხარდაჭერის გამო. აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა რიგი ღონისძიებები მიეღო ქვეყნის ენერგეტიკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ ღონისძიებებმა ამ მიმართულებით მდგომარეობა ვერ გამოასწორა. 1975 წლისათვის ნავთობის მოპოვება წარსულ ცხრა წელთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იყო. მისმა იმპორტმა სახმარი ნავთობის საერთო მოცულობის 37 პროცენტს მიაღწია. 1974 წელს აშშ-ს ნავთობის შემოტანა 25 მილიარდი დოლარი დაუჯდა, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ეს თანხა ყოველწლიურად 2 მილიარდით უნდა გაზრდილიყო, მაგრამ 1976 წელს შემოტანილი ნავთობი 34 მლრდ. დოლარი დაჯდა. ანალოგიური მდგომარეობაა ბუნებრივი გაზის მოპოვების საქმეში. იგი 1974 წელს 6 პროცენტით, ხოლო 1975 წლის პირველ ნახევარში 8,5 პროცენტით შემცირდა.

1975 წლის 11 ოქტომბერს პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს კანონპროექტი წარუდგინა მთავრობის კორპორაციის „ენერგეტიკული უზრუნველყოფის საბმართველოს" შექმნის შესახებ, რომლის მიზანი გახდა სათანადო ღონისძიებების შემუშავება. რათა შეერთებულმა შტატებმა ენერგეტიკის დარგში მიაღწიოს ქვეყნის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

1974—1976 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა რიგ ქალაქებს, განსაკუთრებით ნიუ-იორკს, რომლებიც სრული გაკოტრებისა და ეკონომიკური კრახის წინაშე აღმოჩნდნენ. ქალაქის და ცალკეული შტატების ხელისუფლება გამოსავალს ეძებდა ადმინისტრაციული და სახელმწიფო დაწესებულებების ბუშაკთა შტატების შემცირებაში, ქალაქის ტრანსპორტზე ფასების გაზრდასა და სხვა ღონისძიებებში. ფედერალურმა მთავრობამ კი უარი თქვა გაეწია დახმარება ნიუ-იორკისა და სხვა ქალაქებისათვის. 1975 წლის 11 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე ჯ. ფორდმა დაადასტურა, რომ ფედერალურ მთავრობას არ სურს დაეხმაროს

ხიუ-იორკ- ოთელი ფინანსური კატასტროფის ზღვარზე აღმოჩ ნდა; მთავრობა არ დაეხმარება ორ ერთ ქალაქს, რომელიც თავ ფინანსურ საქმეებს ისევე უპასუხისმგებლოდ წყვეტ როგორც ნიუ-იორკი.

1977 წლის იანვარში გადადგომა წინ ჯ. ფორდმა კონგრესი ადმი გაგზავნილ წერილში ენერგეტიკული პოლიტიკის შეფასებ აღიარა, რომ განვლილ სამ წელიწადში აშშ-ს ვერ მიაღწია ენერ- გეტიკის დარგში დასახულ მიზნებს. ქვეყნის აირითადი პრობლემა ასევე უფრო მზარდი დამოკიდებულება შეძოლანილ ნავთობზე. ეგ- რეთვე ბუნებრივი გაზის ნაკლებობა მთელ რიგ რაიონებში. ეს ნაკ- ლებობა გამწვავდა 1976—1977 წლების ზამთარში, როდესაც უჩვე- ულოდ ცივი ამინდი დაიჭირა.

წერილში აღნიშნულია, რომ ნავთობისა და ბუნებრივი გაზი მოპოვებამ აშშ-ში უმაღლეს წერტილს მიაღწია 70-იანი წლების დამდეგს და მას შემდეგ განუხრელად მცირდება. იმპორტის წილის გაღიდებამ აშშ-ის ნავთობის ბალანსში შექმნა ისეთი ვითარება, რომ ახლა შეერთებულ შტატებს ემბარგო ჯნიშვნელოვნად მეტ ზა- რალს მიაყენებდა, ვიდრე 1973—1974 წლებში, როცა დაკარგა 500 ათასამდე სამუშაო ადგილი და 20 მლრდ. დოლარის მთლიანი ეროვნული პროდუქტი.

საყურადღებოა, რომ შეერთებულ შტატების ბიუჯეტს წლე- ბის განმავლობაში უზარმაზარი დეფიციტი აქვს. 1975 საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს დამთავრდა, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 44.2 მილიარდი. 1976 საფინანსო წელს კი 66,5 მლრდ. დოლარი.

აშშ-ის ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზი იყო უზარმაზარი სამხედრო ხარჯები.

დეფიციტის დასაფარავად მთავრობა სესხს იღებდა კერძო ბან- კებისა და ფინანსური კომპანიებისაგან, რაც იწვევდა სახელმწიფო ვალის შემდგომ ზრდას. იგი 1975 წლის 30 ივნისისათვის შეადგენ- და 538,5 მილიარდ დოლარს, ხოლო 1976 წლისათვის 605.9 მილი- არდ დოლარს მიაღწია.

რ. ნიქსონისა და ჯ. ფორდის მთავრობების საგარეო პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს რ. ნიქსონი აცხადებდა, რომ „კონფრონტაციის ერის“ ადგილს ამე- რიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დაიკავებს „მოლაპარაკე-

ბის ერა“, რომ იგი მზადაა აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან მრავალი საკითხის ირგვლივ, მაგრამ, ამასთანავე, რ. ნიქსონი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას იგი „ძალის პოზიციიდან“ წარმართავს. ამიტომ საერთაშორისო არენაზე აშშ-ის პოზიციების გაძლიერებისათვის პრეზიდენტი მოითხოვდა სამხედრო ბლოკების განმტკიცებას და მათში თავის მოკავშირეთა უფრო აქტიურ მონაწილეობას. ამასთანავე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები გამალებულ შეიარაღებას მოითხოვდნენ და საბჭოთა საშიშროების დამაჯერებელი ლოზუნგით სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას მიაღწიეს წყალქვეშა გემის „ტრაიდენტის“ და ბომბდამშენის „ფაუ—1“-ის წარმოებისათვის. 1970 წლის თებერვალში დაიწყო რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის ფორსირებული წარმოება.

1969 წლის 13 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა როჯერსმა პრესკონფერენციაზე ვაშინგტონში განაცხადა, რომ „ახლანდელი სიტუაცია, რომლის დროსაც შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ ერთმანეთის განადგურება განურჩევლად იმისა, თუ ვინ ვის დაეხმის პირველად თავს, უსაფუძვლოს ხდის შემდგომ გამალებულ შეიარაღებას“. მაგრამ, სსრკ-ს აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამო აშშ-ის მთავრობა, კერძოდ რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა უცებ როდი შეუდგა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

1970 წლის აპრილ-აგვისტოში ვენაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე. 1971 წლის 11 თებერვალს მოსკოვში, კაშინგტონსა და ლონდონში ერთდროულად ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირსა, აშშ-სა და ინგლისს შორის ხელშეკრულება ზღვისა და ოკეანის ფსკერზე თერმობირთვული და სხვა სახის მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგება-შენახვის აკრძალვის შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1971 წლის სექტემბერში ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის შესახებ.

ამასთანავე, ამერიკის მთავრობამ 1970 წელს ზეგავლენა მოახდინა და უარი აიძულებინა „ფორდის“ ფირმას საბჭოთა კავშირში მსიმე ავტომანქანების ქარხნის მშენებლობაში მონაწილეობაზე.

1971 წელს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის დაიდო ორი

შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და კავშირგაბმულობის პირდაპირი ხაზის გაუმჯობესების შესახებ. 1971 წელს აშშ-ის საქმიანი წრეების ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ვაჭრობის მინისტრი. მოლაპარაკება წარმოებდა ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ. 1972 წლის მაისში საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პრეზიდენტი რ. ნიქსონი. მოლაპარაკების შედეგად ორივე მხარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ შორის ურთიერთობაში გარდაუვალია მშვიდობიანი თანაარსებობა: ლ. ბრეჟნევმა და რ. ნიქსონმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 5 წლის ვადით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შეზღუდვის შესახებ. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება, რომელიც ამცირებდა რაკეტულ-თერმობირთვული ომის საშიშროებას და გამალებულ შეიარაღებას. ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებებს თანამშრომლობის შესახებ კოსმოსის ათვისების, გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის, ინციდენტების აცილების შესახებ ღია ზღვაში და საჰაერო სივრცეში. ყველა ამ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეში.

1972 წლის სექტემბერში მოსკოვში პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის ეროვნული უშიშროების საქმეში გ. კისინჯერის ყოფნის დროს დიდი შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის გაფართოების, ევროპის უშიშროების და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საქმეში.

18 ოქტომბერს ვაშინგტონში სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სავაჭრო ურთიერთობის, ლენდ-ლიზის ანგარიშსწორების მოგვარებისა და ვაჭრობის 3-ჯერ გადიდების შესახებ. იგი ითვალისწინებდა ასევე საბჭოთა და აშშ-ის სავაჭრო ფლოტის მონაწილეობის გაფართოებას საქონლის გადატანაში. 1972 წლის ნოემბერში ჟენევაში განახლდა სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ჯერ კიდევ 1969 წელს დაწყებული მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

1973 წლის 18—25 ივნისს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც რ. ნიქსონთან მოლაპარაკების შედეგად მიაღწია კომპლექსურ შეთანხმებას, რომელთაგან

ცენტრალური ადგილი უკავია „უვადო შეთანხმებას“ თერმობირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ. იგი უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს საერთაშორისო უშიშროების სისტემის შექმნის რეალურად განხორციელებისათვის. ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის ძირითად პრინციპებზე. მან ხელი შეუწყო ახალ შეთანხმებებს და ღონისძიებებს ასეთი შეიარაღების რიცხობრივი, ხარისხობრივი შეზღუდვის შესახებ.

ამ ორ ქვეყანას შორის კონტაქტის მაღალ დონეზე დამყარების შედეგად გაფართოვდა მხარეების ურთიერთგაგება მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს, მათ შორის ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის პრობლემებზე. ამის შედეგი იყო, რომ 1973 წლის ივლისში დაიწყო საერთო ევროპული თათბირი, ხოლო ოქტომბერში — მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების შესახებ.

უმაღლეს დონეზე აღნიშნულმა მოლაპარაკებამ და ხელმოწერილმა შეთანხმებებმა ხელი შეუწყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. 1973 წელს სავაჭრო მოცულობამ ორივე ქვეყანას შორის შეადგინა დაახლოებით 1,5 მლრდ. დოლარი.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ჯ. ფორდის ოფიციალური ვიზიტი ვლადივოსტოკში და ლ. ი. ბრეჟნევთან მოლაპარაკება. საყურადღებოა, რომ 1972 წლის ხელშეკრულებამ რაკეტსაწინააღმდგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ და ამ ხელშეკრულების 1974 წლის ოქმმა არსებითად გადაწყვიტეს შეიარაღების ამ სახის პრობლემა და მინიმუმამდე დაიყვანა მათი შემდგომი გაზრდის შესაძლებლობა. ამას ვერ ვიტყვით სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებაზე დროებითი შეთანხმების შესახებ, რომელიც არ იყო მთლიანი და სრულყოფილი, ამ შეთანხმების მიღმა დარჩა და არ შეეხო განსაზღვრული კატეგორიის შეიარაღებას.

24 ნოემბერს ვლადივოსტოკში ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია წინანდელი შეთანხმებების მნიშვნელობა და აგრეთვე მითითებულია, რომ ახალი შეთანხმება შეიცავს 1972 წლის მაისის დროებითი შეთანხმების შესაბამის ღებულებებს, რომლებიც ძალაში იყო 1977 წლის ოქტომბრამდე.

ვლადივოსტოკში მიღებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადება წარმოადგენდა პრინციპულად ახალ შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის საქმეში, ვინაიდან მასში აღნიშნულია გადაწყვეტილება ახალი გრძელვადიანი შეთანხმების დადებაზე 1985 წლის 31 დეკემბრამდე. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ არა უგვიანეს 1977—1981 წლებისა დაიწყონ ახალი მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვისა და შემცირების შესახებ 1985 წლამდე.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა საერთაშორისო პრობლემის დიდ კომპლექსს მოიცავს. ვლადივოსტოკში განიხილეს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის, კვიპროსის, ევროპის უშიშროების, თანამშრომლობის და მთელი რიგი სხვა საკითხები.

ამერიკის პრესის გავლენიანი გაზეთები მიესალმნენ და მხარი დაუჭირეს ვლადივოსტოკში შეხვედრის შედეგებს.

ვლადივოსტოკის შეხვედრის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყდა ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიცაა სტრატეგიული იარაღის მატარებლის საერთო რიცხვის შეზღუდვა და იმ რაკეტების შეზღუდვა, რომლებიც შეიძლება აღიჭურვოს ინდივიდუალური დამიზნების მრავალჭურვიანი ატომური მუხტებით, დაწესდა მტკიცე ზღვარი თითოეული მხარის სტრატეგიული ძალებისათვის.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს ექნებოდათ 2400—2400 სტრატეგიული იარაღის მატარებელი, მათ შორის 1320—1320 ჭობინით.

ვლადივოსტოკში შეხვედრისას ლ. ი. ბრეჟნევი და ჯ. ფორდი შეთანხმდნენ, რომ ხელი შეუწყონ ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მოწვევას და მის წარმატებით დამთავრებას. მართლაც, ამ ისტორიული შეხვედრის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ წარმატებით დაგვირგვინდა ჰელსინკის თათბირის მესამე ეტაპი, სადაც ხელი მოაწერეს მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

საყურადღებოა, რომ ვლადივოსტოკში შეხვედრის წინ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების მოწინააღმდეგენი აყენებდნენ ამ ურთიერთობაში ე. წ.. „პაუზის“ იდეას და მას ნიქსონის გადადგომასა და მიმდინარე ცვლილებების შედეგად შინაპოლიტიკურ გართულებას უკავშირებდნენ. ისინი იმედოვნებდნენ,

რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ჯ. ფორდი და ვიცე-პრეზიდენტი ნ. როკფელერი უარს იტყოდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსის გაგრძელებაზე, რომელსაც ახორციელებდა რ. ნიქსონი. მთელი ამ კამპანიის სათავეში იდგა პენტაგონი და, საერთოდ, აშშ-ის მილიტარისტული წრეები.

70-იანი წლების პირველ ხუთწლედში ამ ორ ქვეყანას შორის 50-ზე მეტი შეთანხმება და ხელშეკრულება დაიდო: მეცნიერების, მედიცინის, კულტურის, კოსმოსის კვლევის, გარემო ბუნების დაცვის და სხვა სფეროებში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც 1972 წელს დაიდო მოსკოვში, კონგრესმა მისი რატიფიკაცია გააჭიანურა, მასში შეიტანა რიგი დამატებები და შესწორებები, რომელნიც საბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის შემოღებას განაპირობებდნენ მოთხოვნით საბჭოთა კავშირში გამალებული შეიარაღების შეწყვეტაზე, რის გამოც საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა ასეთი სავაჭრო სტატუსის ცნობაზე. საყურადღებოა, რომ პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა არ გამოიყენა ამ შესწორებების მიმართ პრეზიდენტის ვეტო და ხელი მოაწერა აღნიშნულ კანონს.

აშშ-ის მთავრობამ თავისი კურსი ევროპის კომუნისტური ქვეყნების მიმართაც შეცვალა. 1969 წლის ზაფხულში რ. ნიქსონი ვიზიტით ჩავიდა რუმინეთში. სხვათა შორის, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის პირველი ვიზიტი კომუნისტურ ქვეყანაში. 1972 წელს აშშ-ის მთავრობამ გადადგა ნაბიჯი კომუნისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. რ. ნიქსონი იმყოფებოდა პოლონეთში, ხოლო სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი ოფიციალური ვიზიტით — უნგრეთში, რუმინეთსა და იუგოსლავიაში. დაიდო შეთანხმებანი: პოლონეთ-ამერიკის სავაჭრო კომისიის შექმნისა და საკონსულოთა გახსნის შესახებ პოლონეთსა და აშშ-ს შორის, რუმინეთსა და აშშ-სა და უნგრეთსა და აშშ-ს შორის.

აშშ დათანხმდა მხარი დაეჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლაზე გდრ-ისა და გფრ-ისათვის.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკში ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრება, რამაც ხელსაყრელი ვითარება შექმნა სა-

ერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე.

ჯ. ფორდის მთავრობამ, საბჭოთა კავშირში არსებული გამალებული, განსაკუთრებით ბირთვული რაკეტებით შეიარაღებისათვის, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში და გდრ-ში საშუალო სიშორის ახალი ბირთვული რაკეტების შეტანის და განლაგების გამო უარი თქვა საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივვადიანი ახალი შეთანხმების შემუშავებაზე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ჯ. ფორდმა არა ერთი ანტისაბჭოთა განცხადება გააკეთა. მან შექმნა სპეციალური კომისია საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნად იმ მიზნით, რათა კონტროლი გაეწია ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესრულებისათვის, გააკეთა არა ერთი განცხადება „ძალის პოზიციის“ და „მკაცრი კურსის“ შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ და მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გაზრდისა და მათი თერმობირთვული იარაღით აღჭურვილი ახალი ტიპის გამანადგურებლით „F—16“-ით შეიარაღების შესახებ.

ჯ. ფორდის პრეზიდენტობის ბოლო წლებში მისი მკაცრი ანტისაბჭოთა გამოსვლები მარტო სიტყვებით როდი შეიზღუდა. 1976/77 საფინანსო წელს კონგრესში მან გაატარა აშშ-ის ისტორიაში რეკორდული სამხედრო ბიუჯეტი — 112,7 მლრდ. დოლარი, ჯ. ფორდმა ისრაელს გამოუყო 2,5 მლრდ. დოლარის იარაღი და არჩევნების წინ კიდევ დაუმატა ახალი, განსაკუთრებით საშიში იარაღის მიწოდება ისრაელისადმი.

რ. ნიქსონის და ჯ. ფორდის საგარეო პოლიტიკა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ. რესპუბლიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იყო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან, აგრეთვე იაპონიასთან და კანადასთან ურთიერთობა.

აშშ-ის პოზიციების განმტკიცებისა და ნატოს დაჯგუფებაში მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო ხარჯების გაზრდის მიზნით რ. ნიქსონი 1970 წლის თებერვალ-მარტში ვიზიტით იყო ლონდონში, პარიზში, ბონში, რომში, ბრიუსელში და დასავლეთ ბერლინში. ამერიკის მმართველ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპის მმართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ არა მარტო თავიდან აეცილებინათ ახალი სამხედრო ხარჯების

ზრდა, არამედ შეემცირებინათ კიდეც ისინი. ამერიკის მმართველ წრეებს ევროპაში გაზრდილი სოციალური ხარჯებისა და სავაჭრო ურთიერთობის გართულების ვითარებაში უძნელდებოდათ, დაეთანხმებინათ პარტნიორები ახალი ხარჯების გაღებაზე სამხედრო დაჯგუფებების გაძლიერების მიზნით. რ. ნიქსონი გარდა ამისა ცდილობდა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები დათანხმებულიყვნენ თავიანთ ბაზრებზე ამერიკის საქონლის შეტანის შეღავათებზე და ამერიკული დოლარისათვის დაეჭირათ მხარი. მაგრამ რ. ნიქსონის ვიზიტი ფაქტობრივად უშედეგოდ დამთავრდა, მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობანი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

1973 წელი ვაშინგტონში გამოცხადდა, როგორც ევროპის წელი, რადგან ამ წელს რ. ნიქსონი ერთგვარად შეეცადა, „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან მოეგვარებინა მწვავე ეკონომიკური წინააღმდეგობანი და გაეძლიერებინა ნატოს დაჯგუფება. დაძაბულობის შენელების ვითარებაში კი აშშ-ის ნატოელი პარტნიორები, პირიქით, ცდილობდნენ სამხედრო ხარჯების შემცირებას. 1973 წლის აპრილში ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საქმეში გ. კისინჯერმა[1] წამოაყენა „ახალი ატლანტის ქარტიის" შემუშავების იდეა, რომლის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო „ახალი წონასწორობის" დამყარება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობასა და სავალუტო-ფინანსურ სისტემაში, ნატოს ხარჯების უფრო სამართლიანად განაწილება. 1973 წლის პირველ ნახევარში რ. ნიქსონს შეხვედრა ჰქონდა ინგლისის, გფრ-ის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობების ხელმძღვანელებთან, მაგრამ ამან ცხადყო, რომ დასავლეთ ევროპა (განსაკუთრებით საფრანგეთი) მხარს არ უჭერს „ახალი ატლანტის ქარტიის" იდეას.

1973 წლის ოქტომბერში ახლო აღმოსავლეთში ომის დროს ერთგვარი ბზარი შეიქმნა ატლანტიკის კავშირში და გამწვავდა მასში შემავალი სახელმწიფოების ურთიერთობა, რადგან აშშ-მა დასავლეთ ევროპაში განლაგებული შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა ისე, რომ ნატოელი მოკავშირეები წინასწარ არც გაუფრთხილებია. დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა

---

[1] 1973 წლის სექტემბრიდან გ. კისინჯერი სახელმწიფო მდივანი (ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრი) გახდა.

ქვეყანამ უარი განაცხადა საბჭედრო დახმარება გაეწია იუნაელი-სათვის, რის გამოც 1973 წლის შემოდგომაზე რ. ნიქსონის გამგზავ-რება დასავლეთ ევროპაში გადაიდო.

საბერძნეთის და თურქეთის მთავრობებია ცდებმა, ორმ ხელთ ეგდოთ კვიპროსი, კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ნატოს ქვეყნებს შორის. საბერძნეთსა და პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ახალმა მთავრობებმა განაცხადეს, რომ ისინი გამოვლენ ნატოს დაჯგუფებიდან. ამას დაერთო ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა თურქეთს საბჭედრო იარაღის მიწოდებაზე. ყოველივე ამან გამოიწვია ამერი-კა-თურქეთის ურთიერთობის გაუარესება.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და აშშ-ს მორის 70-იან წლებში წინააღმდეგობის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი იყო სავალუტო სისტემა, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა მათი საში-ნაო და საგარეო პოლიტიკის ყოველგვარ გართულებაზე.

1971 წლის მეორე ნახევარში შედგა აშშ-ის, დასავლეთ ევრო-პის, კანადის და იაპონიის მთავრობათა წარმომადგენლების მრავა-ლი შეხვედრა და მოეწყო თათბირი, რომლის დროს დიდი კამათი გაიმართა კრიზისიდან გამოსავალი გზების გამოსანახავად. დავა დამთავრდა ათი კაპიტალისტური სახელმწიფოს შეთანხმებით დო-ლარის დევალვაციის შესახებ. ამის შემდეგ აშშ-მა ხელმეორედ მო-ახდინა დოლარის ცალმხრივი დევალვაცია, რამაც რიგ ღონისძიება-თა მიუხედავად კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი კაპიტა-ლისტურ ქვეყნებს შორის.

70-იან წლებში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი გამოვლინდა აშშ-სა და კანადას შორის — ხორცის ვაჭრობის პრობლემიდან და-წყებული და დამთავრებული ამერიკისათვის კანადის ნავთობის მიწოდებით. ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობის გამწვავების მთავარი მიზეზია აშშ-ის მონოპოლიების მისწრაფებები, რომ ხელი შეუშალონ კანადის ეკონომიკის საზღვარგარეთის გავლენისაგან განთავისუფლების ყოველგვარ ცდებს.

დიდი წინააღმდეგობანი აოსებიბს აშშ-სა და განვითარებულ კა-პიტალისტურ ქვეყნებს შორის ენერგეტიკულ კრიზისიან დაკავში-რებით. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები არ ეთანხმენ აშშ-ის მთავრობის წინადადებას საკვების ექსპორტიორი ქვეყნე-ბის მიმართ „ძალის პოზიციის“ გამოყენებისა და ერთიანი ტაქტი-

კის შეღუშავების შესახებ. აშშ ინტერესებდა არაბული ქვეყნების ნავთობის საწარმოების ოკუპაციით და განვითარებადი ქვეყნებისადმი დაპირებით შეწყვეტით, თუ ეროვნული ფასებს გაზრდიდნენ ნავთობზე, მაგრამ აშშ-ის ასეთ პოზიციას ყველა განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა (მაგალითად, იაპონია და საფრანგეთი წინააღმდეგი გამოვიდნენ).

1975 წლის სექტემბერში ვენაში გაიმართა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკის) კონფერენცია,[1] რომელმაც ერთხელ და ყოველთვის აშშ-ის მოქმედებისა გადაწყვეტილება მიიღო 10%-ით გაზარდონ ნავთობის ფასი.

იაპონიასთან ურთიერთობაში აშშ-მა პროგრესს ვერ მიაღწია ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიცაა იაპონიის ექსპორტის უპირატესობა იმპორტზე, დოლარის გაცვლითი კურსის კოორდინაცია ფულზე, ენერგეტიკული რესურსების და, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის ყანაწილებაზე და ა. შ.

1976 წლისათვის აშშ-ის დეფიციტმა იაპონიასთან ვაჭრობაში შეადგინა ეზარმაზარი თანხა — 5 მლრდ 360 მილიონი დოლარი, ე. ი. იაპონიამ ამ თანხის მეტი საქონელი გაიტანა ოკეანის გაღმა, ვიდრე შემოიტანა. მარტო 1976 წელს იაპონიის ექსპორტი აშშ-ში 43%-ით გაიზარდა, აშშ-სა კი იაპონიაში მხოლოდ — 2%-ით.

პენტაგონს ორი ათასზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს დედამიწის ოფერეის ტერიტორიაზე. საბერძნეთს და პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის ერთგულებისა და ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის გაუარესების შესახებ ვაშინგტონი ოფიციალურად აცხადებდა, რომ ფრანკისტული ესპანეთი „შეუცვლელ" ადგილს ასრულებს დასავლეთის საერთო სამხედრო სისტემაში. 1953 წლიდან აშშ-ს ესპანეთის ტერიტორიაზე ჰქონდა ოთხი დიდი სამხედრო ბაზა, რომლებსაც პორტუგალიასა და საბერძნეთში ბაზების დაკარგვის შემდეგ პენტაგონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

რ. ნიქსონისა და ჯ. ფორდის მოავრობების საგარეო პოლიტიკა აზიის ქვეყნების მიმართ. რ. ნიქსონი წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამერიკელ ამომრჩეველებს პირდებოდა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში იგი ვიეტნამში ღირსეულ ზავს მიაღწევდა. 1968 წელს რ. ნიქსონმა ვალდებულება იკისრა, რომ შეწყვეტდა

[1] ოპეკაში შედის 13 ქვეყანა — ირანი, ალჟირი, ვენესუელა, კუვეიტი და ა. შ.

ვიეტნამის დაბომბვას და პარიზში დაიწყებდა ოთხმხრივ მოლაპარაკებას, ვიეტნამში განახორციელებდა „ვიეტნამიზაციის კურსს“ და შეამცირებდა, შემდეგ კი სულ გამოიყვანდა თავის ჯარებს ინდოჩინეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. 1970 წლის განმავლობაში მართლაც შემცირდა ამერიკის ჯარების გარნიზონები ტაივანში, სამხრეთ კორეაში, ტაილანდში, იაპონიასა და ფილიპინებში. 1970—1972 წლების განმავლობაში მარტო სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ-მა გაიყვანა 0,5 მლნ. ჯარისკაცი.

რ. ნიქსონის მიერ გამოცხადებული ომის „ვიეტნამიზაციის“ არსი ის იყო, რომ ამერიკის ჯარები ვიეტნამში უნდა შეეცვალათ სამხრეთ ვიეტნამის ჯარებით, ხოლო აშშ-ის საზღვაო ძალები ხელუხლებელი დარჩებოდა.

1969 წლის ზაფხულში რ. ნიქსონმა იმოგზაურა აზიის ქვეყნებში — ფილიპინებში, ინდონეზიაში, სამხრეთ ვიეტნამში, ტაილანდსა და პაკისტანში. ამ მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო ამერიკის პოზიციების განმტკიცება აზიაში და უკვე ფაქტობრივად დაშლის პროცესში მყოფი სეატოს სამხედრო ბლოკის განმტკიცება. ამ მოგზაურობის დროს რ. ნიქსონმა გამოაცხადა ახალი აზიური დოქტრინა — ე. წ. „გუამის დოქტრინა“[1] რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ აშშ არ აპირებს აზიიდან წასვლას, მაგრამ თავს არიდებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მას აზიის რომელიმე ქვეყანასთან ომში ჩააბამდა. აშშ დაპირებას იძლეოდა, რომ თავის კალდებულებებს აზიის მოკავშირე ქვეყნებისადმი შეასრულებდა იმ შემთხვევაში, თუ „ბირთვული სახელმწიფოს მხრივ საშიშროება შეექმნებოდა“ იმ ქვეყნებს, რომელნიც აშშ-ის მოკავშირეები არიან, ან რომელთა უშიშროება ამერიკისათვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“. მაშინ ამერიკა აცხადებდა, რომ იგი „გაშლიდა ატომურ საფარს წყნარი ოკეანის აუზში“. სხვა შემთხვევაში აშშ მათ დაეხმარება იარაღით და სამხედრო საჭურველით, მისმა მოკავშირეებმა კი თავის თავზე უნდა აიღონ ადამიანის რეზერვების გაღების პასუხისმგებლობა.

არჩევნების წინ ნიქსონმა გამოაცხადა თავისი პროგრამა ვიეტნამისადმი, რომელიც ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა. ამ პროგრა-

---

[1] გუამი წყნარ ოკეანეშია, მარშალის კუნძულების ერთ-ერთი პატარა კუნძულია, სადაც შეჩერდა პრეზიდენტი და იქ გამოაცხადა თავისი ეს დოქტრინა.

მაგრ მთავარი ის იყო, რომ ინდოჩინეთში ომს აშშ იმ პირობით შეწყვეტდა, თუ მხარეთა შეიარაღებული ძალები დაკავებულ პოზიციებზე დარჩებოდნენ. ნიქსონმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება ინდოჩინეთის საკითხზე კონფერენციის მოწვევის შესახებ მასში სხვა სახელმწიფოების მონაწილეობითაც. მაგრამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობებმა უარყვეს ეს წინადადება.

1970—1972 წლებში აშშ-მა დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა ვიეტნამიდან.

აშშ-ს ომი ინდოჩინეთში 150 მილიარდი დოლარი დაუჯდა და დაკარგა 8612 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 48 ათასი კაცი მოკლულთა და 300 ათასი დაჭრილთა სახით.

ომი ვიეტნამში ამერიკელი ხალხის საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა. ასეთ ვითარებაში 1973 წლის 27 იანვარს პარიზში ოთხმა მხარემ — აშშ, ვდრ, სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ და საიგონის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტას, სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ-ის და მისი მოკავშირეთა მთელი ჯარების გაყვანას და ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

აშშ-ის მთავრობამ, თვითონ ჩინეთის ინიციატივით, შეცვალა ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება. აშშ-ის მთავრობა დათანხმდა ჩინეთის წარმომადგენლობის აღდგენაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. 1972 წლის თებერვალში რ. ნიქსონი ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთში. აქ შემუშავდა და გამოქვეყნდა ჩინეთ-ამერიკის კომუნიკე, რომელშიც ორივე მხარის პოზიციები ამა თუ იმ საკითხზე მოცემულია საერთო ფრაზებით. 1973 წელს გ. კისინჯერი ორჯერ ჩავიდა ჩინეთში, რომლის შედეგად ვაშინგტონსა და პეკინში შეიქმნა „მუდმივი კავშირის ჯგუფები“ და მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობა. მაგალითად, 1971 წელს თუ ვაჭრობა 6 მლნ. დოლარს შეადგენდა, 1973 წელს 750 მლნ. დოლარს მიაღწია.

რ. ნიქსონის და ჯ. ფორდის მთავრობებს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში არ მოუხდენიათ რაიმე არსებითი ცვლილებები. სტრატეგიულად და წიაღისეული სიმდიდრით ამ დიდმნიშვნელოვან რაიონში დიდი სახელმწიფოებისა და ნავთობის მონოპოლიების პო-

ლიტიკამ 70-იან წლებში კიდევ უფრო გაამწვავა უთანხმოება აზ-ში.

1967 წლის ომის შედეგად ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანა, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფა, ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების გარანტირება — ასეთია ის მთავარი პირობები, რომლებსაც აყენებდნენ არაბული ქვეყნები და რომელთა გარეშე შეუძლებელია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში.

აშშ-ის რესპუბლიკური მთავრობა, რომელიც ხელისუფლებისათავეში 1968 წლიდან იდგა, კვლავ ხელს უწყობდა არაბებსა და ისრაელს შორის წინააღმდეგობის დაძლევას. ამასთანავე აშშ უახლესი ტიპის იარაღით ამარაგებდა ისრაელს, ვინაიდან რიგი არაბული ქვეყნები მას სრული განადგურებით ემუქრებოდნენ. აშშ-ის მბარდაჟერის შედეგად ისრაელი უარს ამბობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის რეზოლუციის შესრულებასა და ოკუპირებული არაბული მიწების დაბრუნებაზე[1].

[1] მეორე ძალა, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს დიდ პოტენციურ მხარდამჭერად ითვლება, არის საერთაშორისო სიონიზმი. საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაცია შეიქმნა 1897 წელს. სიონისტურმა ლიდერებმა შექმნეს რიგი საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციები — მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაცია (მსო) და მისი ფილიალები (ებრაელთა მსოფლიო კონგრესი და სხვა მრავალი). სიონიზმი აყენებს „ებრაელთა მსოფლიო ერის იდეას“ და იბრძვის ებრაელთა დიდი სახელმწიფოს შექმნისათვის.

მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია უმსხვილეს ფინანსურ გაერთიანებადაც ითვლება; იგი თავის თავს „მსოფლიოს ყველა ებრაელის საქმის სამინისტროს“ უწოდებს, მას აქვს დაზვერვითი ცენტრები, ინფორმაციის და პროპაგანდის სამსახური. ეს ორგანიზაცია იმყოფება აშშ-ში. იგი კონტროლს უწევს სიონისტურ ორგანიზაციებს 60-ზე მეტ ქვეყანაში. ამასთანავე მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია კაპიტალისტურ სამყაროში ერთ-ერთი უმდიდრესია. მარტო ისრაელში მას აქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სათესი ფართობის 86%, 500 დასახლება, 60 საწარმო. იგი ისრაელის შექმნიდან 20 წლის განმავლობაში აშშ-დან ყოველდღე საშუალოდ 1 მლნ. დოლარს იღებდა, ხოლო 1967—1975 წწ. — 3 მლნ. დოლარზე მეტს. საერთაშორისო სიონიზმი თავის მხრივ მილიონობით თანხას უგზავნის ისრაელს „ებრაელთა მსოფლიო ერის“ იდეისა და „ებრაელთა დიდი სახელმწიფოს შექმნის პროპაგანდისათვის“, „დიდი ისრაელის“ შექმნისათვის, რომელიც გადაჭიმული იქნება „ნილოსიდან ევფრატამდე“. თვითონ ისრაელში აქტიურად მოქმედებს ორგანიზაცია „დიდი ისრაელის მოძრაობის“ სახელწოდებით.

რ. ნიქსონის მთავრობა აცხადებდა ახლო აღმოსავლეთის რაიონის პოლიტიკური ვითარების მოწესრიგებას, მაგრამ სსრ კავშირი ყველაფერს აკეთებდა, რათა ხელი შეეშალა მისთვის. ამერიკა აძლიერებდა ხმელთაშუა ზღვის მე-6 ამერიკულ ფლოტს და ყოველგვარ ზომებს იღებდა ისრაელის შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის. აშშ ცდილობდა უჭერდა ისრაელის მთავრობის მოთხოვნებს არაბულ ქვეყნებთან „პირდაპირი მოლაპარაკების" შესახებ, ცდილობდა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის არბიტრის როლის შესრულებას, მაგრამ არაბულმა აღმოსავლეთმა უარყო ეს მოთხოვნები. ამის შედეგი ის იყო, რომ 1973 წლის ოქტომბერში ახლო აღმოსავლეთში კვლავ გაჩაღდა საომარი მოქმედება. მიუხედავად სსრ კავშირის დახმარებისა არაბები ისევ დამარცხდნენ.

ამ დროს ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფებაში შემავალ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობანი გამოვლინდა. დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ უარი თქვა ისრაელისათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე.

სსრ კავშირისა და აშშ-ის ერთობლივ კონსტრუქციულ წინადადებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა შედეგად საომარი მოქმედება ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის შეწყდა.

ჟენევაში მოიწვიეს არაბული ქვეყნების, ისრაელის და დაინტერესებული სახელმწიფოების თათბირი, რომელსაც უნდა გადაეჭრა ახლო აღმოსავლეთის ყველა სადავო საკითხი. ისრაელმა, აშშ-ის მხარდაჭერით წინადადება წამოაყენა, რომ ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის სადავო საკითხები ეტაპობრივად გადაეჭრათ. მთავარი არბიტრის როლის შესრულება მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გ. კისინჯერმა იკისრა. ამ მიზნით იგი რამდენჯერმე ჩავიდა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელში. 1975 წლის სექტემბერში ისრაელსა და ეგვიპტეს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ამ ორი სახელმწიფოს ჯარების დაშორიშორების შესახებ სინას ნახევარკუნძულზე და 200 ამერიკელი ტექნიკური სპეციალისტის გაგზავნის შესახებ დაშორიშორების რაიონში, რათა არ იქნეს დარღვეული შეთანხმება. ამ შეთანხმების დადებასთან ერთად ხელმოწერილ იქნა ამერიკა-ისრაელის ნემორანდუმი, რომლითაც, როგორც ჩანს, შეერთებული შტატები კვლავ გაუწევენ სამხედრო დახმარებას ისრაელს. მარტო 1973 წლის ოქტომბრიდან 1975 წლის დამ-

დეგამდე ისრაელმა აშშ-დან მიიღო 1,5 მილიარდი დოლარის იარაღი. ამ მემორანდუმით ვაშინგტონი ისრაელს შეპირდა უახლესი ტექნიკის მიწოდებას. ამერიკის მთავრობამ იკისრა ვალდებულება გაუზარდოს ისრაელს სამხედრო და ეკონომიკური დახმარება 2,5 მლრდ. დოლარის ოდენობით ყოველწლიურად. 1975 წლისათვის ამერიკამ ისრაელს მიაწოდა 2 მილიარდი დოლარის იარაღი. 1973—1975 წწ. განმავლობაში აშშ-მა მკვეთრად გაუზარდა იარაღის მიწოდება ირანს. ხორციელდებოდა საუდის არაბეთის შეიარაღების პროგრამა, სადაც შენარჩუნებულია ამერიკის ნავთობის მონოპოლიათა დიდი ხუთეულის უპირატესი გავლენა. სპარსეთის ყურის ქვეყნების, განსაკუთრებით ირანისა და საუდის არაბეთის შეკვეთებმა ამერიკულ იარაღებზე წელიწადში 4,4 მილიარდი დოლარი შეადგინეს, რაც საზღვარგარეთ ამერიკის იარაღის მთელი მიწოდების თითქმის ნახევარი იყო.

ამერიკული და ინგლისური საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილ ირანის არმიას პენტაგონი თავისი ინტერესებისათვის იყენებდა.

აშშ-ის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ის ფაქტი, რომ 1972 წელს პენტაგონი მონაწილეობდა ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიას კუნძულზე სამხედრო საჰაერო და საზღვაო ბაზის შექმნაში, რაც ინგლისთან 1966 წელს დადებული საიდუმლო შეთანხმებით მოხდა. დიეგო-გარსიას კუნძული ეკუთვნოდა ინგლისს და ამ კუნძულის სანაცვლოდ აშშ-მა ინგლისს მისცა 14 მილიონი დოლარით შეღავათი ამერიკული რაკეტა „პოლარისის“ შესაძენად. ამ კუნძულზე აშშ-მა შექმნა თავისი სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზები.

ლათინურ ქვეყნებთან ურთიერთობა. 1969 წლის ზაფხულში, რ. ნიქსონის დავალებით, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნელსონ როკფელერი იმყოფებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მოგზაურობის შემდეგ მან პრეზიდენტს მოხსენება წარუდგინა ამ ქვეყნებში აშშ-ის ახალი კურსის შესახებ. ამ დროისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, ხოლო ზოგიერთში სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ჩილეს, პერუს, ბოლივიის მთავრობები კი ამერიკული საწარმოების ნაციონალიზაციის გზას დაადგნენ.

ასეთი ვითარება იყო ლათინურ ამერიკაში, როდესაც რ. ნიქსონმა 1969 წლის ოქტომბერში „ახალი კურსის“ პოლიტიკა ჩამოაყალიბა ლათინური ამერიკის მიმართ. 1973 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო სავაჭრო კანონი, რომლის მიხედვით დისკრიმინაციული შეზღუდვები დაწესდა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ახდენენ ამერიკის კომპანიათა საკუთრების ნაციონალიზაციას ან „თავდაცვის სავაჭრო კავშირებს ქმნიან“. ლათინური ამერიკის ქვეყნები დიდად არიან დამოკიდებული აშშ-ის ბაზარზე, ამიტომ მან დამღუპველი გავლენა მოახდინა მათ ეკონომიკაზე.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ფართო საზოგადოებრივი წრეები, პრესა, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად საჭიროა შექმნან ამ ქვეყნების ბლოკი თავიანთი ნედლეულის დაცვისა და იმ კურსის განსაზღვრისათვის, რომელიც საგარეო ვაჭრობის დარგში უზრუნველყოფს წონასწორობასა და სამართლიანობას.

1975 წლის ოქტომბერში პანამაში შეიკრიბა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 25 სახელმწიფოს, მათ შორის კუბის, ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრებისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც განიხილა ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის („ლაესის“) შექმნის საკითხი: მათ ხელი მოაწერეს „პანამის ხელშეკრულებას“, რომლის შესაბამისად „ლაესმა“ მოქმედება დაიწყო, როგორც ლათინური ამერიკის კონტინენტის ორგანიზაციამ.

ახალი სისტემის ძირითადი მიზანია ლათინური ამერიკის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა, მათი ინტერესების დაცვა უცხოეთის მონოპოლიებისაგან.

ამერიკის კონტინენტზე პირველად შეიქმნა ეკონომიკური სისტემა, რომელშიც არ მონაწილეობს აშშ.

„ლაესი“ განკუთვნილია რეგიონის მიერ ბუნებრივი, ადამიანთა, ტექნიკური და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენებისათვის. იგი ითვალისწინებს ლათინური ამერიკის მრავალეროვან საწარმოთა შექმნას. „ლაესის“ წევრებს განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ

თავიანთი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას, კოოპერაციის საქონლის წარმოებასა და გასაღებაში, საექსპორტო ნედლეულის ფასების დარგში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციათა კოორდინაციას, პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციისათვის დახმარებას და ა. შ.

„ლაესის" საერთო პოლიტიკურ ხაზს განსაზღვრავს მისი უმაღლესი ორგანო — ლათინური ამერიკის საბჭო. ადმინისტრაციულ-ტექნიკური საქმიანობა დაეკისრა მუდმივ სამდივნოს (მისი შტაბ-ბინა ვენესუელის დედაქალაქშია). კონკრეტული ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის შექმნილია მოქმედების კომიტეტები.

ამრიგად, ამერიკის პოლიტიკამ ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი, მათ საშინაო საქმეებში ჩარევამ და მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ცდებმა უკურეაქცია გამოიწვია. ამ ქვეყნებმა ერთიანი ფრონტი შექმნეს „აშშ-ის ჭინაალმდეგ. ასეთია აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაციის „ახალი დიალოგის" პოლიტიკის შედეგები.

1976 წლის არჩევნები და დემოკრატიული პარტიის გამარჯვება. ჯ. კარტერის საშინაო პოლიტიკა

1976 წლის პრეზიდენტის არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ თავის კანდიდატად ჯ. ფორდი წამოაყენა, ხოლო დემოკრატიულმა პარტიამ — მანამდე ნაკლებად ცნობილი, ჯორჯიის შტატის ყოფილი გუბერნატორი ჯ. კარტერი. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები პრეზიდენტად 1968 წლიდან იყენენ თეთრ სახლში ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს ამ პარტიამ მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა თავისი დაპირებები. ქვეყანა აღმოჩნდა 40 წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში, რომლის დროს უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარდა ამისა, 1,4 მლნ. კაცი, როგორც ჯ. კარტერმა აღიარა, იძულებული იყო არასრული სამუშაო კვირა ემუშავა, ხოლო კიდევ 1 მლნ-მა ამერიკელმა შეწყვიტა სამუშაოს ძებნა, რადგან მისი მოლება ძნელი იყო. 1976 წელს აშშ-ის საწარმოო სიმძლავრენი მხოლოდ 60%-ით იყო დატვირთული. ამის შედეგად ქვეყანას დააკლდა 132

მლრდ. დოლარის პროდუქცია და მომსახურება. ამის გამო სახელმწიფოს შემოსავალი 40 მლრდ. დოლარით ნაკლები იყო, ვიდრე არული დატვირთვის დროს იქნებოდა. ქვეყანაში გაიზარდა ინფლაციაც.

უქმად მდგარი ქარხნების გამო ამერიკული ოჯახი წელიწადში საშუალოდ 1800 დოლარს კარგავდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მილიარდობით დოლარით იზრდებოდა. ყოველივე ამან გაამწვავა სოციალური წინააღმდეგობანი.

დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ჯ. კარტერი დაპირებას იძლეოდა, რომ ზომებს მიიღებდა ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად და ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეამცირებდა 1978 წლის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯებ. 5—7 მლრდ. დოლარით,[1] „ომს გამოუცხადებდა აღლატაკეა, უმეცრებას და უსამართლობას“, აღადგენდა „ერთიანობისა და ნდობის ახალ ეროვნულ სულისკვეთებას,“ „ჩვენი ქვეყნისა და ერთმანეთისადმი რწმენას“ და ა. შ.

საგარეო პოლიტიკაში ჯ. კარტერი ამომრჩეველებს პირდებოდა „მშვიდობის მკვიდრი შენობის აგებას, რომლის საძირკველი იქნებოდა არა ომის საშუალებანი, არამედ საერთაშორისო პოლიტიკა“. „იარაღის არსენალის შეზღუდვას ისეთ რაოდენობამდე, რომელიც თითოეული ქვეყნის საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფისათვის იქნებოდა საჭირო“ და „უზენაესი მიზნის — ჩვენს პლანეტაზე მთელი ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის მიღწევას“. „მშვიდობის პრობლემები ძნელი გადასაწყვეტი არ არის, — აცხადებდა იგი, — მაგრამ მათი გადაწყვეტაზე დამოკიდებულია თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობა და აერსებითად ყველა ჩვენგანის ცოცხლად გადარჩენის შესაძლებლობა“

---

[1] რესპუბლიკური პარტიის მიერ შემრთავაზებული სამხედრო ხარჯები 1977 წლისათვის შეადგენდა 113 მლრდ., ხოლო 1978 წლისათვის — 122,9 მლრდ. დოლარს, 1982 წლისათვის — 159 მლრდ. დოლარამდე. გაიზრდებოდა ბიუჯეტის პროექტი მკვეთრად ამცირებდა განათლების ხარჯებს 21,1—19,4 მლრდ. დოლარიდან, საერთაშორისო მეზობლურების ხარჯებს — 2 მლრდ. დოლარით და ა. ს. ბიუჯეტით მკვეთრად მცირდებოდა სოციალური ხარჯები — დახმარება უმუშევრებისა, უფასო მკურნალობის შემთხვევაში და ეროვნული ბიუჯეტის ყველაზე დიდი ხარჯების ერთ-ერთი შ ებილი 40 მლრდ. დოლარის გადახდას ითვალისწინებდა საფულეშეფრ ჯარებ[illegible]ვრ[illegible]ენტ ბზე

1976 წლის საარჩევნო კამპანიის დროს „ამერიკული დემოკრატიის“ ყველა ინსტიტუტი აღმოჩნდა მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში. რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციამ თავი შეირცხვინა ისეთი სკანდალური საქმეებით, როგორიც იყო ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის აგნიუს სამარცხვინო მხილება, „უოტერგეიტის საქმე“, გაძლიერებული კორუფცია, ამ პარტიის კონსერვატიზმი. ყოველივე ამან ამერიკელებს დაუკარგა რწმენა ხელისუფლების პატიოსნებასა და მოუსყიდველობისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის ჯ. კარტერის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო დაპირება, რომ პრეზიდენტის ხელისუფლებას დაუბრუნებდა დაკარგულ ნდობას და თავიდან ააცილებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას კორუფციას.

რესპუბლიკურ პარტიაში ბოლო წლებში გაძლიერდა კონსერვატორული ელემენტების გავლენა, რასაც ამ პარტიის არჩევნებისწინა პროგრამაც მოწმობდა. საგარეო პოლიტიკის დარგში აქ მთავარი ყურადღება დაძაბულობის შენელების პოლიტიკას კი არ ექცეოდა, არამედ ამერიკის სამხედრო ძლიერების ზრდას, რაც გამოწვეული იყო რეალური საბჭოთა მუქარით. ერთი სიტყვით, აშკარად გადაიდგა ნაბიჯი უკან იმ განცხადებებთან შედარებით, რომლებსაც რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები 1972 და 1974 წლებში არჩევნებისწინა კამპანიების დროს აქცეყნებდნენ. პრეზიდენტად თავისი კანდიდატურის დასახელების გამო ჯ. ფორდმა ზოგი რამ დაუთმო კონსერვატორებს, რომლებსაც რ. რეიგანი მეთაურობდა.

1976 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულმა არჩევნებმა წარმატება ჯ. კარტერს მოუტანა, რესპუბლიკურმა პარტიამ დაკარგა ადგილები კონგრესშიც. წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატებმა მიიღეს 292 ადგილი, რესპუბლიკელებმა — 143; სენატში შესაბამისად — 62 და 38. ქვეყნის 50 შტატიდან მხოლოდ 12 შტატში იყვნენ რესპუბლიკელი გუბერნატორები.

ჯ. კარტერის მთავრობაში სახელმწიფო მდივნად დაინიშნა ს. ვენსი, თავდაცვის მინისტრად — ჰ. ბრაუნი, რომელიც სამხედრო-

საჰაერო ძალების მინისტრად იყო დ. ჯონსონია მთავრობაში. პირველად ამერიკის ისტორიაში მინისტრად (საბინაო მშენებლობისა და ქალაქების განვითარების სამინისტროსი) დაინიშნა ზანგი ქალი პატრიცია ჰარისი — იურისტი, სამართლის პროფესორი.

ჯ. კარტერმა შეიმუშავა „ეკონომიკის სტიმულირების“ ორწლიანი პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო ხარჯების 31,2 მლრდ. დოლარით გაზრდის გზით (კერძოდ, 15,5 მლრდ. — 1977 წელს) ამ უკანასკნელი თანხის მეტი ნაწილი — 9,8 მლრდ. დოლარი — ერთდროული შეღავათია გადასახადის გადამხდელებისათვის და მიზნად ისახავდა მოხმარების სტიმულირებას იმ იმედით, რომ იგი ხელს შეუწყობდა სამრეწველო წარმოების ზრდას.

უშედეგოდ დამთავრდა მთავრობის მიერ შემუშავებული ენერგეტიკული პროგრამის განხორციელების ცდები. კონგრესმა აგვისტოში 339 ხმით წინააღმდეგ 82-ის თანხმობით უარყო წინადადება ბენზინის გადასახადის გადიდების შესახებ. იგი მთავრობამ შეიმუშავა მას შემდეგ, რაც ჯ. კარტერის თავდაპირველი წინადადება, რომ პრეზიდენტს უფლება მისცემოდა ბენზინის გადასახადი თავისი შეხედულებისამებრ გაედიდებინა, წარმომადგენელთა პალატის შემოსავლისა და გასავლის კომისიაში უარყვეს.

ჯ. კარტერმა „ინფლაციის გავლენისა“ და „აშშ-ში იმ პოტენციური საფრთხის ზუსტად შეფასების შეუძლებლობის“ მოტივით ბიუჯეტის გადასინჯულ პროექტში სამხედრო ასიგნობანი, რესპუბლიკური ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით, 2,75 მლრდ. დოლარით შეამცირა (დაპირებული 6—7 მლრდ. დოლარის ნაცვლად), მაგრამ ეს შემცირებაც, როგორც განაცხადა ჯ. კარტერმა, „საერთო სამხედრო პოტენციალის შესუსტების“ ხარჯზე არ მომხდარა.

1977 წლის ივლისში ჯ. კარტერმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, რომ ავიაგამანადგურებელ „ბ—1“-ის სერიული წარმოებისაგან თავს შეიკავებდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი თანხმობით სერიულ წარმოებას გადაეცა ფრთოსანი რაკეტები.

ჯ. კარტერმა[1] რიგი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უმუშევრობის მკვეთრად შემცირების მიზნით. ამ ღონისძიებებიდან აღსანიშნავია კარტერის მიერ წამოყენებული ეკონომიკის სტიმულირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა კორპორაციებსა და პირად შემოსავალზე გადასახადების შემცირებას. ამავე დროს გაიზარდა თანხების გამოყოფა საშუშაო ადგილების გაზრდისათვის. 1977 წლის აპრილში ენერგეტიკული პრობლემის გამწვაევებასთან დაკავშირებით კარტერმა კონგრესს წაუყენა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ენერგორესურსების ეკონომიას, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რეზერვების შექმნას, ქვანახშირის მოპოვების გაფართოებას, ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას, მზის ენერგიის გამოყენებას და ა. შ. დიდი ყურადღება ექცეოდა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით 1978 წლის ოქტომბერში და 1980 წლის მარტში კარტერმა წამოაყენა ანტიინფლაციის პროგრამა, რომელიც ით-

---

[1] აშშ-ს კონგრესი ორი პალატისაგან — სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან შედგება. კონგრესის სხდომა კაპიტოლიუმის შენობაში მიმდინარეობს და იგი ვაშინგტონის ცენტრშია განლაგებული. წარმომადგენელთა პალატის წევრები 1912 წლის კანონით — 435 დეპუტატისაგან შედგება. ამჟამად, ყოველი დეპუტატი 500 ათასი ამომრჩევლის წარმომადგენელია. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ჩატარებული მოსახლეობის აღწერით, წარმომადგენელთა პალატაში ადგილები შტატებს შორის ნაწილდება. წარმომადგენელთა პალატაში საარჩევნო ოლქების დადგენის უფლება ეკუთვნის ყოველი შტატის საკანონმდებლო ორგანოს. აშშ-ს კონსტიტუციით ყოველი შტატი პალატაში სულ ცოტა ერთი წევრით უნდა იყოს წარმოდგენილი. წარმომადგენელთა პალატის წევრებს ორ წელიწადში ერთხელ ირჩევენ იანვარში. ამრიგად ყოველ ორ წელიწადში პალატის განახლება ხდება. ასეთივე ინტერვალით ხდება კონგრესის ყოველი მოწვევა (1987—1988 წწ. მუშაობდა 100 მოწვევის კონგრესი). კონგრესის ყოველი მოწვევა ორ სესიას ატარებს დაწყებული იანვრიდან შესვენებებით მთელი წლის განმავლობაში. პრეზიდენტს კონსტიტუციით უფლება აქვს კონგრესის საგანგებო სხდომა მოიწვიოს ხანგრძლივ ოთხ დღეზე [illegible]

სენატში ყოველ შტატს 2 წარმომადგენელი ყავს, ე. ი. სულ 100 სენატორი. ყოველ სენატორს თავის შტატში ექვსი წლის ვადით ირჩევენ (იანვარში). წარმომადგენელთა პალატისაგან განსხვავებით ყოველ ორ წელიწადში ხდება სენატორთა მესამედის გადარჩევნები, რაც ეზრუნველყოფს შემადგენლობის განსაზღვრულ სტაბილურობას, მოღვაწეობაში მემკვიდრეობითობას. ტრადიციით სენატს უფრო პრივილეგიებული მდგომარეობა უკავია, ვიდრე წარმომადგენელთა პალატას.

ვალისწინებდა ხელფასებისა და ფასებია გაზრდის ზღვარის „ნებაყოფლობით“ დაწესებას, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, რიგი დაკრედიტების შეზღუდვების დაწესებას, რათა მხარი დაეჭირათ საერთაშორისო არენაზე დოლარის კურსისათვის. შეიქმნა უცხოური ვალუტის ფონდი 30 მლრდ დოლარის ოდენობით. დადგინდა ოქროს ყოველდღიური გაყიდვის ოდენობის გაზრდა, მაგრამ ჯ. კარტერის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა მთლიანად ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები. 1980 წელს აშშ-ში დაიწყო მორიგი ეკონომიკური კრიზისი, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ჯ. კარტერის პოზიციები ქვეყანაში. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ თვით მთავრობაში თავი იჩინა წინააღმდეგობებმა, რასაც კარტერმა იმით უპასუხა, რომ 1979 წლის ივლისში განახორციელა მთავრობის რეორგანიზაცია, რომლის შედეგად რიგი გავლენიანი მოღვაწე გადააყენა.

ჯ. კარტერის საგარეო პოლიტიკა

ჯ. კარტერის მიერ 1977 წლის პირველ ნახევარში გატარებული საგარეო პოლიტიკა ცხადყოფს, რომ მან დაიკავა თავისი ზოგიერთი წინასაარჩევნო დაპირებები. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისმა „მშვიდობისათვის ბრძოლის“ შესახებ განცხადებებმა და საშხედრო ბიუჯეტის შემცირების დაპირებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ამერიკის მხედრიონში.

პენტაგონმა მოამზადა და პრეზიდენტად არჩეულ ჯ. კარტერს, მის მრჩევლებს უკვე 1977 წლის იანვარში წარუდგინა „დოკუმენტების მდიდარი ტომი“ ეროვნული თავდაცვის პრობლემებზე. რიგი გამოდიოდა საშხედრო ბიუჯეტის რამდენადმე შემცირების ტენდენციის წინააღმდეგ, ამტკიცებდა ახალი სტრატეგიული იარაღების შემუშავებისა და წარმოების საჭიროებას. ... ახალ პრეზიდენტსა და „კონგრესის წამყვან წევრებზე“ ზეგავლენის მოსახდენად პენტაგონმა მოაწყო „ძალზე საიდუმლო საინფორმაციო თათბირი“ აშშ-ის დაზვერვის მიერ მიღებული საიდუმლო მასალების გასაცნობად საბჭოთა შეიარაღების ძლიერების შესახებ. პრესამ ამის შესახებ განაცხადა, რომ „საიდუმლო ინფორმა-

ციამ“ დიდი „შეშფოთება გამოიწვია პრეზიდენტსა და კონგრესმენებში“.

დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი სამართლიანად ამტკიცებდნენ, რომ „არ შეიძლება ვენდოთ საბჭოთა კავშირს“, რომ იგი „მსოფლიო ჰეგემონიას ესწრაფვის“, „ომის საფრთხეს“ ქმნის და ა. შ.

ბუნებრივია, რომ ორივე მხარის გამალებული შეიარაღება, სულ ახალი და ახალი სახეობის გამანადგურებელი იარაღის წარმოება, კი არ აძლიერებდა ამ ორ ქვეყნის უშიშროებას, არამედ საშიშროებას უქმნიდა ორივე მხარეს.

სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ შეთანხმების ვადა 1977 წლისათვის გადიოდა და ახალი შეთანხმება უნდა დადებულიყო. 1977 წლის იანვრის მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ მიაღწია პრინციპულ თანხმობას იმის თაობაზე, რომ ახალ შეთანხმებაში შესულიყო მკაცრი შეზღუდვები ფრთოსან რაკეტებზე, მაგრამ მას შემდეგ, როცა ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირმა ფარულად განალაგა საშუალო რადიუსზე მომქმედი რაკეტები გდრ-ში და ჩეხოსლოვაკიაში, ვაშინგტონი შეეცადა გადაესინჯა მიღწეული შეთანხმება, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ 1977 წლის მარტში მოსკოვში მოლაპარაკება ამ საკითხზე აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივნის ს. ვენსის ვიზიტის დროს ჩაიშალა. მაისში ჟენევაში გაიმართა ა. გრომიკოსა და ს. ვენსის ახალი შეხვედრა, რომელიც მოსკოვის შეხვედრასთან შედარებით ზოგიერთი პრობლემის მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

1977 წლის მაისში ჟენევაში ხელი მოაწერეს ხუთწლიან შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით კვლევა-გამოყენებაში თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ, ვითარება კვლავ გამწვავდა. 1977 წლის 9 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა სახსრების გამოყოფას ნეიტრონული ბომბის სერიული წარმოებისათვის. ამერიკის პროპაგანდა ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ ნეიტრონული ბომბი წარმოედგინა, როგორც „უცოდველი“, მშვიდობის უზრუნველყოფის იარაღი, რომელიც მოწინააღმდეგის მსოლოდ ცოცხალ ძალას, ჯარს სპობს და მატერიალურ ძვირფასეულობას არ შეეხება.

საქმე ეხება ახალი სახეობის თერმობირთვულ იარაღს, რომე-

ლიც გამიზნულია ადამიანების მასობრივი მოსპობისათვის გაძლიერებული რადიაციის მეშვეობით[1].

ამერიკის პროპაგანდა ქადაგებდა ყალბ იდეებს, თითქოს ნეიტრონული ბომბი „ძირფესვიანად განსხვავდებოდეს ბირთვული იარაღისაგან“, სინამდვილეში კი იგი მხოლოდ ბირთვული იარაღის ერთგვარი ნაირსახეობაა და ადამიანზე ზემოქმედებით ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის მსგავსია. ნეიტრონული ბომბი შედარებით იაფი და გამოსაყენებლად ადვილია და იგი შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ბევრი ქვეყნისათვის. ბირთვული იარაღის ამ ნაირსახეობის გაფართოებას შეიძლება მოჰყვეს „ლოკალურ ომებში“ ნეიტრონული იარაღის გამოყენება,

1977 წლის აგვისტოში ჯ. კარტერის მთავრობამ (აშშ-სა და პანამას შორის 13 წლის მოლაპარაკების შემდეგ) პანამასთან დადო შეთანხმება, რომლითაც კონტროლის უფლება არხზე პანამის მთავრობას მთლიანად გადაეცემა 2000 წლისათვის, მანამდე კი არხი ორივე ქვეყნის „ერთობლივ“ გამგებლობაში დარჩება. შემოსავალი არხიდან (ყოველწლიურად 150 მლნ. დოლარს იღებდნენ ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები) გადავიდა პანამის მთავრობის ხელში.

კარტერის დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკება აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ბირთვული იარაღის გამოცდის მთლიანი აკრძალვისა და გაუვრცელებლობის, ქიმიური იარაღისა და სხვა მასობრივი მოსპობის ახალი სახეობის იარაღის წარმოების შემცირების შესახებ და ა. შ. 1979 წლის ივნისში ვენაში მოეწყო შეხვედრა ჯ. კარტერსა და ლ. ბრეჟნევს შორის, რომლის დროსაც ამ ორ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილ იქნა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, რაც მნიშვნელოვანი მიღწევა იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქ-

---

[1] ნეიტრონული ბომბის შექმნისათვის მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. პენტაგონის მაშინდელი მეთაური ბრაუნი 15 წელზე მეტია ხელმძღვანელობდა ამ ბომბის შექმნის ლაბორატორიას და 1973 წ. გახდა ცნობილი, რომ ასეთი იარაღი შეიქმნა და მზადაა სერიული წარმოებისათვის. ბრაუნი ამტკიცებდა რომ ვინაიდან ნეიტრონული ბომბის მოქმედება შეზღუდულია დროითა და ფართობით, მისი გამოყენება კონფლიქტის შემთხვევაში უფრო ადრე შეიძლება, ვიდრე თერმობირთვული იარაღების — ატომური და წყალბადის ბომბების.

მეში ის რომ განხორციელებულიყო. მაგრამ აბ ხელმეკრულების ძალაში შესვლა, აღლანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის გამო, ჩაიშალა. ამავე დროს გადაიდგა ნაბიჯები ახალი სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის, მაგალითად ნეიტრონული იარაღის, ფრთოსანი რაკეტების, ბირთვული იარაღით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების „ტრაიდენტის", ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტის „ემეჭსის" და სხვა მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნისათვის. 1978 წ. აშშ-ს წინადადებით ნატოს ქვეყნებმა 3%-ით გაზარდეს თავისი სამხედრო ხარჯები. საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეყვანას მოჰყვა საერთაშორისო დაძაბული კითარების შექმნა. 1979 წლის დეკემბერში ნატოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (ინგლისში, გფრ-ში, იტალიაში, ბელგიაში და ჰოლანდიაში) 600-მდე საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ. გამოცხადდა „შეზღუდული ბირთვული ომის" დოქტრინა და ახალი სამხედრო ბაზების შექმნა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ნატოს ქვეყნებმა და უპირველეს ყოვლისა აშშ-მ შექმნა სპეციალური დანიშნულების ჯარები „სწრაფი რეაგირების კორპუსი", რომლის მთავარ ამოცანად ოფიციალურად გამოცხადდა „კომუნისტური აგრესიის" რაიონებში ამ ჯარების სწრაფად გადასროლა. 1980 წელს გამოცხადდა „კარტერის დოქტრინა", რომელიც ითვალისწინებდა „შეზღუდული ბირთვული ომის" გატარებას და ამერიკის სამხედრო ძალების ყოფნას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, რომლებიც აშშ-ს „სასიცოცხლო ინტერესების ზონად" გამოცხადდებოდნენ აშშ-ში. გაიშალა ალბანიის სტრატეგიული ბომბიანი შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ratification-ის წინააღმდეგ. 1980 წელს კარტერმა ბოიკოტი გამოუცხადა ოლიმპიურ თამაშებს მოსკოვში. ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭოთა ამბასადორ ანატოლი დობრინინს ცდილობდა ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანასთან თავისი ურთიერთობის გაუმჯობესების გზით. მათ საბჭოდა კავშირის წინააღმდეგ გაეწიენებინა [illegible] ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ჩინეთის ხალხთა რესპუბლიკასთან [illegible] ეს ფუტიერიაში. ჩ. ტერდ საბჭოთა ბოიკოტირების წინააღმდეგ [illegible] ... კარტერმა ყოველმხრივ ცდილობდა ომი [illegible] ... ხელმწიფეთა საერთაშორისო პოზიციების გაამტკიცების მიზნით

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხარჯზე და იმ წინააღმდეგობების დაძლევის გზით, რომელიც ამ სამ ცენტრს შორის არსებობდა.

აღნიშნულ აღმოსავლეთში ჯ. კარტერის ადმინისტრაცია ახორციელებდა ისრაელთან და ეგვიპტესთან სეპარატული მოლაპარაკების კურსს, აგრეთვე სხვა არაბულ ქვეყნებთანაც. 1978 წ. სექტემბერში კემპ-დეივიდში აშშ-მ, ისრაელმა და ეგვიპტემ ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს — „მშვიდობის ფარგლები ახლო აღმოსავლეთში" და „ფარგლები საშშვიდობო ხელშეკრულების დადებისა ეგვიპტესა და ისრაელს შორის", რომლებიც სეპარატული მორიგების კონკრეტული გამოხატულება იყო. აშშ დიდი რაოდენობის იარაღს აწვდიდა ისრაელს, საუდის არაბეთს და ირანს. მაგრამ 1978 წლის ამბების შემდეგ, როდესაც ირანში, დამხობილი იქნა შაჰის მთავრობა, ურთიერთობა აშშ-სა და ირანს შორის, განსაკუთრებით 1979 წლის ნოემბერში ამერიკელი მძევლების ხელში ჩაგდების შემდეგ ამერიკის საელჩოში თეირანში, ძალზედ დაიძაბა. აშშ-მ გამოიყენა ეს ამბები და გააძლიერა თავისი სამხედრო ძალების ყოფნა სპარსეთის ყურეში. 1980 წლის აპრილში კარტერის ადმინისტრაცია შეეცადა მძევლების განთავისუფლებას თეირანში, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. ამ ამბების ჩაშლამ გამოიწვია ჯ. კარტერის ავტორიტეტის დაცემა.

კარიბის კრიზისიდან თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირსა და აშშ-ში დაიწყო გამალებული შეიარაღება სტრატეგიული პირთვული იარაღით. 1972 წ. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ხუთი წლის ვადით დადებული შეთანხმების შემდეგ, რომელიც ზღუდავდა სტრატეგიულ შეიარაღებას და დაახლოებით პარიტეტს ადგენდა, 70-იანი წლების მეორე ნახევარში აშშ-ში, იმის გამო, რომ სსრკ-მ გაუსწრო ამერიკას, კვლავ დაიწყო აღნიშნული იარაღით გამალებული შეიარაღება, პარიტეტის შენარჩუნებისა კი არა, უპირატესობის მიღწევის მიზნით. ამერიკელების ასეთ დასკვნას სსრკ-ს მთავრობა სადავოდ ხდიდა, მაგრამ ციფრებისა და მონაცემების გარეშე, რის გამოც დამაჯერებელი არ იყო ამერიკელი ოპონენტებისათვის. ამიტომ აშშ-ს შეხედულებები უფრო სარწმუნო ჩანდა ფართო საზოგადოებრიობისათვის, ვიდრე სსრკ-სი. ასეთი გარემოება 1980 წელს დაეხმარა რ. რეიგანს იოლი გამარჯვების მიღწევაში ჯ. კარტერზე და შეიარაღების გიგანტური პროგ-

რამის მიღებაში. ასეთი იყო ამერიკული პასუხის შედეგი არა მარტო საბჭოთა კავშირის სამხედრო შეიარაღების ზრდაზე, არამედ აგრეთვე იმ საიდუმლოებაზე, რომელიც 70 წლის განმავლობაში იყო გაბატონებული საბჭოთა კავშირში.

§ 10. აშშ-ი 80-იან წლებში. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება

რ. რეიგანის მთავრობის საშინაო პოლიტიკა — „რეიგანომიკა"

1980 წლის 4 ნოემბერს აშშ-ში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები, რომლის დროსაც დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა ჯ. კარტერმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადა. პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი რონალდ რეიგანი, რომელიც 69 წლისა იყო. იგი აშშ-ს მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე ხანდაზმული პრეზიდენტი იყო. ამის გამო არავის სჯეროდა, რომ იგი შეძლებდა პრეზიდენტისა და განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის შერყეული ავტორიტეტის აღდგენას. ეჭვს გამოთქვამდნენ აგრეთვე აშშ-ს შელახული საერთაშორისო ავტორიტეტისა და პოზიციების აღდგენაზე. გარდა ამისა, 1980—1982 წლებში ქვეყანა მოიცვა მორიგმა ეკონომიკურმა კრიზისმა. თანაც ისეთ პირობებში, როდესაც მთელი 70-იანი წლების განმავლობაში წარმოების ზრდის ტემპები დაბალი იყო. 1980 წელს სამრეწველო წარმოება 3,6%-ით დაეცა 1979 წელთან შედარებით. 1981 წელს დაწყებული სამრეწველო წარმოების ზრდა მომდევნო წელს შეიცვალა 8,2%-ის დაცემით. კრიზისისაგან განსაკუთრებით ძლიერად დაზარალდა მანქანათმშენებლობა, შავი მეტალურგია, ლითონგადამამუშავებელი და ფოლადისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგები. 1982 წ. უმუშევართა რაოდენობამ 12 მლნ კაცს მიაღწია. კრიზისი შეეხო სოფლის მეურნეობას და არასაწარმოო სფეროს. გაიზარდა ფასები პირველი მოთხოვნის საქონელზე, დაეცა ხალხის რეალური ხელფასი, დაიწყო დოლარის მანამდე არნახული ინფლაცია. 1980—1982 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ამერიკის ეკონომიკა შედარებით

ინტენსიურად ვითარდებოდა, მაგრამ აღმავლობის ტემპები 80-იან წლებში შეადგენდა მხოლოდ 2,6%-ს, (60-იან წლებში 3,8%-ს, 70-იან წლებში კი — 2,8%-ს). მაგრამ 80-იანი წლების აღმავლობა მიმდინარეობდა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების ვითარებაში, რომელიც მოიცავს არა მარტო მატერიალურ, არამედ არამატერიალურ სფეროსაც. მასთან დაკავშირებულია რეკონსტრუქციის განსაკუთრებით მაღალი ტემპები და მანქანათმშენებლობის დარგებში საწარმოო სიძლიერის ზრდა, რაც ხელს უწყობს ტექნიკურ პროგრესს ეკონომიკაში. რეკონსტრუქცია განსაკუთრებული ფართო მასშტაბებით განხორციელდა რ. რეიგანის ორივე ვადით პრეზიდენტობისას. ეს რეკონსტრუქცია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებისა და წინსვლისათვის იყო აუცილებელი.

გაიზარდა ინფლაცია, რომელმაც 80-იანი წლების დასაწყისში 10%-ის დონეს მიაღწია. ყველაფერმა ამან კი რთული პრობლემები შექმნა სოციალური ღონისძიებების დაფინანსებისათვის, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი მომავალი იმ სახით, როგორითაც იგი ჩამოყალიბდა ომის შემდგომ პერიოდში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა აგრეთვე ტრადიციული რეფორმისტული შეხედულებები ამერიკის კაპიტალიზმის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის გზების შესახებ. გარდა ამისა, მკვეთრად გაუარესდა აშშ-ს საგარეო-ეკონომიკური პოზიციები. ყველაფერი ამის გამო გაკოტრებული აღმოჩნდა სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ადრინდელი სისტემები და კონცეფციები, რომელმაც თავისი გამოხატულება ჯერ კიდევ პრეზიდენტ ფ. რუზველტის „ახალ კურსში“ პოვა, ხოლო 1946 წლის თებერვალში კონგრესის მიერ მიღებულმა კანონმა ეკონომიკაზე სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობის შესახებ, შემოიღო სახელმწიფოს მეთაურის ჩარევის სისტემა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მისი რეგულირებისა და ჭარბი წარმოების კრიზისებისა და უმუშევრობის თავიდან აცილების მიზნით. 70-იან წლებში ამ სისტემამ კრახი განიცადა. იგი ვეღარ უზრუნველყოფდა იმ სოციალურ-ეკონომიკური მიზნების რეალიზაციას, რომლის მთავარი ამოცანა იყო კაპიტალიზმის შეგუება ცვალებად სამყაროსთან. ამერიკის საგარეო ვალუტის შემცირებამ და ვაჭრობის დაქვეითებამ, საერთოდ საგარეო-ეკონომიკური პოზიციების გაუარესებამ და ქვეყნის შიგნით კი ფასების, ინფლაციისა და უმუშევრობის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფო-მო-

ნოპოლისტური რეგულირების კარდინალური ცვლილებების საკითხი. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში აშერიკის გაბატონებული კლასებისათვის სრულიად ნათელი გახდა, რომ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად საჭირო იყო ან ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის უფრო მეტად გაფართოება, ან არადა პრინციპულად ახლებურად მიდგომა — ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის შეზღუდვა და ბაზრის ფაქტორის გაზრდა. ომის წინა და ომის შემდგომმა რუზველტისებურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და პოლიტიკური სტაბილიზაციის კურსმა ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და ერთგვარ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა ეკონომიკის შემდგომი წინსვლის საქმეში. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა, ინვენსტიციური პროცესის ქრონიკული მოდუნება გამოწვეული იყო საგანგებო, „ამკრძალავი" და გადასახადების მაღალი დონით (უპირველეს ყოვლისა მეწარმეების), სახელმწიფო რეგლამენტაციების გაფართოებით, მოგებისა და დანაზოგის სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვით და ამის გამო კვლავწარმოების სტიმულირების დაცემით. ინფლაციის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ უპასუხისმგებლო კრედიტულ-ფულადი რეგულირების პოლიტიკას. დიდ უმუშევრობასაც აღნიშნულ პოლიტიკას მიაწერენ და აგრეთვე რეალური საზღვრებიდან გამოსულ მზარდ სოციალურ პროგრამასაც, რაც თითქოს იწვევდა შრომისადმი შეჰაგულიანებელი მოტივების შესუსტებას. რ. რეიგანის მოხსენებაში ეკონომიკურ საკითხებზე აღნიშნულია, რომ ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას და ამერიკელი ხალხის კეთილდღეობას ძირს უთხრიდა ფედერალური მთავრობის მცდარი პოლიტიკა: „მთავრობის არასწორი მითითებები აკავებდა ინიციატივას, იწვევდა კაპიტალისა და შრომის შეზღუდული რესურსების განიავებას; არაეფექტური და უსამართლო საგადასახადო სისტემა აჯარიმებდა ჰუყაითობას, მომჭირნეობასა და კაპიტალის დაბანდებას; დიდი სახელმწიფო ხარჯები ანიავებდა გადასახადის გადამხდელთა სახსრებს და ქმნიდა ბიუჯეტის დეფიციტს, რომლებმაც შეამცირეს კაპიტალის დაგროვება და გაზარდეს ეროვნული ვალი და ბოლოს, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის შედეგად გახშირდა ეკონომიკური ციკლები და მზარდი ინფლაციის ტრაექტორია". შექმნილი ვითარების სწორი ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ მოხდა არა კაპიტალიზმის კრიზისი, არამედ ეკონომიკური ცხოვრების სახელმწიფო

რეგულირების კრიზისი. ამიტომ რ. რეიგანის ადმინისტრაციამ თავის ირგვლივ თავი მოუყარა ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტებს, უპირველეს ყოვლისა ეკონომისტებს, რომელთაც ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა და შემცირება მიაჩნდათ აუცილებელ ღონისძიებად, საშუალებად, რომლის შედეგად ამუშავდება ბაზრის მექანიზმი — ზრდის ძრავა, შემცირდება უმუშევრობა, თავიდან აიცილებენ ინფლაციის და გაიხსნება საგარეო ეკონომიკური შეზღუდვების მარწუხები, სტიმულირება მიეცემა კერძო კაპიტალურ დაბანდებებს და ა. შ.

რ. რეიგანი პირველად აშშ-ში აშკარად გამოვიდა ომის შემდგომი ტრადიციულინეოლიბერალური რეფორმიზმის წინააღმდეგ და დაადგა ნეოკონსერვატორული მეთოდებით რეგულირების კურსს. „ნეოლიბერალებისაგან" განსხვავებით, რომელნიც მოითხოვდნენ ეკონომიკაში მთავრობის აქტიურად ჩარევას მისი რეგულირების მიზნით, „ნეოკონსერვატორები" გამოდიოდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტად ჩარევის წინააღმდეგ და პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვას მოითხოვდნენ. საყურადღებოა, რომ რ. რეიგანს ხელისუფლების ხელში აღება მძიმე ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში მოუხდა.

რ. რეიგანის მიერ გატარებული საგადასახადო სისტემის გარდაქმნა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. აღსანიშნავია, რომ ომის შემდგომ აშშ-ში, 1950 წლიდან გადასახადებიდან შემოსავლის აბსოლუტური მოცულობა 18-ჯერ გაიზარდა და 80-იანი წლების შუა პერიოდში 1,2 ტრილიონ დოლარს მიაღწია. აშშ-ში გადასახადების სისტემა საკმაოდ რთულია. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლი — ფედერალური მთავრობა, შტატები და ადგილობრივი ორგანოები — კონსტიტუციის შესაბამისად აღჭურვილნი არიან საგადასახადო რწმუნებებით. გადასახადების სხვადასხვა სახეობები არსებობს: საშემოსავლო, აქციზები ცალკეულ საქონელზე, გადასახადები მემკვიდრეობაზე და გაჩუქებაზე, შესატანი სოციალური დაზღვევის ფონდებზე და ა. შ. გადასახადების ძირითად სახეს წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადი მოსახლეობიდან და კორპორაციებიდან. საშემოსავლო გადასახადის 80% ფედერალურ ბიუჯეტში შედის და მისი საშემოსავლო ნაწილის ნახევარზე მეტს შეადგენს. უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში ყოველწლიური ფედერალური საშემოსავლო გადასახადი 15-ჯერ გაიზარდა. საშე-

მოსავლო გადასახადების სისტემა აშშ-ში 1913 წელს შეიქმნა და შემდგომ პერიოდში მრავალი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ყოველთვის მიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ნაწილს. ფასების სწრაფად ზრდის გამო საგადასახადო სისტემა დამაზღუდველ ზეგავლენას ახდენდა მშრომელთ. რეალური შემოსავლის ზრდაზე, ვინაიდან ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილი ხელფასი იბეგრებოდა უფრო მაღალი პროგრესული საშემოსავლო გადასახადით, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა აშშ-ში მოქმედ საგადასახადო სისტემას „ადამიანის მოდგმის თავსლაფის დასხმა“ უწოდა, შეეცადა კიდეც მასში რაიმე ცვლილებები შეეტანა და ამ მიზნით 1978 წ. კანონპროექტიც კი შეიტანა კონგრესში, მაგრამ იგი უარყოფილი იქნა კონგრესის მიერ.

რ. რეიგანმა უკვე 1981 წელს კონგრესს მიაღებინა კანონი საშემოსავლო გადასახადების შესახებ. საშემოსავლო გადასახადების ობიექტებია პირადი შემოსავალი ფულადი ფორმით, რომელშიც შედის ხელფასი, რენტა, პროცენტები, დივიდენდები, ჰონორარი.

ამრიგად, 80-იანი წლების დამდეგს მიელი სიმწვავით დადგა როკორც მინიმუმი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შესუსტების საკითხი. სწორედ ეს პროცესი დაიწყო რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს და მან „რეიგანომიკის“ სახელწოდება მიიღო. „ჩვენი ადმინისტრაციის მიზანია, თქვა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში რ. რეიგანმა, უზრუნველყოთ ამერიკისათვის ახალი პროგრესი, ხოლო მისი ყველა მოქალაქისათვის — ახალი შესაძლებლობანი. ამ მიზნის მიღწევის წესი... ერთია: გავანთავისუფლოთ პირადობა, გავაუქმოთ ბაზრის რეგულირება, შევამციროთ მთავრობის აპარატისა და ფედერალური მთავრობის ხელისუფლების რაოდენობა. ჩემი პირველი და ყველაზე მძიმე ამოცანაა გავაუმჯობესო ეკონომიკის ფუნქციონირება ფედერალური მთავრობის როლის შემცირების გზით მის ყოველ მრავალმხრივ განზომილებაში. ჩვენ კერძო ინიციატივას უნდა დავუტოვოთ ყველა ფუნქცია, რომლის რეალიზება ინდივიდუმებს თვითონ შეუძლიათ“. ასეთ კონტექსტში სახელმწიფოს პოზიტიური ეკონომიკური როლის შესახებ ლაპარაკისას რ. რეიგანი ამტკიცებდა, რომ იგი მხოლოდ მასში მდგომარეობს, რომ შეიქმნას „ჯანმრთელი, სტაბილური ჩარჩოები, რომელშიც კერძო სექტორი იქნება ზრდის, დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლების ძირეული წყარო“.

რ. რეიგანმა რიგი განცხადებები გააკეთა, მაგალითად იმის შესახებ, რომ იგი „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ მოაწყობს იმისათვის, რათა „ამერიკა კვლავ გადააქციოს დიდ სახელმწიფოდ“. მან თავისი მოქმედების ახალ პროგრამას „ამერიკისათვის ახალი დასაწყისი“ უწოდა. ეს მიზანი, რ. რეიგანის სიტყვით, მიღწეული იქნება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შეკვეცით, რომ იგი საშეურნეო პროცესს და კერძო კაპიტალისტურ მეწარმეობას გაანთავისუფლებს ბიუროკრატიული გზიდან „თვითმარეგულირებელი სტიქიურ-საბაზრო კონკურენციის მექანიზმისათვის განსაზღვრული თავისუფალი მოქმედების მინიჭებით“. ყოველგვარი უბედურების სათავედ, რომელიც ამერიკას თავს დაატყდა, გამოცხადდა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ერთ-ერთი „მთავარი მიზეზი აშშ-ს ეკონომიკური ზრდის შენელებისა“. რ. რეიგანმა თავისი პრეზიდენტობის დასაწყისშივე განახორციელა ფედერალური საგადასახადო სისტემის რეფორმების გატარება ეტაპობრივად.

რ. რეიგანის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაუუჯობესა ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკური აღმავლობა.

„რეიგანომიკის“ მთავარი და ყველაზე უფრო ფართოდ რეკლამირებული ელემენტი გახდა 1981 წელს კონგრესის მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამა გადასახადების შესახებ. ეს კანონი შემდეგ ღონისძიებებს ითვალისწინებდა: 1) ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად. 1985 წლიდან დაწყებული, 23% შემცირებას, 2) კაპიტალის შემოსავლიდან მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის შემცირება 70-ან 50 პროცენტამდე; 3) კაპიტალის საბაზრო ღირებულების ზრდიდან შემოსავალზე მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის შემცირება 28-ან 20 პროცენტამდე; 4) საინვესტიციო ჩამოწერის ვადების მნიშვნელოვნად შემცირება. მსუბუქ საკვირთო მანქანებზე და კვლევით ხელსაწყოებზე ღირებულების ანაზღაურების ვადა სამი წელია, ავტომანქანებზე და მოწყობილობებზე — 5 წელი, საწარმოო შენობებსა და ნაგებობებზე — 10-დან 15 წლამდე; 5) საინვესტიციო გადასახადებზე განაკვეთის დაკლება. ამან კორპორაციებს შესაძლებლობა მისცა თავისი საგადასახადო ვალდებულებები მიღებული აქტივებიდან ამორტიზაციებზე სამი წლის ვადით 6 პროცენტით შეემცირებინათ. ხოლო 70 პროცენტით ამორტიზაციის

დიდი ვადების აქტივებზე და 25 პროცენტით — კვლევისა და დამუშავების ხარჯებზე.

გადასახადების კანონით მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი საშუალოდ 23 პროცენტით შემცირდა, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი გამოუმუშავებელი შემოსავლიდან და უძრავი ქონებიდან შემცირდა 70-დან 50 პროცენტამდე, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა პროგრესული გადასახადი. არსებითად შემცირდა აგრეთვე საგადასახადო განაკვეთი კორპორაციების მოგებებზე და დაბანდებული კაპიტალის საბაზრო ღირებულების აქტივებზე, გაფართოვდა საგადასახადო კრედიტების (ანუ საგადასახადო შეღავათების, რომელშიც შემოსავლისაგან კი არ ხდებოდა, არამედ გადასახადისაგან) გამოყენება, შემოღებულ იქნა საამორტიზაციო ჩამოწერის საგანგებო შეღავათების სისტემა და სხვა საგადასახადო შეღავათები. რ. რეიგანის ეს საგადასახადო რეფორმა ამ დარგში ყველაზე დიდი ღონისძიება იყო ომის შემდგომ პერიოდში. ამ რეფორმას სენატორმა ბ. ბრედლიმ „ბიზნესიათვის ღიდი საჩუქარი" უწოდა. რ. რეიგანის საშემოსავლო გადასახადების კანონის მთავარ ამოცანად გამოცხადებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპებისათვის ხელის შეწყობა, ეკონომიკური სტიმულირება და უმუშევრობის მკვეთრად შემცირება. მართლაც ამ საქმეში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება, მაგრამ ამავე დროს, უკვე 1983—1985 წლებში, ოფიციალური მონაცემებით, ხაზინას დააკლდა 324 მლრდ მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადებიდან და 81 მილიარდი დოლარი — კორპორაციებებიდან. ამის გამო აღნიშნული კანონის ძალზედ ხწკავე კრიტიკა დაიწყო ქვეყანაში, რაც 1982—1984 წწ. მოჰყვა 1981 წლის კანონის შემზღუდავი მოქმედება, რომლითაც გადასახადების დაბეგვრის ბაზა გაფართოვდა. კერძოდ, ფედერალური ფინანსირების გამოსწორების მიზნით გაიზარდა გადასახადები აქციებზე, სოციალური დაზღვევის შესატანზე.

ფედერალური შემოსავლის მთავარი წყაროა ინდივიდუალური შემოსავლის გადასახადი. ამერიკელები ორი სახით იხდიან გადასახადს, რომელიც დამოკიდებულია მუშაობის სახეობაზე. იმ პირებს, რომელნიც სუფთა ხელფასზე „სხედან", მეწარმე ავტომატურად უქვითავს საშემოსავლო გადასახადს — ყოველი ქვითრიდან (როგორც წესი, ყოველკვირეულად) და გადარიცხავს მას შიდა შემოსავლის ბიუროში. ის კი, ვინც საკუთარი ბიზნესით, ინვენსტიციით

და ა. შ. ცხოვრობს, კვარტალში ერთხელ დამოუკიდებლად გაიანგარიშებს გადასახდელი გადასახადის ოდენობას და უხდის ხაზინას. საგადასახადო დეკლარაციის ვადების დარღვევისათვის დამრღვევი ჯარიმდება ვადაგასული თანხის რაოდენობის 5%-ით. შემოსავლის არამთლიანი ინფორმაციის გამო ან დეკლარაციის არასწორი შევსებისათვის დაწესებულია ჯარიმა 500 მლნ-მდე დოლარის ოდენობით, ხოლო შემოსავლის განზრახ შემცირებული ჩვენებისათვის დაწესებულია — 75 პროცენტის ოდენობის ჯარიმა გადაუხდელი თანხისა. მოურჯულებელ გადამხდელს კანონი დაპატიმრებითაც კი ემუქრება.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყოველგვარ გამონაკლისს, შეღავათებს და ა. შ., საერთო წესი ასეთია: საშემოსავლო გადასახადს იხდიან 65 წლის ასაკამდე მარტოხელა მოქალაქეები 4950 დოლარის უფრო მაღლა შემოსავლით წელიწადში. 65 წლის ასაკის ზემოთ 5700 დოლარის შემოსავლის ზემოთ წელიწადში. მარტოხელა მოქალაქე 17850 დოლარის შემოსავლით წელიწადში და მეუღლესთან ერთად 29750 დოლარზე მეტი შემოსავლით წელიწადში გადასახადს იხდიან 15 პროცენტს. აღნიშნულ თანხის ზემოთ შემოსავალზე გადასახადი 28 პროცენტით იზრდება, რაც შეეხება კორპორაციებზე არსებულ საშემოსავლო გადასახადებს, 50 ათას სუფთა შემოსავალზე იხდიან 15 პროცენტს, უფრო მეტი კი — 34 პროცენტი 100 ათას დოლარზე მეტ შემოსავალზე, მაგრამ არა ნაკლებ 335 ათასზე, დამატებით იღებენ 5 პროცენტს. კომპანიებზე 335 ათასზე მეტი შემოსავლით ფაქტიურად მოქმედებს 34 პროცენტიანი გადასახადი. იმათაც, ისე როგორც კერძო პირებმა, გადასახადები ყოველკვარტალურად უნდა იხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდებიან.

ფედერალური გადასახადების გარდა ამერიკელები იხდიან ადგილობრივ, შტატების გადასახადებს — საკუთრებაზე, მემკვიდრეობაზე, ბენზინზე, გზებისა და ხიდების გამოყენებაზე, ყიდვაზე. ადგილობრივი ქალაქისა თუ ოლქის ხელისუფლება თავის გადასახადებს აწესებს — სპირტიან სასმელებზე. თამბაქოს ვაჭრობაზე. თევზის ჭერაზე და ა. შ.

აღნიშნული კანონის გატარების შედეგად აშშ-ში კარგი ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ეკონომიკის წამყვან დარგებში როგორც საშინაო, ასევე საკერეო კაპიტალის დაბანდების ზრდაში. ამასთა-

ნაკლ, თუ 60-იან და 70-იან წლებში ეკონომიკის დაფინანსება ძირითადად ეროვნული კაპიტალით ხდებოდა, 1984 და 1985 წწ. ინვესტიციები ფინანსდებოდა უცხოური კაპიტალით შესაბამისად 35,3 და 48,3 პროცენტით, რაც იმას ნიშნავს, რომ დივიდენდები და საპროცენტო შენოსავალი უცხოური კაპიტალის დამბანდებლების საპროცენტო შემოსავალში გადადიოდა. უცხოური კაპიტალის მკვეთრად ზრდამ აშშ-ში გამოიწვია დოლარის კურსის ამაღლება. ანას ნოპკვა ფასების შეფარდებითი ზრდა აშშ-ს საშინაო ბაზარზე იმპორტირებულ საქონელზე და ამერიკის საქონლის კონკურენციის უნარიანობის დაცემა.

რ. რეიგანმა, თავისი მეორე ვადით პრეზიდენტობის დროსაც, განახორციელა რიგი საგადასახადო რეფორმები. 1985 წლის მაისში რ. რეიგანმა კონგრესს გაუგზავნა დაწვრილებითი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უფრო უბრალო და სამართლიანი საგადასახადო სისტემის შემოღებას, რომელმაც მოქალაქეთა ფინანსური ტვირთი მნიშვნელოვნად შეამსუბუქა და ამავე დროს გაზარდა ეკონომიკური აქტივობა. რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების დეპუტატებმა კონგრესში პრინციპში მხარი დაუჭირეს კანონპროექტს და დაამტკიცეს იგი. ამ რეფორმების ძირითადი მიზანი იყო საბიუჯეტო რეგულირების მექანიზმის გაუქმება, სამეურნეო აგენტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ჩარევაზე უარის თქმა. საშემოსავლო გადასახადებით ერთნაირი დაბეგვრა, მიუხედავად იმისა თუ ეკონომიკის რომელ დარგში აქვთ კაპიტალი დაბანდებული. ვადასახადების რეფორმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ არსებითად შემცირდეს გადასახადების ზღვარი და ხელი შეუწყონ მეურნეობის საბაზრო მექანიზმის გააქტიურებას, კაპიტალის ნოზღვაგებას, ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. იგი მიზნად ისახავს აგრეთვე სოციალური დაძაბულობის შესუსტებას დაბალშემოსავლიანებისათვის გადასახადების მნიშვნელოვნად შემცირების გზით. ეს რათქმა უნდა არ ნიშნავს სოციალურ პოლიტიკაში ნეოკონსერვატორული პრინციპებიდან გადახვევას, რაც უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთთან დააკავშიროს საზოგადოების კეთილდღეობა და კერძო ბიზნესის აყვავება ფედერალური ბიუჯეტის გაბოყენების შესაზღუდად სოციალური განვითარების საჭიროებისათვის. საგადასახადო რეფორმების შემუშავება, რომელიც მოსახ-

ლეობის სხვადასხვა ფენებისა და მეწარმეების ჯგუფების ინტერესებს ეხებოდა, ძალზე მწვავე ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა კონგრესის კომისიებში და პალატებში, რომლის დროსაც კანონპროექტებს არაერთხელ ემუქრებოდა ჩაგდების საშიშროება.

რ. რეიგანმა საგადასახადო რეფორმის კანონებს „მეორე ამერიკული რევოლუცია" უწოდა „ახალი ერის ეკონომიკური აყვავების გარიჟრაჟზე". ასეთი დახასიათების მიზანი ის იყო, რომ საზოგადოებისათვის ახალი საგადასახადო კანონი ისეთნაირად წარმოეჩინა, რომ იგი მიზნად ისახავს მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. თვითონ მთავრობა რესპუბლიკური პარტიის სახით კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საგადასახადო კანონით გაუმჯობესდება საკრედიტო-ფულადი სისტემა, ვინაიდან საგადასახადო რეფორმას შეუძლია შეზღუდოს მოთხოვნები კრედიტზე და ატიმული მისცეს დაგროვებას. ამის შედეგი კი ის იქნება, რომ საპროცენტო განაკვეთის დონე შემცირდება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საპროცენტო გადასახადის შემცირებას სახელმწიფო ვალზე და ამრიგად ბიუჯეტის დეფიციტის შეცირებას. მეორე მხრივ — მოხდება დოლარის კურსის სტაბილიზაცია, უცხოური კაპიტალის მოზღვავების შემცირება, საგარეო ვაჭრობის ბალანსი გაუმჯობესება და აშშ-ს საინვესტიციო საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება. მაგრამ მთავრობის ამ ოპტიმიზმს აშშ-ს ყველა ეკონომისტი როდი იზიარებდა. ასეა თუ ისე, აშშ-ში გატარებული საგადასახადო რეფორმა დიდ მოვლენადაა მიჩნეული. იგი საუძველიანად ეხება მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს. ამ საგადასახადო სისტემის მიზანია სახელმწიფო კონტროლის შესუსტება სამეურნეო პროცესზე და საბაზრო მექანიზმის მარეგულირებელი ფუნქციების ამაღლება, რამაც, ნეოკონსერვატორული კონცეფციების შესაბამისად, მასტიმულირებელი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკაზე. მთლიანად საგადასახადო რეფორმა აშშ-ს ხმართველი წრეების კიდევ ერთი ცდაა ახალი ძალები შოიპაროს ამერიკის სამეურნეო სისტემის და აღადგინოს „ერის წარმოებითი ინსტინქტი".

ჯ. კარტერის ადმინისტრაციის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა — ინფლაცია რ. რეიგანის პრეზიდენტობისას საბოლოოდ აღკვეთილი იქნა. საერთო ეკონომიკური აქტივობა მთლიანი ეროვნული პროდუქტის ეამოხატულებით, სწრაფი ტემპით იზრდებოდა. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე უმუშევრობა. რ. რეიგანმა ფედერა-

ლური მთავრობის როლის შემცირების კურსი აიღო ამერიკული საზოგადოების ცხოვრებაში. მისი სიახლის შეტანის რწმენა უკარნახებდა მას, რომ მტკიცე აყვავების ყველაზე უფრო სწორი გზა არის კერძო წარმოებისა და პირადი ინიციატივის განვითარება. ასე თუ ისე, რეიგანის ეკონომიკურმა რეფორმებმა დადებითი შედეგები გამოიღო: დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპები და თავიდან იქნა აცილებული მოგების ნორმების ადრე დამახასიათებელი მერყეობა. ეს ნორმები უფრო სტაბილური გახდა მეურნეობის ყველა დარგის ღრმა ტექნოლოგიური ცვლილებების წყალობით, ბოლო მოეღო ინფლაციას და მკვეთრად შემცირდა უმუშევრობა. ამ მიღწეულ შედეგებზე არ შეიძლება თვალების დახუჭვა. კაპიტალიზმი არ გაიყინა თავის განვითარებაში. რ. რეიგანის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დადებითი შედეგები მოკლე ხანში გამოიღო. იგი არ გამოდგა თიხის ფეხებზე დაყრდნობილი. როგორც ჩვენთან ეგონათ. მისი ეკონომიკური რეფორმების შედეგად მომხდარი მთელი სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის კერძო კაპიტალის სტიმულირებაზე გარდაქმნა ისეთ პირობებში, როდესაც მსოფლიო იმყოფება ახალი ტექნოლოგიური აღმავლობის სტადიაში, შესაძლებლობასა ქმნის ამ ახალი ტექნოლოგიური სტადიის ხანგრძლივვადიანი შედეგებისათვის. მაგრამ აშშ-ს ეკონომიკის „მუდმივი აყვავების" თეორიები ადრეც აღმოცენდა და იგი მარცხით მთავრდებოდა ხოლმე. „რეიგანომიკის" რეფორმების ერთ-ერთი საშიში სიმპტომები იყო 1987 წლის ოქტომბერში და 1989 წლის ოქტომბერში მომხდარი საბირჟო კრახი, როდესაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მკვეთრად დაეცა დოლარის კურსი. მაგრამ ეს საბირჟო კრიზისი ხანმოკლე აღმოჩნდა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც რ. რეიგანმა ვერ გადაჭრა ორივე ვადით პრეზიდენტობის პერიოდში — ესაა ფედერალური დეფიციტი, რომელმაც 1988 წლის ბოლოსათვის ასტრონომიულ ციფრამდე მიაღწია. რ. რეიგანის ადმინისტრაცია რვა წლის განმავლობაში უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე იღებდა გადასახადებებიდან და სხვა შემოსავლიდან. ამის შედეგად სახელმწიფოს ვალმა 1 ტრილიონ დოლარამდე მიაღწია. მაგრამ ისეთ ვითარებაში, როდესაც უდიდესი მასშტაბებით იზრდება ეროვნული შემოსავალი, სახელმწიფო დავალიანება არ არის საშიში.

80-იან წლებში აშშ-ზე მოდიოდა ინდუსტრიულად განვითარე-

ბული კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოების 35—37 პროცენტი, იაპონიაზე კი — 10—11 პროცენტი. 1987 წ. აშშ-ს საერთო ეროვნული პროდუქტი 3,3 ტრილიონ დოლარს უდრიდა, 1988 წელს კი იგი უკვე 4 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც 2,5 ჯერ მეტია (1989 წლის ფასებით), ვიდრე იაპონიაში, რომელსაც მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში.

1989 წლის 27 აპრილის ცნობით, პირველად ამერიკის ისტორიაში საერთო ეროვნულმა პროდუქტმა 1989 წლის პირველ კვარტალში 5 ტრილიონ დოლარს მიაღწია. 1989 წლის იანვარ-მარტში ეკონომიკური ზრდის ტემპმა მიაღწია 5,5 პროცენტს, წარსული წლის კვარტლის ბოლოს დროინდელ 2,4 პროცენტთან შედარებით, როდესაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა წარსული წლის საშინელი გვალვის გავლენა. 1989 წლისათვის აშშ-ში აწარმოებდნენ 70 პროცენტით მეტ საქონელსა და მომსახურებას, ვიდრე 1970 წელს. თავისი დიდი ეკონომიკური პოტენციალის წყალობით აშშ მრავალი უხილავი თუ ხილვადი ძაფით არის დაკავშირებული მსოფლიო სამყაროსთან. მთავარი მაინც ისაა, რომ ამერიკის ბიზნესმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პირველებმა შეაფასეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელობა და გამოიყენეს მისი შესაძლებლობანი, ერთი მხრივ, საშინაო კონფლიქტების მოგვარებისათვის და, მეორე მხრივ, აშშ-ს ზეგავლენის გაფართოებისათვის სხვა ქვეყნებზე.

70-იანი წლების მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშშ სულ უფრო ინტენსიურად ზრდიდა თავის მსოფლიო სამეურნეო კავშირს და ცდილობდა დაკარგული პოზიციების აღდგენას. 80-იან წლებში აშშ-ს საგარეო ვაჭრობაში, თვით ამერიკელი ეკონომისტების აზრით, რომელსაც ევროპის ეკონომისტებიც იზიარებენ, ორი ეტაპი გამოიკვეთა — 1986 წლამდე და შემდეგ. პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელია ექსპორტის მოდუნება, მეორისათვის კი პირიქით — ექსპორტის ძლიერი აღმავლობა, მაგრამ იმპორტის შემცირება. აშშ-ს საგარეო ვაჭრობის დინამიკის თავისებურება მნიშვნელოვნად დოლარის კურსის ცვლილებებთან არის დაკავშირებული. 80-იანი წლების პირველ ნახევარში დოლარის კურსი გაიზარდა, მეორე ნახევარში კი დაეცა. 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშშ-ს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნიათ აგრეთვე მრეწველობის მოდერნიზაცია.

აშშ-ს საერთაშორისო ალიანსებრუნკია პროცესში ინტენსიურ ჩაბმაზე მოწმობს შემდეგი მონაცემები: 80-იან წლებში იმპორტის ზრდა ნახტომისებური იყო (ზრდა დასაწყისში შეადგენდა 80 პროცენტს მუდმივ ფასებში, ექსპორტისა კი 28 პროცენტს). 10 წლის განმავლობაში საქონლის იმპორტი და მომსახურეობა საერთო ეროვნულ პროდუქტში გაიზარდა 10,4-ან 15 პროცენტამდე. ასეთი მაჩვენებლების მიღწევას წარსულში სამი ათეული წელი დაჭირდა (1950—1980 წწ.). ექსპორტის წილი კი საერთო ეროვნულ პროდუქტში 80-იანი წლების პირველ ნახევარში დაეცა და მხოლოდ 1988 წელს მიაღწია 1980 წლის დონეს. 1987 წელს ამერიკის საგარეო ვაჭრობის მოცულობა 677 მილიარდ დოლარს შეადგენდა, იაპონიისა — 381, საბჭოთა კავშირისა კი 120 მილიარდს.

ამერიკის იმპორტის ძირითადი საგანი უპირველეს ყოვლისა ნედლეული იყო, ექსპორტს კი შეადგენდა მოწინავე ტექნოლოგია და აგრობიზნესის პროდუქცია. ორიენტაციაზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოში. აშშ-ზე ამ დროს მოდიოდა მთელი მეცნიერული ტევადობის მსოფლიო კაპიტალისტური ექსპორტის 20 პროცენტი. დასავლეთ ევროპაში დაყენებული საინფორმაციო დანადგარების 80 პროცენტი ამერიკულ ფირმებზე მოდის. აშშ-დან გადის მსოფლიო მარცვლეულის ექსპორტის ნახევარი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც სასურსათო სიძნელეებს განიცდიან.

ხახელმწიფოებს შორის საგაჭრო-პოლიტიკური ზღუდეების შესუსტების კურსი და „ღია კარების“ სისტემა ვაჭრობაში ანუ — „ფრიდრეტერიზმი“, რომელსაც აშშ-ს მთავრობა ახორციელებდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის კაპიტალს შესაძლებლობას აძლევდა თავისი ტექნოლოგიური და ფინანსური უპირატესობა მაქსიმალურად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ კონკურენტების წინააღმდეგ. მართალია ახლა ეს უპირატესობა რამდენადმე შემცირდა, ხოლო აშშ-ს ეკონომიკის დამოკიდებულება საგარეო ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მეცნიერული წინმძღოლობის როლის ამაღლება ამერიკულ კომპანიებს ეხმარება ევროპის სხვა ქვეყნების ბაზრებზე. ამავე დროს ეს გარემოება ხელს ეწყობს თვით აშშ-ში ტექნიკური პროგრესის ინტენსიფიკაციას, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას და ინფლაციის მოგვარებას. მაგრამ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბაჟო სისტემის ანუ პროტექ-

ციონიზმის სოციალური ბაზა არა თუ არ გაქრა, არამედ განსაზღვრულ პერიოდში, საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური პოზიციების ზეგავლენით მომხდარი დაცემისა და გაუარესების გამო, ხშირად თავს იჩენს. ასეთ ვითარებაში, აშშ, აცხადებს რა „თავისუფალი ვაჭრობის“ პრინციპებს, მის კანონებს თანმიმდევრულად კი არ მისდევს. ხშირად მიმართავს იმ ქვეყნების „დასჯას“, რომელნიც უშვებდნენ ვაჭრობის ნორმების დარღვევას. ამიტომ აშშ-ში „თავისუფალი ვაჭრობის ლოზუნგს“ უმატებენ „მაგრამ სამართლიანი ვაჭრობის“ ლოზუნგსაც. 80-იან წლებში უფრო ფართო გავრცელება პოვა. ე. წ. ტაქტიკურმა პროტექციონიზმმა, როდესაც საგაჭრო-პოლიტიკურ ბერკეტებს იყენებენ პარტნიორებზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა აიძულონ ისინი, რომ თავისი ბაზარი გახსნან.

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და საგარეო ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებენ კორპორაციები. დასავლეთის სამყაროში კორპორაციების შექმნის გამო გავრცელდა აზრი, რომ საკუთრების ეს ფორმა გააძევებდა საკუთრების სხვა ფორმებს. მაგრამ ეს პროგნოზი არ დადასტურდა. მართლაცდა აშშ-ში არსებულ კორპორაციებზე მოდის საქონლის წარმოების და მომსახურების დიდი ნაწილი, აგრეთვე საქმიანი ფირმების შემოსავალი, კორპორაციების რაოდენობა კომპანიების საერთო რაოდენობასთან შედარებით უმნიშვნელოა. მაგალითად, 1960 წ. კორპორაციების წილი კომპანიების საერთო რაოდენობაში იყო 10,2%, 1970 წ. — 13,8%, 1980 წ. — 16,1, 1983 წ. — 19,6%. ამრიგად, კორპორაციების რაოდენობა 1960-ან 1983 წლამდე 1,9 ათასით გაიზარდა, ინდივიდუალური საქმიანობის საწარმოებისა — 4,1 ათასით. აშშ-ში საკუთრების ფორმის ევოლუციამ გამოიწვია თავისებური სამსართულიანი საკუთრების ეკონომიკის შექმნა: ზედა სართულზე ტრანსნაციონალური კორპორაციები, მეორე სართული უკავია ეროვნული მასშტაბის კორპორაციებს, ქვედა სართული — ინდივიდუალურ ბიზნესს და პარტნიორობას. ეკონომიკის ეს მრავალწყობიანი თავისებური ვარიანტი უზრუნველყოფს ამერიკის ეკონომიკისათვის მოქნილობას, შეგუების უნარს ცვალებადობასთან, კაპიტალის სხვადასხვა ფორმების უპირატესობის გამოყენებას. სოციალურ ასპექტში კი მისი შედეგი ისაა, რომ აშშ-ს მოსახლეობის დიდი ნაწილი აქციების მფლობელები ხდებიან. აქციების ყიდვა-გაყიდვა გადაიქცა დანაზო-

გიდან შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ და ოპერაციებში მოსაბლეობის ფართო მასები აღმოჩნდნენ ჩაბმულნი. ამის შედეგად აქციების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მფლობელების რაოდენობა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, თუ აქციების მფლობელთა რაოდენობა 1965 წელს შეადგენდა 20 მილიონს, 1987 წელს 51 მილიონამდე გაიზარდა, ე. ი. შეადგენდა მოზრდილი ადამიანების 42,3%-ს.

აშშ-ს უფრო აქტიურმა მონაწილეობამ მსოფლიო საქონლის ბრუნვაში გამოიწვია ახალი მოვლენები ამერიკის ეკონომიკაში. იგი გამოიხატა შიდა მოხმარების მოცულობის ზრდაში წარმოებასთან შედარებით, რასაც მოჰყვა საგაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი. საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით კვლავწარმოების პროცესები უფრო მეტად მგრძნობიარე გახდა. 1981—1986 წწ. საგარეო ვაჭრობის ბალანსის დაცემამ გამოიწვია საერთო ეროვნული პროდუქტის ყოველწლიური შემცირება 17—40 პროცენტით. მხოლოდ 1987 წელს საგარეო ვაჭრობა ხდება წარმოების ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად. საგარეო ვაჭრობის ძირითად პროდუქციას შეადგენდა მანქანათმშენებლობის ნაწარმი, რომლის ხვედრითი წონა 80-იან წლებში ექსპორტის საერთო მოცულობაში გაიზარდა 41-დან 45 პროცენტამდე, იმპორტში — 30-დან 44 პროცენტამდე. მთლიანად ამ პერიოდში მანქანებით და მოწყობილობებით ვაჭრობამ უზრუნველყო საქონლის ბრუნვის მთლიანი ზრდა 60 პროცენტით, მათ შორის 1988 წელს ექსპორტის საერთო ზრდა 60 პროცენტით, იმპორტის კი 75 პროცენტით. იმპორტის ზრდა აიხსნება უფრო დაბალი ფასების არსებობით უცხოურ საქონელზე დოლარის მაღალი კურსის გამო. შემდეგ კი მთავრობის მიერ განხორციელებული დოლარის კურსის შემცირების გამო უცხოური ფირმები ზრდიდნენ ფასებს თავის ნაწარმზე, მაგრამ აშშ-ს გასაღების ბაზრის შენარჩუნების მიზნით ფასებს ზრდიდნენ ნელ-ნელა და იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ მოგების ნაწილზე. ძვირმა დოლარმა სწრაფად გამოიწვია ფასების ზრდა ამერიკის მანქანათმშენებლობის ექსპორტო ნაწარმზე. 1988 წლისათვის აღნიშნული ნაწარმის ექსპორტი გაიზარდა 28 პროცენტით, რაც უდრიდა ზრდის ოდენობას მთელ განვლილ 80-იან წლებში. ამის შედეგად აშშ-ს მანქანათმშენებლობის პროდუქციის ექსპორტის ხვედრითი წონა გაიზარდა 18—19 პრო-

ცენტრამდე და მიუახლოვდა იაპონიის შემდეგ მსოფლიოში მეორე ექსპორტიორს — ვფრ-ის დონეს.

მანქანების და მოწყობილობების ექსპორტის გაფართოებამ ხელი შეუწყო სამრეწველო წარმოების ზრდას. ამერიკის ექსპორტის 30 პროცენტი დასავლეთ ევროპაზე მოდიოდა. აშშ-ს ექსპორტის დიდ ნაწილს შეადგენდა მეცნიერული ტექნიკა (60%). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად შემცირდა აშშ-ში მანქანებისა და მოწყობილობების შეტანა, რომელსაც ნანამდე ფარული ხასიათი ჰქონდა. საქმე იმაში იყო, რომ ადრინდელმა იმპორტმა ხელი შეუწყო ეკონომიკის მოდერნიზაციას და ეთანხმება მისი შეგუების პროცესი კვლავწარმოების ახალ პირობებთან. საყურადღებოა, რომ აშშ-ს მხოლოდ უახლესი და პოწინავე მიღწევების ტექნიკა შეჰქონდა ქვეყანაში, რომლის მეშვეობით მოახდინა წარმოების გარდაქმნა და უკვე 1988 წლისათვის ამერიკის ფირმებმა ნახტომი მოახდინეს მანქანათმშენებლობის პროდუქციის ექსპორტში. ამის შედეგი ის იყო, რომ ამ საქონლით ვაჭრობის დეფიციტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში, შემცირდა 120 მილიარდ დოლარამდე (1987 წ. კი შეადგენდა 160 მილიარდ დოლარს).

ამერიკის გავლენა მსოფლიოზე იზრდება იმ უდიდესი მიღწევების წყალობით, რომელიც ნას აქვს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-კონსტრუქციული მუშაობის დარგში. ამ დარგში ყოველწლიური ხარჯები შეადგენს 120—130 მილიარდ დოლარს. ეს უფრო მეტია, ვიდრე იაპონიაში, ინგლისში, საფრანგეთში და გფრ-ში, ერთად აღებული. ამის შედეგად აღმოცენდა გარე სამყაროს ამერიკისადმი დამოკიდებულება სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში. ერთი მხრივ, სხვა ქვეყნები ისწრაფვიან თავისი საქონელი შეიტანონ ამერიკის ბაზარზე, რაც ვაშინგტონს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ საქონლის ამ ნაკადის რეგულირება თავისი ინტერესების შესაბამისად მოახდინოს და ინტელექტუალური რესურსები მოახმაროს სამეცნიერო-კვლევით და კონსტრუქტორულ მუშაობას. მსოფლიოს ქვეყნები ძალზე დამოკიდებულნი ხდებიან ამერიკელების მიღწევებისაგან სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში (ნობელის პრემიების 65 პროცენტს მეცნიერების დარგში ამერიკელები იღებენ), რომელთა გადაცემა პარტნიორებისათვის ამერიკისათვის ხელსაყრელ პირობებში ხდება. ამერიკის მეცნიერული კვლევის მაღალი

დონე, მთავრობისა და ბიზნესის მიერ შეტანილი ხელსაყრელი პირობები ამ სფეროში ხელს უწყობს ამერიკაში სხვა ქვეყნებიდან ნიჭიერი მეცნიერების ლტოლვას. ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1989 წლისათვის სწავლობდა სხვა ქვეყნების 356 ათასი სტუდენტი, რომელთა ყველაზე უნიჭიერესი ნაწილი ამერიკაში რჩება.

აშშ-ს ერთ-ერთ მთავარ საერთაშორისო გავლენის საშუალებას წარმოადგენს ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციები. ამ კორპორაციების უცხოეთში არსებული ფირმები და სამსახური აწარმოებენ 1,5 ტრილიონი დოლარის საქონელს, რაც უფრო მეტია, ვიდრე ინგლისის და საფრანგეთის ერთად აღებული საერთო ეროვნული პროდუქტი. ამერიკას წამყვანი ადგილი უკავია კაპიტალის გატანაში. ამერიკული კერძო ბანკებისა და მათი უცხოეთში არსებული ფილიალების მიერ გაცემული სესხები შეადგენს მთელი საერთაშორისო სესხების 50 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ ამერიკულ დოლარს სპეციფიკური მდგომარეობა უკავია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. ფაქტობრივად დოლარი საერთაშორისო ვალუტად ითვლება და მისი მეშვეობით ხდება, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის საერთაშორისო ანგარიშსწორება. ბევრი ბანკი მსოფლიოში ამჯობინებს სავალუტო რეზერვები დოლარში ჰქონდეს. ეს მას ვალუტით მანევრირების შესაძლებლობას აძლევს, რათა შეაჩერეს კონიუნქტურული გავლენა სხვა ქვეყნებისა ამერიკის მიმართ, ბანკებმა კი სააღრიცხვო განაკვეთის მანიპულირება მოახდინონ თავისთვის ხელსაყრელი ფინანსური სიტუაციის შესაქმნელად. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკა, ახალი ცენტრების და ახალი ინდუსტრიალური სახელმწიფოების შექმნის გამო, დიდ კონკურენციას განიცდის საერთაშორისო ბაზარზე, რის გამოც მნიშვნელოვნად იზღუდება აშშ-ს შესაძლებლობები არა მარტო თავისი გავლენის გაფართოებისათვის, არამედ ხშირ შემთხვევაში თვითონ ექმნება მოულოდნელი პრობლემები. ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აშშ საერთაშორისო კრედიტორი ქვეყნიდან მოვალე ქვეყნად იქცევა. ქვეყნის საგარეო ვალი არნახულად იზრდება. მან 1989 წლისათვის უკვე მიაღწია 532 მილიარდ დოლარამდე და სპეციალისტების შეფასებით მოკლე ხანში შეიძლება 1 ტრილიონ დოლარამდე ავიდეს. მაგრამ ეს სიძნელეები არ უნდა გადავაფასოთ, ვინაიდან ამერიკის ძლიერ ეკონომიკას დი-

დი წესაძლებლობები აქვს. ამავე დროს, ამერიკის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა სტაბილურია და იგი სულ ახალ და ახალ ყალორტებს იძლევა. ამერიკულმა ბიზნესმა და პოლიტიკურმა ხელისუფლებამ პირველებმა სწრაფად შეაფასეს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელობა და გამოიყენეს მისი შესაძლებლობანი შიდა სოციალური კონფლიქტების მოგვარებისა და ასეთი კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის. სოციალური ხარჯები აშშ-ში წელიწადში 1 ტრილიონ დოლარს შეადგენს. მარტო განათლების სისტემაზე ყოველწლიურად იხარჯება 230—240 მილიარდი დოლარი, ამედიცინო დახმარების ორ ძირითად პროგრამაზე — თითქმის 115 მილიარდი დოლარია გათვალისწინებული. ამერიკელი მუშის საშუალო ხელფასი წელიწადში 25 ათას დოლარს შეადგენს, ამერიკელი მენეჯერისა კი — 700—800 ათას დოლარს. თუ დოლარის რეალურ კურსს რუსულ მანეთს შევადარებთ, ამერიკელი მუშის საშუალო ხელფასი 20 მილიონი მანეთი გამოდის წელიწადში, ე. ი. 1,5 მილიონი მანეთი ყოველთვიურად (1993 წლის იანვრის კურსით).

ვაშინგტონი ფართოდ იყენებს ომის შემდგომ „ცივი ომის" პერიოდში შექმნილ და დღევანდლამდე მოქმედ სტრუქტურებს — სამხედრო პოლიტიკურ კავშირებს (ნატოს და სხვებს), ურთიერთვალდებულებებსა და გარანტიებს, ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს. აშშ-ს მმართველ წრეებს მსოფლიოში თავისი ინტერესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად მიაჩნიათ სამხედრო ძლიერება

რ. რეგანის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ, რომელმაც ამერიკის „ხელახლად შეიარაღების" ლოზუნგი წამოაყენა, ისედაც მაღალი სამხედრო ხარჯები კიდევ უფრო მკვეთრად გაიზარდა. 1981—1987 წწ. სამხედრო ხარჯების მოცულობა გაიზარდა 80 მილიარდით და 1987 წლისათვის მიაღწია — 282 მილიარდ დოლარს. შემდეგ წლებში „ახალი აზროვნების" განვითარების შედეგად მსოფლიოში აშშ-სა და სსრ კავშირს შორის შეიარაღების შემცირების მოლაპარაკების გამო, რის წყალობით საერთაშორისო დაძაბულობა მკვეთრად შემცირდა, და რაც მთავარია, ეკონომიკური სიძნელეების ვითარებაში, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის არნახული ზრდის გამო, კონგრესში გაიზარდა ოპოზიცია პენტაგონის მეტისმეტი სამხედრო ხარჯების მოთხოვნისად-

მი. მიუხედავად ამისა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ მიაღწია იმას, რომ 1990 წლისათვის პენტაგონს 305 მილიარდი დოლარი გამოუყვეს. აშშ-მა უდიდესი სამხედრო ძალები შექმნა. 1989 წლისათვის ამერიკის სტრატეგიული ძალები შედგებოდა 2260 რაკეტა-მატარებლისაგან, რომელთაც შეუძლიათ ერთი დამუხტვით მიზანში გაგზავნონ 14—16 ათასი ქობინა, სამი ათასზე მეტი მეგაგონის საერთო ძალით. ამერიკის სტრატეგიული ტრიადა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები — შახტებში, წყალქვეშა ნავებზე, სტრატეგიულ ბომბდამშენებზე, მათ შორის ფრთოსანი რაკეტები) ნუდმივ სრულყოფაშია დამიზნების სიზუსტის, მობილურობისა და მიუხელთებლობის ამაღლების მიზნით. სტრატეგიული ძალების მიწისზედა კომპონენტებმა თავის განკარგულებაში მიიღეს ემექსის უახლესი რაკეტები, რომელთა ფრენის მანძილია — 14 ათასი კმ, ათი ქობინიანი და 600 კილოტონის სიძლიერით თითოეული, ხოლო წრიული გადახრა — 90 მეტრია. წყალქვეშა ნავები აღჭურვილია „ტრაიდენტ-2“ რაკეტებით, რომელთა ფრენის მანძილია 11 ათასი კმ, 14 ქობინიანია და 150 კილოტონის სიძლიერით თითოეული, წრიული გადახრა — 90 მეტრი[1]. წყალქვეშა ნავები და წყალზედა

---

[1] ამერიკის სამხედრო ეკონომიკაში ატომურ მრეწველობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ბირთვული სამრეწველო კომპლექსი სახელმწიფო საკუთრებაა, მაგრამ მისი საწარმოები იჯარით აქვთ აღებული რამოდენიმე კერძო კორპორაციებს. აქ აწარმოებენ სხვადასხვა ბირთვულ იარაღს საარტილერიო ჭურვებიდან დაწყებული სტრატეგიული მნიშვნელობის ყველაზე ძლიერი ბირთვული მუხტებით დამთავრებული. ბირთვული იარაღის უმსხვილესი მწარმოებელია აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტრო. 1981 წლისათვის მისი სამხედრო ბიუჯეტი შეადგენდა 3,6 მილიარდ დოლარს, 1988 წლისათვის კი ორჯერ გაიზარდა. ეს თანხა პენტაგონის ბიუჯეტთან შედარებით არ არის დიდი, მაგრამ ბირთვული არსენალის განმტკიცებაში ენერგეტიკის მინისტრი თავისი გავლენით თავდაცვის მინისტრს უთმობს ადგილს. ენერგეტიკულ სამინისტროსთან ჩამოყალიბებულია ბირთვული კომპლექსი, რომელშიც შედის ბირთვული სამხედრო საჭურვლის წარმოების 18 სახელმწიფო ქარხანა, სამი ბირთვული კვლევის ლაბორატორია, ნევადაში არსებული გამოცდის პოლიგონი, ამ სისტემაში დღეში ხუთი ბირთვული მუხტი მზადდებოდა და 90 ათასი კაცი მუშაობდა. რ. რეიგანის პრეზიდენტობისას აღნიშნულმა კომპლექსმა, რომლის მუშაობა მკაცრად რეგლამენტირებულია და გასაიდუმლოებულია, 11 ათასი ბირთვული მუხტი და ათეულობით ტიპის ბომბი აწარმოა. „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის გამოცხადებისთანავე მის ხელმძღვანელებს გადაეცათ ბირთვულ კომპლექსში შემავალი ლაბორატორიები ლოს-ალამოსში, სანდიაში, (ნიუ-მექსიკის შტატში)

გემები აღჭურვილნი არიან ფრთოსანი რაკეტებით ბირთვული ქობინებით. სტრატეგიული ავიაცია მოდერნიზაციის სტადიაშია. 1988 წ. მწყობრში ჩადგა 100 ბომბდამშენი B—1 B, თითოეულ მათგანს შეუძლია 30 ფრთოსანი რაკეტის ტარება. 90-იან წლებში გათვალისწინებულია სტრატეგიული ბომბდამშენი B-2 ახალი თაობის თვითმფრინავების აგება, რომელიც იქმნება „სტელსის“ ტექნოლოგიის საფუძველზე (რადარებისათვის უხილავი) და აღჭურვილი იქნება ბირთვული ქობინებით და უმაღლესი სიზუსტის რაკეტებით. 1988 წ. მიღებული პროგრამით „სიოპ 7“, გათვალისწინებულია სტრატეგიული შეტევითი სისტემის მიწისზედა, საზღვაო და საჰაერო ბაზირების ბირთვული ქობინებით აღჭურვილი რაკეტების შექმნა, რომელნიც შესძლებენ კარგად დაცული მიწისქვეშა ობიექტების განადგურებას. ასეთი რაკეტების ქობინები მიწის სიღრმეში ღრმად შესელის შემდეგ ფეთქდება მიწისქვეშა სიმაგრეების განადგურების მიზნით.

რ. რეიგანის პოპულარობა, დღიდან მისი ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა, იზრდებოდა იმიტომ კი არა, რომ მან, როგორც ყოფილმა მსახიობმა, ყველას გაუსწრო სატელევიზიო პოლიტიკის ხელოვნებაში, არამედ იმიტომაც, რომ მისი ადამიანურობა გულგრილად არავის არ ტოვებდა. ხანდახან რ. რეიგანს ბოლო 50 წლის მანძილზე, ფ. რუზველტის შემდეგ, ყველაზე პოპულარულ და დიდ პრეზიდენტს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ რ. რეიგანისა და ფ. რუზველტის პოლიტიკას შორის დიდი განსხვავებაა, მათ ორივემ შეცვალეს ისტორიის მსვლელობა და ამით ააღორძინეს ამერიკელთა რწმენა თავისი ძალებისადმი.

რ. რეიგანმა გამოაცხადა „მშვიდობა ძალის მეშვეობით“.

რ. რეიგანის დროს დოლარის ინფლაცია აღკვეთილ იქნა, 60 თვის განმავლობაში აშშ-ს ეკონომიკა შეუწყვეტლივ იზრდებოდა, უმუშევრობა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ნკვეთრად შემცირდა. რ. რეიგანმა მოახდინა აპარატის რეორგანიზაცია, რამაც ძალზედ დიდი დარტყმა მიაყენა ბიუროკრატიას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალპარტიულ მმართველობის სისტემაში

და ლვივერმორში (კალიფორნიას შტატი), რომელიც ამერიკული იარაღის მთავარი“ სამეცნიერო. „სტრატეგიული ინიციატივის პროგრამისათვის“ გამოყოფილი ფინანსები ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყენებულია მისი ერთ-ერთი კომპონენტისათვის — რენტგენული ლაზერის ბირთვული დატენვისათვის.

ბიუროკრატიული აპარატი არც თუ იაე ბლიეი იყო ამერიკაში და ამიტომ რ. რეიგანს დიდი წინააღმდეგობების დაძლევა არ მოუხდა. რ. რეიგანმა თავიანი პრეზიდენტობის პირველი და მეორე ვადის დროს განახორციელა საგადასახადო პოლიტიკა „კერძო ინიციატივის შეუზღუდავობისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის“ ლოზუნგით, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს აშშ მსხვილი კრედიტორი ქვეყნიდან აპეთივე მსხვილ მოვალე სახელმწიფოდ გადაიქცა.

1982 წელს ჩატარდა კონგრესის ორივე პალატის არჩევნები, რომლის დროსაც რესპუბლიკურმა პარტიამ მარცხი განიცადა. მან 26 ადგილი დაკარგა წარმომადგენელთა პალატაში და 8 გუბერნატორის ადგილი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა რ. რეიგანმა ვერ მოახერხა თავიანი პირველი ვადის პრეზიდენტობის დროს, ეს იყო სახელმწიფოს ფედერალური დეფიციტის საკითხი. ე. ი. მთავრობა ბევრად მეტს ხარჯავდა, ვიდრე შედიოდა სახელმწიფო ბალაროში გადასახადებიდან. ამიტომ იყო, რომ 1984—1985 წლებში რ. რეიგანმა და კონგრესმა ფედერალური ბიუჯეტის განხილვის დროს, განაცხადეს თავის მზადყოფნა წასულიყვნენ კომპრომისზე და ნაწილობრივ შემცირებინათ მთავრობის ხარჯები დეფიციტის შემცირების მიზნით.

1984 წელს აშშ-ში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. დემოკრატიული პარტია წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაბმისას დასუსტებული იყო შიდაპარტიული წინააღმდეგობებით და პრეზიდენტის კანდიდატების შორის მეტოქეობით. ამ პარტიამ ითლად ვერ მოინელა ის დიდი ლარტყმაც, რომელიც 1980 წლის არჩევნებში განიცადა. პარტიის შიგნით პრეზიდენტობის კანდიდატობის წამოყენებაზე წინააღმდეგობა გაძლიერდა ორ პრეტენდენტს შორის — ვიცე-პრეზიდენტ უ. მონდეილსა და სენატორ გ. ჰარტს შორის, ავრეთვე ზანგთა საზოგადოებრივ მოღვაწეს ჯ. ჯექსონს შორის. დემოკრატიული პარტიის სისუსტის მთავარი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ მან ვერ შესძლო გარკვეული პროგრამის წამოყენება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. დემოკრატების საარჩევნო პროგრამა მიღებულ იქნა 1984 წლის ივლისში სან-ფრანცისკოში გამართულ ყრილობაზე. ეა პროგრამა მკაცრად აკრიტიკებდა რესპუბლიკური პარტიის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საგარეო პო-

ლიტიკაში გაკრიტიკებული იყო რ. რეიგანის კურსი აბსოლუტური ეგზი-
ტენციალობის მიღწევისა, მაგრამ დემოკრატიული პარტია ფაქტიურად
იგივე პროგრამას აყენებდა „ძლიერი ეროვნული თავდაცვის“ და
ძალის პოზიციის კურსს.

1984 წლის აგვისტოში დალასში შემდგარმა რესპუბლიკური
პარტიის წინასაარჩევნო ყრილობამ, მოიწონა ამ პარტიის წინასა-
არჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები საშინაო და საგა-
რეო პოლიტიკაში. კანდიდატებად პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზი-
დენტობის თანამდებობებზე წამოყენებულ იქნა რ. რეიგანი და
ჯ. ბუში. 6 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების დროს რ. რეიგანმა
კვლავ გაიმარჯვა. მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 59 პროცენტმა. 50
შტატიდან რ. რეიგანს მხარი დაუჭირა 49 შტატმა. რაც მხოლოდ
მეორედ მოხდა (პირველად 1972 წ. რ. ნიქსონის არჩევისას). რ. რე-
იგანის მეტოქემ უ. მონდეილმა მხოლოდ თავის ნაშობლიურ შტატ-
ში მინესოტაში ვიმარჯვა. რ. რეიგანმა მიიღო ამომრჩეველ კოლეგიის
წევრების 525 ხმა, ამომრჩეველი კოლეგიის წევრების ყველაზე
მეტი ხმა, რომელიც კი მიუღია ამერიკის პრეზიდენტს, მონდეილმა
კი მხოლოდ 13 ამომრჩეველის ხმა მიიღო.

რ. რეიგანის წარმატებას ხელი შეუწყო ეკონომიკის მალალმა
კონიუნქტურამ, რომელიც შორის, [illegible] ეკონომიკის ცალ-
�sidი აღმავლობა. ამერიკელებმა [illegible] ბევრი
მოსახლეობის „საშუალო ფენა“ [illegible] ლის
ვალალენაში. ხელი კი მიეცა [illegible] ნისი
შეზღუდვა [illegible].

1984 წლის [illegible] [illegible]
მნიშვნელობიანი განცალება [illegible] ეროვნული პოლიტიკის [illegible]
ალკოთხების გადაგრის აუცილებლობის შესახებ, რომელთა შორის
ხაზი ესმებოდა ადმინისტრაციასა და ადამიანების შორის „დიალოგის
განახლების“ აუცილებლობის. თავისი როლი შეასრულა რ. რეიგა-
ნის მსხვილმასშტაბიანმა მიზანდასახულმა რეკლამამ. როგორც
ძველთა ყველაზე უფრო პოპულარული საბელმწიფო მოღვაწისა.
ფართოდ იყო გამოყენებული საბელმწიფო ამბრატი, „დიდი ბიზ-
ნესის“, საამქროდ-საამრეწველო კომპლექსის, მასობრივი ინფორმა-
ციის საშუალებების შესაძლებლობანი. რ. რეიგანის ოპტიმისტურ-
მა მსჯელობამ იმის შესახებ, რომ მისი მეორე პრეზიდენტობი-
�ის საამრეწველო წარმოების ტემპების ზრდა კვლავ გაგრძელდე-

ბა და სასტიკი უარყოფა იმისა, რომ ენერგია დაიშრიტება, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამონრჩევლებს შორის. ის ხაზს უსვამდა იმას, რომ „გამომდინარეობს თავისი საკუთარი გამოცდილებიდან. როცა მე ვიყავი კალიფორნიის შტატის გუბერნატორი, ყველაზე დიდ წარმატებებს მივაღწიე სწორედ მეორე ვადის დროს“.

რ. რეიგანის მეორე ვადით არჩევა ერთ-ერთი დამაჯერებელი ნდობის ვოტუმი იყო აშშ-ს ისტორიაში. „ნიუ-იორკის ტაიმსმა“ მას „რეიგანის პოპულარობის ტრიუმფალური დადასტურება“ უწოდა, ხოლო ჟურნალმა „უ. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ კი განაცხადა, რომ „ეს იყო რეიგანული ოთხი უკანასკნელი წლის ხელმძღვანელობის სტილის მთლიანი მოწონება“. არჩევნების დროს მონაწილეთა გამოკითხვის შედეგები ნოწმობენ, რომ რ. რეიგანის მეორე ვადით არჩევას ხმა მისცა ახალგაზრდობამაც, საშუალო, ხანშიშესულებმა, მოხუცი ასაკის ქალებმა და მამაკაცებმა, ადამიანებმა, რომელთაც აქვთ არც თუ დიდი, საშუალო და მაღალი შემოსავალი: პროტესტანტებმაც, კათოლიკეებმაც, მოსამსახურეებმაც და მუშებმაც.

საყურადღებოა რომ 1984 წლის არჩევნების დროს რესპუბლიკურმა პარტიამ კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში ნაკლები ადგილები მიიღო (183), ვიდრე დემოკრატებმა (252), ხოლო სენატში კი მეტი (53), ვიდრე დემოკრატებმა (47). დემოკრატებმა უფრო მეტ შტატში მიიღეს გუბერნატორის აპარატები და დეპუტატის ადგილები ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებსა და ქალაქის საბჭოებში.

რ. რეიგანის მეორე პრეზიდენტობის დროსაც არნახულად იზრდებოდა სამხედრო ხარჯები. მაგალითად, 1985 წლის ფინანსურ წელს თავდაცვის სამინისტროს (პენტაგონს) გამოეყო მანამდე არნახული ოდენობის სამხედრო ხარჯები — 292,9 მილიარდი დოლარი (1984 წ. კი — 163,4 მილიარდი დოლარი). პენტაგონმა დიდი თანხები მიიღო უახლესი სტრატეგიული შეიარაღებისათვის, მათ შორის „ემექსისათვის“, ბომბდამშენ — ბ-1ბ და სხვა. პრეზიდენტის „ვარსკვლავეთის ომის“ პროგრამის შესაბამისად 1,4 მილიარდი დოლარი გამოიყო კოსმოსური ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ელემენტების სისტემის შექმნისათვის და ცდების ჩატარებისათვის. 1985 წელს ჩატარდა თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის გამოცდა რეალური სამიზნისათვის კოსმოსში. მარტო

1984—1985 წლებში გათვალისწინებული იყო, ძირითადად აშშ-ს ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, 700 სამხედრო ბაზისა და ობიექტის მშენებლობა და მოდერნიზება.

80-იან წლებში აშშ-ში გაშლილი გაფართოებული მეტოქეობა საშინაო და საგარეო ბაზარზე ამერიკის მსხვილ კომპანიებს აიძულებდა წარმოების აპარატის ინტენსიური განახლება მოეხდინა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა სამხედრო წარმოებებთან დაკავშირებული ისეთი დარგები, როგორიცაა ელექტრონული ავტომატიზაცია, ოპტიკური აპარატურა, რიგი ახალი სახის ხელსაწყოები, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები. დაჩქარებული ტემპებით ფართოვდებოდა სამხედრო ტექნიკის ახალი სახეობის წარმოება. 80-იან წლებში, ათი წლის განმავლობაში შეიარაღების წარმოება 2-ჯერ გაიზარდა. გრძელდებოდა ეკონომიკის მანქანათსტრუქტურული გარდაქმნები. იზრდებოდა ეკონომიკის მშენებლობის, ლითონდამამუშავებელი, პლასტმასისა და ა. შ. წარმოება. ელექტრონული მოწყობილობა სულ უფრო ფართოდ ინერგებოდა არა მარტო საწარმოო პროცესში, არამედ აგრეთვე განათლების სფეროში, სამედიცინო განათლებაში, საბანკო საქმეში და ა. შ. პერსონალური კომპიუტერების ყოველწლიურმა გაყიდვამ 1985 წლისათვის მიაღწია 4 მილიონ ერთეულს. ინტენსიურად მიმდინარეობდა მათემატიკური უზრუნველყოფის დამუშავება და სხვადასხვა მოწყობილობებისა და ხელსაწყოების გამოშვება პერსონალური კომპიუტერებისათვის. არსებითი ტექნიკური და ორგანიზაციული გარდაქმნები ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ზრდას და მანქანათმშენებლობის კომპლექსების რიგ დარგებში საწარმოო რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

არნახული სისწრაფით იზრდებოდა საერთო ეროვნული პროდუქტის ოდენობა. მაგალითად, 1984 წელს იგი შეადგენდა — 3 ტრილიონ 774,7 მილიარდ დოლარს, 1985 წ. 3 ტრილიონ 998,1 მილიარდს, 1986 წ. 4 ტრილიონ 208,5 მილიარდ დოლარს, ხოლო 1989 წლის მარტო პირველ კვარტალში მან 5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით მკვეთრად დაეცა რკინიგზის ტრანსპორტის წნიშვნელობა მგზავრების გადაყვანაში. 1970 წლისათვის რკინიგზების ხვედრითი წონა საქალაქთაშორისო

გადაზიდვაში 40 პროცენტით დაეცა. მგზავრობის მინიმალური დონის შენარჩუნების მიზნით, 1970 წელს კონგრესმა მიიღო კანონი „რკინიგზით მგზავრობის ტრანსპორტის ეროვნული კორპორაციის“ შექმნის შესახებ, რომელმაც შემოკლებით „ამტრაქის“ სახელი მიიღო, რომელსაც ქვეყნის მთელი სამგზავრო მიმოსვლის სისტემის მართვა უნდა განეხორციელებინა. ამ და აგრეთვე სხვა გაერთიანებებმა დაიწყეს მაღალი სისწრაფის რკინიგზის ხაზების გაყვანა. 1988 წელს ეესპლუატაციაში შევიდა ახალი მაღალი სისწრაფის რკინიგზა ლოს-ანჯელესსა და სან-დიეგოს შორის კალიფორნიაში. ჰატარებელი 260 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობს საათში და 210 კილომეტრიან გზას გადის 59 წუთში. გაიყვანეს სწრაფმავალი რკინიგზის ხაზები აგრეთვე ლას-ვეგასი (ნევადა) — ლოს-ანჯელესი, დალასი-ჰიუსტონი ნიუ-იორკი-მონრეალი (კანადა), ორლანდო-ტამპა-მაიამი (ფლორიდა), ფილადელფია პიტსბურგი (პენსილვანია) და დეტროიტი (მიჩიგანი) — ჩიკაგო (ილინოისი). ენერგიის დაზოგვის პროგრამა, რომელსაც აშშ-ს მთავრობა ახორციელებს ითვალისწინებს რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას. მასზე გადატანილი ტვირთი და ადამიანები ბევრად უფრო იაფი ჯდება.

ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გამწვავდა კრიზისი მრეწველობის ძველ დარგებში. უკანასკნელ წლებში ენერგეტიკული და ნედლეულის რესურსების უფრო ეკონომიკური მეთოდებით გამოყენება უარყოფით გაღლენას ახდენდა მომპოვებელი მრეწველობის ბევრ დარგზე, განსაკუთრებით ნავთობზე, ასევე ფოლადის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, მაგალითად, 1986 წლისათვის ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1980 წლისათვის. საზღვარგარეთული ფირმების მხრივ კონკურენცია საშინაო და საგარეო ბაზარზე მეტად უარყოფით გაღლენას ახდენდა იმ რიგი დარგების ზრდაზე, რომელნიც სამომხმარებლო საქონელს უშვებდნენ. მათ შორის ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობაზე, რომლის წარმოების მოცულობა 1986 წლისათვის 60-იანი წლებ-ს ბოლოსთან შედარებით 2-ჯერ მეტად შემცირდა.

რეგანის ადმინისტრაციის ხელისუფლები ათეულებში ყოფნა ეროვნულ ფედერალურმა მთავრობამ საერთო

�is — 2130,0 მილიარდ დოლარს). ამ დავალიანებია ყოველწლიური გადასახადები მარტო პროცენტებით. მაგალითად, 1987 წელს შეადგენდა 143,9 მილიარდ დოლარს — ე. ი. ყველა ბიუჯეტის ხარჯების მეშვიდედ ნაწილს. გიგანტურად იზრდებოდა მთავრობის ხარჯები გადასახადებიდან შემოსავალზე და ეს მოვლენა გადაიქცა ერთ-ერთ უმწვავეს, როგორც ეკონომიკურ, ასევე შიდაპოლიტიკურ პრობლემად.

ტექნიკურმა განახლებამ, რომელმაც მატერიალური წარმოებისა ველა მნიშვნელოვანი დარგი მოიცვა, მოითხოვა კაპიტალის დაბანდებების გაზრდა. ერთობლივმა კაპიტალურმა დაბანდებებმა, ბინათმშენებლობის გარეშე, 1985 წელს შეადგინა 471,8 მილიარდი დოლარი (1984 წ. — 430 3 მილიარდი). დაბანდებების ძირითადი ნაწილი ინერგებოდა არსებული საწარმოო აპარატის გარდაქმნისა და მოდერნიზაციისათვის.

აშშ-ში დაბანდებულ კაპიტალზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთი იზიდავდა დასავლეთ ევროპის, იაპონიის და სხვა ქვეყნების უდიდეს ფულად კაპიტალს. რომელიც ბანდდებოდა პერსპექტიულ მრეწველობაში.

მწვავე ბრძოლა გაიმართა პრეზიდენტ რ. რეიგანსა და კონგრესს შორის. რ. რეიგანმა კონგრესში განსახილველად შეიტანა პროექტი ახალი სისტემის სტრატეგიული შეიარაღების შექმნაზე. რომლის ძირითადი მიზანი იყო სამხედრო უპირატესობის მიღწევა საბჭოთა კავშირზე.

ამის გამო ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰპოვა შოვინიტურმა განწყობილებამ. ამის საპირისპიროდ ამერიკის საზოგადოებაში იზრდებოდა განწყობილება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების მოსახდენად. განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ. 1986 წლის ნოემბერში ვაშინგტონში მივიდა „მშვიდობის დიდი მარში", რომლის მონაწილეებმა ათასობით მილი გაიარეს ფეხით წყნარი ოკეანის სანაპიროდან, გამოდიოდნენ ბრავალრიცხოვან მიტინგებზე. რომლის დროსაც მოითხოვდნენ ბირთვული გამოცდების შეწყვეტა ნევადაში.

კონგრესში გაიწვიეს ბრძოლა იმეორე საკითხებზე, ოფოზიციას სახსრების ვანაწილება სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური ნიზნებისათვის, სახელმწიფო ვალებისა და ფედერალური ბიუჯე-

ტის დეფიციტის ზრდის შეჩერება. ამ საკითხების ირგვლივ გამწვავდა ურთიერთობა კონგრესსა და მთავრობას შორის. 1986 წლის ზაფხულში სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ მიიღეს კანონპროექტები, რომელნიც სამხედრო ასიგნების შეზღუდვას ითვალისწინებდნენ. წარმომადგენელთა პალატამ ხმა მისცა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შესრულებას და ნოითხოვდა აგრეთვე 1 კილოტონაზე მეტი ბირთვული აფეთქებების აკრძალვას, ქიმიური შეიარაღების წარმოებისათვის სახსრების გამოყოფაზე უარის თქმას.

კონგრესში გამწვავდა ბრძოლა სამხედრო ბიუჯეტის ირგვლივ. 1987 ფინანსური წლისათვის თავდაცვის და ენერგეტიკის სამინისტროებმა მოითხოვეს 320 მილიარდი დოლარი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებდა დაფინანსების გაზრდას, რიგი შეიარაღებების პროგრამის გაზრდას: „ემექსის“, „მიდჯიტმენის“, „ტრაიდენტ-2“, ბომბდამშენ ბ-1, ახალი თაობის ფრთოსანი რაკეტების გაზრდას. „ვარსკვლავეთის პროგრამის“ განხორციელებისათვის 1986 წ. ხარჯები 75% გაზარდეს წინა წელთან შედარებით. ხანგრძლივი დავის შემდეგ, კონგრესმა, მიუხედავად რ. რეიგანის ადმინისტრაციის ზეგავლენისა, სამხედრო მიზნებისათვის 1987 ფინანსური წლისათვის გამოყო 291,9 მილიარდი დოლარი, ე. ი. 28,4 მილიარდით ნაკლები, ვიდრე მთავრობა მოითხოვდა.

1986 წელს ჩატარდა კონგრესის შუალედური არჩევნები. მთავრობამ არნახული კამპანია გააჩაღა კონგრესის არჩევნებში წარმატებისათვის. თვითონ რ. რეიგანი მეტად აქტიურად მონაწილეობდა კონგრესის წინასაარჩევნო კომპანიაში. იგი 23 შტატში იყო და თავისი პარტიის სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას. დემოკრატებმა უკან დაიბრუნეს 1980 წელს არჩევნების შედეგად დაკარგული ადგილები სენატში, სადაც 55 ადგილი მიიღეს დემოკრატებმა, 45 კი რესპუბლიკელებმა. წარმატებას მიაღწიეს დემოკრატებმა წარმომადგენელთა პალატაშიც 259 ადგილი (176 კი მიიღეს რესპუბლიკელებმა), ადრე კი შეფარდება იყო 253—182 რესპუბლიკელების სასარგებლოდ. მაგრამ რესპუბლიკელებმა გუბერნატორის 8 ადგილი წაართვეს დემოკრატებს და 24 შტატში 50-დან რესპუბლიკელთა გუბერნატორებია, მათ შორის ისეთ დიდ შტატებში, როგორიცაა კალიფორნია, ტეხასი, ფლორიდა, ილინოისი

და სხვა. მაგრამ კონგრესში რესპუბლიკური პარტიის ექვსწლიანი მონოპოლიური ბატონობა დასრულდა.

რესპუბლიკურ ადმინისტრაციის პრესტიჟს დიდი დარტყმა მიაყენა 1986 წლის ბოლოს გამომჟღავნებულმა ამბავმა ირანისათვის იარაღის ფარულად მიწოდების შესახებ. ამ ამბებმა ანალოგიით „უოტერგეიტის“ სახელწოდებასთან „ირანგეიტის“ სახელწოდება მიიღო. ამ აფეორამ გამოაშკარავა უბადრუკი სურათი კულისებსმიღმა მაქინაციებისა, კანონების დარღვევა, კონგრესისა და საზოგადოებრიობის მოტყუება.

ამ აფეორის ხელმძღვანელთა ნაწილს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ და ყველა ისინი იძულებულნი გახდნენ გადამდგარიყვნენ. ამ საქმის გახსნისას ისიც გამომჟღავნდა, რომ ირანისათვის მიყიდული იარაღიდან მიღებული თანხის ნაწილი ხმარდებოდა ნიკარაგუელი ოპოზიციონერებისათვის დახმარების გაწევას. შეიქმნა სპეციალური გამოძიების კომისია სენატისა და წარმომადგენელთა პალატისა.

„ირანგეიტის საქმე“ ძალზედ გაჭიანურდა. იგი მთავარ სენსაციურ თემად გადაიქცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის 1986—1988 წლებში. მთავარ პიროვნებად „ირანგეიტის“ საქმის ორგანიზაციაში დაასახელეს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი პოდპოლკოვნიკი ო. ნორტი რომელსაც აქეზებდა ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს დირექტორი უ. კეისი. მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა იუსტიციის მინისტრი ე. მიზი და რიგი მაღალი თანამდებობის მოხელეები. კომისიამ დაკითხა რ. რეიგანი, ჯ. ბუში, ჯ. შულცი, მაგრამ ვერ გამომჟღავნდა ის, რომ მათ იცოდნენ „ირანგეიტის“ შესახებ. მიუხედავად ამისა კომისიის მოხსენების დასკვნაში პრეზიდენტს ბრალი დასდეს იმაში, რომ მან „შექმნა და ითმენდა ადმინისტრაციაში ვითარებას, რომლის დროსაც უფროსი თანამშრომლები არღვევდნენ კანონებს, ატყუებდნენ ხალხს, კონგრესს და თავის კოლეგებს მთავრობაში“.

კონგრესსა და რ. რეიგანის ადმინისტრაციას შორის წინააღმდეგობები კიდევ უფრო გამწვავდა განსაკუთრებით სამხედრო ხარჯების, ფედერალური ვალებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის გამო. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები კონგრესში გამოვიდნენ ნიკარაგუელი ოპოზიციონერებისათვის დაფინანსების წინააღმდეგ. ბრძოლა მიმდინარეობდა ცვალებადი

უპირატესობით, მაგრამ 1987 წლის დეკემბერში თეთრმა სახლმა ამ საკითხში გაიმარჯვა და მიიღო თანხები ნიკარაგუელი ოპოზიციონერების დასაფინანსებლად. მომდევნო წელს კი კონგრესმა ხმების უმრავლესობით უარყო რ. რეიგანის ადმინისტრაციის მორიგი თხოვნა დაფინანსების შეესახებ აღნიშნულ საკითხში.

1987 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება რ. რეიგანის ადმინისტრაციაში, რომლის შემადგენლობიდან გაიყვანეს ყველაზე უფრო მილიტარისტულად განწყობილი ზოგიერთი გავლენიანი წრეები. გარდაიცვალა ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს დირექტორი უ. კეისი. ახალი დირექტორი გახდა უ. უებსტერი. თავისი თანამდებობა დატოვა თეთრი სახლის აპარატის მეთაურმა, ერთდროს მეტად გავლენიანმა დ. რიგანმა, მისი ადგილი ჯ. ბეიკერმა დაიკავა. გადააყენეს აგრეთვე „ქორების" იდეოლოგი, თავდაცვის მინისტრის თანაშემწე რ. პერლი, ხოლო შემდეგ კი თვით პენტაგონის ხელმძღვანელი კ. უაინბერგერი, რომლის ადგილი დაიკავა ფ. კარლუჩიმ. მთავრობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პოზიციები „ცენტრისტებისა" — სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის და ვიცეპრეზიდენტის ჯ. ბუშის მეთაურობით.

1987—1988 წლებში ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიამ. ხვადასხვა ეტაპებზე ბრძოლაში ჩაებნენ პრეზიდენტის საკავრძლისათვის მებრძოლი მრავალრიცხოვანი პრეტენდენტები როგორც დემოკრატიული, ასევე რესპუბლიკური პარტიებიდან.

დემოკრატებს შორის თავდაპირველად ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყოფილი სენატორი კოლორადოს შტატიდან ჰარტი, მაგრამ მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა სახელი გაუტეხეს მას „მეუღლისადმი ორგულობაში" და აიძულეს იგი, რომ 1987 წ. მაისში თავისი კანდიდატურა მოეხსნა, მიუხედავად ამისა შვიდი თვის შემდეგ (დეკემბერში) მან კვლავ განაცხადა თავისი სურვილის შესახებ, რომ იბრძოლებდა თავისი კანდიდატურის წამოყენებისათვის. ბრძოლიდან გამოვიდა სენატორ-დემოკრატი ჯ. ბაიდენი. დემოკრატიული პარტიიდან კანდიდატურის წამოყენებისათვის იბრძოდა მასაჩუზეტის გუბერნატორი მ. დუკაკისი სენატორები პ. საიმონი, გორი, წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენელი ა. გეპჰარდტი (ბაიერის შტატიდან), ბანგეა �ოგე-

დო მოღვაწე ჯ. ჯეკსონი, ყოფილი გუბერნატორი ბ. ბებბიტი (არიზონის შტატიდან).

რესპუბლიკური პარტიიდან წინასაარჩევნო კამპანიაში ძირითადი კანდიდატები იყვნენ ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში და რესპუბლიკელთა უმცირესობის ლიდერი, სენატორი რ. დოული (კანზასის შტატი). მათ გარდა პრეტენდენტები იყვნენ წარმომადგენელთა პალატის წევრები ჯ. კუმპი (ნიუ-იორკის შტატიდან), ეკლესიის მსახური მქადაგებელი პ. რობერტსონი, დელაქერის შტატის ყოფილი გუბერნატორი პ. დიუპონი, ყოფილი საბჭოთა მწიფო მდივანი ა. ჰეიგი.

ეს ხანგრძლივი საარჩევნო მარათონი დამთავრდა იმით, რომ დემოკრატიული პარტიის მრავალრიცხოვანი პრეტენდენტიდან დარჩა მ. დუკაკისი, ხოლო რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი კი გახდა ჯ. ბუში, რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში და გახდა პრეზიდენტი.

რ. რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა

ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანისა და ჩეხოსლოვაკიაში და აღმოსავლეთ გერმანიაში სსრკ-ის მიერ ეს-20 და ეს-4 საშუალო რადიუსზე მოქმედი ახალი ბირთვული რაკეტების განლაგების შემდეგ ნატოს სესიამ, 1979 წლის დეკემბერში, მიიღო გადაწყვეტილება აშშ-ს საშუალო რადიუსზე მოქმედი 600-მეტე ბირთვული რაკეტის დასავლეთ ევროპაში განლაგების შესახებ. ცხადია, რომ აღნიშნულმა ამბებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე, სწორედ ასეთ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა კავშირის წინდაუხედავი ნაბიჯების გამო გამწვავდა საერთაშორისო ვითარება, იწყებს რ. რეიგანი თავის მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე რ. რეიგანმა საბჭოთა კავშირის მიმართ აშკარა მტრული პოზიცია დაიკავა. საბჭოთა აგრესიულობის განიარაღ. რომ რ. რეიგანმა დაუფარავად გამოაცხადა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ანტიკომუნისტური „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოწყობის მსგავსი კურსი, რომელიც გამოლებულ შეიარაღებასთან ერთად სოციალისტურ ქვეყნებზე უპირატესობის მიღწევის

მიზნით ითვალისწინებდა შეტევითი კურსის განხორციელებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროში.

რ. რეიგანის პრეზიდენტობისას არნახულად გაიზარდა სამხედრო ხარჯები. 1981 წელს მიღებული ხანგრძლივვადიანი პროგრამა აშშ-ს სტრატეგიული შეიარაღების გამალებული ზრდისა, ითვალისწინებდა მთელი 80-იანი წლების განმავლობაში სხვადასხვა ბირთვული სტრატეგიული იარაღის წარმოების გაზრდას, განსაკუთრებით საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების „ემექსის" — ახალი პირველი დარტყმის ბირთვული რაკეტის, აგრეთვე წყალქვეშა ნავის რაკეტების, შორმანძილზე მოქმედი ფრთოსანი რაკეტების „პერშინგ-2", ნეიტრონული იარაღისა და სხვა მასობრივი მოსპობის იარაღების შექმნას. პენტაგონის დირექტივები ითვალისწინებდა მომდევნო ათი წლის განმავლობაში არანაკლები 23 ათასი ახალი ბირთვული ქობინების წარმოებას. სწრაფი ტემპით იზრდებოდა ჩვეულებრივი შეიარაღება, შეიარაღებული ძალები, იზრდებოდა აშშ-ს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის და მობილურობის ამაღლება, განსაკუთრებით „სწრაფი რეაგირების" ძალებისა. ამასთანავე რ. რეიგანის ადმინისტრაცია ნატოში შემავალი თავისი პარტნიორებისაგან მოითხოვდა მათი შეიარაღებული ძალების ზრდას. მნიშვნელოვნად გააქტიურდა აშშ-სა და იაპონიის სამხედრო თანაშრომლობა. პენტაგონმა გაფართოვა და გააძლიერა თავისი საყრდენი ბაზები სხვადასხვა რეგიონებში და ცდილობდა უფრო მჭიდროდ მოექცია თავის გლობალურ სამხედრო-პოლიტიკურ სისტემაში სამხრეთ კორეა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სომალი და რიგი ქვეყნები. ცდილობდა ამ სისტემაში აგრეთვე ასიანის ქვეყნების ჩათრევას.

1982 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გადაწყვიტა აღარ განეახლებინა აშშ-ს მიერ შეწყვეტილი საბჭოთა კავშირ-აშშ-ინგლისის მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდის მთლიან და საბოლოო აკრძალვაზე. ერთდროულად სხვა გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული — არ გამოეყენებინათ 1974 და 1976 წლებში სსრ კავშირ-აშშ-ს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვისა და ბირთვული აფეთქებების შესახებ მშვიდობიანი მიზნებისათვის. ამერიკის მთავრო-

ბა ასეთივე პოზიციაზე იდგა სხვა სახეობის შეიარაღებისა და განიარაღების შეზღუდვის საკითხებში.

1983 წლის მარტში თეთრმა სახლმა შეიმუშავა ფართომასშტაბიანი და ნაღალეჯექტური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის პროგრამა, რომელმაც „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის სახელწოდება მიიღო, ხოლო სენატორმა ე. კენედიმ მას მიუწრებულად „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა უწოდა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია 1972 წ. აშშ-სა და სსრ კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ, რომელიც კრძალავს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გაშლას ქვეყნის ტერიტორიაზე და ასეთი თავდაცვის საფუძვლის შექმნას. თითოეულ მხარეს უფლება აქვს ჰქონდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეზღუდული სისტემა მხოლოდ ერთ რაიონში 150 კმ-ის რადიუსით. საბჭოთა კავშირში ასეთ რაიონად მოსკოვია ამორჩეული, აშშ-ში კი—ვაშინგტონის მახლობლად ბაზა გრანდ-ფორსკი. ერთი რაიონის ფარგლებში ხელშეკრულებით დაშვებულია არაუმეტეს ასი რაკეტსაწინააღმდეგო გამშვები დანადგარის დამონტაჟება და არაუმეტეს ასი რაკეტსაწინააღმდეგო სასტარტო პოზიციის, აგრეთვე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რადიოლოკაციური საშუალებების შეზღუდული რაოდენობის დამონტაჟების უფლება. სტაციონალური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპონენტები განლაგებული უნდა იყოს მიწაზე. ხელშეკრულება კრძალავს საზღვაო, საჰაერო, კოსმოსური ან მობილურ-მიწისზედა ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ან კომპონენტების შექმნას, გამოცდას და გაშლას. მაშინ აშშ-მ და სსრ კავშირმა განაცხადეს, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ 1972 წლის ხელშეკრულებით დაწესებულ რაოდენობაზე მეტი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა აუცილებლად გამოიწვევს სტრატეგიული პარიტეტის დარღვევას და გაზრდის თერმობირთვული ომის საფრთხეს. „ვარსკვლავეთის ომების“ ამერიკული პროგრამა კი ითვალისწინებს რაკეტსაწინააღმდეგო ფართომასშტაბიანი სისტემის შექმნას კოსმოსური ბაზირების ელემენტებით. საბჭოთა კავშირსაც და აშშ-ც კოსმოსში აქვთ თანამგზავრები, რომელნიც ემსახურებიან კავშირის, ნავიგაციისა და რაკეტულ-ბირთ-

კული თაკდასხმის გამაფრთხილებელ მიზნებს და ამიტომ არ წარმოადგენენ კოსმოსურ შეიარაღებას. რ. რეიგანის მიერ გამოცხადებული ე. წ. „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამა კი ითვალისწინებდა კოსმოსში დამრტყმელი შეიარაღების, ე. ი. თანამგზავრსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების შექმნას, რაკეტსაწინააღმდეგო ფარით აშშ-ის ტერიტორიის გადახურვას და ერთდროულად სტრატეგიული პირველი დარტყმის შეიარაღების გაშლას კოსმოსში ახალი სტრატეგიული ძალების სტაციონალური ბაზირებით და ყველაფერი ამის კოორდინირებული სტრატეგიული მიზნებისათვის ღამორჩილებას. კოსმოსის მილიტარიზაცია იმის იმედებს უქმნის აშშ-ს სტრატეგებს, რომ მათ, ომის შემთხვევაში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ მოწინააღმდეგის ობიექტებს კოსმოსში, საჰაერო სივრცეში, ზღვაში, დედამიწაზე. რაკეტსაწინააღმდეგო ფარის შექმნით აშშ-ში ფიქრობდნენ, რომ მთლიანად აიცილებდნენ თავიდან რუსეთისაგან საპასუხო დარტყმას, გაანადგურებდნენ აფრენის დროს ან შემდეგ ტრაექტორიაზე ამერიკის პირველი დარტყმის შედეგად გადარჩენილ საბჭოთა რაკეტებს. ამრიგად, კოსმოსური დამრტყმელი შეიარაღება და ბირთვული შეიარაღება ურთიერთკავშირშია და ორივე წარმოადგენს სტრატეგიულ კომპონენტს. რ. რეიგანის ადმინისტრაცია ამტკიცებდა, რომ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამა „მაღალმორალურია“ ვინაიდან მას შეუძლია კაცობრიობა იხსნას ბირთვული ომისაგან და გამიზნულია არა ადამიანებისა, არამედ რაკეტების წინააღმდეგ („რაკეტები რაკეტების წინააღმდეგ“). ეს თეზისი ნიშნავდა ბირთვული ომის საშიშროებით შეშფოთებული ხალხის დამშვიდებას.

1983 წლის ნოემბერში რ. რეიგანის მთავრობამ დაიწყო დასავლეთ ევროპაში წინასწარ დაგეგმილი საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების განლაგება, რამაც ბალზედ გაამწვავა საერთაშორისო ვითარება. ამერიკული „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების ევროპაში განლაგებამდე და შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მოუწოდა ნატოს ქვეყნებს უარი ეთქვათ აღნიშნული რაკეტების ევროპაში განლაგებაზე. სამაგიეროდ საბჭოთა მთავრობა დაპირებას იძლეოდა ცალმხრივად გაეტანა ევროპიდან თავისი ბირთვული იარაღი და ეუბყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება ზემოთ აღნიშნული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ჯერ კიდევ 1981 წლის 18 ნოემბერს

რ. რეიგანმა წინადადება წამოაყენა დაეწყოთ მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების რადიკალური შემცირების შესახებ და აშუალო სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის ანუ ნულოვანი ვარიანტის შესახებ. მაგრამ, რატომღაც, საბჭოთა მთავრობამ, რომელიც არა ერთხელ მოითხოვდა ამერიკულ რაკეტებთან ერთად ინგლის-საფრანგეთის აღნიშნული სახეობის რაკეტების ლიკვიდაციას[1]. რ. რეიგანის „ნულოვან ვარიანტში", რომელიც გვიან მიღებულ იქნა სსრკ-ს მიერ, მაშინ დაინახა თანასწორობისა და ერთიანი უშიშროების პრინციპის დარღვევა და სსრკ-ის ცალმხრივი განიარაღება.

საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ განცხადა ულტიმატუმის სახით აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნებს, რომ თუ ისინი განალაგებენ ამერიკულ საშუალო რადიუსის რაკეტებს ევროპაში, საბჭოთა მთავრობა შეწყვეტს მოლაპარაკებას ჟენევაში სტრატეგიულ და საშუალო რადიუსის რაკეტებზე. და ბართლაც, ამერიკის რაკეტების განლაგების დაწყების შემდეგ, 1983 წლის დეკემბერში საბჭოთა წარმომადგენლებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება ჟენევაში, რითაც მოლაპარაკების მთელი პროცესი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეწყდა. დაიწყო განალაგებული შეიარაღება ჯერ ახალი და ახალი ბირთვული და სხვა სახეობის იარაღით. საბჭოთა მთავრობამ, ამერიკული რაკეტების ევროპაში განლაგების პასუხად, დამატებით განალაგა თავი საშუალო რადიუსის ნიმუშები რაკეტები გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიაში. მასთანავე აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში მოაწყვეს დიდი საბრძოლო მანევრები ყველა სახეობის შეიარაღებით და შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. ამავე დროს ფართოდ გაჩაღდა „ფსიქოლოგიური ომი" სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგ. პრეზიდენტის № 75 დირექტივა (1983 წ. მარტში) ითითქოდა „ამერიკის ხმის", „თავისუფლების", „თავისუფალი ევროპის" და სხვების ძირგამოთხრილი პროპაგანდის გაძლიერებას

---

[1] საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას, რომ ინგლისსა და საფრანგეთის საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციაც მოეხდინიათ ამ უკანასკნელებმა უპასუხეს, რომ მათი სარაკეტო იარაღის არსენალი არ აღემატება სსრკ-ისა ან აშშ-ს ბირთვულ სარაკეტო არსენალის ოთხ პროცენტს და როცა ამ ორივე ზეაზელმწიფოს ბირთვული არსენალი დავა მათ დონემდე. ისინი მზად არიან ბოლოს ნულოვან ვარიანტზე.

სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ და ეკონომიკური ზეგავლენის გაძლიერებას სსრ კავშირზე, პოლონეთზე და სოციალისტურ სახელმწიფოებზე. ამავე წელს მოხდა საზარელი ამბავი შორეულ აღმოსავლეთში, სადაც სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავმა შემთხვევით დაარღვია საბჭოთა საზღვრები, რის გამოც იგი ჩამოგდებული იქნა საბჭოთა თავდაცვითი ძალების მიერ. ამ დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაიღუპა მრავალი უდანაშაულო ადამიანი. 1983 წლის ოქტომბერში აშშ-მ გადასხა ჯარები გრენადაში, სადაც დაამხო საბჭოთა და კუბის მეშვეობით დამყარებული კომუნისტური რეჟიმი და ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარა სასურველი რეჟიმის დამყარებში. გრენადაში საბჭოთა კავშირი და კუბა დიდ ჰაეროდრომს აგებდნენ აშშ-ს წინააღმდეგ.

1983 წლის ოქტომბერში ამერიკამ თავისი საზღვაო ქვეითი ჯარები გადასხა ლიბანში ადგილობრივი ტერორისტული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო აშშ-ის საზღვაო გემებზე განლაგებული ავიაცია ახორციელებდა ინტენსიურ დაბომბვებს ლიბანში მყოფ ტერორისტების პოზიციებზე ნოემბერ-დეკემბერში ლინკორნმა „ნიუ-ჯერსმა" მასირებული საარტილერიო დაბომბვები განახორციელა ლიბანის და სირიის ჯარების პოზიციისა. ამერიკის აღნიშნული აქციები პასუხი იყო ლიბანის ტერორისტების მოქმედებაზე. ამერიკამ ამ აგრესიის საბაბად დაიდო აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესების დაცვა ნავთობის მიწოდების საქმეში ახლო და შუა აღმოსავლეთში საბჭოთა საშიშროებისაგან. ამ მიზნით, ამ რეგიონში, ჯერ კიდევ 1981 წლის იანვარში შეიქმნა სარდლობა, რომლის მთავარი დანიშნულებაა ამ რეგიონის ქვეყნების დაცვა კომუნისტური აგრესიისაგან. „სწრაფი რეაგირების" ჯარების ფორმირება ხდებოდა ცენტრალურ ამერიკაშიც.

1983 წლის ბოლოს, ამერიკის ზეგავლენით, მიუხედავად ჰოლანდიის, ბელგიის, დანიის, საბერძნეთისა და ნატოს სხვა პატარა ქვეყნების ბოჩვენებითი ოპოზიციისა, დასავლეთ ევროპაში გრძელდებოდა „პერშინგ-2"-ის და ფრთოსანი რაკეტების განლაგება. მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების რეალიზაცია ეხებოდა აგრეთვე ახალი სახეობის ქიმიური იარაღის ფართო პროგრამის განხორციელებას, მათ შორის მომწამლავი უმაღლესი ტოქსიკურ-ბინარული გაზის წარმოებას.

1984 წლის დეკემბერში ნატომ მიიღო ე. წ. „როჯერსის გეგმა",

რომელიც ითვალისწინებდა ახალი არაბირთვული იარაღის შექმნას „ღრმა დარტყმების“ განხორციელების მიზნით ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებზე. ვითარება მწვავდებოდა საბჭოთა მთავრობის მიერ ულტიმატური ხასიათის განცხადებებითა და მოთხოვნებით. სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოწყებულ ახალ გამალებულ შეიარაღებას 70—80-იანი წლებში დასავლეთის ქვეყნები საპასუხო ღონისძიებებით პასუხობდნენ. ამასთანავე საბჭოთა მხარე არაერთხელ აცხადებდა, რომ იგი არ დაუშვებს დასავლეთის მიერ უპირატესობის მიღწევას საბჭოთა კავშირზე და ა. შ.

გამალებული შეიარაღება და სულ ახალი და ახალი სახეობის მასობრივი მოსპობის ბირთვული და არაბირთვული შეიარაღების ზრდა დიდ შეშფოთებას იწვევდა დასავლეთის ზოგიერთ გავლენიან პოლიტიკურ წრეებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ხალხთა მასებზე, რომელნიც ევროპაშიც და ამერიკაშიც მოითხოვდნენ დიალოგის გამართვას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. აშშ-ს მთავრობა ანგარიშს უწევდა ხალხის ამ მოთხოვნებს.

1982 წელს რ. რეიგანმა ახალი წინადადება წამოაყენა შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ, რომლის მიზანი იყო, როგორც თვითონ აცხადებდა, შეიარაღების არსენალზე კონტროლის დაწესება. ამ პრობლემის გადაჭრის პირველ ნაბიჯად რ. რეიგანმა დააყენა ორივე ქვეყნის სტრატეგიული ბირთვული ქობინების ერთი მესამედით შემცირება და მათი 5 ათასამდე დაყვანა თითოეული მხარისათვის. თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში განიარაღების საკითხებზე რ. რეიგანი ყოველთვის აცხადებდა, რომ მისი ამოცანაა შემდეგის მიღწევა: შემცირდეს შეიარაღების ხარჯების ტვირთი; მივაღწიოთ სამხედრო ბალანსის სტაბილურობას. რ. რეიგანს მიაჩნდა, რომ მოლაპარაკება შეიარაღებაზე და განიარაღებაზე კონტროლის შესახებ არ უნდა იქნეს გამოყენებული სამხედრო უპირატესობის მიღწევისათვის, მეგობრებისა და მოკავშირეების გათიშვისათვის და როგორც პლატფორმა პროპაგანდისტული კამპანიისათვის. პირიქით, ასეთი მოლაპარაკება უნდა მიმართული იყოს ომის რისკის რეალურად შემცირებისათვის, მათ შორის ინფორმაციის ჩათვლით შეიარაღებული ძალების შესახებ და სამხედრო მოქმედების თაობაზე გაუგებრობისა და შეცდომების თავიდან აცილებლად კრიზისულ სიტუაციაში. ამ მიზნით პრეზიდენტმა მოუწო-

და (ჯერ კიდევ 1963 წელს დადებული შეთანხმების) მოსკოვსა და ვაშინგტონის ლიდერებს შორის პირდაპირი სატელეფონო კავშირის გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაიოლებისა და კონფლიქტების რისკის შემცირებისათვის. ეს ხაზი მართლაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუმჯობესდა.

1984 წლის 4 ივნისს ირლანდიის პარლამენტის წინაშე გამოსვლისას დუბლინში რ. რეიგანმა აშკარად აღიარა, რომ „ბირთვულ ომში არ შეიძლება გამარჯვების მიღწევა, და იგი არასოდეს არ უნდა გაჩაღდეს". მან აქვე აღნიშნა, რომ იგი, როგორც დიდი სახელმწიფოს მეთაური, ყოველ წუთში გრძნობს თავის უდიდეს პასუხისმგებლობას მშვიდობის დაცვასა და ადამიანთა სიცოცხლის შენარჩუნებაში. და ეს პასუხისმგებლობა არ შეიძლება არ იყოს მტკიცე: იგი მოითხოვს გადამწყვეტ ღონისძიებებს და მაქსიმალურ ძალღონეს მშვიდობის განმტკიცებისათვის. აშშ სისტემატურად აყენებს ისტორიაში ყველაზე უფრო ფართო პროგრამას შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ. აშშ ხუთ დარგში მონაწილეობდა და აყენებდა თავის სამშვიდობო წინადადებებს: ვენაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ; ჟენევაში ვიცე-პრეზიდენტმა ბუშმა შეიტანა პროექტი მთელ მსოფლიოში ქიმიური იარაღის მთლიანი აკრძალვის შესახებ; სტოკჰოლმში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე; აშშ ჟენევაში ერთდროულად ორ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა: მოლაპარაკებაში საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტების შემცირების შესახებ და მოლაპარაკებაში საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტების შესახებ. აშშ, აცხადებდა რ. რეიგანი, წინააღმდეგია ბირთვული იარაღის ექსპორტისა და მოითხოვდა მასზე სასტიკი კონტროლის დაწესებას. რ. რეიგანმა წამოაყენა ყველა ბირთვულ იარაღზე „ნულოვანი ვარიანტი", რაც მაშინდელ სსრკ-ს მთავრობას არაგულწრფელად მიაჩნდა და იმასაც კი აცხადებდა, რომ ასეთი ვარიანტი თითქოს სსრკ-ს უშიშროების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩემი ოცნებაა. აცხადებდა რ. რეიგანი, იმ დღეს მოვესწრო, როცა ბირთვული იარაღი მთლიანად მოისპობა დედამიწაზე.

1984 წ. 28 სექტემბერს ვაშინგტონში მოეწყო შეხვედრა რ. რეიგანსა და ა. გრომიკოს შორის, რომლის დროსაც გამომჟღავნდა ორივე მხარის მზადყოფნა დიალოგის გამართვაზე. აქ შეთანხმდნენ,

რომ მომავალში აუცილებლობის შემთხვევაში მოაწყონ ახალი შეხვედრები.

1984 წლის ნოემბერში აშშ და სსრ კავშირი დათანხმდნენ დაეწყოთ დიალოგი ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების მთელი კომპლექსური საკითხების ირგვლივ შეთანხმების მიღწევის მიზნით. ამის შესაბამისად, 1985 წლის 7—8 იანვარს ჟენევაში ერთმანეთს შეხვდნენ ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ჯ. შულცი და ა. გრომიკო, რომლის დროსაც შეთანხმდნენ დაეწყოთ მოლაპარაკება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხზე ერთმანეთთან კავშირში. 1985 წლის 12—13 მარტს ჟენევაში ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების გრომიკოსა და შულცის ორდღიანი საუბრის შემდეგ ჟენევაში განახლდა მოლაპარაკება ბირთვული სტრატეგიული და საშუალო რადიუსის რაკეტების შეგცირების თაობაზე და აგრეთვე თავდაცვის და კოსმოსური იარაღის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორივე ქვეყნის თითოეული მხარის დელეგაცია სამ ჯგუფად დაიყოს, რათა განიხილოს: შეტევითი საკონტინენტთაშორისო, საშუალო რადიუსისა და კოსმოსური ბირთვული რაკეტების საკითხები.

ამასთან დაკავშირებით რ. რეიგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუ ჩვენ მასობრივი მოსპობის იარაღის უღიდესი არსენალის იმედით ვიქნებით, მაშინ არ შეიძლება კაცობრიობას მარტო თვითშენარჩუნების საერთო-საკაცობრიო ინსტიტუტი ჰქონდეს. ამ აზრთან დაკავშირებით პრეზიდენტმა სამი ამოცანა ჩამოაყალიბა, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირმაც: 1) საერთაშორისო საღვთო საკითხების გადასაჭრელად ეძიონ გზები ძალის გამოყენებასე მუქარის შემცირებისა, შემდეგ კი მისი მთლიანად აღმოფხვრისათვის; 2) მოიძიონ გზები მსოფლიოში ღაგროვილი შეიარაღების უზარმაზარი არსენალის შემცირებისათვის; 3) შეიქმნას ისეთი ვითარება, რომლის დროსაც ქვეყნებში ცვლილებების მოგვარება მოხდება ინტერვენციის საშიშროების გარეშე არამეგობრული ქვეყნის მხრივ. ჟენევაში გრომიკოსა და შულცის შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა რ. რეიგანმა განაცხადა: „ჩვენ საბჭოთა კავშირთან გვაქვს აზრთა სხვადასხვაობა, ძალიან ბევრი და სერიოზული და ეს ახალი მოლაპარაკებები იქნება მძიმე, ვინაიდან ჩვენ მივისწრაფვით გადავწყვიტოთ მშვიდობისა და უშიშროების ყველაზე ძირეული საკითხები ჩვენთვის, ჩვენი მოკავშირეებისათვის და

მთელი მსოფლიოსათვის". რ. რეიგანმა იმედი გამოთქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ჟენევაში მხოლოდ პირველი ნაბიჯია ორ სახელმწიფოს შორის დიალოგის დაწყებისათვის, რომ 1985 წ. გადაიქცევა დიალოგისა და მოლაპარაკების წლად, რომელიც გააუმჯობესებს ურთიერთობას აშშ-სა და სსრ კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება. ჟენევაში გრომიკოსა და შულცს შორის შეთანხმებამ გააუმჯობესა ურთიერთობის ატმოსფერო საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის და მთელ მსოფლიოში. ამასთანავე ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, პენტაგონი და მისი შეფი გ. უაინბერგერი, რომელიც სულ ახალ და ახალ თანხებს მოითხოვდა ბირთვული და სხვა სახეობის შეიარაღების ზრდისა და აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის უკვე დადგენილი პარიტეტის დარღვევისათვის. მაგრამ სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამ ამოცანის მიღწევის შემთხვევაშიც კი, მსოფლიოში იმდენი შეიარაღება იყო დაგროვილი, რომ მისი გამოყენება ჩვენ პლანეტას სრული განადგურება-გაქრობით ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში აშშ-შიც და სსრ კავშირშიც გაჩნდა სალმა აზრმა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის აუცილებელი იყო ურთიერთობის გაუმჯობესება და კონფრონტაციაზე უარის თქმა.

შედარებით უკეთ ვითარდებოდა ეკონომიკური ურთიერთობა აშშ-სა და სსრ კავშირს შორის. 1984 წ. კვლავ გაუგრძელდა ვადა ამ ორ ქვეყანას შორის დადებულ ათწლიან ეკონომიკურ შეთანხმებას, გაუმჯობესდა საკონსულო სამუშაოები და განხილულ იქნა გადამრჩენი სამუშაოების მეთოდები ზღვაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის დარგში. 1984 წელს აშშ-ში ჩავიდა საბჭოთა სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მესიაცი, რომელიც გაეცნო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ამერიკულ მეთოდებს. დადო შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ სამეცნიერო კვლევით და ტექნიკური დამუშავების დარგებში. 1983 წ. აშშ-მ და სსრ კავშირმა ხელი მოაწერეს ხუთწლიან შეთანხმებას, რომლითაც საბჭოთა კავშირმა ვალდებულება აიღო აშშ-ში ყოველწლიურად შეისყიდოს არანაკლები 9 მილიონი ტონა სიმინდი და ხორბალი[1]. თუ საბჭოთა

[1] პირველი ასეთი ხელშეკრულება სსრ კავშირს და აშშ-ს შორის დაიდო 1973 წელს.

კავშირს ექნება სურვილი დამატებით შეუფილია შეისყიდოს 3 მილიონი ტონა მარცვალი. მარტო 1984 წ. აშშ-მ შესთავაზა სსრ კავშირს შეესყიდა 22 მლნ ტონა მარცვლეული. საბჭოთა კავშირა უფლება მიეცა ამერიკის სანაპიროებთან თევზის ჭერისა. ასეთი შეთანხმებები სწორედ ის კონკრეტული საქმეებია, რომლებიც ცხადყოფს ყოველმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობებს. იაინი იმასაც ცხადყოფენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არია ისეთი დარგები, სადაც ნაყოფიერი თანამშრომლობა შეიძლება.

ბირთვული განიარაღების საკითხზე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს ამერიკის მხარე და თვით პრეზიდენტი რ. რეიგანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საიმედო კონტროლია დამყარებას შეიარაღებაზე და უარის თქმას შეჯიბრებაზე შეიარაღების დარგში, რომელსაც მივყავართ პოლიტიკური ეჭვებია გაღვივებამდე და შიშამდე. ამ ეჭვების გაქარწყლების მიზნით, რ. რეიგანმა წინადადება მისცა საბჭოთა კავშირს, ორივე მხარემ მოაწყოს რეგულარული შეხვედრები მინისტრებისა და კაბინეტის წევრების დონეზე ამ ორ სახელმწიფოს წინაშე მდგარი ყველა, აგრეთვე მათ შორის არსებული ბარიერების ლიკვიდაციის საკითხების განსახილველად, რომელნიც ხელს უშლიან ურთიერთგაგება.. რ. რეიგანმა ორ ქვეყანას შორის ნდობის დამყარების მიზნით დააყენა საკითხი სამხედრო სწავლებებზე და ჯარის განლაგებების ადგილას მეთვალყურეობის გაცვლის შესახებ.

რ. რეიგანმა დააყენა საკითხი აშშ-სა და სსრ კავშირის სამხედრო ექსპერტების გაცვლის შესახებ ბირთვული აფეთქებების ადგილას, რათა მათ თვითონ შეამოწმონ ბირთვული გამოცდების შედეგები. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში. რ. რეიგანის მშვიდობიანი განცხადებები ყოველთვის როდი ვლინდებოდა კონკრეტული საქმეებით. ეს წინადადება მან წამოაყენა თავის 1984 წლის 24 სექტემბრის მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეასადმი. რომელშიც ის მშვიდობისაკენ მოუწოდებდა.

ამ მიმართულების დასაწყისი იყო ის, რომ 1985 წლის 19—21 ნოემბერს ჟენევაში მოეწყო პირველი შეხვედრა მ. გორბაჩოვსა და რ. რეიგანს შორის, რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ექვსი წელი იყო გასული, რაც ამ ორი ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელები არ შეხვედროდნენ ერთმანეთს. 1979 წ. ვენაში

მოწყობილი შეხვედრის დროს ლ. ი. ბრეჟნევსა და ჯ. კარტერს შორის დაიდო სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, რომელიც არ იქნა რატიფიცირებული აშშ-ს კონგრესის ნიერ. აბის შენდეგ იყო, რომ აშშ-ში კონსერვატორულმა ელემენტებმა ძალები მოიკრიბეს, ხოლო საბჭოთა კავშირმა კი 1979 წლის დეკემბერში ჯარები შეიყვანა ავღანეთში, რამაც კიდევ უფრო გაიწვია საერთაშორისო ვითარება. როგორც უკვე დავინახეთ, ამერიკის მილიტარისტულმა ძალებმა გამოიყენეს რა შექმნილი ვითარება, დაიწყეს გამალებული შეიარაღება, რომელსაც არც საბჭოთა კავშირი არ ჩამორჩებოდა, ზოგიერთ რამეში კი ლიდერობდა კიდეც, და უმალავდა საკუთარ ხალხს გამალებული შეიარაღების ნაბდვილ მასშტაბებს. აშშ-მა ომის შემდგომ 40 წლის განმავლობაში 7,5 ტრილიონი დოლარი დახარჯა სამხედრო მიზნებისათვის. აქედან რეიგანის ადმინისტრაციის დროს იმავე მიზნებისათვის დაიხარჯა 2 ტრილიონი დოლარი. იგი მოხმარდა თავისი მასშტაბებით გაუგონარ ბირთვული მოდერნიზაციის პროგრამის განხორციელებას. საბწუხაროდ, საბჭოთა კავშირში ასეთი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ეუვს გარეშეა, რომ არც აქ იქნა გაღებული ნაკლები ხარჯები. ჟენევაში შეხვედრის წინ მსოფლიოში 60 ათასი ბირთვული იარაღის ერთეული დაგროვდა, რომელიც სპეციალისტების აზრით საკმარისია ჩვენი პლანეტის 60-ჯერ მოსპობისათვის. ამრიგად, მსოფლიოში დაგროვდა გაუგონარი მასშტაბების ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღება და შეიქმნა ისტორიული ჩიხი, რომელშიც ორივე ზესახელმწიფო დიდი სისწრაფით მიექანებოდა. ასეთ ვითარებაში ორივე ქვეყნის ლიდერის შეხვედრის მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჟენევაში მ. ს. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა ერთობლივ კომუნიკეში განაცხადეს, რომ ბირთვული ომი არ უნდა გაჩაღდეს, ხაზგასმით აღინიშნა აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ყოველგვარი ომის დაუშვებლობა — ბირთვულის თუ ჩვეულებრივის — და ვალდებულება იკისრეს არ ესწრაფოდნენ სამხედრო უპირატესობის მიღწევას. ამ ისტორიულმა შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის ლიდერების ბომავალ შეხვედრებს და მათ შორის დიალოგის დასაწყისი გახდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიღწევაში. შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე ამ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების დაჩქარებას

ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შემცირებაში. ჟენევაში ორი ლიდერის შეხვედრამ პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლაზე, ამ ურთიერთობის გაჯანსაღებაზე, ბირთვული ომის საფრთხის წარმოქმნის შემცირებაზე.

სსრ კავშირმა 1985 წლის 6 აგვისტოდან ცალმხრივი მორატორიუმი გამოაცხადა ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებაზე. მორატორიუმის მოქმედების ვადა 1986 წლის 1 იანვრამდე გრძელდებოდა. მაგრამ 1985 წლის დეკემბერში მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ თუ მორატორიუმი ორმხრივი გახდება. ე. ი. თუ აშშ-იც შეუერთდება მას, მაშინ მისი მოქმედების ვადა გაგრძელდება. საბჭოთა კავშირის ეს მორიგი ინიციატივა მიზნად ისახავდა ბირთვული იარაღის წარმოების შეზღუდვას.

ჯერ კიდევ 1974 წელს სსრ კავშირმა და აშშ-მა დადეს ხელშეკრულება ბირთვული იარაღის აფეთქებების სიძლიერის 150 კილოტონამდე შეზღუდვის შესახებ. 1976 წლის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებით კი მოწესრიგდა ბირთვული აფეთქებების მოწყობა მშვიდობიანი მიზნებისათვის. მაგრამ ეს ხელშეკრულებები არ დაამტკიცა ამერიკის სენატმა.

1977 წელს საბჭოთა მთავრობის ინიციატივით სსრ კავშირ-ა, აშშ-სა და ინგლისს შორის დაიწყო მოლაპარაკება ყველა სფეროში — ატმოსფეროში, კოსმოსში, წყლის ქვეშ და მიწის ქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების შემუშავებისათვის. მაგრამ 1980 წელს, როდესაც შეთანხმება უკვე თითქმის დამთავრების სტადიაში იყო, აშშ-მა და ინგლისმა, ავღანეთის ამბებთან დაკავშირებით, შეწყვიტეს მოლაპარაკება და უარი თქვეს მოლაპარაკების განახლებაზე.

აშშ-ის მთავრობა მაშინ არ გამოეხმაურა საბჭოთა მთავრობის პროპაგანდისტულ წინადადებას ბირთვულ აფეთქებებზე მორატორიუმის შემოღების შესახებ და კვლავ აგრძელებდა ასეთ აფეთქებებს.

აშშ და დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა ამტკიცებდა, რომ ბირთვულ აფეთქებებზე კონტროლის დაწესება ძალზე ძნელია და ამიტომ მორატორიუმის შემოღებას არა აქვს აზრი. მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც ამტკიცებდა, რომ ამჟამად არსებობს საიმედო ეროვნული საშუალებები, რომელნიც ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებაზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესაძლებლობას იძ-

ლევა. ამიტომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირისადმი დიდი უნდობლობისა, მოითხოვდნენ მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას ბირთვულ აფეთქებებზე. 1985 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი თანახმაა კონტროლის საერთაშორისო სისტემის დაწესებაზე და მორატორიუმის შემოღების შეჩერებაში მზადაა შეუთანხმდეს აშშ-ს ადგილებზე კონტროლის საკითხზე. ასეთი ნაბიჯი, ბუნებრივია, საბოლოოდ გაფანტავდა ყოველგვარ ეჭვს მორატორიუმის ზუსტად დაცვაზე და თვითკონტროლის პრობლემაც აღარ გადაიქცეოდა ურთიერთშეთანხმების გზაზე წინააღმდეგობის მიზეზად. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა აგრეთვე მიეღო 1985 წლის იანვარში ინდოეთის, მექსიკის, არგენტინის, ტანზანიის, საბერძნეთისა და შვეიცის სახელმწიფოოთა ხელმძღვანელების მიერ დელში ხელმოწერილ დეკლარაციაში წამოყენებული წინადადებები შემოწმების საერთაშორისო სისტემის შემოღების შესახებ.

1985 წლის დეკემბერში აშშ-ის მთავრობამ განაცხადა, რომ სსრ კავშირმა დაარღვია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მეორე ხელშეკრულება (საბჭოთა მოდერნიზებულ რაკეტას რს-12-ს აშშ-ში „ახალ რაკეტას“ ეძახიან) და ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ კრასნოიარსკში რადარული სადგურის შექმნით. მაგრამ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება ბირთვულ აფეთქებებზე მორატორიუმის შემოღების შესახებ, რომელიც პრაქტიკული წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ბირთვული განიარაღების გზაზე, თავდაპირველად ვერ პოულობდა მხარდაჭერას აშშ-ში. აშშ-ში ფართო მასშტაბებით ხორციელდებოდა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროგრამა. ამ საქმეში ჩაება ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალი. ბირთვული გამალებული შეიარაღების გამართლებას ამერიკაში ცდილობდნენ იმის მტკიცებით, რომ საბჭოთა კავშირთან მხოლოდ „ძალის პოლიტიკით“ შეიძლება ურთიერთობა, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება ყენევაში შესაძლებელი გახდა აშშ-ის სამხედრო სიძლიერის ზრდის შედეგად. თავის უარყოფით დამოკიდებულებას კი საბჭოთა მორატორიუმისადმი უკავშირებდნენ მრავალ პირობას, კერძოდ, იმას, რომ ორივე მხარემ ჯერ რადიკალურად

უნდა შეამციროს თავისი ბირთვული არაენალი, მოახდინოს ჩვეულებრივი შეიარაღების ბალანსირება, განამტკიცოს ურთიერთნდობა და მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტოს ბირთვული იარაღის გამოცდა.

1986 წ. ოქტომბერში ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შედგა რიგით მეორე შეხვედრა მ. ს. გორბაჩოვსა და რ. რეიგანს შორის.

განვლილ პერიოდში საბჭოთა მთავრობამ ოთხჯერ გააგრძელა მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე, წამოაყენა ამ საუკუნის ბოლომდე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა. 1986 წ. ივნისში ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები სსრ კავშირის ინიციატივით გამოვიდნენ წინადადებით ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ მთელ ევროპულ კონტინენტზე — ატლანტიკიდან ურალამდე.

რეიკიავიკში შეხვედრა მაინც აუცილებელი გახდა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ჟენევაში, სადაც იხილავდნენ კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების საკითხებს, პრაქტიკულად ჩიხში მოექცა. გამალებული შეიარაღება არ შეჩერებულა და სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ საქმე უახლოვდება ისეთ ზღვარს, რომლის მიღმა გარდაუვალია ამ გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი, რომელსაც მოჰყვება განუჭვრეტელი პოლიტიკური და სამხედრო შედეგები.

ასეთ პირობებში წინადადება უმაღლეს დონეზე საჭირო შეხვედრის შესახებ წამოაყენა მ. ს. გორბაჩოვმა თავის საპასუხო მიმართვაში რეიგანის 25 ივლისის წერილზე. იგი წერდა: „სიტუაცია ისეთია, რომ ყველა საქმე ერთი-ორი დღით უნდა გადავდოთ და დაუყოვნებლივ შევხვდეთ ერთმანეთს“. ეს წერილი რეიგანს გადასცა ე. შევარდნაძემ აშშ-ში ყოფნის დროს სექტემბერში. მაშინ იქნა მიღწეული შეთანხმებაც რეიკიავიკში შეხვედრის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიკიავიკში გამგზავრების წინ, 9 ოქტომბერს, გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მას სურვილი აქვს მიაღწიოს პროგრესს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის, უშიშროების განმტკიცებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ ალბათ უფრო პროპაგანდისტული მიზნით რეიკიავიკში ჩაიტანა მთელი პაკეტი წინადადებისა, რომელ-

თა მიღების შემთხვევაში მართლაც შესაძლებელი გახდებოდა „წინსვლა უბირთვო მსოფლიოსაკენ“. მ. ს. გორბაჩოვმა რ. რეიგანს შესთავაზა აქვე, რეიკიავიკში საგარეო საქმეთა მინისტრებისა და შესაბამისი უწყებებისათვის მიეცათ დავალება, მოემზადებინათ შეთანხმების სამი პროექტი, რომელსაც შემდეგ ორივე ხელმძღვანელი ხელს მოაწერდა მ. ს. გორბაჩოვის ვაშინგტონში.

პირველი წინადადება ითვალისწინებდა სტრატეგიული იარაღის შემცირებას 50 პროცენტით ხუთი წლის განმავლობაში, თანაც აქ ლაპარაკი იმაზე კი არ იყო, რომ ბირთვული შეიარაღება შეეზღუდათ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პირველი (1972 წ.) და მეორე (1979 წ.) ხელშეკრულებების დადების დროს, არამედ საქმე ეხებოდა უკვე საუკუნის დამლევისათვის სტრატეგიული ბირთვული იარაღის მთლიანად მოსპობას, რასაც ითვალისწინებდა საბჭოთა მთავრობის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება.

50 პროცენტით უნდა შემცირებულიყო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ყოველი ნაწილი: მიწისზედა ბაზირების სტრატეგიული რაკეტები, სტრატეგიული რაკეტები წყალქვეშა ნავებზე და სტრატეგიული ბომბდამშენები. ამასთანავე, საბჭოთა დელეგაციამ ამ საკითხში შეცვალა თავისი ადრინდელი მოთხოვნები. თუ, მაგალითად, ჟენევაში საბჭოთა წინადადება სტრატეგიული იარაღის 50 პროცენტით შემცირებაზე ითვალისწინებდა ევროპაში განლაგებული ამერიკის საშუალო რადიუსის რაკეტების შემცირებასაც, ვინაიდან ისინი საბჭოთა ტერიტორიას აღწევდნენ, ახლა საბჭოთა დელეგაციამ უარი თქვა ამ მოთხოვნაზე და გარდა ამისა მოხსნა ამერიკის მოწინავე ბაზირების საშუალებათა საკითხიც.

მეორე საბჭოთა წინადადება ეხებოდა საშუალო სიშორის რაკეტებს. დელეგაციამ ამ საკითხის კარდინალურად გადაჭრის მიზნით მოითხოვა საბჭოთა და ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების მთლიანი მოსპობა ევროპაში. ამასთანავე, ჟენევაში სსრკ-ის მიერ წამოყენებული წინადადებებისაგან განსხვავებით რეიკიავიკში მთლიანად განზე რჩებოდა საფრანგეთისა და ინგლისის ბირთვული პოტენციალი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები აშშ-ის მოკავშირეები არიან და ნატოში შედიან. საბჭოთა დელეგაცია დათანხმდა გადაეწყვიტა სადავო საკითხი, რომელიც ეხებოდა 1 000 კილომეტრზე ნაკლები სიშორის რაკეტებს და აქაც წავიდა დიდ დათ-

ჩობაზე, რათა გაეყინა მათი წარმოება და დაუყოვნებლივ შეღგომოდა მოლაპარაკებას მათი მომავალი ბედის შესახებ. საბჭოთა დელეგაცია დათანხმდა აგრეთვე მოლაპარაკების დაუყოვნებლივ გაგრძელებაზე საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ, რომ ევროპაში ამერიკული და საბჭოთა რაკეტების ლიკვიდაციის პირობით 100—100 ქობინი დატოვონ აზიაში საბჭოთა საშუალო რაკეტებზე, ამერიკელებმა კი ამდენივე თავიანთ ასეთსავე რაკეტებზე აშშ-ის ტერიტორიაზე.

მესამე საკითხი ეხებოდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით უვადო ხელშეკრულებას და ბირთვული გამოცდების აკრძალვას. იმ მიზნით, რომ გამორიცხულიყო ის, რაც ხელს შეუშლიდა სტაბილურობას და პარიტეტს და ახალი ტიპის იარაღის შექმნას, ორივე მხარეს უნდა ეკისრა ერთნაირი ვალდებულება უახლოესი ათი წლის განმავლობაში არ ესარგებლათ 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი უვადო ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლებით, ე. ი. აეკრძალათ კოსმოსური იარაღის შემუშავება, გამოცდები. ნებადართული დარჩებოდა მხოლოდ გამოკვლევები, ხოლო გამოცდები ჩატარდებოდა მხოლოდ ლაბორატორიის ფარგლებში. ამ ერთნაირ შეზღუდვას სსრ კავშირსა და აშშ-ში უნდა ემოქმედა ათი წლის მანძილზე, ე. ი. იმ პერიოდში, როცა მოისპობოდა საბჭოთა და ამერიკული ბირთვული იარაღი. ამერიკელები ათი წლის ნაცვლად ამ საქმისათვის შვიდ წელს მოითხოვდნენ. საბჭოთა დელეგაცია ათ წელს იმიტომ ამბობდა, რომ მიღწეული შეთანხმების შედეგად სტრატეგიული შეიარაღების 50% მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უნდა მოსპობილიყო, ხოლო 50% მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტი ბოლომდე დაჟინებით მოითხოვდა, რომ ამერიკას ჰქონოდა ყოველივე იმის გამოცდისა და გამოკვლევის უფლება, რაც შეეხებოდა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას (ე. ი. „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას), თანაც გამოცდები ეწარმოებინა არა მარტო ლაბორატორიებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მათ შორის კოსმოსშიც. მისი თქმით, „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა — ეს თავდაცვითი სისტემაა და იგი მზად არის სსრკ-ს გაუზიაროს ამ დარგში წარმოებულ სანუშაოთა შედეგები... რეიგანი რეიკიავიკში შეხვედრის შედეგების შესახებ ტელევიზიით გამოსვლისას ამართლებდა თავის პოზიციას „ვარ-

ს„ელავეთის ომების“ საკითხში. ამიტომაც განაცხადა: ეს პროგრამა იმისათვის გვჭირდება, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები დაცული იყვნენ საბჭოთა რაკეტული დარტყმისაგან.

ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხშიც ცხადი გახდა, რომ ამერიკის მხარეს არ უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება ამ თემაზე. თუ მას აღვკვეთავთ, შეიძლება მოვრიგდეთ ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შესახებ“. თუ საბჭოთა მხარე წავიდა ნამდვილად მასშტაბურ დათმობებზე, ამერიკის მხარემ არ გამოიჩინა უმცირესი სურვილიც კი ეპასუხა ამითვე. ამის გამო „წარმოიქმნა ჩიხი“. ბირთვული გამოცდების საკითხი იხილებოდა მეორე დღეს, მესამე საუბრის დროს და დაძაბულმა დისკუსიამ თითქმის რვა საათს გასტანა. და ისევ უშედეგოდ, სადილის შემდეგ შეკრებილი თათბირი მონაწილეების (უკვე მეოთხე საუბარზე, სულ კი სამი საუბარი იყო დაგეგმილი) მთელი ოთხსაათიანი დისკუსიაც უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან აშშ არ დათანხმდა შეეზღუდა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის მიხედვით კვლევა, სამუშაოები და გამოცდები ლაბორატორიების ფარგლებში.

რეიკიავიკში თათბირის მუშაობის ჩაშლის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ის, რომ ორივე დიდი ქვეყნის ხელმძღვანელობა მეტისმეტად არის დამოკიდებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებზე, რომელთაც გამალებული ბირთვული და სხვა შეიარაღება ბიზნესად, მოგების საშუალებად, თავიანთი არსებობის მიზნად და საქმიანობის აზრად აქციეს.

მეორე, კარგა ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა და მიაღწია კიდეც: ეკონომიკურად სული ამოეხადა საბჭოთა კავშირისათვის გამალებული უახლესი და ყველაზე ძვირად ღირებული კოსმოსური და სხვა სახის შეიარაღების მეოხებით. სურდა სხვადასხვა სიძნელე შეექმნა საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის, ჩაეფუშა მისი გეგმები, მათ შორის სოციალურ სფეროშიც. ეს ამოცანაც მიღწეულ იქნა. საერთაშორისო მიმომხილველებმა შემდეგნაირად შეაჯამეს დიალოგი რეიკიავიკში: ეს შეხვედრა დიდი მოვლენა იყო: მოხდა ვითარების ხელახალი შეფასება. შეიქმნა თვისებრივად სხვაგვარი სიტუაცია. უკვე ვერავინ ვერ იმოქმედებს ისე თვითნებურად, როგორც მანამდე მოქმედებდა. შეხვედრა საჯარგებლო იყო. მან მოამზადა წინსვლის, უკეთესობისაკენ რეალური სვლის შესაძლო ნაბიჯი. მაგრამ შეხვედრა რეიკიავიკში უშედეგოდ დამ-

თავრდა, ამ შეხვედრის დროს ორივე მხარის მიერ წამოყენებულმა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამამ მთელი მსოფლიო აამოძრავა, მან მრავალი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი აიძულა ახლებურად შეეხედა თანამედროვე პრობლემების გადაჭრის ამოცანებისათვის, მათი პერსპექტივებისათვის, ებრძოლა ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის, გამალებული შეიარაღების შეკავებისათვის.

ბირთვული განიარაღების წინადადებისათვის მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის მიერ მხარდაჭერამ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელობა აიძულა ფართო პროპაგანდისტული კამპანია გაეჩაღებინა საზოგადოებრიობის დამუშავებისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ვაშინგტონის მტკიცებით, რეიკიავიკში სსრ კავშირმა კი არა, აშშ-მ წამოაყენა კონსტრუქციული წინადადებანი მთლიან ბირთვულ განიარაღებაზე, იგი ყოველმხრივ ილტვოდა პასუხისმგებლობა მოლაპარაკების ჩაშლაზე, ს. ბჭოთა მხარისათვის გადაებრალებინა. ამასვე ამტკიცებდა საბჭოთა მხარეც.

საბჭოთა კავშირმა რეიკიავიკის პოზიტიური შედეგების განვითარების მიზნით 1986 წლის 6 ნოემბერს ჟენევის მოლაპარაკებაზე შეიტანა ურთიერთდაკავშირებული წინადადებების მთელი კომპლექსი ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების ყველა ასპექტზე. ამ წინადადებას უნდა გაეაქტიურებინა მოლაპარაკება ჟენევაში და ისინი კონკრეტულ შედეგებზე გადაეყვანა.

1987 წ. 15 იანვრისათვის ჟენევაში დანიშნული ახალი რაუნდის მოლაპარაკების წინწაწევის უზრუნველსაყოფად საბჭოთა მხარემ წინადადება წამოაყენა მოწყობილიყო სსრ კავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა-კონსულტაცია ბირთვულ-კოსმოსური შეიარაღების საკითხის განხილვისათვის.

ეს შეხვედრა ჟენევაში მოეწყო და მიმდინარეობდა 1986 წ. 2—5 დეკემბერს, რომლის დროსაც შეხვედრები და საუბრები ბევრი იყო, მაგრამ ისინი უშედეგოდ დასრულდა. თუ საბჭოთა მხარე ცდილობდა რეიკიავიკში წამოყენებული პრობლემის მოგვარებას ბირთვულსა და უპირველეს ყოვლისა კოსმოსური შეიარაღების საკითხებზე, ამერიკის პოზიციამ აქ ცხადყო, რომ ვაშინგტონი უარს ამბობს იმის განხილვაზე, რაც დაკავშირებული იყო ე. წ. „ვარსკვლავეთის ომის“ პროგრამასთან. სწორედ ეს პროგრამა იწ-

ვენადა ყველაზე დიდ შეშფოთებას საბჭოთა ხელმძღვანელობაში და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ამერიკისათვის მის განხორციელებაში.

აშშ-ს წარმომადგენელს ჟენევის სამუშაო შეხვედრაზე სურდა ცალკე გადაწყვეტილიყო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირება 50%-ით და ლიკვიდირებულიყო საბჭოთა და ამერიკული საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტები ევროპაში, რაც საბჭოთა მხარის აზრით აშშ-ს ცალმხრივ უპირატესობას ანიჭებდა. ჟენევის კონსულტაციებზე ისიც გამოირკვა, რომ აშშ ფაქტობრივად არ ცდილობდა ევროპაში არსებული საშუალო სიშორის რაკეტებზე ნამდვილი შეთანხმების მიღწევას და არჩევდა შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან 1 000 კმ-ზე ნაკლები რადიუსის რაკეტების შესახებ. რეიკიავიკშიც და ჟენევაშიც საბჭოთა მხარე მზად იყო ამ საკითხის განხილვისათვის საშუალო სიშორის რაკეტებზე შეთანხმების მიღწევას, რადგან სწორედ ევროპაში განლაგებული ბირთვული რაკეტების ეს სახეობა იწვევდა დიდ შეშფოთებას საბჭოთა კავშირში.

ჟენევის ამ შეხვედრაზე ამერიკის მხარე მოითხოვდა უფლებას, რომ თავისი საშუალო სიშორის რაკეტები ალიასკაზე განლაგებინა. საბჭოთა კავშირის წინადადებები კი იმას მოითხოვდა, რომ აზიაში არ განლაგებულიყო ისეთი ტიპის რაკეტები, რომელნიც ერთმანეთის ტერიტორიას მიაღწევდნენ. აშშ-ს ამ მოთხოვნის განხორციელება, პლუს, ამდროს მიღებული გადაწყვეტილება ამერიკის ბირთვული რაკეტა „ლენსის“ სამხრეთ კორეაში განლაგების შესახებ, — ბირთვული გამალებული შეიარაღების ახალ წყაროს ქმნიდა აზიის ამ რეგიონში.

ვაშინგტონს განსხვავებული პოზიცია ეკავა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების საკითხშიც. ამ ხელშეკრულების 10 წლის ვადით დაცვას აშშ უკავშირებდა 1996 წლისათვის ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო რაკეტების ლიკვიდაციის საკითხს. უფრო მეტიც, ვაშინგტონი უარყოფდა აღნიშნული ხელშეკრულების გავრცელებას „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაზე და მოითხოვდა უფლებას, რათა გამოცდები ლაბორატორიის ფარგლებიდან კოსმოსურ სივრცეში გადაეტანა. ამერიკის მხარე უარს ამბობდა იმაზეც, რომ დაეწყოთ მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების მთლიან აკრძალვაზე მტკიცე კონტროლის დამყარების შე-

უძლებლობის გამო. სამუშაო შეხვედრა ჟენევაში უშედეგოდ დასრულდა. მოლაპარაკება ბირთვულ-კოსმოსური შეიარაღების თაობაზე კვლავ ჩიხში პოექცა.

აშშ-ს ურთიერთობა კომუნისტური რეჟიმისა და სხვა ქვეყნების მიმართ

აშშ-მ ნკვეთრად უარყოფითი და აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა იარუზელსკის მთავრობის მიერ პოლონეთში 1981 წლის 13 დეკემბერს შემოღებული საბჭოთა წესების წინააღმდეგ. აშშ-მ და მასთან ერთად დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა სხვადასხვა სანქციები და დისკრიმინაციული ღონისძიებები განახორციელეს პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ამასთან აშშ-ს მთავრობის მითითებით დაიწყო ძირგამომთხრელი იდეოლოგიური პროგრამის ფართო მასშტაბებით პროპაგანდა „ჭეშმარიტების“ სახელწოდებით. 1982 წ. აშშ-მ ნოაწყო „კონფერენცია კომუნისტური ქვეყნების დემოკრატიზაციის საკითხებზე“. აშშ ფართო დახმარებას უწევდა მუჯახედებს, აწვდიდა იარაღს და უწევდა ყველა სახის სამხედრო დახმარებას ავღანეთის მარიონეტული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთივე დახმარებას ღებულობდნენ ნიკარაგუელი ოპოზიციონერები და სალვადორის მთავრობა კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რ. რეიგანის პრეზიდენტობის დროს გაძლიერდა ანგოლაში, ეთიოპიაში, მოზამბიკში, ვიეტნამში და კამბოჯაში მოქმედი მთავრობის საწინააღმდეგო ძალები.

ახლო აღმოსავლეთში აშშ მხარს უჭერდა ისრაელს არაბული სახელმწიფოების და უპირველეს ყოვლისა პალესტინელთა ტერორისტული მოძრაობის წინააღმდეგ.

აშშ-მ მხარი დაუჭირა დიდ ბრიტანეთს არგენტინასთან ომის დროს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკურ კურსს დასავლეთის სახელმწიფოები ბრმად კი არ მისდევდნენ. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა ამერიკისადმი მხარდაჭერაზე, როცა ამ უკანასკნელმა მოიგდომა ჩაეშალა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ ევროპის თანამშრომლობა სსრ კავშირიდან დასავლეთში გაზ-

სადენის გაყვანის პროექტის განხორციელებაში. აშშ-სა და განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობების გამწვავებას.

ექსპერტების შეფასებით ამერიკის მრეწველობა ინარჩუნებდა წამყვან მდგომარეობას ტექნოლოგიურ-მეცნიერული პროდუქციის ბაზარზე, მაგრამ ერთგვარ ჩამორჩენას იწყებს იაპონიისაგან რთული სამრეწველო რობოტების, ლითონდამმუშავებელი მოწყობილობების წარმოებაში, რომელნიც მართვის უახლესი კომპიუტერული სისტემით იყო აღჭურვილი, აგრეთვე რიგი ბიოტექნიკური მიღწევების პრაქტიკულ დანერგვაში. აშშ-ს საგარეო ვაჭრობის ოპერაციების განვითარებაზე განსაკუთრებით ძლიერ მოქმედებდა საზღვაგარეთიდან ისეთი მასობრივი მოხმარების საქონლის ინტენსიურად შემოტანა, როგორიცაა საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, ავტომანქანები, საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმლის ნაწარმი.

მას შემდეგ, რაც ჟენევაში უშედეგოდ დასრულდა მოლაპარაკება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების თაობაზე 1987 წლის დამდეგს პრეზიდენტმა ბრძანება გასცა დაეწყოთ ახალი სახეობის სტრატეგიული რაკეტების „მიჯიტმენის“ შექმნა. 500 ასეთი სახეობის რაკეტა უნდა განლაგებულიყო დასავლეთის შტატებში, რაც სპეციალისტების აზრით 40—50 მილიარდი დოლარი დაჯდებოდა. პენტაგონს გადაწყვეტილი ჰქონდა მიეღწია კონგრესის თანხმობისათვის 50 ემექსის ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმოებაზე და რკინიგზის პლატფორმებზე მათ განლაგებაზე. ფორსირებული სამუშაოები წარმოებდა ვარსკვლავეთის ომის პროგრამის ირგვლივაც.

მაგრამ მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი შეტევა 1987 წელსაც ახალი ძალით გაჩაღდა და ამ საქმეში მილიონობით ადამიანი ჩაება. ისლანდიაში დაწყებული დიალოგი განიარაღების ძირეულ პრობლემებზე კვლავ გრძელდებოდა.

ისტორიული ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ

1987 წლის 8 დეკემბერს ვაშინგტონში წარმატებით დამთავრდა მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის შეხვედრა. აქ ხელმოწერილია ხელშეკრულება ორი სახეობის ბირთვული იარაღის — საშუალო

და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა იმ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციას, რომელნიც განლაგებული იყო სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამერიკის ფრთოსანი და „პერშინგ-2“ რაკეტებისა, რომლებიც განლაგებული იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, ინგლისსა და ბელგიაში.

სსრ კავშირს უნდა მოეხდინა მთლიანად ორიენ კლასის 2 000-მდე რაკეტის, — როგორც გაშლილის, ასევე საწყობებში დაგროვებულის — ლიკვიდაცია, (ეს შეადგენს საბჭოთა ბირთვული არსენალის 10%) აშშ მოსპობდა 850-მდე რაკეტას. რაც შეეხება ბირთვულ ქობინებს, საბჭოთა კავშირში ისინი დაახლოებით 2 500 უნდა განადგურებულიყო, აშშ-ში კი — 1320.

ამერიკელ მეცნიერთა გამოანგარიშებით გასანადგურებელი რაკეტების სიძლიერის ეკვივალენტი უდრის „32100 — ჰიროსიმას“. მაგრამ ამ მოვლენის ისტორიული მნიშვნელობა ამით არ შემოიფარგლება .აღიარებულია, რომ 8 დეკემბერი გახდება თარიღი, რომელსაც ისტორიის სახელმძღვანელოში შეიტანენ. თარიღი, რომელიც ერთგვარი გასაყარი გახდება ბირთვული საშიშროების გაძლიერების ერიდან კაცობრიობის ცხოვრების დემილიტარიზაციის ერისაკენ.

საბჭოთა კავშირში და აშშ-ში სპეციალური ადგილების გამოიყო, სადაც მოახდინეს რაკეტებისა და მათი გაშვები მოწყობილობების ლიკვიდაცია. გათვალისწინებულ პროცედურებში ჩართული იყო ისეთი სახეობის ლიკვიდაცია, როგორიცაა ტროტილების მუხტების მოშლა, დამაგრების გზით რაკეტების დაწვა და ა. შ. გაშვები დანადგარების ან ლითონის ჯართად გადაქცევა, ან სხვა რამეში გამოყენება. საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო, ხოლო ნაკლები სიშორის რაკეტებისა — წელიწადნახევარში, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან.

რაკეტების ფიზიკურად მოსპობის პროცესს სამი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ ინსპექტორები. მომდევნო ათი წლის განმავლობაში თითოეულ მხარეს უფლება ექნება იმ სამხედრო ფირმებისა და საწარმოების ინსპექციის ჩატარებისა, რომელთაც შეუძლიათ ასეთი სახეობის იარაღის წარმოება. ხელშეკრუ-

ლებით გათვალისწინებულია მოულოდნელი ინსპექციის ჩატარება, რომლის შეტყობინება რამდენიმე საათით ადრე გამოცხადდება. პირველი სამი წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო ასეთი სახის ინსპექციის 20-ჯერ ჩატარება, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში — 15-ჯერ. შემდგომი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში — 10-ჯერ.

მართალია, აღნიშნული ხელშეკრულება სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის დაიდო, მაგრამ იგი ინტერნაციონალური ხასიათისაა, ვინაიდან ბირთვული იარაღი უნდა გაეტანათ 9 სახელმწიფოს ტერიტორიიდან. მიღწეული ხელშეკრულება აკმაყოფილებდა ყველას — საბჭოთა და ამერიკელ პარტნიორებსაც, სსრკ-ს მოკავშირეებსაც, და მსოფლიო საზოგადოებრიობასაც. ეს არის პირველი შეთანხმება, რომელმაც ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის მეშვეობით დაამტკიცა თანამედროვე მსოფლიოს ერთობა და განუყოფელობა. ამ შეთანხმებას მივყავართ რეალურ განიარაღებამდე და გზას გვიხსნის შემდგომი ნაბიჯებისაკენ განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის დარგში.

მაგრამ ორი საჰეობის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის არსებული შეადგენს მხოლოდ 3—4 პროცენტს. მსოფლიოში არსებული 60 ათასი სხვადასხვა კლასის ბირთვული ერთეულიდან მხოლოდ 3 ათასამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია მოხდა. ამიტომ მიღწეული შეთანხმება პირველი ნაბიჯია საყოველთაო ბირთვული განიარაღების პრობლემის გადასაჭრელად.

როგორც ჩანს, 90-იან წლებში დაძაბული მუშაობა იქნება საჭირო ყველა მწვავე პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის, აგრეთვე დასავლეთ ევროპასთან ნდობის ვითარების შექმნა. ამერიკაშიც და დასავლეთ ევროპაშიც არიან გავლენიანი პოლიტიკური წრეები, რომელნიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ განიარაღების პროცესისათვის, ქადაგებდნენ ვარშავის ხელშეკრულებისა ხელმწიფოების სამხედრო უპირატესობაზე ნატოს სახელმწიფოებთან შედარებით. დასავლეთში არიან ისეთებიც, რომელნიც არ არიან მზად რადიკალური განიარაღებისათვის და ებღაუჭებიან „ბირთვული შეკავების" კონცეფციას, ისეთებიც, რომელნიც საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ხელშეკრულების დადების შემდეგ ლაყბობენ „კომპენსაციური ღონისძიების" შესახებ.

ე. ი. მოითხოვენ ლიკვიდირებული რაკეტების ნაცვლად ბირთვული იარაღის მატარებელი თვითმფრინავებისა და ისეთი რაკეტების გაზრდას, რომლებზეც ხელშეკრულება არ იდება. განიარაღების დამუხრუჭების მომხრეები არიან აშშ-შიც, ღასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც.

რეაქციონერებს რუსეთში და აშშ-ში არაფრით არ უნდათ შეელიონ გუშინდელი, გამალებული ბირთვული შეიარაღების დოქტრინას და მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს შემდგომი განიარაღების გეგმებს. ამის შესახებ ლაყბობდა ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც ევროპაში გენერალი გელვინი, ამაზე ლაყბობდა გადადგომის წინ უაინბერგერიც. ამ მიმართულებით მოქმედებდნენ სხვა პოლიტიკური წრეებიც. მაგრამ, საბედნიეროდ, ისინი ვეღარ განაგებდნენ ამბების მსვლელობას. ახლა მთელ მსოფლიოში დაიწყო ბირთვული განიარაღების პროცესისათვის ფართო მხარდაჭერის მოძრაობა. აღნიშნული ხელშეკრულების დადებამ ფართო გამოხმაურება პოვა მთელს პლანეტაზე. ამ მოვლენას მიესალმნენ სახელმწიფოებისა და მთავრობების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. ამ ხელშეკრულებას მხარი დაუჭირეს ნატოს რიგმა ქვეყნებმა, მას მხარი დაუჭირა 1987 წლის ნოემბრის ბოლოს სპეციალურად შეკრებილმა ნატოს სესიამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ ბლოკის 15 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები და ელჩები.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ აშშ-შიც და დასავლეთ ევროპაშიც ჯერ კიდევ მთლიანად არ ენდობოდნენ საბჭოთა კავშირს და ხშირად დაობდნენ ვარშავის ხელშეკრულების საბჭოთა სამხედრო უპირატესობაზე ნატოს ქვეყნებთან შედარებით. პროპაგანდისტულად თვლიდნენ საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მრავალ მშვიდობიან წინადადებასა და ინიციატივას. ამრიგად, აღნიშნული ხელშეკრულების დადების შემდეგაც საერთაშორისო ცხოვრების საკითხად კვლავ რჩებოდა ის, თუ როგორ აიცილოს კაცობრიობამ საერთო განადგურების საშიშროება, ისწავლოს გადასაჭრელი გლობალური საკითხებისადმი ახლებური მიდგომა და შექმნას უბირთვო პლანეტა.

1988 წლის 29 მაისიდან 2 ივნისამდე მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის მე-40 პრეზიდენტი რონალდ რეიგანი.

რ. რეიგანის ვიზიტი მოსკოვში საგანგებო მნიშვნელობის მოვლენა იყო, ვინაიდან იგი ნიშნავდა ორი დიდი სახელმწიფოს ლიდერებს შორის დაწყებული დიალოგის გაგრძელებას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის წინსვლითი ურთიერთობის განვითარებას და უფრო უშიშარი მოფლიოს აგების შემდგომი ღონისძიებების დასახვას. ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება ხომ ნდობის უფრო მყარი ფუნდამენტის შექმნას მოითხოვს. ეს კი შეუძლებელია ერთმანეთთან თავისუფალი ურთიერთობის დამყარების, ურთიერთშეცნობის გარეშე, რაც საშუალებას იძლეოდა უნდობლობისა და ეჭვიანობის კედლის დანგრევაში.

ჩვენს საშიშ და ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში სსრ კავშირსა და ამერიკას შორის დიალოგი სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო იმ უდიდესი როლის გამო, რომელსაც ისინი ასრულებდნენ თანამედროვე მსოფლიოში. სწორედ ასეთ დიალოგებზე იყო დამყარებული შეშფოთებული მსოფლიოს იმედები ბირთვული საშიშროების თავიდან აცილების გზაზე წარმატებით წინ წაწევისათვის. მაშინ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა განსაზღვრავდა კაცობრიობის ცივილიზაციის, მშვიდობის ბედს, უდიდეს გავლენას ახდენდა მსოფლიო ამბების საერთო განვითარებაზე.

1988 წლამდე მ. ს. გორბაჩოვსა და რ. რეიგანს შორის დიალოგი დაიწყო ორიოდე წლის წინ მოსკოვში შეხვედრამდე. მანამდე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ სამჯერ, ხოლო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი და საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე 26-ჯერ. მ. გორბაჩოვსა და რ. რეიგანს შორის ისტორიულ დიალოგს, როგორც უკვე აღვნიშნეთ. საფუძველი ჩაეყარა ჟენევაში 1985 წლის შემოდგომაზე, სადაც ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო არენაზე მოქმედების პრინციპები განსაზღვრეს და აქვე აღიარეს, რომ „ბირთვული ომი არ უნდა გაჩაღდეს". ამ შეხვედრამ დასაბამი მისცა დიალოგის დასაწყისს. 1986 წ. ოქტომბერში რეიკიავიკში მოხდა ინტელექტუალური გარკვევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, რომელმაც გზა გაუხსნა უბირთვო მსოფლიოს ფანტასტიკურის მაგვარ პერსპექტივებს. რეიკიავიკის შეხვედრას დასავლეთში ბევრი დღესაც წარუმატებელ შეხვედრად მიიჩნევს. მაგრამ სწორედ მან შექმნა შესაძლებლობა 1987 წ. დეკემბერში ვაშინგტონში საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად.

დიალოგის დაწყების გზა თავიდანვე იოლი რიდი იყო. იგი წარიმართა „ცივი ომის“ პირობებში. საჭირო გახდა პოლიტიკური ჭიბრძნე, თავშეკავებულობა, მოქნილობა, რათა ემოციების აყოლისა და ნეგატივიზმის ტყვეობაში მოქცევის გარეშე ემუშავათ მომავლის იმედებით, გაესუფთავებინათ ზვავები და ისტორიული დანაშრეკები. რომელიც წარსულში ამ ორი დიდი ქვეყნის ურთიერთობაში ჩამოწვა. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ შეთანხმებულმა ახალმა პოლიტიკურმა აზროვნებამ იმის შეგნება გამოიწვია, რომ ბირთვული ომი უგუნურობად გამოცხადდა.

მოვლენების მსვლელობაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ სსრკ-მ უარი თქვა ეშმარიტების მონოპოლიური მფლობელობის პრეტენზიებზე, შეწყვიტა აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის ურთიერთდაპირისპირების თვალსაზრისით მზერა, მტკიცე უარი თქვა ულტიმატურ მოთხოვნებზე, სადავო საკითხებისადმი ისეთი მსოფლმხედველობით მიდგომაზე, როგორიც იყო თეზისი „ყველაფერი ან არაფერი“ და ავანსცენაზე წამოყენებულ იქნა საკაცობრიო ღირებულების საგარეო პოლიტიკა.

ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი ახლებურმა მიდგომამ აშშ-ს პრეზიდენტ რ. რეიგანის შეხედულებებზეც მოახდინა ცვლილებები იმ თვალსაზრისით, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა უნდა აიგოს მშვიდობიან საწყისებზე. მმართველი რესპუბლიკური პარტიის ეს ლიდერი პირველი ოთხი წლის განმავლობაში უარს ამბობდა საბჭოთა ოფიციალურ პირებთან შეხვედრაზე. სსრ კავშირს უწოდებდა „ბოროტების იმპერიას“, მოსკოვს კი „თანამედროვე მსოფლიოს ბოროტების ცენტრს“, ამიტომ მაშინ ცოტა ვინმე თუ დაიჯერებდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა ხელმძღვანელთან მისი ოთხი შეხვედრის მოწყობა, ე. ი. უფრო მეტის ვიდრე ამერიკის რომელიმე სხვა პრეზიდენტმა გააკეთა. მ. გორბაჩოვსა და რ. რეიგანს შორის წინა სამი შეხვედრიდან ყველაზე ნაყოფიერი იყო შეხვედრა ვაშინგტონში 1987 წ. დეკემბერში.

ვაშინგტონში ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიკაცია საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ გაჭიანურდა მთელ ექვს თვეს. ოცდახუთ მაისს რ. რეიგანი ვაშინგტონიდან ისე გაფრინდა ფინეთში, საიდანაც შემდეგ მოსკოვში უნდა ჩასულიყო, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული ამერიკის სენატის მიერ.

27 მაისს, ე. ი. ორი დღით ადრე რ. რეიგანის მოსკოვში ჩასვლამდე, აშშ-ს სენატში მოხდა იშვიათი რამ — აღნიშნული ხელშეკრულებისადმი ხმის მიცემის შედეგების გამოცხადებას ოვაციით შეხვდნენ სენატის დარბაზში მყოფი მაყურებლები, რომელთაც შემდეგ სენატორებიც შეუერთდნენ. 93 ხმით ხუთის წინააღმდეგ სენატმა დაადასტურა თავისი თანხმობა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. ხელშეკრულება მოსკოვში ჩამოიტანა თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა ჯ. ბეიკერმა. რატიფიცირებული სიგელების გაცვლის ცერემონიალში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ რესპუბლიკელთა ლიდერი სენატში რ. დოული და დემოკრატთა ლიდერი რ. ბერდი. 28 მაისს მოსკოვში, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთხმად დაამტკიცა ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ. პირველ ივნისს რატიფიცირებული სიგელები გაიცვალა, ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ვაშინგტონში სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის მიღწეული იყო შეთანხმება — ჟენევაში თავიანთი წარმომადგენლებისათვის, რომელნიც აწარმოებდნენ მოლაპარაკებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50%-ით შემცირებაზე, მიეცათ მითითება — დაეჩქარებინათ ამ ხელშეკრულების მომზადება მოსკოვში უმაღლეს დონეზე შეხვედრის დროს ხელმოსაწერად. სამწუხაროდ ასეთი ხელშეკრულების მომზადება ვერ მოესწრო[1].

მოხდა წინ წაწევა განიარაღების სხვა სფეროშიც.

სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ხელმოწერილ იქნა შემდეგი შეთანხმებები: კონტროლის ერთობლივი ექსპერიმენტების განხორციელების; საკონტინენტო ბალისტიკური რაკეტებისა და წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტების გაშვების წინასწარ შეტყობინების, 1988—1991 წლებში თანამშრომლობისა და გაცვლის, გაერთიანებული და რადიოსანავიგაციო სისტემების — „ჩაიკასა“ და „ლორენსის“ შექმნის, ზღვაზე ძებნისა და გადარჩენის, კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების ვადის გაგრძელების, სატრანსპორტო მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში თანამშრომლობის შესახებ.

[1] ასეთი ხელშეკრულება 1992 წლის დეკემბერში დაიდო რუსეთსა და აშშ-ს შორის.

1 ივნისს კრემლში შედგა დასკვნითი თათბირი მ. გორბაჩოვსა და რ. რეიგანს შორის, რომლის დროსაც დასრულდა ბანიარაღების პრობლემების საკითხების, რეგიონალური კონფლიქტების, ორმხრივი ურთიერთობის, ჰუმანიტარული საკითხების ფართო განხილვა და მოხდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგების შეჯამება.

უმაღლეს დონეზე შეხვედრია მეოთხე ოდენ პრეზიდენტმა ამერიკის საელჩოში მიიღო ე. წ. „დისიდენტები". ახვათაშორია ამ შეხვედრის პირდაპირი საგულდაგულო გადაცემა ამერიკის ტელემაყურებელთათვის მოაწყო ტელეკომპანია სი-ენ-ენმა. პრეზიდენტი შეხვდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, შემოქმედებით ინტელიგენციას. მ. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა შეხვედრის დასკვნით ნაწილში განაცხადეს მზადყოფნა, — ყველაფერი გაავრძელონ დიალოგი გადაუდებელი საკითხების განსახილველად. ის, რაც იმ დღეებში მოსკოვში ხდებოდა, — ეს დიდი პოლიტიკაა. ეგი ეხება მილიონ ადამიანთა ინტერესებს. ყოველი ასეთი შეხვედრა დიდი დარტყმა იყო „ცივი ომისათვის". ყოველი ასეთი შეხვედრა ბზარს ქმნიდა სიმაგრეში, ხსნიდა გასასვლელს თანამედროვე. ცივილიზებული მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა რ. რეიგანმა განაცხადა თუმცა ჩვენი საუბარი ხანდახან მწვავე ხასიათისა იყო, ჩვენ ახლა უკეთ ვუგებთ ერთმანეთს და ყოველ ჩვენგანს უკეთ ესმის მეორე ქვეყნისა. ჩვენ მივაღწიეთ პროგრესს ზოგიერთი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში; ზოგჯერ ეს პროგრესი ისტორიული მნიშვნელობისაა და, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩვენ ვივალდებულებთ, რომ ჩვენი ქვეყნები შემდგომშიც ითანამშრომლობენ ჩვენ თანახმა ვართ, რომ ჩვენს შორის ალარასოდეს არ უნდა დაისადგუროს დუმილმა.

მოსკოვის შეხვედრამ, მართლაც კვლავ ცხადყო, თუ რა მნიშვნელობისა იყო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიალოგი, ერთხელ კიდევ დაადასტურა. რომ სწორი იყო უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ქენენვაში არჩეული გზა. რეიკიავიკითა და ვაშინგტონით მივედით მოსკოვში. ეს უნიკალური პროცესია ომის შემდგომი პერიოდის ისტორიაში. ოთხიდან ყოველი შეხვედრა ძნელი იყო. მაგრამ ნაყოფიერიც ინტერესთა ბალანსე-

ბით, თითოეული ზრდიდა მეცადინეობას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის უდიდეს პრობლემათა გადაჭრის გზის ძიებისათვის.

აშშ-ს ურთიერთობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებთან

არ გამართლდა აშშ-ს იმედები ჩინეთის გამოყენებაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. პირიქით, იმის გამო, რომ რ. რეიგანის მთავრობამ არ შეუწყვიტა სამხედრო დახმარების გაწევა ტაივანს, გამოიწვია აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობის გამწვავება. 1984 წლის იანვარში ვაშინგტონში შედგა მოლაპარაკება რეიგანსა და ჩინეთის პრემიერ ჯაო ძიანთან, ხოლო იმავე წლის აპრილ-მაისში რ. რეიგანი იმყოფებოდა ჩინეთში, რომლის დროსაც ხაზი გაესვა ორივე მხარის თანხმობის სფეროებს ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში. მოლაპარაკების შედეგად პეკინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმდნენ სხვა ხელშეკრულების დადებაზეც, რომელიც გზას გაუხსნიდა ამერიკის მონოპოლიებს. ამერიკის მხარე მიესალმა ჩინეთის მზადყოფნას „ფართოდ გაუხსნან კარები დასავლეთს". განიხილეს საკითხები ჩინეთისათვის ამერიკული იარაღის მიწოდებაზე. 1985 წლის ივლის-აგვისტოში ვაშინგტონში ვიზიტით იყო ჩინეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა, რომლის დროსაც მიღწეულ იქნა რიგი შეთანხმებები, რომელთაც მნიშვნელოვანი იმპულსი მისცეს ამ ორი ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

აშშ აქტიურად ერეოდა რეგიონალურ კონფლიქტებში. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესი ცდილობდა შეეწყვიტა დახმარება ნიკარაგუელი ოპოზიციონერებისათვის, რ. რეიგანის მთავრობამ გამოძებნა სახსრები სამოსელებისათვის დასახმარებლად. გარდა ამისა პენტაგონი სისტემატურად აწყობდა ნიკარაგუას საზღვრებთან სამხედრო მანევრებს და ყოველმხრივ ცდილობდა მეომარი მხარეების შერიგებასა და მათ შორის სამართლიანი ზავის დადებას, გვატემალაში 1987 წლის აგვისტოში მიღწეული ხუთი ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. ეს ხუთი ქვეყანა, რომელმაც კონდატორის ჯგუფის სახელი მიიღო,

არის გვატემალა, მექსიკა, პანამა, კოლუმბია და ვენესუელა. მათ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, არჩევნების ჩატარებას საერთაშორისო კონტროლის საფუძველზე და ერთიანი ეროვნული მთავრობის შედგენას; ქვეყნის დემოკრატიზაციას და ა. შ.

აშშ მხარს უჭერდა ფინანსურად და აწვდიდა იარაღს სხვადასხვა ფორმირებებს, ე. წ. „თავისუფლებისათვის მებრძოლებს", რომელნიც ებრძოდნენ კომუნისტურ აგრესიას — ავღანეთში, ანგოლაში, კამბუჩიაში, ეთიოპიაში, მოზამბიკში. ამ რაიონებში კომუნისტური აგრესიის გამო იზრდებოდა დაძაბული ვითარება. აშშ-ს მმართველი წრეები ამ საქმეში ცდილობდნენ ჩაებათ თავისი პარტნიორები ნატოს დაჯგუფებიდან. ამ მიზანს ემსახურებოდა 1985 წ. მაისში მოწყობილი რ. რეიგანის მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში. ხშირად ეწყობოდა აგრეთვე „დიდი შვიდეულის" შეხვედრები (აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, იტალიის, იაპონიის და კანადის). ამ შეხვედრების დროს იხილავდნენ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ, საერთაშორისო ვალუტის პრობლემებს და მიმდინარე საერთაშორისო აქტუალურ საკითხებს.

აშშ-მ მტრული პოზიცია დაიკავა ლიბიის წინააღმდეგ, სადაც 1969 წ. 1 სექტემბრიდან სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაემხო მონარქია და დამყარდა მ. კადაფის სამხედრო-დიქტატორული რეჟიმი. ახალმა მთავრობამ ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე 1970 წელს მოახდინა აშშ-ის დიდი სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზების ლიკვიდაცია, უცხოელთა საკუთრების ნაწილობრივი ნაციონალიზაცია, მათ შორის ამერიკის ნავთობის კომპანიებისა. კადაფის ხროვამ მტრული პოზიცია დაიკავა აშშ-ის პოლიტიკისადმი პალესტინელთა საკითხში, სასტიკად დაგმო კემპ-დევიდის შეთანხმება. ლიბია ილაშქრებს ამერიკა-ისრაელის ალიანსის წინააღმდეგ, ებრძვის არაბული ნაციონალიზმის დამკვიდრებისათვის და ყოველმხრივ მხარს უჭერს პალესტინელთა ტერორისტული ბრძოლის ტაქტიკას და თავისი მიზნის მიღწევას საერთაშორისო ტერორიზმის გზით ცდილობს. მ. კადაფის ასეთი პოზიცია ალიზიანებს აშშ-ს მმართველ წრეებს, მ. კადაფი მოითხოვს ისრაელის სახელმწიფოს ლიკვიდაციას და ებრაელთა გასახლებას კაცკასიაში. ფაქტობრივად საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა რა კადაფის დიქტატორულ რე-

ეიმს, გამოდიოდა ამ რეჟიმის მიერ გაჩაღებული საერთაშორისო ტერორიზმის მომხრის როლში.

მ. კადაფის ასეთი პოლიტიკა მეოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების დიდ აღშფოთებას იწვევს და აღიზიანებს აშშ-ს მმართველ წრეებს. კადაფის დასამხობად აშშ-მ არაერთი შეთქმულება მოაწყო, 1981 წელს კი მან ლიბიას წაუყენა „საერთაშორისო ტერორიზმისათვის მხარდაჭერის" ბრალდება. ცოტა ხნის მერე აშშ-ს მე-6 ფლოტის ავიაციამ ჩამოაგდო ლიბიის ორი თვითმფრინავი. 1981 წ. ბოლოს ამერიკის პრესაში მთელი კამპანია გაჩაღდა იმის შესახებ, რომ აშშ-ში ჩავიდნენ ლიბიის ტერორისტები პრეზიდენტის მოსაკლავად. ამასთან დაკავშირებით რ. რეიგანმა გამოაცხადა ეკონომიკური სანქციები ლიბიის წინააღმდეგ და მოუწოდა ამერიკის ტექნიკურ სპეციალისტებს დაეტოვებინათ ლიბია. 1982 წლის მარტში მან ემბარგო შემოიღო ლიბიის ნავთობზე აშშ-ში და ამერიკის ნავთობის მოწყობილობის მიწოდებაზე ლიბიაში.

ამ სანქციების შედეგად საქმიანი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის მკვეთრად შეიკვეცა. თუ 1981 წელს ლიბიის ექსპორტი აშშ-ში 5,3 მლრდ დოლარს შეადგენდა, 1984 წლისათვის იგი 9 მილიონ დოლარამდე შემცირდა. ამავე პერიოდში აშშ-ის პროდუქციის ექსპორტი ლიბიაში სამჯერ შემცირდა. ამერიკა-ლიბიას შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში შექმნილი ვაკუუმი მაშინვე შეავსეს მისმა კონკურენტებმა — ინგლისის, იაპონიის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ფირმებმა.

ლიბიას აქეზებდა და დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური სამყარო.

1986 წ. 7 იანვარს პრეზიდენტმა რ. რეიგანმა პრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონში გამოაცხადა ლიბიის წინააღმდეგ ახალი ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა სანქციები. ამერიკელებს, რომლებიც ლიბიაში მუშაობდნენ, წინადადება ეძლეოდათ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ლიბია. გარდა ამისა, პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზე ყადაღა დაედო ლიბიის მთავრობისა და მისი სხვადასხვა უწყებების საკუთრებას, ფულად ანაბრებს და ლიბიის ცენტრალურ ბანკს აშშ-ში.

ანტილიბიური პოლიტიკის საბაბი გახდა 1985 წლის 27 დეკემბერს რომისა და ვენის აეროპორტებში მომხდარი ტერორისტული

აქციები რომლის დროსაც აფეთქდა ისრაელის ავიაკომპანიის „ელ-ლის“ კანტორები და დაიხოცა 19 კაცი, მათ შორის 5 ამერიკელი, 120 კაცზე მეტი კი დაიჭრა. ცხადია, რომ ასეთ ვანდალიზმს, ისე როგორც თვითმფრინავების გატაცებას, დიპლომატების მოტაცებას, ტურისტებზე, ჟურნალისტებზე, სპორტსმენებზე თავდასხმას არა აქვს არავითარი გამართლება და დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს. პრეზიდენტი რ. რეიგანი აღნიშნული აქციების პასუხისმგებლობას დასაბუთებულად აკისრებდა ლიბიას.

აშშ-ის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ანტილიბიურ ეკონომიკურ სანქციებში ჩაეთრია თავისი დასავლეთევროპელი პარტნიორები, მაგრამ ამ ცდებმა ვერ პოვა მხარდაჭერა. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა განაცხადა, რომ ეკონომიკური სანქციების გამოყენება საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად „ვერ ხერხდება“, რომ ყოვლად შეუძლებელია მთელი ევროპა აიძულო შეუერთდეს გამოცხადებულ სანქციებს. თითქმის ასეთივე შინაარსის განცხადებები გააკეთეს გფრ-ის კანცლერმა ჰ. კოლმა. ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა რ. ლუბერსმა, ავსტრიის, ესპანეთის, საბერძნეთის, თურქეთისა და შვეიცარიის მთავრობათა წარმომადგენლებმა, თუ ხელმძღვანელებმა.

აშშ-ის სამხედროებმა ლიბიის ტერიტორიულ წყლებში ჩააყენეს თავისი სამხედრო საზღვაო ფლოტი, რომელიც განლაგებულია იტალიაში, ინგლისში, ინდოეთის ოკეანეში. 23 იანვრისათვის ლიბიის ტერიტორიულ წყლებთან თავმოყრილი იყო 26 ამერიკული საბრძოლო ხომალდი, მათ შორის ორი ავიამზიდი — „კორალისი“ და „სარატოგა“. პირველზე 80 თვითმფრინავია, მათ შორის 20-ზე მეტი გამანადგურებელი ფ-18, მეორეზე კი — 90 საბრძოლო თვითმფრინავი, მათ შორის 20 გამანადგურებელი ფ-14. მათ დასახმარებლად აშშ-დან გაიგზავნა საბრძოლო თვითმფრინავების ჯგუფი, ხოლო ავიამზიდებს „ამერიკას“ და „აიოვას“, ამერიკის ნაპირებთან მდგომებს, მიეცათ ბრძანება მზად ყოფილიყვნენ ხმელთაშუა ზღვაში შესაძლო გადაადგილებისათვის. თავისი თვითმფრინავების მნიშვნელოვანი ჯგუფი ნატოს სიცილიის ბაზაზე გადაგზავნა ისრაელმაც. ამ უკანასკნელის მტრული მოქმედება ლიბიის მიმართ იმით აიხსნება, რომ მ. კადაფი გამოდის ისრაელის როგორც სახელმწიფოს ლიკვიდაციის მომხრედ და მოითხოვს იქ მცხოვრები ებრაელების კავკასიაში გადასახლებას. ვითარება განსაკუთრებით დაიძა-

ბა 1986 წლის იანვრის დასაწყისში. როცა აშშ-ის პრეზიდენტმა ლიბიის წინააღმდეგ სრულიად სამართლიანად გამოიყენა 1985 წ. დეკემბერში რომისა და ვენის აეროდრომებზე ლიბიის ტერორისტების მიერ მოწყობილი აფეთქებები. ამ დანაშაულში ამერიკის მთავრობამ ბრალი დასდო ლიბიას და შემოიღო ემბარგო მასთან ყოველგვარ ვაჭრობაში. ამის შემდეგ ვაშინგტონი უფრო აღვივებდა ანტილიბიურ კამპანიას, ხმელთაშუა ზღვაში გადაისროლა მსოფლიოს სხვა რაიონებიდან თავისი საჰხედრო-საზღვაო ძალები და ლიბიის ნაპირებთან აწყობდა ნსხვილმასშტაბიან მანეერებს. მე-6 ფლოტის ავიაცია გამუდმებით აწყობდა ფრენას. 24 და 25 მარტს ღამით ერთ-ერთი ასეთი ფრენის დროს იგი შეიჭრა სიდრას ყურეში ქალაქ სიტრასთან: ლიბიის სანაპირო ბატარეის მიერ ცეცხლის გახსნის საპასუხოდ, ამერიკის ავიაციამ ქალაქ სიტრის გარეუბნებს ცეცხლი დაუშინა. ამერიკის ჯარის საომარმა მოქმედებამ ლიბიის ნაპირებთან, რომელმაც ხმელთაშუა ზღვის მთელი რაიონი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საშიშროების წინაშე დააყენა, ანტიამერიკული ძალების დიდი შეშფოთება გამოიწვია. ამერიკის ავიაციის თავდასხმები დაგმეს არაბული ქვეყნების ლიგამ, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციამ, სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომელთაც ამერიკის ასეთი მოქმედება შეაფასეს როგორც ლიბიაზე ზეგავლენის მოხდენის და მისი დაშინების ცდები, რათა მას უარი ეთქვა ე. წ. „ანტიიმპერიალისტურ კურსზე“.

ლიბიაზე მორიგი თავდასხმის საბაბად იქცა შემდეგი ამბები: აპრილის დამდეგს ამერიკის ავიაციის ერთ-ერთ თვითმფრინავზე მოხდა აფეთქება, რომლის დროსაც რამდენიმე ათეული კაცი დაიღუპა და დაშავდა. შემდეგ ბომბი აფეთქეს დასავლეთ ბერლინის დისკოთეკის შენობაში, რომლის შედეგად ორი კაცი დაიღუპა და 230 დაშავდა. ორივე შემთხვევაში დაზარალებულთა შორის ამერიკელი მოქალაქეებიც აღმოჩნდნენ.

ორივე ტერორისტული აქტი ლიბიელი ტერორისტების მიერ იქნა ჩადენილი. 9 აპრილს რ. რეიგანმა ორივე ტერორისტულ აქტში დაადანაშაულა ლიბია. ამერიკის საჰხედრო ხომალდებმა მაშინვე თავი მოიყარეს ლიბიის სანაპიროებთან. 12 აპრილს რეიგანმა ევროპაში გაგზავნა თავისი სპეციალური წარმომადგენელი ე. უოლტერსი, რათა მას ლიბიის წინააღმდეგ აგრესიულ აქტებში ჩაეთრია ევროპის ნატოელი მოკავშირეები.

ვ. უოლტერსმა დასავლეთ ევროპელ მოკავშირეებს მოსთხოვა თანიანი ქვეყნებიდან ლიბიის წარმომადგენლების გაძევება. მისი ზეგავლენით საფრანგეთმა, დასავლეთ გერმანიამ, შემდეგ კი ინგლისმაც გააძევეს ლიბიის რამდენიმე დიპლომატი და სტუდენტი. ვ. უოლტერსს დავალებული ჰქონდა, რომ ლიბიის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ნატოელ მოკავშირეებთან ერთიანი ფრონტი შეექმნა, ვაშინგტონი საქმეში ეგვიპტის ჩაერევასაც ფიქრობდა, რათა მისი ჯარისკაცები გამოეყენებინა ლიბიაზე თავდასხმისათვის. მაგრამ, დასავლეთევროპელმა მოკავშირეებმა და ეგვიპტემ უარი თქვეს ამ საქმეში მონაწილეობაზე (პირადად მ. ტეტჩერის გარდა), ამასთანავე საფრანგეთმა და ესპანეთმა ნება არ დართეს თავიანთ ტერიტორიაზე გადაფრინათ ინგლისის აეროდრომებიდან წამოსულ ამერიკულ თვითმფრინავებს. ანიტომ ამერიკის ბაზიდან გადასროლილმა 18-ნა თვითმფრინავმა ინგლისიდან საფრანგეთზე და ესპანეთზე გავლით კი არ გადაფრეს გზა, არამედ გარშემო შემოუარა ევროპას კიბრალტარზე გავლით. ახალი მონაცემებით კი ამერიკის თვითმფრინავებმა დასავლეთიდან აღმოსავლეთით ბისკაის ყურესთან გადაკვეთეს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრები და 15 აპრილს ღამით პრეზიდენტ რ. რეიგანის პირადი ბრძანებით დაბომბეს ლიბიის ქალაქები ტრიპოლი და ბენღაზი. დაბომბვაში მონაწილეობდა აერთვე 15 გემბანის ბომბდამშენი და საზღვაო ფლოტი, „სამიზნეები" კი შეარჩიეს ამერიკელებმა თანამგზავრებმა. ამერიკელებმა დაბომბეს როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო, ობიექტები. კერძოდ, საცხოვრებელი კვარტალები, ბომბები და რაკეტები ჩამოაგდეს მ. კადაფის რეზიდენციაზე. რომლის შედეგად მისი ნამვილები ეოგონა დაიღუპა, ხოლო ცოლი და ორი ვაჟი დაიჭრა. დაზიანდა საფრანგეთის საელჩოს შენობა და იაპონიის ელჩის რეზიდენცია, საჰაერო თავდასხმა, რომელსაც უნდა მოესპო ლიბიის საელჩწიფოს ხელმძღვანელი — ჩაიშალა.

ლიბიის დაბომბვის მეორე დღეს ამერიკის ტელევიზიით მილიონობით აღელვებულ ამერიკელთა წინაშე გამოვიდნენ თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი, საჯარო წესრიგის მდივანი ჯ. შულცი და ბოლოს თვით პრეზიდენტი რ. რეიგანი. პრეზიდენტი და მისი უახლოესი მოადგილეები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა დარტყმები მიაყენეს „ტეროორისტების ბაზებს" თავდაცვის მიზნით. რ. რეიგანი იმოწმებდა გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის წესდების 52-ე მუხლს თითოეული სახელმწიფოს თავდაცვის უფლების შესახებ. ლიბიის მთავრობის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკამ ცივილიზებული სახელმწიფოების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ამერიკაში გაჩაღდა ისეთი სასტიკი ხასიათის შოვინისტური პროპაგანდა, რომ ისინიც კი, ვინც ადრე ბედავდა მთავრობის კრიტიკას, იძულებული გახდნენ შიყუჩებულიყვნენ.

სენატორთა და კონგრესმენთა დიდმა ჯგუფმა კი ლიბიაზე თავდასხმისთანავე კონგრესში შეიტანა კანონპროექტი. იგი მოითხოვდა პრეზიდენტისათვის ისეთი უფლების მინიჭებას, რომ მას შეეძლოს ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, კონგრესთან კონსულტაციისა და მისი შეტყობინების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ, სადამსჯელო აქციების განხორციელება, მათ შორის იმ ქვეყნისადმი სამხედრო დარტყმების მიყენება, რომელიც ტერორისტულ პოლიტიკას ატარებდა.

ლიბიის ამბებთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა 15 აპრილს მ. კადაფს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც მხარი დაუჭირა ლიბიას, გადაჭრით დაგმო აშშ-ის თავდასხმა ლიბიაზე და მკაცრად გააფრთხილა იგი ასეთი მოქმედების გამო მოსალოდნელი სერიოზული მძიმე შედეგების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ სოლიდარობა გამოუცხადა ლიბიელ ხალხს და დაადასტურა, რომ საბჭოთა მთავრობას კვლავაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულება ლიბიის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამრიგად, საბჭოთა მთავრობა გამოვიდა ლიბიის მთავრობის სახელმწიფო ტერორისტული პოლიტიკის მომხრედ.

განვითარებული ქვეყნების ნავთობით მომარაგების უზრუნველყოფისა და სპარსეთის ყურეში თავისუფალი ნაოსნობის დაცვის მიზნით ვაშინგტონმა, უფრო გვიან კი მისმა მოკავშირეებმა ნატოში, აქ თავი მოუყარეს დიდ სამხედრო ძალას. ამან მეტად საშიში სიტუაცია შექმნა ამ რეგიონში.

ომი ირანსა და ერაყს შორის გასცდა ორი ქვეყნის ფარგლებს. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება შეიქმნა სპარსეთის ყურეში, სადაც 1984 წლის გაზაფხულიდან ორივე ქვეყნის საჰაერო და საზღვაო ძალებმა დაიწყეს ე. წ. „ტანკერების ომი“. სპარსეთის ყუ-

რის ნეიტრალურ წყლებში იჭერა ნაღმების გროვამ და თავდასხმამ მესამე ქვეყნების იმ სავაჭრო გემებზე, რომელთაც ამ ზონიდან ნავთობი გაჰქონდათ.

ამერიკული ჟურნალის „არმდ ფორსიზ ჯორნელ ინტერნეიშნლის“ გამოანგარიშებით, 1984 წ. ერაყი თავს დაესხა 53 ტანკერს, ირანის ანგარიშზე იყო 18. 1985 წლის შესაბამისი ციფრები ასეთია: 33 და 14; 1986 წ. — 66 და 45; 1987 წელს — 62 და 62. გაიზარდა მეზღვაურთა მსხვერპლიც. თავისი უშიშროების მიზნით კუვეიტმა 1985 წლის ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ქვეყნებს მიმართა თხოვნით, — მონაწილეობა მიეღოთ სპარსეთის ყურეში ნაოსნობის უშიშროების დაცვაში. ამ თხოვნას პირველი საბჭოთა კავშირი გამოეხმაურა. საბჭოთა სამხედრო გემებმა ყურეში (აქ მათი რიცხვი სამიდან ხუთამდე იყო) დაიწყეს კუვეიტის მიერ დაქირავებული ნავთობით დატვირთული საბჭოთა სამი ტანკერის გაცილება. რამდენიმე ხნის შემდეგ აშშ-მ ამერიკის ალამზე რეგისტრაციაში ხელახლა გაატარა კუვეიტის 11 ტანკერი და იწყო მათი ექსპორტირება. 1988 წლის დასაწყისში სრუტეში და მასთან ახლოს აშშ-ს 29 საბრძოლო და 14 დამხმარე ხომალდი ჰყავდა. აქ მოქმედებდნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების გემები. კუვეიტმა აშშ-ს ალმის ქვეშ ჩააყენა თავისი ტანკერების ნახევარი. აშშ-მ შექმნილი ვითარება თავისი სამხედრო ყოფნის გაძლიერებისათვის გამოიყენა სპარსეთის ყურეში. აშშ-ს საზღვაო ძალებმა ამერიკის ალმით მარტო კუვეიტის გემების კი არა, სხვა ქვეყნის გემების გაცილებაც დაიწყეს. ამის საპასუხოდ ირანმა ბენდერაბასის ნავსადგურში ორაუზის სრუტესთან შეარიბა 100 სწრაფმავალი კატარღა, რომლებითაც თავს ესხმოდნენ ამერიკის გემებს. თავის მხრივ ამერიკელებმა შეტევა იწყეს ირანის ფლოტზე და ირანის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ობიექტებზე. ირანის მიერ სპარსეთის ყურეში ჩაწყობილ ნაღმებს წააწყდა და დაზიანდა ამერიკის გემი „სამუელ ბ. რობერტსი“. აშშ-მ ამის საპასუხოდ დაანგრია ირანის ნავთის პლატფორმები სირის და სასანის კუნძულების მახლობლად.

სსრკ ცდილობდა დასავლეთის ქვეყნებისათვის სიძნელეების შექმნას სპარსეთის ყურეში, ამიტომ ამერიკამ ამ რეგიონში თავის სამხედრო ძალებს იმიტომ მოუყარა თავი, რომ კიდევ ერთხელ მოეხდინა აშშ-ს სიძლიერის დემონსტრირება და ამით შეენარჩუნები-

ნა სპარსეთის ყურეში „დასავლეთის გავლენის სფერო“. ირანის საჰხედრო-საზღვაო ფლოტი მოქმედებდა რა სსრკ-ს წაქეზებით, არ შეუშინდა ამერიკის ძლიერ ფლოტს და შეება აშშ-ს, რის გამოც მან დაკარგა თავისი გემების დიდი ნაწილი. ამას მოჰყვა ნამდვილი საომარი ოპერაციები. 1987 წლის 22 ივლისიდან, როდესაც პენტაგონმა მკვეთრად გაზარდა აქ თავისი ძალები, 1988 წლის აპრილამდე აღირიცხა 155 შეტაკება, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1986—1987 წწ. ამრიგად, აშშ-სა და ირანს შორის სპარსეთის ყურეში ნამდვილი საომარი ოპერაციები გაჩაღდა. 1988 წლის აპრილში, ირანის სწრაფმავალი კატარღების მიერ ამერიკის ფლოტზე რიგი თავდასხმების შემდეგ, პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გასცა ბრძანება, რომ ამერიკის საჰხედრო ძალებს „მიეყენებინათ“ დარტყმები ირანის საჰხედრო ძალებისათვის სპარსეთის ყურეში. მაგრამ ამის შემდეგ ირანის თავდასხმები მესამე ქვეყნის გემებზე კიდევ უფრო გაიზარდა. ამავე დროს გამწვავდა მდგომარეობა ირან-ერაყის ფრონტზე. სისხლისმღვრელმა ომმა ირანსა და ერაყს შორის შეიწირა 1 მილიონი კაცი მოკლულთა სახით, ხოლო ორივე ქვეყნის მატერიალურმა ზარალმა 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. გარდა ამისა, 1987 წლამდე ერაყი ომისათვის ყოველწლიურად ხარჯავდა 10 მილიარდ დოლარს, ირანი კი — 9 მილიარდ დოლარს. ომმა ორივე ქვეყანა მნიშვნელოვნად გადაისროლა უკან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

1988 წელს ირანის ავიაკომპანიის აერობუსი 198 მგზავრით ამერიკის კრეისერმა „ვინსენესმა“ ჩამოაგდო რაკეტით, ყველა მგზავრი დაიღუპა, მათ შორის 52 ქალი, 66 ბავშვი. ირანელების გარდა მგზავრთა შორის იყვნენ: 8 ინდოელი, 8 პაკისტანელი, 6 იუგოსლაველი, 2 კუვეიტელი, იტალიელი და აღმანელი.

ამ საზარელმა აქტმა მთელი მსოფლიოს ხალხების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. პენტაგონის წარმომადგენლები ჯერ თავის მართლებას შეეცადნენ, მაგრამ შემდეგ აღიარეს, რომ ირანის აერობუსი კომერციული ავიახაზის კორიდორის ფარგლებში მიფრინავდა. უცხოეთის პრესის ორგანოები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ამერიკის საჰაერო თავდაცვის რაკეტული სისტემა „იდჟისი“, რომლითაც აღჭურვილია კრეისერი „ვინსენესი“, აერთიანებს კომპიუტერებით მართვის ზენიტურ რაკეტებს და რადარულ დანადგარებს, რომელთაც შეუძლიათ ერთდროულად ასობით სა-

მიზნეს ადევნონ თვალყური. როგორ შეიძლებოდა ასეთ რადარს უდიდესი, ნელა მოძრავი აერობუსი მიეღო პატარა სწრაფმავალ გამანადგურებლად?

მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ირანმა საჩივარი შეიტანა აშშ-ზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ საჩივრის განხილვა დაიწყო 14 ივლისს.

მომხდარ ამბებთან დაკავშირებით კემპ-დევიდიდან ვაშინგტონში სასწრაფოდ დაბრუნებულმა პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ამ ინციდენტს „აცობრიობის საშინელი ტრაგედია“ უწოდა. ამასთანავე, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ შეინარჩუნებს თავის სამხედრო-საზღვაო ძალებს სპარსეთის ყურეში. პრეზიდენტობის ორივე კანდიდატმა ჯ. ბუშმა და მ. დუკაკისმა ძირითადად მხარი დაუჭირეს ადმინისტრაციის პოზიციას ამ საკითხში. ვიცე-პრეზიდენტმა ბუშმა მთლიანად გაამართლა კრეისერ „ვინსენესის“ კაპიტნის მოქმედება და განაცხადა, რომ „მან ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა“. დუკაკისმა კი ირანს მოუწოდა, რომ მან უარი თქვას თავის მუქარაზე აშშ-სა და მისი დასავლეთის მოკავშირეების მიმართ. ამასთანავე, აშშ-ს ადმინისტრაციამ სამძიმარი გაუგზავნა დაღუპულთა ოჯახებს და მთავრობებს.

ირანის აერობუსის დაღუპვა პირდაპირი შედეგია ირან-ერაყის გაჭიანურებული ომისა სპარსეთის ყურეში, ვინაიდან იგი მუდმივი საშიშროების ქვეშ აყენებდა აქ გამავალ საერთაშორისო საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციებს.

ამ მწვავე კონფლიქტის მოგვარება იკისრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. 1988 წლის 20 აგვისტოს ძალაში შევიდა ირან-ერაყის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტა. მოხდა მოვლენა, რომელიც გზას უხსნიდა ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომის დამთავრებას. შეიქმნა იმის პირობა, რომ შუაღმოსავლეთის რაიონში მშვიდობა და სტაბილურობა ღამყარდებოდა.

ცენტრალურ ამერიკაში ნიკარაგუას წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის გამო ისედაც დაძაბული ვითარება იყო. ახლა კი ამას დაემატა ამბები, რომელიც 1982 წლის 25—26 დეკემბერვალს მოხდა პანამაში, ნარკოტიკებით მოვაჭრე სარდლის ნორიეგას გადაყენების მიზნით. ნორიეგას მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი.

პანამელი ხალხის შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აშშ მხოლოდ 1964 წელს დათანხმდა მოლაპარაკებაზე პანამის არ-

ხის ზონის სტატუსის შეცვლის შესახებ. 1977 წლის 7 სექტემბერს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა და პანამის პრეზიდენტმა ო. ტორიჰოსმა ხელი მოაწერეს ორ ხელშეკრულებას. ამით 1963 წლის ხელშეკრულება უქმდებოდა და 1979 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ორივე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ რატიფიცირებული ახალი ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც აშშ-მ სცნო პანამის სუვერენიტეტი პანამის არხზე.

გარდამავალ პერიოდში იქმნება სპეციალური კომისია პანამის არხის გამგებლობისა, რომელსაც კონტროლს უწევს საბჭო. იგი 9 წევრისაგან შედგება, პირველ ათწლეულში საბჭოს 5 წევრი აშშ-ს მოქალაქენი არიან, 4 კი პანამისა; მეორე ათწლეულში კი შეფარდება პირიქითაა. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ აშშ-ს უწყებანი და არხის ზონის ადმინისტრაცია შეწყვეტენ თავის მოქმედებას პანამის ტერიტორიაზე. პანამის არხის ზონაში ამერიკის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი 10 ათასს აღწევს, მაგრამ ხელშეკრულების თანახმად 2000 წელს ამერიკის ყველა ჯარისკაცმა უნდა დატოვოს ეს ქვეყანა.

70-იან წლებში, ამერიკის კონტინენტზე სსრკ-ის ძირგამომთხრელი საქმიანობის გაძლიერების ვითარებაში, პანამის არხის საჭაპიროებზე არსებულ ამერიკულ ბაზებს პენტაგონის სტრატეგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ეს 1977 წლის აღნიშნული ხელშეკრულების დადების მომენტში იყო. ამიტომ პენტაგონი ცდილობდა გადაესინჯა 1977 წლის ხელშეკრულება, გაეგრძელებინა ამერიკელი ჯარისკაცების ყოფნის ვადა არხის ზონაში და შეენარჩუნებინა აქ ბაზები.

1981 წელს გენერალი ტორიჰოსი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ერიკე არტურო დელკადიეს (1985 წლის სექტემბრიდან) პრეზიდენტობის დაწყებიდან, მემარჯვენე ძალების ზეგავლენით, ქვეყნის შიგნით და საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით, იწყება დამოუკიდებელი, ანტიიმპერიალისტური კურსიდან გადახვევა. ქვეყნის მემარჯვენე ძალები მოითხოვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დათმობაზე წასვლას, ვინაიდან თვლიდნენ, რომ მხოლოდ აშშ-ს დახმარებითაა შესაძლებელი პანამის მძიმე ეკონომიკური სიძნელეებიდან გამოყვანა. აშშ დახმარების სანაცვლოდ მოითხოვდა პანამის უმაღლესი მთავარსარდლის ნორიეგას თანამდებობიდან გადაყენებას. ნორიეგას კი მხარს უჭერდნენ კორუმპირებული, მა-

ფიოზური მაღალი რანგის ოფიცრები, რომელნიც დემაგოგიურად მოითხოვდნენ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას და ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებას. არადა, პანამის მაფიოზური ძალების ფაქტიური ლიდერის — გენერალ მანუელ ანტონიო ნორიეგას ხელში იყო ქვეყნის გამგებლობის სადავეები. იგი დემაგოგიურად თავის თავს ამერიკა-პანამის ხელშეკრულების განუხრელი დაცვის მომხრედ აცხადებდა და მოითხოვდა 2 000 წლისათვის პანამის არხის გადაცემას პანამისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ეროვნული ტერიტორიიდან თავისი ჯარის გაყვანას.

პანამა აქტიურად მონაწილეობდა კონტადორის ჯგუფში. ყველაფერი ეს არ მოსწონდა ვაშინგტონს, რომელიც ყველანაირად ცდილობდა შეეცვალა სიტუაცია. პრეზიდენტ დელვალიეს მეშვეობით, ამ გენერლის თავიდან მოცილების მიზნით ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე, რეიგანის ადმინისტრაციამ პანამას შეუწყვიტა ეკონომიკური და სამხედრო დახმარება. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მაფიოზურმა ძალებმა არ დაუშვეს ნორიეგას გადაყენება. მათი ზეგავლენით 26 თებერვალს საკანონმდებლო ასამბლეას ათი წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ ხმა მიეცა ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტის დელვალიეს და ვიცე-პრეზიდენტ ესკიველას გადაყენებისათვის. 70 წლის მანუელ სოლის პალმას, რომელსაც მანამდე განათლების მინისტრის თანამდებობა ეკავა, საკანონმდებლო ასამბლეის გადაწყვეტილებით დაეკავა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება მორიგ არჩევნებამდე. რომელიც 1989 წელს უნდა ჩატარებულიყო.

პალმამ განაცხადა, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკაში დაუბრუნდება ომარ ტორიჰოსის მიერ გამოცხადებულ პრინციპებს. „ჩვენ დაუცხრომლად ვიბრძოლებთ ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, და ჩვენი ქვეყნის გადარჩენის მიზნით მზად ვართ ყოველი ზომა მივიღოთ, მივმართოთ დახმარებისათვის ნებისმიერ სახელმწიფოს“ — განაცხადა პალმამ. ამის საპასუხოდ პრეზიდენტმა რეიგანმა აღნიშნა, რომ აშშ არ ფიქრობს პანამის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას. პრეზიდენტის თანაშემწემ კი დასძინა: ჩვენ არ ვაპირებთ ამ ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას დიქტატორის (მ. ნორიეგას) დასამხობად. ამის შემდეგ რეიგანის ადმინისტრაციამ მიმართა ზეგავლენის სხვა ლო-

ნისძიებებს. სახელმწიფო დეპარტამენტმა დემონსტრაციულად განაცხადა, რომ ვაშინგტონი პანამის კანონიერ პრეზიდენტად ცნობს მხოლოდ კონსტიტუციის საფუძველზე არჩეულ დელვალიეს. ეს უკანასკნელი პანამის ტერიტორიაზე იმალებოდა და აცხადებდა, რომ იგი უარს არ ამბობს თავის კანონიერებაზე არჩეულ ხელისუფლებაში. დელვალიემ იატაკქვეშ შექმნა ე. წ. „ეროვნული შერიგების მთავრობა". ვაშინგტონი მას იმ იმედით უჭერდა მხარს, რომ ამას შეიძლება გამოეწვია დელვალიეს მომხრეების აჯანყება გენერალ ნორიეგას წინააღმდეგ. ასეთი აჯანყებაც ამერიკის მომხრე ოფიცრებისა მართლაც მოხდა (მარტში). მაგრამ იგი ჩაახშეს. ნორიეგა ქვეყნის მაფიოზური ძალების მხარდაჭერით სარგებლობდა. რეიგანმა კონგრესს შესთავაზა პანამა იმ სახელმწიფოთა სიაში შეეტანათ, რომელთაც ამერიკის დახმარების იმედი არ ექნებოდათ. აშშ-ს მომავალ არჩევნებში პრეზიდენტობის რეალურმა კანდიდატმა, ვიცე-პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: შეერთებული შტატები უფლებას იტოვებს ყველა ღონე იხმაროს, რომელსაც აუცილებლად ჩათვლის, მათ შორის ძალის გამოყენებაც კი, რათა უზრუნველყოს ამერიკის ინტერესების ხელშეუხებლობა მსოფლიოს ამ ნაწილში. მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, როცა 1989 წ. არჩევნებში ნორიეგა დამარცხდა, მაგრამ მან უარი თქვა არჩევნების შედეგების ცნობაზე და გადადგომაზე. არხის ზონაში მყოფი ამერიკის ათიათასიანი გარნიზონი მოყვანილ იქნა მაღალ მზადყოფნაში. აშშ-მ თავისი შეიარაღებული ძალების მანევრები მოაწყო პანამის ტერიტორიულ წყლებთან და აშკარად დაემუქრა თავისი ჯარების გადასხმით პანამის ტერიტორიაზე. ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური სანქციების და აგრეთვე მრავალრიცხოვანი გამოსვლების შემდეგ თვით პანამაში დიქტატორ ნორიეგას წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებდნენ ნარკოტიკებით ვაჭრობაშიც, ამერიკამ გადასხა თავისი ჯარები პანამაში, დაატყვევა ნორიეგა და წაუყენა მას ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდება. მაგრამ მისი გასამართლება გაჭიანურდა. და ბოლოს ნორიეგა გაასამართლეს და მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს.

მთელი ეს უკანასკნელი ათი წელია, რაც აშშ ამაოდ ცდილობს შეაჩეროს იაპონიისა და დასავლეთ ევროპის ექსპორტის ზრდა ამერიკის ბაზარზე და ერთდროულად შეამციროს აღნიშნული ქვეყ-

ნების ბაჟები აშშ-ის საქონლის მიმართ. აშშ-ს 1986 წლისათვის 150 მილიარდი დოლარის საგაჭრო დეფიციტი ჰქონდა. მარტო იაპონიასთან ეს დეფიციტი 50 მილიარდ დოლარს აღწევდა. საქმე იმაშია, რომ იაპონიის საქონელი ხარისხობრივად უფრო მაღალია ამერიკის საქონელთან შედარებით. იაპონიის საქონლის ხარისხობრივი უპირატესობა იმით აიხსნება, რომ, მაგალითად, 1981 წელს იაპონიამ თავის საწარმოებში ახალი დანადგარების დასაყენებლად დაზარჯა მთელი ეროვნული პროდუქტის 10 პროცენტი, აშშ-მა კი მხოლოდ 3 პროცენტი. ამერიკის მთავრობა ხშირად მიმართავდა მკაცრ პროტექციონურ ღონისძიებებს და უხეშ ზეგავლენას თავის საგაჭრო პარტნიორებზე, უპირველეს ყოვლისა, იაპონიასა და საერთო ბაზრის ქვეყნებზე და მოითხოვდა, რათა მათ ნებაყოფლობით შეეზღუდათ თავისი ექსპორტი. მარტო 1983 წელს ამერიკის კონგრესში 20-ზდე სხვადასხვა კანონპროექტი იყო შეტანილი. რომელნიც ითვალისწინებდნენ იაპონიის საქონლის შეტანის შეზღუდვას აშშ-ში. აშშ-სა და დასავლეთ ქვეყნებს შორის ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს, რომელთა შორის აღსანიშნავია „ფოლადის ომი" (1983 წ.), როდესაც აშშ-ში შემოღებულ იქნა დამატებითი ბაჟები დასავლეთ ევროპის ფოლადზე 4 წლის ვადით. 1984 წლის ნოემბერში აშშ-მ შემზღუდავი საიმპორტო კვოტა შემოიღო „საერთო ბაზრის" ფოლადის მილებზე. დიდ ეკონომიკურ წინააღმდეგობებს ჰქონდა ადგილი 70—80-იან წლებში აშშ-სა და იაპონიის შორის. მაგრამ ეს არ უშლიდა მათ სულ უფრო ინტენსიური გაეხადათ თავისი სამხედრო თანამშრომლობა. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აშშ-სა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის „საგაჭრო ომი" სხვადასხვა პროდუქტების შეტანის წინააღმდეგ აშშ-ში — ე. წ. „ხილის", „მაკარონის", „ღვინის", „ქათმის", „ხორბლის" გაუთავებელი საგაჭრო ომი. 1986 წლის 31 დეკემბერს ამერიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1987 წლის იანვრის ბოლოდან საბაჟო გადასახადების 200 პროცენტით გაზრდის შესახებ დასავლეთ ევროპიდან შესატან სოფლის მეურნეობის ისეთ პროდუქტებზე, როგორიც არის: ყველი, ზეთისხილი, ჯინი (ინგლისური არაყი), სტაფილო, ღვინო, კონიაკი და ა. შ. ამ აქციით რეიგანის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ევროპული საქონელი ამერიკის ბაზარზე ფასების გაზრდის გამო კონკურენციის უნარს დაკარგავდა.

1987 წლის იანვრის დასაწყისში ვაშინგტონმა გააუქმა „უბაჟო

სტატუსი“ ერთბაშად ევროპის, აზიის და ლათინური ამერიკის რვა ქვეყნისათვის, რომლის შედეგი იყო მათი საქონლის აშშ-ში შეტანის შემცირება 3 მილიარდი დოლარით. გარდა ამისა, აშშ-მ 1987 წლის იანვრიდან 41 პროცენტით შეამცირა შაქრის შეტანა 40 ქვეყნიდან, რომელნიც რიო-გრანდის სამხრეთით მდებარეობენ, აგრეთვე ფილიპინებიდან. ეს, უპირველეს ყოვლისა, ლათინური ამერიკის ქვეყნებს ეხება, რომელთაც თავიანთი შაქარი აშშ-ში შეაქვთ. აღსანიშნავია, რომ აშშ-მ 1981 წელს 5 მილიონი ტონა შაქარი შეისყიდა, 1986 წელს კი მხოლოდ 1 მილიონი ტონა. ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში შეამცირებს აღნიშნული ქვეყნების იმპორტს სხვა საქონელზეც, ხოლო შაქრის იმპორტს საერთოდ მოსპობს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შაქრის წარმოების განვითარებას ლათინურ ამერიკაში სწორედ აშშ უწყობდა ხელს და ეს ქვეყნები გადააქცია თავის იაფი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიმწოდებელ ქვეყნებად, აშშ-ში ამ ქვეყნების პროდუქტის შეტანის შემცირება მათთვის კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. ისიც აღსანიშნავია, რომ კუბის რევოლუციის შემდეგ ვაშინგტონმა შაქრის შეტანის საკითხი პოლიტიკურ მათრახად აქცია ურჩი ქვეყნების დასათრგუნად. 1960 წელს ვაშინგტონმა მთლიანად შეწყვიტა შაქრის შესყიდვა კუბაში, 1985 წელს კი ნიკარაგუაში.

1987 წლის 29 იანვარს „საერთო ბაზრის“ ქვეყნები იძულებულნი გახდნენ მიეღოთ ვაშინგტონის მიერ მათთვის წაყენებული ულტიმატუმი 200 პროცენტით ბაჟების გაზრდაზე ვაშინგტონში შესატან ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, თუ ისინი ხელს შეუშლიან ამერიკული მარცვლეულის შეტანაზე განსაკუთრებით ესპანეთსა და პორტუგალიაში. ამ დათმობის შედეგი ისაა, რომ აშშ-მ უფლება მიიღო ოთხი წლის განმავლობაში შეღავათიანი ტარიფებით გაყიდოს თავისი 2,3 მილიონი ტონა სიმინდი და სხვა სახის მარცვლეული. გარდა ამისა, შეამცირებენ ტარიფებს ამერიკის ზოგიერთ სამრეწველო საქონელზეც. ამერიკის მიმართ ასეთ მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლა მოითხოვა საფრანგეთმა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ზარალდებოდა ამერიკული სანქციებით — კერძოდ, მასზე მოდიოდა მთელი „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ზარალის 47%, გფრ-ზე კი მხოლოდ 3%.

ამ კომპრომისით მოგებული რჩებიან დასავლეთ ევროპის კონფედერაციის, თეთრი ლეონისა და ყველის მწარმოებლები, ხოლო მარცვლეულის, პირველ რიგში კი სიმინდის მწარმოებელი გლეხები ევროპაში ყველაზე მკაცრად დაზარალდებიან. მაგრამ ეს კომპრომისი ვაშინგტონსა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის დროებითი იყო, ვინაიდან იგი ვერ წყვეტდა იმ პრობლემებს, რომელნიც მათ შორის საგაჭრო ურთიერთობაში არსებობდა. ამიტომ საგაჭრო ომის აჩრდილი მათ შორის კვლავ დაძრწის.

პრეზიდენტ ჯ. ბუშის პირველი ნაბიჯები. „ცივი ომის" დასასრული

ჯ. ბუშის ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ, 8 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთგვარმა პაუზამ დაისადგურა აშშ-სა და სსრკ შორის დიალოგში.

პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, როგორც წესი, თითქმის ერთი წლის განმავლობაში საერთაშორისო არენაზე სიწყნარე დგება. ბევრი საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტა, მათ შორის ძალზე აქტუალურისაც კი, გადაიდება მანამ, სანამ ახალი ადმინისტრაცია არჩევნების შემდეგ ანალიზს ახდენს.

ახალი პრეზიდენტის აუჩქარებლობა. რ. რეიგანის მეორე პრეზიდენტობის დროინდელ აშშ-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის სწრაფად გაუმჯობესებასთან შედარებით. ბევრმა მიიჩნია ახალი ადმინისტრაციის გაუბედავობად. მაგრამ ამ ე. წ. პაუზის დროსაც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ინტენსიური კონტაქტები არ შეწყვეტილა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯ. ბეიკერი და ე. შევარდნაძე ერთმანეთს ხუთჯერ შეხვდნენ. ე. შევარდნაძემ ჯ. ბეიკერთან შეხვედრის შემდეგ ვაიომინგში გამართულ პრეს-კონფერენციაზე (1989 წლის სექტემბრის ბოლოს) ეს ე. წ. პაუზა აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობაში დაახასიათა, როგორც პერიოდი ურთიერთადაპტაციისა, შესაძლებლისა და მიღწეულის ფორმირების წარმოდგენისა.

აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობაში ცვლილებების თავისებურების ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ვაშინგტონი

ბხარს უპერდა გარდაქმნის პოლიტიკას საბჭოთა კავშირში და პირდაპირ დამოკიდებულებაში აყენებდა მას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასთან. გამორიცხული არაა, რომ ადრე ასეთ ურთიერთკავშირებს სსრკ აღშფოთებით შეხვდებოდა. ახლა კი საბჭოთა მხარემ ეს ჩვეულებრივ ამბად მიიჩნია, რადგან ჩათვალა, რომ ყველა ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში ცხოვრობს და ამის უფლება აქვს. ფაქტი ფაქტად რჩება, ვაშინგტონი არ იყო დაინტერესებული სსრ კავშირში ვითარების დესტაბილიზაციით. ადრე სსრკ-ში თვლიდნენ, რომ მარტო საბჭოთა კავშირს ემუქრებოდნენ, ხოლო საბჭოთა სამხედრო სიძლიერე არავის არ უქმნიდა საფრთხეს. 70-იან წლებში დასავლეთს საფუძველი ჰქონდა დაენახა საბჭოთა კავშირის მოქმედებაში მათი უშიშროებისათვის საფრთხე. საბჭოთა კავშირში დემოკრატიის განვითარება, ამ საქმეში გადადგმული რეალური ნაბიჯები, ბუნებრივია, გამორიცხავდა მნიშვნელოვანი ერთპიროვნული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, როგორიც იყო, ვთქვათ, საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში. პრეზიდენტ ჯ. ბუშის ადმინისტრაციამ სურვილი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მშვიდობიანი ურთიერთობა ხანგრძლივვადიანი იყოს. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მკვეთრად შემობრუნება სამხედრო საშიშროების შესუსტებისაკენ აშშ-ს მმართველმა წრეებმა დადებითად აღიქვეს. ძირითადად დასრულდა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, დაიწყო მოლაპარაკება შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის ევროპაში. წარმატებით ხორციელდებოდა პოლიტიკა უმაღლესი თანამდებობის სამხედრო პირებს შორის ურთიერთობისათვის.

1989 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო უმაღლეს დონეზე შეხვედრა მ. გორბაჩოვსა და ჯ. ბუშს შორის, რომელიც 2—3 დეკემბერს მალტის სანაპიროებთან შედგა. უცხოეთში სამართლიანად მიაჩნდათ იგი „ცივი ომის“ ეპოქის დასასრულად და იმის მონაპოვრად, რომ ჩვენს პლანეტაზე დაიწყოს მშვიდობიანი განვითარების ხანგრძლივი პერიოდი, მართლაც, მალტის სანაპიროზე ორივე ზესახელმწიფოს ხელმძღვანელები შეხვდნენ არა როგორც მეტოქეები, არამედ როგორც პარტნიორები. არც ერთი ლიდერი არ ცდილობდა მეორე მხარის საზიანოდ მიეღწია თავისი წარმატებებისათ-

ვის. სწორედ ამიტომ შეხვედრის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჯ. ბუშმა განაცხადა, რომ „ცივი ომი“ მთავრდება, მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრი ბირთვული იარაღია, რომელთაგან განთავისუფლება აუცილებელია, რათა ნამდვილი, მშვიდობიანი პირობები შეიქმნას.

ხუთი დარგიდან, რომელთა ირგვლივ ინტენსიური დიალოგი არის გამართული აშშ-სა და სსრ კავშირს შორის, ესაა — შეიარაღებაზე კონტროლი, რეგიონალური კონფლიქტები, ადამიანთა უფლებები, ორმხრივი თანამშრომლობა და გლობალური საკითხები (ვარემოს დაცვა, ტერორიზმთან, ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლა), თითოეულის გადაწყვეტა არა მარტო ამ ორი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

1989 წელს მთელ მსოფლიოში თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა სასიკეთო ცვლილებები. კონფრონტაციის ადგილს ბევრ „ცხელ წერტილში“ იკავებდა კონსტრუქციული დიალოგი: გამოყვანილია საბჭოთა ჯარები ავღანეთიდან; თავისი ჯარები გაიყვანა ვიეტნამმა კამბოჯიდან, სადაც შემდეგ მოლაპარაკება მიმდინარეობდა საერთო ეროვნული საკითხების გადასაჭრელად; შეწყდა საომარი მოქმედება ირანსა და ერაყს შორის; წარმატებით დასრულდა ნამიბიის პრობლემა, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით და კონტროლით შედგა თავისუფალი და კეთილსინდისიერი არჩევნები საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნების შესაბამისად. ნამიბიის ისტორიაში პირველად ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციამ (სვაპომ), რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების 57 პროცენტი.

1989 წ. ძირეული ცვლილებები მოხდა პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, სადაც სრული კრახი განიცადა სტალინურ-ბრეჟნევული ვარიანტის სოციალიზმმა. ამ სახელმწიფოების მთავრობისა და პარტიების შეცდომებმა გამოიწვია მმართველი პარტიების ავტორიტეტის დაცემა. ბერლინის კედელი — გერმანიის და ევროპის გათიშვის სიმბოლო დაანგრიეს. მისი ნანგრევები სუვენირების სახით გაყიდეს დასავლეთის დედაქალაქებში, მათ შორის ვაშინგტონ-

ში 15—20 დოლარად. ამ კედელთან ერთად დაიმსხვრა უნდობლობის, დოგმატიზმისა და ძველი გადმონაშთების რწმენა. გდრ-ში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობა. ბევრს დასავლეთში, მათ შორის გფრ-ში მიაჩნდა. რომ გდრ-ში მომხდარი ამბების საბოლოო შედეგი იქნება გერმანიის გაერთიანება. და როგორც უკვე ცნობილია ასეც მოხდა — გერმანია 1990 წლის 3 ოქტომბერს გაერთიანდა.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში იყო „ცხელი" წერტილების უმრავლესობა, რომელნიც ზეგავლენას ახდენდნენ მთელი პლანეტის ვითარებაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი 250 სამხედრო კონფლიქტიდან 240 ამ რეგიონზე მოდის. სწორედ აქ გამოიყენეს პირველად ატომური ბომბი.

გაითვალისწინა რა აზიის ქვეყნების მისწრაფებები არა მარტო ევროპაში, არამედ ამ რეგიონშიც საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის და ამ რაიონის მშვიდობიან უბირთვო ზონად გადაქცევის შესახებ, საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო აზიის რაიონში განლაგებული საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტექნიკური რაკეტების ლიკვიდაციაზე. ამრიგად, საბჭოთა მთავრობამ მოხსნა საკითხი ჟენევის მოლაპარაკებაზე ქვეყნის აზიის რაიონში 100 საბჭოთა საშუალო სიშორის რაკეტის შენარჩუნების შესახებ იმ პირობით, თუ აშშ უარს იტყვის ასეთივე სახეობის რაკეტების განლაგებაზე ალიასკაში. სსრ კავშირმა აგრეთვე იკისრა ვალდებულება: აღმოსავლეთში არ გაზარდოს ბირთვული იარაღის მატარებელი თკითმფრინავები, თუ აშშ დამატებით არ განალაგებს ამ რაიონში ბირთვულ საშუალებებს, რომელნიც საბჭოთა ტერიტორიამდე აღწევენ. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა, რათა აშშ-სთან დაიდოს ხელშეკრულება ორივე სახელმწიფოს წყნარი ოკეანის ფლოტის აქტივობის შენელებაზე, იმ გემებისა, რომელნიც ბირთვული იარაღით არიან აღჭურვილნი, ცურვის რაიონების შეზღუდვაზე, ბირთვული აფეთქებებისა და გამოცდების საერთოდ აკრძალვაზე და სხვა. 1990 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ერაყის აგრესია პატარა ქუვეიტის მიმართ. ამ აგრესიამ არ გამოიწვია კონფრონტაცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, როგორც ეს ადრე ხდებოდა. საბჭოთა მთავრობამაც, დასავლეთის და

სხვა პროგრესული არაბული სახელმწიფოების მსგავსად, დაგმო ერაყის აგრესია ქუვეიტის წინააღმდეგ და მოითხოვა აგრესორის ჯარების გაყვანა ქუვეიტიდან.

1992 წლის 3 ნოემბერს აშშ-ში ჩატარდა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები. ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ბილ ქლინთონს, რომელმაც გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში, ხმა მისცა 40.910153 ამომრჩეველმა, ანუ 43 პროცენტმა, რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშს — 35.818.808 ამომრჩეველმა, ანუ 38 პროცენტმა, დამოუკიდებელ კანდიდატს როს პეროს — 17.774.019 ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი. ანუ 19 პროცენტმა.

ბ. ქლინთონისა და ა. გორის გამარჯვება პრეზიდენტის არჩევნებში ნიშნავს, რომ დემოკრატები დაბრუნდნენ თეთრ სახლში. იქ რესპუბლიკელი პრეზიდენტების რ. რეიგანისა და ჯ. ბუშის 12-წლიანი ყოფნის შემდეგ. ამრიგად არკანზასის 46 წლის გუბერნატორმა ბილ ქლინთონმა გაიმარჯვა არჩევნებში და 1993 წლის იანვარში გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 42-ე პრეზიდენტი. უკვე საარჩევნო კამპანიის დროს გამოჩნდა, რომ შეერთებული შტატების ამომრჩევლები უპირატესობას ამ ორ ახალგაზრდა კაცს მისცემდნენ — ქლინტონსა და გორს.

ბილ (უილიამ ჯეფერსონ) ქლინთონი დაიბადა 1946 წლის 19 აგვისტოს ქალაქ ჰოუპში (არკანზასის შტატი), დაამთავრა რამდენიმე პრესტიჟული უნივერსიტეტი, მათ შორის ჯორჯთაუნის (აშშ) და ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტები. მიიღო სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი იელის უნივერსიტეტში. 1978 წელს არჩეული იყო არკანზასის გუბერნატორად და 32 წლისა გახდა ქვეყნის ისტორიაში შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე ახალგაზრდა მეთაური.

მრავალმა დემოკრატმა იმედი დაამყარა ბ. ქლინთონზე მაშინვე, როგორც კი მან გამოაცხადა, რომ აპირებს მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო კამპანია-92-ში. მათ მაშინვე შეიცნეს მასში პოლიტიკოსი, რომელსაც უნარი შესწევს, გახდეს პრეზიდენტ ჯ. ბუშის ღირსეული მეტოქე. ბ. ქლინთონის მხარდამჭერნი დემოკრატიული პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის უფლებისათვის ბრძოლაში არ შემცდარან არჩევანში. იგი „ზომიერი", ცენტრისტული შეხედულებებისაა, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი. რომ

მეთაურობს დემოკრატიული ხელმძღვანელობის საბჭოს. ორგანიზაცია სამხრეთელმა დემოკრატებმა შექმნეს 1985 წელს გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ, რომელიც 1984 წლის არჩევნებში რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მიაყენა დემოკრატებს. მონდეილს. მისმა შემქმნელებმა მიზნად დაისახეს პრეზიდენტობის კანდიდატად დაესახელებინათ პოლიტიკოსი, რომელსაც უნარი შესწევს, მოიპოვოს ამომრჩეველთა ყველაზე ფართო ფენების, უწინარესად, ამერიკელთა საშუალო კლასის მხარდაჭერა.

კამპანია-92-ის მსვლელობაში, ბ. ქლინთონმა თავის მიზნად გამოაცხადა „აგრესიული" ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რომლის მიზანია მოსახლეობის საშუალო ფენების კეთილდღეობის შენარჩუნება.

საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის დარგში ბ. ქლინთონი მხარს უჭერს ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის შემცირებას, პენტაგონის მთელი რიგი ძვირად ღირებული პროგრამების შეწყვეტას, წინადადებას იძლევა ძირითადი ყურადღება მიექცეს სწრაფი რეაგირების ძალების განვითარებას. მისი აზრით, სსრ კავშირის დაშლამ შესაძლებელი გახადა სამხედრო ხარჯების დიდი შემცირების განხორციელება.

მას მიაჩნია, რომ „დესპოტური რეჟიმების — ჩინეთის, სირიისა და ჩრდილოეთ კორეიის" მიმართ რესპუბლიკური ადმინისტრაციის პოლიტიკა მეტისმეტად რბილია. ჯ.ბუშის საგარეო პოლიტიკის მთავარ ჩავარდნად ბ. ქლინთონი ასახელებს იმას, რომ ამერიკის კომპანიებმა დაკარგეს ლიდერის პოზიციები მსოფლიოს ბაზრებზე. „ჩვენს დროში, საგარეო და საშინაო პოლიტიკის გაყოფა შეუძლებელია, — აღნიშნავს იგი. — თუ ჩვენ ძლიერი არა ვართ შინ, ვერც საზღვარგარეთ დავიცავთ ჩვენს პრინციპებს". მხარს უჭერს რა მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებას, ბ. ქლინთონი აღნიშნავს: „იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ღირებულებანი და ინტერესები, ზოგჯერ გვიხდება ბრძოლა".

ბ. ქლინთონი ვარაუდობს, რომ შეერთებული შტატები მეტისმეტად ნელა რეაგირებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მიმდინარე ამბებზე. მისი აზრით, შეერთებული შტატები სათავეში უნდა ჩაუდგეს საერთაშორისო კოალიციას იქ სტრატეგიული ბირთვული იარაღის მოსპობაში დასახმარებლად,

გაუწიოს ადამიანებს სასურსათო და სამედიცინო დახმარება, ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების დამყარებასა და საბაზრო რეფორმების ჩატარებას. 1993 წლის ივნისში ვაშინგტონში პრეზიდენტ ბ. ელცინთან გამართული შეხვედრის დროს ბ. ქლინთონმა განაცხადა, რომ მზად არის, უფრო აქტიურად განავითაროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან და ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან. არა მარტო პოლიტიკით ცხოვრობს პრეზიდენტი: იგი შესანიშნავად უკრავს საქსაფონზე და თურმე ძრიხის მოწველაც ემარჯვება.

ამერიკელი ხალხი, რომ მხარს უჭერს ბ. ქლინთონს ამის ნათელი დადასტურებაა 1996 წლის ნოემბერში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები. ბ. ქლინთონმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 49%. რ. დოულმა კი 41%.

თავი III

დიდი ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[1]

§ 11. ინგლისის იმპერიალიზმის დასუსტება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ომის შედეგები. მეორე მსოფლიო ომიდან ინგლისი, მართალია, გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ბრიტანეთის იმპერიალიზმი ძალზე დასუსტდა. „ტრიუმფიც და ტრაგედიაც"—ასე უწოდა ომის შედეგებს უ. ჩერჩილმა.

---

[1] ტერიტორია — 244,1 თასი კვ. კმ., მოსახლეობა — 56.9 მლნ. (1990 წლის მონაცემებით). დედაქალაქი — ლონდონი (7,3 მლნ. მცხოვრები), ოფიციალური სახელწოდებაა: დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო. მასში შედის აგრეთვე შოტლანდია და უელსი. მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ ინგლისელები, დანარჩენია — შოტლანდიელები, ირლანდიელები, უელსელები (ვალლოები). ოფიციალური ენა — ინგლისურია. სახელმწიფო წყობილებაა: პარლამენტური მონარქია. სახელმწიფოს ოფიციალური მეთაურია დედოფალი (1962 წლიდან — ელისაბედ II). ფაქტობრივად მთელი ხელისუფლება იმყოფება მინისტრთა კაბინეტის ხელში, რომელიც იქმნება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიისაგან. ძირითადი პოლიტიკური პარტიები — კონსერვატორული და ლიბორისტული. კონსერვატორული პარტია (ტორების პარტია, რომლის საფუძველზე შეიქმნა კონსერვატორული) აღმოცენდა 1867 წ. 2 მილიონი წევრია, ასახავს ბურჟუაზიის ინტერესებს. ლიბორისტული პარტია შეიქმნა 1900 წ., 6,52 მილიონი წევრია — ასახავს მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს.

1988 წლის დასაწყისში ახალი პარტია შეიქმნა — სოციალ-ლიბერალური დემოკრატების სახელწოდებით. ეს პარტია შეიქმნა ორი პარტიის გაერთიანების შედეგად: ლიბერალურის (ერთ-ერთი ძველი პარტია იყო, რომელიც 1922 წლამდე ერთ-ერთი მმართველი პარტია იყო და თითქმის 100 წელი იდგა შუალედებით მთავრობის სათავეში), და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილებისაგან, რომელიც 1981 წელს შეიქმნა ყოფილი მემარჯვენე ლიბორისტების ნაწილისაგან. ქვეყანაში უმსხვილესი პროფკავშირული გაერთიანებაა — ბრიტანეთის ტრიედუნიონების კონგრესი, რომელიც ქვეყანაში არსებულ 80 პროფკავშირს აერთიანებს და 9 მილიონზე მეტ წევრს ითვლის თავის რიგებში.

ომით გამოწვეული ზარალი შეადგენდა 6,8 მლრდ., შიდა სახელმწიფო ვალი — 21 მლრდ. გირვანქა სტერლინგს, ხოლო საგარეო ვალი — 3,3 მლრდ. გირვანქა სტერლინგს. ომის დროს ინგლისის ოქროს მარაგის დიდმა ნაწილმა ამერიკის ბანკების სეიფებში გადაინაცვლა. ინგლისმა დაკარგა საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის მეოთხედი ნაწილი და სავაჭრო ფლოტის 30%; მკვეთრად დაეცა ინგლისის საგარეო ვაჭრობა და შესუსტდა ბრიტანეთის პოზიციები კოლონიებში. ჯერ კიდევ ომის დროს აშშ-მა პარტნიორის დასუსტება გამოიყენა ინგლისის კოლონიებში ეკონომიკურად გაბატონებისათვის, ხოლო ომის შემდეგ ინგლისის კოლონიებში კიდევ უფრო განმტკიცდა აშშ-ს პოზიციები. მართალია, უშუალოდ ინგლისის ტერიტორიაზე სახმელეთო საომარ მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ომის დასაწყისიდანვე ქვეყანას ჰიტლერული ავიაცია ბარბაროსულად ბომბავდა, რის შედეგად რიგი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები დაზიანდა ან განადგურდა. დაბომბვის შედეგად დაიღუპა 150 ათასი კაცი; საერთოდ, ომში ბრიტანეთის იმპერიამ მოკლულთა სახით დაკარგა 358 ათასი კაცი. ომისაგან დასუსტებულმა იმპერიამ ვეღარ შეძლო პოზიციების შენარჩუნება კოლონიებსა და დომინიონებში, საიდანაც ომის დროს ინგლისს შემოჰქონდა ნედლეული და სურსათი. ამის გამო იგი დიდ ვალში აღმოჩნდა საკუთარი სამფლობელოების წინაშე.

ძალზე შეირყა ინგლისის კაპიტალის პოზიციები ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და კანადაში. აქ ჯერ კიდევ ომის დასაწყისშივე ინგლისმა თავისი პოზიციები დაუთმო აშშ-ს; ასე, რომ ომის შემდეგ ახალი მოგების მიღება აქედან გამორიცხული იყო. ინგლისის პოზიციები შეირყა ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკის კავშირში. ამრიგად, ომის შემდეგ ინგლისის კაპიტალმა დაკარგა მონოპოლიური მდგომარეობა. ომამდე ინგლისზე მოდიოდა ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების იმპორტის 70% და ამ ქვეყნების ეკონომიკაში დაბანდებული საზღვარგარეთის კაპიტალის 90%. 1947 წლისათვის კი აშშ-ს ექსპორტი ბრიტანეთის კო-

---

ფუნის ერთეული — ფუნტი სტერლინგი — ყველაზე მყარი, სტაბილური და ძვირად ღირებული ვალუტა პლანეტაზე. დიდი ბრიტანეთი დღევანდლამდე რჩება თანამეგობრობის ცენტრად (1947 წლამდე იწოდებოდა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობად. თანამეგობრობაში 49 ყოფილი კოლონია და დომინიონია გაერთიანებული. ისინი სტერლინგის ზონაში ახლან გაერთიანებული.

ლონიებში 70%-ით მეტი იყო, ვიდრე ინგლისისა. შემდგომ წლებში ბრიტანეთის იმპერიალიზმმა თანდათანობით შეძლო თავისი პოზიციების ნაწილობრივ აღდგენა, მაგრამ კოლონიური იმპერიის დაშლის პროცესმა და მესამე სამყაროს ქვეყნების ბრძოლამ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის და აშშ-ს ანტიკოლონიურმა პოლიტიკამ ბოლო მოუღო ინგლისის მონოპოლიების ბატონობას კოლონიებსა და ამ ქვეყნების ბუნებრივ რესურსებზე.

1945 წლის საპარლამენტო არჩევნები და მესამე ლეიბორისტული მთავრობა 1936 წელს არჩეული პარლამენტის რწმუნებები, ომის გამო, 1940 წელს გაგრძელდა ომის დამთავრებამდე. მთავრობა კი კოალიციური იყო, კონსერვატორებთან ერთად მასში შედიოდნენ ლეიბორისტები და ლიბერალები. ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ლეიბორისტული პარტიის რიგითი წევრები ლიდერებისაგან მოითხოვდნენ კონსერვატორებთან კოალიციის გაწყვეტას, მთავრობიდან გამოსვლას და პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარებას. ამასთან დაკავშირებით 18 მაისს ჩერჩილმა ულტიმატური ხასიათის მოთხოვნა წაუყენა ლეიბორისტებს: დარჩენილიყვნენ მთავრობაში იაპონიასთან ომის დამთავრებამდე ან გასულიყვნენ და პარლამენტის ახალი არჩევნები ჩატარებულიყო. კონსერვატორები იმედოვნებდნენ, რომ ომში გამარჯვების წყალობით პარლამენტის არჩევნებში წარმატებას მიაღწევდნენ. ლეიბორისტები მთავრობიდან გამოვიდნენ. პარლამენტი დაითხოვეს. ახალი არჩევნები 5 ივლისისათვის დაინიშნა. ლეიბორისტული პარტიის ახალი პროგრამა ინგლისელ მშრომელებს პირდებოდა „დიდი ბრიტანეთის სოციალისტური თანამეგობრობის შექმნას". ლეიბორისტების პროგრამა ითვალისწინებდა სახელმწიფო კონტროლის დამყარებას ეკონომიკაზე მრეწველობის ძირითადი დარგების, ტრანსპორტის და ბანკების ნაციონალიზაციის გზით.

ლეიბორისტული პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 3 მლნ. კაცს, რომელთაგან 80%-ს კოლექტიური პრინციპების საფუძველზე შეადგენდნენ პროფკავშირები. ლეიბორისტების წინასაარჩევნო კამპანიის პროგრამა მრეწველობის წამყვანი დარგების ნაციონალიზაციის შესახებ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მშრომელ ხალხში, რომელიც ამ პროგრამას სოციალისტურ ღონისძიებად მიიჩნევდა, თუმცა ზოგიერთი დარგის — ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკის, რკინიგზების, ტრანსპორტის და სხვათა ნაციო-

ნალიზაციის მოთხოვნა სოციალისტური სექტორის შექმნას კი არ ნიშნავდა, არამედ სახელმწიფო მონოპოლისტური ხასიათის წარმოების შექმნას. ლეიბორისტები იძლეოდნენ დაპირებას, რომ განახორციელებდნენ საბინაო მშენებლობას, გაატარებდნენ რეფორმებს მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, შექმნიდნენ ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სამსახურს, გაუქმებდნენ 1927 წლის რეაქციულ კანონს პროფკავშირების შესახებ და ა. შ. საგარეო პოლიტიკის დარგში კი აცხადებდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცებას, გერმანიის განიარაღებას, მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ლიკვიდაციას და მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას. კონსერვატორული პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა საგარეო პოლიტიკის საკითხებში არ განსხვავდებოდა ლეიბორისტულისაგან, ხოლო საშინაო პოლიტიკის საკითხში ისინი არ მალავდნენ, რომ მრეწველობის ნაციონალიზაციის წინააღმდეგი იყვნენ.

არჩევნებში მონაწილეობდა 24,1 მლნ. კაცი, ე. ი. ამომრჩეველების 73%, რომელთაგან 11,6 მლნ-მა (ე. ი. 48,3%) ხმა მისცა ლეიბორისტებს; კონსერვატორებმა მიიღეს 9,6 მლნ. ხმა (ე. ი. 39,8%), ლიბერალებმა 2,2 მლნ. ხმა (9,1%). ლეიბორისტებმა პარლამენტში მიიღეს 392 ადგილი, კონსერვატორებმა — 189, ლიბერალებმა — 12, კომუნისტებმა — 2. არჩევნებში გამარჯვების შედეგად შეიქმნა მესამე ლეიბორისტული მთავრობა კ. ეტლის მეთაურობით, ნისი მოადგილე გახდა ჰერბერტ მორისონი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი — ერნსტ ბევინი — ინგლისის ტრეიდუნიონიზმის ერთ-ერთი კონსერვატორული მოღვაწე. ლეიბორისტული მთავრობის ახალი ხელმძღვანელები უ. ჩერჩილის მთავრობაშიც მოღვაწეობდნენ. კ. ეტლის მთავრობაში ძირითადად შეიდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კ. ეტლის მთავრობის საშინაო პოლიტიკა

კ. ეტლის მთავრობა აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში და ცდილობდა მის განსაკუთრებით ფინანსური სისტემის გამოსწორებას.

ომის დროს დანგრეული საწარმოები 1947 წელს უკვე აღდგენილი იყო, ხოლო შემდეგ წარმოების ზრდა წელიწადში საშუალოდ

6%-ს შეადგენდა. 1951 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა ომამდელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა. წარმოების ზრდა ძირითადად შეეხო: გემთმშენებლობას, სავტომობილო, ფოლადის, ქიმიურ, ნავთობის წარმოებას რაც შეეხება საფეიქრო მრეწველობას, ქვანახშირის წარმოებას და სხვ., მათ ომამდელ დონესაც ვერ მიაღწიეს. ლეიბორისტებმა ჩაატარეს ინგლისის ბანკის, ქვანახშირის და გაზის მრეწველობის, ცალკეული სამოქალაქო ავიაკომპანიების, რკინიგზების, ნაწილობრივ ავტოგადაზიდვის, წყლის ტრანსპორტის, ელექტროსადგურებისა და ტელეკავშირის ნაციონალიზაცია ფაქტობრივ ღირებულებაზე მეტი კომპენსაციის ანაზღაურებით. ინგლისის ბანკის ნაციონალიზაციისას აქციის მფლობელებმა ყოველ 100 გირვანქა სტერლინგის აქციაზე 400 გირვანქა სტერლინგის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მიიღეს, რაც შეეხება დანარჩენ ბანკებს, ისინი ხელუხლებელი დარჩნენ.

ძძიმე მდგომარეობაში იყო ქვეყნის ფინანსური სისტემა. ინგლისმა სამჯერ განიცადა ფინანსური კრიზისი (1947, 1949, 1951 წლებში), ხოლო საგადასახადო ბალანსის დეფიციტი შეადგენდა 1356 მლნ. გირვანქა სტერლინგს.

1951 წლის დასაწყისში გატარდა კანონი ფოლადჩამომსხმელი და რკინა-დეტალების დამმუშავებელი წარმოების ნაციონალიზაციისა და მეტალურგიულ მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ.

ლეიბორისტული მთავრობის ამ ღონისძიებების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო მონოპოლისტური ეკონომიკა, რომელზეც პირდაპირი კონტროლი დაწესდა, მაგალითად, ნედლეულისა და სურსათის მიწოდებაზე, სურსათის ფასებზე, მშენებლობისათვის ლიცენზიების გაცემაზე და ა. შ.

50-იანი წლების დასაწყისში ნაციონალიზებულ დარგებში დაკავებული იყო ქვეყნის სამუშაო ძალის 23,9%, ხოლო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებისა და შესყიდვის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში გაიზარდა 18,7 პროცენტიდან (1938 წ.) 27.5 პროცენტამდე (1955 წ.).

ინგლისში გატარებულ ნაციონალიზაციას ლეიბორისტები ისეთნაირად წარმოგვიდგენდნენ, თითქოს იგი სოციალისტური ღონისძიება იყო და ერთგვარი ნიმუში უნდა გამხდარიყო მშვიდობიანი გზით სოციალიზმის მშენებლობისათვის ნაციონალიზებულ საწარ-

მოებს „სოციალიზმის კუნძული“ უწოდეს, რომელიც თითქოს „სოციალისტურ კონტინენტში“ გადაიზრდებოდა. 1950 წელს ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ უარი თქვა ქიმიური და გემთმშენებლობის მრეწველობის ნაციონალიზაციაზე და ამავე დროს ხაზი გაუსვა „შერეული ეკონომიკის“, ე. ი. კერძო და სახელმწიფო წარმოების ერთდროულად არსებობის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას. „შერეული ეკონომიკის“ თეორია საფუძვლად დაედო ლეიბორისტების „დემოკრატიული სოციალიზმის“ ეკონომიკურ პროგრამას.

სურსათის წარმოების გაფართოების მიზნით 1947 წელს მიიღეს სოფლის მეურნეობის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ნათესი ფართობების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის გაზრდისათვის ფასების მინიმუმის დაწესებას და ფერმერებისათვის სუბსიდიების მიცემას. ამ ღონისძიებების შედეგი ის იყო, რომ 1951 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ომამდელთან შედარებით 50%-ით გაიზარდა. მაგრამ ინგლისი სურსათზე მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ლეიბორისტებმა მოახდინეს საექსპორტო ვაჭრობის გარდაქმნა. დაიწყეს ბირთვული ენერგიის ათვისება.

1948 წელს სოციალურ-ეკონომიკურ დარგში ლეიბორისტებმა შემოიღეს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო კანონი. რასაც მუშათა კლასისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: მოხუცებულობის ან ავადმყოფობის შემთხვევაში იგი მუდმივ პენსიას ღებულობს სახელმწიფოსაგან ნაცვლად პერიოდული დახმარებისა. რომელსაც პროფკავშირებიდან იღებდა.

1946 წლის კანონით 7 მილიონ მუშას ნომინალური ხელფასი გაეზარდა. 1947 წელს ხელფასები კვლავ გაეზარდა 4,6 მლნ. მუშას. 1948 წელს ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ გადაწყვეტილება მიიღო „შესაბამისი შრომისათვის შესაბამისი ხელფასის“ დაწესების შესახებ. გაუქმდა 1927 წლის ანტიპროფკავშირული კანონი, მაგრამ ძალაში დარჩა ომისდროინდელი კანონი, რომელიც გაფიცვებს კრძალავდა. 1951 წლის აგვისტოში მშრომელთა ზეგავლენით ეს კანონიც გაუქმდა. ლეიბორისტებმა ნაწილობრივ განახორციელეს მუშებისათვის დაპირებული საბინაო მშენებლობა და უმუშევართათვის დახმარების ფონდის გაზრდა. 1948 წლიდან დაწესდა აგრეთვე უფასო სამედიცინო მომსახურება. მაგრამ შემდგომ გა-

დასახადი დაწესდა სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა სახეზე. ეს ღონისძიება გატარდა „მკაცრი ეკონომიკის“ მოტივით, რომლის საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხარჯზე ეკონომია 22 მლნ. სტერლინგით იყო გათვალისწინებული.

ბიუჯეტის დეფიციტის გამო მთავრობამ გამოაცხადა „მკაცრი ეკონომიის“ პროგრამა, რომლის საფუძველზე გაიზარდა ერაპირდაპირი გადასახადები. 1949 წელს ჩატარდა სტერლინგის დევალვაცია და მისი ღირებულება 30,5 პროცენტით შემცირდა, რასაც მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა.

ინგლისის სტერლინგის ზონაში შემავალმა ქვეყნებმაც გაატარეს ვალუტის დევალვაცია, რის შედეგად ინგლისური სტერლინგის პოზიციები შესუსტდა დოლარის სასარგებლოდ.

1949 წელს პარლამენტის აქტით ლორდთა პალატის რწმუნებები და უფლებები შეიზღუდა. თემთა პალატის მიერ მიღებული კანონის შეჩერების, ანუ ვეტოს უფლება ამიერიდან ერთი წლით განისაზღვრა, ნაცვლად ორისა. გამალებულმა შეიარაღებამ გამოიწვია გადასახადების ზრდა. პირდაპირი გადასახადები გაიზარდა 10-ჯერ, არაპირდაპირი კი — 4-ჯერ. ფასები გაიზარდა პირველი მოთხოვნილების საგნებზეც. გადასახადებისა და ფასების ზრდის მთელი სიმძიმე დააწვა ინგლისელ მშრომელებს. 1948 წლიდან დაიწყო ხელფასის „გაყინვის“ პოლიტიკის გატარება, რომლითაც მუშებს ეკრძალებოდათ ხელფასის მომატების მოთხოვნა, ხოლო მეწარმეებს — მათი ხელფასის გადიდება.

კ. ეტლის მთავრობა სტერლინგის დევალვაციამდე თუ მოითხოვდა, რომ „წარმოების გაზრდის გარეშე არავითარი ხელფასი არ გაზრდილიყო“, შემდეგ იგი ხელფასის ყოველგვარ ზრდას კრძალავდა.

კ. ეტლის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლეიბორისტებმა უარი თქვეს კოლონიური ბატონობის ზოგიერთ ტრადიციულ ფორმაზე და ახალი ვითარებიდან გამომდინარე კოლონიებთან დამოკიდებულებაში, თითქოს თანასწორუფლებიანობის დამყარების მიზნით, გამოაცხა-

ფეს „ერთა თანამეგობრობა“. 1947 წელს ინგლისის დომინიონების საქმეების სამინისტრო გადაკეთდა „ერთა თანამეგობრობის“ სამინისტროდ. ეს აქცია ლეიბორისტებმა გამოაცხადეს ინგლისის „იმპერიალიზმის დასასრულად“ და „ახალი ერის“ დასაწყისად კოლონიებთან დამოკიდებულებაში.

1947 წლის 15 აგვისტოს კანონით ინგლისის ყოფილი კოლონია ინდოეთი რელიგიური ნიშნის მიხედვით ორ ნაწილად გაიყო — ინდოეთის კავშირად და პაკისტანად. თითოეულ მათგანს დომინიონების უფლება მიეცა. დომინიონების უფლება მიეცა აგრეთვე ცეილონს, ხოლო დამოუკიდებლობა — ბირმას. ამ უკანასკნელმა არ ისურვა „ერთა თანამეგობრობაში“ დარჩენა, იგი დატოვა ირლანდიის რესპუბლიკამაც.

დამოუკიდებლობა მიენიჭა ისრაელს და იორდანიას. იქ, სადაც ინგლისს განსაკუთრებული ინტერესები ამოძრავებდა და ეროვნული მოძრაობის ჩახშობის იმედი ჰქონდა, იგი ძველი კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებას ცდილობდა. ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს დასუსტებული ინგლისის ყოფილი სახელისა და დიდების აღდგენა, რის გამოც იგი თანდათანობით ამერიკის გავლენაში ექცევა. თავის დროზე ლეიბორისტული მთავრობა აცხადებდა, რომ იგი განახორციელებს საკუთარ დამოუკიდებელ ე. წ. „მესამე გზის“ პოლიტიკას, მაგრამ შემდგომში იგი უარყვეს აშკარა ანტისაბჭოთა კურსის გამო, ამერიკის „უმცროს პარტნიორობას“ ლეიბორისტები ამართლებდნენ საბჭოთა კავშირის აგრესიულობითა და კომუნიზმის საშიშროებით. ფაქტობრივად ინგლისის საგარეო პოლიტიკა უ. ჩერჩილმა ჩამოაყალიბა 1946 წლის 5 მარტს ფულტონში გამოსვლისას; იგი მოითხოვდა აშშ-სა და ინგლის შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრას სსრ კავშირის, სოციალისტური ქვეყნებისა და კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის.

ლეიბორისტულმა მთავრობამ უ. ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში საგარეო პოლიტიკური კურსის პროგრამად აქცია. 1950 წლის თებერვალში ედინბურგში უ. ჩერჩილმა ოფიციალურად გაუცხადა, რომ „ბევინი შეუპოვრად ახორციელებს იმ ხაზს, რომელიც მე დავსახე ფულტონში“. ლეიბორისტული მთავრობა შეუერთდა აშშ-ის მთავრობის მიერ სოციალისტური ქვეყნებისადმი გამოცხადებულ სავაჭრო პოლიტიკის კურსს;

ამერიკის მმართველმა წრეებმა ინგლისის ძძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოიყენეს ბრიტანეთის თავისი გავლენის ქვეშ მოსაქცევად. 1945 წელს ფინანსური შეთანხმების შედეგად ინგლისმა აშშ-გან სესხი მიიღო 4,4 მლრდ. დოლარის ოდენობით, აქედან 650 მლნ. დოლარი ინგლისისათვის უნდა გამოექვითათ ლენდლიზის ხარჯების ასანაზღაურებლად, დანარჩენი თანხა კრედიტების სახით მიეცათ 50 წლის ვადით, ხოლო შემდეგ ეს თანხა ინგლისს პროცენტიანი სარგებლით უნდა დაეფარა 50 წლის განმავლობაში. ამ სესხის სანაცვლოდ ინგლისს უნდა დაეწესებინა სტერლინგის თავისუფალი გაცვლა დოლარზე და პრეფერენციული ტარიფების შემცირება ამერიკიდან შემოსატან საქონელზე. ამერიკიდან მიღებული თანხა ინგლისის მთავრობამ ერთ წელიწადში დახარჯა. „მარშალის გეგმით" ინგლისმა მიიღო 2688 მლნ. დოლარი სესხისა და საქონლის სახით, მაგრამ ამ ახალი სესხებისა და დახმარების სანაცვლოდ ინგლისის მთავრობა კვლავ ახალ დათმობებზე წავიდა. გაიზარდა ინგლისის დამოკიდებულება აშშ-ზე და ეკონომიკის მილიტარიზაცია, ინგლისი თანდათანობით აშშ-ის იმპერიალიზმის „უმცროს პარტნიორად" გადაიქცა. ლეიბორისტები აქტიურად ჩაებნენ ამერიკის იმპერიალიზმის „ცივი ომის" პოლიტიკის ფერხულში. მათ დიდი როლი შეასრულეს „მარშალის გეგმის" მიღებაში, გერმანიის მილიტარიზაციისა და სამხედრო ეკონომიკური პოტენციალის აღდგენაში, ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფებისა და „დასავლეთის კავშირის" შექმნაში, ბიზონიისა და დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შექმნაში, საბერძნეთისათვის შეიარაღებული ძალებით მხარდაჭერაში და ა. შ.

ინგლისის მთავრობა დათანხმდა აშშ-ს მისი ტერიტორია სამხედრო, საზღვაო, საჰაერო და სარაკეტო ბაზებად გამოეყენებინა. ბუნებრივია, რომ აშშ-ის გავლენის ქვეშ მოქცევა ინგლისელი ხალხის დიდ აღშფოთებას იწვევდა.

ინგლისის მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა რომ შეენელებინათ, 1950 წელს ლეიბორისტებმა უარი თქვეს „მარშალის გეგმით" გათვალისწინებულ დახმარებაზე. საქმე იმაში იყო, რომ აშშ-ის მიერ კორეაში გაჩაღებული ომის დროს გაიზარდა დაკვეთები ინგლისის სამხედრო საჭურველზე, რამაც ხელი შეუწყო ოქროს მარაგის დაგროვებას. მაგრამ ვინაიდან ინგლისმაც მიიღო მონაწილეობა ამ ომ-

ში, ამის გამო გაიზარდა სამხედრო ხარჯები, კვლავ იჩინა თავი ფინანსურმა სიძნელეებმა.

აშშ-ის კაპიტალი თანდათან ავიწროებდა და თავისი ტერიტორიული ბაზრიდან დევნიდა ინგლისის კაპიტალს. ინგლისის დომინიონები — ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა და მრავალი ყოფილი კოლონია თანდათანობით აშშ-ის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სამხედრო და პოლიტიკური გავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

ლეიბორისტებმა, თავის მხრივ, ამერიკაზე ერთგვარი ზეგავლენის მოხდენა სცადეს. 1950 წელს ინგლისმა ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

§ 12. კონსერვატორული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 50-იან წლებში და 60-იანი წლების პირველ ნახევარში (1951—1964 წწ.)

პარლამენტის არჩევნები 1950 და 1951 წლებში, კონსერვატორული მთავრობა ხელისუფლების სათავეში. ინგლისის ტრედუნიონების გამოსვლამ „ხელფასის გაყიხვის" პოლიტიკის წინააღმდეგ და თვით ლეიბორისტულ პარტიაში არსებულმა წინააღმდეგობებმა ლიდერებსა და რიგით წევრებს შორის უმნიშვნელოვანეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში მნიშვნელოვნად შეარყია პარტიის ავტორიტეტი და გავლენა. ინგლისელი მოსახლეობის უკმაყოფილებამ თავი იჩინა 1950 და 1951 წლების საპარლამენტო არჩევნებში. ორივე ეს არჩევნები ჩატარდა ვადაზე ადრე, 1950 წლის თებერვალში. პარლამენტის არჩევნებმა ლეიბორისტებს უმნიშვნელო წარმატება მოუტანა. მათ მიიღეს ამომრჩეველთა 13,3 მლნ. ხმა (46,1%) და 315 ადგილი წარმომადგენელთა პალატაში, ხოლო კონსერვატორებმა — 12,5 მლნ. ხმა (ე. ი. 43,5%) და 297 ადგილი. ლიბერალებმა მიიღეს 10 ადგილი პარლამენტში. ამრიგად, ლეიბორისტებს წარმომადგენელთა პალატაში, ორივე პარტიასთან შედარებით, მხოლოდ 6 ადგილით მეტი ჰქონდათ (1946 წლის არჩევნებში კი 392—201-ის წინააღმდეგ, ე. ი. 191-ით მეტი). ასეთი მდგომარეობის გამო მოკლე ხანში ახალი რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო.

მეოთხე ლეიბორისტული მთავრობა სათავეში კვლავ ეტლი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები არჩევნების შედეგებიდან და საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძველ

პოზიციაზე დარჩა. კვლავ გრძელდებოდა გამალებული შეიარაღების კურსი. 1950 წლიდან მთავრობა შეუდგა ხელახალი შეიარაღების სამწლიანი გეგმის განხორციელებას, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო 4700 მლნ. გირვანქა სტერლინგი. ასეთი უზარმაზარი თანხების სამხედრო მიზნებისათვის გამოყოფამ დიდი დარტყმა მიაყენა ინგლისის ისედაც მოშლილ ფინანსურ სისტემას. ამან გამოიწვია გადასახადების გაზრდა და ხალხთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. კონსერვატორებმა შექმნილი ვითარება გამოიყენეს ლეიბორისტების წინააღმდეგ მკაცრი კრიტიკის გასაჩაღებლად. კენპანიას სათავეში ჩაუდგა თვით უ. ჩერჩილი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერები ხედავდნენ, რომ თავი ვერ გაართვეს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ამას ისიც დაერთო, რომ ქვეყანაში მწვავე ეკონომიკური სიძნელეები დაიწყო. ასეთ ვითარებაში იმის შიშით, რომ მთლიანად არ დაეკარგათ გავლენა მასებზე, ლეიბორისტებმა გადაწყვიტეს ხელისუფლების გადაცემა კონსერვატორებისათვის. პარლამენტი დაითხოვეს და 1951 წლის ოქტომბრის ბოლოს რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნების დროს ლეიბორისტებს დიდი პოლიტიკური აქტივობა არ გამოუჩენიათ. მათ ამჯობინეს ასპარეზი კონსერვატორებისათვის დაეთმოთ და ოპოზიციაში გადასულიყვნენ. ლეიბორისტებმა ხელისუფლება ფაქტობრივად დაუთმეს კონსერვატორებს, რომელთაც პარლამენტში მიიღეს 321 ადგილი, ლეიბორისტებმა კი — 295. კონსერვატორულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა უ. ჩერჩილი (1955 წლამდე), რომელიც შემდეგ ამ პოსტზე ა. იდენმა შეცვალა.

კონსერვატორების საშინაო პოლიტიკა. კონსერვატორულმა მთავრობამ ხელისუფლების სათავეში მოსვლიდანვე უარყო ლეიბორისტების „ექსპერიმენტები", რათა ქვეყნის მრეწველობის განვითარება გარკვეული გზით წარემართათ განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის. კონსერვატორები მხოლოდ სავალუტო და საბიუჯეტო კონტროლს ატარებდნენ. კონსერვატორების აზრით საკმარისია კაპიტალისტებმა მოგების თავისუფლება მიიღონ, რომ ეკონომიკის განვითარება საჭირო მიმართულებით წავა. კონსერვატორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საპროცენტო ღირებულების რეგულირების საქმეს, რათა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის საშინაო ინფლაცია აეცილებინათ. ე. წ. „სავალუტო და საბიუჯეტო კონტროლის" პოლიტიკის გატარების საბაბით კონსერვატორებმა

მკვეთრად შეამცირეს სოციალური ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ხარჯები, შემცირდა სურსათისა და ნედლეულის იმპორტი, კონსერვატორებმა გაზარდეს საპროცენტო ღირებულება და გააძნელეს კრედიტის მიღების პირობები, რათა საშინაო ბაზრის მოთხოვნები შეემცირებინათ მოხმარების საგნებზე და კაპიტალისტები იძულებული გაეხადათ მეტი საქონელი გაეტანათ საგარეო ბაზარზე. მათი მიზანი იყო ინგლისის ექსპორტის გაზრდა, რომელსაც, მთავრობის აზრით, მოჰყვებოდა ინგლისის საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესება სხვა ქვეყნებთან და ეკონომიკის ზრდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ინგლისის მრეწველობაზეც. საპროცენტო ღირებულების გაზრდამ დააყოვნა მრეწველობის განვითარება. იმპორტის შემცირებამ გამოიწვია ფასების ზრდა, ამას კი მოჰყვა მშრომელთა მასების საერთო მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, მაგალითად, თუ 1952 წლის ცხოვრების დონის ინდექსად ავიღებთ 100%-ს, 1957 წლისათვის იგი 125% იყო.

კონსერვატორების ასეთი პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მშრომელთა ფართო ფენებში. ამიტომ იყო, რომ მათ რამდენიმეჯერ შეცვალეს მთავრობის შემადგენლობა. 1951 წლის ოქტომბრიდან 1955 წლის აპრილამდე ხელისუფლების სათავეში იდგა ჩერჩილი, შემდეგ 1957 წლის იანვრამდე ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩერჩილის მთავრობაში — იდენი. 1957 წლის იანვრიდან კი ჩაუდგა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იდენის მთავრობაში — მაკმილანი.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ინგლისი პირველია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბირთვული ენერგიის მრეწველობაში გამოყენებას და პირველ რიგში ელექტროენერგიის წარმოებას, რაც აიხსნება იმით, რომ იგი დამოკიდებული იყო საზღვარგარეთის ნავთობზე.

1955 წლის თებერვალში ინგლისში დაგეგმეს 2 მლნ კილოვატი საერთო სიმძლავრის 12 ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის ათწლიანი პროგრამა. 1956 წელს მიღებული ახალი პროგრამით კი დაიგეგმა 6 მლნ კილოვატი საერთო სიმძლავრის 19 ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, ე. ი. 3-ჯერ მეტისა, ვიდრე წინათ იყო გათვალისწინებული. 1960 წელს ეს გეგმაც შე-

აცვალა და გადაწყვიტეს 1970 წლისათვის 7 ატომური სადგურის აგება. პირველი ატომური სადგური „კოლდერ-ჰოლის“ სახელწოდებით 1956 წელს შეევიდა ექსპლუატაციაში. 1970 წლისათვის უკვე 10 ატომური სადგური იყო ექსპლუატაციაში შესული.

ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა სამხედრო მიზნებსაც ემსახურებოდა. 1962 წლისათვის ინგლისს უკვე ჰქონდა ბირთვული ე. წ. „დამაშინებელი ძალები“, 180 ბომბდამშენი, 60 ამერიკული რაკეტა და ორი მშენებლობის პროცესში მყოფი წყალქვეშა ნავი ატომური ძრავებით. ამრიგად, აუარებელი ხარჯების ფასად ინგლისი მესამე ატომური სახელმწიფო გახდა.

გამალებული შეიარაღება საბჭოთა კავშირში და მისი აგრესიულობის ზრდა ინგლისს აიძულებდა თავისი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე ეფიქრა.

1954 წელს ინგლისი შეიარაღებული ძალების რიცხოვნობან 1 მლნ. კაცს მიაღწია. სწორედ ეს უზარმაზარი სამხედრო ხარჯები იყო იმის მიზეზი, რომ ინგლისი ეკონომიკის განვითარების ტემპებით მნიშვნელოვნად ჩამორჩა თავის პარტნიორებს. უზარმაზარმა სამხედრო ხარჯებმა გამოიწვია პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გაზრდა, რომლის კანონზომიერი შედეგი გახდა ქვეყნის საშინაო ბაზრის შევიწროება. ამ გარემოებამ მთავრობა აიძულა გაეუქმებინა საყოველთაო სამხედრო სამსახური. გადაწყდა, რომ ინგლისს ჰყოლოდა მცირე რჩეული, პროფესიული ქვეითი, ბირთვული იარაღით აღჭურვილი არმია.

ინგლისის სამხედრო სარდლობან ამავე დროს გადაწყვიტა, რომ ბირთვული იარაღის ადგილზე მიტანის მთავარ საშუალებად უნდა იქცეს საშუალო და შორ რადიუსზე მოქმედი რაკეტები.

კონსერვატორებმა ლეიბორისტული მთავრობის მიერ განხორციელებული ნაციონალიზაცია ცნეს, მაგრამ ამავე დროს, პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა განაცხადა, რომ იგი „პრინციპში წინააღმდეგია ნაციონალიზაციისა“. მართალია, კონსერვატორული მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს აბანდებდა ნაციონალიზებულ საწარმოებში, მაგრამ გარდა ელექტროენერგეტიკულისა, სხვა საწარმოებში იგი არასაკმარისი იყო მთლიანი რეკონსტრუქციისათვის. 1953 წელს უ. ჩერჩილის მთავრობამ ლეიბორისტების მიერ ნაციონალიზებული 55 ფოლადჩამომსხმელი ქარხანა და სატვირთო მანქანების ტრანსპორტი ხელსაყრელ პირობებში მიჰყიდა მონოპოლიებს.

უ. ჩერჩილი ნაციონალიზაციის საკითხს ბიზნესის თვალსაზრისით აფასებდა და იგი ამ მხრივ არახელსაყრელ ღონისძიებად მიაჩნდა.

კონსერვატორების კოლონიური და საგარეო პოლიტიკა 1951—1958 წლებში. ხელისუფლების სათავეში მოსვლის დღიდან კონსერვატორები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შემდგომი დაშლა, ხოლო ყოფილ კოლონიებსა და დამოუკიდებელ ქვეყნებში გაეძლიერებინათ ეკონომიკური ექსპანსია. რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი გააფთრებით იბრძოდნენ მალაიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და ცდილობდნენ მის დათრგუნვას. მალაიაში კონცენტრირებულ იქნა ინგლისელთა 140 ათასიანი არმია, მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს მალაიელი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვა და ეს ბრძოლა საბოლოოდ ინგლისელთა დამარცხებით დამთავრდა. ინგლისი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1957 წლის აგვისტოში მალაია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ინგლისელები ეგვიპტეში. 1952 წლის 23 ივლისს ეგვიპტელმა ხალხმა დაამხო ინგლისელთა ინტერესების დამცველი მეფე ფარუკი. ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა ეგვიპტის არმიის ოფიცერთა ჯგუფი პოდპოლკოვნიკ გ. ა. ნასერის მეთაურობით, რომელმაც მიზნად დაისახა ეგვიპტის დამოუკიდებლობის მიღწევა. ეგვიპტელი ხალხის მასობრივი გამოსვლებისა და ბრძოლის შედეგად ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა გაეყვანა ჯარები სუეცის არხის ზონიდან. მაგრამ ეს სრულ დამოუკიდებლობას როდი ნიშნავდა. სუეცის არხი იმყოფებოდა საერთაშორისო კომპანიის ხელში, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ სახელმწიფოს სახელმწიფოში.

1956 წლის ივლისში ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა სუეცის არხის საერთაშორისო კომპანიის ნაციონალიზაცია კომპენსაციის გადახდით, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა ამას ინტერვენციით უპასუხეს. ამ აგრესიულ აქტში ინგლის-საფრანგეთის წაქეზებით მონაწილეობა მიიღო ისრაელმაც. მაგრამ ეს ბრძოლა დამთავრდა აგრესორთა სამარცხვინო დამარცხებით, რის შემდეგ ეგვიპტელმა ხალხმა შეძლო დამოუკიდებლობის მიღწევა. ინგლისელთა კოლონიური უღლისაგან ასევე განთავისუფლდა: სუდანი (1955 წელს), ოქროს სანაპირო (1957 წელს), რომელმაც მიიღო უძველესი აფ-

რიკული სახელწოდება — განა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ეწეოდნენ აფრიკაში — კენიის, როდეზიის, ნიგერიის, ტანგანიკას, აზიაში — ადენის, ომანის და სხვა ხალხები.

კოლონიებში ინგლისის პოზიციების შესუსტების ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნიათ აგრეთვე აქ აშშ-ის პოზიციების გაძლიერება. აშშ ხომ ყოველთვის ღია კარების პოლიტიკის მომხრედ გამოდიოდა კოლონიებში, რათა თავისუფალი ვაჭრობა ეწარმოებინა იქ.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და აშშ-ს შორის მწვავე საკონკურენციო ბრძოლა იყო, ბრიტანეთის იმპერიალიზმი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამერიკის ხელმძღვანელობით შექმნილი სამხედრო დაჯგუფებების შექმნაში. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ინგლისი ექცევა აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკურ გავლენაში, რაც ბუნებრივია, ზღუდავს მის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას.

ინგლისმა აქტიური როლი შეასრულა აგრესიული ბლოკის — სენტოს — შექმნაში. მან დიდი წვლილით შეაკოწიწა აგრესიული დაჯგუფება ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელსაც თავდაპირველად ბაღდადის პაქტი ეწოდებოდა, ხოლო ერაყში მომხდარი რევოლუციის და ამ დაჯგუფებიდან მისი გამოსვლის შემდეგ იგი სენტოს სახელწოდებას იღებს.

კონსერვატორული მთავრობის საშინაო პოლიტიკა (1956—1964 წწ.). სუეცის ავანტიურის სამარცხვინოდ ჩაშლის შემდეგ ა. იდენი 1957 წლის იანვარში იძულებული გახდა გადამდგარიყო და კონსერვატორულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჰაროლდ მაკმილანი, რომელიც 1963 წლის ოქტომბერში შეცვალა ლორდმა ალეკ დუგლას ჰიუმმა. ამ უკანასკნელს პრემიერ-მინისტრის პოსტი მხოლოდ ერთ წელიწადს ეკავა, ვინაიდან 1964 წლის არჩევნებში კონსერვატორები დამარცხდნენ. კონსერვატორებმა 1951 წლის არჩევნების შემდეგ კიდევ ორჯერ მიაღწიეს წარმატებას — 1955 და 1959 წლებში. მაგრამ არჩევნებში კონსერვატორული პარტიის წარმატებები აიხსნება ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში უინიციატივობით. კ. ეტლის გადადგომისა (1955 წ.) და პარტიის სათავეში ჰიუ გეიტსკელის მოქცევის შემდეგ იგი ერთგვარ კრიზისს განიცდიდა.

კონსერვატორები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ სახელმწიფო-

მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებას. საგადასახადო ბალანსის დეფიციტის ლიკვიდაციის მიზნით კონსერვატორები ხშირად მიმართავდნენ „სტოპ-იღის“ პოლიტიკას, დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით იმპორტის შემცირებას. ინფლაციის თავიდან აცილების მოტივით კი კონსერვატორები ზრდიდნენ გადასახადებს და გამოდიოდნენ ხელფასის გაზრდის წინააღმდეგ. ისინი გეგმური წარმოების შემოღებასაც კი შეეცადნენ და ამ მიზნით 1962 წელს შექმნეს ეკონომიკური განვითარების ეროვნული საბჭო. მისი ამოცანა უნდა ყოფილიყო მრეწველობის ძირითად დარგებში კაპიტალის დაბანდებისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრა, ეკონომიკის პროპორციული განვითარების ფორსირება და ხელფასის საკითხებში არბიტრაჟის განხორციელება. მთავრობამ ხუთწლიანი გეგმაც (1961—1966 წწ.) კი მიიღო, რომელიც საზოგადოებრივი პროდუქტის ყოველწლიურ მატებას 4%-ით ითვალისწინებდა. მაგრამ მონოპოლიები ითვალისწინებდნენ ამ გეგმის დირექტივების იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ მათ ინტერესებს შეესაბამებოდა.

საყურადღებოა, რომ კონსერვატორებმა მოგებებზე გადასახადები შეამცირეს, მაგრამ მუშათა მრავალრიცხოვანი გამოსვლების შედეგად იძულებული გახდნენ მათ წინაშე დათმობებზე წასულიყვნენ, კერძოდ, შემცირდა სამუშაო დრო და დაწესდა ორკვირიანი ფასიანი შვებულება. კონსერვატორები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ „ხელფასების გაყინვის“ კურსზე და 1960 წლამდე ყოველწლიურად ზრდიდნენ ხელფასს 5%-ით, მაგრამ რადგან ფასები 3%-ით გაიზარდა, ფაქტობრივად ეს ნიშნავდა ხელფასის არა 5, არამედ 2%-ით მომატებას. 1961 წელს ინფლაციის შიშით მთავრობამ ხელფასების გაზრდის საქმეში „შესვენება“ გამოაცხადა. ეს მაშინ, როცა ზემოგებებზე გადასახადები შეამცირა 80 მლნ გირვანქა სტერლინგით. ასეთმა კურსმა მუშათა გამოსვლები გამოიწვია, რამაც 1962 წელს მთავრობა აიძულა დათანხმებულიყო ხელფასის ყოველწლიურად ზრდაზე 2%-ით.

გაბატონებული კლასები, რომ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ ამაზე მოწმობს შემდეგი. მოსახლეობის 1%-ის ხელში იყო თავმოყრილი მთელი საკუთრების 43%, ხოლო მოსახლეობის 99% ფლობდა დანარჩენს.

კონსერვატორული მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა (1958—1964 წწ.). კონსერვატორების ხელისუფლების სათა-

ში ყოფნის დროს ძირითადად დასრულდა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაშლა. 1962 წელს კოლონიების საქმის მინისტრისა და თანამეგობრობის მინისტრის თანამდებობები გაერთიანდა.

დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა ინდოეთთან და ცეილონთან დროებით სტაბილიზებული იყო ახალ, შედარებით თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, არაბებთან კი, სუეცის ავანტიურის სამარცხვინო ჩაშლის შემდეგ, პირიქით, ძალზე დაძაბული გახდა. დიდი ბრიტანეთის პრივილეგიური პოზიციებიდან ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა, განსაკუთრებით ეგვიპტესა და ერაყში. რაც შეეხება ინგლისის ნავთობის კომპანიებს, მათ ახლო აღმოსავლეთში შეინარჩუნეს საკუთრების დიდი ნაწილი. კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმი" კუვეიტში ფლობდა ნავთობის კონცესიების აქციების 50% ხმელეთზე, ხოლო 1961 წელს კომპანია „შელლმა" მთლიან კონტროლს მიაღწია ნავთობის მოპოვებაზე ზღვაში. ორივე ეს ინგლისური კომპანია ირანში კონტროლს უწევდა ნავთობის მოპოვების 54%, ერაყში კი — კონსორციუმის აქციების 47,5%. „ბრიტიშ პეტროლეუმის" ხელშია დღევანდლამდე სპარსეთის ყურის ერთ-ერთი სამთავროს აბუ-დაბის ნავთობის საზღვაო საბადოები, სადაც ნავთობის მოპოვება დაიწყო 1962 წლიდან. გარდა ამისა, 60-იან წლებში ინგლისის ფირმებმა სპარსეთის ყურის მდიდარ სამთავროებთან, ირანთან და ლიბიასთან ხელსაყრელი კონტრაქტები დადეს სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ნავთობსადენების, ნავსადგურების, საცხოვრებელი ბინების მშენებლობის შესახებ.

სუეცის ავანტიურის შემდეგ არაბულ ქვეყნებში ინგლისის პოზიციების შესუსტება დიდმა სახელმწიფოებმა, უპირველეს ყოვლისა, აშშ-მა გამოიყენეს. ომამდე ამ რეგიონში მოპოვებული ნავთობის 70% მოდიოდა ინგლისზე, აშშ-ზე კი — მხოლოდ 15%. 50-იანი წლების შუა პერიოდში მდგომარეობა შეიცვალა, ინგლისზე მოდიოდა 30%, აშშ-ზე — 60%. მაგრამ ასეთი ცვლილებები ძირითადად მოხდა საუდის არაბეთსა და კუვეიტში ომის შემდგომ პერიოდში ნავთობის მოპოვების მკვეთრად ზრდასთან დაკავშირებით. 1975 წლისათვის საუდის არაბეთში ამერიკის კომპანიებზე მოდის ნავთობის მოპოვების თითქმის 100%, კუვეიტში — 50%. 1954 წელს ამერიკამ ინგლისის ყოფილი კოლონიისაგან ირანში შეიძინა აქციების 40%. 1956 წლის ამბების შემდეგ აშშ-ის გავლენა ახლო

და შუა აღმოსავლეთში (იორდანეში, საუდის არაბეთში, ლიბანსა და ისრაელში) მნიშვნელოვნად გაიზარდა ინგლისის ხარჯზე. 50-იან წლების დამლევამდე აშშ-ის მმართველი წრეები, იბრძოდნენ რა ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის, უარს ამბობდნენ ინგლისთან ერთად არაბული აღმოსავლეთის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თანაუგრძნობდნენ არაბი ხალხის ეროვნულ მოძრაობას. აშშ-თვის სულერთი იყო, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ინგლისისათვის ასეთ პოლიტიკას. ბუნებრივია, რომ ამერიკის ასეთი პოზიცია ახლო აღმოსავლეთში და, საერთოდ, აზიაში ძირს უთხრიდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას და მისი დაშლის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა. ინგლისმა სუეცის ავანტიურის წინ ახლო აღმოსავლეთში დამოუკიდებელი კურსი განახორციელა. კონსერვატორულმა მთავრობამ იცოდა, რომ ეგვიპტეს მხარს დაუჭერდა საბჭოთა კავშირი, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, თუ აშშ-ის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ერთად გამოვიდოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აშკარად გაეჰიჯნებოდა მას. საყურადღებოა, რომ სუეცის ავანტიურის წინ პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა 30 ოქტომბერს ტელეგრამა გაუგზავნა იდენს და მოითხოვა ინგლის-ამერიკის შორის აზრთა ურთიერთგაზიარება. მაგრამ იდენმა განაცხადა, რომ „როდესაც აგზნება დაცხრება, ჩაშინ, ალბათ, ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ნამდვილი კონსტრუქციული შეხვედრების მოსაწყობად“. ინგლისის გავლენა არაბულ აღმოსავლეთში სუეცის ავანტიურის შემდეგ შესუსტდა, არაბული აღმოსავლეთის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გაძლიერდა. ინგლისის შესუსტებას ამ რაიონში ხელი შეუწყო აგრეთვე ისრაელ-არაბების წინააღმდეგობამ, რომლის დროსაც ინგლისი პირველის მხარეზე გამოდიოდა.

სუეცის ავანტიურის ჩაშლამ ძირეული გარდატეხა მოახდინა კონსერვატორული მთავრობის კოლონიური პოლიტიკის კურსზე და ამ კურსის მთლიანი შეცვლა გამოიწვია. ამ ამბავმა ინგლისის მმართველი წრეები დაარწმუნა, რომ ბრიტანეთის მთავრობის ყოველი უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებელი პოლიტიკური ან სამხედრო აქცია მარცხით დამთავრდებოდა, თუ იგი წინასწარ არ იქნებოდა შეთანხმებული ვაშინგტონთან. ერთი სიტყვით, ინგლისი უარი უნდა ეთქვა დამოუკიდებელ კოლონიურ და საგარეო პოლი-

ტიკურ კურსზე და აშშ-ის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. ინგლისის მთავრობამ მხარი დაუჭირა ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინას და 1958 წელს აშშ-თან ერთად ჯარები გადასხა ლიბანსა და იორდანიაში, რათა დაეცვათ მეფე ჰუსეინის რეჟიმი, რომელიც საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ერაყის რევოლუციის შედეგად. ამერიკა-ინგლისის ამ ნაბიჯმა პოლიტიკური წრეების მხარდაჭერა პოვა, მაგრამ ხალხთა მასების აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ იმპერიალისტები იძულებული გახდნენ ჯარების ევაკუაცია მოეხდინათ. ამრიგად, სუეცის შემდეგ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები ახლო აღმოსავლურ პოლიტიკას ურთიერთშორის შეთანხმების გზით ახორციელებდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი პოზიციები, მხარი დაეჭირათ ადგილობრივი რეჟიმისათვის, წინ აღდგომოდნენ კომუნისტურ აგრესიას, განეგრძოთ ნავთობის კომპანიების საქმიანობა.

ინგლისმა დაკარგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები ეგვიპტე და ერაყი, მაგრამ იგი პოზიციების შენარჩუნებას და განმტკიცებას ცდილობდა სპარსეთის ყურეში, საუდის არაბეთსა, ირანში და სამხედრო ბაზის შენარჩუნებას ადენში. ადენი ნავთობის ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი ნავსადგურია მსოფლიოში და მის შენარჩუნებას ინგლისისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იმყოფებოდა ბრიტანეთის სამხედრო შტაბი, რომელიც კონტროლს უწევდა კუვეიტს, აბუ-დაბის და სპარსეთის ყურის სამთავროებს. გარდა ამისა, ადენი იყო სამხედრო ოპერაციების ბაზა აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისმა დაკარგა კენია თავისი ბაზებით. მაგრამ ადენი, რომელიც მაღალი ინდუსტრიული ქალაქი და პორტია, 50-იანი წლების დამლევისათვის არაბული ქვეყნების განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი გახდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ადენში უფრო მეტად გაიზარდა 1962 წელს იემენის რევოლუციის შედეგად, რომელმაც დაამხო მონარქია და რესპუბლიკა გამოაცხადა.

1959 წელს თავისი პოზიციების შენარჩუნებისათვის კონსერვატორულმა მთავრობამ შექმნა არაბული ემირატების ფედერაცია და მასთან ხელშეკრულება დადო მეგობრობისა და დახმარების შესახებ. ინგლისის ხელში აღმოჩნდა ფედერაციის საგარეო პოლიტიკა და მისი თავდაცვა.

1963 წელს სამხრეთ არაბეთის ფედერაციაში ხალხის სურვი-

ლის გარეშე ადენიც შეიყვანეს. მაგრამ ამან კიდევ უფრო გაძლიერა აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1956 წლიდან ეგვიპტის ამბების შემდეგ მწვავე შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ინგლისსა და ადგილობრივ ძალებს შორის ბაჰრეინში, კუვეიტში, კატარში, აბუ-დაბში და ლიბანში; ინგლისელებს აქაც გაიჩნდათ ბაზები, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო ნავთობის კონცესიების დაცვა სპარსეთის ყურეში. მაგრამ სპარსეთის ყურის სამ მთავარ ხელმწიფეს ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები ბრიტანეთის გავლენის სფეროებზე: საუდის არაბეთს — ბურაიმის ოაზისზე, ირანს — ბაჰრეინსა და ბატარა კუნძულებზე — ტუნბსა და აბუ-მუსაზე, ერაყს კი — კუვეიტზე. მართალია, თვით ამ სახელმწიფოებს შორისაც იყო წინააღმდეგობანი. მაგრამ საბოლოო თვლიდა, რომ ინგლისის გაძევება მათ ტერიტორიის შემატებდა. 1961 წელს კონსერვატორულმა მთავრობამ, იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღო ერაყის ტერიტორიული პრეტენზიებისათვის კუვეიტზე, ახალი ხელშეკრულება დადო შეიხთან, რომლითაც "ცნო კუვეიტის სუვერენიტეტი". 1961 წელს კუვეიტი გახდა არაბული ქვეყნების ლიგის წევრი, 1963 წლიდან კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა. საყურადღებოა, რომ არაბეთის არც ერთი ქვეყანა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, სუდანი, კუვეიტი და სპარსეთის ყურისა და აღმოსავლეთ არაბეთის ემირატები არ შედიან და არც დრე შედიოდნენ "ბრიტანეთის თანამეგობრობაში".

კონსერვატორული მთავრობა ცდილობდა თავის კოლონიურ ბატონობას საბოლოოდ აქაც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. აღმოსავლეთ აფრიკა რესპუბლიკად და როდეზიის გარდა, დანარჩენი აღმოსავლეთ საბჭოთით მდებარე ქვეყნები, რომელნიც ეთან ერთად ბრიტანეთის იმპერიაში შედიოდნენ, ახლა წარმოადგენენ ერთა თანამეგობრობის დამოუკიდებელ წევრებს და რჩებიან იმპერიის პრეფერენციების სისტემასა და სტერლინგის ზონაში. ეს არის თორნეტი სახელმწიფო: განა, კამბია, სიერრა-ლეონე, ზამბია, კენია, უგანდა, მალავი, ტანზანია, ბოსტვანა, ლესოტო და სვაზილენდი. ინგლისის საძრეწველო, ფინანსური და საგარეო კაპიტალი ამ ქვეყნებში გაბატონებულ როლს ასრულებს. 60-იანი წლების შუა პერიოდში ინგლისს აქ ჰქონდა დაბანდებული 900 მლნ. გირვანქა სტერლინგი. გარდა ამისა, ამ ეი-

კის გავლენა აქ უფრო სუსტია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო დასავლეთ აფრიკის ხალხების მიმართაც და ეცნო მათი დამოუკიდებლობა, რომელთა შორის ყველაზე დიდი კოლონია იყო ნიგერია.

კონსერვატორული მთავრობა იძულებული გახდა ეცნო იამაიკის (კარიბის ზღვაში), კვიპროსის (ხმელთაშუა ზღვაში), სინგაპურის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში) და სხვა ყოფილი კოლონიების დამოუკიდებლობა. ინგლისი სამხედრო ბაზებს ინარჩუნებდა გიბრალტარში, მალტაში, ჰონკოგში, ბაჰრეინის კუნძულებზე, ხოლო საჰაერო ბაზებს — კენიაში, ტანგანიკაში, უგანდაში, ლიბიაში და ა. შ.

1960 წლისათვის ბრიტანეთის იმპერიის კოლონიური უღლის ქვეშ ჰყავდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (6%).

1961 წელს სამხრეთ აფრიკის კავშირი გამოვიდა „ერთა თანამეგობრობიდან".

ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებთან კავშირის შენარჩუნებასთან ერთად კონსერვატორული მთავრობა ცდილობდა „ერთო ბაზრის" ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ მის ინტერესებს არ შეესაბამებოდა, რომ „ერთო ბაზართან" დაკავშირებული ყოფილიყო თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები.

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში კონსერვატორულმა მთავრობამ აქტიური როლი შეასრულა დასავლეთის კავშირის შექმნის საქმეში, რომლითაც ლეგალიზებულ იქნა დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენის საქმე. აქ გაერთიანდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, და ლუქსემბურგი.

„საერთო ბაზარში" შესვლაზე უარის მიღების შემდეგ 1958 წელს კონსერვატორებმა „საერთო ბაზრის" საწინააღმდეგოდ ინგლისის მეთაურობით შექმნეს ახალი დაჯგუფება „თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის" სახელწოდებით, რომელშიც გაერთიანდნენ: ინგლისი, შვეცია, შვეიცარია, ნორვეგია, პორტუგალია, დანია და ავსტრია. ევროპა ფაქტობრივად გათიშული აღმოჩნდა ორ ეკონომიკურ დაჯგუფებად. ამ ახალმა ასოციაციამ ვერ

შეძლო „საერთო ბაზრისათვის“ კონკურენციის გაწევა. „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ტარიფიცირული ვაჭრობის დაბალ ფასად ზარალს აყენებდა ინგლისს. ამიტომ 1961 წელს ალბიონის მთავრობამ მოითხოვა „საერთო ბაზარში“ ინგლისის [illegible]. მაგრამ მას წინ აღუდგა საფრანგეთი, რომელსაც ეშინოდა, რომ ინგლისი „საერთო ბაზარში“ აშშ-ის ინტერესებს დაიცავდა [illegible] გარდა ამისა მასში საფრანგეთის პოზიციებსა და გავლენას შეასუსტებდა.

სუეცის ავანტიურა ჩაშლის შემდეგ ინგლისის მმართველმა წრეებმა გეზი აიღეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის სოციალიზაციისაკენ. 1959 წელს პრემიერ-მინისტრი მაკმილანი ვიზიტით ჩავიდა სსრ კავშირში, დაიდო საგაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო. საპასუხო ვიზიტით ინგლისში იყვნენ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. ინგლისმა ხელი მოაწერა ბრძოლა ატომური იარაღის სამ სფეროში გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას.

§ 13. დიდი ბრიტანეთი 60—70-იან წლებში. ვილსონის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 60-იან წლებში (1964—1970 წწ.)

1964 წლის პარლამენტის არჩევნები და ლეიბორისტების გამარჯვება. საშინაო პოლიტიკა. 1911 წლის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის დამარცხებისა და ამ პარტიის ხელმძღვანელობიდან კ. ეტლის გადადგომის შემდეგ პარტიის სათავეში ჩაუდგა ჰ. გეიტსკელი. იგი ამტკიცებდა, რომ 1955 წლის პარლამენტის არჩევნებში ლეიბორისტების დამარცხება გამოწვეული იყო პარტიის სოციალისტური პროგრამით, რადგან იგი, მისი აზრით, არ შეესაბამებოდა ამომრჩეველთა უმრავლესობის შეხედულებებსა და მოთხოვნებს. ამიტომ გეიტსკელი მოითხოვდა, რომ პროგრამიდან ამოეღოთ სოციალისტური ხასიათის მოთხოვნები და იგი უფრო მიაღლები გაეხადათ ბუშუალისა და საშუალო ფენებისათვის.

1956 წელს ჰ. გეიტსკელმა და მისმა ჯგუფმა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში შეიტანეს ტრაქტატი „სოციალიზმი და ნაციონალიზაცია“, სადაც ისინი ფაქტობრივად უარყოფდნენ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას. ფაქტობრივად ეს იყო ლეიბორისტული პარტიის პროგრამაში წარ-

მოდელირებული ნაციონალიზაციის მოთხოვნების რეგიზია. 1957 წელს პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა და კონფერენციას დასამტკიცებლად განცხადება „მრეწველობა და საზოგადოება", რომლის ძირითადი აზრი ის იყო, რომ კერძო კაპიტალისტურ კორპორაციებს ინგლისის ეკონომიკის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდა და მოითხოვდა მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას მსხვილ ფირმებსა და სახელმწიფოს შორის. ნაციონალიზაციის ნაცვლად, რომელიც პრინციპში არ იქნა უარყოფილი, განცხადებაში წამოყენებული იყო წინადადება, რომ სახელმწიფოს შეეძყიდა მსხვილი კომპანიების ნაწილი. ჰ. გეიტსკელმა 1959—1960 წლებში გაილაშქრა საზოგადოებრივი საკუთრების პრინციპის წინააღმდეგ და მოითხოვა, რათა პროგრამიდან ამოეღოთ წარმოების ძირითადი საშუალებების განაწილებისა და გაცვლის განსაზოგადოების მოთხოვნა. 50-იან წლებში ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობაში თავი იჩინა განხეთქილებამ. ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა ე. ბევნის მეთაურობით. 1958 წელს შეიქმნა ჯგუფი სახელწოდებით „სოციალიზმის გამარჯვებისათვის". მაგრამ მემარცხენეები ძველ პოზიციებზე რჩებოდნენ და რაიმე ნათელ და განსაზღვრულ პროგრამას არ აყენებდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რათა პარტიის წესდებაში დარჩენილიყო პუნქტი წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების შესახებ. მას მხარს უჭერდა მსხვილი ტრედუნიონების უმრავლესობა[1]. მემარცხენეები საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცალკეულ საკითხებში რიგ მოთხოვნებს აყენებდნენ, რომლებიც პოპულარული იყო მასებში.

1963 წელს გეიტსკელი გარდაიცვალა და პარტიის ხელმძღვანელად აირჩიეს ჰაროლდ ვილსონი. მან 1964 წლის არჩევნებისათვის შეიმუშავა წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ე. წ.

---

[1] 1970 წლისათვის ლეიბორისტულ პარტიაში შემავალ 6.223 ათასი წევრიდან 5,5 მლნ. ტრედუნიონებზე (პროფკავშირებზე) მოდიოდა, რომელნიც პარტიაში გაერთიანებული იყვნენ კოლექტიური წევრობის საფუძველზე, 600 ათასი — ინდივიდუალურ წევრებზე, უმრავლესობა ასევე პროფკავშირების წევრები არიან პარტიაში. გარდა ამისა შედის რამდენიმე სოციალისტური და კოლექტიური გაერთიანება, რომელნიც საერთო ჯამში 20 ათასი კაცისაგან შედგება.

ლეიბორისტ დეპუტატებს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა ფიზიკური შრომის მუშაკები და მკვეთრად გაიზარდა ე. წ. საშუალო კლასიდან გამოსულ უნივერსიტეტდამთავრებულ სპეციალისტთა რაოდენობა.

„საერთო ეროვნული“ ამოცანების გადაჭრის, ეკონომიკის განახლებასა და რეკონსტრუქციის, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლის, ეკონომიკა გეგმიერ წარმოებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ განხორციელებას, ეკონომიკის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფას, ახლად შექმნილი სიმდიდრის ნაწილის გამოყენებას მწარმოებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შ.

წინასაარჩევნო პროგრამა მოითხოვდა მხოლოდ ფოლადის წარმოების ნაციონალიზაციასა და წყლის მომარაგების საჯელმწიფოს ხელში გადაცემას. იგი უარყოფდა „სტოპ-იდის“ პოლიტიკასაც.

საგარეო პოლიტიკაში ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ იბრძოლებდნენ განიარაღებისათვის, ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის, სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის და ა. შ.

1964 წლის არჩევნებში ლეიბორისტებმა ძალზე მცირე ხმის უპირატესობით (12,2 მლნ. ხმა, ე. ი. 44.1%) დაამარცხეს კონსერვატორები (12 მლნ. ხმა — 43,4%). ლიბერალებმა მიიღეს 3,1 მლნ. ხმა (ე. ი. 11,2%). პარლამენტში ლეიბორისტებს მხოლოდ 3 დეპუტატით მეტი ჰყავდათ ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, ე. ი. გამარჯვება არ იყო მტკიცე. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მეორეთე ლეიბორისტული მთავრობა ჰ. ვილსონის მეთაურობით. მთავრობაში მხოლოდ მემარჯვენეები შეიდნენ. ლეიბორისტულმა პარტიამ იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო პარლამენტში ხმების უმრავლესობა, გადაწყვიტა რიგგარეშე არჩევნების ჩატარება. არჩევნებში წარმატებების უზრუნველყოფის მიზნით კი ლეიბორისტები იძულებული გახდნენ განეხორციელებინათ ზოგიერთი სოციალური დაპირება: პენსიები გაიზარდა 20%-ით, ბინის გადასახადები შემცირდა, რეცეპტების გამოწერის საფასური გაუქმდა.

შემუშავდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების გეგმა 1964—1970 წლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა სამრეწველო წარმოების ზრდას ყოველწლიურად 5%-ით. ამ ზოგიერთმა სოციალურ-ეკონომიკურმა ღონისძიებამ უზრუნველყო ლეიბორისტების გამარჯვება 1966 წლის რიგგარეშე არჩევნებში. ლეიბორისტებმა მიიღეს 13.1 მლნ. ხმა (47.9%) და 363 დეპუტატის ადგილი, კონსერვატორებმა — 11,4 მლნ. ხმა (41,9%) და 253 მანდატი.

მეექვსე ლეიბორისტულ მთავრობას კვლავ ჰ. ვილსონი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც მხოლოდ მემარჯვენეებისაგან შეადგინა კაბი-

ნეტი. ლეიბორისტების კონსერვატორებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ უმსხვილეს ქალაქებში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს მუშათა კლასი. პატარა ქალაქებში კი ლეიბორისტებისა და კონსერვატორების გავლენა თითქმის ერთნაირია. ხოლო სასოფლო საარჩევნო ოლქებში, სადაც წერილბურჟუაზიული მოსახლეობა ჭარბობს, კონსერვატორებს შედარებით მეტი წარმატებები ჰქონდათ.

ლეიბორისტების მიერ დაგეგმილი სამრეწველო წარმოების მატება 5%-ით მიღწეულ იქნა 60-იანი წლების დამლევისათვის, იმიც მას შემდეგ, როდესაც წარმოების ხარჯების შემცირება გატარდა. „ფასების და შემოსავლის ეროვნულმა სამმართველომ“ ტრეიდ-უნიონების თანხმობით დააწესა, რომ ხელფასების ზრდა წელიწადში არ უნდა ყოფილიყო 3,5%-ზე მეტი.

1968 წელს ლეიბორისტებმა მიაღწიეს სამრეწველო წარმოების გაზრდას 5%-ით წინა წელთან შედარებით. საერთოდ კი, სამრეწველო წარმოების ყოველწლიური ნამატი, ნაცვლად დაგეგმილი 5%-ისა, შეადგენდა 2.3%-ს. ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის თავიდან აცილება, რომლის მთავარი მიზეზი იყო სამხედრო ხარჯები. ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა მრეწველობის რეკონსტრუქციასაც.

1967 წელს განხორციელდა სტერლინგის დევალვაცია და მისი კურსი შეამცირდა 14.4%-ით. ამ ღონისძიებას ორი შედეგი ჰქონდა: პირველი, დევალვაციამ გამოიწვია მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მეორე, გააუმჯობესა ინგლისის საქონლის ექსპორტი უცხოეთის ბაზარზე.

1969 წელს გამოცხადდა მოხუცთა პენსიით უზრუნველყოფის ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 1972 წლიდან საპენსიო ფონდში აუცილებელი შესატანის გაზრდას, რაც სახელმწიფოს 20 წლის შემდეგ პენსიების მომატების საშუალებას მისცემდა. ამ გეგმამ ინგლისის საზოგადოების მოწონება დაიმსახურა; მით უმეტეს, რომ გამოცხადდა აგრეთვე 6,5 მლნ. პენსიონერისათვის ყოველკვირეულად 10 შილინგის დამატება და გადასახადების გაზრდა სამრეწველო კომპანიების შემოსავლებზე.

გადაწყდა ასევე ინგლისის ყველა მსხვილი საზღვაო ნავსადგურის ნაციონალიზაცია და ნავსადგურების ეროვნული სამმართველოს შექმნა, რომელიც სახელმწიფოს ხელში თავს მოუყრის საზღ-

ვალ კადეტების ექსპერტის [illegible] მწარეტის ყველა ოპერაციის გამხორცელებას. მას მხარი დაუჭირა პროგრესიულმა ძალებმა.

ამრიგად, ჰ. ვილსონმა, რომელიც 22 წლის განმავლობაში ოქსფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკის პროფესორად იყო, ერთ წიგნზე „ეკონომიკური ისწავლეთ", როგორც პირდებოდა ამომრჩევლებს.

მეხუთე და მეექვსე ლეიბორისტული მთავრობების კოლონიური და საგარეო პოლიტიკა. მეხუთე და მეექვსე ლეიბორის უფლ მთავრობები „დარწმუნდნენ, რომ ძველი კოლონიური ბმ რთველ ბის შეცვლელად ინტერესები აღმოსავლეთ ქვეყნებში წეს ლებელი იყო. ამიტომ მათ გააგრძელეს კონსერვატორული ნთ ერობა პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა ამ ქვეყნებში ფეო დალი შეიხების მოსყიდვაში, ინგლისის სამხედრო ბაზები და მათი ხარჯები ძალზე ძვირად აჯდა ინგლისის ფინანსურ ინტერესს, ხოლო ბაზების ორგვლივ განუწყვეტელი დავა ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკური პრესტიჟის დაცემას იწვევდა. ლეიბორისტებმა გადაწყვიტეს ინგლისის ბაზები გადაეცათ მათ გავლენაში მყოფი შეიხებისათვის და ამგვარად შეენარჩუნებინათ გავლენა. 1966 წელს ლეიბორისტულმა მთავრობამ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი" თავდაცვის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგლისის ჯარები გამოყვანილი იქნებოდა აღენიდან მას შემდეგ, როდესაც სამხრეთ არაბეთის ფედერაცია დამოუკიდებლობას მიიღებდა. მაგრამ ფედერალური მთავრობა მალე დაშალა, ხოლო ინგლისის ოფიცრების ბევრ გაწვრთნილი ადგილობრივი არაბები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარეზე გადავიდნენ. დაშალა ფედერალური მთავრობაც და სამოლოო ჯერში შეიქმნა სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკა, რომლის სათავეში მოექცნენ სუკის ადგილობრივი აგენტები. 1967 წლის 30 ნოემბერს ინგლისმა ჯარები გაიყვანა აღენიდან.

რაც შეეხება სპარსეთის ყურის ზონის ქვეყნებს, აქ შედარებით ნელა ვრცელდებოდა არაბული ნაციონალიზმი, და შეიხები, რომლებიც დიდ შემოსავალს ღებულობდნენ ნავთობიდან, თანაშრომლობას განაგრძობდნენ კოლონიზატორებთან. ლეიბორისტები არწმუნებდნენ ადგილობრივ შეიხებს, რომ მათი რეჟიმის სტაბილიზებისათვის ნავთობიდან „შემოსავლის ნაწილი ღატაკი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გამოეყენებინათ. 1965 წელს

შეიქმნა ამ ქვეყნების განვითარების ფონდი, სადაც ლეიბორისტულმა მთავრობამ 1 მლნ. გირვანქა სტერლინგი შეიტანა, ხოლო აბუ-დაბის შეიხმა — 50 ათასი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ თვით ლონდონის მითითებით იგი 1966 წელს დაიბეჭდა იმის გამო, რომ „არ იყენებდა ქვეყნის სიმდიდრის ზრდას სამთავროს ხალხის ინტერესებისათვის“.

ინგლისს აბუ-დაბიშიც ჰქონდა სამხედრო ბაზები, ხოლო გარნიზონები ეყენა ბაჰრეინსა და შარჯეში. 1968 წლის იანვარში ლეიბორისტულმა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აქედან გაიყვანდა ჯარებს, ხოლო აღნიშნულ ბაზებს გაიუქმებდა 1971 წლის ბოლოსათვის.

ლეიბორისტულმა მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო ბაჰრეინის, კატარის და აბუ-დაბის მეთაურობით ცხრა სამთავროს ფედერაციად გაერთიანების შესახებ. იგი ფორმალურ დამოუკიდებლობას მიიღებდა, ფაქტობრივად კი ინგლისის გავლენის ქვეშ იქნებოდა. 1968 წლის თებერვალში ხელი მოაწერეს შეთანხმებას არაბული ემირატების ფედერაციის შექმნის შესახებ. ვილსონის განცხადებამ, რომ ინგლისი თავისი ბაზების ლიკვიდაციას მოახდენდა სპარსეთის ყურეში, კონსერვატორების აღშფოთება გამოიწვია. გაშწვავდა ურთიერთტერიტორიული პრეტენზიები ადგილობრივ სამთავროებს შორისაც, რაც ინგლისთანაც ართულებდა ურთიერთობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შემდეგ ირანმა უარი თქვა ბაჰრეინზე, ხოლო ინგლისმა სცნო მისი დამოუკიდებლობა. ახლო მდებარე პატარა კუნძულებზე კი ირანის პრეტენზიები კვლავ ძალაში რჩება.

სერიოზული წინააღმდეგობები იყო ინგლისსა და ინდოეთს შორის მთელი რიგი საკითხების ირგვლივ. ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო ინციდენტების შემდეგ ინდოეთის მთავრობამ დახმარება სთხოვა ინგლისსა და ამერიკას, რომელთაგანაც საკმაოდ სერიოზული დახმარება მიიღო. მაგრამ ინდოეთისათვის ინგლის-ამერიკის იარაღის მიწოდებამ პაკისტანის პროტესტი გამოიწვია, რასაც მალე 1965 წლის ზაფხულში მოჰყვა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი, რომელიც საბჭოთა კავშირის შუამავლობით მოგვარდა. 1966 წლის 10 იანვარს ტაშკენტში ხელი მოაწერეს პაკისტან-ინდოეთის ხანმშვიდობო დეკლარაციას.

1963 წელს ინგლისმა შექმნა მალაიზიის ფედერაცია, რომელ-

ს-ც თავს მოახვია ხელშეკრულება და აქ თავისი სამხედრო ბაზები შეინარჩუნა.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-თან დამოკიდებულებაში ლეიბორისტულ მთავრობას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ვილსონის მთავრობა მხარს უჭერდა აშშ-ის ატომურ სტრატეგიას ომს ინდოჩინეთში, ისრაელს კი — არაბების წინააღმდეგ.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ გააუმჯობესებდნენ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას და, მართლაც, მეხუთე და მეექვსე ლეიბორისტული მთავრობის დროს ორმხრივი ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ვითარდებოდა. ჰ. ვილსონი ამ დროს სამჯერ იყო საბჭოთა კავშირში, ხოლო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი — ოთხჯერ. 1967 წლის თებერვალში ინგლისში ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. 1965 წლის მარტში კი — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო. ნაწილობრივ გაფართოვდა ორივე ქვეყნის სხვადასხვა სახის სახელმწიფო და საუწყებო დელეგაციების გაცვლა. 1966 წლის ნოემბერში ინგლისში იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. 1968 წლის მაისში კი სსრ კავშირში ჩავიდა ინგლისის პარლამენტის დელეგაცია. გაფართოვდა ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის განვითარებისათვის, დამყარდა პირდაპირი საჰაერო და საზღვაო კავშირი, ხელმოწერილ იქნა საკონსულო კონვენციები, შეთანხმებები მეცნიერების, განათლების, კულტურის და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში. დაიდო ხელშეკრულება სავაჭრო-ნაოსნობის, კრემლსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას შორის პირდაპირი სატელეფონო ხაზის დამყარების შესახებ. 1968 წელს ორივე ქვეყნის საქონელბრუნვის მოცულობამ 576 მილიონ მანეთს მიაღწია (1958 წელს იგი შეადგენდა 196 მილიონს). ინგლისი სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში.

ე. ჰიტის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1970 წლის არჩევნები და ლეიბორისტების დამარცხება. მშრომელთა მასების ხარჯზე ინგლისის ეკონომიკის საშინაო და საგარეო პოზიციების განმტკიცებამ, მშრომელთა ხელფასის ზრდის შეზღუდვამ, პოლიტიკამ, რომლის ამოცანა იყო სხვადასხვა ფინანსური და საკრედიტო ღონისძიებით ქვეყნის შიდა მოთხოვნების გაფართოების შეჩერება, გამოიწვია ლეიბორისტების გავლენის შესუსტება მასებში. ლეიბორისტთა ზედაფენებში სერიოზული კოსფლიქტი. მემარცხენე მიმდინარეობის გაძლიერება პარტიაში და საბოლოო ჯამში 1970 წლის არჩევნებში მათი მარცხი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ამომრჩეველთა 72%-მა, კონსერვატორებმა მიიღეს 13,1 მლნ. ხმა (46,9%) და 330 დეპუტატის ადგილი, ლეიბორისტებმა — 12,2 მლნ. ხმა (43%) და 287 დეპუტატის ადგილი, ლიბერალებმა — 2,1 მლნ. ხმა (7,4%) და 6 ადგილი. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა კონსერვატორული პარტია ე. ჰიტის მეთაურობით, ა. დუგლას-ჰიუმი კი გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი.

ე. ჰიტის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. კონსერვატორებმა უარი თქვეს სახელმწიფო საკუთრების შემდგომ გაფართოებაზე: კერძოდ, მსხვილი ნავსადგურების ნაციონალიზაციის დამთავრებაზე, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა ლეიბორისტების მთავრობას, ხოლო კერძო სექტორს თანდათანობით ე. წ. „მცოცავი" დენაციონალიზაციით გადასცეს მომგებიანი ნაციონალიზებული დარგები: ავიახაზები, საფოსტო უწყებები, ფულადი ოპერაციები, ბრიტანეთის რადიოგადაცემის კორპორაცია, ტურისტული სააგენტო „კუკა" და ა. შ. ნაციონალიზებულ საწარმოებში, კერძო კაპიტალი რომ მიეზიდათ და უფრო მომგებიანი გაეხადათ, კონსერვატორებმა ფასები გაზარდეს გაზზე, ქვანახშირზე, ფოლადზე, ადრე კი ხელოვნურად ამცირებდნენ და შსოფლიო ბაზრის ფასებზე დაბალი იყო. კონსერვატორებმა გააუქმეს ლეიბორისტების მიერ შექმნილი რიგი სამინისტროები, რომელთა მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოს განთავისუფლება ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებაში ჩარევისაგან: კონსერვატორები თვლიდნენ, რომ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა ფასებისა და სა-

ქვანლის ხარის ბაზარზე კონკურენციის პროცესი. საწარმოებისათვის სახელმწიფო სუბსიდიებია და დოტაციების მიცემა კონსერვატორებმა გააუქმეს. სამაგიეროდ გადასახადები კორპორაციებზე 45-დან 40 პროცენტამდე შეამცირეს.

მთავრობამ საშემოსავლო მომსახურების ზოგიერთი სახე კვლავ ფასიანი გახადა. შემცირდა აგრეთვე ადრე გათვალისწინებული სახელმწიფო ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური უზრუნველყოფისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელფასიდან სოციალური დაზღვევისათვის საწევრო გადასახადები. ზემოგებებზე დაწესებული სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადები კი 89-დან 75 პროცენტამდე შეამცირეს.

მონოპოლიების შემოსავალსა და ზემოგებებზე გადასახადების შემცირებით კონსერვატორები ფიქრობდნენ კერძო ინვესტიციების გაზრდას ეკონომიკაში და მისი აღმავლობისათვის ხელის შეწყობას. ექსპორტის გაზრდის მიზნით მთავრობა წლების განმავლობაში ახორციელებდა ამინაო მოთხოვნების ხელოვნურად შეკავების პოლიტიკას.

1972 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა კანონი „საბინაო მშენებლობის დაფინანსების შესახებ“. რომლის მიხედვით ბინის ქირა, რომელიც ისედაც დიდი იყო და შეადგენდა მუშათა საშუალო ხელფასის 20—30%-ს, კიდევ გაიზარდა.

1972 წლის 7 ნოემბერს მთავრობამ შემოიღო ხელფასის და ზოგიერთ საქონელზე ფასების 90-დღიანი გაყინვის კური, მაგრამ იგი არ ეხებოდა მნიშვნელოვან პროდუქტებს და სამრეწველო საქონელს. იმავე წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ხელფასზე მკაცრ კონტროლს აწესებდა, მაგრამ ოქტომბრივად ფასების ზრდას ხელს არ უშლიდა. ხელფასების გაყინვის პირველი ფაზა გრძელდებოდა 1973 წლის 30 მარტამდე. მეორე ფაზის დროს (აპრილ-ოქტომბერში) ხელფასის გაზრდა შეიზღუდა 4%-ით, ხოლო 23 ოქტომბერს გამოცხადდა ხელფასის 7%-ით. გაზრდის უფლება, რაც მესამე ფაზის დაწყებას ნიშნავდა.

1973 წლის ნოემბრიდან ენერგეტიკის კრიზისთან დაკავშირებით მთავრობამ საგანგებო ღონისძიებები მიიღო. ამ კრიზისის ერთერთ მიზეზად მთავრობა პროფკავშირების საგაფიცვო კურსს თვლიდა. ჰიტის წინადადებით შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა.

რომელიც მთავრობა. გაფრკვევულთა წინააღმდეგ იარაღის გამოყენ
უფლების აძლევდა

ჰიტის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა

ლეიბორისტული მთავრობის „თეთრი წიგნი“ 1970 წლის სამხედრო პოლიტიკაში ითვალისწინებდა „სუეცის აღმოსავლეთით“, როგორც ეს ტერმინი პირველად ჰ. ვილსონმა იხმარა, ინგლისის მოქნილი პოლიტიკის განხორციელების. აერიოდ. ამ რაიონის ბაზებში მყოფი სამხედრო კონტიგენტების გაყვანას. მაგრამ მათ მზადყოფნას „საჰაერო ხიდით აქ გადმოსვლისა“[1].

კონსერვატორებმა ოპოზიციაში ყოფნის დროსვე გაილაშქრეს ლეიბორისტთა ამ გეგმის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, მათ განაცხადეს. რომ „სუეცის აღმოსავლეთით“ მდებარე რაიონში ინგლისის სამხედრო ბაზები წინანდებურად დარჩებოდა. კონსერვატორული მთავრობის მთავარ სტრატეგიად აზიასა და აფრიკაში კვლავ რჩებოდა კოლონიური და რასისტული რეჟიმისათვის მხარდაჭერა.

ინგლისს სურდა შეენარჩუნებინა სამხედრო-საზღვაო ძალები სპარსეთის ყურეში და სამხედრო ბაზები შარჯას სამთავროში. მან გააფართოვა სამხედრო ბაზები მასირის კუნძულზე, რომელიც ომანის სასულთანოს ეკუთვნოდა. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ბაჰრეინს და კატარს თავს მოახვია „მეგობრობის“ ხელშეკრულება. რომლითაც ბაზების შენარჩუნებას ფიქრობდა.

1972 წელს გაძლიერდა ინგლისის სამხედრო პოლიტიკური აქტივობა „სუეცის აღმოსავლეთით“. ინდოეთის ოკეანეში გადაისროლეს მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ძალები. რომლებიც საჭირო იყო ინდოეთის ოკეანეში საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო საშიშროების ზრდის გამო.

1971 წლის იანვარში მალტამ გააუქმა ინგლისთან დადებული 1964 წლის ხელშეკრულება „თავდაცვის შესახებ“, რომლითაც მალტა ინგლისის და ერთდროულად ნატოს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზად იყო აღიარებული. მალტის მთავრობის თხოვნით ეს ბაზები უნდა გაეუქმებინათ და ჯარებიც გაეყვანათ.

---

[1] 1971 წლის დამდეგისათვის სპარსეთის ყურიდან ინგლისმა მთლიანად გაიყვანა თავისი ჯარები

1972 წლის იანვრის მოლაპარაკების შემდეგ ინგლისს ამ კუნძულზე 7 წლის განმავლობაში შეეძლო ჰქონოდა თავისი ბაზები. ამასთანავე ინგლისმა ვალდებულება იკისრა, ამ ბაზების ტერიტორიის გამოყენების საჯარო გადაწყვეტილება გაეზარდა.

1972 წლის აპრილში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინგლისმა მიაღწია ახალი სამხედრო ბლოკის შეკოწიწებას. რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სინგაპური და მალაიზია. ივნის-ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრ დუგლას ჰიუმი ვიზიტით იყო ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში. რომლის მიზანი იყო ამ რაიონში ინგლისის პოზიციები. გაძლიერება ინგლისის „საერთო ბაზარში" შესვლასთან დაკავშირებით. ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში დაძაბულობის შესუსტება და რეგიონალური ამხედრო დაჯგუფებების განმტკიცება.

დუგლას ჰიუმი იმყოფებოდა აგრეთვე ინდონეზიაში, ბანგლადეშში და ავღანეთში.

1971 წლის იანვარში ლონდონმა გადაწყვეტილება მიიღო „მოხალისეთა სარეზერვო კორპუსი" 10 ათასი კაცით გაზრდის შესახებ, ხოლო მაისში, უახლოეს ოთხ წელიწადში სამხედრო-საზღვაო ფლოტის რაოდენობის გაზრდაზე. კონსერვატორული მთავრობა მხარს უჭერდა აშშ-ის აგრესიას ინდოჩინეთში, ახლო აღმოსავლეთში კი ისრაელს. 1972 წელს ინგლისმა ურთიერთობა გააქტიურა ტელ-ავივთან სამხედრო დარგში და მარტში ისრაელს გადასცა სამი წყალქვეშა გემი.

ახლო აღმოსავლეთში კაპიტალური დაბანდებების დაკარგვის შიშით ინგლისის მთავრობამ რიგი ნაბიჯები გადადგა არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების საკითხში.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მიიღო, რომ არ დახმარებოდნენ რასისტული რეჟიმის ქვეყნებს, ინგლისის მთავრობამ უგულებელყო იგი და ისრაელს მიწოდება გაუხანგრძლივა სამხრეთ აფრიკის ოლიგარქებს. 1971 წლის დამდეგს ერთა თანამეგობრობის XVIII კონფერენციამ სინგაპურში დაგმო ინგლისის მთავრობის ეს ღონისძიება.

1971 წლის ნოემბერში დუგლას ჰიუმმა სამხრეთ როდეზიაში ყოფნის დროს განაცხადა, რომ ლონდონი ცნობს სმიტის რეჟიმს და შეეცდება მიაღწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციების გაუქმებას სამხრეთ როდეზიის მიმართ. ინგლისმა ხმა

არ მისცა რეზოლუციას, რომელიც ამ რეჟიმის ლიკვიდაციას მოითხოვდა (1971 წლის სექტემბერი).

1972 წლის იანვარში, როდესაც აშშ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტიდან, ინგლისმაც დატოვა იგი.

ინგლისელი ვაჭრები იარაღს აწვდიდდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასაც და პორტუგალიელ ფაშისტებს, რომლებიც კოლონიურ ომს ეწეოდნენ მოზამბიკაში, ანგოლასა და გვინეა-ბისაუში.

1973 წლის თებერვალში დუგლას ჰიუმი იმყოფებოდა სენეგალში, ლიბერიაში და ნიგერიაში, რათა მათ უარი ეთქვათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის რეჟიმების წინააღმდეგ ბოიკოტზე.

1973 წლის 10 ივლისს ინგლისი იძულებული გახდა დამოუკიდებლობა ნიეცა ბაჰამის კუნძულებისათვის. ინგლისსა და იაპონიას შორის გამწვავდა სავაჭრო წინააღმდეგობა. იაპონია წარმატებით უწევდა კონკურენციას ინგლისს და ავიწროებდა საერთაშორისო ბაზრებზე. ამ წინააღმდეგობების მოგვარების მიზნით 1972 წლის სექტემბერში ე. ჰიტი ტოკიოში ჩავიდა და იაპონიის მთავრობას მოსთხოვა, რომ თუ იგი არ დათანხმდებოდა საშინაო ბაზარზე ინგლისის საქონლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, იაპონიის საქონელზე მკაცრ საბაჟო რეჟიმს დააწესებდა.

კონსერვატორულმა მთავრობამ გააფართოვა ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. 1972 წლის მარტში გაუქმდა საელჩო ტაივანში და იგი საკონსულოდ გადაკეთდა. ინგლისმა ვალდებულება იკისრა ჩინეთისათვის მიეწოდებინა ზებგერითი რეაქტიული ლაინერები „კონკორდი" და სხვა სახის სამხედრო საკუთრელი. 1972 წლის ოქტომბერში პეკინში ვიზიტით იმყოფებოდა დუგლას-ჰიუმი.

კონსერვატორული მთავრობის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი ეკავა ინგლისის „საერთო ბაზარში" შესვლის პირობების შემუშავებას. 1970 წლის ივნისში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება ინგლისსა და „ექვსეულს" შორის. დიდი ბრიტანეთი „საერთო ბაზარში" შესვლისას ითხოვდა, რომ მისთვის შესაძლებლობა მიეცათ გარდაექმნა ეკონომიკა. უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობა „ექვსეულის" პირობების შესაბამისად. 1971 წლის ივნისში შეთანხმდნენ, თუ რა პირობებში შეეიდოდა ინგლისი „სა-

ერთო ბაზარში". ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხუთწლიან გარდამავალ პერიოდს. დაწესდა ინგლისის საწევრო შესატანი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტში; წინასწარი შეთანხმება დაიდო ინგლისში ახალი ზელანდიის ექსპორტის საკითხზე; შეთანხმებები ინგლისსა და „ექვსეულს" შორის უნდა განიხილათ და მიეღოთ პარლამენტებს.

1972 წლის 22 იანვარს დამთავრდა ხანგრძლივი მოლაპარაკება ინგლისის ევროპულ-ეკონომიკურ, ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებებში და ევრატომში შესვლის შესახებ. ინგლისის და „ექვსეულის" ქვეყნების პარლამენტებმა დაამტკიცეს ეს ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაში შევიდა 1973 წლის 1 იანვრიდან.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის ევროპაზე ორიენტაცია არ ნიშნავდა აშშ-თან ურთიერთობის შესუსტებას. 1970 წლის დეკემბერში ვაშინგტონში ორდღიანი მოლაპარაკება მიმდინარეობდა ნიქსონსა და ჰიტს შორის. ჰიტმა შსარი დაუჭირა ამერიკის აგრესიას ვიეტნამში და წინააღმდეგი იყო, რომ ამერიკის ჯარები გაეყვანა ვიეტნამიდან. ნიქსონმა კი თავის მხრივ მოიწონა ჰიტის მთავრობის გადაწყვეტილება „ხუეცის აღმოსავლეთით" ბაზების და ჯარების შენარჩუნების თაობაზე.

ერთი წლის შემდეგ ნიქსონი და ჰიტი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბერმუდის კუნძულებზე. ამ შეხვედრამ ცხადყო, რომ აშშ-სა და ინგლისს შორის არსებობს ფართო ეკონომიკური და ფინანსური საერთო ინტერესები და ორივე ახელმწიფო მხარს უჭერს ნატოს დაჯგუფების განმტკიცებას. ანალოგიური იყო ინგლისის მთავრობის ურთიერთობა საფრანგეთსა და გფრ-თან — საფრანგეთისაგან იგი მოითხოვდა, რომ დაბრუნებულიყო ნატოს სამხედრო ბლოკში, ხოლო გფრ-გან — გაეზარდა ამ ორგანიზაციის წევრობის ხარჯი.

ინგლისმა და აშშ-მა 1971 წელს დაიწყეს სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა დასავლეთ ავსტრალიაში, კაკბერენ-საუნდის ყურეში და დიეგო-გარსის კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში.

ინგლისის მთავრობა, მომხრე იყო რა, აშშ-თან და ნატოს ორგანიზაციასთან სამხედრო თანამშრომლობისა, 1972 წლის სექტემბერში რომში „საერთო ბაზრის" ქვეყნებია თათბირზე გამოეცხადა ლოლარის მიმართ ერთიანი საგალუტო პოლიტიკის შემუშავების წინააღმდეგ. ამასთანავე ინგლისი ცდილობდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება მჭიდროდ დაეკავშირებინა ნატოსთან და საფრანგეთზე ზეგავლენა მოეხდინა.

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში კონსერვატორები წინააღმდეგი იყვნენ, საერთო ევროპული თათბირი მოეწვიათ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ. ამასთანავე საბჭოთა კავშირ-ინგლისს შორის ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ ძვრებსაც. რაც გამოიხატა 1970 წლის ოქტომბერში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს ვიზიტით ინგლისში. მიღებულ იქნა შეთანხმება, რომ ყველა საელჩოფო შეუფერთხვის თეთრობრთეული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას.

1972 წელს სექტემბერში კონსერვატორულმა მთავრობამ სუკის აგენტების ანტიბრიტანული საქმიანობის გამო არა ერთი ღონისძიება მოაწყო საბჭოთა საელჩოსა და დაწესებულებების მიმართ ლონდონში. კერძოდ, ჩატარდა „ინტურისტის" და „აეროფლოტის" ჩხრეკა და საბჭოთა დიპლომატებსა და თანამშრომლებს ბრალი დასდეს დაუშვებელ საქმიანობაში, შპიონაჟში. დამტკიცდა, რომ საბჭოთა კავშირი იარაღს აწვდიდა ირლანდიას. ეჭვმიტანილები ინგლისიდან საბჭოთა ელჩოში დააბრუნეს.

1972—1973 წლებში ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის „ცივი ომის" ხასიათისა იყო. გაუქმდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის გათვალისწინებული ოფიციალური ვიზიტი სსრ კავშირში. გადადო სხვა ოფიციალური შეხვედრები და კონსულტაციები სსრ კავშირისა და ინგლისის სამთავრობათაშორისო კომისიებისა მეცნიერულ-ტექნიკური და საკავშირო ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და ა. შ.

ინგლისის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში

ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი. ინგლისის ეკონომიკის განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად განსხვავდება ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მისი განვითარება უფრო ჩქარი ტემპებით წარიმართა. მაგალითად, 1931—1938 წწ. წარმოების ყოველწლიური საშუალო მატება 2,7%-ს შეადგენდა; 1950—1970 წლებ-

'ში კი იგი 3,3% იყო. ომის დამთავრებიდან ათი წლის განმავლობაში ინგლისის ეკონომიკას არ ახასიათებდა ისეთი ღრმა კრიზისი, როგორიც ომამდე: მაგალითად, 1952 წლის კრიზისის დროს სამრეწველო წარმოება მხოლოდ 2,5%-ით შემცირდა, ხოლო 1958 წლის კრიზისის დროს — 0,1%-ით.

ომამდელთან შედარებით 50—60-იან წლებში უმუშევართა რიცხვი შემცირდა და იგი შეადგენდა დასაქმებული მოსახლეობის 1,2—2,6%-ს. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა სამრეწველო წარმოება ინგლისში 1954 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 39%-ით, ხოლო 1956 წელს — 50%-ით.

ომის შემდეგ ინგლისი თანდათანობით კარგავს შემოსავლის ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორიცა ნავთობის მოპოვება ახლო და შუა აღმოსავლეთში. ომამდე ამ რაიონებში ნავთობის მოპოვების 80 პროცენტი მოდიოდა ინგლისზე, აშშ-ზე კი — მხოლოდ 14%. 1952 წლისათვის აშშ აღნიშნულ რაიონებში კონტროლს უწევდა ნავთობის მოპოვების 63%-ს ინგლისი კი — მხოლოდ 30%-ს 50-იან წლებამდე კვლავ იმ ტრადიციული დარგების განვითარებას ენიჭებოდა უპირატესობა, რომელნიც საქონელს კოლონიებისათვის აწარმოებდნენ, რის გამოც სამრეწველო ბაზა შედარებით სუსტი იყო და ეყრდნობოდა ძირითადად გემთმშენებლობას, რკინიგზების მოწყობილობათა წარმოებას, ქვანახშირის და საფეიქრო მრეწველობას. გარდა ამისა, ინგლისში მუშუქი და კვების მრეწველობის ხვედრითი წონა უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა დიდ სახელმწიფოებში.

50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ინგლისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში. მან გამოიწვია ე. წ. ტრადიციული დარგების წარმოების შემცირება და ახალი დარგების განვითარება. მაგრამ ვინაიდან ინგლისის საშინაო ბაზარი ვერ აკმაყოფილებს მონოპოლიების გაზრდილ მოთხოვნილებებს, საგარეო ვაჭრობას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. დასავლეთ ევრობის სახელმწიფოები ბაზრების სივიწროვის დაძლევას „საერთო ბაზრის" შექმნით ცდილობდნენ. ინგლისიც თავის მხრივ შეეცადა ეკონომიკური ინტეგრაციით და ყოფილი კოლონიების ბაზრებზე პოზიციების აღდგენით ექსპორტის გაფართოებას: ინგლისისათვის კოლონიური სისტემის დაშლისა და ახალი ბაზრების საერთაშორი-

ხო განაწილების პირობებში უცხოეთის ბაზრებზე ინგლისური საქონლის ექსპორტის პრობლემა უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი კონკურენტებისათვის. ვინაიდან ბრიტანეთის საგადამხდელო ბალანსისათვის დეფიციტი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ინგლისის მმართველი წრეები ქრონიკული დეფიციტის თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდნენ საქონლის ექსპორტის გაზრდას თანამეგობრობის ქვეყნებსა და „სტერლინგის ზონაში", მაგრამ განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ამცირებდა მოთხოვნებს ინგლისურ საქონელზე. გარდა ამისა, ინგლისი თავის ყოფილ სამფლობელოებში იძულებული ხდებოდა თანდათანობით შევიწროებულიყო 40-იან წლებში და 50-იანი წლების შუა პერიოდამდე ჯერ ამერიკის, შემდეგ კი სხვა კონკურენტების სასარგებლოდაც და თანამეგობრობის ქვეყნებში მოეხსნა საქონლის იმპორტის ზოგიერთი შეზღუდვა.

1954 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან თანამეგობრობის მეტ წილ ქვეყნებში საქონლის იმპორტის რაოდენობითი შეზღუდვები გაუქმდა და მათ ისეთივე უფლებები მიიღეს, როგორიც ინგლისს ჰქონდა. 1958—1960 წლებში ინგლისმა თანამეგობრობის ქვეყნებში მოხსნა შეზღუდვა ამერიკის საქონლის იმპორტზე. 1957 წელს ავსტრალიამ, ხოლო 1958 წელს ახალმა ზელანდიამ იაპონიას შეუქმნეს ხელსაყრელი პირობები ამ ქვეყნებში საქონლის შეტანაზე. თუმცა ინგლისი 50—60-იან წლებში ინარჩუნებდა უპირატესობას თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე, მაგრამ თანდათანობით მისი გავლენა სუსტდება, ხოლო აშშ-ის, დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის პოზიციები ძლიერდება.

მსოფლიო ბაზრის შეცვლილ პირობებთან და მსოფლიო ბაზარზე შრომის ახალ დანაწილებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ინგლისი „ახალ ადგილს" ეძებდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიების დაკარგვის შემდეგ. მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილებების გამო ინგლისის მონოპოლიებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო მონოპოლისტურ რეგულირებას. მთავრობა უზარმაზარ პირდაპირ და არაპირდაპირ სუბსიდიებს აძლევდა კერძო საწარმოებს და ეხმარებოდა მათ წარმოების ხარჯების შემცირებაში, რითაც სურდა მიეღო იმის გარანტია, რომ ბრიტანეთის საქონელი კონკურენციაში გაიმარჯვებდა. ეკონომიკაში

მსხვილი მონოპოლიების ბატონობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. 50-იანი წლების დასაწყისში დამამუშავებელი მრეწველობის დარგების დიდი ნაწილი გაერთიანებული იყო 2,5 ათას დარგობრივ არტელში, მაგრამ ყველაზე საგულისხმო მაინც ისაა, რომ მთელმა რიგმა კოლონიურმა მონოპოლიებმა საქმიანობა ინგლისში გადაიტანეს. 60-იანი წლებისათვის ინგლისმა მრეწველობის კონცენტრაციით პირველი ადგილი დაიკავა დასავლეთ ევროპაში. მონოპოლისტური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის კოლონიებიდან ინგლისში დაბრუნება და ამ კაპიტალის ახალ დარგებში დაბანდება (საავიაციო, საავტომობილო, ატომის, ელექტრონის, ქიმიურ და მრეწველობის სხვა დარგებში) ცვლიდა ინგლისის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას, იწვევდა მრეწველობის ტემპების ზრდას. 60-იან წლებში მრეწველობაში პროდუქციის ყოველწლიური მატება 4,5%-ს შეადგენდა. ლეიბორისტული მთავრობა ხელს უწყობდა არა მარტო საკუთარი კოლონიური მონოპოლიების ინვენსტიციის ზრდას, არამედ უცხოეთის კაპიტალისაც. აშშ-თვის ინგლისი გახდა კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი. 60-იანი წლების დამლევისათვის აშშ-ის კაპიტალის აქტივი ინგლისში უახლოვდებოდა 6 მლრდ. დოლარს. აქ ჰქონდათ დაბანდებული კაპიტალი გფრ-ს, საფრანგეთს და იტალიას. სამივე ამ სახელმწიფოს მიერ ინგლისში დაბანდებული კაპიტალი, ერთად აღებული, ნაკლები იყო აშშ-ზე. ინგლისის მრეწველობაში დაბანდებული საზღვარგარეთის კაპიტალის ხვედრითი წონა საკუთარ კაპიტალთან შედარებით უმნიშვნელო იყო და საერთო კაპიტალურ დაბანდებაში არსებით როლს არ ასრულებდა.

არ გამართლდა ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცება ბრიტანეთის იმპერიალიზმის მიერ კოლონიების დაკარგვის შემდეგ მისი ავტომატური კრახის შესახებ. იგი შეეგუა ახლად შექმნილ ვითარებას. ინგლისი კვლავ დიდი სახელმწიფოთა რიგებშია და ამავე დროს მესამე ატომური სახელმწიფოა მსოფლიოში. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი სამრეწველო განვითარების ტემპებით ჩამორჩება სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, იგი მაინც ძველებურად ინარჩუნებს სამრეწველო და სამხედრო პოტენციალს, აქვს დიდი და ფართო საერთაშორისო კავშირები. საკმარისია აღინიშნოს ასეთი ციფრები: მსოფლიოს 100 უმსხვილესი მონოპოლიიდან 28 ინგლისურია; სა-

ვაჭრო ფლოტის ტონაჟით (30 მლნ-ზე მეტი ტონა) ინგლისს მესამე ადგილი უკავია (ლიბერიისა და იაპონიის შემდეგ) მსოფლიოში. ინგლისის კერძო კაპიტალური დაბანდება საზღვარგარეთ შეფასებულია 19 მილიარდი გირვანქა სტერლინგით. ლონდონი კი რჩება ევროპის საერთაშორისო საბანკო ცენტრად აშშ-ის შემდეგ. 1974 წელს სიტი ითვლიდა 56 ქვეყნის 250 საზღვარგარეთულ ბანკს (ნიუიორკში 42 ქვეყნის 151 საზღვარგარეთის ბანკი იყო). ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოზიციებზე დაყრდნობით ინგლისს საშუალება აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაზე. სტერლინგის ზონაში გაერთიანებულია ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამეურნეო ურთიერთობის მსხვრევა და შრომის განაწილება ყოფილ კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებსა და დიდ ბრიტანეთს შორის უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ცვლილებები ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგიერთ შემთხვევაში სამეურნეო ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან უფრო მჭიდრო გახდა მას შემდეგ, რაც ინგლისის ყოფილმა სამფლობელოებმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. მის ეკონომიკურ ორბიტაში შემავალ განვითარებად ქვეყნებს ინგლისი ძველებურად უწევს ექსპლუატაციას. მაგალითად, 1968 წელს ამ ქვეყნებში თავმოყრილი იყო ინგლისის მთელი საზღვარგარეთის პირდაპირი ინვესტიციების 30%. 1966—1968 წლებში ამ კაპიტალურ დაბანდებებზე მოდიოდა შემოსავლის 30%. ამასთანავე, როგორც წესი, ინგლისის მონოპოლიების ინვესტიციებს თითქმის არაფერი არა აქვთ საერთო ინგლისის ეკონომიკასთან. კოლონიურ ოლიქარგიას, გემთმფლობელ მაგნატებს, საგარეო ვაჭრობის შუამავლებს და ბანკირებს, რომელნიც ამჟამად ისე, როგორც 10—20 წლის წინათ, წარმოადგენდნენ ქვეყნის ფინანსური სისტემის ხელმძღვანელებს, დიდი გავლენა აქვთ ბრიტანეთის იმპერიალიზმის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამის შედეგი კი ის არის, რომ სახელმწიფოს სამეურნეო მოღვაწეობაში უპირატესობა ხშირად ენიჭება სავალუტო პრობლემის გადაჭრას ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საზიანოდ.

ცვლილებები ინგლისის მშრომელთა სოციალურ სტრუქტურაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ძველი დარგობრივი და დასაქმების კვალიფიციური სტრუქტურა აღარ პასუხობდა

წარმოებისა და საკონკურენციო ბრძოლის მოთხოვნებს. ადრე ინგლისში არსებობდა საწარმოო შეგირდობა და ტრადიციულ დარგებში დაგროვილი ტექნიკური გამოცდილების და პროფესიული დახელოვნების თაობიდან თაობაზე გადაცემა, რის გამოც ინგლისს ყოველთვის დიდი უპირატესობა ჰქონდა თავის კონკურენტებთან შედარებით.

60-იანი წლების მეორე ნახევარში დაქირავებული შრომის პირები შეადგენდნენ დასაქმებული მოსახლეობის 90%-ს. ინგლისის მუშათა კლასის რაოდენობას (ისე როგორც სხვა ეკონომიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისას) ახასიათებს მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ-მუშაკთა პერსონალის როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი რიცხობრივი ზრდა. მათ ხშირად აერთიანებენ „თეთრსაყელოიან" მუშათა სახელით. ინგლისში რომ სწრაფად იზრდება „თეთრსაყელოიანთა" რაოდენობა, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1911 წელს ისინი შეადგენდნენ დასაქმებული მოსახლეობის 18,7%, 1921 წელს — 21,2%, 1931 წელს — 23%. ომის შემდეგ მათი რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზარდა და 1951 წელს თითქმის მესამედი (31%) გახდა, ხოლო 1966 წელს ქვეყნის აქტიური მოსახლეობის მესამედზე მეტს (38%) მიაღწია. „თეთრსაყელოიანთა" ზრდა ნაწილობრივ დაკავშირებულია ინგლისის სამრეწველო სტრუქტურის ცვლილებებთან. მმართავი, ტექნიკური და კანტორის პერსონალთა ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდია ახალ, სწრაფად მზარდ მრეწველობის განვითარებულ დარგებში (ელექტროტექნიკური, ქიმიური, რაკეტული, ატომური). სამრეწველო წარმოების ორგანიზაციასა და ტექნიკაში ცვლილებები იწვევს აგრეთვე კანტორის, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობის ზრდას. ასეთ მუშაკთა ხვედრითი წონა იზრდება ისეთ დარგებშიც კი, სადაც მნიშვნელოვნად მცირდება საერთო დასაქმება. მაგალითად, ქვანახშირის წარმოებაში დასაქმება 1921—1961 წწ. 50%-ზე მეტად დაეცა, მოსამსახურეთა რაოდენობა კი 100%-ით გაიზარდა.

მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია აგრეთვე მიმოქცევისა და მოხმარების სფეროების განვითარებასთან. დაქირავებულთა შორის მოსამსახურეთა ხვედრითი წონა ამ დარგებში განსაკუთრებით მაღალია. ფიზიკური შრომის მუშაკთა რაოდე-

ნობის შეფარდებითი, ხანდახან კი აბსოლუტური შემცირება, უპირველეს ყოვლისა, არაკვალიფიციური მუშების ხარჯზე ხდება, რაც მნიშვნელოვნად მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან და ძველ დარგებში დასაქმების განუწყვეტელ შემცირებასთანაა დაკავშირებული. 1951—1986 წლებში კვალიფიციური მუშათა რაოდენობა გაიზარდა.

1974 წლის საპარლამენტო არჩევნები და ლეიბორისტების გამარჯვება. საშინაო პოლიტიკა. 1974 წლის დასაწყისიდან კონსერვატორებმა იძულებითი წესით შემოიღეს სამდღიანი სამუშაო კვირა განახევრებული ხელფასით. მასობრივი ლოკაუტის შემდეგ შრომის ბირჟაზე სამუშაოს მაძებნელთა რაოდენობამ 2 მლნ. კაცს მიაღწია. ცალკეულ დარგებში პროდუქციის გამოშვება 20%-ით დაეცა და შემცირდა მშრომელთა ხელფასი. სამდღიანი სამუშაო კვირის დაწესებით კონსერვატორები იმავე მიზანს ისახავდნენ, რასაც „ხელფასების გაყინვის პოლიტიკა“ — შეემცირებინათ მოსახლეობის სყიდვითუნარიანობა. ამ საგანგებო ღონისძიებებით ე. ჰიტის მთავრობას სურდა განუწყვეტელი გაფიცვების ვითარებაში მუშათა კლასის წინააღმდეგ მოსახლეობის სხვა ფენების ამხედრება. 1974 წლის თებერვალში დაიწყო მეშახტეთა ეროვნული გაფიცვა, რაც კონსერვატორების „მკაცრი ეკონომიკური კურსის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. კონსერვატორებმა ამის საპასუხოდ საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს და გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარების გამოყენებითაც კი იმუქრებოდნენ. შანტაჟმა და დაშინებამ მეშახტეებზე არ გაჭრა. მაშინ კონსერვატორებმა გადაწყვიტეს, პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები დაენიშნათ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მეშახტეების მიმართ დაუთმობელი მოქმედებით ინგლისელთა მოწონებას დაიმსახურებდნენ და არჩევნებში გაიმარჯვებდნენ. გარდა ამისა, კონსერვატორებმა ანტიკომუნისტური კამპანია გააჩაღეს. საქმე იმაში იყო, რომ კომუნისტები ამ გაჭირვების ჟამს ცდილობდნენ მასებისათვის ერის მხსნელებად მოეჩვენებინათ თავი.

არჩევნები ჩატარდა 1974 წლის თებერვლის დამლევს. ლეიბორისტები ფართო პროგრამით გამოვიდნენ ამომრჩეველთა წინაშე: რომ განახორციელებდნენ მრეწველობის რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების ნაციონალიზაციას, გააუქმებდნენ ანტიპროფკავშირულ კანონს „მრეწველობაში ურთიერთობის შესახებ“, კონტროლს და-

ამყარებდნენ მონოპოლიებზე, უზრუნველყოფდნენ მშრომელების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გადასინჯავდნენ ინგლისის „საერთო ბაზარში“ მონაწილეობის პირობებს და ბოლოს მოუღებდნენ ინფლაციას. არჩევნებში ლეიბორისტებმა წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ 635 ადგილიდან მიიღეს 301 ადგილი, კონსერვატორებმა კი — 296, ე. ი. მხოლოდ 5 ადგილით ნაკლები. კონსერვატორები დამარცხდნენ, მაგრამ ლეიბორისტების წარმატებაც არ იყო მტკიცე. ამიტომ იყო, რომ პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა პირველსავე სხდომაზე გააფრთხილა ლეიბორისტები, რომ მზად ყოფილიყვნენ ახალი არჩევნების ჩატარებისათვის. 1974 წლის მარტიდან შეიქმნა VII ლეიბორისტული მთავრობა, რომელსაც სათავეში კვლავ ჰ. ვილსონი ჩაუდგა. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ჯ. კალაგენი.

მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო გაფიცულ მეშახტეებთან მოლაპარაკება. მათი მოთხოვნა ხელფასის მომატებასა და სამკვირიანი შვებულების დაწესებაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა კონსერვატორების მიერ შემოღებული საგანგებო მდგომარეობა, სამდღიანი სამუშაო კვირა და მის ნაცვლად ნორმალური სამუშაო კვირა დაწესდა. მაგრამ მნიშვნელოვანი კანონების მიღებას პარლამენტში კონსერვატორებმა და ლიბერალებმა ხელი შეუშალეს. მაშინ მთავრობამ დაითხოვა პარლამენტი და ოქტომბერში ჩაატარა ახალი არჩევნები, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა ლეიბორისტების პოზიციები პარლამენტში. მათ ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს. არჩევნების შემდეგ შეიქმნა რიგით უკვე VIII ლეიბორისტული მთავრობა ისევ ჰ. ვილსონის მეთაურობით.

ლეიბორისტებმა ზოგიერთი დაპირება შეასრულეს: გააუქმეს ანტიპროფკავშირული კანონი, ფასიანი მომსახურება მედიცინის ზოგიერთ დარგში, ხოლო პარლამენტში განსახილველად შეიტანეს „სამრეწველო კანონპროექტი“, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის როლის რამდენადმე გაფართოებას. ეს კანონპროექტი ვრცელი დამატებების შემდეგ დამტკიცდა. დაგეგმილი იყო საწარმოების ეროვნული სამმართველოს შექმნა, რომლის მეშვეობით მთავრობა კომპანიებისათვის ფინანსური

დახმარების ნაცვლად შეიძენდა მათი აქციების ნაწილს, რითაც მათზე გავლენის უფლებას მოიპოვებდა.

1975 წლის მაისში ლეიბორისტულმა მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი ავია და გემთსაშენი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც ასევე დამტკიცდა, რის შედეგად შეიქმნა ორი სახელმწიფო სამმართველო და მათ განკარგულებაში გადავიდა კერძო კომპანიები. საყურადღებოა, რომ ორივე ეს დარგი კრიზისს განიცდის: ინგლისის ავიაკომპანიები ვერ უძლებენ ამერიკელ კონკურენტთა შემოტევას. ამაო გამოდგა ცდა, რომ თანამშრომლობა დაემყარებინათ საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიისა და იტალიის ფირმებთან. მაგალითად, ინგლისი იძულებული გახდა უარი ეთქვა „აერობუსის" 250-ადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავის ერთობლივი პროექტის შექმნაზე. ინგლისურ-ფრანგული ავიაგამანადგურებელი „იაგუარი" ვერ საღდება ნატოს ქვეყნებში.

უკეთეს მდგომარეობაში არც ქვეყნის გემთსაშენი მრეწველობაა. ინგლისის ბევრი გემთსაშენი მოძველდა და კონკურენციას ვერ უწევს უცხოეთის გემთსაშენს. ამრიგად, ლეიბორისტების მიერ განხორციელებული ამ ორი დარგის ნაციონალიზაცია არავითარ წინააღმდეგობას არ წაწყდომია მათი მფლობელების მხრიდან. პირიქით, ისინი კმაყოფილი არიან იმით, რომ დიდ კომპენსაციებს მიიღებენ[1].

პარლამენტის არჩევნების კამპანიის დროს ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ რეფერენდუმს მოაწყობდნენ „საერთო ბაზარში" ინგლისის დარჩენის ან გამოსვლის შესახებ. 1975 წლის 5 ივნისს ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ (17,3 მლნ., ე. ი. 67,2%) მხარი დაუჭირა ინგლისის „საერთო ბაზარში" დარჩენას (წინააღმდეგ ხმა მისცა 8,4 მლნ.-მა, ე. ი. 32,8%-მა).

---

[1] საყურადღებოა, რომ პირველად ინგლისის ისტორიაში კონსერვატორული პარტიის ხელმძღვანელად აირჩიეს (ჰიტის ნაცვლად) ქალი მარგარეტ ტეტჩერი. ეს არჩევნები ჩატარდა 1975 წლის თებერვალში, რომლის დროსაც ჰიტი დამარცხდა. მ. ტეტჩერის არჩევას მიიჩნევდნენ კონსერვატორული პარტიის მარჯვნივ გადახვევად. ტეტჩერი მკაცრი ხაზისა და სოციალური ხარჯების შეკვეცის მომხრედ მიიჩნდათ.

ამომრჩევლებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჰ. ვილსონის განცხადებამ, რომ ინგლისის გამოსვლა „საერთო ბაზრიდან“ სარისკო გახდებოდა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ინგლისური ფირმების მფლობელთა ნაწილი მუშებს აშინებდა, რომ „საერთო ბაზრიდან“ ინგლისის გამოსვლის შემთხვევაში ფირმების ნაწილის ლიკვიდაციას მოახდენდა და უმუშევრობა გაიზრდებოდა, რომ ისინი გადიტანენ თავიანთ კაპიტალს გაერთიანებიდან, რასაც კორპორაციების ლიკვიდაცია და მასობრივი უმუშევრობა მოჰყვება. ერთი სიტყვით, ბრიტანეთში მასობრივი კამპანია იყო „საერთო ბაზრის“ სასარგებლოდ. რეფერენდუმის შედეგებს დიდმა ბიზნესმა ბირჟაზე აქციების კურსის აწევით უპასუხა. მხოლოდ პროფკავშირები და ქვეყნის მემარცხენე ძალები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ ლეიბორისტების დაპირებები რეფერენდუმის შემდეგ შეიძლება განუხორციელებელი დარჩეს.

1974 წელს ლეიბორისტული პარტიის არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთ საწინდრად ის მიაჩნიათ, რომ იგი მშრომელებს პირდებოდა ისეთი ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფდა „არსებით და შეუქცევად შემობრუნებას სიმდიდრისა და ხელისუფლების განაწილებაში მშრომელთა სასარგებლოდ“, სიმდიდრეზე, ე. ი. დიდ შემოსავალზე სპეციალური გადასახადის შემოღებას, მონოპოლიების თავაშვებულობის აღკვეთას და ა. შ. ამ დაპირებების საპასუხოდ ტრედუნიონები ნებაყოფლობით დათანხმდნენ ორი წლის ვადით ხელფასის მომატების შეზღუდვაზე, რომელმაც „სოციალური კონტრაქტის“ სახელწოდება მიიღო.

1976 წლის დასაწყისში ლეიბორისტულმა მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1 მლრდ. სტერლინგით შეამცირა. ამ შემცირების მთავარი მსხვერპლი გახდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და უმუშევართათვის დახმარების ფონდები. ჰ. ვილსონის გადადგომის შემდეგ შეიქმნა ახალი მთავრობა ჯ. კალაგენის მეთაურობით. რომელმაც ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე და უცხოეთიდან მიღებული უზარმაზარი სესხების გადახდა ხალხს დააკისრა. ამის შედეგი იყო ფასების ზრდა სურსათზე, ბინის ქირაზე, სამედიცინო მომსახურებაზე. ცხოვრების ღირებულების ზრდით ინგლისი მეორე ადგილზეა ევროპაში (იტალიის შემდეგ). ერთი წლის განმავლობაში (1976 წელს) ინგლისში ფასები 16,7%-ით გაიზარდა. საქმე იმაშია, რომ 1976

წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 10%-ით შეეცირდა. 2 ათასი ფირმა გაკოტრდა და თავისი არსებობა შეწყვიტა.

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი. 1974 წელს ინგლისს მოედო მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც მასშტაბით, არასწორად, 1929 წლის კრიზისს ადარებენ. „ხელფასების გაყინვის პოლიტიკის“ ვითარებაში 1974 წელს წინა წელთან შედარებით ფასები საშუალოდ 10%-ით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კი — 18,8%-ით, საერთოდ კი, კონსერვატორების მმართველობის წლებში — 50%-ით. ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა მიაღწია რეკორდულ ციფრს — 2.4 მლრდ. გირვანქა სტერლინგს. ნავთობზე ფასების გაზრდამ გამოიწვია იმპორტის ღირებულების გაზრდა. 1975 წელს ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება (16%), გაიზარდა უმუშევრობა. 1976 წელს უმუშევართა რაოდენობამ 1 მლნ-ზე მეტი შეადგინა. ყოველივე ამის შედეგად სტერლინგის ინფლაციამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. 1976 წელს 1971 წელთან შედარებით სტერლინგი 45 პროცენტით გაუფასურდა. თავი რომ დაეღწია მთლიანი გაკოტრებისაგან, 1975 წლის ივნისში ინგლისის მთავრობამ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს მოსთხოვა მსხვილი სარეზერვო კრედიტი 5,3 მლრდ. დოლარის ოდენობით, რომლის მიღების შემდეგ სტერლინგის დროებითი სტაბილიზაცია მოხდა. მაგრამ სექტემბერ-ოქტომბერში სტერლინგის მდგომარეობა კვლავ შეირყა. ინგლისის მთავრობამ ფინანსური დახმარებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა, რომლისგანაც დეკემბერში მიიღო 3,9 მლრდ. დოლარი.

1977 წლის იანვარში ინგლისის მთავრობამ ბაზელის ბანკისაგან სესხად მიიღო 3 მლრდ. დოლარი, საერთაშორისო საბანკო წრეებიდან კი — 1,5 მლრდ. დოლარი. ამის შედეგი ის იყო, რომ ინგლისის სამრეწველო წარმოება 1977 წლის პირველ კვარტალში 2,5%-ით მეტი იყო, ვიდრე ერთი წლის წინათ. ამასთანავე საერთაშორისო სავალუტო ფონდი ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვს „მომჭირნეობის ღონისძიებათა განხორციელებას“, კერძოდ, სოციალური საჭიროებისა და ეკონომიკის ნაციონალიზებული დარგებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირებას.

60-იან წლებში ჩრდილოეთის ზღვაში აღმოაჩინეს ნავთობის

უმდიდრესი საბადოები, რომლის ათვისებისათვის მთავრობამ დიდი თანხა გაიღო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნის შედეგადაა მიჩნეული 1977 წლის ივნისში გიგანტური ნავთობის კომპანიის „ბრიტიშ პეტროლეუმში" მთავრობის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა. კომპანიაში მთავრობის მონაწილეობის წილი 68-დან 51%-მდე შემცირდა. აქციების ძირითადი ნაწილი შეიძინეს ოკეანის გაღმელმა მონოპოლიებმა[1].

აქციების გაყიდვამ მთავრობის დაახლოებით 600 მლნ. გირვანქა სტერლინგი მოუტანა, მაგრამ სამაგიეროდ იგი დიდ ზარალს მიაყენებს ეკონომიკას. ლეიბორისტული პარტიის მემარცხენეები აღნიშნავენ, რომ საქმე ეხება არა მარტო კოლოსალურ შემოსავალს, რომელსაც ახლა მიიღებენ კერძო კომპანიები, არამედ ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო გააძლიერებს ინგლისის დამოკიდებულებას უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის მონოპოლიებზე. მთავრობის ამ ღონისძიებას ინგლისის პრესამ „ინგლისის ეროვნული სირცხვილი" უწოდა.

ინგლისში ნავთობის მოპოვების გაზრდამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ნაოსნობის საქმე. მარტო 1976 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში ჯართად აქციეს ტანკერები 1213500 ტონა წყალწყვის ოდენობისა. საქმე იმაშია, რომ ნავთობის გადასაზიდ გემებზე ტარიფების დაცემის შედეგად მათი ექსპლუატაცია წამგებიანი გახდა.

1976 წლის დეკემბერში კალაგენის მთავრობამ პარლამენტს მიაღებინა ქვეყნის ეკონომიკის გამოჯანსაღების ახალი ეკონომიკური პროგრამა. იგი ითვალისწინებდა სოციალური ხარჯების შემდგომ შემცირებას და გადასახადების გაზრდას. ამ ღონისძიებებით მთავრობას იმედი ჰქონდა ორი წლის განმავლობაში ხალხის ხარჯზე დაეზოგა 2,5 მლრდ. სტერლინგი. მთავრობის ეს პროგრამა გვერდს

---

[1] პრემიერ-მინისტრმა ჯ. ეილსონმა ჩრდილოეთ ზღვაში დაწყებული ნავთობის მოპოვება შეადარა XVIII საუკუნის სამრეწველო რევოლუციას ინგლისში. ახალმა პრემიერ-მინისტრმა კალაგენმა იმედი გამოთქვა, რომ 1977 წელს ინგლისი ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვებს 35—45 მლნ. ტონა ნავთობს. 80-იან წლებში კი ნავთობის მოპოვება გაიზარდა 100—130 მილიონ ტონამდე, რის შედეგად ინგლისი შევიდა ნავთობის მომპოვებელ სახელმწიფოთა ათეულში.

უკლიდა უმუშევრობის ლიკვიდაციის საკითხს. უმუშევრობა კ ერთ-ერთი მიზეზია მოხმარების შეზღუდვისა და, აქედან გამომდინარე, ბაზარზე მოთხოვნების დაცემისა.

1977 წლის აპრილში მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესთან, რომლისგანაც მოითხოვა, რომ იგი დათანხმებულიყო ახალ „სოციალურ კონტრაქტზე", ე. ი. იმაზე, რომ ნებაყოფლობით უარი ეთქვა ხელფასების გაზრდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფასები პირველი მოთხოვნის საგნებზე სწრაფად იზრდებოდა.

ლეიბორისტული მთავრობის მიერ გატარებულმა მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითების კურსმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქვეყანაში და მთავრობა კრიზისის ზღვართან მიიყვანა. კონსერვატორები შეეცადნენ, ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და დაემხოთ ლეიბორისტები. 1977 წლის მარტის ბოლოს კონსერვატორებმა თემთა პალატაში შეიტანეს ლეიბორისტებისადმი უნდობლობის რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა კალაგენის მთავრობის გადადგომას, პარლამენტის ვადამდე ადრე დათხოვნას და არჩევნების ჩატარებას. მაგრამ 34 ხმის უმრავლესობით (322 ხმით 298-ის წინააღმდეგ) ეს წინადადება უაყოფილ იქნა. ლეიბორისტულმა პარტიამ ზოგიერთ ოლქში დამატებითი არჩევნების გამო დაკარგა ის უმნიშვნელო უმრავლესობა, რომელიც მას ჰქონდა 1974 წლის არჩევნებისას (მას მოკავშირეებთან ერთად დარჩა 314 ადგილი, ანუ ერთით ნაკლები, ვიდრე ოპოზიციური პარტიების ბლოკს). მთავრობის ბედი პრაქტიკულად სავსებით დამოკიდებული გახდა ინგლისში სიდიდით მესამე ლიბერალური პარტიის წევრი 13 დეპუტატის პოზიციაზე. თუმცა ლეიბორისტებმა კომპრომისის შედეგად შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება, სიძნელეები პარლამენტში სრულიადაც არ იყო დაძლეული. ამ სიძნელეების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიჩნეულია ხალხთა უკმაყოფილების ზრდა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო. ამასთანავე მემარცხენე ლეიბორისტები გამოდიოდნენ ლიბერალებთან გარიგების წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკა. ლეიბორისტული მთავრობის დიდი შეშფოთება გამოიწვია პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობამ და პროგრესული მმართველობის სისტემის დამყარებამ, რის

შემდეგ მალე პორტუგალიის კოლონიური იმპერიაც დაიშალა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის რასისტული რეჟიმები დამოუკიდებელი აფრიკული ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდა.

1975 წლის იანვარში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი იმყოფებოდა აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში: ზამბიაში, ბოსტვანაში, ტანზანიაში, კენიაში, ნიგერიაში და ა. შ.

1975 წლის თებერვალში ჰ. ვილსონი ვაშინგტონში იმყოფებოდა, სადაც ორდღიანი მოლაპარაკება ჰქონდა ჯ. ფორდთან. მოლაპარაკებიდან ჩანს, რომ მთავარი ყურადღება მიექცა დასავლეთის ქვეყნების მწვავე ფინანსურ-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პრობლემებს. პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, აზრი გაუზიარეს ერთმანეთს ნატოში მათი მონაწილეობის შესახებ. აქ აზრთა სხვადასხვაობა გამომჟღავნდა ენერგეტიკული, ეკონომიკური და რიგი პოლიტიკური პრობლემების ირგვლივ, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის საბადოების დამუშავების საკითხში. ფორდმა შეშფოთება გამოთქვა ინგლისის მიერ ამერიკის ნავთობის კომპანიებზე გადასახადის დაწესების გამო. მაგრამ ვილსონმა დაამშვიდა ფორდი, რომ ეს გადასახადები ხელს არ შეუშლიდა ამერიკის ნავთობის კომპანიებს ჩრდილოეთის ზღვის საბადოების დამუშავებაში; უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრმა ყველაფერი გააკეთა, რათა წაეხალისებინა ინგლისში ამერიკის კაპიტალის დაბანდების საქმე.

ვილსონის მთავრობის პროგრამულ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ განახორციელონ და მხარი დაუჭირონ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელებას, საყოველთაო განიარაღების მიღწევას, უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებას და თერმობირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვას. 1975 წლის 13—14 თებერვალს პრემიერ-მინისტრი ვილსონი და საგარეო საქმეთა მინისტრი კალაგენი ოფიციალური ვიზიტით იყვნენ საბჭოთა კავშირში. აქ განიხილეს პოლიტიკური, საკავშირო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა დარგების ურთიერთობის საკითხები და მათი პერსპექტივები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რეგულარულად მოაწყონ აზრთა გაზიარება დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებსა და ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. საბჭოთა კავშირ-ინგლისის

ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მომავალ ხუთწლედში გააღიდებენ ვაჭრობის მოცულობას ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. 17 თებერვალს ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს „საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივ განცხადებას“, „ოქმს კონსულტაციების შესახებ“ და ერთობლივ „დეკლარაციას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე“. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის. მაგალითად, 1974 წელს ორივე ქვეყნის საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენდა 890 მლნ. მანეთს, 1975 წელს — 960 მლნ-ს, 1976 წელს — 1,2 მლრდ. მანეთს. (ხუთი წლის წინათ კი ამ ციფრის ნახევარსაც არ შეადგენდა).

1977 წლის დამდეგს ბრიტანეთის კონსორციუმმა „კოვერროუმმა“ საბჭოთა ფირმებთან ხელი მოაწერა კონტრაქტს ტიუმენ-ჩელიაბინსკის გაზსადენისათვის კომპრესორული სადგურების მოწოდებაზე (100 მლნ. გირვანქა სტერლინგის ღირებულების).

საკომპენსაციო საფუძველზე ინგლისურ ფირმებთან დადებულია მსხვილი კონტრაქტი საბჭოთა კავშირში 200 ათასი ტონის სიმძლავრის პოლიეთილენის წარმოების კომპლექსური ქარხნის მშენებლობაზე.

საკომპენსაციო საფუძველზე ვითარდებოდა თანამშრომლობა სამომხმარებლო საქონლის წარმოების დარგშიც.

ბრძოლა მშვიდობისათვის. გამალებული შეიარაღების ზრდას, საერთაშორისო დაძაბულობასა და ბირთვული ომის საშიშროებას ომის შემდგომ პერიოდში მოჰყვა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მოძრაობა. იგი განსაკუთრებით გაფართოვდა 1949 წლიდან, როდესაც პროგრესული მოღვაწეებისა და მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტი, ხოლო პროვინციებში — ადგილობრივი კომიტეტები. კომიტეტმა 1950—1951 წლებში კორეის ომში ინგლისის მონაწილეობის გამო და დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენასთან დაკავშირებით მოაწყო მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები და კრებები. მშვიდობისათვის ბრძოლა შერწყმული იყო ხალხთა მასების ბრძოლასთან უკეთესი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისათვის. იგი ფაქტობრივად მშრომელთა პოლიტიკური ბრძოლა იყო.

1952 წელს ინგლისმა მოახდინა პირველი ბირთვული ბომბის გამოცდა წყნარ ოკეანეში, რამაც გამოიწვია ინგლისელი ხალხის მასობრივი მოძრაობა ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის. 1955 წლის სექტემბერში ტრედუნიონთა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ატომური და წყალბადის იარაღის მთელი მარაგის მოსპობას.

ლეიბორისტულ პარტიაში ჩამოყალიბდა მემარცხენეთა ჯგუფი ე. ბევენის მეთაურობით, რომელიც მოითხოვდა მშვიდობისათვის აქტიურ ბრძოლას და წყალბადის იარაღის აკრძალვას. მშვიდობის დაცვის მომხრეთა მოძრაობას მნიშვნელოვან აღმავლობას ინგლისში ადგილი ჰქონდა 1957 წელს, როდესაც შეიქმნა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ბრძოლის კომიტეტი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა „თერმობირთვული განიარაღების მოძრაობის" ორგანიზაციად. ორგანიზაციამ შექმნა მრავალრიცხოვანი ადგილობრივი განყოფილებები ინგლისის ყველა რაიონში და გააჩაღა მოძრაობა ბირთვული იარაღის წარმოების დაუყოვნებლივ შეჩერებისა და მისი მარაგის მოსპობისათვის.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასობრივ მოძრაობას ატომური ბომბის წარმოების აკრძალვისათვის. ამ მოძრაობას „ოლდერმასტონის ლაშქრობა" ეწოდა. ოლდერმასტონში ატომის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია, იგი 80 კმ-ითაა დაშორებული ლონდონიდან.

პირველი ლაშქრობა მოეწყო 1958 წლის აპრილში, რომელშიც მონაწილეობდა 4 ათასი კაცი. ამის შემდეგ ასეთი ლაშქრობების მოწყობა ტრადიციად იქცა და თითქმის ყოველწლიურად მეორდებოდა, 70-იან წლებში ეს მოძრაობა შესუსტდა. 1960 წლის ოქტომბერში „ბირთვული განიარაღების მოძრაობას" გამოეყო დამოუკიდებელი ჯგუფი „110-თა კომიტეტი", რომელიც ისევე როგორც „ბირთვული განიარაღების მოძრაობა" ხელმძღვანელობდა შემდეგი მიზნებით: ინგლისმა უსიტყვოდ უნდა თქვას უარი ბირთვული იარაღის წარმოებასა და გამოცდაზე და მისი გამოყენების მუქარაზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე; ინგლისის ტერიტორიაზე ლიკვიდირებული უნდა იქნეს საზღვარგარეთის და ეროვნული სამხედრო ბაზები და ინგლისმა უნდა გაატაროს ეროვნული დამოუკიდებელი პოლიტიკა.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში იდგა ინგლისის კომუ-

ნისტური პარტია[1], რომელიც ცდილობდა მშვიდობის ძალების გაერთიანებას ერთ ეროვნულ ანტიმონოპოლისტურ ძალად. მისი მოთხოვნაა: საზღვარგარეთული სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ჯარების გამოყვანა დასავლეთ გერმანიიდან, მრავალმხრივი და ატლანტიკური თერმობირთვული ძალების შექმნაზე უარის თქმა და ა. შ.

§ 14. ჩრდილოეთ ირლანდიის ხალხის ბრძოლა მოკალაქეობრივი უფლებებისათვის

1921 წ. ირლანდიის ორად გაყოფის შემდეგ მისი ჩრდილოეთი ნაწილი ბრიტანეთის იმპერიაში დარჩა. ჩრდილოეთ ირლანდიას ოლსტერს უწოდებენ, მას თავისი პარლამენტი და მთავრობა ჰყავს. საარჩევნო სისტემაში დემოკრატიული პრინციპის დარღვევის გამო გაბატონებული მდგომარეობა უნიონისტურ პარტიას უჭირავს, რომელიც აშკარა პრობრიტანულ კურსს ადგას. მდგომარეობა გართულებული იყო რელიგიური შუღლითაც. მოსახლეობის 1/3 კათოლიკეა, 2/3 კი ინგლისიდან ჩასახლებული პროტესტანტები არიან. საქმიან წრეებში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მოხელეებს, მსხვილ ფერმერებს, მაღალხელფასიან მუშებს, რომლებიც, როგორც წესი, პროტესტანტები არიან. კათოლიკეები, ეროვნებით ირლანდიელები, წვრილი ფერმერებისა და არაკვალიფიციური მუშების უმრავლესობას შეადგენენ და ექსპლუატაციასთან ერთად

---

[1] 1975 წლის მარტში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი დათანხმდა გენერალური მდივნის ჯონ გოლანის გადადგომაზე. ჯ. გოლანის წინადადებით დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს გორდონ მაკლელანი — დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრი.

ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომმა მადლობა გადაუხადა ჯ. გოლანს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გ. მაკლელანი გლაზგოს გემთსაშენის მუშის შვილია, 15 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის კომკავშირის მოძრაობაში და რამდენიმე წელიწადს იყო მისი ეროვნული კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა პროფკავშირულ მოძრაობაშიც. 1949 წელს იგი გახდა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის შოტლანდიის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1957 წლიდან გ. მაკლელანი დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის წევრია.

ეროვნულადაც იჩაგრებიან, არ აქვთ სამოქალაქო უფლებები. მათი ხვედრია უმუშევრობა და სიღატაკე, ხელფასი უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე პროტესტანტებს და ა. შ.

1968 წლის ოქტომბერში ოლსტერში, ქალაქ ლონდონდერში, რომელიც ბელფასტის შემდეგ ქვეყნის მეორე დიდი ქალაქია, პირველი შეტაკება მოხდა კათოლიკეებსა და პოლიციას შორის, რაც გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის დაწყების საბაბი. ქვეყანას სამოქალაქო ომი მოედო. ხალხი მოითხოვდა დემოკრატიულ და სამოქალაქო უფლებებს, კათოლიკური მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური ჩაგვრის მოსპობას და ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას.

1969 წლის თებერვალში ოლსტერში ჩატარდა არჩევნები, რომელთა შემდეგ ო. ნეილის მთავრობა ჩიჩესტერ-კლარკის მთავრობამ შეცვალა; მან განაცხადა, რომ იგი ყოველგვარ ზომებს მიიღებს „წესრიგის“ აღდგენისათვის. ეს კი გამოიხატა იმაში, რომ საქმეში ჩაერევა პოლიცია და „სპეციალური“ შეიარაღებული რაზმები. პროტესტანტმა ექსტრემისტებმა მღვდელ იან პეისლის მეთაურობით „შავი ასეული“ შექმნეს და ხალხს მოუწოდეს კათოლიკეები გაენადგურებინათ, მოესპოთ „წყეული ბუდე“. ბელფასტის კათოლიკურ კვარტალებში ხოცვა-ჟლეტა მოეწყო. რიგ ქალაქებში, უპირველეს ყოვლისა, ბელფასტსა და ლონდონდერში საბარიკადო ბრძოლები გაჩაღდა. აჯანყებულმა რაიონებმა თვითმმართველობის ორგანოები აირჩიეს, მათ არ ცნეს ჩიჩესტერ-კლარკის მთავრობა და განაცხადეს, რომ იბრძოლებენ, ვიდრე მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

მეექვსე ლეიბორისტულმა მთავრობამ ოლსტერში „წესრიგის“ აღდგენის მოტივით ჯარები გაგზავნა. ოქტომბერში სისხლისმღვრელი შეტაკებები გაჩაღდა ინგლისის ჯარსა, პოლიციასა და მოსახლეობას შორის. მრავალი ირლანდიელი დაეცა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ინგლისის მთავრობა თუმცა დაპირებას იძლეოდა ოლსტერის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობაზე, რელიგიური უმცირესობისათვის მმართველობის ორგანოებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფასა და პოლიციის სპეციალური ძალების გაუქმებაზე. მაგრამ ამ უკანასკნელის ნაცვლად შექმნა „ოლსტერის დაცვის პოლკები“, რომლებსაც იგივე ამოცანა ეკისრებოდა. ოლ-

სტერის მშრომელთა მასების ბრძოლის წარმატებისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის ყველა ძალის გაერთიანება. 1970 წლის მარტში ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტია და მუშათა პარტიები გაერთიანდნენ ერთიან კომუნისტურ პარტიად.

1970 წლის ივნის-ივლისში ბელფასტში, ლონდონდერსა და ოლსტერის სხვა ქალაქებში სიახლისმღვრელი შეტაკებები მოხდა, რომლებიც რეაქციონერი პროტესტანტი მღვდლის ი. პეისლის მიერ იყო პროვოცირებული. ინგლისის ჯარების გაზრდამ ბელფასტში კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ამ დროს ლეიბორისტები მთავრობაში შეცვალეს კონსერვატორებმა, რომელთაც კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1971 წლის ოქტომბერში ინგლისის ჯარების რაოდენობა ოლსტერში 14 ათასამდე გაიზარდა.

რეპრესიებმა ოლსტერში ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია ინგლისსა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის. ეს უკანასკნელი ინგლისის მთავრობას აფრთხილებდა, რომ იგი მხარს დაუჭერს ოლსტერის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას, თუ სამხედრო ძალის გამოყენება გაგრძელდებოდა. ორივეს საზღვარზე ინციდენტები მოხდა.

1969 წ. მასობრივი რეპრესიების საპასუხოდ ჩრდილოეთ ირლანდიელებმა შექმნეს ტერორისტული ორგანიზაცია ირლანდიის რესპუბლიკური არმია (ირა), რომელიც კათოლიკური მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდა და ტერორისტული ბრძოლა გააჩაღა ინგლისელების წინააღმდეგ, რათა აეძულებინა ისინი ჩრდილოეთ ირლანდიიდან წასულიყვნენ. მაგრამ ამ ტერორისტულმა ბრძოლის ტაქტიკამ ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რის გამოც მთელი მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

1972 წლის 30 მარტს ინგლისის პარლამენტმა კანონი მიიღო ჩრდილოეთ ირლანდიაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ბრიტანეთის კაბინეტისათვის გადაცემის შესახებ. ამ ღონისძიების წინააღმდეგ გამოვიდნენ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები. უნიონისტთა მემარჯვენე ფრთამ სამრეწველო საბოტაჟისა და შეიარაღებული თავდასხმების კამპანია გააჩაღა. დარბეულ იქნა კათოლიკური კვარტალები, რამაც მოსახლეობის საპროტესტო

გამოსვლები გამოიწვია. ამ უკანასკნელს ის მოჰყვა, რომ ინგლისის ჯარები გაზარდეს 21 ათას კაცამდე და მოახდინეს ბელფასტისა და ლონდონდერის კათოლიკური კვარტალების ოკუპაცია.

1972 წელს ბელფასტში რეაქციონერებმა შექმნეს ახალი მილიტარისტული ორგანიზაცია „ლოიალისტები გაერთიანებული ფრონტის" სახელწოდებით, რომელიც 100 ათას კაცს ითვლიდა. მისი ხელმძღვანელი გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი უ. კრეიგი. მან „ფრონტის" მთავარ მიზნად გამოაცხადა უნიონისტთა პარტიის შეცვლა და ლონდონის ყოველგვარ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

ინგლისის მთავრობა 4½ წლის განმავლობაში სისხლში ახშობდა ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებს. 1973 წლის მარტში ოლსტერში ჩატარდა რეფერენდუმი მისი მომავლის შესახებ. იგი მიმდინარეობდა 18-ათასიანი ინგლისელთა საოკუპაციო ჯარებისა და 35-იათასიანი ე. წ. „უშიშროების ძალების" კონტროლის ქვეშ. გარდა ამისა ოლსტერის მოსახლეობის 60%-ს შეადგენდნენ პროტესტანტები, რომელნიც კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ოლსტერის ირლანდიასთან გაერთიანებისა, ამიტომ უმრავლესობამ ასეთ მოთხოვნას (ე. ი. ბრიტანეთის იმპერიაში დარჩენას) მისცა ხმა.

რეფერენდუმის შემდეგ მთავრობამ ოლსტერის შესახებ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი". იგი ითვალისწინებდა ჩრდილოეთ ირლანდიაში ასამბლეის შექმნას, რომელიც შეცვლიდა ადგილობრივ პარლამენტს. გარკვეული დათმობები იყო გათვალისწინებული კათოლიკური მოსახლეობისადმი. უნდა შემოღებულიყო პროპორციული წარმომადგენლობა, მაგრამ ამავე დროს ძველი პარლამენტის უფლებებთან შეფარდებით ასამბლეის უფლებები შეიკვეცა. 30 მაისს პირველად 50 წლის განმავლობაში შედგა ასამბლეის აირჩევნები, რომელთა დროსაც ერთიანი უნიონისტური ბლოკი რამდენიმე ფრაქციად დაიშალა. კათოლიკურმა მოსახლეობამ ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ ლეიბორისტულ პარტიას. ამ უკანასკნელსა და უნიონისტურ ალიანსს შორის 1973 წლის 22 ნოემბერს ბ. ფოლკნერის მეთაურობით შეთანხმება დაიდო აღმასრულებელი საბჭოს ფორმირების შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ პროტესტანტები ექსტრემისტები, რომელთაც არ სურდათ კათოლიკურ უმცირესობასთან ხელისუფლების გაზიარება.

1973 წლის დეკემბრის დასაწყისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პრემიერ-მინისტრ ე. ჰიტსა, ბ. ფოლკნერსა და ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ლ. კოსგრეითს შორის, რომლის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ირლანდიის საბჭოს და საკონსულტაციო ასამბლეის შექმნის შესახებ. მასში უნდა შევიდნენ ირლანდიის და ინგლისის მთავრობების თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ორგანოების რწმუნებები ზუსტად არ იყო განსაზღვრული. მემარჯვენე ექსტრემისტების ამ გეგმის წინააღმდეგ გამოსვლისა და მასობრივი ტერორის გაჩაღების გამო, რომელსაც ფარულად აღვიქვამდა ინგლისის მთავრობა, ეს გეგმაც ჩაიშალა.

1974 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამაც ვერ მოაწესრიგა მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1975 წლის მარტში თვითონ პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი ჩავიდა ბელფასტში და განაცხადა, რომ 1 მაისს ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კონვენტის არჩევნები ჩატარდებოდა. 1975 წლის მაისის არჩევნების შედეგად შეიქმნა ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კონვენტი, რომელშიც შევიდნენ ორივე რელიგიის წარმომადგენლები. მას დაევალა ოლსტერის მართვის ფორმის შემუშავება. კონსტიტუციურ კონვენტში დიდ უმრავლესობას შეადგენენ უკიდურესი მემარჯვენე პროტესტანტული პარტიები და დაჯგუფებები, რომელთაც შექმნეს იუნიონისტური კოალიცია. იუნიონისტური კოალიაცია კონვენტის მთელი ექვსი თვის მუშაობის შემდეგ უარყოფდა პროვინციის კათოლიკურ და პროტესტანტულ მოსახლეობას შორის ძალაუფლების განაწილების ყველა ფორმას. 1975 წლის შემოდგომაზე მან მიიღო მოხსენების პროექტი, რომლის თანახმად მთელი ძალაუფლება პროტესტანტების ხელში რჩება. საბოლოო კენჭისყრის შემდეგ რეკომენდაციები განსახილველად ინგლისის პარლამენტს ეგზავნება.

გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, მარტო 1976 წელს ოლსტერში ყოველდღიურად კლავდნენ ერთ კაცს, ჭრიდნენ ოთხს, ხდებოდა ორი აფეთქება და ხუთი შეიარაღებული შეტაკება.

1976 წელს ლეიბორისტებმა გააუქმეს კონსტიტუციური კონვენტი და აღადგინეს ლონდონიდან „პირდაპირი მმართველობა“. 1976 წლის სექტემბერში დაინიშნა ჩრდილოეთ ირლანდიის საქმე-

ების მინისტრი რ. მეისონი, მაგრამ ამან მდგომარეობა ვერ გამოასწორა.

მემარჯვენე ექსტრემისტულ-პროტესტანტული წრეები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ყოველგვარ ღონისძიებებს, რომლებიც უმნიშვნელოდაც კი შეასუსტებს მათ გაბატონებულ მდგომარეობას და თანაბარ უფლებებს მიანიჭებს პროვინციის მოსახლეობას. მათ განკარგულებაშია გასამხედროებული პროტესტანტული „ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია", რომელიც 50 ათას კაცს აერთიანებს და მთავრობას ახალი ქაოსით ემუქრება, თუ იგი გაბედავს და კათოლიკური მოსახლეობის სასარგებლოდ რაიმე დათმობაზე წავა. არსებობს შეიარაღებული პროტესტანტული ახალგაზრდობის ექსტრემისტული ორგანიზაციები, ოლსტერის კორპუსის სამსახური და ოლსტერის ვოლონტერთა ძალები, რომლებიც არბევენ და ჩხრეკენ ოლსტერის რიგი ქალაქების კათოლიკურ კვარტალებს.

გაძლიერდა აგრეთვე ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ტერორისტული საქმიანობა. მისი რიგებიც იზრდებოდა და ტერორისტული ქმედებანიც.

რ. მეისონმა 1977 წლის 5 თებერვლის გამოსვლისას გაამართლა ის ფაქტი, რომ ოლსტერში სამხედრო ძალას ეყრდნობიან, თუმცა ისიც აღიარა, რომ „უშიშროების ძალების" შვიდი წლის იქ ყოფნას არ მოჰყოლია ვითარების ნორმალიზაცია. მისი აზრით, „ტერორის ჩასახშობად" საჭიროა ჩრდილოეთ ირლანდიაში კიდევ უფრო მკაცრი ტერორის შემოღება.

1971 წლის დეკემბერში ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობამ საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კომისიაში ინგლისის მთავრობის სამხედრო პოლიტიკური თვითნებობისა და ძალადობის შესახებ ოლსტერში. კომისია საქმეს იძიებდა 4 წლის განმავლობაში, დაკითხეს 119 მოწმე. 1976 წლის იანვარში კომისიამ გააანალიზა თავისი დასკვნები, რომლებიც იმავე წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა ლონდონსა და დუბლინში.

1977 წლის თებერვალში კომისიამ საქმე გადასცა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს, რომელიც გაიმართა

---

[1] 1950 წელს ევროპის სახელმწიფოებმა, მათ შორის ინგლისმაც, ხელი მოაწერეს კონვენციას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და ამ უფლების უზრუნველყოფის მიზნით დააწესეს საჩივრების განხილვის კომისია და კონვენციის დარღვევის შემთხვევაში — სასამართლო.

სტრასბურგში. სასამართლოსათვის წარდგენილ მოხსენებაში მოყვანილია ოლსტერის მცხოვრებთა წამებისა და აბუჩად აგდების აღმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ და იურიდიულ ნორმებს. ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საგანგებო კანონმდებლობის სისტემა მიზნად ისახავს მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობას. ამ სისტემის მთავარი მსხვერპლი არიან კათოლიკე ირლანდიელები, რომლებიც უსასტიკეს პოლიტიკურ და სოციალურ დისკრიმინაციას განიცდიან. ირლანდიის მთავრობა სთხოვს სტრასბურგის სასამართლოს გამოიტანოს გადაწყვეტილება ინგლისის ხელისუფალთა უმსგავსო აქციებისა და მეთოდების შეუწყნარებლობის შესახებ. სასამართლოზე ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლმა ასოციაციამ წარადგინა პეტიცია, რომელშიც მოცემულია ოლსტერში გამოძიების ძალმომრეობის მეთოდებით წარმოება, ადამიანთა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ინტერნირება, პატიმართა წამება და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტები. ირლანდიის რესპუბლიკის პროკურორმა ამ პროცესზე განაცხადა, რომ ინგლისის ხელისუფლების მოქმედება ოლსტერში წინასწარ შემუშავებული იმ პროგრამის შედეგია, რომელიც ითვალისწინებს აქ „წესრიგის“ აღდგენას ძალის გამოყენებით. ამის გამო კათოლიკე ირლანდიელები უსასტიკეს პოლიტიკურ და სოციალურ დისკრიმინაციას განიცდიან.

საჯარო სასამართლო გარჩევის მსვლელობაში სტრასბურგში ლონდონის წარმომადგენლებს ვერ უშველა ვერც იურიდიულმა ხრიკებმა, კერძოდ, ისინი ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეეკვეწროებინათ თვით სასამართლოს იურისდიქცია, ვერც „საგანგებო ვითარებისა“ და მასთან დაკავშირებით ინგლისის ადმინისტრაციის „შეცდომების“ მომიზეზებამ. ირლანდიის გენერალურმა პროკურორმა უარყო ინგლისის მხარის მტკიცების ყველა პუნქტი და დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საგანგებო კანონმდებლობის სისტემა, რომლის მსხვერპლი არიან კათოლიკე ირლანდიელები, მიზნად ისახავს მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობას.

მოისმინა რა ორივე მხარისა და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენლების განცხადებები, სტრასბურგის სასა-

მართლმ თავის მუშაობაში გამოაცხადა შეკვეთება იმ თარიღამდე, რომელიც მან ჯერ კიდევ უნდა განსაზღვროს.

ერთი რამ უდავოა, რომ ამ პროცესმა ინგლისის მმართველი წრეები მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე სამარცხვინო ბოძზე გააკრა. ინგლისის მმართველი წრეები ხშირად ნიანგის ცრემლებს ღვრიან სხვა ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, თვითონ კი სიხლში ახშობენ ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

სტრასბურგის პროცესის შემდეგ ლონდონი იძულებული გახდა პირდაპირი მოლაპარაკება გაემართა ირლანდიის რესპუბლიკასთან. შეიქმნა ამ ორივე სახელმწიფოს ერთობლივი ანტიდისკრიმინაციული კომისია, რომელიც იხილავს კათოლიკების ყოველგვარი უფლებების დარღვევას და სასტიკ ზომებს იღებს დამრღვევთა წინააღმდეგ. დაგმობილია აგრეთვე ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ტერორისტული საქმიანობა. თუ მას ადრე მოსახლეობაც და ირლანდიის მთავრობაც მხარს უჭერდა, ახლა მხარდაჭერა ორივე მხრიდან შეწყდა და მათ ამ ურთულესი პრობლემის გადასაწყვეტად მშვიდობიანი გზა აირჩიეს. 1985 წელს ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა მ. ტეტჩერმა და გ. ფიტჯერალდმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის საფუძველზე ირლანდიის მთავრობას ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხებში საკონსულტაციო როლი ენიჭება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარ დანაშაულებრივ ქმედებაზე კათოლიკების მიმართ ჩრდილოეთ ირლანდიაში ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობას უფლება ენიჭება მოითხოვოს განმარტება და დამნაშავის დასჯა. ამ შეთანხმებამ პროტესტანტ იუნიონისტების დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ დანაშაულის დაუსჯელობის დრო წავიდა, თანდათანობით წესრიგი მყარდება, კათოლიკებიც დაწყნარდნენ. მ. ტეტჩერის მიერ დანიშნული ჩრდილოეთ ირლანდიაში საქმეების მინისტრმა პ. ბრუკმა შექმნა შერეული პროტესტანტ-კათოლიკური ადმინისტრაცია და თანდათანობით მოგვარდა ის წინააღმდეგობანი, რომელიც აქ არსებობდა. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დრო და დრო ოლსტერში მაინც ხდება შეტაკებები კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის და ამის გამო ურთიერთობის გამწვავება დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის.

§ 15. დიდი ბრიტანეთი 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 80-იან წლებში

ეკონომიკური მდგომარეობა. ინგლისი ამ პერიოდშიც მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ რჩებოდა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. 1984 წლისათვის მას მეხუთე ადგილი ეკავა კაპიტალისტურ სამყაროში სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობით (აშშ-ს, იაპონიის, გფრ-ის და საფრანგეთის შემდეგ). მრეწველობა იძლევა საერთო ეროვნული პროდუქტის 50% და ექსპორტის 90%-ს. 1984 წ. დიდ ბრიტანეთზე მოდიოდა კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოების 4,5% (1938 წ. — 12,5%, 1960 წ. — 8,3%). წამყვანი დარგებია: დაზგათმშენებლობის, ელექტრონიკის, საავიაციო, ქიმიური, საავტომობილო.

მაღალგანვითარებულ მთლიანად მექანიზებულ სოფლის მეურნეობას ემსახურება 600 ათასი კაცი, ე. ი. მოსახლეობის 1,6%. სოფლის მოსახლეობა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყანას ძირითადი პროდუქტებით. წამყვანი დარგებია: ხორცის და რძის, მეცხვარეობა, მეღორეობა. მიწა მემამულეების ხელშია და იჯარით აძლევენ ფერმერებს.

დიდი ბრიტანეთი კვლავ რჩება ერთა თანამეგობრობის ქვეყნად, რომელშიც შედის მისი ყოფილი კოლონიები, დღეისათვის კი 49 დამოუკიდებელი სახელმწიფო და 12 კოლონიური და დამოკიდებული, ძირითადად კუნძულები. მართალია ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის პოზიციები მნიშვნელოვნად დასუსტდა, მაგრამ იგი კვლავ რჩება მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოდ, ინარჩუნებს ძლიერ ეკონომიკურ, ფინანსურ და სამხედრო პოლიტიკურ პოზიციებს მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემაში.

70-იან წლებში ინგლისის ეკონომიკაში შეიქმნა სერიოზული სიძნელეები, მაგრამ 70-იანი წლების მეორე ნახევარში ინგლისის ეკონომიკა გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან. 1977 წელს დაიწყო ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება. 1973 წლის კრიზისამდელ დონეს ინგლისის ეკონომიკამ მხოლოდ 1978 წლის დამდეგს მიაღწია, მაგრამ 70—80-იანი წლების მიჯნაზე ინგლისის ეკონომიკა კვლავ ახალი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვანახშირის, ფოლადისა და სა-

ავტომობილო მრეწველობა. მაგრამ მრეწველობის ახალ დარგებს — ნავთობისა და გაზის მრეწველობას სიძნელეები არ შეხვედრია და პირიქით, ეს დარგები ვითარდებოდა. 1979 წელს ინგლისმა ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვა 75 მილიონი ტონა ნავთობი, რაც მთლიანად აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს. სპეციალისტების აზრით ჩრდილოეთის ზღვაში არსებული ნავთობის საბადოები მთელი მსოფლიოს ნავთობის საბადოების 3% შეადგენს. 1981 წლის მაისისათვის სამრეწველო წარმოება კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის 18%-ით დაეცა, ხოლო საერთო ეროვნული პროდუქტი კი 7,5%-ით. განსაკუთრებით დაზარალდა დამამუშავებელი მრეწველობა, კერძოდ, შავი მეტალურგია, ქიმიური, საავტომობილო, გემთმშენებლობის, საფეიქრო მრეწველობა. მაგრამ დაზარალდა აგრეთვე მომპოვებელი დარგები — ნავთობის, ქვანახშირის. კრიზისის დროს ძლიერად გამოვლინდა ინფლაცია, გაიზარდა ფასები; 1983 წ. უმუშევრობამ 3 მილიონამდე მიაღწია. კრიზისს მოჰყვა დეპრესია, რომელიც გაგრძელდა 1983 წლამდე. რის შემდეგ დაიწყო წარმოების გამოცოცხლება განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობაში. კრიზისის შემდგომ პერიოდში დაიწყო მანამდე არნახული მასშტაბებით სამრეწველო და საავაჭრო კომპანიების გაერთიანება, რომელიც 1984 წლისათვის 500-მდე სამრეწველო და საავაჭრო კომპანიას შეეხო. დიდი ბრიტანეთი ამავე დროს 80-იან წლებშიც კვლავ რჩებოდა საზღვარგარეთ. უპირატესად თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებში კაპიტალის უდიდეს დაბანდების ქვეყნად. მაგალითად, მარტო 1979 წლიდან 1984 წლამდე დიდი ბრიტანეთიდან გატანილ იქნა 50 მილიარდი გირვანქა სტერლინგი. კრიზისის და მის შემდგომ პერიოდში, 1979 წლიდან 1984 წლამდე ბრიტანეთის კომპანიებმა გაზარდეს თავისი აქტივები აშშ-ში 18,5 მილიარდი დოლარიდან 32,5 მილიარდ დოლარამდე; ამავე დროს ამერიკის; დასავლეთ გერმანიის და იაპონიის მონოპოლიები გაძლიერებით იჭრებიან არა მარტო თანამეგობრობის ქვეყნებში, არამედ თვით მეტროპოლიაში და იკავებენ იქ მტკიცე პოზიციებს. მარტო 1979 ან 1984 წლამდე უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში შეადგენდა 22 მილიარდ გირვანქა სტერლინგს.

80-იან წლებში დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო სტრუქტურული გარდაქმნები. მონოპოლიები ფართოდ ნერგავდნენ წარმოებაში ახალ ტექნოლოგიას. კონსერვატო-

რული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურება ამ დროისათვის ხასიათდებოდა უპირატესად კერძო ბიზნესის წახალისებაში, სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის შეკვეცა ეკონომიკაში და ადრე ნაციონალიზებული საწარმოების დენაციონალიზაცია, ე. ი. კერძო კაპიტალისათვის გადაცემა.

დიდი ბრიტანეთის ექსპორტის ღირებულება, მაგალითად, 1984 წლისათვის შეადგენდა 70 მილიარდამდე, იმპორტისა — 66,5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს, რაც ძირითადად მოდიოდა თანამეგობრობისა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებზე. იზრდება (34%-ით) აგრეთვე ინგლისის საქონლის შეტანა აშშ-ში. სოციალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა (1988 წლისათვის) ექსპორტის 2,3, იმპორტის — 2,6%.

კონსერვატორული და ლეიბორისტული პარტიების მთავრობები 1970—1979 წწ.

როგორც ვიცით, 1970 წლის 17 ივნისს ლეიბორისტებმა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები დანიშნეს და დამარცხდნენ, კონსერვატორებმა გაიმარჯვეს და შეიქმნა ამ პარტიის მაშინდელი ლიდერის ედვარდ ჰიტის მთავრობა. ამ მთავრობის დროს, 1973 წლის 1 იანვრიდან ინგლისი „საერთო ბაზრის" წევრი გახდა. კონსერვატორები უპირატესობას აძლევდნენ კერძო კაპიტალისტური სექტორის განვითარებას და იწყეს სახელმწიფო საწარმოების კერძო კაპიტალისათვის გაყიდვა, ან რიგი საწარმოების დახურვა არარენტაბელური წარმოების გამო. მაგალითად, მთავრობამ განიზრახა გლაზგოსთან მდებარე ხუთი გემთმშენებლობის ქარხნის დახურვა, სადაც ათასობით მუშა მუშაობდა, რასაც მუშებმა უპასუხეს გაფიცვის გამოცხადებით და ხელი შეუშალეს მთავრობის გადაწყვეტილებას. 1972 წლის დამდეგს გაიფიცა 280 ათასი მემაღაროელი მუშა, რომელნიც გამოვიდნენ მაღაროების დახურვის წინააღმდეგ. 1972 წლის აპრილში გაიფიცა 200 ათასი რკინიგზელი.

კონსერვატორული მთავრობის მიერ გამოცხადებულ „ხელფასების გაყინვის" კურსს მოჰყვა მრავალრიცხოვანი გაფიცვები, არა მარტო მუშებისა, არამედ აგრეთვე მასწავლებლის, სტუდენტების, საფოსტო მუშების, მედიცინის მუშაკებისა და ა. შ. საგაფიცვო მოძ-

რაობის გაზრდის საპასუხოდ. ე. ჰიტის მთავრობამ 1973 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. 1974 წლის 1 იანვრიდან საწარმოების დიდი ნაწილი სამკვირიან სამუშაოზე იქნა გადაყვანილი. ამის შედეგი ის იყო, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 30%-ით დაეცა და მკვეთრად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. კონსერვატორების აშკარად გამოკვეთილმა ანტიმუშურმა პოლიტიკამ ამ მთავრობის გავლენის დაცემა გამოიწვია და 1974 წლის 23 თებერვალში ჩატარებული არჩევნების დროს წარმატებას ლეიბორისტულმა პარტიამ მიაღწია.

კონსერვატორების საგარეო პოლიტიკა

ე. ჰიტის საგარეო პოლიტიკამ გამოკვეთილად მიიღო პრომეთეული ხასიათი. კონსერვატორები მხარს უჭერდნენ აშშ-ს ომს ინდოჩინეთში, ამასთანავე, 70-იან წლებში დაწყებული საერთო დაძაბულობის შენელებასთან დაკავშირებით, კონსერვატორებმა გააუმჯობესეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რომელთანაც 1971 წლის იანვარში დაიდო შეთანხმება მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ 1971—1973 წლებში. 1973 წლის ბოლოს მოსკოვში ჩამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ა. დუგლას-ჰიუმი.

ლეიბორისტული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა (1974—1979 წწ.)

ლეიბორისტების წინასაარჩევნო პროგრამა დაპირებას იძლეოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში თავისი კონტროლის ქვეშ აიღებდა კაპიტალის 51%, რომელიც ნავთობის მრეწველობაში იყო დაბანდებული, განახორციელებდა გემთმშენებლობისა და საავიაციო მრეწველობის ნაციონალიზაციას და შექმნიდა ეროვნული მრეწველობის სამმართველოს, რომელიც მთავრობის დავალებით შეისყიდდა კერძო აქციებს. მაგრამ ლეიბორისტების ეს დაპირება და მთავრობის პოლიტიკა უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. 1973 წელს ამ პარტიის კონფერენციაზე მიღებულ „ლეიბორისტული

პროგრამა ბრიტანეთისათვის“ ითვალისწინებდა 25 უმსხვილესი დამამუშავებელი მრეწველობის მონოპოლიის ნაციონალიზაციას.

1974 წ. 28 თებერვალს ჩატარებული რიგგარეშე არჩევნების დროს, ლეიბორისტებმა 635 ადგილიდან 301 ადგილი მიიღეს პარლამენტში. ხოლო კონსერვატორებმა კი — 296.

1974 წ. მარტში შეიქმნა ლეიბორისტული მთავრობა ჰ. ვილსონის მეთაურობით. ამ მთავრობამ დააკმაყოფილა სამთამადნო მუშების მოთხოვნები და 20% გაუზარდა მათ ხელფასები და ორ კვირიანის ნაცვლად სამკვირიანი ფასიანი შვებულება შემოიღო მათთვის. მაგრამ ლეიბორისტების მიერ რიგი სოციალური ღონისძიებების განხორციელება პარლამენტში აწყდებოდა წინააღმდეგობას, სადაც ლეიბორისტებს არ ჰქონდათ მტკიცე უმრავლესობა. ამიტომ, 1974 წლის 10 ოქტომბერს ლეიბორისტებმა რიგგარეშე არჩევნები ჩაატარეს და მიიღეს მტკიცე უმრავლესობა. ლეიბორისტებმა მიიღეს 319, კონსერვატორებმა — 276, ლიბერალებმა კი — 13 დეპუტატის ადგილი.

ამის შემდეგ ლეიბორისტებმა უფრო აქტიური ღონისძიებები განახორციელეს ინფლაციის წინააღმდეგ, მიაღწიეს ეკონომიკის გამოცოცხლებას, გააუქმეს კონსერვატორების მიერ შემოღებული საგანგებო კანონი „მრეწველობისადმი დამოკიდებულების შესახებ“, გაზარდეს პენსიები და უმუშევრების დახმარებები, ერთი წლით „გაყინეს“ ბინის გადასახადის გაზრდა. ამავე დროს ლეიბორისტებმა გაზარდეს ფასები გაზსა და ელექტროენერგიაზე; გაიზარდა საშემოსავლო არაპირდაპირი გადასახადები, შეამცირეს სახელმწიფო სუბსიდიები სასურსათო საქონელზე, საბინაო მშენებლობაზე. 1975 წლის ივლისში განხორციელდა ანტიინფლაციური ღონისძიებები, რომელნიც ზღუდავდა ხელფასების ზრდას, მაგრამ არ ითვალისწინებდა რაიმე ღონისძიებებს ფასების ზრდის საქმეში. 1975 წელს ჩატარდა რეფერენდუმი ინგლისის „საერთო ბაზარში“ მონაწილეობის საკითხზე. საყურადღებოა, რომ 1975 წლის 26 აპრილს შემდგარმა ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის მონაწილეების უმრავლესობამ მოითხოვა ინგლისის გამოსვლა „საერთო ბაზრიდან“.

საყურადღებოა, რომ მთელი 1974 წლის განმავლობაში და 1975 წლის დამდეგს ინგლისის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა „საერთო ბაზრის“ კომისიასთან ინგლისის ამ ორგანიზაციაში ყოფ-

ნის პირობების შესახებ. ეს მოლაპარაკება დასრულდა 1975 წლის 10—11 მარტს დუბლინში „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მთავრობების მეთაურების შეხვედრით, რომლის დროსაც ინგლისმა იმას მიაღწია, რომ შეამცირა თავისი შესატანი გაერთიანების ბიუჯეტში. გარდა ამისა, უფლება მიიღო ერთა თანამეგობრობის ზოგიერთი ქვეყნიდან და ახალი ზელანდიიდან ევროპის გაერთიანებაში რძის პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობის და შაქრის შეტანაზე, აგრეთვე ზოგიერთი საკურსათო საქონლის ფასების სუბსიდირებაზე და ფერმერული მეურნეობის ნაწილისათვის ფინანსური დახმარების გაწევაზე. მთავრობამ ისეთნაირად დაახასიათა ისინი ხალხის წინაშე, როგორც დიდი მიღწევა და მოუწოდა ხალხს ხმა მიეცათ ინგლისის „საერთო ბაზარში“ დარჩენისათვის.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის დარჩენის წინააღმდეგ გამოდიოდნენ კომუნისტები, პროფკავშირთა მოძრაობის დიდი ნაწილი, თვით მთავრობაშიც კი არ იყო ერთსულოვნება ამ საკითხზე — კაბინეტის 7 წევრი 23-დან წინააღმდეგი იყო ინგლისის „საერთო ბაზარში“ დარჩენისა. განხეთქილება მოხდა პარლამენტის ლეიბორისტულ ფრაქციაში — თითქმის ნახევარი მოითხოვდა „საერთო ბაზრიდან“ გამოსვლას.

1975 წლის 5 ივნისში შემდგარ რეფერენდუმზე მონაწილეთა 67.2% მოითხოვა ინგლისის „საერთო ბაზარში“ დარჩენა, ხოლო 32,8%-მა კი მოითხოვა „საერთო ბაზრიდან“ გამოსვლა. მსხვილმა ბურჟუაზიამ, კონსერვატორებმა, ლიბერალებმა, მემარჯვენე ლეიბორისტებმა მოითხოვეს ინგლისის „საერთო ბაზარში“ დარჩენა.

მაგრამ ჰ. ვილსონის ყოველგვარი ცდა, რომ მიეღწია ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრად ამაღლებისათვის, უშედეგოდ დასრულდა, რის გამოც იგი 1976 წლის მარტში გადადგა როგორც მთავრობის, ასევე პარტიის ხელმძღვანელობიდან. 5 აპრილს მთავრობის სათავეში ჩაუდგა პარტიის ახალი ლიდერი ჯ. კალაგენი. ახალი მთავრობა ქვეყნის ფინანსების გამოჯანსაღებას საზღვარგარეთის სესხების და „ხელფასების გაყინვის“ გზით ცდილობდა. რაც ხალხის საერთო უკმაყოფილებას იწვევდა. ქვეყანა მოიცვა ძლიერმა გაფიცვებმა. თვით ლეიბორისტული პარტიის შიგნით თავი იჩინა ფრაქციულმა ბრძოლამ მემარჯვენე და მემარცხენე ფალებს შორის. ამას ზედ დაერთო ოლსტერში მიმდინარე მწვავე ბრძოლა. იზრდებოდა ტერორისტული აქტები ირლანდიის რეაპუბლიკური არმიის ექ-

ტრემისტული ელემენტებისაგან. ამის საპასუხოდ ლეიბორისტებმა გააძლიერეს რეპრესიები ოლსტერში. ამასთანავე თავი წამოყვეს რეაქციულმა ძალებმა, პროფაშისტულმა ელემენტებმა, რომელთაც შექმნეს რასისტული ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტის“ სახელწოდებით და ქვეყანაში გაშალეს ბრძოლა ლოზუნგით „გააძევეთ ფერადკანიანი მცხოვრებნი ინგლისიდან!“. ეს ლოზუნგი მიმართული იყო ინგლისში ომის შემდეგ ჩამოსახლებულ 2 მილიონამდე ფერადკანიანის წინააღმდეგ. რასისტებმა 1977 წლის 13 აგვისტოს მოაწყვეს მსვლელობა ლონდონზე, სადაც მოხდა შეტაკება — 200-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს და 100 კაცზე მეტი შეტაკების დროს დაიჭრა. ორი დღის შემდეგ რასისტებმა კიდევ ერთი შეტაკება მოაწყვეს. ამის საპასუხოდ ქვეყნის დემოკრატიულმა ძალებმა შექმნეს ანტირასისტური ლიგა, რომელშიც 100-მდე პროფკავშირი გაერთიანდა და რიგი ანტირასისტული მანიფესტაცია მოაწყო ლონდონში და სხვა ქალაქებში.

ასეთ მწვავე ვითარებაში, 1979 წლის 3 მაისს ინგლისში ჩატარდა მორიგი საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც გამარჯვება კონსერვატორებს მოუტანა.

ლეიბორისტების საგარეო პოლიტიკა

ლეიბორისტულმა მთავრობამ მხარი დაუჭირა უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთო ევროპული თათბირის მოწვევას ჰელსინკში. ინგლისის დელეგაციას სათავეში ედგა ჰ. ვილსონი. ლეიბორისტების დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ვაჭრობის, ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგებში. ჰ. ვილსონი გამოვიდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის შენელების და ორ სისტემას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრედ.

1974 წლის მაისში ლონდონში ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას 10 წლის ვადით ინგლისსა და სსრ კავშირს შორის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ.

1975 წლის თებერვალში, შვიდწლიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა კავშირში ვიზიტით იყო პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი. მო-

ლაპარაკების შედეგად ორივე მხარემ ხელი მოაწერა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს: ერთობლივ საბჭოთა კავშირ-ინგლისის განცხადებას, საბჭოთა კავშირ-ინგლისის ოქმს კონსულტაციების შესახებ, ერთობლივ დეკლარაციას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე. ხანგრძლივვადიან პროგრამას თანამშრომლობის განვითარების შესახებ ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში, პროგრამას თანამშრომლობაზე მეცნიერების და ტექნიკის დარგში ათი წლის ვადით, შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ მედიცინის, მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დარგში. ამ დოკუმენტებმა ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობის მყარი საფუძველი შექმნეს ამ ორი ქვეყნის კონსტრუქციული, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის. 1977 წლის ოქტომბერში მოსკოვში ვიზიტით ჩამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ოუენი, რომლის დროსაც ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმება ომის შემთხვევით აღმოცენების თავიდან აცილების შესახებ.

გაფართოვდა ინგლისის თანამშრომლობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ახლო აღმოსავლეთში ინგლისს კარგი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ისრაელთან და ზოგიერთ კონსერვატორულ არაბულ სახელმწიფოებთან. ლეიბორისტები მხარს უჭერდნენ ახლო აღმოსავლეთის საკითხის ამერიკელების მიერ წამოყენებული კონფლიქტის სეპარატიული გზით მოგვარებას. ლეიბორისტები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიისადმი ახორციელებდნენ კომპრომისის კურსს.

1975 წლის ბოლოს გამწვავდა ურთიერთობა ინგლისსა და ისლანდიას შორის იმის გამო, რომ ლონდონმა უარი თქვა ეცნო ისლანდიის მთავრობის მიერ გამოცხადებული თევზჭერის 200 მილის ზოლი. საქმე ამ ქვეყნების ფლოტების შეტაკებამდეც კი მივიდა. 1976 წლის იანვარში მათ შორის გაიმართა მოლაპარაკება, მაგრამ მან შედეგი ვერ გამოიღო. 1976 წლის თებერვალში კი ისლანდიამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ინგლისთან.

1974 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ლეიბორისტებმა ვეტო დაადეს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციას გაეროდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარიცხვის შესახებ. მაგრამ ხალხის ზეგავლენით ლეიბორისტები

იძულებულნი გახდნენ ემბარგო დაედოთ იარაღის მიწოდებაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის და ჩილესათვის.

მ. ტეტჩერის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ლეიბორისტული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ამომრჩევლებმა 1979 წლის აპრილში ჩატარებული არჩევნების დროს ხმა მისცეს კონსერვატორულ პარტიას. კონსერვატორებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს პარლამენტში. მათ ხმა მისცა 13 მილიონ 700 ათასმა ამომრჩეველმა, ლეიბორისტებს — 8 მილიონმა. კონსერვატორებმა თემთა პალატაში მიიღეს 339 ადგილი. 1979 წლის 4 მაისს შეიქმნა მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მარგარეტ ტეტჩერი, მან იწყო მემარჯვენე კონსერვატორული კურსის განხორციელება ქვეყნის შიგნით, ხოლო საგარეო პოლიტიკაში უარი თქვა დაძაბულობის შენელების კურსის განხორციელებაზე. თავისი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად გაიხადა მკაცრი მონეტარული კონცეფცია ფულადი მასის შეზღუდვისა მიმოქცევაში. კაპიტალური დაბანდების სტიმულირების მიზნით შეამცირა პირდაპირი გადასახადები მსხვილ შემოსავალზე 3,5 მილიარდი გირვანქა სტერლინგით.

მ. ტეტჩერმა თავისი მთავარი ყურადღება შეაჩერა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით მან დაიწყო სახელმწიფო ხარჯების შემცირება (შეამცირა 4 მილიარდით), გაზარდა არაპირდაპირი გადასახადები 2-ჯერ, დაადგა გამალებული შეიარაღების გზას. 1980 წ. მთავრობამ ყველა შეზღუდვა გააუქმა კაპიტალის ექსპორტზე, რომელიც ქვეყანაში 40 წლის განმავლობაში არსებობდა. ბანკის სააღრიცხვო განაკვეთი 17 პროცენტამდე გაზარდა. სამხედრო ხარჯები 9 მილიარდი გირვანქა სტერლინგიდან 1979/80 საბიუჯეტო წელს გაიზარდა 16 მილიარდამდე 1983/84 წლებში და 18 მილიარდზე მეტად 1985/86 წელს. ამის გამო მთავრობამ ვერ შეზღუდა ინფლაცია და ფასების ზრდა. გარდა ამისა მთავრობა სისტემატურად ახორციელებდა ნავთობის, ფოლადის, ავიაკოსმოსური მრეწველობისა და საჰაერო ტრანსპორტის დარგების დენაციონალიზაციის კურსს.

მ. ტეტჩერის მთავრობა დაადგა ეკონომიკის ნაციონალიზირებული სექტორის სისტემატიური შეზღუდვის გზას. კერძო საწარმოებს გადაეცათ ნავთობის კორპორაციების 51%, აეროკოსმოსური, გემთმშენებლობის, ტრანსპორტის და მრეწველობის სხვა დარგები.

მ. ტეტჩერის მთავრობა აშკარად დაადგა მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას. 1979 წელს კონსერვატორებმა პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი გაფიცული მუშების მიერ პიკეტების დაყენების უფლებების შეზღუდვის შესახებ. 1980 წ. პარლამენტმა მოიწონა კონსერვატორების მიერ შეტანილი კანონპროექტი „კანონი დასაქმების შესახებ", რომელიც კრძალავდა პიკეტებში იმათ მონაწილეობას, რომელნიც მოცემულ წარმოებაში არ მუშაობდნენ.

კონსერვატორები აგრძელებდნენ დენაციონალიზაციის კურსს. 1982 წლის იანვარში დენაციონალიზებულ იქნა გადაზიდვის ეროვნული კორპორაცია, თებერვალში კი რადიაქტიური მასალების წარმოების კომპანია, კავშირგაბმულობის კომპანია. მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა კერძო კაპიტალს ეკონომიკის სფეროში, რომელიც ადრე სახელმწიფოს მონოპოლიას წარმოადგენდა: კერძო ფირმებმა უფლება მიიღეს კონკურენცია გაეწიათ სახელმწიფო ეროვნული ავტობუსის კორპორაციისათვის, ბრიტანეთის საჰაერო მიმოსვლის კორპორაციისათვის და ა. შ. კერძო ფირმებმა ელექტროსადგურების მშენებლობისა და მფლობელობის უფლება მიიღეს. მთავრობა ხელს უწყობდა მუნიციპალური სახლების გაყიდვას, კერძო სკოლებისა და მუნიციპალური დაწესებულებების შექმნას.

კონსერვატორებმა ეკონომიკაში „ჩაურევლობის" ფილოსოფიის მიუხედავად იწყეს „კონსტრუქციული ინტერნაციონალიზმის" განხორციელება ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. მრეწველობისათვის ფინანსური მხარდაჭერის მასშტაბები გაიზარდა 1,5 მილიარდიდან 1980/81 ფინანსურ წელს 1,8 მილიარდამდე 1981/82 ფინანსურ წელს. ამავე დროს მთავრობა ეხმარებოდა არა მარტო მომგებიან, არამედ ისეთ წამგებიან საწარმოებსაც, როგორიცაა ფოლადისა და ქვანახშირის. 1982 წელს შემუშავდა პროგრამა მუშათა დასაქმების შესახებ და ამ მიზნით გამოიყო 1,5 მილიარდი გირვანქა სტერლინგი. ამავე წელს მ. ტეტჩერის მთავრობამ მიაღწია ინ-

ფლაციის შემცირებას 12-დან 7%-მდე, რის შედეგად ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა. ასევე ერთი წლის განმავლობაში შემცირდა დეფიციტი 1981/82—1982/83 ფინანსურ წელს — 13.5 მილიარდიდან 8,8 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე. ამასთანავე მ. ტეტჩერის მთავრობა ცდილობდა პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვას განსაკუთრებით გაფიცვების ორგანიზაციაში, რაც დიდ ზარალს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას. 1982 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა კანონი დასაქმების შესახებ, რომლითაც მშრომელთა ბრძოლის მრავალი ტრადიციული ფორმა უკანონოდ ცხადდებოდა. ამ კანონით მეწარმეს უფლება ეძლეოდა სასამართლოსათვის მიემართა, თუ იგი მიიჩნევდა, რომ პროფკავშირის მოქმედება კანონის ფარგლებს სცილდებოდა. თუ სასამართლო რომელიმე გაფიცვას უკანონოდ მიიჩნევდა, იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო; წინააღმდეგ შემთხვევაში პროფკავშირების ხელმძღვანელები სასამართლოს გადაეცემოდნენ და მათ უნდა აენაზღაურებინათ მეწარმისათვის მიყენებული ზარალი. მეშახტეთა გაფიცვის დროს არარენტაბელური წარმოების გამო მრავალი შახტი დაიხურა.

ქვეყანაში ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა მოძრაობა მშვიდობის დაცვისათვის, შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის წარმოებისა და სარაკეტო პოლიგონების შექმნის წინააღმდეგ. ამერიკის სამხედრო ბაზების გარშემო ინგლისში ჯერ კიდევ 1981 წელს 10-ზე მეტი „მშვიდობის ბანაკი“ აღმოცენდა, შემდეგ წლებში კი იგი უფრო იზრდებოდა. განსაკუთრებით ცნობილი გახდა ქალების მიერ შექმნილი ბანაკები ამერიკულ ბაზასთან გრინემ-კომმონთან, სადაც 1983 წლის 2 აპრილს შედგა მშვიდობის მომხრეთა 100-ათასიანი დემონსტრაცია. ათეულობით მუნიციპალიტეტმა თავისი რაიონები უბირთვო ზონებად გამოაცხადა. ომის საწინააღმდეგო განცხადებებით გამოვიდნენ ანგლიკანური ეკლესიის მაღალი ხელმძღვანელებიც. 1983 წლის 9 ნოემბერს ყველგან ჩატარდა ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციები.

მიუხედავად ყველა სიძნელისა, 1982 წლის მაისში ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების არჩევნებში კონსერვატორებმა, ისარგებლეს რა ლეიბორისტული პარტიის შიგნით გაჩაღებული

ფრაქციული ბრძოლით და დაქსაქსულობით,[1] წარმატებას მიაღწიეს და რამოდენიმე ათეული ადგილი წაართვეს თავის მეტოქეებს. კონსერვატორების წარმატება იმითაც აიხსნება, რომ „ინგლისის იარაღის“ გამარჯვებასთან დაკავშირებით არგენტინაზე 1982 წ. 12 ოქტომბერს ლონდონში შედგა გამარჯვების პარადი, რომლის დროსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მ. ტეტჩერს აცხადებდნენ როგორც „ახალი ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეს“. მის დამსახურებად მიიჩნევდნენ ინფლაციის დაცემის, უმუშევრობის შემცირების, ქვეყანაში წესრიგის დამყარების, არგენტინელების წინააღმდეგ კონფლიქტში წარმატების მიღწევას. გარდა ამისა, ამ დროს მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები. მაგრამ ეს მოხდა მათი ანაბრების შემცირების შედეგად. ინვენსტიციების ზრდის წყალობით გაიზარდა სახელმწიფო საბინაო მშენებლობა 13%, ხოლო კერძო სექტორში კი — 30%-ით. მკვეთრად დაეცა ინფლაციაც. ამავე დროს, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართოდ დანერგვის წყალობით წარმოებაში მკვეთრად მცირდება არაკვალიფიციური და საშუალო კვალიფიციური სამუშაო ძალის მოთხოვნა წარმოების სფეროში, რომლის შედეგად იზრდება უმუშევრობა. უმუშევრობა გაიზარდა აგრეთვე რიგი არარენტაბელური წარმოებების ლიკვიდაციის გამო. მაგალითად, 1983 წელს უმუშევართა რაოდენობამ 3,1 მილიონ კაცს მიაღწია. მასობრივი უმუშევრობა კი მონოპოლიებმა გამოიყენეს ხელფასის ზრდის შეჩერებისათვის, რომელიც 1983 წლისათვის მხოლოდ 7,8%-ით გაიზარდა, მოგებები კი — 23%-ით. მოგებების ძირითადი ნაწილი მოდიოდა მრეწველობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა ნავთობის, ელექტროტექნიკური, აეროკოსმოსური, კავშირგაბმულობა, რომელნიც საშუალოზე მაღალი ტემპებით ვითარდებოდნენ.

კონსერვატორებმა გადაწყვიტეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება — მაღალი კონიუნქტურა, არგენტინასთან ომში გამარჯვების გამო შოვინისტური განწყობილება, ლეიბორისტულ პარტიაში მომხდარი განხეთქილება — გამოეყენებინათ თავისი წარმატებებისათვის და რიგგარეშე არჩევნები დანიშნეს. არჩევნები შედგა 1983

[1] 1951 წ. ლეიბორისტულ პარტიაში მოხდა განხეთქილება. პარტიიდან გამოვიდა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელმაც შექმნა სოციალ-დემოკრატიული პარტია და გაერთიანდა ალიანსში ლიბერალებთან, მაგრამ უარი თქვა ცენტრისტული ხასიათის პარტიაში გაერთიანებაზე.

წლის 9 ივნისს. კონსერვატორებმა მიიღეს 13 მილიონი ამომრჩევლის ხმა და 650-დან 397 დეპუტატის ადგილი (1979 წელს — 399 ადგილი). ლეიბორისტებმა — 8.5 მილიონი ხმა და 209 ადგილი, ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების საარჩევნო ალიანსმა — 23 ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ტეტჩერის პოპულარობა არგენტინასთან კონფლიქტის დროს ინგლისის წარმატებების გამო ძალზედ დიდი იყო, წინააღმდეგობა კონსერვატორულ პარტიაშიც და მთავრობაშიც საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე საკმაოდ მნიშვნელოვან ხასიათს ატარებდა. ამის გამო იყო, რომ 1983 წელს მ. ტეტჩერმა არა ერთხელ მოახდინა გადაჯგუფება კაბინეტის შემადგენლობაში და თავიდან მოიშორა მისი პოლიტიკით უკმაყოფილონი. თავდაცვის მინისტრი მ. ჰიზლტაინი შეცვალა ჯ. ნოტტამ, საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პიმი კი — ჯ. ჰაუმ.

1983 წლის ოქტომბერში შემდგარმა კონსერვატორების ყოველწლიურმა, რიგით მე-100-ე კონფერენციამ მხარი დაუჭირა ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებულ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განუხრელად შეკვეცის, სოციალური ხარჯების შემცირების, ანტიპროფკავშირული კანონმდებლობის გაძლიერების და აშშ-ის პოლიტიკისათვის მხარდაჭერის კურსს.

კონსერვატორები ხელსაყრელი პირობების შექმნას ცდილობდნენ მონოპოლიების სამეურნეო მოღვაწეობისათვის და მათი კაპიტალური დაბანდებების სტიმულირებისათვის. ამ მიზნით 1985 წელს გადასახადები კორპორაციების მოგებებზე შემცირდა 52%-ან 50%-მდე, 1986/87 საფინანსო წელს კი 35%-ით. გაუქმდა მეწარმეების შესატანი სოციალური დაზღვევის ფონდში, რის წყალობითაც მათ მთავრობამ 6,1 მილიარდიდან 5,6 მილიარდამდე შეუმცირა 1983-85 საფინანსო წლებში ნაციონალიზებული დარგების დაფინანსება. აგრეთვე შემცირდა დაფინანსებები განათლების, მეცნიერების, საბინაო მშენებლობის მიზნებისათვის. ამასთანავე კვლავ იზრდებოდა სამხედრო ხარჯები.

1984 წ. კონსერვატორებმა კერძო ფირმებს გადასცეს უმსხვილესი და მომგებიანი სახელმწიფო საავტომობილო კომპანია „ბრიტიშ ლეილანდი". 3,9 მილიარდი გირვანქა სტერლინგის რაოდენობის აქციები, რომელიც კავშირგაბმულობის ფირმას „ბრიტიშ ტელეკომს" ეკუთვნოდა, საჯარო ვაჭრობით კერძო ფირმებმა შეიძი-

ნეს. 1984 წლისათვის კონსერვატორებმა 13 საწარმო გაყიდეს. 1985 წ. მთავრობამ სახელმწიფო სექტორიდან გაყიდა ორი გემთმშენებლობის ფირმა „იაროფი“ და „ბრუკერ მერინ შეპიარდი“. აეროკოსმოსური კორპორაცია „ბრიტიშ აეროსპეის“ 48,4% და ნავთობის კომპანიის „ბრიტოილის“ კაპიტალის ნაწილი.

1984 წ. ქვეყნის შიდაპოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეშახტეთა გაფიცვა. მარტში მეშახტეთა ეროვნული პროფკავშირების მოწოდებით დაიწყო გაფიცვა იმის გამო, რომ ქვანახშირის მრეწველობის ეროვნულმა სამმართველომ განიზახა 20 არარენტაბელური (174-დან) შახტის დახურვა და როგორც მინიმუმი 20 ათასი (180 ათასიდან) მუშის დათხოვნა. საქმე იმაშია, რომ მთავრობამ ამ დროს მიზნად დაისახა ეკონომიკის გარდაქმნა. მთავრობამ 7 ათასი აქტივისტი დააკავა, აქედან 400 კაცი ციხეში ჩასვა და გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ მიუხედავად ამისა მეშახტეები მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას. გაფიცვა ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მასში 186 ათასი კაცი მონაწილეობდა და 1985 წ. მარტში დასრულდა მუშათა დამარცხებით. გაფიცვის დროს 11 ათასი მეშახტე სამუშაოდან დაითხოვეს, 7 ათასი პოლიციასთან შეტაკებაში დაიჭრა, რამოდენიმე დააპატიმრეს. მთავრობის წაქეზებით მეშახტეთა პროფკავშირებში გათიშვა მოხდა.

1984 წლის ოქტომბერში ბრაიტონში კონსერვატორთა ყოველწლიური კონფერენციის გახსნის დღეს პრემიერ-მინისტრ მ. ტეტჩერზე მოეწყო თავდასხმა. სასტუმროში, სადაც ცხოვრობდნენ დელეგაციები აფეთქების შედეგად დაიღუპა 5 და დაიჭრა 32 კაცი, მათ შორის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ნ. ტებიტი. პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ექსტრემისტებმა. ჩრდილოეთ ირლანდიაში შეტაკებები პოლიციელებსა და სამოქალაქო უფლებების მებრძოლებს შორის გრძელდებოდა. უშედეგოდ დამთავრდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი შეხვედრა ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ გ. ფიტცჯერალდსა და მ. ტეტჩერს შორის. მ. ტეტჩერმა უარყო გ. ფიტცჯერალდის პროექტი ორივე ირლანდიის გაერთიანებისა კონფედერაციაში ან ოლსტერის ერთობლივი მმართველობის შესახებ. 1985 წ. ნოემბერში ჰილსბოროში ხელმოწერილი იქნა ინგლის-ირლანდიის შეთანხმება, რომლითაც ორივე მთავრობას შეთანხმებულად უნდა ემოქმედა ჩრდილოეთ ირლანდიაში. მაგრამ ამ შეთან-

ხმების წინააღმდეგ ოლსტერში ორივე დაჯგუფება ირლანდიელი კათოლიკები და ინგლისელი პროტესტანტები გამოვიდნენ. 1985 წ. ივნისში მ. ტეტჩერის მთავრობამ დაითხოვა ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეა — არჩევითი ორგანო, რომელიც მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა. 1986 წლის თებერვალში ინგლისის დედოფალს გადაეცა პეტიცია, რომელსაც ხელს აწერდა 400 ათასი პროტესტანტი და მოითხოვდა ოლსტერში რეფერენდუმის ჩატარებას 1985 წლის ნოემბრის შეთანხმების საკითხზე. ამასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ირლანდიაში სისხლისმღვრელი შეტაკებები ხდებოდა მოპირდაპირე მხარეებს შორის. გამწვავდა აგრეთვე ურთიერთობა ირლანდიის რესპუბლიკასა და ინგლისის მთავრობებს შორის. პირველი ბრალს სდებდა მეორეს, რომ იგი არ იცავს ჩრდილოეთ ირლანდიელების მოქალაქეობრივ უფლებებს, ხოლო ინგლისის მთავრობა კი ბრალს სდებდა ირლანდიის რესპუბლიკას იმაში, რომ იგი აღიარებს ორ ირლანდიას შორის არსებულ საზღვრებს. კავშირი აქვს მეამბოხეებთან და იარაღს აწვდის მათ.

1987 წლის 11 ივნისს ინგლისში შედგა პარლამენტის მორიგი არჩევნები, რომლის დროსაც კონსერვატორებმა ზედიზედ უკვე მესამე გამარჯვება მოიპოვეს. მათ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 42,9% (1983 წ. — 43,5%) და 376 ადგილი პარლამენტში. ლეიბორისტებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 32,1% (1983 წ. — 28,3%) და მიიღეს 229 ადგილი (ადრე 209), ალიანსმა მიიღო 22,9% ადრე (26,0%) და 22 ადგილი (ადრე 23). ამრიგად, კონსერვატორებმა წინა არჩევნებთან შედარებით უფრო ნაკლები ხმები და ადგილები მიიღეს პარლამენტში. მაგრამ შეინარჩუნეს იქ ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა. კონსერვატორების წარმატებას რიგი მიზეზებით ხსნიან. განსაზღვრული როლი შეასრულა ბრიტანეთის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში კონსერვატორების სასარგებლოდ მომხდარმა ცვლილებებმა — „საშუალო კლასისა“ და კვალიფიციური მუშების ხვედრის გაზრდა, განსაკუთრებით მრეწველობის ახალ დარგებში, რომელშიც ნაკლებადაა პროფკავშირების გავლენა და აგრეთვე მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, სადაც ტრადიციულად კონსერვატორების გავლენა დიდია. კონსერვატორების წარმატების საწინდრად მიჩნეულია აგრეთვე უკანასკნელ წლებში წვრილი აქციონერების და საკუთარი სახლებისა და ბინების მფლობელთა ზრდა. მაგრამ მ. ტეტჩერის

წარმატებაში ყველაზე მთავარი როლი მაინც შეასრულა ხელსაყრელმა ეკონომიკურმა კონიუნქტურამ, რომელიც არჩევნების წინ იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ კონსერვატორების თავდაცვით პოლიტიკას, რომელიც ბირთვული იარაღის დაუფლებაზე იყო დაფუძნებული, ინგლისის პრესის ცნობით, ამომრჩეველთა ორჯერ მეტი რაოდენობა უჭერდა მხარს, ვიდრე ლეიბორისტების პოლიტიკას, რომელიც ცალმხრივი ბირთვული განიარაღების მომხრედ გამოდიოდა. და ბოლოს, კონსერვატორები უფრო ფართოდ სარგებლობდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხარდაჭერით, ვიდრე ლეიბორისტები. ლეიბორისტების ზედიზედ მესამედ დამარცხების მთავარ მიზეზად მიაჩნიათ პარტიის შიგნით არსებული წინააღმდეგობანი. ლეიბორისტების ლიდერმა ნ. კინოკმა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1983 წელს აირჩიეს, ჯერ კიდევ ვერ დაძლია პარტიის შიგნით არსებული აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობანი. ლეიბორისტები თავის ყოველწლიურ კონფერენციაზე გამოვიდნენ ერთობ რადიკალური პროგრამით. 1986 წლის შემოდგომაზე შემდგარ ლეიბორისტთა კონფერენციაზე მოითხოვეს ბირთვულ იარაღზე უარის თქმა, ამერიკის „ვარსკვლავეთის პროგრამაში“ მონაწილეობაზე უარის თქმა, ბირთვული გამოცდების აკრძალვა, საბჭოთა წინადადებისათვის მხარდაჭერა განიარაღების საკითხებში და ა. შ.

არჩევნებში ალიანსმაც მარცხი განიცადა. მან არა თუ ვერ გაზარდა თავის გავლენა, არამედ პირიქით მოხდა. მაგრამ ალიანსმა ზარალი უფრო მეტად ინგლისში არსებული არჩევნების მაჟორიტარული სისტემის გამო განიცადა: ალიანსს ხმა მისცა ამომრჩეველთა 1/5, პარლამენტში კი მიიღო ადგილების 3%. არჩევნების შემდეგ ალიანსი, მასში გაერთიანებულ ლიდერებს შორის არსებული წინააღმდეგობის გამო, დაიშალა. ლიბერალების ლიდერი დ. სტილი მომხრე იყო სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანების, ამ უკანასკნელის ლიდერი დ. ოუენი კი გამოვიდა გაერთიანების წინააღმდეგ. მაგრამ 1987 წლის აგვისტოში სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ მოითხოვა ლიბერალებთან გაერთიანება, რის გამოც დ. ოუენი გადადგა. ახალი ლიდერი გახდა რ. მაკლერანი, გაერთიანების იდეა მოწონებული იქნა და ორივე პარტია გაერთიანდა ერთ სოციალურ-ლიბერალურ ალიანსში.

არჩევნების შემდეგ კონსერვატორებმა განაცხადეს, რომ ისინი

კალავაც გააგრძელებენ სახელმწიფო სექტორის საწარმოების დენაციონალიზაციისა და აგრეთვე „შერეული“ ფორმების განხორციელების კურსს.

გახმაურებული „ტეტჩერიზმის“ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მ. ტეტჩერის მთავრობა განხორციელებდა სახელმწიფო აპარატის დირექტიული მეთოდებით მართვას მსხვილი კორპორაციების მსგავსად, ძირითად საყრდენად მიიჩნევდა კერძო სექტორს და ფართოდ განხორციელებდა დენაციონალიზაციის კურსს ზოგიერთი სახელმწიფო მსხვილი ფირმების და გაერთიანებების მიმართ. მარტო 1979—1986 წლებში დენაციონალიზირება განხორციელდა 20 მსხვილი საწარმოსი და კომპანიისა, მათ შორის: „ბრიტიშ ტელეკომპანია“, „ბრიტიშ აეროსპეის“, „ბრიტიშ ჰეს“. მ. ტეტჩერის მთავრობამ 1979 წლიდან 1988 წლამდე გაყიდა სახელმწიფო საწარმოების აქციები 31 მილიარდი დოლარის რაოდენობით. ამ პოლიტიკის შედეგი კი ის იყო, რომ მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ და მსხვილი ბიზნესის ხელში მოექცა ქვეყნის სიმდიდრის დიდი ნაწილი. გადასახადების აკრეფის სამმართველოს მონაცემებით, 1985 წელს ბრიტანელთა 1 პროცენტის ხელში იყო ქვეყნის სიმდიდრის მეოთხედი, ორი პროცენტისა — ერთი მესამედი, ხუთი პროცენტისა კი — თითქმის 50 პროცენტი. ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი კი ფლობდა ქვეყნის სიმდიდრის მხოლოდ ხუთ პროცენტს.

მ. ტეტჩერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა

ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე კონსერვატორებმა მკვეთრად შეცვალეს თავისი საგარეო პოლიტიკა. მ. ტეტჩერის მთავრობამ მიზნად დაისახა დიდი ბრიტანეთის როლის გაზრდა საერთაშორისო, განსაკუთრებით, ევროპის საქმეებში, მისი პოზიციების განმტკიცება დასავლეთის კავშირების სისტემაში. მ. ტეტჩერის მთავრობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში დაადგა „ძალის პოზიციის“ კურსს. მან ზხარი დაუჭირა დასავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმას და დათანხმდა ინგლისში 160 საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების განლაგებაზე. ამავე დროს მაშინვე შეუდგა თავისი ბირ-

თეული რაკეტების მოდერნიზაციას. 1980 წ. თემთა პალატამ მო-
წონა წინადადება „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი ოთ-ი
მოძველებული წყალქვეშა ნავების შეცვლაზე ახალი ხუთი წყალ-
ქვეშა ნავით, რომელიც ამერიკული „ტრაიდენტის“ რაკეტებ-ით
აღიჭურვებოდა. გადაწყდა აგრეთვე შეექმნათ ინგლისური „სწრა-
ფი რეაგირების“ ძალები. კონსერვატორებმა მიიღეს ქიმიური იარა-
ღის შექმნისა და ე. წ. შეკავების დამოუკიდებელი ბირთვული ძა-
ლების მოდერნიზაციის პროგრამები. მ. ტეტჩერი აქტიურ მხარ-და-
ჭერას უწევდა აშშ-ს აღმოსავლეთზე სამხედრო უპირატესობ-ის
მიღწევის საქმეში და თავის მხრივ მოუწოდებდა დასავლეთს ას-თი
უპირატესობის მიღწევისათვის.

1983 წლის 14 ნოემბერს დაიწყო ბრიტანეთის ტერიტორი-ზე
პირველი ამერიკული ფრთოსანი რაკეტების შემოტანა და განლა-
გება. ამავე პერიოდში გამოცხადდა ბრიტანეთის სწრაფი რეაგი-რე-
ბისა და გაშლის ძალების შექმნის შესახებ. კერძოდ, შეიქმნა „— მე-
ხუთე საჰაერო ბრიგადა“ — სწრაფი მოქმედებისათვის „ბრიტ-ანე-
თის ინტერესების დაცვის მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა რეგ-ი-ო-
ნებში“. ლონდონი არა მარტო მტკიცედ უჭერდა მხარს ამერიკ-ელი
რაკეტების დასავლეთ ევროპაში განლაგებას, არამედ თავის მხ-რივ
ზეგავლენას ახდენდა აღნიშნული რეგიონის ქვეყნებზე ამ საკი-თ-ხის
დადებითად გადაწყვეტაში. მაგალითად, 1982 წლის დეკემბ-ერ-ში
ნატოს სესიაზე გამოსვლისას მ. ტეტჩერმა მოუწოდა დასავლეთ ევ-
როპას მიეღწიათ უპირატესობისათვის საბჭოთა კავშირზე ბირ-
თვულ შეიარაღებაში და დაეჩქარებინათ ამერიკის ბირთვული რა-
კეტების შემოტანა. ამ გარემოებამ ნეგატიური გავლენა მოახ-დინა
ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე.

1984 წლის იანვარში ლონდონში მოეწყო შეხვედრა სახელ-მწი-
ფო მდივანთან შულცთან, თებერვალში ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშ-
თან, ივნისში კი პრეზიდენტ რ. რეიგანთან, რომლის დროსაც იხი-
ლავდნენ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის უმნიშვნ-ელ-ო-
ვანეს პრობლემებს და პოზიციების ურთიერთშეთანხმების საკი-
თხებს ამ პრობლემების მიმართ. მ. ტეტჩერმა მხარი დაუ-ჭირა
აშშ-ს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის განხ-
ორციელებას. 1985 წ. დეკემბერში ნატოს მოკავშირეებიდან ინგ-
ლისმა პირველმა მოაწერა ხელი აშშ-თან „სტრატეგიული თავ-დაც-
ვითი ინიციატივის“ პროგრამაში მონაწილეობაზე. ამ გადამ-წყ-ვეტ-
ი

ნაბიჯის გასამართლებლად ლონდონში აცხადებდნენ, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს დასავლეთ ევროპის დაცვას საბჭოთა რაკეტების მხრივ „სტრატეგიული თავდასხმისაგან“ და ამასთანავე ამ პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდას. 1986 წელს ბრიტანეთის სამხედრო-სამრეწველო კორპორაციებმა აშშ-თან აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით დადებული კონტრაქტით მიიღეს 34 მილიონი დოლარი. სულ კი ბრიტანეთის კორპორაციები კონტრაქტით გათვალისწინებულ დაკვეთებში მონაწილეობისათვის, მიიღებენ 1,5 მილიარდ დოლარს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და აშშ-ს შორის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობაა დამყარებული, მათ შორის მაინც არსებობს წინააღმდეგობანი ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკურ და სავალუტო-ფინანსურ საკითხებში. ლონდონი ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამდა ვაშინგტონის მიერ გატარებული ღონისძიებების გამო „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მიმართ მაღალი ბაჟების შემოღებასთან დაკავშირებით, რაც აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ინტერესებს ეხებოდა. მაგალითად აშშ-ს მთავრობის მიერ დოლარის კურსის მკვეთრად შემცირებამ დიდი ზარალი მიაყენა ინგლისის ფინანსურ-სავალუტო სისტემას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგლის-ამერიკის დიპლომატიური კონტაქტები ინტენსიური იყო. საკითხები, რომლებიც ეხება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობას, კონტროლს შეიარაღებაზე, ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურის რაიონებში მდგომარეობას, ხშირად იხილებოდა ამ ორი ქვეყნის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონი ცდილობდა არ დაეშვა ბრიტანეთის გავლენის დაცემა არაბულ სამყაროში, მისი პოზიცია არ იყო მნიშვნელოვნად განსხვავებული ვაშინგტონის კურსისაგან, მაგალითად, ისრაელისადმი დამოკიდებულების საკითხში. 1982 წლის თებერვალში ინგლისში იმყოფებოდა ეგვიპტის პრეზიდენტი ჰ. მუბარაკი. მოლაპარაკების დროს განიხილეს ეგვიპტის ურთიერთობის საკითხი „საერთო ბაზართან“ და ახლო აღმოსავლეთის პრობლემები. აპრილში საგარეო საქმეთა მინისტრი კარინგტონი იმყოფებოდა ისრაელში და მოლაპარაკება ჰქონდა მ. ბეგინთან. მაგრამ ისრაელის აგრესიის დაწყების შემდეგ ლიბანში ლონდონმა უარი თქვა მიეღო არაბული ქვეყნების დელეგაცია იმის გამო, რომ მის შემადგენლო-

ბაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლები შედიოდნენ.

მ. ტეტჩერის მთავრობა ცდილობდა ურთიერთობის გაფართობას ე. წ. ზომიერ არაბულ რეჟიმებთან. 1983 წლის მარტში ინგლისსა და ეგვიპტეს შორის დაიდო შეთანხმება ამ უკანასკნელისათვის ფინანსური დახმარების გაწევისათვის 96 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. იმავე წლის დეკემბერში ლონდონში იმყოფებოდა ლიბანის პრეზიდენტი ა. ჟმაიელი, რომლის დროსაც განიხილეს ინგლისის სამხედრო თვითმფრინავების შესყიდვის საკითხი ლიბანის არმიისათვის. ამასთანავე მ. ტეტჩერის მთავრობა წინააღმდეგი იყო ახლო აღმოსავლეთის საკითხის ყოვლისმომცველი მოგვარებისა და მხარს უჭერდა „რეიგანის გეგმას", რომელიც წინააღმდეგია ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოსაგვარებლად ყველა დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით საერთაშორისო მშვიდობიანი კონფერენციის მოწვევისა. ამასთანავე არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ინგლისმა 1984 წლის თებერვალში გამოიყვანა ლიბანიდან თავისი ჯარების კონტინგენტი „მრავალეროვნული ძალებიდან". 1983 წ. იანვარში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ჰაუ ვიზიტით იყო ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, სირიაში, ხოლო ოქტომბერში კი ლიბანსა და ისრაელში, რომლის დროსაც ყურადღების ცენტრში იყო ლიბანში შექმნილი ვითარება.

ლონდონი ხელს უჭერდა ვაშინგტონის პოლიტიკას ლიბიის წინააღმდეგ. 1984 წ. აპრილში მ. ტეტჩერის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ლიბიასთან და ამის საბაბად გამოიყენა ინციდენტი ლიბიის საელჩოსთან ლონდონში, რომლის შედეგად დაიღუპნენ პოლიციელები. ამასთან დაკავშირებით ინგლისში გაჩაღდა ანტილიბიური კამპანია.

1986 წელს ლონდონი ფაქტიურად მონაწილეობდა აშშ-ს სამხედრო აქციებში ლიბიის წინააღმდეგ (აპრილში). ამასთანავე, ოქტომბერში ინგლისმა გაწყვიტა ურთიერთობა სირიასთან. მ. ტეტჩერი რ. რეიგანთან ერთად ცდილობდა ხორცი შეესხა ახლო აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის არაბულ ქვეყნებთან სეპარატიული მოლაპარაკების მეშვეობით. ამ მიზნით იყო რომ 1986 წლის იანვარსა და ივნისში ლონდონში იმყოფებოდა იორდანიის მეფე ჰუსეინი. იანვარში ლონდონში იმყოფებოდა ის-

რაელის პრემიერ-მინისტრი, ხოლო მაისში პირველი ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა მ. ტეტჩერი. ამ მოლაპარაკებების დროს მ. ტეტჩერი დარწმუნდა, რომ სეპარატიული გარიგება არაბულ ქვეყნებთან შეუძლებელი იყო და ამიტომ 1987 წელს მან შეცვალა თავისი დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის პრობლემების სეპარატიული გზით გადაჭრისა და დათანხმდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე.

ინგლისსა და ირანს შორის თეირანში ჰომეინის ხელისუფლების სათავეში მოქცევის დღიდან ურთიერთობა გაუარესდა, მაგრამ იგი განსაკუთრებით გამწვავდა 1987 წლიდან სპარსეთის ყურეში ირანის სამხედრო კატერების სამხედრო მოქმედების გაძლიერებასთან დაკავშირებით. „საზღვაო ნაოსნობის“ უშიშროების უზრუნველყოფის მომიზეზებით ინგლისმა გააძლიერა თავისი სამხედრო ყოფნა სპარსეთის ყურეში, რომლითაც ფაქტიურად ნიშნავდა ამერიკის პოლიტიკისათვის მხარის დაჭერას ამ რეგიონში. ამასთანავე ინგლისი მხარს უჭერდა იარაღით პაკისტანს ავღანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლისის ურთიერთობა „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან

ინგლისი დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა „საერთო ბაზარში“ თავისი შესატანების შემცირებისათვის ლონდონის თანხმობის სანაცვლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესასყიდი ფასების გაზრდის გამო. მაგრამ ევროპის პარლამენტმა ხმების უდიდესი უმრავლესობით უარყო ინგლისის თხოვნა. 1982 წლის მარტში გფრ-ის კანცლერ ჰ. შმიდტის ვიზიტის დროს ლონდონში მ. ტეტჩერი უშედეგოდ ცდილობდა ბონის თანხმობის მიღებას იმაზე, რომ მას მხარი დაეჭირა ინგლისის შესატანის შემცირებისათვის „საერთო ბაზარში“. იმავე წლის ოქტომბერში ლონდონში გფრ-ის ახალი კანცლერის ჰ. კოლის და იმავე თვეში მ. ტეტჩერის საპასუხო ვიზიტების დროს ბონში და ინგლისის პრემიერ-მინისტრის შეხვედრები საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანთან ლონდონსა (მაისში) და პარიზში (ნოემბერში) იმავე და სხვა საკითხებზე უშედეგოდ დასრულდა.

ინგლისსა და „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შორის სამი ძირეული

პრობლემის ირგვლივ იყო დავა: 1. ინგლისის შესატანის ოდენობის განსაზღვრა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სალაროში. ინგლისი დაბეჯითებით მოითხოვდა ამ შესატანის შემცირებას, მაგრამ გაერთიანების სხვა ქვეყნები უარს ეუბნებოდნენ ინგლისს. 2. აგრარული პოლიტიკის გადასინჯვა. აქ ინგლისი წინააღმდეგი იყო შესასყიდი ფასების ისეთი მასშტაბებით გაზრდისა, როგორც ამას საფრანგეთი და იტალია მოითხოვდნენ. 3. 1983 წ. დეკემბერში ათენში შემდგარ გაერთიანების სესიაზე ინგლისმა მოითხოვა მისთვის უკან დაებრუნებინათ გაერთიანებაში მის მიერ შეტანილ 1 მილიარდი დოლარი, მაგრამ გაერთიანების სხვა ქვეყნები ამ მოთხოვნას სასტიკად აღუდგნენ წინ, რასაც მოჰყვა ამ სესიის მუშაობის ჩაშლა. წინააღმდეგობებმა „საერთო ბაზარში" გამოიწვია ურთიერთობის გაუარესება ინგლისსა და გფრ-სა და ინგლისსა და საფრანგეთს შორის. საქმეს ვერ შველოდა ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა ხშირი შეხვედრები ჰ. კოლისა — ლონდონში (1983 წ. აპრილში), ფ. მიტერანისა — ლონდონში (ოქტომბერში). მ. ტეტჩერი ამ შეხვედრების დროს ცდილობდა კონკრეტული დაპირებები მიეღო გფრ-სა და საფრანგეთის ხელმძღვანელებისაგან თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ხანგრძლივი დავის შემდეგ 1984 წლის ივნისში ფონტენბლოში შემდგარ „საერთო ბაზრის" სესიაზე კადაწყდა, რომ გასული წლის კომპენსაციების გარდა დიდი ბრიტანეთი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტიდან დამატებით მიიღებს 1 მილიარდ ეკიუს. უახლეს რამოდენიმე წლის განმავლობაში (1985 წლიდან) განისაზღვრა აღნიშნული გაერთიანების სალაროში ინგლისის შესატანის ორი მესამედით შემცირება. მაგრამ წინააღმდეგობანი ინგლისსა, ერთი მხრივ, და გფრ-სა და საფრანგეთს შორის, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის პრობლემების მთელი კომპლექსის ირგვლივ ძალიან მწვავე ხასიათს ატარებდა. ეკონომიკურ გაერთიანებაში შემავალ ქვეყნების ხელმძღვანელთა მილანში შეხვედრის დროს (1985 წ. ივნისში), ინგლისმა, საბერძნეთმა და დანიამ გაილაშქრეს საფრანგეთისა და გფრ-ის მიერ წამოყენებული პროექტის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ „საერთო ბაზრის" ორგანოების ზეეროვნული ფუნქციების გაძლიერებას, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში. მთელი რიგი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების შემდეგ 1985 წლის დეკემბერში მოეწყო ეკონომიკური გაერთიანების სესია ლუქემ-

ბურგში, სადაც მიაღწიეს დროებით კომპრომისს. მხარეები შეთანხმდნენ გადაწყვეტილების მიღებისათვის უმრავლესობის პრინციპის თანდათანობით დანერგვის შესახებ. შეიზღუდა ვეტოს უფლებები, რომელიც ჰქონდათ გაერთიანების ქვეყნებს. გადაწყდა ევროპის პარლამენტის უფლებების გაფართოება. ამ სესიაზე ინგლისი და საფრანგეთი დავობდნენ სამხედრო კონტრაქტების მიღების საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე სახელმწიფოს შორის არსებობს პოზიციების მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა „საერთო ბაზრის" ფინანსურ და სხვა საკითხებში და მ. ტეტჩერი კვლავ უარს ამბობს გაზარდოს ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტში შესატანი და სხვა საკითხებზე, ეს ორივე ქვეყანა ერთიანი პოზიციით გამოდიოდა მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებში, კერძოდ, ამერიკული რაკეტების ევროპაში განლაგებისა და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხებში.

1982 წელს გამწვავდა დიდი ხნის განმავლობაში არსებული ინგლის-ესპანეთის დავა გიბრალტარის შესახებ. ინგლისი, ცდილობდა გამოეყენებინა ესპანეთის „საერთო ბაზარში" შესვლის სურვილი მასზე ზეგავლენის მოსახდენად გიბრალტარის საკითხში. საბოლოოდ, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 15 დეკემბერს ინგლისისა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ფ. პიმმა და ფ. მორანომ მიაღწიეს შეთანხმებას იმაზე, რომ გაეხსნათ ესპანეთ-გიბრალტარის საზღვრები ფეხით მოსიარულეთათვის. 1984 წლის ნოემბერში ინგლისსა და ესპანეთს შორის დაიდო შეთანხმება 1985 წლიდან ესპანეთსა და გიბრალტარს შორის მიმოსვლაში ყოველგვარი შეზღუდვების მოსპობის შესახებ. გიბრალტარის საკითხის ირგვლივ. ამის შემდეგ ინგლისმა მხარი დაუჭირა ესპანეთის შესვლას (1986 წ.) „საერთო ბაზრის" შემადგენლობაში.

ინგლის-არგენტინის ომი

1982 წლის აპრილ-ივნისში ინგლისს ომი ჰქონდა არგენტინასთან ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისათვის. ეს კუნძულები არგენტინამ ხელთ ჩაიგდო 1982 წელს, რის შემდეგ არგენტინა მოითხოვდა ამ კუნძულებზე მისი სუვერენიტეტის ცნობას, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კუნძულები არგენტინელებით არ

იყო დასახლებული. ჯერ კიდევ XVII—XVIII სს. ეს კუნძულები დრეიკის საზღვაო ყაჩაღების თავშესაფარი გახდა, ხოლო შემდეგ იქ შოტლანდიელები დასახლდნენ და თევზის რეწვას ეწეოდნენ. ინგლისსა და არგენტინას შორის მოლაპარაკება ამ კუნძულების შესახებ დაიწყო 1965 წ. და გაგრძელდა 1982 წლის აპრილამდე და დასრულდა უშედეგოდ. 1982 წლის 2 აპრილს არგენტინის ჯარები გადასხმულ იქნა ფოლკლენდის (მალვინის), სამხრეთ სანდვიჩის და სამხრეთ გეორგიის კუნძულებზე, სადაც განაიარაღეს ინგლისის მცირერიცხოვანი გარნიზონი და არგენტინის სახელმწიფო ალმები ააფრიალეს. ინგლისმა 100 გემი, მათ შორის ორი ავიამზიდი და ატომური წყალქვეშა ნავი, სადესანტო გემები და აგრეთვე უშიშროების უზრუნველყოფის გემები გაგზავნა კუნძულებიდან არგენტინელების გასადევნად. ამ სამხედრო საზღვაო არმადამ, რომელიც ინგლისის მთელი საზღვაო ძალების მესამედს შეადგენს, კუნძულების ბლოკადა მოაწყო. სამხედრო მოქმედებამ ყველაზე უფრო აქტიური ხასიათი მიიღო 2 მაისის შემდეგ. როდესაც ჩაძირულ იქნა არგენტინის კრეისერი „გენერალი ბელგრანო", რომელზეც 300 კაცი დაიღუპა. არგენტინამ დაკარგა კიდევ წყალქვეშა ნავი და სხვა გემები, მრავალი თვითმფრინავი. ზარალი განიცადა ინგლისის საექსპედიციო კორპუსმა. ჩაძირულ იქნა ინგლისის 5 გემი, ჩამოაგდეს მრავალი თვითმფრინავი და ვერტმფრენი. ორივე მხარემ დაკარგა მნიშვნელოვანი რაოდენობის ადამიანები. ორივე მხარეს სამხედრო მოქმედება 3 მილიარდი დაუჯდა[1]. ინგლისელთა ძალები ბევრად სჯობდნენ თავისი სიძლიერითა და თანამედროვე იარაღის ხარისხით არგენტინისას. კონფლიქტის პირველსავე დღიდან ინგლისს დიდი მატერიალურ-ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა აშშ-მ. ინგლისს დახმარება აღმოუჩინეს აგრეთვე სხვა მოკავშირეებმა ნატოდან სამხედრო, ეკონომიკურ და სხვა დარგებში. ინგლისელებმა კუნძულებზე ჯარები მაისში გადასხეს და აშკარა უპირატესობის პირობებში ჩაახშეს არგენტინელთა წინააღმდეგობა. ამის შემდეგ ინგლისმა განაცხადა ომის დამთავრების შესახებ არგენტინასთან და გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, რომ შეინარჩუ-

---

[1] არგენტინასთან ომის დაწყებასთან დაკავშირებით 1982 წ. 5 აპრილს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კარინგტონი გადადგა. მისი ადგილი დაიკავა ფ. პიმმ.

ნებს ფოლკლენდის კუნძულებზე კოლონიურ სტატუსს და გადააქცევს მას სამხედრო ბაზად. ინგლისი, ვაშინგტონის მხარდაჭერით ზეგავლენას ახდენდა არგენტინაზე, რომელსაც დიდი დავალიანება ჰქონდა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან, რათა შეეცვალა თავისი პოზიცია ფოლკლენდის კუნძულებზე. 1983 წლის იანვარში მ. ტეტჩერი ჩავიდა ფოლკლენდის კუნძულებზე და გადაწყვიტა მისი გადაქცევა მსხვილ სამხედრო ბაზად. 1984 წლის ივლისში ბერნში დაიწყო ინგლის-არგენტინის მოლაპარაკება ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. მაგრამ ეს მოლაპარაკება თითქმის მაშინვე შეწყდა იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ტეტჩერმა უარი თქვა დღის წესრიგში შეეტანა ფოლკლენდის კუნძულების სუვერენიტეტის საკითხი. ამასთანავე, აშშ-ს პირდაპირი მხარდაჭერით სწრაფად ხორციელდებოდა კუნძულების ფართო მილიტარიზაციის პროგრამა. იქ დისლოცირებულ იქნა სამხედრო თვითმფრინავები და ვერტმფრენები, აშენებდნენ ნაგებობებს რაკეტების გასაშვებად. დიდი თანხები იქნა გამოყოფილი ახალი აეროდრომების მშენებლობისათვის. 1985 წლის ზაფხულში ლონდონმა, ინგლისსა და არგენტინას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მიზნით, განაცხადა 1982 წლის აპრილში შემოღებული ემბარგოს გაუქმების შესახებ არგენტინიდან შემოსატან საქონელზე. მაგრამ ამავე დროს ლონდონმა განაცხადა, რომ ფოლკლენდის კუნძულების სუვერენიტეტის საკითხის განხილვა არ მოხდება. 1986 წელს ინგლისსა და არგენტინას შორის კვლავ გამწვავდა ურთიერთობა იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ტეტჩერის მთავრობამ განაცხადა 1987 წლის 1 თებერვლიდან ფოლკლენდის კუნძულების ირგვლივ 150 მილი „თევზჭერის დაცვის ზონის" შემოღების შესახებ. ლონდონის ეს აქცია მიზნად ისახავდა ბრიტანეთის პრეტენზიების განმტკიცებას აღნიშნულ კუნძულებსა და მის ირგვლივ მდებარე წყლებზე, რომელიც მდიდარია თევზითა და მინერალური რესურსებით. ლონდონის ასეთ ნაბიჯებს იმასაც უკავშირებენ, რომ ხელი შეუშალონ არგენტინის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას (მათ შორის თევზჭერის დარგში) საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

კონსერვატორების საგარეო პოლიტიკა აზიის ქვეყნების მიმართ

80-იანი წლების დასაწყისში გააქტიურდა მ. ტეტჩერის პოლიტიკა აზიაში. 1982 წლის სექტემბერში მ. ტეტჩერი ვიზიტით ჩავიდა ინდოეთში, ხოლო უფრო ადრე იანვარ-თებერვალში მოაწყო ორკვირიანი ვიზიტი ასეანის ქვეყნებში, სადაც მ. ტეტჩერი მხარს უჭერდა კამბოჯაში კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას ყველა მხარეების, მათ შორის პოლპოტელების მონაწილეობით. იმავე წლის სექტემბერში მ. ტეტჩერი იმყოფებოდა ჩინეთში, სადაც ჩინელ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება ჰქონდა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ და აგრეთვე ჩინეთის ტერიტორიაზე ინგლისის კოლონია ჰონკონგის მომავალი სტატუსის შესახებ. ინგლისმა, პირველმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის მოაწერა ხელი ჩინეთთან მისთვის თანამედროვე იარაღის მიწოდების შესახებ 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. 1983 წელა ინგლის-ჩინეთის ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჰონკონგის (სიანგანის) მომავალი სტატუსის საკითხს, რომელსაც იჯარის ვადა 1997 წელს გაუდის. 1983 წლის ივლის-დეკემბერში ჰონკონგის შესახებ ინგლის-ჩინეთის მოლაპარაკების რამოდენიმე რაუნდი ჩატარდა. 1984 წელს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ჰაუ ორჯერ იყო ჩინეთში (აპრილში, ივლის-აგვისტოში), ხოლო დეკემბერში კი პეკინში მ. ტეტჩერი ჩავიდა. სადაც ხელმოწერილ იქნა ერთობლივი ჩინეთ-ბრიტანეთის დეკლარაცია ჰონკონგის (სიანგანის) შესახებ. დეკლარაციის საფუძველზე 1997 წლის 1 ივლისიდან ჩინეთის სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე აღდგება. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ჰონკონგის ჩინეთისათვის დაბრუნების შემდეგ ჰონკონგში მომდევნო 50 წლის განმავლობაში უცვლელად დარჩება ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, კანონები, მოსახლეობის ცხოვრების წესი, ეკონომიკის „თავისუფალი ბაზარი", უცხოელების ხელში მყოფი საკუთრება.

1985 წლის ივნისში ლონდონში ჩინეთის პრემიერის ჯაო-ძიანის ყოფნის დროს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ 1986—1990 წლებში. ამ შეთანხმებაში სპეციალური ნაწილია „თავდაცვის სფეროში" თანამშრომლობის

შესახებ და ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გაშოყენების შესახებ. მომდევნო წლის ივნისში ლონდონში იმყოფებოდა ჩკპ-ის ცკ-ის მაშინდელი გენერალური მდივანი ჰუ იაობანი, რომელმაც მ. ტეტჩერთან შეხვედრის დროს ისაუბრა ინგლის-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებაზე. 1986 წლის ოქტომბერში ჩინეთში მოეწყო დედოფალ ელისაბედ II-ის ვიზიტი — ეს იყო ბრიტანეთის დედოფლის პირველი ვიზიტი ჩინეთში. გადაწყდა, რომ ინგლის-ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა ხუთი წლის განმავლობაში 14 მილიარდ დოლარამდე გაეზარდათ.

ინგლისის ინტერესები რომ გაიზარდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ამაზე მეტყველებს 1987—1988 წლებში მოწყობილი საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები: ტაილანდში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, 1987 წლის აპრილში, ხოლო ორი კვირით ადრე კი შანამდე ჯ. იანგერი იყო ტაილანდში, მალაიზიაში, სინგაპურში და ბრუნეიში. ეს ვიზიტები და შემდგარი მოლაპარაკებები ცხადყოფენ ინგლისის მისწრაფებებს გააქტიუროს ჯერ კიდევ 1971 წელს დადებული ხუთმხრივი შეთანხმება (დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, მალაიზია და სინგაპური) სამხედრო თანამშრომლობის შესახებ და რაიმე ფორმით ჩართოს მასში ბრუნეი. ლონდონის მეორე ამოცანა იყო ანტიბირთვული განწყობილებებისათვის ხელის შეშლა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებსა და ასეანის ქვეყნებში.

1986 წ. გართულდა ურთიერთობა ინგლისსა და ინდოეთს შორის ძირითადად იმის გამო, რომ ინგლისის ხელისუფლება წინააღმდეგობას არ უწევდა სიქხელი ექსტრემისტების ანტიინდურ საქმიანობას ბრიტანეთის ტერიტორიაზე. ინდოეთის მთავრობამ მკაცრად დაგმო აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. ამიტომ მ. ტეტჩერის ოფიციალურმა ვიზიტმა ინდოეთში 1985 წლის აპრილში და რ. განდისა კი ლონდონში ოქტომბერში არ გამოიწვია ამ ორ ქვეყანას შორის საადავო საკითხების გადაჭრაში რაიმე ცვლილებები.

ლონდონი, ერთი მხრივ, მხარს უჭერდა რასისტულ ბასტიონებს აფრიკის სამხრეთში, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა მანევრებით, რომელთა ამოცანა იყო ბრიტანეთის პოზიციებისა და გავლენის შენარჩუნება, ანვითარებდა ურთიერთობას ამ რეგიონის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან. მ. ტეტჩერის კაბინეტი, როდეზიაში მიმდი-

ნარე ძლიერ განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ხან სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ რეჟიმის შენარჩუნება და მხარი დაუჭირა აქ თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. 1980 წლის თებერვალში შემდგარი თავისუფალი არჩევნების დროს რასისტულმა რეჟიმმა მარცხი განიცადა და 1980 წ. 18 აპრილს როდეზიამ ახალი სახელწოდება მიიღო და გამოცხადდა ზიმბაბვეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომლის მთავრობას სათავეში ჩაუდგა რ. მუგაბე. 1982 წლის მაისში შედგა რ. მუგაბეს პირველი ვიზიტი ლონდონში, რომლის დროსაც განიხილეს ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისა და სამხრეთ აფრიკის პრობლემები.

1985 წლის ოქტომბერში ნასაურში (ბაჰამის კუნძულები) შედგა თანამეგობრობის ქვეყნების მორიგი კონფერენცია, სადაც დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის კურსის ასპექტები დაგმობილ იქნა, განსაკუთრებით მისი რასისტული რეჟიმისადმი ყოვლისმომცველი სანქციების შემოღებაზე უარის თქმისა. მხოლოდ დიდი დაწოლისა და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ლონდონი იძულებული გახდა რასისტების წინააღმდეგ შემოეღო ზოგიერთი „შეზღუდული და ნებაყოფლობითი“ სანქციები. მაგრამ ამის შედეგად ლონდონი, მიუხედავად მისი არაერთი ნეგატიური განცხადებისა აპარტეიდის რეჟიმისადმი, მაინც მხარს უჭერდა მას ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც.

მაგალითად, ბრიტანეთის კომპანიებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შეიტანეს საქონელი 1 200 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობით. ინგლისზე მოდიოდა მთელი უცხოური კაპიტალის დაბანდებების ნახევარზე მეტი (12 მილიარდი ფუნტი სტერლინგი). ვინაიდან ბრიტანეთი არ ცვლიდა თავის ეკონომიკურ პოლიტიკას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ, 1986 წლის, ივლისში თანამეგობრობის 30 ქვეყანამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო სპორტულ თამაშებში ედინბურგში. მაგრამ ამან საქმეს არ უშველა და ინგლისი კვლავ უარს ამბობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისადმი რაიმე სერიოზული სანქციების გამოყენებაზე და მასთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გაწყვეტაზე.

დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის ურთიერთობა მ. ტეტჩერის მთავრობის დროს

მთელი 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 80-იან წლებში ურთიერთობა დიდ ბრიტანეთსა და იაპონიას შორის წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა, რაც ძირითადად იაპონიის სავაჭრო ექსპანსიის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული არა მარტო ატლანტიკის ზონის ქვეყნებში, არამედ აგრეთვე ბრიტანეთის კუნძულებზე. 80-იანი წლების დასაწყისში იაპონიის ექსპორტი დიდ ბრიტანეთში სამჯერ აღემატებოდა იმპორტს. აქედან მ. ტეტჩერის ვიზიტის დროს იაპონიაში, იგი დაჟინებით მოითხოვდა ტოკიოსაგან, რათა მას ლიკვიდაცია მოეხდინა თავისი არაბალანსირებული ორმხრივი ვაჭრობისა. მომდევნო წლის ივნისში იაპონიის პრემიერ-მინისტრის ი. ნაკასონეს ვიზიტის დროს დიდ ბრიტანეთში დაიდო შეთანხმება ინგლისს-იაპონიის მუდმივად მოქმედი საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის შესახებ. მაგრამ ამ შეხვედრამ, ისე როგორც წინა შეხვედრამ, ვერ მოაგვარა ამ ორ ქვეყანას შორის იაპონიის სასარგებლოდ არსებული დიდი სავაჭრო დეფიციტი. 1986 წლის იანვარში ლონდონში იმყოფებოდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. აბე და კონტაქტები, რომელსაც დიდი ბრიტანეთი იაპონიასთან ახორციელებდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების თავმჯდომარის სახით (1986 წლის ივლისი-აგვისტოში), ბრიტანეთის მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვდა იაპონიის ექსპორტის შეზღუდვას ინგლისში და ეკონომიკური გაერთიანების სხვა ქვეყნებში და პირობების შექმნას იაპონიაში დასავლეთ ევროპიდან საქონლის შესატანად. მაგრამ მოხდა პირიქით, იაპონიის ექსპორტი მომდევნო, 1987 წელს დასავლეთ ევროპაში და ბრიტანეთში კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, 1987 წელს ინგლისის იმპორტი იაპონიიდან შეადგენდა 5,5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს, ხოლო ექსპორტი იაპონიაში კი 1,5 მილიარდს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მ. ტეტჩერის მთავრობის დროს

მ. ტეტჩერის მთავრობამ თავიდანვე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში აირჩია „მკაცრი კურსი“, რომლის შედეგი ის იყო, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაქვეითება მოხდა, ქვეყანაში გაჩაღდა ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური კამპანია. ხელოვნურად ხდებოდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შეკვეცა. საგარეო ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის მარტო ორი წლის განმავლობაში 1979 წლიდან 1981 წლამდე 1,9 მილიარდიდან 1,5 მილიარდამდე შემცირდა. მართალია, შემდეგ წლებში თანდათანობით გაიზარდა. მაგალითად, 1982 წელს შეადგინა 1,6 მილიარდი, 1983 წ. 1,7 მილიარდი, 1984 წლისათვის კი 2 მილიარდი მანეთი. მაგრამ ინგლისი ერთ-ერთი პირველი ადგილიდან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა მეცხრე ადგილზე. 1980 წლის დასაწყისში ინგლისი აქტიურად მონაწილეობდა ვაშინგტონის ეკონომიკურ სანქციებში სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამ. ტეტჩერმა დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანასთან დაკავშირებით, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ოლიმპიადის ჩატარებისათვის მოსკოვში. თვით 80-იანი წლების თითქმის მეორე ნახევრის დასაწყისამდე. მ. ტეტჩერის კაბინეტი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში ახორციელებდა სანქციებისა და აკრძალვების კურსს. კონსერვატორები დემონსტრაციულად მხარს უჭერდნენ რ. რეიგანის მიერ ბრიტანეთის პარლამენტში გამოსვლისას (1982 წ. ივნისში) გამოცხადებულ ანტისაბჭოთა კურსს და ერთგულად ახორციელებდნენ ვაშინგტონის სტრატეგიას ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას ინგლისსა და დასავლეთ ევროპაში. სავაჭრო ურთიერთობის შეზღუდვა იწვევდა ინგლისის საქმიანი წრეების უკმაყოფილებას. სწორედ ამის გამო იყო, რომ ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა კორექტივები შეეტანა თავის პოლიტიკაში. იგი ცალკეულ შემთხვევებში, მხედველობაში იღებდა ინგლისის საზოგადოებრიობის და საქმიანი წრეების ინტერესებს, გადაუხვევდა ხოლმე ვაშინგტონის ადმინისტრაციის მიერ დაკავებულ კურსს. მაგალითად, ინგლისის ფირმებსა და საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს შორის არსებობდა ადრე დადებული კონტრაქტი გაზსადენ ცმბი-

რი-დასავლეთ ევროპისათვის მოწყობილობების მიწოდების შესახებ, რომლის ჩაშლას ცდილობდა ვაშინგტონი. მაგრამ, ბრიტანეთის მთავრობამ განკარგულება გასცა (1982 წლის აგვისტოში), რათა ინგლისის ფირმებს გამოეყენებინათ „კანონი ინგლისის სავაჭრო ინტერესების დაცვის შესახებ“ და განუხრელად შეესრულებინათ საბჭოთა ფირმებთან ნაკისრი ვალდებულებები. ისიც საყურადღებოა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ. პიმმა დაგმო ის ნაბიჯები, რომელიც იწვევს „სავაჭრო ომს მოსკოვთან“. 1982 წლის 15 ნოემბერს ფ. პიმი ლ. ი. ბრეჟნევის დაკრძალვასთან დაკავშირებით ჩასული იყო მოსკოვში და შეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. გრომიკოს. საუბრის დროს ორივე მხარემ მხარი დაუჭირა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის პოლიტიკური დიალოგის და საქმიანი ურთიერთობის განვითარებას.

1983 წლის მარტში ლონდონში დაიდო შეთანხმება 1983—1985 წწ. მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგებში ურთიერთგაცვლის შესახებ. მაისში, ლონდონში, მუდმივად მოქმედ სამთავრობათაშორისო საბჭოთა კავშირ-ინგლისის კომისიის მორიგ XI სესიაზე მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში ხელი მოაწერეს რიგ კონტრაქტებს ბრიტანეთის ფირმების მიერ საბჭოთა კავშირისათვის მოწყობილობების მიწოდებაზე. 1984 წლიდან საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის თანდათანობით გააქტიურდა კონტაქტები ყველა სფეროში. 1984 წლის თებერვალში მოსკოვში ჩავიდა მ. ტეტჩერი და აზრი გამოთქვა ამ ორ ქვეყანას შორის „სტაბილური დიალოგის დამყარების“ შესახებ. მაისში ზემოთ აღნიშნულ ინგლის-საბჭოთა კავშირის სამთავრობო კომისიის მორიგ XII სესიაზე მოსკოვში ხუთი წლის ვადით ხელი მოაწერეს გენერალურ შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

მ. ტეტჩერის მოსკოვში ჩასვლა ერთგვარი დასაბამი გახდა ინგლის საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაში სასიკეთოდ შემოტრიალებისა. 1984 წლის ივლისში მოსკოვში ჩავიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ჰაუ, რომლის დროსაც ა. გრომიკოსთან განიხილეს ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემები და ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. ამასთანავე დაიწყო ინტენსიური გაცვლა პარლამენტის დელეგაციებისა. 1984 წ. დეკემბერში დიდ ბრიტა-

ნეთში შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით, რომელიც შეხვდა მ. ტეტჩერსაც. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ამ შეხვედრის შემდეგ თქვა ცნობილი სიტყვა, რომელიც შემდეგაც არაერთხელ გაიმეორა: „ეს ის კაცია, რომელთანაც მე შემდეგაც მსურს საქმე ვიქონიო". ამ ვიზიტის შემდეგ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებისათვის. მ. ს. გორბაჩოვმა წინადადება წამოაყენა, რომ „დაეხურათ ომის შემდგომი ისტორიის უკანასკნელი ფურცელი და გადაედგათ ნაბიჯი ახალი, მშვიდობიანი პერიოდისაკენ". მ. ს. გორბაჩოვის ამ ვიზიტის დროს გამოითქვა აზრი ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგისა და სავაჭრო-ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში ურთიერთობის განვითარებისათვის.

1985 წლის მარტში მოსკოვში შედგა ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის 69-ე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა 200-მდე ბრიტანეთის ფირმა და საბჭოთა ორგანიზაცია. ამ წელს მოეწყო კიდევ მრავალი სხვა შეხვედრა. მაგრამ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მაინც ზიგზაგისებურად ვითარდებოდა და მისი აღმავლობით განვითარებას ხელს უშლიდა რიგი ფაქტორები. დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები ჯერჯერობით უნდობლობას იჩენდნენ სსრ კავშირისადმი და კვლავ აგრძელებდნენ რაკეტების განლაგებასა და გაშალებულ შეიარაღებას. იზრდებოდა აგრეთვე სამხედრო ხარჯები. კონსერვატორების ხელისუფლების სათავეში მოქცევიდან დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხარჯები 2-ჯერ მეტად გაიზარდა.

1985 წელს ლონდონიდან გამოძევებული იქნა საბჭოთა დაწესებულებების რიგი თანამშრომელი, რომელთაც ჯაშუშობის ბრალდება წაუყენეს. მომდევნო წლის ივლისში ლონდონში ვიზიტით ჩავიდა ე. ა. შევარდნაძე, რომლის დროსაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ერთბაშად ხელი მოაწერეს სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს: 1986—1990 წწ. ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების პროგრამას; შეთანხმებას ინციდენტების თავიდან აცილებისათვის ზღვაზე ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ და შეთანხმებას ურთიერთფინანსური და ქონებრივი პრეტენზიების შესახებ, რომელნიც 1939 წლამდე აღმოცენდა.

1979 წლის დეკემბერში ნატომ მიიღო ე. წ. „ორმაგი გადაწყვე-

ტილება", რომელიც ითვალისწინებდა ევროპაში ამერიკული რაკეტების „პერშინგ-2" და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას. სსრ კავშირმა განაცხადა, რომ უარი ეთქვათ ამ გადაწყვეტილებაზე და დაედოთ ურთიერთგარანტირებული შეთანხმება ბირთვული სტრატეგიული რაკეტების შესახებ. მაშინ რ. რეიგანმა „ევრორაკეტებზე" წამოაყენა „ნულოვანი ვარიანტი", რომელიც 1981 წელს ერთსულოვნად მოიწონეს აშშ-ს ნატოელმა მოკავშირეებმა, რეიკიავიკის შემდეგ კი ნატოს ორგანოები გამოვიდნენ მათ მიერ მოწონებული „ნულოვანი ვარიანტის" წინააღმდეგ.

საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტები განლაგებული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, იტალიის, ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიებზე. ყველა ამ ქვეყანამ საბჭოთა ლიდერის 28 თებერვლის განცხადება თავდაპირველად მოიწონა. იგი მოიწონეს აგრეთვე ნატოს სხვა ქვეყნების: კანადის, ესპანეთის, ნორვეგიის, დანიის, ლუქსემბურგის და ისლანდიის ოფიციალურმა წრეებმა.

მ. ს. გორბაჩოვის წინადადებას მხარი დაუჭირა მრავალმა კონგრესმენმა და სენატორმა.

3 მარტს თეთრი სახლის მიერ მოწყობილ ბრიფინგზე აშშ-ს პრეზიდენტი რ. რეიგანი მიესალნა 1987 წლის 28 თებერვლის განცხადებას. მ. ს. გორბაჩოვის 28 თებერვლის განცხადებამ აშშ-ს მოუწოდა დაუყოვნებლივ დაედოთ ცალკე შეთანხმება ევროპაში ვანლაგებული საბჭოთა და ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

დასავლეთის ოფიციალური წრეები თავდაპირველად მიესალმნენ 28 თებერვლის განცხადებას ევრორაკეტების შესახებ, მაგრამ აშშ-ს „ქორების" გამოხდომის შემდეგ საბჭოთა ახალი წინადადებების წინააღმდეგ წამოაყენეს რიგი არგუმენტები და მოსაზრებები. პირველი გამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. რემონი. მან ძალზედ მტრულად განაცხადა, რომ „ნულოვანი ვარიანტი" შეასუსტებს ევროპის უშიშროებას. საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ა. ჟირომ დასძინა: ევრორაკეტების ლიკვიდაციის შემთხვევაში საბჭოთა კავშირი ჩვეულებრივი შეიარაღების გარ-

და უპირატესობას შეინარჩუნებს სხვა ბირთვულ საშუალებებზე, რომელნიც დასავლეთ ევროპას აღწევენ. ამერიკელების მიერ 1984 წელს ევროპაში განლაგებული რაკეტების გატანის შემთხვევაში დასავლეთ ევროპა განიარაღებული აღმოჩნდება ვარშავის ხელშეკრულების წინაშე. გორბაჩოვის წინადადების მიღება, დაასკვნა ჟირომ, იქნებოდა „მიუნხენის გარიგების“ მსგავსი (რომლის მსხვერპლი 1938 წელს გახდა ჩეხოსლოვაკია). პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა ერთგვარად გამოასწორა თავისი მინისტრების მტრული გამოხდომები. საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის პერსპექტივა, განაცხადა მან, შეესაბამება საფრანგეთისა და მსოფლიოს ინტერესებს.

ინგლისური პრესა უსვამდა ხაზს თეზისს იმაზე, რომ ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირს დიდ უპირატესობას მიანიჭებს ნატოს ქვეყნებთან შედარებით ნაკლები სიშორის რაკეტებში. თუ ეს ასეა, ამბობდნენ ასეთი კონცეფციის ავტორები, მაშინ უარი უნდა ვთქვათ „ნულოვან ვარიანტზე“ და დასავლეთ ევროპაში დავტოვოთ ამერიკული ფრთოსანი რაკეტების და „პერშინგების“ ნაწილი მაინც, ან აშშ-ს უფლება მივცეთ ნაკლები სიშორის ტიპის რაკეტების არსენალის გაზრდისა.

1987 წლის 22 მარტს ქ. ტორკში გამართულ კონსერვატორების მიტინგზე გამოსვლისას მ. ტეტჩერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა განზრახ უდგება მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას „ძალის პოზიციით“. მხოლოდ „ძალა, აღნიშნა მან, წარმოადგენს საფუძველს მშვიდობის დაცვაში.“ რომ დასავლეთ ევროპაში ფრთოსანი რაკეტებისა და „პერშინგების“ განლაგებამ „აიძულა რუსები მისხდომოდნენ მოლაპარაკების მაგიდას“ და წამოეყენებინათ წინადადებები ყველა საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციაზე.

ინგლისის პარლამენტში ევრორაკეტების პრობლემის განხილვისას მმართველმა კონსერვატორულმა პარტიამ ასეთი აზრი გამოთქვა, საბჭოთა წინადადებები შედეგია „დასავლეთის ერთობისა და სიმტკიცისა“, ამიტომ ზეგავლენა საბჭოთა კავშირზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შენელდეს.

სსრ კავშირსა და ინგლისს შორის სერიოზული აზრთასხვაობა იყო იმაზე, თუ როგორი იყოს ევროპა — უბირთვო თუ ბირთვული. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა მ. ტეტჩერის ვიზიტის დროს

სურ კავშირში. „რკინის ლედი" თავის გამოსვლაში მოითხოვდა პირთვულ ევროპას, რომელიც, მისი აზრით, მშვიდობის უფრო მტკიცე გარანტიას იძლევა. იგი ბირთვული არსენალის მხოლოდ უფრო დაბალი დონის მომხრედ გამოდიოდა.

1987 წლის მარტ-აპრილში მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მ. ტეტჩერი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისათვის, აგრეთვე საერთაშორისო თვალსაზრისითაც. ამრიგად, ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში თანდათანობით ისადგურებდა დიალოგი. ბრიტანეთის მთავრობა მიესალმა საბჭოთა კავშირ-ამერიკას შორის დადებულ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, აცხადებდა თავის მზადყოფნას ხელი შეეწყო სტრატეგიული შეიარაღების 50%-ით შემცირებაზე. არაერთი სასარგებლო წინადადება წამოაყენა ქიმიური იარაღის წარმოების აკრძალვისა და ამ იარაღის ლიკვიდაციის შესახებ. ამასთან ერთად მ. ტეტჩერის მთავრობის წარმომადგენლები და თვით პრემიერ-მინისტრიც არა ერთხელ ამტკიცებდნენ იმას, რომ ბირთვული იარაღის შემცირების პროცესზე საბჭოთა კავშირი დათანხმდა „დასავლეთის ძალის პოზიციის" წყალობით, რომ დასავლეთმა უნდა შეინარჩუნოს „მოქნილი რეაგირების" დოქტრინა, შეინარჩუნოს და კვლავაც გააძლიეროს აგრეთვე ნატოს ძალები და სოლიდარობა, ხოლო ნაკლები და საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შემდეგ მოეხდინათ კომპენსირება როგორც ბირთვული პოტენციალის, ასევე ჩვეულებრივი შეიარაღებისა. მ. ტეტჩერი აცხადებდა: „ჩვენ გვინდა ნაკლები რაოდენობის იარაღი იმ პირობით, რომ ჩვენი უშიშროება და თავდაცვა უზრუნველყოფილი იქნება, რაც არ უნდა მოხდეს". აი ეს „რაც არ უნდა მოხდეს ბირთვულ იარაღს დღეს ცხოვრების პასპორტს აძლევს". ამიტომ, ვიდრე ბირთვული იარაღი მოისპობა, უნდა გაქრეს ეჭვი, შიში, „რომ შეიძლება რაღაც მოხდეს". ეს მტკიცება არც ისე არარეალურია. დღისათვის ზომ ცნობილია, რომ დასავლეთის ქვეყნებს შორის, რაც არ უნდა მოხდეს, ომი გამორიცხულია. ასეთი საფრთხე მათ შორის არ არსებობს. ამიტომ ინგლისელებს დიდი ხანია ფრანგების არ ეშინიათ. ფრანგებს კი გერმანელებისა.

თავი IV

საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[1] საფრანგეთი მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში

§ 16. საფრანგეთი დროებითი რეჟიმის დროს (1944—1946 წწ.)

ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ. ოკუპაციის ოთხი წლის განმავლობაში გერმანელებმა ერთიანად გაძარცვეს საფრანგეთი. მას გადაახდევინეს 85 მლრდ. ფრანკი კონტრიბუცია, თავიანთ ქვეყანაში გაზიდეს თითქმის მთელი ძვირფასეულობა, დაინგრა, განადგურდა ან მოიშალა რიგი საწარმოები, ტრანსპორტი და გათბობის სისტემა. 1944 წლისათვის საფრანგეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა ომამდელის 60% ძლივს შეადგენდა. მწყობრიდან გამოსული იყო უმსხვილესი ელექტროსადგურები. ქვანახშირის შახტები, გემთსაშენები.

დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამაც. პირუტყვის სულადობა განახევრდა, ნათესი ფართობები, მუშახელისა და მანქანების ნაკლებობის გამო, მკვეთრად შემცირდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 40%-ით დაეცა. ომისა და ოკუპაციისაგან მიყენებული ზარალი 1440 მლრდ. ფრანკს შეადგენდა.

ფაშისტური ოკუპაციის ლიკვიდაციის შემდეგ ქვეყანაში ძალზე რთული პოლიტიკური ვითარება შეექმნა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოკუპაციის დროს (შეიქმნა 1943 წელს) წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნული საბჭო, რომელშიც გაერთიანდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე ყველა მასობრივი ორგანიზა-

---

[1] ტერიტორია — 551 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 57 მლნ. (1988 წლის აღწერით). დედაქალაქი პარიზი (გარეუბნებთან ერთად ცხოვრობს 10 მლნ. კაცი).

ცია. 1944 წლის მარტში წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ მიიღო პროგრამა. იგი ითვალისწინებდა დროებითი მთავრობის შექმნას, საფრანგეთის დიდების აღდგენას, სამშობლოს გამყიდველების დასჯას, ძირითადი საწარმოო საშუალებების ნაციონალიზაციას და ა. შ.

დე გოლის გავლენა ეროვნულ საბჭოში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. 1944 წლის დეკემბერში დე გოლის მთავრობა ინგლის-ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა ცნეს განთავისუფლებული საფრანგეთის დროებით მთავრობად.

პოლიტიკურ წყობას, რომელიც დამყარდა საფრანგეთის განთავისუფლებიდან და გაგრძელდა IV რესპუბლიკის გამოცხადებამდე და კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ეწოდა ე. წ. „დროებითი რეჟიმი". დე გოლის კოალიციურ დროებით მთავრობაში ორი კომუნისტიც შედიოდა. დროებითი მთავრობის ოფიციალური პროგრამა ითვალისწინებდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამის მოთხოვნებსაც — სამშობლოს მოღალატეთა დასჯას, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბანკების, ტრანსპორტისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციას. წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში, და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სამი ძირითადი დაჯგუფება: კომუნისტური, სოციალისტური და სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია (მრპ). განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ომის დამთავრებისას თავის რიგებში 900 ათას წევრს აერთიანებდა. კომუნისტური პარტია საფრანგეთში ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიას წარმოადგენდა.

საფრანგეთის კომპარტია ამ დროს მიზნად არ ისახავდა ძალაუფლების ხელში აღებას. კომუნისტებისათვის მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის მთელი ძალების გაერთიანება გერმანიის განადგურებისა და საფრანგეთის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღორძინებისათვის.

კომპარტიამ მიაღწია იმას, რომ 1944 წლის დეკემბერში სოციალისტურ პარტიასთან ერთად შექმნა ამ ორი პარტიის საკოორდინაციო კომიტეტი და დაიწყო მოლაპარაკება მუშათა ერთიანი პარტიის შექმნისათვის. ორივე პარტია 1947 წლამდე მთელ რიგ ძირითად საკითხებში თანამშრომლობდა.

სოციალისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 350 ათას კაცს. სოციალისტური პარტიის პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა ქვეყნის მრავალმილიონიანი წვრილბურჟუაზიული მასა. ნაგრამ სოციალისტურმა პარტიამ 1947 წლის შემდეგ უარი თქვა კომუნისტებთან თანამშრომლობაზე.

მშრომელთა ერთ-ერთი მასობრივი ორგანიზაცია გახდა შრომის საყოველთაო კონფედერაცია (შსკ), რომლის ხელმძღვანელი ორგანოები გაიწმინდა რეფორმისტულ-ბიუროკრატიული და ანარქისტულ-სინდიკალისტური ელემენტებისაგან. მათი ადგილი დაიკავეს წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურმა მონაწილეებმა, უმთავრესად კომუნისტებმა. შსკ თავის რიგებში აერთიანებდა 5,5 მლნ. წევრს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელი ქრისტიანების კონფედერაციის რიგები (750 ათას წევრამდე).

მესამე პოლიტიკური ძალა იყო „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" (მრპ) პარტია. იგი შეიქმნა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამ პარტიის ორგანიზატორები იყვნენ კათოლიკე მოღვაწენი — ჟ. ბიდო, მ. შუმანი, ფ. დე მარტონი და სხვები.

1944 წლის ნოემბერში ომამდე არსებული კათოლიკური პარტიები: „სახალხო დემოკრატები", „სოციალ-ქრისტიანები" და „ახალგაზრდა რესპუბლიკა" გაერთიანდნენ და შექმნეს ახალი პარტია — „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" სახელწოდებით. პარტიის ლიდერები თავს ასაღებდნენ პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მომხრეებად. ამ პარტიამ თავისი თავი გამოაცხადა გენერალ დე გოლის მიმდევარ პარტიად.

სამივე ზემოთ ჩამოთვლილი პარტია აღიარებდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამას. ისინი ომის დამთავრებისას ერთად თანამშრომლობდნენ, მაგრამ კომუნისტური პარტიის გავლენისა და ავტორიტეტის ზრდით დაშინებული სოციალისტური და მრპ-ის პარტიის ხელმძღვანელები გამოვიდნენ წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელების მოწინააღმდეგეებად.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გენერალი დე გოლი, რომლის პიროვნების განდიდებას ბურჟუაზიის ერთი ნაწილი ცდილობდა იმ მიზნით, რომ ქვეყანაში შეენარჩუნებინა თავისი პოლიტიკუ-

ი და ეკონომიკური პოზიციები. დე გოლს უწოდებდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ფუძემდებელს. საფრანგეთის „განმათავისუფლებელს“ და „მხსნელს“. დე გოლის პროგრამა მიზნად ისახავდა თავისი პირადი ხელისუფლების გაძლიერებას, პარლამენტის უფლებების და, საერთოდ, დემოკრატიული თავისუფლებების შეზღუდვას. მას არ მოსწონდა წინააღმდეგობის საბჭოს პროგრამა, მაგრამ ამ პროგრამის წინააღმდეგ აშკარად არ ილაშქრებდა.

წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამას არ იზიარებდნენ რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები, მაგრამ მათი გავლენა ძალზე უმნიშვნელო იყო.

1945 წლის მეორე ნახევარში წინააღმდეგობის მოძრაობაში შემავალმა კომუნისტებისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა შექმნეს პარტია სახელწოდებით „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი“ (უდსრ). ამ პარტიის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ მემარჯვენე სოციალისტი ლეონ ბლუმი მათ მხარს დაუჭერდა. საყურადღებოა, რომ ლ. ბლუმი საკონცენტრაციო ბანაკიდან საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს, მაგრამ მას საბჭოთა კავშირთან და საფრანგეთის კომუნისტებთან თანამშრომლობის საკითხში უარყოფითი პოზიცია ეკავა.

თავდაპირველად, ე. წ. „დროებითი რეჟიმის“ დროს ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა — წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოსი და დე გოლის დროებითი მთავრობისა. 1944 წლის ივლის-აგვისტოში ეროვნული განთავისუფლების დეპარტამენტის კომიტეტში, რომელსაც მხარს უჭერდნენ „შიდა ძალები“, პატრიოტული გვარდია, მილიცია და ხალხი, ქმნიდნენ სახალხო ტრიბუნებს, მკაცრად სჯიდნენ გამყიდველებს, კონფისკაციას უკეთებდნენ კოლაბორაციონისტების ქონებას.

ეს ღონისძიებები ხორციელდებოდა წინააღმდეგობის ორგანიზაციაში შემავალი პარტიების ერთიანი მოქმედებით.

საფრანგეთში შექმნილი ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის ვითარებაში დე გოლის მთავარ საზრუნავად გადაიქცა წინააღმდეგობის მოძრაობის (როგორც ახალი ხელისუფლების ორგანოსი და შემდეგ დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის) ლიკვიდაცია.

დროებითი მთავრობა დიდ ქალაქებში ნიშნავდა „რესპუბლიკის კომისრებს“, დეპარტამენტებში — პრეფექტებს, რომელნიც ქმნიდნენ მუნიციპალურ და გენერალურ საბჭოებს. დროებითი მთავრო-

ბის ბრძანებით დათხოვნილად გამოცხადდა „შიდა ძალები“ (0,5 მლნ. კაცს ითვლიდა). სახალხო ტრიბუნალები, პატრიოტული გვარდია და მილიცია, წინააღმდეგობის სამხედრო ჯგუფები. მთელი ეს ძალები ან დემობილიზებულად ცხადდებოდა, ან უნდა შეერთებოდნენ რეგულარულ არმიას და დამორჩილებოდნენ დე გოლის ოფიცრებს. ყველა ამ ძალის დათხოვნის შემდეგ წინააღმდეგობის ორგანიზაციამ დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა და მთელი ძალაუფლება დე გოლის მთავრობის ხელში გადავიდა. ამასთანავე, წინააღმდეგობის მოძრაობის მთელი რიგი ლიდერები, მათ შორის კომპარტიის ორი წევრი, დე გოლის დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შევიდა.

დე გოლის მთავრობამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მშრომელთა მასების მდგომარეობას. მაგალითად, 40—50%-ით გაიზარდა ხელფასები, მიეცათ დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს, მოხუცებს, ავადმყოფებს; ნაციონალიზაცია ჩატარდა შემდეგი დარგებისა: ქვანახშირის მაღაროების, საზღვაო ნაოსნობის, საჰაერო ტრანსპორტის, ზოგიერთი ავიაკომპანიის, „რენოს“ საავტომობილო ქარხნების; ნაციონალიზებული საწარმოების მფლობელებმა მიიღეს მნიშვნელოვანი კომპენსაციები. ნაციონალიზაციის შედეგი ის იყო, რომ მრეწველობაში შეიქმნა სახელმწიფო-კაპიტალისტური სექტორი.

პოლიტიკურ დარგში მნიშვნელოვანი იყო შემდეგი ღონისძიებანი: აღდგა დემოკრატიული თავისუფლება. ჩატარდა სახელმწიფო აპარატის წმენდა კოლაბორაციონისტებისაგან. სიკვდილი მიესაჯათ პეტენსა და ლავალს. პირველს განაჩენი მუდმივი პატიმრობით შეუცვალეს, მეორე კი დახვრიტეს.

დროებითი რეჟიმის საგარეო პოლიტიკიდან აღსანიშნავია შემდეგი: 1944 წლის 10 დეკემბერს დე გოლის მოსკოვში ჩასვლის დროს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის 20 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

დროებითი რეჟიმი მოითხოვდა გერმანიაზე მტკიცე გარანტირებული კონტროლის დაწესების მეშვეობით მომავალში მისი აგრესიის შესაძლებლობის გამორიცხვას. საფრანგეთისათვის საარის ოლქის და რაინის მარცხენა სანაპიროს გადაცემას. დიდ რეპარაცი-

ებს და მათ ანგარიშზე გერმანული ქვანახშირის მიწოდებას საფრანგეთის მრეწველობისათვის. გერმანიისათვის რურის ოლქის ჩამორთმევას და ა. შ.

რეფერენდუმის ჩატარება და პირველი დამფუძნებელი კრების არჩევნები. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას შორის მწვავე დავა იყო იმაზე, თუ როგორი მმართველობის სისტემა შეექმნათ საფრანგეთში. კომუნისტები უარყოფდნენ ბურჟუაზიული პარტიების მოთხოვნას, რომ 1875 წლის კონსტიტუცია აღდგენილიყო. დე გოლი ამ საკითხის გადასაწყვეტად რეფერენდუმის ჩატარების მოითხოვდა 1945 წლის ოქტომბერში ერთდროულად ჩატარდა რეფერენდუმიც და დამფუძნებელი კრების არჩევნებიც. რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობა 1875 წლის კონსტიტუციის აღდგენის წინააღმდეგ გამოვიდა. დამფუძნებელ კრებაში კომუნისტებმა მიიღეს 5 მლნ. ხმა (ე. ი. ამომრჩეველთა 25,4%) და 152 დეპუტატის ადგილი. სოციალისტებმა — 4.6 მლნ. ხმა (ამომრჩეველთა 23,3%) და 142 ადგილი, მრპ-მ — 4.5 მლნ. ხმა (ამომრჩეველთა 23%) და 141 ადგილი. რადიკალებმა და სხვა მემარცხენე და მემარჯვენე ჯგუფებმა და პარტიებმა 81 ადგილი მიიღეს.

კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს ერთად დამფუძნებელ კრებაში პირველად საფრანგეთის ისტორიაში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ (294 ადგილი 545-დან). რაც მუშათა მთავრობის შექმნის საშუალებას იძლეოდა. მაგრამ კომუნისტების წინადადება, რომ ამ ორ პარტიას შეექმნა მთავრობა, სოციალისტებმა უარყვეს და განაცხადეს, რომ მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ სამივე პარტიის კოალიციურ მთავრობაში.

კომუნისტებთან კოალიციაში მთავრობის შექმნის მთავარი მოწინააღმდეგე იყო მემარჯვენე სოციალისტების ლიდერი ლეონ ბლუმი. მან ამ ხანებში გამოცემულ თავის წიგნში „კაცობრიობის მასშტაბები“ და აგრეთვე რიგ სტატიებში ძირითადი ანტიკომუნისტური „ბრალდებები“ ჩამოაყალიბა: ფრანგი კომუნისტების „არასაკმაო დემოკრატიულობა“, „საბჭოთა კავშირისადმი უსიტყვო მორჩილება“ და სწრაფვა „კომუნისტური დიქტატურის“ დამყარებისადმი.

დე გოლის მეთაურობით შეიქმნა სამი ძირითადი პარტიის ხუთ-ხუთი წარმომადგენლისა და დე გოლის მომხრეთა 6 წარმომადგენლისაგან შემდგარი კოალიციური მთავრობა. მორის ტორეზმა დაი-

კავა პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი, ხოლო კომუნისტებმა (შარლ ტიიონმა. ფრანსუა ბიიუმ. მარსელ პოლმა, ანბრეზ კრეტენ-მა) დაიკავეს შეიარაღების, ეკონომიკის, მრეწველობის და შრომის სამინისტროს მინისტრების ადგილები.

დე გოლის გადადგომა. დე გოლი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი პირადი ხელისუფლების გაძლიერებას და დამფუძნებელი კრებისათვის ანგარიშის გაუწევლად ქვეყნის გამგებლობას. ამას მალე მოჰყვა კონფლიქტი დე გოლსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა უმრავლესობას შორის. თუ მრჩ დე გოლს აშკარად მხარს უჭერდა, სოციალისტურმა პარტიამ, იმის შიშით. რომ დაკარგავდა თავის გავლენას ამომრჩევლებზე. ვერ გაბედა აშკარა მხარდაჭერა. ამ პარტიის რიგითი წევრებიც და ამომრჩევლებიც თავიანთი ლიდერებისაგან მოითხოვდნენ კომუნისტებთან თანამშრომლობით ქვეყანაში 1945 წლის მოუსავლიანობით შექმნილი მძიმე. საერთაშორისო მდგომარეობის მოწესრიგებასა და სპეციალიზაციის აღკვეთას.

გარდა ამისა სამხედრო ხარჯები ომის დამთავრების შემდეგაც ძალზე დიდი იყო. კონფლიქტი დამფუძნებელ კრებასა და დე გოლს შორის სწორედ ამით დაიწყო. დამფუძნებელ კრებაში დეპუტატმა სოციალისტებმა და კომუნისტებმა მოითხოვეს სამხედრო ხარჯების 20%-ით შემცირება, რაზედაც დე გოლმა კატეგორიული უარი თქვა. მაგრამ. რადგანაც ამ საკითხში კომუნისტები და სოციალისტები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ, 1946 წლის 20 იანვარს დე გოლი გადადგა. მას არ სურდა, დამფუძნებელი კრების უმრავლესობას დამორჩილებოდა. ამ გადადგომას დე გოლი თავისი სამხედრო მემუარების III ტომში იმით ხსნის, რომ ჩაიშალა მისი გეგმა პრეზიდენტის მეთაურობით ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლების შექმნისა. მისი გეგმის ჩაშლა გამოიწვია კომუნისტების გავლენის ზრდამ და მრავალპარტიული პარლამენტის რეჟიმის აღორძინებამ. სამხედრო ძალას კი დე გოლმა იმის შიშით არ მიმართა, რომ ამას „ქვეყანა ვერ გაიგებდა და ჩემ წინააღმდეგ ამხედრდებოდა“, რის შედეგად „კომუნისტები ჩემი მემკვიდრეები გახდებოდნენ“.

დე გოლის გადადგომის შემდეგ კომუნისტებმა კვლავ შესთავაზეს სოციალისტებს ორპარტიული მთავრობის შექმნა. მაგრამ სოციალისტებმა ეს წინადადება უარყვეს. რის შემდეგ კვლავ სამპარტიული კოალიციური მთავრობა შეიქმნა, რომლის ათავეში ჩადგა

სოციალისტი ფ. გუენი. მთავრობაში 7 ადგილი სოციალისტებს ეკავათ, ექვს-ექვსი კი — კომუნისტებსა და კათოლიკებს.

IV რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება და დროებითი რეჟიმის დასასრული. დამფუძნებელ კრებაში შემავალ პარტიებს შორის მკაცრი ბრძოლა გაიმართა კონსტიტუციის პროექტის გარშეშო. პროექტს იხილავდა საკონსტიტუციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შემავალი პარტიები ისეთივე პროპორციით იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც დამფუძნებელ კრებაში[1].

1946 წლის 19 აპრილს კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთობლივი მოქმედებისა და ალჟირის და სხვა ფრანგული კოლონიების წარმომადგენელთა მხარდაჭერით დამფუძნებელმა კრებამ ხმების უმრავლესობით (309 ხმით 249-ის წინააღმდეგ) მოიწონა კონსტიტუციის პროგრესული პროექტი. იგი ითვალისწინებდა ფართო დემოკრატიული თავისუფლების დაწესებას და ერთპალატიანი პარლამენტის შექმნას, რომელიც მთავრობას რეალურ კონტროლს გაუწევდა.

1946 წლის 5 მაისს ჩატარებულმა რეფერენდუმმა მრპ-ისა და სხვა მემარჯვენე პარტიების აღვირახსნილი ანტიკონსტიტუციური პროპაგანდის შედეგად კონსტიტუციის პროექტი უარყო[2]. ამის შემდეგ პირველი დამფუძნებელი კრება დაითხოვეს.

1946 წლის 2 ივნისს ჩატარდა მეორე დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელთა დროსაც კომუნისტურმა პარტიამ 200 ათასი ხმით მეტი მიიღო, ე. ი. 26,4%, ხოლო სოციალისტებმა 250 ათასი ხმა დაკარგეს. მრპ-მ 1 მლნ. ახალი ამომრჩეველი შეიძინა და მიიღო 5,6 მლნ. ხმა (ე. ი. 28,1%). ამ არჩევნების შედეგად მეორე დამფუძნებელ კრებაში კომუნისტებმა და სოციალისტებმა დაკარგეს ის უპირატესობა, რომელიც მათ პირველ დამფუძნებელ კრებაში გააჩნდათ. მაგრამ ამ არჩევნების შემდეგაც კვლავ სამპარტიული კოალიციური მთავრობა შეიქმნა, რომელსაც ამჯერად სათავეში ჩაუდგა მრპ-ის ლიდერი ჟ. ბიდო. მას ადრე დე გოლის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

---

[1] 42 წევრიდან 11 კომუნისტი, 11 მრპ-ის, 10 სოციალისტი, 2 რადიკალი და 8 მემარჯვენე წარმომადგენელი იყო. ამ კომისიაში ადგილების ნახევარი კომუნისტებსა და სოციალისტებს ეკავათ.

[2] კონსტიტუციის პროექტს დადებითი ხმა მისცა 9,4 მლნ-მა კაცმა, წინააღმდეგ გამოვიდა 10,6 მლნ. კაცი.

დიდი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეორე დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 1946 წლის 29 სექტემბერს დაამტკიცა, ხოლო 13 ოქტომბერს რეფერენდუმმა ხმის უმრავლესობით (9623 ათასი ხმით 8144 ათასის წინააღმდეგ) მოიწონა იგი.

მეოთხე რესპუბლიკის კონსტიტუცია ერთგვარი კომპრომისი იყო სხვადასხვა პარტიებისა და კლასებისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი საფრანგეთის მშრომელების დიდ მიღწევას წარმოადგენდა.

კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა პარლამენტს, რომელიც ეროვნული კრებისა და რესპუბლიკის საბჭოსაგან შედგებოდა. პირველს ირჩევდნენ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, მას შეეძლო კანონების გამოცემა; მეორეს ირჩევდნენ არაპირდაპირი კენჭისყრით და უფლება ეძლეოდა კანონის გადავადებისა და მისი ხელმეორედ განსახილველად ეროვნულ კრებაში დაბრუნებისა. მაგრამ რესპუბლიკის საბჭოს უფლებები მესამე რესპუბლიკისდროინდელ სენატთან შედარებით ძალზე შეზღუდული იყო.

აღმასრულებელი ხელისუფლება გადადიოდა სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის ხელში. პრემიერ-მინისტრი, ანუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ითვლებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად. საყურადღებოა, რომ თუ მესამე რესპუბლიკის დროს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა სენატთან შეთანხმებით ეროვნული კრების დათხოვნისა, ახლა ეს უფლებები მთავრობის მეთაურს გადაეცა.

რესპუბლიკის პრეზიდენტს 7 წლის ვადით ირჩევდა პარლამენტის ორივე პალატა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. პრეზიდენტის უფლებები უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე ადრე.

1946 წლის კონსტიტუცია აცხადებდა დემოკრატიულ თავისუფლებებს, შრომის, დასვენების, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებას და ა. შ. 1946 წლის კონსტიტუციაში ჩაწერილი ყოველი დემოკრატიული მუხლი პროგრესული ძალების დაძაბული ბრძოლის შედეგი იყო.

სამპარტიული კოალიციური მთავრობა კომუნისტების მონაწილეობით

ეროვნული კრების არჩევნები. კონსტიტუციის შემუშავების შემდეგ დამფუძნებელი კრება დაითხოვეს და ახალი კონსტიტუციის საფუძველზე 1946 წლის ნოემბერში ჩატარდა მეოთხე რესპუბლიკის პირველი პარლამენტის არჩევნები, რომელმაც ცხადყო, ერთი მხრივ, მემარცხენე, მეორე მხრივ კი, მემარჯვენე, პარტიების გავლენის ზრდა და შუალედური პარტიების გავლენის შესუსტება. პირველ ადგილზე გამოვიდა კომპარტია, რომელსაც ივნისის არჩევნებთან შედარებით 300 ათასით მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა. კომპარტიამ მიიღო 5.5 მლნ. ხმა და 132 დეპუტატის ადგილი, სოციალისტებმა დაკარგეს 800 ათასი ხმა (მიიღეს 3,4 მლნ. ხმა და 101 მანდატი), მრპ დაკარგა 600 ათასი ხმა (მიიღო 5 მლნ. ხმა და 164 მანდატი). სამაგიეროდ მემარჯვენე პარტიებმა მიიღეს 2.8 მლნ. ხმა, ე. ი. წინა არჩევნებთან შედარებით 500 ათასი ხმით მეტი. ამ არჩევნების დროს მემარჯვენე პარტიებს შეემატა კიდევ დე გოლის მომდევრის რენე კაპიტანის მიერ შექმნილი „გოლისტების კავშირის“ პარტია.

მრპ-ის ხელმძღვანელებმა მემარჯვენე ძალების ზრდის ვითარებაში მათი თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით განაცხადეს, რომ ისინი შექმნიდნენ მთავრობას კომუნისტების გარეშე და თანახმა იყვნენ კონსტიტუციის გადასინჯვაზე. მათ წამოაყენეს ლოზუნგი „ბიდო ტორეზის გარეშე“.

არჩევნების შედეგების მიხედვით კომუნისტებს უნდა შეექმნათ მთავრობა. კომპარტიამ განაცხადა, რომ იგი მზადაა შექმნას მთავრობა მ. ტორეზის მეთაურობით სოციალისტური და რადიკალური პარტიების მონაწილეობით. სხვათა შორის, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს მ. ტორეზის კანდიდატურას, მაგრამ სოციალისტი დეპუტატების ნაწილმა პარლამენტში უარი თქვა მ. ტორეზის კანდიდატურის მხარდაჭე-

რაზე. ამიტომ მან მიიღო 259 ხმა, უფრო ნაკლები მიიღო მემარჯვენეების მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა ბიდომ (240 ხმა). სოციალისტებმა უარი თქვეს კომუნისტებთან ერთად ორპარტიული მთავრობის შექმნაზე. მაშინ ბურჟუაზიული პარტიების თანხმობით ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ლ. ბლუმი, რომელმაც შექმნა ერთპარტიული მთავრობა. მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო იგი მალე გადადგა. 1947 წლის იანვარში სოციალისტ რამადიერ მეთაურობით შეიქმნა IV რესპუბლიკის პირველი კოალიციური მთავრობა — სოციალისტების, კომუნისტების, მრპ-ის, რადიკალების და მემარჯვენე „დამოუკიდებლების“ მონაწილეობით. მანამდე კი. 1946 წლის ნოემბერში, აირჩიეს პარლამენტის მეორე პალატა — რესპუბლიკის საბჭო[1] და აგრეთვე პრეზიდენტი. IV რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად პარლამენტმა აირჩია ვენსან ორიოლი. მრპ-ის წარმომადგენელი შამპეტიე დე რიბი გახდა რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო რადიკალი ე. ერიო — ეროვნული კრების თავმჯდომარე.

მთავრობაში რადიკალების და მემარჯვენე „დამოუკიდებლების“ შეყვანით ფაქტობრივად სამპარტიული მმართველობა დამთავრდა. მართალია, ძირითადი ადგილები მთავრობასა. ეროვნულ კრებასა და რესპუბლიკის საბჭოში სამი ძირითადი პარტიის ხელში რჩებოდა, მაგრამ რადიკალების და „დამოუკიდებლების“ მთავრობაში შეყვანა მემარჯვენეებს უნდოდათ კომუნისტების საპირისპირო ძალად გამოეყენებინათ.

„ცივი ომის“ დასაწყისი. საფრანგეთის ბურჟუაზია ძალზე დაშინებული იყო კომუნისტების გავლენის ზრდით და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მხარდაჭერას უცხოეთში (უპირველეს ყოვლისა აშშ-ში) ეძებდა. ბურჟუაზია ამ მხარდაჭერის სანაცვლოდ მზად იყო გაეწირა ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ეროვნული ინტერესებიც კი. საფრანგეთი თანდათანობით ებმებოდა დახშულ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში და ექცეოდა აშშ-ის გავლენის ქვეშ.

ტრუმენის დოქტრინასა და მარშალის გეგმაში საფრანგეთის

---

[1] რესუპბლიკის საბჭოში კომუნისტებმა მიიღეს 61 ადგილი. სოციალისტებმა — 37, მრპ-მ — 62, რადიკალებმა — 25, მემარჯვენეებმა — 22.

ბურჟუაზიამ დაინახა კაპიტალიზმის გადარჩენის გარანტია თავის ქვეყანაში და მხარი დაუჭირა მათ. მკვეთრი შემობრუნება იწყება აგრეთვე გერმანიის საკითხში. თუ 1947 წლამდე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თვალსაზრისი გერმანიის საკითხში ძალიან ახლოს იდგა ერთმანეთთან, 1947 წლის გაზაფხულიდან საფრანგეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა აშშ-ისა და ინგლისის პოზიციას გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღდგენის საკითხში, რის სანაცვლოდ მიიღო დაპირება, რომ რურის ქვანახშირს მეტი რაოდენობით მიაწოდებდნენ და დააკმაყოფილებდნენ მის პრეტენზიას საარის ოლქის საკითხში. საფრანგეთმა მიიღო აგრეთვე ამერიკის სესხები და კრედიტები, რის ნაცვლად აშშ-ის მთავრობა მოითხოვდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმას, ამერიკა-ინგლისის მიერ წამოწყებულ „ცივი ომის“ ფერხულში ჩაბმას და კომუნისტების მთავრობიდან განდევნას. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ქვეყნის შიგნით გაიზარდა იმ მემარჯვენე ჯგუფების საქმიანობა, რომელთაც აშკარა ანტიკომუნისტური კამპანია გააჩაღეს.

IV რესპუბლიკის კონსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა დე გოლმა. 1946 წლის აპრილში დე გოლმა შექმნა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია „ფრანგი ხალხის გაერთიანება“ (რპფ): დე გოლი და მისი მომხრენი აცხადებდნენ, რომ მათ მიერ შექმნილი რპფ ზეკლასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ფრანგის გაერთიანებას, კონსტიტუციის გაუქმებას და პრეზიდენტის მეთაურობით, პარტიებისაგან დამოუკიდებელი, „ძლიერი ხელისუფლების“ შექმნას. საგარეო პოლიტიკაში დე გოლისტები მოითხოვდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაჯგუფებაში გაერთიანებას საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის საპირისპირო ძალად.

რპფ-ის შექმნა საფრანგეთის ფინანსურ-ოლიგარქიულ წრეებს უნდოდათ გამოეყენებინათ მრპ-ის ლიდერებზე ზეგავლენის მოსახდენად და აიძულებინათ მისი ხელმძღვანელები, რათა კომუნისტები მთავრობიდან გაედევნათ.

1946—1947 წლების მიჯნაზე ხალხთა მასების მდგომარეობა დიდი მოუსავლიანობის, პროდუქტების ნაკლებობისა და ფასების სწრაფი ზრდის გამო ძალზე გაუარესდა. მარტო 1946 წლის მეორე

ნახევარში ფასები პირველი მოთხოვნილების საქონელზე 50%-ით გაიზარდა. პურის გაცემის ნორმა 250 გრამამდე შემცირდა. ამასთანავე მშრომელთა ხელფასი ძველ დონეზე რჩებოდა. გარდა ამისა, დაიწყო ფულის ინფლაცია.

1947 წლის თებერვალში შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოითხოვა დაბალხელფასიანი მუშებისათვის ხელფასის მომატება. რამადიეს მთავრობამ კი, პირიქით, მოითხოვა ხელფასების გაყინვა, რაც თითქოს, აუცილებელი იყო ინფლაციის თავიდან ასაცილებლად. ამავე დროს მილიონები იხარჯებოდა მთავრობის მიერ 1946 წლის დეკემბერში ინდოჩინელი ხალხის წინააღმდეგ წამოწყებულ ე. წ. „ბინძურ ომში".

მთავრობასა და პარლამენტში შემავალი ყველა პარტია გაერთიანდნენ კომუნისტების წინააღმდეგ და მიზნად დაისახეს მათი განდევნა მთავრობიდან. საბაბად გამოიყენეს ის, რომ კომუნისტმა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს „რენოს" ქარხნის გაფიცულ მუშებს, რომელნიც ფასების ზრდასთან დაკავშირებით მოითხოვდნენ ხელფასის შესაბამისად მომატებას. „რენოს" ქარხნის მუშების სამართლიანი მოთხოვნის წინააღმდეგ გამოვიდნენ მთავრობაში შემავალი ყველა პარტიის წარმომადგენლები, რამადიემ კომუნისტ მინისტრებს წაუყენა „მინისტრთა სოლიდარობის დარღვევის" ბრალდება და 1947 წლის 4 მაისს ეროვნულ კრებაში დააყენა მთავრობის ნდობის საკითხი მუშათა ხელფასის მომატებაზე უარის თქმის გამო. ყველა პარტიამ, გარდა კომუნისტებისა, ხმა მისცა მთავრობის ნდობის საკითხს. 1947 წლის 5 მაისს სოციალისტური პარტიის წევრების — პრეზიდენტ ორიოლისა და პრემიერ-მინისტრ რამადიეს ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მინისტრ-კომუნისტების ფუნქციები გაუქმდა მათ მიერ 1947 წლის 4 მაისს ეროვნულ კრებაში მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების გამო.

„მესამე ძალის“ მთავრობის საშინაო, საგარეო და კოლონიური პოლიტიკა (1947—1951 წწ.)

საშინაო პოლიტიკა. კომუნისტების ხელისუფლებიდან განდევნის შემდეგ ახალი კოალიციური მთავრობა შეიქმნა. მასში შეიდნენ: 12 სოციალისტი, მრპ-ის 6 წევრი, „მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანების“ 5 (რადიკალ-სოციალისტების) და დამოუკიდებლობის 2 წევრი.

ამ კოალიციას **„მესამე ძალის“** მთავრობა ეწოდა. მასში შეიდნენ: მრპ, სოციალისტური პარტია და რადიკალები. ეს კოალიცია 1951 წლამდე გრძელდებოდა. „მესამე ძალის“ კონცეფციის ავტორები ქადაგებდნენ ორ ფრონტზე ორი ძალის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას — კომუნისტებისა და დე გოლისტების წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში მეოთხე რესპუბლიკის დაღუპვით დამთავრდა. „მესამე ძალის“ კოალიციის სამ-ნახევარი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს 8 მთავრობა შეიცვალა, რომელიც ეყრდნობოდა სოციალისტებს, მრპ-ს და რადიკალებს.

საფრანგეთის მთავრობამ მიიღო „მარშალის გეგმა“, რომელიც ძალაში შევიდა 1948 წლიდან და მოქმედებდა 1952 წლამდე. საფრანგეთი „მარშლის გეგმის“ საფუძველზე მსხვილ სუბსიდიებს, სხვადასხვა საქონელს და სურსათს ღებულობდა აშშ-დან, რომლის საერთო თანხამ 3,2 მლრდ. დოლარს მიაღწია. ამ დახმარების შედეგად საფრანგეთის ეკონომიკის რიგი დარგები აღდგა და განვითარდა, მაგრამ საფრანგეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს ამერიკის მონოპოლიებმა.

1950 წელს ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლითაც დაწესდა ხელფასის გარანტირებული მინიმუმი, რომლის მიხედვით ხელფასი არ უნდა დაცემულიყო ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე დაბლა.

1945—1946 წლებთან შედარებით მასების პოლიტიკური აქტიურობა შემდგომ წლებში, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად, მკვეთრად შესუსტდა. შემცირდა კომპარტიის რიგებიც. მაგალითად, თუ იგი 1947 წელს 895 ათას წევრს აერთიანებდა, 1954 წელს 566 ათას წევრამდე შემცირდა.

1951 წლის აპრილში ეროვნულმა კრებამ, არჩევნების წინ, „მე-

სამე ძალის“ ლიდერებისა და მემარჯვენე პარტიების [illegible] მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც პროპორციული წესი [illegible] მომადგენლობა პარლამენტში შეიცვალა ე. წ. მაჟორიტარული [illegible] ტემით[1]. ამრიგად, საფრანგეთის ბურჟუაზიამ ამერიკის [illegible] ლიზმის მხარდაჭერისა და დახმარებს შედეგად განიმტკ[illegible] [illegible] ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები ქვეყანაში [illegible] ზე გამოვიდა უფრო მემარჯვენე პარტიები, რომელთა მხარეზე გა[illegible] დავიდა წვრილი ბურჟუაზიის ნაწილიც.

„მესამე ძალის“ კოალიციის საგარეო და კოლონიური პოლიტიკა

კომუნისტების ხელისუფლებიდან განდევნის შემდეგ საფრანგეთის საგარეო და კოლონიური პოლიტიკა პროამერიკულ ხაზით იღებს. საფრანგეთი თანდათანობით აშშ-ის იმპერიალიზმის გავლენის ქვეშ ექცევა, კარგავს თავის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ კურსს და ებმება საბჭოთა საშიშროების ზრდის გამო „ცივი ომის“ ანტისაბჭოთა საგარეო პოლიტიკის ფერხულში.

მარშალის გეგმის მიღებისთანავე, საფრანგეთის მმართველი წრეების ინიციატივით (1948 წლის მარტში ბრიუსელში) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ინგლისთან, ბელგიასთან, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგთან დასავლეთის კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც მიმართული იყო სოციალისტური ბანაკის მხრივ საშიშროების წინააღმდეგ. 1949 წელს საფრანგეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ნატოს სამხედრო დაჯგუფების შექმნაში და დათანხმდა მარშალის გეგმაში გფრ-ის მონაწილეობაზე. ამის შემდეგ საფრანგეთის მმართველი წრეები იწყებენ გფრ-თან დაახლოებას დასავლეთ ევროპის საფრანგეთის ჰეგემონობით გაერთიანების მიზნით.

---

[1] მაჟორიტარული უმრავლესობას ნიშნავს, რომლის მიხედვით ამ პარტიას ან კოალიციას, რომელიც ამა თუ იმ საარჩევნო დეპარტამენტში ამომრჩეველთა ხმების 50%-ს მიიღებს, მთლიანად ეძლევა ამ დეპარტამენტის დეპუტატთა მანდატები. ბურჟუაზიული პარტიები ხშირად კომუნისტების წინააღმდეგ კოალიციას ქმნიდნენ, კომუნისტები კი მოკლებული იყვნენ სხვა პარტიებთან ბლოკის შეკვრის შესაძლებლობას.

1950 წლის მაისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. შუმანმა წამოაყენა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების გაერთიანების გეგმა („შუმანის გეგმა"). მას მხარი დაუჭირეს გფრ-მა, იტალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა, ინგლისმა კი უარყო. მიუხედავად ამისა, 1951 წლის აპრილში ექვსმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ. იგი ითვალისწინებს ექვს სახელმწიფოს შორის საბაჟო გადასახადების გაუქმებას და საერთო ბაზრის შექმნას ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობისათვის.

1950—1951 წლებში აშშ-მა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს მრავალ შეთანხმებას, რომელთა თანახმადაც, აშშ საფრანგეთის ტერიტორიაზე თავისი ჯარების განლაგებისა და სამხედრო ბაზების მშენებლობის უფლებას იღებდა. ამ შეთანხმებებიდან აღსანიშნავია 1950 წელს ხელმოწერილი აშშ-საფრანგეთის შეთანხმება „ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფის შესახებ", რომლითაც აშშ ვალდებულებას კისრულობდა სამხედრო დასმარება გაეწია საფრანგეთისათვის იარაღის მიწოდებითა და კრედიტებით.

1950 წლის გაზაფხულზე ნატოს სამხედრო კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენის შესახებ, ცხადია, იმ მიზნით, რომ შემდგომში ეს აღდგენილი ვერმახტი შეეყვანათ ნატოს დაჯგუფებაში. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის მმართველმა წრეებმაც.

„მესამე ძალის" მთავრობა თავისი ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს ადამიანსა და რესურსებს არ იშურებდა, რათა სისხლში ჩაეხშო ინდოჩინელი და განსაკუთრებით ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა და აღედგინა იქ თავისი კოლონიური ბატონობა. შაგრამ კოლონიურ ომს, რომელიც საფრანგეთის რეაქციამ ჯერ კიდევ 1946 წელს გაჩაღა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ბოლო არ უჩანდა და ნთქავდა აუარებელ მატერიალურ რესურსებს. მიუხედავად ამისა „მესამე ძალის" მთავრობა ამ „ბინძურ ომს" დიდი მსხვერპლის ფასად კვლავ აგრძელებდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი გაჩაღდა საფრანგეთის სხვა კოლონიებშიც. დასუსტებული საფრანგეთის იმპერიალიზმს აღარ ძალუძდა ამ ბრძოლის შეჩერება და მისმა კოლონიურმა იმპერიამ დაშლა იწყო.

მეოთხე რესპუბლიკის კრიზისი. „მემარჯვენე ცენტრისტული“ მთავრობა (1951—1956 წწ.)

მემარჯვენე ცენტრისტული ბლოკის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. 1951 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მესამე ძალის“ კოალიციამ მარცხი განიცადა. მან ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ამასთანავე „მესამე ძალის“ კოალიციაში თავი იჩინა პარტიებს შორის წინააღმდეგობამ, რომელიც დაკავშირებული იყო რთულ საშინაო და საგარეო პრობლემებთან.

1951 წლის არჩევნების შემდეგ სოციალისტური პარტია გამოვიდა კოალიციიდან და ოპოზიციაში გადავიდა. მაგრამ მის შემდეგაც იგი ხშირად მხარს უჭერდა მთავრობას, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში. „მესამე ძალის“ კოალიციის დაშლის შემდეგ სოციალისტების ადგილი მთავრობის კოალიციაში დაიკავა მემარჯვენე ბურჟუაზიულმა — ე. წ. „დამოუკიდებლების“ პარტიამ. მაგრამ ამის შემდეგაც მთავრობის კრიზისები, მათი ხშირი ცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო საფრანგეთში, მაგალითად, თუ $3^1/_2$ წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში „მესამე ძალის“ კოალიციის ყოფნის დროს 1951 წლამდე 8 მთავრობა შეიცვალა, 1956 წლამდე კი 6 მთავრობა შეიცვალა. ამასთანავე, მთავრობის კრიზისები ხანგრძლივ ხასიათს იღებდა. ახალი მთავრობები ჯიუტობდნენ და არ უნდოდათ მათ წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტა. ამიტომ იყო, რომ მთავრობები ხშირად იცვლებოდა, გადაუწყვეტელი საკითხები კი კვლავ დღის წესრიგში იდგა.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა კვლავ აგრძელებდა „მესამე ძალის“ მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსს და მის მიერ წამოყენებული „პლევენის გეგმისა“ და „შუმანის გეგმის“ ცხოვრებაში გატარების ხაზს.

1952 წლის მაისში „დამოუკიდებლების“ ლიდერის ა. პინეს მთავრობის დროს „შუმანის გეგმის“ მონაწილე ექვსმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“. ხელშეკრულებით ექვსივე სახელმწიფოს ერთიანი ჯარი უნდა ჰყოლოდა, რომელიც დაემორჩილებოდა არა რომელიმე ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ გაერთიანებულ სარდლობას. ეს უკანასკნელი კი ოპერატიული თვალსაზრისით უნდა და-

მორჩილებოდა ნატოს ჯარების მთავარსარდალს. ამრიგად, ეს გაერთიანება „ზეეროვნული ხასიათის“ უნდა ყოფილიყო, რომელსაც ექნებოდა თავისი ბიუჯეტი, დაწესებულებები და ეყოლებოდა შეიარაღებული ძალები. გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოთა ეროვნული ჯარები უნდა დათხოვნილიყო.

საფრანგეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ გაერთიანდა. მაგრამ ვერც პინეს და ვერც პლევენის მთავრობებმა მიუხედავად იმისა, რომ მათი ინიციატივით იქნა ხელმოწერილი ეს ხელშეკრულება, ვერ გაბედეს ეროვნულ კრებაში ხელშეკრულების გატანა. მათ ესმოდათ, რომ ასეთი ნაბიჯი მათი მთავრობების დასასრული იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ 1952 წლის მაისში ხელმოწერილი ეს ხელშეკრულება მხოლოდ 1954 წლის აგვისტოში გაიტანეს ეროვნულ კრებაზე განსახილველად.

ამ ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ თანამიმდევრულად იბრძოდა კომუნისტური პარტია. ამ ხელშეკრულების მიმართ დე გოლმა და მისმა პარტიამ შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს. ისინი მოითხოვდნენ, რომ საფრანგეთს თავისი ეროვნული არმია ჰყოლოდა. „დამოუკიდებლების“ უმრავლესობაც კი წინააღმდეგი იყო ამ ხელშეკრულებისა, ვინაიდან უკვე მოძლიერებულ საფრანგეთის მონოპოლისტურ ბურჟუაზიას უნდოდა ევროპაში ჰეგემონობის დამყარება და ამასთანავე თავისი კოლონიების შენარჩუნება, ეს ხელშეკრულება კი ორივეს საფრთხეს უქმნიდა. ეროვნულმა კრებამ 1954 წლის 30 აგვისტოს 319 ხმით 264 წინააღმდეგ უარყო „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულება.

მაგრამ საერთაშორისო და საშინაო რეაქციამ ფარ-ხმალი როდი დაყარა. აშშ-ის, გფრ-ის, ინგლისის მმართველი წრეები ემუქრებოდნენ საფრანგეთს იზოლირებით და ეკონომიკური და ფინანსური სანქციებით.

1954 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლონდონსა და შემდეგ პარიზში შედგა ცხრა სახელმწიფოს თათბირი (აშშ, ინგლისი, გფრ. საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი და კანადა). თათბირმა შეიმუშავა შეთანხმება დასავლეთ ევროპის კავშირის შექმნის შესახებ 1948 წლის ბრიუსელის ხუთი სახელმწიფოს გადასინჯული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთანხმება ითვალისწინებდა დამოუკიდებელი ეროვნული ჯარების კოალიციის შექ-

მნას. თითოეული ჯარის კონტროლი მისივე მთავრობის ხელში იყ-
ნებოდა, მაგრამ ყველა ვალდებული იყო ეთანამშრომლა „ნატო-
სთან. დასავლეთ ევროპის კავშირის კოალიციის წევრები ხელმოწერ-
ნენ: საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, [illegible]
და განსაკუთრებულ პირობებში ინგლისი. გფრ-ა [illegible]
შეექმნა თავისი შეიარაღებული ძალები 500 ათასი კაცისგან. შე-
სულიყო „ნატო“-ში და დასავლეთ ევროპის კავშირში. ამ ხელშეკ-
რულებას საბოლოოდ ხელი მოაწერეს პარიზში და პარიზის შეთან-
ხმებები ეწოდა.

საფრანგეთზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს აშშ-მა, ინგლისმა,
გფრ-მ და ვატიკანმა, რათა ეროვნული კრება პარიზის შეთანხმება-
თა რატიფიკაციაზე დაეთანხმებინათ. დასავლეთ ევროპის პრესა და
პროპაგანდისტული აპარატი ქადაგებდა, რომ ვერმახტ-ს აღდგენა
აუცილებელია, რადგან იგი აძლიერებს დასავლეთის ბლოკს და
იცავს მასში შემავალ სახელმწიფოებს საბჭოთა აგრესიისაგან.

ფრანგი ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი
გერმანელ მილიტარისტთა მიერ ჩადენილი მხეცობა. ამიტომ საფ-
რანგეთის მმართველი წრეები და კერძოდ მენდეს-ფრანსის მთავ-
რობა, საზოგადოებრიობისათვის ცდილობდნენ დაემტკიცებინათ,
რომ აღდგენილი ვერმახტი არ იქნებოდა საშიში დასავლეთის სა-
ხელმწიფოებისათვის საერთოდ და საფრანგეთისათვის კერძოდ,
რომ, პირიქით, ვერმახტის ჯარებს გამოიყენებდნენ დასავლეთის
ბლოკის შეხედულებისამებრ, საბჭოთა საშიშროების შემთხვევაში.
ისინი არწმუნებდნენ ხალხს, რომ ხელშეკრულების მუხლები იძლე-
ვა იმის გარანტიას, რომ ვერმახტი არ იქნება შეიარაღებული ბირ-
თვული და სხვა მასობრივი განადგურების იარაღით.

მენდეს-ფრანსის მთავრობამ მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარა
იმას, რომ რაც შეიძლება მალე აეძულებინა საფრანგეთის ეროვნუ-
ლი კრება, დაემტკიცებინა პარიზის შეთანხმება. 1954 წლის დეკემ-
ბერში პარიზის შეთანხმებანი რატიფიცირებულ იქნა (27 ხმის უპი-
რატესობით). ეროვნული კრების 627 დეპუტატიდან ხმის მიცემაში
მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 547 დეპუტატმა. აქედან 287 კაცი
ვიდა მომხრედ, ხოლო 260 — წინააღმდეგი. დანარჩენმა დეპუტა-
ტებმა თავი შეიკავეს.

პარიზის შეთანხმებების რატიფიცირების შემდეგ იმ მოტივით, რომ თითქოს საფრანგეთის მთავრობამ დაარღვია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთს შორის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი, 1955 წლის მაისში საბჭოთა მთავრობამ გააუქმა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება კავშირსა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ამის შემდეგ საფრანგეთი იღებს დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენისა და ანტისაბჭოთა პოლიტიკის გატარების აშკარა კურსს.

IV რესპუბლიკის კოლონიური პოლიტიკა. მეორე მსოფლიო ომის დროს და განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთის კოლონიებში გაჩაღდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ომში დასუსტებულ საფრანგეთს თავდაპირველად არ შესწევდა ძალა წინ აღდგომოდა კოლონიური ხალხების ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის.

საფრანგეთის კოლონიზატორები თითქმის 8 წლის განმავლობაში ეწეოდნენ „ბინძურ ომს“ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ მათ ვერ შეძლეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვა და ინდოჩინეთში თავიანთი ბატონობის აღდგენა. 1954 წლის 21 ივლისს საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა ჟენევაში შეთანხმებისათვის ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტაზე და ეცნო ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

1954—1956 წწ. საფრანგეთი იძულებული გახდა ავტონომიური უფლებები მიეცა ტუნისისა და მაროკოსათვის, მაგრამ ცდილობდა თავისი ბატონობის შენარჩუნებას ალჟირში, სადაც 1954 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. იგი გადაიზარდა პარტიზანულ ომში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეროვნული განთავისუფლების ფრონტი. საფრანგეთის ნახევარ მილიონზე მეტი არმია, რომელიც შეიარაღებული იყო თანამედროვე ტექნიკით, ავიაციით და ეყრდნობოდა ნატოს დაჯგუფების მხარდაჭერას, უძლური აღმოჩნდა.

ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ ომმა შეიწირა ათასობით ფრანგი, გამოიწვია სამხედრო ხარჯების გაზრდა. ომისათვის ყოველწლიურად იხარჯებოდა საფრანგეთის ოფიციალური სამხედრო ბიუჯეტის 60%. ალჟირის ომი საბედისწერო გახდა მეოთხე რესპუბლი-

კილათვის. მან დიდი გამარეგოლუციონერებელი გავლენა მოახდინა საფრანგეთზე და ამავე დროს გაამწვავა წინააღმდეგობანი დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის. საფრანგეთში სამოქალაქო ომის საშიშროება შეიქმნა.

1956 წლის არჩევნები. რესპუბლიკური ფრონტის მთავრობის შექმნა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1955 წლის თებერვალში მენდეს-ფრანსის მთავრობამ უნდობლობის ვოტუმი მიიღო და გადადგა. იგი შეცვალა მემარჯვენე რადიკალმა ედგარდ ფორმა. ახალ მთავრობაში შევიდნენ მემარჯვენე პარტიის წარმომადგენლები — დეგოლელები, გენერალი კენიგი („დამოუკიდებლები"), მემარჯვენე რადიკალები და მრპ-ის პარტიის წარმომადგენლები. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ა. პინე. ამ მთავრობას პარლამენტში ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა დაპირისპირებული კომუნისტების, სოციალისტებისა და მემარცხენე რადიკალების სახით.

ვერც ამ მთავრობამ გაართვა თავი შექმნილ მძიმე ვითარებას. ჩრდილოეთ აფრიკაში, უპირველეს ყოვლისა, ალჟირში და აგრეთვე მაროკოსა და ტუნისში ვითარება ძალიან დაიძაბა. უმნიშვნელო დათმობები საქმეს არ შველოდა. ხალხი მოითხოვდა დამოუკიდებლობას და ბრძოლა სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. ჩრდილოეთ აფრიკის ამბები დიდ გავლენას ახდენდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც. იზრდებოდა ფრანგი კოლონიური ბურჟუაზიის პოლიტიკური როლიც, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკის ხალხთა მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებას მოითხოვდა.

ამასთანავე რეაქციამ შოვინისტური და რასისტული პროპაგანდა გააჩაღა. ალჟირის წინააღმდეგ ომს ულტრაკოლონისტები აცხადებდნენ საფრანგეთის საშინაო საქმედ, მეამბოხე ფრანგული დეპარტამენტების საწინააღმდეგო ღონისძიებად.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია თავისი გაზეთების ფურცლებზე აცხადებდა, რომ ალჟირი საფრანგეთის ნაწილი კი არა, კოლონიაა და მისი ხალხი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლო-

ბისათვის იბრძვის. ამიტომ ეს ბრძოლა სამართლიანია და ფრანგმა ხალხმა მას მხარი უნდა დაუჭიროს.

მონოპოლისტური ბურჟუაზია ყოველმხრივ ცდილობდა საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლის შეჩერებას, რის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ქვეყანაში არსებული დემოკრატიული დაწესებულებები მიაჩნდა. ამიტომ მან ეს უკანასკნელი ამოიღო მიზანში და ყოველმხრივ ცდილობდა მისთვის სახელის გატეხას წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის თვალში. ბურჟუაზიის ეს ფენები მონოპოლისტური კაპიტალისაგან შევიწროებული იყვნენ და თავიანთი უბედურების მიზეზად მეოთხე რესპუბლიკის დემოკრატიულ ინსტიტუტებს მიიჩნევდნენ. ამ აზრს მათ რეაქციული პრესა და დე გოლის მომხრეები ყოველმხრივ უღვივებდნენ. ამ მრავალმილიონიანი მასის უკმაყოფილება გამოიხატა „პუჟადელების მოძრაობაში", რომელმაც 1955 წელს ფართო ხასიათი მიიღო. 1955 წელს წვრილმა მედუქნემ პუჟადმა შექმნა ფაშისტური ხასიათის ორგანიზაცია „ვაჭრებისა და ხელოსნების დაცვის კავშირის" სახელწოდებით, რომლის წევრთა რაოდენობა სწრაფად გაიზარდა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკით უკმაყოფილო წვრილი მეწარმეების, ხელოსნებისა და ვაჭრების ხარჯზე. პუჟადი მოითხოვდა კონსტიტუციის გადასინჯვას, ნაციონალიზებული საწარმოების კერძო კაპიტალისტებისათვის გადაცემას, პროფკავშირებზე კონტროლის დაწესებას, სოციალური დაზღვევის შეზღუდვას, ერთიანი და განუყოფელი კოლონიური იმპერიის შენარჩუნებას და ა. შ.

პუჟადელები ნაციონალისტურ და შოვინისტურ პროპაგანდას ეწეოდნენ და გამოდიოდნენ პარლამენტური მმართველობის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ ფაშისტური მმართველობის დანერგვას. ბევრი რამ პუჟადმა ჰიტლერისა და მუსოლინისაგან ისესხა, მაგრამ დემოკრატიული ტრადიციების მქონე საფრანგეთში იგი ვერც ჰიტლერი გახდა და ვერც მუსოლინი. პუჟადმა თავისი საქმე გააკეთა, სახელი გაუტეხა მეოთხე რესპუბლიკის დემოკრატიულ ინსტიტუტებს წვრილ და საშუალო ბურჟუაზიულ ფენებში.

მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საფრანგეთის წამყვანი ბურჟუაზიული პარტიები, რომელთაც თავი ვერ გაართვეს ქვეყნის შიდა და გარე პრობლემებს. ცალკეული პარტიების შიგნით წინააღმდეგობა იყო ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგო-

რიცაა: საფრანგეთის კოლონიური სისტემის ყოფნა-არყოფნის, ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის დაცემისა და აშშ-ზე მისი დამოკიდებულების ზრდის, გფრ-ის რემილიტარიზაციის და სხვა საკითხები.

1955 წლის აპრილში ულტრაკოლონიალისტების ზეგავლენით ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ალჟირში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამის შემდეგ კოლონიურმა ადმინისტრაციამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. ტრიბუნალები განიკითხავდ სჯიდნენ პატრიოტებს, აიკრძალა დემოკრატიული ორგანიზაციები.

მთავრობის ეს ღონისძიებები ალჟირში ულტრაკოლონიალისტებს მაინც არასაკმარისად მიაჩნდათ. 1955 წლის 29 ნოემბერს ე. ფორის მთავრობამ ეროვნულ კრებაში უნდობლობის ვოტუმი მიიღო. ვინაიდან 9 თვის განმავლობაში ეროვნულმა კრებამ ორი მთავრობა დაამხო, კონსტიტუციის თანახმად იგი უნდა დათხოვნილიყო. არჩევნები დაინიშნა 1956 წლის იანვრისათვის.

არჩევნების წინ მემარჯვენე ძალები გაერთიანდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ერთიანი გამოსვლით პარლამენტში უმრავლესობას მიიღებდნენ. კომპარტიამ სოციალისტური და რადიკალ-სოციალისტურ პარტიებს წინადადებით მიმართა, რომ არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ, მაგრამ სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გი მოლემ და რადიკალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა მენდეს ფრანსმა კომუნისტების წინადადება უარყვეს. მათ მიტერანთან (წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი) და დეგოლური სოციალ-რესპუბლიკური პარტიის ლიდერთან შაბანდელმასთან შეკრეს კავშირი და არჩევნების წინ შექმნეს „რესპუბლიკური ფრონტი".

მემარჯვენე პარტიები — „დამოუკიდებლები" და მრპ ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ. ამრიგად, არჩევნებში სამი დაჯგუფება გამოვიდა: კომუნისტები, „რესპუბლიკური ფრონტი" და მემარჯვენეები. არჩევნები 1956 წლის იანვარში ჩატარდა.

კომუნისტურმა პარტიამ 5,5 მლნ. ხმა და 150 დეპუტატის მანდატი მიიღო და პარლამენტში კვლავ პირველი ადგილი დაიკავა. ფრანგ ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა მემარცხენე პარტიებს (კომუნისტურს, სოციალისტურს და რადიკალ-სოციალის-

ტურს), რომელთა ხელში იყო 336 მანდატი, თითქმის 100 ადგილით მეტი, ვიდრე ყველასი ერთად აღებული[1].

კომპარტიამ მათ შესთავაზა სამი პარტიის შეთანხმების სიფუძველზე მემარცხენე მთავრობის შექმნა და ქვეყნის წინაშე წდგარი უმნიშვნელოვანესი საშინაო და საგარეო ამოცანების გადაწყვეტა.

არჩევნებმა სამივე დაჯგუფებიდან ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში არც ერთს არ მისცა. მაგრამ გი ნოლემ და მენდეს-ფრანსმა კომუნისტებთან ბლოკს მემარჯვენე პარტიებთან ბლოკი არჩიეს.

მთავრობის შედგენა გი მოლეს დაევალა. ოპოზიციაში 5 წლის ყოფნის შემდეგ სოციალისტები კვლავ დაუბრუნდნენ ხელისუფლებას. რესპუბლიკური ფრონტის მთავრობაში ადგილების უმეტესი ნაწილი სოციალისტებმა და მემარცხენე რადიკალებმა დაიკავეს. მაგრამ გი მოლესა და მენდეს-ფრანსის გადაწყვეტილებით მთავრობაში შეიყვანეს დეგოლელებიც — სოციალ-რესპუბლიკელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ არჩევნებში სასტიკი მარცხი განიცადეს. მათ ხარჯზე პარლამენტში პუჟადელები და „დამოუკიდებლები“ გაძლიერდნენ.

! გი მოლემ წამოაყენა თავისი მთავრობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა: მშვიდობის აღდგენას ალჟირში, პენსიების და დახმარებების გაზრდას, გრძელვადიანი ფასიანი შვებულების დაკანონებას.

კომუნისტებმა მხარი დაუჭირეს მთავრობას.

! კომუნისტების მხარდაჭერის წყალობით გი მოლეს პარლამენტში თითქმის ყველა თავისი კანონპროექტი ნდობის ვოტუმის პროცედურით გაჰქონდა.

1956 წლის პირველ ნახევარში გი მოლეს მთავრობამ პარლამენტს რიგი კანონი მიაღებინა, კერძოდ მშრომელთა სამკვირიანი ფასიანი შვებულების, მოხუცთათვის პენსიებისა და დახმარების

---

[1] სოციალისტურმა პარტიამ მიიღო 3,2 მლნ. ხმა და 95 მანდატი, რადიკალ-სოციალისტებმა და უდსრ — 2,8 მლნ. ხმა და 91 მანდატი, მრპ — 2,3 მლნ. ხმა და 73 მანდატი, „დამოუკიდებლობამ“ — 3 მლნ. ხმა და 95 მანდატი, სოციალ-რესპუბლიკელებმა — 985 ათასი ხმა და 21 მანდატი, პუჟადელებმა — 2,5 მლნ. ხმა და 52 მანდატი.

კაბრდის, ზოგიერთი კატეგორიის მეშვეობა და მოსამსახურეთა თვისებ ელფასის გაზრდისა და სხვათა შესახებ.

1956 წლის მარტში საფრანგეთმა ცნო ტუნისის და მაროკოს დამოუკიდებლობა, ხოლო შავი აფრიკის ფრანგული კოლონიების ხალხებს თვითმმართველობა აღუთქვა.

1956 წლის აპრილში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა მოსკოვში ჩავიდა და კონტაქტი დაამყარა სკკპ-ის ხელმძღვანელობასთან, ხოლო 15 მაისს მოსკოვში ჩავიდნენ გი მოლე და საგარეო საქმეთა მინისტრი პინე. საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად 19 მაისს გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო ორივე მთავრობის მისწრაფებაზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობიანი თანაარსებობის და სხვათა შესახებ.

1956 წლის ოქტომბერში მოლეს მთავრობამ გფრ-ს გადასცა საარის ოლქი.

1956 წლის შემოდგომიდან გი მოლეს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ვითარების ზეგავლენით შეიცვალა.

ეგვიპტის მთავრობის ღონისძიებებს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის საკითხში საფრანგეთმა ინგლისთან და ისრაელთან ერთად უპასუხა ინტერვენციით და ომით სუეცის არხის ზონაში, რამაც ძალზე გაამწვავა საერთაშორისო ურთიერთობა.

საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე სიცილიის ქ. მესინაში გადაწყვეტილება მიიღეს აღნიშნული ქვეყნების „ეროვნული ეკონომიკის შერწყმისა და საერთო ბაზრის შექმნის შესახებ.“

კონფერენციაზე შემუშავდა ე. წ. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა“ და „ევრატომის“ პროექტები, რომლებსაც აღნიშნულმა ქვეყნებმა საბოლოოდ ხელი მოაწერეს ქალაქ რომში 1957 წლის 25 მარტს.

ე. წ. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ შეთანხმებით გათვალისწინებული იყო ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი სახელმწიფოს „საერთო ბაზრის“ შექმნა. შეთანხმების ხელმომწერნი ვალდებულებას კისრულობდნენ, ვაჭრობაში ურთიერთშორის არსებული საბაჟო ზღუდეების თანდათანობით ლიკვიდაცია მოეხდინათ და სა-

ქონლის, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი გადანაცვლების ერთიანი ზონა შეექმნათ.

„ევრატომის“ შეთანხმებით განისაზღვრა ზემოთ აღნიშნული ექვსი ქვეყნის მიერ ატომის გაერთიანებული ძიება, მისი ნედლეულის ერთიანი წარმოება, ატომური ენერგიის გამოყენება ერთად, იმ საწარმოებისა და დანადგარების გაერთიანებული დაფინანსება, რომელნიც ატომის წარმოებასთან არიან დაკავშირებულნი. ერთი სიტყვით, ეს უნდა გამხდარიყო ექვსი ქვეყნის ატომის ერთგვარი „საერთო ბაზარი“. „ევრატომს“ ატომური ენერგიის შესახებ ცნობების შესაკრებად ხელშეკრულების დადების მონოპოლიური უფლება ენიჭებოდა იმ ქვეყნებთან, რომელნიც არ შედიოდნენ „ევრატომში“.

გი მოლეს მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება ალჟირში მშვიდობის დამყარების შესახებ. მან იქ დამატებით 100 ათასიანი ჯარი გაგზავნა და ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ალჟირელი ხალხის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების ჩახშობას. მთავრობის მიერ ეროვნული განთავისუფლების ფრონტთან წამოწყებული მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა. ალჟირელი პატრიოტები მოითხოვდნენ თავიანთი ქვეყნისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას, საფრანგეთის მთავრობა კი უმნიშვნელო დათმობებსა და ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას პირდებოდა. ხანგრძლივი მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და საომარი მოქმედება ალჟირში კვლავ განახლდა. ალჟირის ამბები საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა.

რაც უფრო ღრმად შეტოპა მთავრობამ ალჟირის წინააღმდეგ ომში, მით უფრო გააქტიურდნენ რეაქციონერები. საფრანგეთის ნახევარმილიონიანი არმია უძლური აღმოჩნდა ჩაეხშო ალჟირელი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისადმი. „რესპუბლიკური ფრონტის“ მთავრობაც მალე დაიშალა. მენდეს-ფრანსი გამოვიდა მთავრობიდან და რადიკალ-სოციალისტებმა უარი თქვეს გი მოლეს მთავრობისადმი მხარდაჭერაზე. კომუნისტებმაც შეწყვიტეს პარლამენტში მთავრობისადმი მხარდაჭერა. გი მოლე ცდილობდა ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მალე ამას მოჰყვა მთავრობის ახალი კრიზისი. ეს ხელსაყრელი მომენტი გამოიყენეს მეოთხე რესპუბლიკის მტრებმა. 1958 წლის 13 მაისს ულტრაკოლონიალისტებმა ალჟირში მოაწყვეს

გაფიცვა, რომელსაც სამხედრო ნაწილებიც შეუერთდნენ და აბბოხებაში გადაიზარდა. ამბოხებულები და ალჟირში მყოფი საფრანგეთის ჯარების სარდლობა იმუქრებოდნენ საფრანგეთსა და პარიზში სადესანტო ჯარების გადასხმით და სამოქალაქო ომის დაწყებით, თუ ხელისუფლებას დე გოლს არ გადასცემდნენ. ამბოხება გავრცელდა საფრანგეთის სამხრეთში, კორსიკაში და ბევრ სხვა ადგილას. მოფაშისტო ელემენტები პარიზშიც შეეცადნენ გამოსვლების ორგანიზაციას, მაგრამ კომუნისტების მოწოდებით მუშებმა გაფანტეს ისინი. კომპარტიამ სოციალისტებს და მემარცხენე ძალებს მოუწოდა, ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ ამბოხებულების წინააღმდეგ, დაეცვათ კონსტიტუცია და დემოკრატიული თავისუფლებები, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და მხარი დაუჭირეს დე გოლის კანდიდატურას. ამას ისინი იმით ამართლებდნენ, რომ კომუნისტებისათვის მხარდაჭერა სამოქალაქო ომს გამოიწვევს, ხოლო დე გოლი თავიდან ააცილებს საფრანგეთს ამ უბედურებასო. დე გოლის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს მემარჯვენე ბურჟუაზიულმა პარტიებმაც, რომელთაც მობეზრდათ მთავრობის განუწყვეტელი კრიზისი და პარლამენტში ყოველი საკითხის ირგვლივ გაუთავებელი და ხშირად უმიზნო დებატები. ამასთანავე რეაქცია იმედოვნებდა, რომ დე გოლი ხელისუფლების სათავეში თუ მოექცეოდა, მისი ავტორიტეტის გამოყენებით თავიდან აიცილებდნენ კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელში აღებას. ამრიგად, ყველა პარტია, გარდა კომუნისტურისა, დე გოლის მხარეზე გადავიდა. ქვეყანაში გაჩაღდა დე გოლისათვის ხელისუფლების გადაცემის მხარდამჭერი კამპანია. დე გოლს ამ განსაცდელის ჟამს საფრანგეთის ერთადერთ მხსნელად სახავდნენ. საყურადღებოა, რომ ამ კამპანიამ გამოხმაურება მასებშიც პოვა. გლეხობის ფართო მასები, ქალაქის საშუალო ფენები, მშრომელთა გარკვეული ნაწილი დე გოლს იცნობდნენ, როგორც გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეურიგებელ და გამოჩენილ მებრძოლს. მისი სახელი დაკავშირებული იყო ფაშისტური რეჟიმისაგან საფრანგეთის განთავისუფლებასა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლასთან. მის სახელს უკავშირებდნენ ისეთი ძლიერი ხელისუფლების შექმნას, რომელიც შეარიგებდა არმიას და რესპუბლიკას, არაბებს და ფრანგებს, აღადგენდა საფრანგეთის ავტორიტეტსა და როლს საერთაშორისო არენაზე. დე გოლის დიდი ავტორიტეტი ქვეყანაში იმითაც აიხსნება, რომ

იგი სასტიკად აკრიტიკებდა საფრანგეთის მთავრობების აშშ-ისადმი დაქვემდებარებისა და გერმანიის ვერმახტის აღდგენის კურსს, მოითხოვდა საფრანგეთის დიდების აღდგენას და დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას. ყოველივე ეს ფართო რეზონანსს ახდენდა მასებზე.

1958 წლის 15 მაისს დე გოლმა განაცხადა, რომ იგი მზადაა ხელისუფლება ხელში აიღოს მხოლოდ იმ პირობით, თუ საგანგებო რწმუნებებს მიანიჭებდნენ, 1946 წლის კონსტიტუციას გააუქმებდნენ. ამასთანავე დე გოლი „დამოუკიდებელ არბიტრად", ერის საერთო წარმომადგენლად სახავდა თავის თავს.

1958 წლის 1 ივნისს ეროვნულმა კრებამ დე გოლი პრემიერ-მინისტრად დანიშნა. მის მიერ შექმნილ მთავრობაში შევიდა ყველა ბურჟუაზიული პარტიის ლიდერი და აგრეთვე გი მოლე. 2 ივნისს დე გოლმა საგანგებო რწმუნებები და ახალი კონსტიტუციის შემუშავების უფლება მიიღო, რაც მეოთხე რესპუბლიკის კრახს ნიშნავდა.

V თავი

საფრანგეთი მეხუთე რესპუბლიკის დროს

§ 18. მეხუთე რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა 1958—1968 წწ.

მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისათვის შეიქმნა ე. წ. „სამუშაო კომიტეტი" იუსტიციის მინისტრის მიშელ დებრეს მეთაურობით. პროექტი 1958 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნდა. ახალი კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება მნიშვნელოვნად იკვეცებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. კონსტიტუცია დიდ უფლებებს ანიჭებდა პრეზიდენტს. იგი ცხადდებოდა სახელმწიფოს მეთაურად, მთავრობის მეთაურად და უმაღლეს მთავარსარდლად. პრეზიდენტი ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, ყველა მაღალი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს, ხელს აწერდა ყველა კანონზე, შეეძლო პარლამენტის გარეშე კანონის გატანა რეფერენდუმზე. მართალია, პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, მაგრამ ეს ფორმალურადაა, ვინაიდან პრემიერ-მინისტრს კონსტიტუცია, ფაქტობრივად, პრეზიდენტის ნება-სურვილის შემსრულებლის როლს აკისრებს როგორც მიმდინარე ადმინისტრაციული ხასიათის საკითხების გადაწყვეტაში, ასევე პარლამენტში პრეზიდენტის პოლიტიკის დაცვაში. პრეზიდენტი გამოცხადებულია რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის „გარანტად". მაგალითად, კონსტიტუციის მუ-16 მუხლით, პრეზიდენტს უფლება აქვს ხელში

აიღოს მთელი ძალაუფლება და გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ „ერის დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიული მთლიანობა ან საერთაშორისო ვალდებულების შესრულება სერიოზული და პირდაპირი საშიშროების წინაშე აღმოჩნდება“.

კონსტიტუცია საკანონმდებლო ხელისუფლებას პარლამენტს ანიჭებს. იგი შედგება ორი პალატისაგან: ეროვნული კრებისა და სენატისაგან. პირველს ირჩევენ პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით, მეორეს კი — არაპირდაპირი ხმის მიცემით. სენატის უფლება მნიშვნელოვნად იზრდება და ამ მხრივ იგი თითქმის პირველ პალატას უთანასწორდება. პარლამენტის არც ერთ პალატას არა აქვს პრეზიდენტის გადაყენების უფლება. პარლამენტს შეუძლია მხოლოდ მთავრობის გადაყენება, მაგრამ ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული „დაგმობის რეზოლუციის“ შეტანა და ასეთი რეზოლუციისათვის დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღება. ამასთანავე იმ დეპუტატთა ხმები, რომელნიც თავს შეიკავებენ ან ხმის მიცემის დროს არ ესწრებიან, თავისთავად მთავრობისათვის მიცემულ დადებით ხმებად ითვლება. თუ „დაგმობის რეზოლუცია“ ვერ შეაგროვებს სათანადო ხმებს, მის ავტორებს ეკრძალებათ ამ პარლამენტის სესიის პერიოდში ახალი რეზოლუციის შეტანა. მაგრამ თუ პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა ხმას „დაგმობის რეზოლუციას“ მისცემს, მაშინ პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა შეუძლია.

მეოთხე რესპუბლიკის დროს მთავრობის ყოველი კანონპროექტი პარლამენტში სათანადო კომისიის შესწორებებით განიხილებოდა, ახალი კონსტიტუციით კი პარლამენტს ეს უფლებები წაერთვა. მთავრობას შეუძლია უარყოს შესწორებები და მოითხოვოს თავისი კანონპროექტის მთლიანი ვარიანტის ყოველგვარი შესწორებების გარეშე განხილვა.

ბიუჯეტის კანონპროექტში პარლამენტის წევრებს შემოსავლის შემცირების ან გასავლის გაზრდის საკითხებზე არ შეუძლიათ შესწორებების ან წინადადებების შეტანა. ამრიგად, მთავრობას შეუძლია სოციალური ხარჯების შემცირება და სამხედრო ბიუჯეტის თავისი სურვილისამებრ გაზრდა.

თუ დეპუტატი მთავრობის წევრი გახდა, იგი კარგავს დეპუტა-

ტობის მანდატი და მისი აღდგენა მთავრობიდან უკან გამოსვლა შემთხვევაში აღარ შეიძლება.

თავდაპირველად პრეზიდენტს ირჩევდნენ არაპირდაპირი ხმის მიცემით 7 წლის ვადით, 1962 წლის შემოდგომაზე ჩატარებული რეფერენდუმით კი მისი არჩევა ხდება პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე. ამ მხრივაც პრეზიდენტი სრულიად დამოუკიდებელი გახდა პარლამენტისაგან. ამ უკანასკნელის უფლებები ფაქტობრივად დაყვანილია მეორეხარისხოვანი სათათბირო ორგანოს დონემდე. აღმასრულებელი ხელისუფლების, უპირველეს ყოვლისა კი, პრეზიდენტის უფლებები ძალზე გაიზარდა, რამაც გამოიწვია მისი პირადი ხელისუფლების გაძლიერება. კონსტიტუცია დემოკრატიულ უფლებებს და თავისუფლებებს ზოგადი ფრაზებით აცხადებს.

კომუნისტებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს, რომ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ მიეცათ ხმა. ამ მოწოდებას კომუნისტების გარდა ნაწილობრივ სოციალისტების მემარცხენე ფრთა გამოეხმაურა. საყურადღებოა, რომ პუჟადელებმა მეტისმეტად ლიბერალურად მიიჩნიეს მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, ამიტომ მის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

1958 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც ამომრჩეველთა 79%-მა მოიწონა კონსტიტუცია.

რეფერენდუმის ჩატარებისთანავე ყველა მემარჯვენე პოლიტიკური პარტია გაერთიანდა „ახალი რესპუბლიკის დაცვის“ პარტიაში (უნრ). ეს პარტია ძირითადად ყოფილი სოციალ-რესპუბლიკელების ბაზაზე შეიქმნა და მისი პროგრამა იყო გენერალ დე გოლისათვის უსიტყვო მხარდაჭერა. უნრ-ს პარტიის ორგანიზატორები იყვნენ რპფ-ს პარტიის ხელმძღვანელები: ჟ. სუსტელი, მ. დებრე და სხვები. დე გოლმა თავისი თავი კლასებისა და პარტიების გარეშე მდგარ პიროვნებად, „დამოუკიდებელ არბიტრად“ გამოაცხადა და უარი თქვა უნრ-ს პარტიაში შესვლასა და ამ პარტიის ხელმძღვანელობაზე.

1958 წლის ნოემბრის ბოლოს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები. თუ 1956 წლის არჩევნების დროს ფრანგ ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა მემარცხენე ძალებს, ამ არჩევნებში წარმატებას მემარჯვენე ძალებმა მიაღწიეს. ომის შემდგომ პერიოდში კომპარტია ყო-

ველთვის პირველ ადგილზე გამოდიოდა სხვა პარტიებთან შედარებით და არანაკლებ 5 მილიონი ამომრჩევლის ხმას იღებდა. ამ არჩევნებში კი მან მიიღო 3,8 მლნ. ხმა და წინა არჩევნებთან შედარებით (როდესაც მიიღო 5,5 მლნ. ხმა) 1,6 მლნ. ხმა დაკარგა. არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო უნრ-ს პარტიამ — 5,2 მლნ. თავისი ხმები შეინარჩუნეს სოციალისტებმა (მიიღეს 3,17 მლნ. ხმა) და მრპ-მ (1,18 მლნ), „დამოუკიდებლებმა" კი 1 მლნ-ით გაზარდეს ამომრჩეველთა ხმები (მიიღეს 2,9 მლნ.). თავიანთი ამომრჩევლები დაკარგეს (დაახლოებით 1,5 მლნ. კაცი) რადიკალურმა პარტიამ და და პუჟადელებმა (2,2 მლნ). განსაკუთრებით გამანადგურებელი დარტყმა მიიღო პუჟადელების პარტიამ, რომელიც დე გოლსაც და კონსტიტუციასაც აკრიტიკებდა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამო არაპროპორციულად განაწილდა დეპუტატთა მანდატები. მაგალითად, კომპარტიამ მიიღო 10 ადგილი, უნრ — 198 ადგილი, „დამოუკიდებლებმა" — 133 ადგილი, სოციალისტურმა, რადიკალურმა და მრპ-ს პარტიებმა ერთად მიიღეს 124 დეპუტატის ადგილი[1].

1958 წლის 21 დეკემბერს გენერალი დე გოლი აირჩიეს პრეზიდენტად, ხოლო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა მ. დებრე. მთავრობაში ძირითადად შევიდნენ სამი პარტიის — უნრ, „დამოუკიდებლების" და მრპ-ს ხელმძღვანელები, მაგრამ მასში მონაწილეობდნენ სოციალისტური და რადიკალური პარტიების წარმომადგენლებიც. 1959 წელს მთავრობიდან გავიდნენ სოციალისტური და რადიკალური პარტიების წარმომადგენლები. მთავრობიდან მათი გასვლის საბაბი იყო მთავრობის მიერ საერო განათლების ხელყოფა და კლერიკალური კანონის მიღება.

1962 წელს მთავრობიდან გავიდნენ მრპ-ს პარტიის წარმომადგენლებიც, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ დე გოლის „ევროპული ინტეგრაციის" პოლიტიკით. ამრიგად, მთავრობაში ორი აშკარა მემარჯვენე პარტია დარჩა — უნრ და „დამოუკიდებლები", რომელნიც ასახავდნენ მსხვილი მონოპოლიური ბურჟაზიის ინტე-

---

[1] თუ რამდენად უხეშად იყო დარღვეული მაჟორიტარული საარჩევნო კანონის თანახმად ამომრჩეველთა რაოდენობრივი წარმომადგენლობა დეპუტატებისა, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1 დეპუტატი კომუნისტი საშუალოდ 380 ათასი ამომრჩევლის მიერ იყო ამორჩეული, 1 სოციალისტი — 79 ათასის, 1 რადიკალი — 75 ათასის, 1 უნრ კი — მხოლოდ 19 ათასი ამომრჩევლის მიერ.

რესებს. ომის შემდეგ ასე მრავალრიცხოვნად არც ერთ მთავრობაში არ ყოფილან მონოპოლისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, საბანკო და სამრეწველო უმსხვილესი მაგნატების — ფინანსური ოლიგარქიების წარმომადგენლები[1].

საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლა

მეოთხე რესპუბლიკის დაცემის მომენტში საფრანგეთის კავშირიდან გამოსული იყვნენ ინდოჩინეთის ქვეყნები (ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა) და ჩრდილოეთ აფრიკის პროტექტორატები — ტუნისი, მაროკო. საფრანგეთის კავშირში რჩებოდა ალჟირი, 4 ზღვისგაღმა დეპარტამენტი ე. წ. „ძველ კოლონიებში" (მარტინიკა, გვადელუპა, რენუიონი, გვიანა), 18 ზღვისგაღმა ტერიტორია, აგრეთვე 2 „მეურვეობაში" მყოფი ქვეყანა — ტოგო და კამერუნი.

1958 წლის კონსტიტუციამ სახელგატეხილი სახელწოდება „საფრანგეთის კავშირი" შეცვალა ახალი სახელწოდებით „თანამეგობრობა".

კონსტიტუციის 86-ე მუხლით „თანამეგობრობაში" შემავალ ქვეყნებს მათი საკანონმდებლო კრებისა და გატარებული რეფერენდუმის გადაწყვეტილებით შეეძლოთ „თანამეგობრობიდან" გასვლა და დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საფრანგეთის მმართველი წრეები ზღვისგაღმა ქვეყნებს ემუქრებოდნენ ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტით, ფრანგი სპეციალისტების უკან გაწვევით და კაპიტალდაბანდებების ლიკვიდაციით.

საფრანგეთის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დარწმუნდა, რომ სამხედრო ძალით შეუძლებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, გადავიდა ნეოკოლონი-

---

[1] მ. დებრე დაკავშირებული იყო მსხვილ მონოპოლისტურ დე-ვანდელეის საგვარეულოსთან და მონაწილეობდა რიგი სამრეწველო კომპანიების მართვაში. საგარეო საქმეთა მინისტრი მ. კუვ დე მიურვილი პარიზის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის წევრი იყო, ფინანსთა მინისტრი ვ. ჟისკარ დ'ესტენი ასევე დე ვანდელეის საგვარეულოს წარმომადგენელი და ინდოჩინეთის ბანკთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო, ხოლო ჟ. პომპიდუ — როტშილდის ბანკის გენერალური დირექტორი და ნავთობისა და ტრანსპორტის მონოპოლიების წევრი.

ალიხმის პოზიციებზე, რომლის არსი იმაშია, რომ კოლონიებისათვის მიეცათ ავტონომია და დამოუკიდებლობაც კი, მაგრამ იქ თავისი ეკონომიკური პოზიციები შეენარჩუნებინათ და ეს ქვეყნები თავიანთი გავლენის სფეროში დაეტოვებინათ. ამ კურსს მხარს უჭერდა დე გოლიც. ამის შედეგი ის იყო, რომ 1958 წლის 1 ოქტომბერს დამოუკიდებლობას მიაღწია გვინეამ, ხოლო 1960 წელს (რომელიც „აფრიკის წლად" ითვლებოდა) დამოუკიდებლობას მიაღწია საფრანგეთის 14 კოლონიამ აფრიკაში, შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები[1]. მაგრამ ბევრმა მათგანმა საფრანგეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა შეინარჩუნა.

ალჟირელი ხალხი კი ბრძოლას თავის დამოუკიდებლობისათვის კვლავ განაგრძობდა. საქმე იმაში იყო, რომ მონოპოლისტური ბურჟუაზიის ერთი ნაწილი ძალზე დაინტერესებული იყო ალჟირში თავისი კოლონიური ბატონობის შენარჩუნებით და მათი ინტერესების შესაბამისად დე გოლი თავდაპირველად სამხედრო ძალით შეეცადა ალჟირის ეროვნული მოძრაობის სისხლში ჩახშობას. ალჟირში კვლავ გაზარდეს საფრანგეთის ჯარების კონტინგენტი. მაგრამ ჯარის სიმრავლე საქმეს ვერ შველოდა და კოლონიურ ომს ბოლო არ უჩანდა. იგი ნთქავდა აუარებელ თანხებს. სამხედრო ხარჯებმა 1 მლრდ. ფრანკს მიაღწია. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით კი ნავთობის მრეწველები, მოითხოვდნენ დათმობაზე წასვლას. დე გოლი იძულებული გახდა 1959 წლის სექტემბერში უარეყო ულტრაკოლონიალისტების თეზისი, თითქოს ალჟირი საფრანგეთის ნაწილი იყო, და განეცხადებინა, რომ ალჟირი არ არის საფრანგეთის ტერიტორია და ამიტომ მას თვითგამორკვევის უფლება აქვსო. 1960 წლის იანვარში დე გოლის ამ განცხადებას ულტრაკოლონიალისტებმა უპასუხეს ამბოხებით, რომელსაც თანაუგრძნობდა იქ მყოფი საფრანგეთის არმიის ზედაფენა. ჯარის მხარდაჭერით ულტრებმა ბარიკადები ააგეს და თითქმის ერთ კვირას ფლობდნენ ალჟირის დედაქალაქის დიდ ნაწილს. მთავრობამ მეამბოხეებს წაუყენა დამორჩილების მოთხოვნა. ულტრაკოლონიალისტთა ზოგიერთი ხელმძღვანელი დააპატიმრეს, ხოლო გენერლების ის ნა-

---

[1] ნიგერი, მავრიტანია, დაგომეა, სენეგალი, სუდანი, კონგო (ბრაზავილი,) გაბონი, ჩადი, მადაგასკარი, ზემო ვოლტა, სპილოს ძვლის სანაპირო, მალი, ტოგო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.

წილი, რომელიც ულტრაკოლონიალისტებს თანაუგრძნობდა, თანამდებობიდან გადააყენეს და მეტროპოლიაში გაიწვიეს. ამის საპასუხოდ ულტრაკოლონიალისტებმა შექმნეს არალეგალური ორგანიზაცია — „საიდუმლო არმიის ორგანიზაცია" („ოას") და დაიწყეს მასობრივი პოლიტიკური ტერორი. თუ 1958 წელს ულტრაკოლონიალისტები დე გოლისათვის ხელისუფლების გადაცემას მოითხოვდნენ, ახლა მისი გადაყენების მოთხოვნა წამოაყენეს. მაგრამ რეაქციის ცდები, „ოას"-ის და მასობრივი პოლიტიკური ტერორის მეშვეობით თავს მოეხვიათ საფრანგეთისათვის ფაშისტურ-კოლონიური დიქტატურა, სამარცხვინოდ ჩაიშალა.

1961 წლის 1 ივლისს ალჟირში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მოითხოვა დამოუკიდებლობა. 3 ივლისს კი საფრანგეთმა ცნო ალჟირი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მალე ამის შემდეგ ევროპელმა მოსახლეობამ დატოვა ალჟირი და საფრანგეთში გადასახლდა.

ალჟირის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება მარტო ალჟირელი ხალხის გმირული ბრძოლით მიღწეული წარმატება კი არ იყო, არამედ საფრანგეთის დემოკრატიული ძალების დიდი გამარჯვებაც.

ამრიგად, 50 — 60-იან წლებში საფრანგეთის კოლონიური იმპერია დაშალა. საფრანგეთის ხელში დარჩა მხოლოდ მცირე სამფლობელოები — რამდენიმე კუნძული ატლანტის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეებში, საფრანგეთის სომალი აფრიკაში და საფრანგეთის გვიანა ლათინურ ამერიკაში.

ბუნებრივია, რომ საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლამ გამოიწვია საფრანგეთის იმპერიალიზმის პოზიციების დასუსტება. მაკრამ სამაგიეროდ მეტროპოლიის მოსახლეობა განთავისუფლდა ამ ბანუწყვეტელი და გამაჩანაგებელი (წლების განმავლობაში მიმდინარე, ძვირად ღირებული) კოლონიური ომებისაგან, რომლებიც ფრანგ ხალხს მძიმე ტვირთად აწვა. საფრანგეთის მოსახლეობა რომ მხარს უჭერდა კოლონიური ხალხის განთავისუფლებას, ამას თვნდაც მოწმობს დე გოლის მიერ გვიანას შეთანხმების შესახებ რეფერენდუმის ჩატარების შედეგები, რომლის დროსაც ამომრჩეველთა 90%-მა მოიწონა იგი.

საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მისი თავისებურებანი

საფრანგეთის „სამევახშო იმპერიალიზმის" ადრეულ ეტაპზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. ადრე მოგების ძირითად წყაროს არ წარმოადგენდა ქვეყნის შიგნით შექმნილი ზედმეტი ღირებულება. მოგება მოდიოდა კოლონიებიდან და დამოკიდებული ქვეყნებიდან, გატანილი კაპიტალის ანდა პირდაპირი კოლონიური ძარცვისა და ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან. მოგების ასეთი გზით მიღებამ საფრანგეთის ფინანსურ ოლიგარქიას შესაძლებლობა მისცა მსოფლიო ბურჟუაზიის ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი ფენა გამხდარიყო. ამასთანავე, საკუთარი ქვეყნის ინდუსტრიული ბაზის ჩანოყალიბება ნელა მიმდინარეობდა, არასაკმარისად იყო განვითარებული კაპიტალისტური ფორმები მეურნეობისა და წარმოების სფეროში.

მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ რიგი მარცხიანი კოლონიური ომებისა და კოლონიების დაკარგვის შედეგად საფრანგეთმა დაკარგა საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალიდან არამწარმოებლური სამევახშო შემოსავლის წყარო. ამის გამო იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომლის გამოსწორება მეურნეობის უბრალო აღდგენით და ომამდელი დონის მიღწევით არ შეიძლებოდა.

ომის შემდგომ საფრანგეთში ძირფესვიანად განახლდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის ტექნიკური მოწყობილობა. არსებითად შეიცვალა აგრეთვე ტრადიციული ეკონომიკური სტრუქტურა და პროპორციები ეკონომიკის ძირითად სექტორებს შორის.

საფრანგეთის ომის შემდგომი ეკონომიკის დამახასიათებელი თავისებურება გახდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება, სახელმწიფო ფართოდ ერეოდა წარმოების ე. წ. „რეგულირებაში", ბიუჯეტის მეშვეობით უზარმაზარ სახსრებს აბანდებდა ყველაზე პერსპექტიულ დარგებში. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების შედეგად, რასაც ომამდელ საფრანგეთში არ ჰქონდა ადგილი, სხვადასხვა სოციალური

ფენები საკმაოდ მტკიცედ აღმოჩნდნენ ორგანიზებულნი მთელი საფრანგეთის მასშტაბით. მთავრობის ხელში გადავიდა მთელი სახელმწიფოს-საბაზო დარგების რესურსები (ქვანახშირის, ნავთობის, ცემენტის, შავი მეტალურგიის, ელექტროენერგიის, გაზის, რკინიგზების), რომელთა შეფასებასა და განვითარებაზე იგი იძულებული იყო მუდმივად ეზრუნა.

1948 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ ომამდელ დონეს გადააჭარბა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებამ კი ამ დონეს მხოლოდ 1950 წელს მიაღწია.

ომამდელი დონის მიღწევის შემდეგ საფრანგეთის ეკონომიკის შემდგომი განვითარება არათანაბრად მიმდინარეობდა.

1952 — 1953 წლებში საფრანგეთის მრეწველობამ განიცადა ნაწილობრივი კრიზისი, რომელიც 1954—1955 წლებში აღმავლობით შეიცვალა, რაც 1958 წლამდე გაგრძელდა. მრეწველობის ზრდის ტემპებით ამ პერიოდში საფრანგეთმა ინგლისსა და აშშ-ს გაუსწრო, მაგრამ ჩამორჩებოდა იაპონიას, გფრ-ს და იტალიას. სამრეწველო წარმოება 1955 წელს 1952 წელთან შედარებით 21%-ით, ხოლო 1958 წელს 52%-ით გაიზარდა.

50-ინი წლების ეკონომიკური აღმავლობის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ძირითადი კაპიტალის განახლება, რომელიც ხელს უწყობდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. მნიშვნელოვნად იცვლება კაპიტალდაბანდებების სტრუქტურა და ამის შედეგად სამრეწველო წარმოების სტრუქტურაც. ძირითადი კაპიტალი ბანდდებოდა მძიმე მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა: ქიმია, მანქანათმშენებლობა, სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობა, რადიოელექტრონიკა, ატომის მრეწველობა, პოლიმერების წარმოება და ა. შ. ომამდელი საფრანგეთი საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის გარდა ცნობილი იყო აგრეთვე კვების, საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობით. 50-იანი წლების შუა პერიოდში კი იგი გადაიქცა შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და ქიმიის ქვეყნად. საფრანგეთი ამ დროისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გამოვიდა მეოთხე ადგილზე ქიმიური პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობით და მსუბუქი და სატვირთო მანქანების წარმოებით და კატანით (აშშ, გფრ, ინგლისის შემდეგ).

50-იანი წლების საფრანგეთში ძალზე ინტენსიურად მიმდინარე-

ობდა [illegible]ების კონცენტრაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა მეტა[illegible] ქიმიურ და გემთმშენებლობის მრეწველობაში.

ეკ[illegible]ის აღმავლობა საფრანგეთში 1958 წლამდე გაგრძელდა. 1957 — [illegible]ან წლების ჭარბი წარმოების კრიზისი საფრანგეთს ნაწილობრივ [illegible]ეებო, მაგრამ მას წარმოების დაცემა არ მოჰყოლია. ნან[illegible] წარმოების ზრდის მხოლოდ ტემპების შეჩერება და ერთ დონეზე გაყინვა გამოიწვია. რაც შეეხება ნავთობის, გაზის, ატომის, პლასტმასების, სინთეზური ბოჭკოებისა და წარმოების სხვა პერსპექტიულ დარგებს, ისინი კვლავ აღმავლობის გზით ვითარდებოდნენ. მეხუთე რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ეკონომიკის განვითარების პერსპექტიული გეგმები: 1958 — 1961 წწ., 1962 — 1965 წწ., 1966 — 1970 წწ., 1971 — 1975 წწ. მიიღეს აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების პროგრამები.

ამ გეგმების მეშვეობით მთავრობა აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, აწესებდა ფასებს ზოგიერთ საქონელზე, სავალუტო კურსს, ხელფასის დონეს, სარგებლის განაკვეთს, განსაზღვრავდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ექსპორტის და იმპორტის მასშტაბებს და მიმართულებებს, ხელს უწყობდა ექსპორტის სტიმულირებას და საქონლის გასაღებას მსოფლიო ბაზარზე. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების კურსი შემთხვევითი არაა, ვინაიდან ომის შემდგომ საფრანგეთში აღმოცენდა და განვითარდა სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში, რომელშიც შედიოდა: ქვანახშირის, გაზის, საავიაციო და საავტომობილო მრეწველობის დიდი ნაწილი, ელექტროენერგეტიკა, საავიაციო კომპანია „ერფრანსი", საზღვაო ტრანსპორტის უმსხვილესი კომპანიები, პარიზის საქალაქო ტრანსპორტის 1/4. საფრანგეთის საემისიო ბანკი და ოთხი მსხვილი დეპოზიტური ბანკი, თამბაქოსა და ასანთის ფაბრიკები. სახელმწიფოს ხელში იყო აგრეთვე რიგი სავაჭრო-სამრეწველო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებანი, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, ნავთობმოპოვების სამმართველო, ატომური ენერგიის კომიტეტი და ა. შ.

1959 წლიდან საფრანგეთის ეკონომიკა გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან, რის შემდეგ დაიწყო აღმავლობა, რომელიც 1974 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში სამრეწველო წარმოება 2-ჯერ მეტად გაიზარდა. 1969 — 1972 წლებში საფრანგეთის საერთო ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქცია 26%-ით გაიზარდა. კაპიტა-

ლისტურ სამყაროში წარმოების ზრდის ტემპებით საფრანგეთი მეორე ადგილზე გამოვიდა იაპონიის შემდეგ. 60-იანი წლების მ[illegible] ნახევრისათვის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი [illegible]ობა საფრანგეთისა. რომელიც იტალიის გარდა არც ერთ დიდ [illegible]ფოს არ ახასიათებს. იყო ის, რომ მისი წარმოების მთელი [illegible] შრომის ნაყოფიერების ანგარიშზე მოდიოდა.

დიდი სახსრების ხარჯზე ვითარდებოდა ატომისა და რაკეტული მრეწველობა. ომის შემდგომ საფრანგეთში, განსაკუთრებით მეხუთე რესპუბლიკის დროს, დიდი მასშტაბებით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა. გაიზარდა სხვა წარმოების[1] დარგებიც, მაგრამ მძიმე მდგომარეობაშია საფრანგეთის ეკონომიკის ტრადიციული დარგები: საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ქვანახშირის, რომელთა წარმოება ან ეცემა, ან ერთ ადგილზეა გაყინული. საფრანგეთ-ინგლისის ძვირადღირებული ზეგგერითი ავიალაინერის „კონკორდის" წარმოება ფინანსური კრახის წინაშე აღმოჩნდა ამერიკის ასეთივე სახის ლაინერების მძლავრ კონკურენციის გამო.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საფრანგეთის საგარეო ვაჭრობაში. გაუმჯობესდა საფრანგეთის მიერ საზღვარგარეთ საქონლის გატანის სტრუქტურა. გაიზარდა მზა სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ხვედრითი წონა. თუ ადრე იგი 20 — 25% შეადგენდა, ახლა გაიზარდა 40%-ით. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა წლების განმავლობაში ხასიათდებოდა დიდი დეფიციტით, მაგრამ 60-იან წლებში მან უკვე აღარ იცოდა დეფიციტი და საგარეო ვაჭრობის ბალანსის აქტიური სალდო ჰქონდა. 1973 წლისათვის ექსპორტი გაიზარდა 11,2%-ით, ამასთანავე ნახევარზე მეტი ექსპორტისა მოდიოდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებზე. 1973 წლისათვის საფრანგეთმა ექსპორტის მოცულობით კაპიტალისტურ სამყაროში მესამე ადგილი დაიკავა (აშშ-ისა და გფრ-ის შემდეგ).

წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია და სტანდარტიზაცია საფრანგეთში არასაკმარისადაა განვითარებული.

60-იანი წლების დამლევისათვის საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მსოფლიო მასშტაბების მონოპოლიების შექმნის კურსი აიღეს

---

[1] 1972 წელს საფრანგეთმა აწარმოა: 31.2 მლნ. ტ. ქვანახშირი, 19 მლნ. ტ. თუჯი, 24 მლნ. ტ. ფოლადი, 3,3 მლნ. ცალი მსუბუქი და სატვირთო მანქანა, და ა. შ.

და უარი თქვეს ქვეყნის შიგნით უცხოეთის, მათ შორის ამერიკის კაპიტალის შეზღუდვის ადრე არსებულ კურსზე. 1975 წლის დამდეგისათვის საზღვარგარეთის კომპანიები მრეწველობის სხვადასხვა დარგის 10 ათასზე მეტ ფრანგულ საწარმოებს უწევდნენ კონტროლს.

მეოთხე და მეხუთე რესპუბლიკის პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოფლის მეურნეობის განვითარებამაც. სადაც ფართოდ ინერგებოდა ტექნიკა და აგროწესები; ამის შედეგი კი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა. 1970 წლისათვის საფრანგეთზე მოდიოდა „საერთო ბაზრის" ქვეყნების მიერ წარმოებული მარცვლეულის ნახევარი. საფრანგეთი არის მარცვლეულის, რძის პროდუქტების და ღვინის წამყვანი ექსპორტიორი. საფრანგეთის ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხვედრითი წონა შეადგენს 17,5%-ს. ამასთანავე საფრანგეთის სოფლის მეურნეობა სუსტადაა სპეციალიზებული, იგი ორიენტირებულია ნაკლებად რენტაბელურ ე. ი. მომგებიან დარგებზე.

მეხუთე რესპუბლიკის მთავრობამ რიგი ღონისძიებები გაატარა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. 1960 წელს მიღებული კანონით („სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შესახებ") და მომდევნო კანონებით გათვალისწინებული იყო 1 მილიონამდე წვრილი მეურნეობის იძულებითი ლიკვიდაცია და მათი წარმოებისა და მიწების მსხვილ კაპიტალისტურ ფერმერთა ხელში გადასვლა. მიზანი ამ ღონისძიებისა იყო პროდუქტების წარმოების, შრომის ნაყოფიერების და საგარეო ბაზარზე პროდუქტების კონკურენციისუნარიანობის გაზრდა. ამ ღონისძიების შედეგი ის იყო, რომ 1961—1970 წლებში სოფლის აქტიური მოსახლეობა ყოველწლიურად 75 — 80 ათასი კაცით მცირდებოდა. 1955 — 1971 წლებში სოფლის მეურნეთა რიცხვი 2,3 მილიონიდან 1,6 მლნ-მდე შემცირდა. თუ 1946 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დაკავებულთა ხვედრითი წილი 34%-ს შეადგენდა, 1968 წლისათვის იგი 15%-მდე შემცირდა, ხოლო მომდევნო ათწლეულში 9%-მდე, ე. ი. გაუთანაბრდა გფრ-ში არსებულ დონეს. საერთოდ, მეხუთე რესპუბლიკის პერიოდში სოფლის მეურნეთა რაოდენობა 25%-ით შემცირდა. სოფლად გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მსხვილ მეურნეებს. 100 ჰა და მეტი ფართობის მქონენი შეადგენენ მეურნეთა 1,7%-ს, მაგრამ მათ

ხელთაა დასამუშავებელი მიწის 14,5% და იძლევიან სოფლის პროდუქციის დიდ ნაწილს. ისინი ექსპლუატაციას უწევენ სოფლის მეურნეობის 800 ათას მუშას. მიუხედავად მთავრობის ღონისძიებებისა სოფლის მეურნეობაში დიდია წვრილი მეურნეობის ხვედრითი წონა.

საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციისუნარიანობის გაზრდის მიზნით მთავრობა იძულებულია, გაიღოს მსხვილი სუბსიდიები როგორც საკუთარი, ასევე „საერთო ბაზრის" საგარანტიო ფონდიდან.

ამრიგად, საფრანგეთმა რიგ წარმატებებს მიაღწია ომის შემდგომ პერიოდში თავისი ეკონომიკის განვითარებაში, რომლის ერთ-ერთ საწინდრად მიაჩნიათ ქვეყნის აქტიური მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილების და წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირების საქმეში.

70-იანი წლების საფრანგეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფო იყო. იგი მეოთხე ატომური სახელმწიფოა (აშშ-ის, სსრკ და ინგლისის შემდეგ) მესამე სახელმწიფოა (სსრკ და აშშ-ის შემდეგ), რომელმაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა. საფრანგეთი კაპიტალისტურ სამყაროში მეხუთე ადგილზე იყო (აშშ-ის, იაპონიის, გფრ-ის და ინგლისის შემდეგ) სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონით, მეოთხე ადგილზე საერთო ეროვნული პროდუქციის მოცულობით, მესამე ადგილზე (აშშ-ის და ინგლისის შემდეგ) ოქროს რეზერვების რაოდენობით. შრომის ნაყოფიერებისა და ეკონომიკის ტემპების ზრდით და მეორე ადგილზე (აშშ-ის შემდეგ) ერთ სულ მოსახლეზე საერთო ეროვნული პროდუქციის წარმოებით. ასევე მეორე ადგილზე (აშშ-ს შემდეგ) სამხედრო საჭურველის გატანის მხრივ.

ამასთანავე, საფრანგეთის მეურნეობა, მისი სოციალური სტრუქტურა, ადმინისტრაციული სისტემა, ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათი, და ბოლოს, ცხოვრების საერთო წესი ხასიათდებოდა ელტრათანამედროვეობასთან ერთად ძველის გადმონაშთებით.

70-იან წლებში საფრანგეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დიდ „ოთხეულს" (აშშ. იაპონიას, გფრ-ს და ინგლისს) წარმოების საერთო მოცულობით, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციით, სტანდარტიზაციით მსოფლიო ბაზარზე და მსოფლიო წარმოებაში ხვედრითი წონის მასშტაბით.

ცვლილებანი კლასობრივ სტრუქტურაში. ხალხთა მასები მდგომარეობა მეხუთე რესპუბლიკის დროს

ბეოთხე და მეხუთე რესპუბლიკების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საფრანგეთის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში — თუ ადრე იგი წარმოადგენდა კლეხობისა და ვაჭარ-ხელოსნების წვრილბურჟუაზიულ ქვეყანას, ამჟამად მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. 1946 — 1968 წლებში თუ სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 15%-მდე შემცირდა, მრეწველობაში და ტრანსპორტზე დაკავებულთა რაოდენობა გაიზარდა 31-დან 33,8%-მდე. მომსახურეობის სფეროში, მათ შორის ადმინისტრაციაში დაკავებულთა რაოდენობა 35-დან 46.2%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, 1951 — 1968 წლებში დაქირავებული შრომის პირთა ხვედრითი წონა 65%-დან გაიზარდა 76%-მდე, ე. ი. მუშები და მოსამსახურეები შეადგენენ ყველა მომუშავის 3/4. ამრიგად, 60-იანი წლების ბოლოსათვის საფრანგეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: მუშათა რაოდენობა შეადგენს 9 მლნ. კაცს, ინჟინერ-ტექნიკური, ადმინისტრაციული და მოსამსახურეთა პერსონალი 8 მლნ-მდე, წვრილბურჟუაზიული ფენების მოსახლეობა (ხელოსნების, ვაჭრების, წვრილი სახელოსნოების მფლობელების) — კი 5 მლნ. კაცს, გლეხობა — 2 მლნ-მდე კაცს.

1968 წელს მრეწველობაში, ტრანსპორტში, მომსახურების სფეროში და ადმინისტრაციაში დაკავებული იყო 17 მლნ. კაცი, აქედან მრეწველობაზე მოდიოდა 5834 ათასი კაცი (29,2%), მშენებლობაზე — 1925 ათასი (9,6%), ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროზე — 5919 ათასი (29,5%), ბანკებზე, ადმინისტრაციაა და მოსამსახურეებზე — 3314 ათასი (15,6%).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ევოლუციის შედეგად ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დაქირავებული შრომის პირთა ისეთმა მრავალრიცხოვანმა კატეგორიამ, როგორიც არიან მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. 80-იან წლებში მომსახურების სფეროში დაკავებულთა რაოდენობა მუშათა რაოდენობას მიუახლოვდა. ეს მომხდარი ცვლილებები ფრანგმა ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა (მაგალითად ჟან ფურასტიემ) გამოიყენეს იმისათვის, რათა წამოეყენებინათ კონცეფცია სოციალური წინააღმდეგობებს

და ანტაგონიზმის თითქოსდა თანდათანობითი შესუსტების შესახებ. მაგრამ სინამდვილეში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურეები და ბომსახურების სფეროში დაკავებული პირები დაქირავებული შრომის, ე. ი. ექსპლუატაციის ქვეშ მყოფ ფენებს განეკუთვნებიან. რომელნიც თავიანთი მდგომარეობით მუშათა კატეგორიის უახლოვდებიან.

ანტაგონიზმის შესუსტების პროპაგანდა რომ სიყალბეა, ამას მოწმობს შემდეგი: არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არაა ისეთი განსხვავება მინიმალურ და მაქსიმალურ შემოსავალს შორის, როგორც საფრანგეთში. მაგალითად, 1972 წელს ყველაზე მდიდართა 10%-ის შემოსავალი 76-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე ღარიბებისა (ინგლისში ეს კოეფიციენტი 15 იყო, გფრ-ში — 20,5, აშშ-ში — 29).

დე გოლის საშინაო პოლიტიკა

დე გოლის მთავრობამ ხალხის სოციალური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის გზით ქვეყნის ეკონომიკური (განსაკუთრებით სავალუტო) და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში მიაღწია ერთგვარ დროებით სტაბილიზაციას. მაგრამ მთავრობის ღონისძიებებმა გამოიწვია სოციალური ურთიერთობის გამწვავება და მუშათა მრავალრიცხოვანი გაფიცვები. მთავრობამ ამას იმით უპასუხა, რომ 1963 წლის 17 ივნისს მიიღო კანონი გაფიცვების ჩატარების წესის შესახებ კომუნალურ, მუნიციპალურ და სახელმწიფო საწარმოებში. ეს კანონი პროფკავშირულ ორგანიზაციებს ავალდებულებდა, რომ დირექციისა და მთავრობისათვის 5 დღით ადრე შეეტყობინებინათ გაფიცვების შესახებ.

1966 წლის გაზაფხულზე პრემიერ-მინისტრი გახდა ჟორჟ პომპიდუ, ხოლო ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მ. დებრემ შეცვალა ჟისკარ დ'ესტენი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პოსტზე და კვლავ აიღო წარმოების ტემპების ზრდის კურსი.

ხალხის ხარჯზე გატარებულმა ე. წ. „სტაბილიზაციის პროგრამამ" გააუარესა არა მარტო მუშათა, არამედ სოფლის და ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენების მდგომარეობა. ამან უკმაყოფილების ზრდა გამოიწვია, რამაც ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურ პარტიებზეც. თუ თავდაპირველად დე გოლს მხარს უჭერდა ყველა პარტია, გარდა კო-

ბუნისტებისა, შემდეგ სხვა პარტიებმაც იწყეს ოპოზიციაში გადასვლა.

1965 წელს გაერთიანდნენ სოციალისტური და რადიკალური პარტიები და შექმნეს „დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაცია“ (დსმფ), რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ფ. მიტერანი. კომპარტიამ და ფედერაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ. 1965 წლის დეკემბერში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების დროს ყველა მემარცხენე პარტიამ მხარი დაუჭირა ფ. მიტერანს, რომელმაც მეორე ტურში მიიღო ამომრჩეველთა ხმების 45%, მაგრამ დე გოლმა 10%-ით მეტი ხმა მიიღო და კვლავ გახდა პრეზიდენტი[1].

1966 წელს თავიანთი ძალები გააერთიანეს დე გოლის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო მრპ-ს და „დამოუკიდებლების“ პარტიებმა, მათ შექმნეს „დემოკრატიული ცენტრი“ და დამოუკიდებლად ვამოვიდნენ, მაგრამ 1967 წელს ჩატარებულ ეროვნული კრების არჩევნებში სასტიკი მარცხი განიცადეს — მიიღეს ამომრჩეველთა ხმების ბოლოდ 13%. მემარცხენე ფედერაციამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 40%. მაგრამ პარლამენტში დეპუტატთა ადგილების მცირეოდენი უპირატესობა კვლავ დეგოლელთა პარტიამ (უნრ) შეინარჩუნა.

1968 წლის მაის-ივნისის ამბები. გენერალ დე გოლის გადადგომა

დე გოლის მთავრობამ შეძლო რიგი მწვავე პრობლემების მოგვარება (კოლონიების განთავისუფლება, ეკონომიკის განვითარება), მაგრამ სოციალური წინააღმდეგობების დემაგოგიით და უმნიშვნელო დათმობებით გადაჭრა მას არ შეეძლო. დეგოლიზმის რეჟიმის ბატონობის შედეგი ის იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებები ფორმალურად შემორჩა ქვეყანაში, ფაქტობრივად

[1] საყურადღებოა, რომ არჩევნების პირველ ტურში ოთხი კანდიდატი იყო. დე გოლმა მიიღო 10,5 მლნ. ხმა (43,9%), მიტერანმა — 7,66 მლნ. (32,04%), ლეკანუემ — 3,77 მლნ. (15,78%), ტიქსიე-ვინიანკურმა — 1,26 მლნ. (5,31%).

კი დამყარდა ერთი მუჭა ფინანსური და საბრალოწველო მაგნატების ბიუროკრატიული, თვითნებური მმართველობა. უკმაყოფილება არსებული რეჟიმისადმი მოედო მუშათა კლასს, გლეხობას, მოსამსახურეებს, ინტელიგენციას, წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას. დეგოლის დიდი ავტორიტეტი, მისი პირადი პრესტიჟი დიდხანს აკავებდა ხალხს და უზრუნველყოფდა ერთგვარ წონასწორობას დემოკრატიულ და მემარჯვენე ძალებს შორის, მაგრამ ეს წონასწორობა თანდათანობით ირღვეოდა. ხალხთა გრანდიოზულ გამოსვლებს ბიძგი მისცა სტუდენტთა მღელვარებამ.

სტუდენტთა რაოდენობა 1945 წელთან შედარებით ამ დროისათვის 5-ჯერ გაზარდა და 650 ათას კაცს შეადგენდა. აქედან მუშათა და გლეხთა ოჯახებიდან გამოსულნი მხოლოდ 12%-ს შეადგენდნენ. 15% იღებდა სტიპენდიებს, 40% კი უმაღლესში სწავლას წარმოებაში მუშაობას უთავსებდა, უმაღლესის დამთავრების შემდეგ კი ვერ ეწყობოდა სათანადო სამუშაოზე. საყურადღებოა, რომ საფრანგეთის განათლების სისტემაში განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში არსებობდა ნაპოლეონის დროიდან შემორჩენილი კონსერვატორული წესები. სტუდენტებს სასტიკად ეკრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლესი სასწავლებლები მატერიალური ბაზით ცუდად იყო უზრუნველყოფილი.

1968 წლის 3 მაისს პარიზის სტუდენტებმა მეცადინეობა შეწყვიტეს, გაიფიცნენ და სასწავლო შენობები დაიკავეს. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა თხოვნით საქმეში ჩაერია პოლიცია, რასაც მოჰყვა სტუდენტთა დაპატიმრება და შეტაკებები პოლიციელებთან. 600 სტუდენტი დააპატიმრეს. ამის საპასუხოდ საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა და უმაღლესი განათლების მუშაკთა ეროვნულმა პროფკავშირმა სტუდენტებს მოუწოდეს, რათა მათ 6 მაისს საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყოთ. მაგრამ, სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მემარცხენე ელემენტების — ტროცკისტების, ანარქისტების და მაოისტების ხელში იყო. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 6 ათასი სტუდენტი, რასაც ახალი სისხლისმღვრელი შეტაკებები მოჰყვა. ათასამდე სტუდენტი და პოლიციელი დაიჭრა, დაპატიმრეს 400 კაცი. სტუდენტთა მღელვარება პარიზიდან სხვა ქალაქებსაც მოედო, მაგრამ პოლიცია სასტიკად უსწორდებოდა სტუდენტებს, რამაც მუშებისა და საფრანგეთის მთელი დემოკრატიული ძალების აღშფოთება გამოიწვია. 13

მაისს კომუნისტების და ყველა პროფკავშირთა ცენტრის მოწოდებით გამოცხადდა საპროტესტო გაფიცვა, რომელშიც მუშებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მოსამსახურეებმა. მუშებმა იწყეს საწარმოების დაკავება. გაფიცულებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები: ხელფასის მომატება, უმუშევრობის ლიკვიდაცია, უმაღლესი სასწავლებლების დემოკრატიზაცია და სტუდენტთა განთავისუფლება, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, საგადასახადო რეფორმა, პროფკავშირებისა და დემოკრატიული თავისუფლებების გაფართოება. იყო ასეთი ლოზუნგებიც: „1958 წლის 13 მაისი — 1968 წლის 13 მაისი — კარგი წლისთავია, ჩემო გენერალო!“. „ათი წელი საკმარისია!“, „ნახვამდის, დე გოლო!“. მოითხოვდნენ აგრეთვე სახალხო მთავრობის შექმნას. გაფიცვაში მონაწილეთა რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა და 24 მაისისათვის 9 მლნ. კაცს გადააჭარბა. თითქმის მთელი საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რადიოს და ტელევიზიის, უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა შეჩერდა. მთავრობასა და პროფკავშირებს შორის დაწყებული მოლაპარაკება ჩაიშალა. 21 — 22 მაისს ეროვნულ კრებაში შედგა კომპარტიისა და მემარცხენე ფედერაციის მიერ შეტანილი მთავრობის დაგმობის რეზოლუციისათვის კენჭისყრა, რომელმაც 233 ხმა მოაგროვა (გადადგომისათვის კი 244 ხმა იყო საჭირო). 24 მაისს ტელევიზიით გამოვიდა გენერალი დე გოლი, რომელმაც მოითხოვა გაფიცვის შეწყვეტა და დაპირებას იძლეოდა, რომ ივნისში ჩაატარებდა რეფერენდუმს მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოების შესახებ. მაგრამ გაფიცვა კვლავ გრძელდებოდა. მაისის ბოლო რიცხვებში გაფიცვამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. 29 მაისს დილით დე გოლმა მოულოდნელად დედაქალაქი დატოვა. ბევრს ეგონა, რომ იგი გადადგებოდა. ანარქისტები, ტროცკისტები, მაოისტები მოითხოვდნენ აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყებას და ამტკიცებდნენ, რომ მეხუთე რესპუბლიკა იშლება და ახლა „ხელისუფლების ხელში ჩაგდების“ კი არა, არამედ „დაცემული ხელისუფლების ხელში აღების“ საკითხი დგას. ისინი კომუნისტებს ბრალს დებდნენ „კონსერვატორიზმში“ და „რევოლუციური სულისკვეთების დაკარგვაში“. დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის თავმჯდომარემ ფ. მიტერანმა კი წამოაყენა წინადადება, რათა შეექმნათ დროებითი მთავრობა 10 კაცის შემადგენლობით. მან ისიც კი განაცხადა, რომ პრეზიდენტის

არჩევნების შემთხვევაში თავის კანდიდატურას წამოაყენებს, ხოლო პრემიერ-მინისტრად მენდეს-ფრანს დანიშნავს. ამასთანავე, ბურჟუაზულმა პრესამ და მათ შორის ფედერაციის მემარცხენეებმაც თავაშვებული ანტიკომუნისტური პროპაგანდა გააჩაღეს ქვეყანაში იმის შესახებ, კომპარტია კომუნისტური დიქტატურის დამყარებას აპირებდა ქვეყანაში.

რევოლუციური სიტუაცია ქვეყანაში არ იყო მომწიფებული. გენერალი დე გოლი არ აპირებდა გადადგომას. უფრო მეტიც, იგი ჯერ კიდევ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მის მხარეზე იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალები და სახელმწიფო პოლიტიკურ-ბიუროკრატული აპარატი. მუშათა კლასის დიდი ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა საპროტესტო მოძრაობაში, მოითხოვდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქვეყნის დემოკრატიზაციას.

ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული და საშუალო ფენები უკმაყოფილო იყვნენ ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც მსხვილი მონოპოლიების სასარგებლოდ მათ შევიწროებას იწვევდა, მაგრამ მათში კომპარტიის მიერ წამოყენებული ანტიმონოპოლისტური ლოზუნგები უფრო პოპულარული იყო, ვიდრე სოციალისტური. გლეხობას და წვრილბურჟუაზიას, პირიქით, ეშინოდა სამოქალაქო ომისა და რევოლუციისა.

გენერალი დე გოლი პარიზიდან გაემგზავრა დასავლეთ გერმანიაში მყოფ ჯარებთან და შეხვდა ამ ჯარების მთავარსარდალს, ხოლო 30 მაისს ჩავიდა პარიზში, იგი რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ არ აპირებს გადადგომას და პრეზიდენტის პოსტზე დარჩება არჩეულ ვადამდე. მან ისიც განაცხადა, რომ საფრანგეთს სამოქალაქო ომისა და კომუნისტური დიქტატურის საშიშროება მოელისო. დე გოლი სხვა საშუალებების გამოყენებითაც იმუქრებოდა ქვეყანაში „წესრიგის" აღსადგენად. მან პარლამენტი დათხოვნილად გამოაცხადა და ახალი არჩევნები დანიშნა. პარიზში ხმა გავრცელდა, მთავრობამ დედაქალაქისაკენ სატანკო ნაწილები დაძრაო. ამასთანავე დედაქალაქში, ელისეის კვარტალში, დე გოლის მომხრე ბურჟუაზიულმა წრეებმა დემონსტრაციები მოაწყვეს გოლისტური რეჟიმისადმი მხარდაჭერის ლოზუნგებით.

ამის შემდეგ მთავრობა შეტევაზე გადავიდა. ხალხის მთელი ყურადღება კი მიიპყრო დაწყებულმა პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანიამ, რომელიც 3 კვირას გაგრძელდა. არჩევნები შედგა ივნისის

ბოლოს. მან წარმატება მემარჯვენე პარტიებს მოუტანა. არჩევნების წინ გოლისტურმა პარტიამ ჰეიცვალა სახელწოდება და ნაცვლად „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირისა“ ეწოდა „რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირი“. ამ პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 40% (10.200 ათასი) და 354 ადგილი პარლამენტში, მეორე ადგილზე კომპარტია გამოვიდა (20% ხმებისა, მაგრამ მიიღო 34 დეპუტატის მანდატი). ამრიგად, პარლამენტში მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა დეგოლისტური პარტიის ხელში გადავიდა. მემარცხენე ძალების ფედერაციას კი მხოლოდ 57 მანდატი ჰქონდა პარლამენტში. ამის შემდეგ ეს ფედერაცია მალე დაიშალა.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე პარიზში კრენელეილის ქუჩაზე გაიმართა მოლაპარაკება პროფკავშირების, მეწარმეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელზეც შეთანხმდა „გრენელეილის ოქმი“. ეს ოქმი მუშათა კლასის ძირითად მოთხოვნებს ითვალისწინებდა. ოქმში გათვალისწინებული ღონისძიებების კატარების შედეგად მუშათა კლასის ხელფასი საშუალოდ 14%-ით გაიზარდა, პენსიები — 15—20%-ით, ხელფასის მინიმუმი — 35%-ით, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა კი — 56%-ით. ხელფასის მინიმუმი მუშათა ორივე კატეგორიისათვის განისაზღვრა 600 ფრანკით. ზოგიერთი კატეგორიის მუშებმა მიიღეს დასვენების დამატებითი დღეები. ცვლილებები მოხდა უმაღლესი განათლების სისტემაში. სტუდენტები უმაღლესი სკოლების მართვაში მონაწილეობის უფლებას ღებულობდნენ, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებს განსაზღვრული შიდა ავტონომიური უფლებები ენიჭებოდათ. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის დანიშვნაში მთავრობა არ უნდა ჩარეულიყო. მისი არჩევა უნდა მომხდარიყო პროფესორ-მასწავლებელთა მიერ.

ყველა ამ ღონისძიების შედეგი ის იყო, რომ მუშებმა შეწყვიტეს გაფიცვები და სამუშაოზე დაბრუნდნენ.

მაგრამ მაის-ივნისის გამოსვლებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს დე გოლის რეჟიმს. მათ ერთიანად გამოაზეურეს ის უდიდესი წინააღმდეგობანი, რომლითაც ხასიათდებოდა ეს რეჟიმი.

დე გოლი თავისი შერყეული პოზიციების განმტკიცებას მთავრობაში ცვლილებების შეტანით შეეცადა. 12 ივლისს გადამდგარ პომპიდუს ნაცვლად პრემიერ-მინისტრი გახდა კუვ დე მიურვილი. მაგრამ ამ ცვლილებებს არ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება. დე გოლის რეჟიმის შესუსტების ერთ-ერთ სიმპტომად მიჩნეულია კა-

პიტალის საზღვარგარეთ „გაქცევა“. 1968 წლის 2 მაისიდან 21 ნოემბრამდე საზღვარგარეთ „გაიქცა“ 17,7 მლრდ. ფრანკი. ბურჟუაზია შეშფოთებული იყო მაის-ივნისის კრიზისით. მან დაკარგა რწმენა გოლიზმის რეჟიმის სიმტკიცისადმი და თავის კაპიტალს საზღვარგარეთის უფრო საიმედო ბანკებში ინახავდა. დე გოლმა განიზრახა, თავისი რეჟიმის განმტკიცება ახალი რეფორმების გატარებით მოეხდინა.

1969 წლის გაზაფხულზე მან ამ რეფორმების პროექტი წამოაყენა. იგი ითვალისწინებდა საფრანგეთის 90 ტერიტორიული დეპარტამენტის დაყოფის ნაცვლად (როგორც წინათ იყო) ქვეყნის 21 რეგიონად დაყოფის შემოღებას. თითოეულ რეგიონში რამდენიმე დეპარტამენტი შევიდოდა და მას განსაზღვრული რწმუნებები ექნებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში: სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ქალაქისა და სოფლის მშენებლობის და ა. შ. რეგიონში მთელი ხელისუფლება გადადიოდა მთავრობის მიერ დანიშნული პრეფექტის ხელში, იცვლებოდა აგრეთვე სენატის როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობის რწმუნებები. მას უნდა ჩამორთმეოდა პარლამენტის უმაღლესი პალატის უფლებები და გადასცემოდა ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საკონსულტაციო უფლებები. ამრიგად, სენატს ერთმეოდა ყოველგვარი საკანონმდებლო უფლება.

უნდა შეცვლილიყო აგრეთვე პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის დანიშვნის წესიც. ადრე პრეზიდენტის გარდაცვალების ან უუნარობის შემთხვევაში მის ადგილს სენატის თავმჯდომარე იკავებდა, ახლა მისი ადგილი პრემიერ-მინისტრს ან მთავრობის რომელიმე წევრს უნდა დაეკავებინა. ამ წესის დანერგვით დეგოლელებს თავისთვის უნდოდათ უზრუნველეყოთ ამ მაღალი თანამდებობის შენარჩუნება.

კონსტიტუციის ამ ახალი კონსერვატორიული გადასინჯვის წინააღმდეგ მემარცხენე და ცენტრისტულ-ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად გამოვიდნენ მემარჯვენე კონსერვატორული პარტია „დამოუკიდებელი რესპუბლიკელები“[1]. საქმე იმაში იყო, რომ მემარცხენე-ცენტრისტულ და მემარჯვენე-ბურჟუაზიულ პარტიებს არ უნდო-

[1] ამ პარტიის ლიდერი იყო ვალერი ჟისკარ დ'ესტენი.

დათ პოზიციების დაკარგვა, რომელიც ძალთ ძუნკიპალური ორგანოებში ეკავათ.

კონსტიტუციის ამ ახალი გადასინჯვის წინააღმდეგ ყველაზე თანამიმდევრული პოზიცია კომპარტიამ დაიკავა. მან ამხილა, რომ ამ ახალი გადასინჯვის მთავარი ამოცანაა 1968 წლის მაის-ივნისის კრიზისის შედეგად წარყვანული დეგოლისტური რეჟიმის განმტკიცება. ამ მიზნის მიღწევა გოლისტებს უნდათ „არჩევითი ორგანოების უფლებების შემდგომი შეზღუდვით". წუკ-ამ და სხვა პროფკავშირულმა ცენტრებმაც უარყოფითი პოზიცია დაიკავეს.

1969 წლის აპრილს დე გოლმა აღნიშნული პროექტი რეფერენდუმზე გამოიტანა. ამასთანავე მან განაცხადა, რომ თუ რეფერენდუმი უარყოფდა მის პროექტს, იგი გადადგებოდა. პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 12 მლნ-მდე კაცმა 53.17%, მოიწონა 10,9 მლნ-მა კაცმა (46,82%). ამის შემდეგ დე გოლი გადადგა და პრეზიდენტის ახალი არჩევნები დაინიშნა.

დე გოლის საგარეო პოლიტიკა

მეხუთე რესპუბლიკამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო წინა რესპუბლიკისაგან. საფრანგეთი იყო ნატოს დაჯგუფების წევრი, სადაც იგი თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში. ამ მხრივ აშშ-მა და ინგლისმაც საფრანგეთი „მეორე რიგში" ჩააყენეს.

დე გოლის საგარეო პოლიტიკაში შეიძლება ორი ძირითადი ეტაპის გამოყოფა, რომელთა შორის ზღვარი 1963 წელია. პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი ს დ რ ო ს, სანამ საფრანგეთი ომს ეწეოდა ალჟირში და ამიტომ თავისი მოკავშირეების მხარდაჭერას საჭიროებდა, იგი არ გამოდიოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მომხრედ. მართალია, დე გოლი 1959 წელს გამოვიდა ოდერსა და ნოისზე არსებული საზღვრების ცნობის მომხრედ, გაემიჯნა ამერიკა-ინგლისის პოზიციას კვიპროსის საკითხში, მაგრამ, მეორე მხრივ, ბერლინის საკითხის გამწვავების დროს 1958 — 1962 წლებში ვაილაშქრა ამ კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოგვარების წინააღმდეგ, კარიბის აუზში (კუბასთან დაკავშირებით) მომხდარი საშიში კრიზისის დროს აკრიტიკებდა აშშ-ის დათმობაზე წასვლის კურსს. საფრანგეთი იბრ-

ძოდა იმისათვის, რათა მას ნატოს კავშირში აშშ-ის და ინგლისის გვერდით წამყვანი ადგილი ეჭიკავებინა. მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ დე გოლი მიზანაც ისახავდა, „საერთო ბაზარში" შემავალი ქვეყნები წელმძღვანელობენ. ამ კავშირში ლიდერის პოზიცია დაეკავებინა, ექვსეულის რაწმუნებით აღჭურვილი წარმომადგენელი გამხდარიყო და ასეთი გზით თავისი შერყეული პოზიცია განმტკიცებინა საერთაშორისო არენაზე. „საერთო ბაზარში" თავისი ლიდერობის უზრუნველყოფისათვის დე გოლმა განიზრახა გფრ-ის მხარდაჭერა მოეპოვებინა. კანცლერ ადენაუერთან 1958 წლიდან დაწყებული რიგი შეხვედრების შემდეგ 1963 წლის იანვარში პარიზში ხელი მოაწერა ორმხრივ ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც „პარიზ-ბონის ღერძი" ეწოდა. იგი ითვალისწინებდა მთავრობის შეთაურების ან საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების რეგულარულ შეხვედრებს წინასწარი კონსულტაციების მიზნით უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმებული პოზიციის შესამუშავებლად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას. მაგრამ „პარიზ-ბონის ღერძმა" არ გაამართლა საფრანგეთის იმედები. ეს ხელშეკრულება გფრ-ის მმართველ წრეებს აშშ-ზე ზეგავლენისათვის უნდოდათ, რათა მათთვის ახალი დათმობები გამოეგლიჯათ. გფრ-ის მთავრობა თვითონ ფიქრობდა თავისი ეკონომიკური პოტენციალის წყალობით „საერთო ბაზარში" ლიდერის პოზიციის დაკავებას. როდესაც 1963 წელს, აშშ-სა და ინგლისს შორის დადებული პაქტის საფუძველზე, წამოყენებულ იქნა „მრავალმხრივი თერმობირთვული ძალების" შექმნის გეგმა, რომელიც საფრანგეთის „თერმობირთვული დამოუკიდებლობის" გეგმის საწინააღმდეგო იყო, გფრ-მა მხარი დაუჭირა ამერიკა-ინგლისის ამ გეგმას იმ იმედით, რომ ატომის წარმოებაში მასაც მიიღებინებდნენ მონაწილეობას. საფრანგეთი წინ აღუდგა მას და აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფედერაციის საფუძველზე გაერთიანების გეგმას.

1963 წლის იანვარში დე გოლი გამოვიდა ინგლისის „საერთო ბაზარში" მიღების წინააღმდეგ, ვინაიდან შიშობდა, რომ „საერთო ბაზარში" კიდევ ერთი დიდი საბელმწიფოს მიღება საფრანგეთს ლი-

დერობას წაარღვევდა და ეარდა ამისა ინგლისი ერთგვარი ხიდი ეახდებოდა „საერთო ბაზარში“ ამერიკის გაბატონებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ პირველ ეტაპზე დე გოლი შეეცადა მხოლოდ ურთიერთობის გაუმჯობესება. 1960 წელს საფრანგეთში მიიწვიეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ ამ ვიზიტს მაშინ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაში რაიმე არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია.

საგარეო პოლიტიკის მეორე ეტაპი დაიწყო 1963 წლის დამლეგიდან ალჟირში ომის დამთავრებისა და „პარიზ-ბერლინის ღერძის“ კრიზისის შემდეგ. საქმე იმაში იყო, რომ დე გოლის საგარეო პოლიტიკამ მანამდე რიგი დამარცხებები განიცადა. ახლოვდებოდა საპრეზიდენტო არჩევნები და ამომრჩევლების წინაშე იგი ანგარიშით უნდა წამდგარიყო, დასაკვეხი კი ბევრი არაფერი ჰქონდა. მეორე ეტაპის დროს საგარეო პოლიტიკაში პრინციპულად ახალი ტენდენციები დაისახა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში.

ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია 1966 წელს დე გოლის განცხადებამ საფრანგეთის ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გამოსვლის შესახებ. მიუხედავად აშშ-ის, ინგლისის და გფრ-ის მთავრობების ყოველგვარი ცდებისა, დე გოლმა არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. 1966 — 1967 წლებში ნატოს და აშშ-ის ბაზები ლიკვიდირებულ იქნა და მათმა ჯარებმა დატოვეს საფრანგეთის ტერიტორია.

საფრანგეთმა სასტიკად გაილაშქრა აგრეთვე გფრ-ის „მრავალმხრივი თერმობირთვული ძალების“ შექმნაში მონაწილეობის გეგმის წინააღმდეგ.

ალჟირის და სხვა კოლონიების დაკარგვის შემდეგ დე გოლის მთავრობამ მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება „მესამე სამყაროს“ ქვეყნებთან. მან მხარი დაუჭირა განვითარებადი ქვეყნების დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. დე გოლი ვიზიტით იყო კამბოჯაში, ეთიოპიაში, ირანში და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყანაში, ხოლო პომპიდუ — ინდოეთში, ინდონეზიასა და პაკისტანში.

საფრანგეთმა დაგმო აგრეთვე ისრაელის აგრესია 1967 წელს არაბი ხალხის წინააღმდეგ, ემბარგო დაადო ახლო აღმოსავლეთში ფრანგული იარაღის შეტანას და მოითხოვა, რათა ისრაელს გაეთა-

ვიეტნელებისა მიტაცებული არაბული ტერიტორიები. საფრანგეთმა დავები აღრესია ინდოჩინეთში, მოითხოვა ალჟირგარეთის ჯარების გამოყვანა იქიდან და გაილაშქრა ამერიკა-ინგლისის მიერ ნატოს დაჯგუფების ჯარების ციტენაში გამოყენების ცდების წინააღმდეგ.

პირადად დე გოლმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. 1964 წელს საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა 5 წლის ვადით ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვაჭრობის ორჯერ გაფართოების და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ხოლო 1965 წელს დაიდო შეთანხმება ფერადი ტელევიზიის დარგში თანამშრომლობის შესახებ. 1966 წლის 20 ივნისიდან 1 ივლისამდე მოსკოვის მიწვევით საბჭოთა კავშირში იყო დე გოლი. მოსკოვში ორივე მხარემ ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ლაპარაკი იყო ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემის მოლაპარაკების გზით გადაჭრისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აუცილებლობის შესახებ.

1966 წლის დეკემბრის დამლევს საფრანგეთში საპასუხო ვიზიტით იყო საბჭოთა მთავრობის მეთაური ა. ნ. კოსიგინი, სადაც ორივე სახელმწიფოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას თანამშრომლობის შესახებ. მაღალ დონეზე ამ ორივე შეხვედრია შედეგად შეიქმნა მუდმივად მოქმედი შერეული კომისიები — ვაჭრობის, კოსმოსური კვლევის, ატომის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის შესახებ და ა. შ. საფრანგეთმა სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართაც აიღო მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი. 1964 წლის იანვარში საფრანგეთმა ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მიუხედავად აშშ-ის დიდი პროტესტისა, მაისში კუბას მიაყიდა 300 სატვირთო მანქანა. ევროპის თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელი იყო ვიზიტით პარიზში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი კი ვიზიტით იყო ბულგარეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

დე გოლის მთავრობის სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოებისა და თანამშრომლობის კურსმა საფრანგეთის დემოკრატიული ძალების მოწონება დაიმსახურა. ამასთანავე, დე გოლი არ შეუერთდა ხელშეკრულებას თერმობირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის

შესახებ და უარი თქვა განიარაღებაზე მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე. იგი შეუდგა საკუთარი თერმობირთვული იარაღით აღჭურვილი ჯარების შექმნას.

მეხუთე რესპუბლიკა 1969 — 1974

საშინაო პოლიტიკა 1969—1974 წწ. დე გოლის გადადგომის შემდეგ[1] ივნისში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც, ორ ტურად ჩატარდა. პირველი ტურის არჩევნებში შვიდი კანდიდატი მონაწილეობდა, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ მოაგროვა საჭირო რაოდენობის ხმები. მეორე ტურში ჩატარდა არჩევნები იმ ორი კანდიდატისა, რომლებმაც უმეტესი ხმები მიიღეს — ესენი იყვნენ ჟ. პომპიდუ და ა. პოერი. ორივე მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელი იყო, კომპარტიამ თავის ამომრჩევლებს მოუწოდა, რომ უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე. მართლაც 29 მლნ. ამომრჩეველიდან მხოლოდ 19,8 მლნ. კაცი მონაწილეობდა. საფრანგეთის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ ამომრჩეველთა ასეთმა დიდმა რაოდენობამ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. ჟ. პომპიდუმ მიიღო ხმების 57,5%, ა. პოერმა კი — 42,1%. ამრიგად, ჟ. პომპიდუ გახდა რიგით მეცხრამეტე პრეზიდენტი.

მთავრობაში დეგოლელთა პარტიის წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ ცენტრისტული პარტიის ლიდერებიც. მთავრობის მეთაური გახდა შაბან-დელმასი.

დე გოლის გადადგომამ ბურჟუაზიულ ფენებში დიდი შეშფო-

---

[1] შარლ დე გოლი (1890 — 1970) საფრანგეთის ისტორიაში შევიდა, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, იგი იყო დიდად განათლებული და ფართოდ ერუდირებული, რეალისტური აზროვნების და მოქნილი გონების ადამიანი. პრეზიდენტობიდან 79 წლის ასაკში გადადგა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დე გოლი 30 წლის განმავლობაში საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. საფრანგეთის კომპარტიამ დე გოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „იგი დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში და საერთაშორისო არენაზე, ამიტომ მის გარდაცვალებას არც ერთი ფრანგი არ შეიძლება შეხვდეს გულგრილად". პომპიდუმ კი განაცხადა, რომ „1940 წელს მან გადაარჩინა ჩვენი ღირსება, 1944 წელს კი მოგვიტანა განთავისუფლება და გამარჯვება".

თება გამოიწვია. იაინი უნდობლად ეკიდებოდნენ ახალ მთავრობას, არ სჯეროდათ, რომ იგი თავს გაართმევდა ქვეყნის გამგებლობას. შეანელებდა ქვეყნის შიგნით არსებულ წინააღმდეგობას. ამის შედეგად გაძლიერდა კაპიტალის „გაქცევა“ საზღვარგარეთ. იგი საშუალოდ თვეში 1 მლრდ. ფრანკს შეადგენდა. 1968 წლის მაისიდან 1969 წლის ივნისამდე საზღვარგარეთ 25 მლრდ. ფრანკი გაიტანეს. იზრდებოდა აგრეთვე ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე, რომელთა წარმოება ამ დროისათვის მნიშვნელოვნად დაეცა. დაეცა ფრანკის კურსიც, რომლის მთავარი მიზეზი იყო მის წინააღმდეგ აშშ-ის დოლარისა და გფრ-ის მარკის შეტევა. თუ დე გოლის დრო საფრანგეთი დოლარიდან ოქროს სტანდარტზე გადასვლას მოითხოვდა, პომპიდუმ შეცვალა საავალუტო-ფინანსური პოლიტიკა. შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდა და დათანხმდა ფრანკის ახალ დევალვაციას. იგი გატარდა 1969 წლის აგვისტოში, რამაც საფრანგეთის საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი უპირატესობა შეუქმნა და გამოიწვია მისი ზრდა.

1969 წლის 3 სექტემბერს მთავრობამ გამოაქვეყნა „ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და აღდგენის გეგმა“, რომლის მთავარი მიზანი იყო შიდა მოხმარების შემცირება და საგარეო ვაჭრობის გაზრდა. ამ ღონისძიებას მოჰყვა ფასების ზრდა, ხალხის ახალი უკმაყოფილება და მუშათა გაფიცვები. 1969 წლის 11 დეკემბერს ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომელიც ხელფასის გარანტირებულ მინიმუმს აწესებდა, ფასების ზრდის შემთხვევაში ხელფასიც ავტომატურად უნდა გაზრდილიყო.

1972 წლის აპრილში მთავრობამ ჩაატარა რეფერენდუმი „საერთო ბაზრის“ ხელშეკრულების კანონპროექტის რატიფიკაციის ან მისი უარყოფის შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებდა „საერთო ბაზარში“ ინგლისის, დანიის, და ირლანდიის შესვლას. დადებითი ხმა მისცა 10,8 მლნ-ნა, უარყოფითი — 5 მლნ-მა, თავი შეიკავა 11,8 მლნ-მა კაცმა. მაღე ამის შემდეგ კომუნისტებმა და სოციალისტებმა[1] გამართეს მოლაპარაკება, რომელიც 1972 წლის 27 ივნისს დამთავრდა მემარცხენე ძალების ერთობლივი საამთავრობო პროგრამის მიღებით. იგი კომპრომისული ხასიათისა იყო. კომპარ-

[1] სოციალისტური პარტიის პირველ მდივნად 1972 წელს აირჩიეს ფრანსუა მიტერანი.

ტია დათანხმდა 1958 წლის კონსტიტუციის დატოვებაზე, მაგრამ ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა პარლამენტის უფლებების ხარჯზე პრეზიდენტის უფლებების ზრდას, უნდა გაუქმებულიყო. პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე საფრანგეთის დარჩენას ნატოში და „საერთო ბაზარში". საყურადღებოა, რომ ორივე პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას მხარი დაუჭირეს მემარცხენე რადიკალებმა და სხვა მემარცხენე ჯგუფებმა.

მმართველი ბანაკი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს მემარცხენე ძალების გაერთიანებას. ისინიც, თავის მხრივ, ზომებს იღებდნენ. 1972 წლის ივლისში პრემიერ-მინისტრად გახდა პ. მესმერი. გოლისტური პარტიის რიგები გაიწმინდა აშკარა რეაქციონერებისაგან. თანაც ეს ხდებოდა დიდი ხმაურით — პარტიაში გოლისტური „სიწმინდის" დაცვის ლოზუნგით. შემცირდა არაპირდაპირი გადასახადები. 1973 წლის მარტში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რომელმაც მემარჯვენე კოალიციას გამარჯვება ხმების მცირე უპირატესობით მოუტანა.

1074 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 1974 წლის 2 აპრილს პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ მოულოდნელად გარდაიცვალა და მაისში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მემარცხენე ძალები კვლავ ერთიანი საამთავრობო პროგრამით გამოვიდნენ და თავიანთ კანდიდატად ფ. მიტერანი წამოაყენეს, მემარჯვენე ძალებმა კი — მთავრობის კოალიციაში შემავალი პარტიის „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ფედერაციის" ლიდერი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი.

არჩევნებმა წარმატება მოუტანა მემარჯვენე ბანაკს. მიტერანმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 49%, ვ. ჟისკარ დ'ესტენმა კი — 51%. ამრიგად, ეს უკანასკნელი ხმების მცირე უპირატესობით გახდა მეხუთე რესპუბლიკის მესამე, საერთოდ კი, საფრანგეთის მეოცე პრეზიდენტი.

მემარცხენე ძალების წარმატებებმა შეაშფოთა მემარჯვენე პარტიები. მათ რიგებში გადაადგილება მოხდა. მრავალი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი გოლისტური პარტია იძულებული გახდა შევიწროებულიყო. მან მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ხუთი ადგილი შეინარჩუნა. 1974 წლის 28 მაისს მთავრობა შექმნა ჟ. შირაკმა.

ფრანგი ამომრჩევლების განწყობილებაში მარცხნივ მკვეთრად შემობრუნებას თავისი შედეგები მოჰყვა. ახალი პრეზიდენტი და

მისი მთავრობა იძულებული გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობის მიერ შეტანილი კონსტიტუციური პროექტები ხელფასის გარანტირებული მინიმუმის გაზრდის შესახებ, გაზარდა ზოგიერთი კატეგორიის პენსიები, დადგინდა უმუშევართათვის დახმარების მიცემის ახალი სისტემა. შემოიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ 18 წლის ასაკის მოქალაქეებს (ადრე 21 წლის მოქალაქეებს ჰქონდათ). ამის შედეგად ამომრჩეველთა რიგებს 2,5 მლნ. ახალგაზრდა შეემატა.

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი. საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდა საფრანგეთში 1974 წლამდე გრძელდებოდა. 1974 წელს დაწყებული ეკონომიკური კრიზისის გამო იგი შენელდა, 1975 წელს კი მნიშვნელოვნად შემცირდა.

წარმოების სფეროში არსებულ კრიზისს ზედ ერთოდა ენერგეტიკული და ნედლეულის კრიზისი, რომელიც ჯერ კიდევ 1973 წელს დაიწყო, როდესაც მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები ნავთობზე, ნავთობპროდუქტებზე, ტყავზე, ხელოვნურ კაუჩუკზე, შალეულზე, სურსათსა და სხვა საქონელზე. ფასების ზრდამ გამოიწვია ცვლილებები წარმოების ხარჯებში, დაარღვია უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურა მრეწველობაში, რასაც წარმოების დეზორგანიზაცია მოჰყვა.

საფრანგეთის ეკონომიკის ყველაზე სუსტი მხარეებია სავალუტო და ფინანსური ურთიერთობა. ინფლაცია, ფასების ზრდა და სავალუტო კრიზისი გადაიქცა საფრანგეთის ეკონომიკის ქრონიკულ მოვლენად. ფრიად საყურადღებოა ის ამბავი, რომ თუ XX საუკუნის 30-იანი წლების კრიზისის დროს ადგილი ჰქონდა სასაქონლო ფასების მკვეთრ დაცემას, 50-იანი და 60-იანი წლების კრიზისებმა მხოლოდ უმნიშვნელოდ შეაჩერეს ფასების ზრდა, 1974 — 1975 წლების კრიზისმა კი, პირიქით, დააჩქარა ფასების ზრდა. ფასებისა და ინფლაციის ტემპებმა 13 — 15 პროცენტი შეადგინა[1]. 1975 წლის ოქტომბრიდან 1976 წლის ოქტომბრამდე ინფლაციის წლიურმა დონემ 12,9%-მდე მიაღწია. გაიზარდა უმუშევრობაც. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენებიც.

---

[1] 1926—1960 წლებში საფრანგეთში ფრანკი 5-ჯერ გაუფასურდა და 6-ჯერ განხორციელდა მისი დევალვაცია.

ბაგალითად, 1976 წელს გაკოტრდა 17224 წვრილი და პაშუალო საწარმო.

976 წლის 7 მარტს ჩატარდა ადგილობრივი მმართველობის (კანტონალური) არჩევნები. რომლითაც ქვეყნის დეპარტამენტებში გენერალური საბჭოების (ე. ი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების) ნახევარი შემადგენლობა განახლდა. არჩევნებში სერიოზული წარმატებას მიაღწიეს მემარცხენე ძალებმა. რომელნიც ერთიანი საერთავრობო პროგრამით გამოვიდნენ. სოციალისტურმა პარტიამ მიიღო გენერალურ მრჩეველთა 520 ადგილი, კომუნისტებმა — 249 ადგილი, რადიკალებმა — 84. ამ არჩევნების შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ფრანგი ამომრჩევლების შემობრუნება მარცხნივ.

ეთავრობის კოალიციაში შემავალმა პარტიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, განსაკუთრებით რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირმა და ე. წ. რეფორმატორებმა.

1976 წლის ზაფხულში საფრანგეთს თავს დაატყდა საშინელი სტიქიური უბედურება, რომელმაც უფრო მეტად გააუარესა საფრანგეთის მდგომარეობა. ზაფხულში იყო საშინელი გვალვა, რომლის გამოც მთლიანად გადაიწვა ნათესები — ბოსტნეული, მარცვლეული, კარტოფილი და განადგურდა ხეხილი. საკვების უქონლობის გამო პირუტყვის მასობრივი დაკვლა დაიწყეს. თუ საფრანგეთი კარტოფილისა და სიმინდიის ექსპორტიორ ქვეყნად ითვლებოდა, ახლა თვითონ ეოუხდა ამ საქონლის შემოტანა. ეს საშინელი გვალვა „ეროვნულ უბედურებად" გამოცხადდა. ხანძრის შედეგად ათასობით ჰექტარი ტყე გადაიწვა. ამ სტიქიური უბედურებისაგან ზარალი 16 მლრდ. ფრანკით არის შეფასებული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ვლეხობა. ათასობით მეურნეობა გაკოტრდა. გვალვამ დააზარალა მრეწველობაც. წყლის უკმარისობის გამო მკვეთრად შემცირდა ელექტროენერგიის წარმოება. მუშები მასობრივად დაითხოვეს კვების მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობის მანქანებისა და სასუქების წარმოების ქარხნებიდან.

ინფლაცია ამ სტიქიური უბედურების გამო კიდევ უფრო გაიზარდა. გაძვირდა პური, რძე, ყავა, კონსერვები. სულ 60 დასახელების სურსათზე აიწია ფასებმა.

სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ახალი ღონისძიებების მიღებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელ წრეებში სერიოზულმა წი-

ნაალმდეგობებმა იჩინა თავი კოალიციაში. უთანხმოებანი მთავრობის კოალიციაში შემავალ ძირითად პარტიებს შორის — ერთი ძლიერ ოესპუბლიკა. დაცვის დემოკრატთა კავშირსა და, მეორე მხრივ, დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ფედერაციასა და სოციალ-დემოკრატთა ცენტრა შორის ამან მოჰყვა შირაკი. მთავრობის გადადგომა.

1976 წლის აგვისტოში ახალი მთავრობა შეთაური გახდა რაიმონ ბარი. რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. ახალ მთავრობაში რამდენიმე შემცირდა რესპუბლიკა. დაცვის, დემოკრატთა კავშირისა და ცენტრის წარმომადგენლობა და. პირიქით, გაიზარდა პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის მომხრეთა დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა და უპარტიო მოღვაწეთა რიცხვი, რომლებიც ამიერიდან გამოდიოდნენ ახალი პოლიტიკური ეთიკით — „პრეზიდენტი. უმრავლესობა".

ახალმა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკური კიბეზელებიდან გამოსავლის მოსანახად შეიმუშავა სამთავრობო პროგრამა. რომელიც ჯერ კიდევ შირაკის მთავრობის დროს მუშავდებოდა. ამ გეგმას ახალი პრემიერ-მინისტრის სახელის მიხედვით „ბარის გეგმა" ეწოდა.

„ბარის გეგმით" გლეხთა დასახმარებლად ბიუჯეტიდან მთავრობამ გამოყო 5,5 მლრდ. ფრანკი. გლეხები მოითხოვდნენ, რომ ეს დახმარება იმათ მიეცეთ, ვინც მართლა საჭიროებდა მას, და არა მსხვილ კაპიტალისტ ფერმერებს.

„ბარის გეგმა" ითვალისწინებდა აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიკის „გამოჯანსაღებასაც". გათვალისწინებული იყო პირდაპირი გადასახადების გაზრდა ხელფასის მიხედვით. ეგი არ შეეხებოდა დაბალხელფასიანებს. 4%-ით უნდა გაზრდილიყო გადასახადები სააქციონერო საზოგადოების მოგებიდან, 50%-ით — ფასები მსუბუქ მანქანებზე, გაიზრდებოდა ბენზინის ფასიც. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ფასების გაყინვას 1976 წლის ბოლომდე. 1977 წლისათვის კი ფასების ზრდა არ უნდა ყოფილიყო 6,5%-ზე მეტი.

1976 წლის ოქტომბერში საფრანგეთის ბირჟა ისეთმა პანიკამ მოიცვა, როგორიც მას 25 წლია განმავლობაში არ ახსოვს. მკვეთრად დაეცა წამყვანი სამრეწველო და საბანკო კომპანიების აქციები, რომელთა ბევრი ეფლობელი ახდენდა თავისი ფასიანი პაკეტების ლიკვიდაციას და. მიუხედავად მთავრობის ყოველგვარი ზომებისა,

სხვადასხვა გზით თავისი ფული გაჰქონდა საზღვარგარეთის (უპირველეს ყოვლისა, შვეიცარიის) ბანკებში. ამის გამო საფრანგეთის ფრანკის კურსი მკვეთრად დაეცა და მიაღწია დაცემის რეკორდულ დონეს. მაგალითად 2046 ფრანკი უდრიდა დასავლეთ გერმანიის 1 მარკას. ეს საბირჟო კრახი პარლამენტში მთავრობის მიერ შეტანილი „ბარის გეგმის“ განხილვასთან იყო დაკავშირებული.

„ბარის გეგმას“ აკრიტიკებდნენ მემარჯვენეებიც და მემარცხენეებიც. მემარჯვენეებს იგი მიაჩნდათ მეტისმეტად მკაცრ ღონისძიებად, მემარცხენეები კი მას არასაკმარისად თვლიდნენ.

მემარცხენე ოპოზიციამ ეროვნულ კრებაში შეიტანა პროექტი კაპიტალზე პროგრესული გადასახადის შემოღების შესახებ, მაგრამ მემარჯვენე პარტიების უმრავლესობამ კენჭის ყრის დროს იგი ჩაგდო. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ არავითარ გადასახადს კაპიტალზე არ შემოიღებენ, რათა საბირჟო სპეკულანტები და მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც ადრე პანიკამ მოიცვა, დაემშვიდებინათ.

მალე ამის შემდეგ მთავრობამ გაზარდა ფასები მთელ რიგ საიმპორტო საქონელზე, კერძოდ ზეთზე, ყავაზე, ძეხვსა და საკონდიტრო ნაწარმზე. 1976 წლის 2 ნოემბრიდან მკვეთრად აიწია ფასებმა ავტომანქანების საწვავზე.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობისა, სამხედრო ხარჯები საფრანგეთში ყოველწლიურად იზრდება. 1949 — 1972 წლებში საფრანგეთის პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა 101,4 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. 1974 წელს სამხედრო ხარჯები შეადგენდა ბიუჯეტის 17,4%-ს. 1976 წელს ბიუჯეტით სამხედრო ხარჯების თანხა განსაზღვრული იყო 50 მლრდ. ფრანკის ოდენობით, რაც 14,2%-ით მეტია, ვიდრე 1975 წელს. ასეთი გაჭირვების ჟამს, 1976 წლის ნოემბერში პარლამენტმა დაამტკიცა სამხედრო ბიუჯეტი 1977 წლისათვის, რომლითაც სამხედრო ხარჯებისათვის გამოყოფილია 58,4 მლრდ. ფრანკი, ე. ი. სახელმწიფო ბიუჯეტის 17,55%. ამრიგად, 1976 წელთან შედარებით 1977 წლისათვის სამხედრო ხარჯები გაიზარდა 16,8%-ით.

მეხუთე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგს

1968 წლის მაის-ივნისის სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა სახელმწიფო-მონოპოლისტური ზეადაფენები მ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ დასავლეთთან სოლიდარობისა და მათი მხარდაჭერის გარეშე არ შეუძლიათ ხელისუფლების შენარჩუნება. ამ კურსმა აშკარად გამოკვეთილი ხასიათი მიიღო პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს დროს, რომელმაც დასავლეთის სახელმწიფოებთან არაებული წინააღმდეგობების თანდათანობითი დაძლევის კურსი აიღო.

1969 წლის 1 — 2 დეკემბერს ჰაეაგაში მოიწვიეა „საერთო ბაზრის" ქვეყნების ხელმძღვანელთა თათბირი. აქ ჟ. პომპიდუმ მოხსნა დე გოლის მიერ „საერთო ბაზარში" ინგლისის მიღებაზე დადებული „ვეტო" და დათანხმდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების გაფართოებაზე სხვა სახელმწიფოების მიღებით. 1972 წლის იანვარში ბრიუსელში ხელი მოაწერეს ამ ქვეყნების „საერთო ბაზარში" მიღების ხელშეკრულებას. ინგლისის შესვლამ „საერთო ბაზარში" გაუმჯობესა ამ ორ ქვეყანას შორის მანამდე არსებული „ცივი ურთიერთობა". ამას მოჰყვა ინგლისის დედოფლის ელისაბედ II ვიზიტი საფრანგეთში და აგრეთვე ამ ორ ქვეყანას შორის რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის შეთანხმების დადება. საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის გაფართოება ეკონომიკურ სფეროში მიჩნეულია გფრ-ის ჰეგემონისტური მისწრაფებების საპირისპირო ღონისძიებადაც. მაგრამ საფრანგეთი ურთიერთობას გფრ-თანაც ავითარებდა. 1963 წლის შეთანხმების შესაბამისად ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელები კვლავ აწყობდნენ რეგულარულ შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე და იხილავდნენ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

1976 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფინანსური სიძნელეების გამო დასავლეთ გერმანიიდან გაიყვანს თავის 10 ათას ჯარისკაცს და ოფიცერს. დაიდო ორმხრივი შეთანხმება, რომლის შესაბამისად მან აქ დატოვებული ჯარების მთელი ხარჯები თვითონ იკისრა. მაგრამ ეს ჯარები უშუალოდ მას და არა ნატოს ხელმძღვანელობას ემორჩილებიან. თუ მაშინ გფრ-ის ტერიტორიაზე 70 ათასი ფრანგი ჯარისკაცი იყო, ამ ახალი

შემცირების (ეს უკვე მეორეა) შედეგად მათი რიცხვი 50 ათასამდე დაიყვანა. გფრ-ის მთავრობა, საბჭოთა აგრესიის შიშით, უკმაყოფილებას გამოთქვამდა მის ტერიტორიაზე განლაგებული მოკავშირეთა ჯარების რაოდენობის შემცირების გამო.

საქმე იმაშია, რომ გფრ-ის მთავრობამ ნატოს ქვეყნებთან შეთანხმებით თავის თავზე აიღო აქ მყოფი საზღვარგარეთის ჯარების ყაზარმების და სხვა ნაგებობების მოდერნიზაციისა და შეკეთების ხარჯები. საფრანგეთს კი ამაზე უარი ეთქვა. საფრანგეთის მოქმედება ამის საპასუხო აქციაა.

ჟ. პომპიდუმ აშშ-თან დამყარებულ ურთიერთობას უწოდა „ახალი ურთიერთობის ერა". რ. ნიქსონის ვიზიტის საპასუხოდ (1969 წლის თებერვალში) ზუსტად ერთი წლის შემდეგ აშშ-ში ვიზიტით ჩავიდა ჟ. პომპიდუ, რასაც 1971 წლის დეკემბერში მოჰყვა მორიგი შეხვედრა ორივე ქვეყნის პრეზიდენტებს შორის აზორის კუნძულებზე, რომლის დროსაც დიდი ყურადღება დაეთმო სავალუტო-ფინანსურ საკითხებს. ამ შეხვედრებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობა მათ შორის. ამასთან ერთად საფრანგეთი კვლავ ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებელ კურსს. მან უარი თქვა ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში უკან დაბრუნებაზე, მაგრამ დათანხმდა აშშ-თან საზოგაკშირეო ურთიერთობის შენარჩუნებაზე. საფრანგეთმა დაგმო ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომი და მოითხოვა ამერიკის აგრესიის შეწყვეტა, დაგმო ისრაელის აგრესია და მოითხოვა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის 22 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად. საფრანგეთის მთავრობამ ძალაში დატოვა დე გოლის დროს შემოღებული ენბარგო იარაღით ვაჭრობაზე ისრაელთან. საფრანგეთის ასეთი პოზიციის წყალობით გაუმჯობესდა ურთიერთობა ეგვიპტესთან, რომელიც შეწყვეტილი იყო „სუეცის ავანტიურის" შემდეგ. ამის შედეგი ის იყო, რომ ეგვიპტემ გადაუხადა საფრანგეთს ნაციონალიზებული ქონების საფასური. ამის ნაცვლად კი საფრანგეთი რეგულარულად ყიდულობდა ეგვიპტისაგან ბამბას.

დაძაბული ურთიერთობა იყო საფრანგეთსა და ალჟირს შორის იმის გამო, რომ ალჟირის მთავრობამ მოითხოვა 1965 წელს მათ შორის დადებული შეთანხმების გადასინჯვა ნავთობის მოპოვების საკითხზე. 1971 წელს დაიდო ახალი შეთანხმება, რომლის შედეგად საფრანგეთის მთავრობა წაკიდა დათმობაზე და ცნო ალჟირის სუვე-

ოფიციალური უფლება საკუთარი ნავთობის საბადოების მიბართ, ამ უკანასკნელმა კი აანალიზაურა ფრანგული ნაციონალიზებული საწარმოების საფასური. ნორმალურ ურთიერთობას ავითარებდა საფრანგეთი მაროკოსთან, ტუნისთან და სხვა ყოფილ კოლონიებთან, რომლის მიზანი იყო თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოზიციების შენარჩუნება ამ ქვეყნებში. მართალია, საფრანგეთი ამ მიმართულებით რიგ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ მან თავისი თანამიმდევრული კურსით აქაც შეძლო ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარება.

ნორმალური ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთმა ჩსრ-თან. 1970 წლის ზაფხულიდან დაიწყო საფრანგეთის მინისტრების ვიზიტი პეკინში. 1972 წელს პეკინში ჩავიდა საგარეო საქმეთა მინისტრი მორის შუმანი, ხოლო 1973 წლის სექტემბერში — ჟ. პომპიდუ.

დე გოლის ვიზიტის შემდეგ მოსკოვში (1966 წელს) საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაში იწყება გარდატეხის მომენტი და ურთიერთობა მათ შორის სულ უფრო ვითარდებოდა. ჟ. პომპიდუს პრეზიდენტობის დროსაც საფრანგეთის მთავრობა მომხრე რჩება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა. 1970 წლის ოქტომბერში ჟ. პომპიდუ ჩავიდა საბჭოთა კავშირში. ორივე მხარემ ხელი მოაწერა პოლიტიკური კონსულტაციების ოქმს, რომლის საფუძველზე მოსკოვსა და პარიზს შორის სხვადასხვა დონეზე დამყარდა რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა. იგი ითვალისწინებდა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ერთობლივ მოქმედებას საერთაშორისო არენაზე დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის, კონფლიქტების რაიონში მშვიდობის აღდგენისათვის ხელისშეწყობას, სადავო საკითხების მშვიდობიანი საშუალებით მოგვარებას. საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა არსებითი როლი შეასრულეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მომზადებასა და ჩატარებაში.

ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში ორივე სახელმწიფოს თვალსაზრისი თითქმის ერთნაირი იყო. ორივე მხარე მოითხოვდა ამ საკითხების მოგვარებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო ინდოჩინეთის საკითხის გადაჭრას ჟენევის 1954 წლის კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო დასავლეთის განვითარებულ

ქვეყნებს შორის, რომელმაც საბჭოთა კავშირთან ხელი მოაწერა პირველ ხანგრძლივ, ხუთწლიანი ვადის სავაჭრო ხელშეკრულებას (1965 — 1969 წწ.), რომლის მოქმედების პერიოდში ვაჭრობის მოცულობა ამ ორ ქვეყანას შორის ორ-ნახევარჯერ გაიზარდა.

ჟ. პომპიდუს ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირში (1970 წლის ოქტომბერში) ორივე მხარემ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნული იყო ორივე სახელმწიფოს შორის 1970 — 1974 წლებში საქონლის ბრუნვის გაორკეცების შესახებ. ჟ. პომპიდუმ მოსკოვში ყოფნის დროს საფრანგეთში მიიწვია ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც პარაზიში 1971 წლის ოქტომბერში ჩავიდა.

ლ. ი. ბრეჟნევის საპასუხო ვიზიტის დროს პარიზში ხელმოწერილ იქნა „სსრკ-საფრანგეთის დეკლარაცია" და „სსრკ და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის პრინციპები". ეს ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ითვალისწინებდა ევროპასა და მთელ მსოფლიოში ერთობლივ მოქმედებას უშიშროების განმტკიცებისათვის, ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის განვითარებას და რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების ჩატარებას უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. 1974 წლის მარტში ბიჭვინთაში კვლავ მოხდა ლ. ი. ბრეჟნევისა და პომპიდუს შეხვედრა, რომლის დროსაც აღინიშნა ორივე სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების მისწრაფებები.

1974 წლის დეკემბერში ლ. ი. ბრეჟნევი კვლავ იმყოფებოდა ვიზიტით საფრანგეთში და რამბუიეში მოლაპარაკება გამართა ახალ პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენთან, სადაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1975 — 1979 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქონლის ურთიერთგაცვლის გაზრდას ორჯერ და სამჯერაც კი წინა ხუთწლედთან შედარებით. საყურადღებოა, რომ 1970 — 1974 წლებში საქონელბრუნვამ ორივე ქვეყანას შორის შეადგინა 6 მლრდ. ფრანკი (900 მლნ. მანეთი), ე. ი. წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 30%-ით.

რამბუიეში ხელი მოაწერეს ახალ საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა მიმდინარე ხუთწლედში ეკონომიკური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პროექტების დაფინანსებას. საფრანგეთმა საბჭოთა კავშირს მისცა ხანგრძლივვადიანი საბანკო კრე-

დიტები, რაც მნიშვნელოვანი სტიმული იყო ორმხრივი ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის.

ჯერ კიდევ 1971 წელს სსრ კავშირმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ათი წლის პერიოდში ეკონომიკური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ეს იყო ასეთი სახის პირველი შეთანხმება, რომლის საფუძველზე შემუშავდა და 1973 წელს ხელმოწერილ იქნა ათწლიანი პროგრამა ეკონომიკისა და მრეწველობის დარგებში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. მასში ჩამოთვლილია ეკონომიკური თანამშრომლობის კონკრეტული ობიექტები. ამ ორივე სახელმწიფოს საქმიანი კავშირის მთავარი არსი გახდა მსხვილმასშტაბიანი ობიექტების განხორციელება. მაგალითად, დაიდო კონტრაქტები საბჭოთა კავშირში საფრანგეთის მოწყობილობების შემოტანაზე „კამაზის“ ქარხნისათვის, ორენბურგის გაზის კომპლექსისათვის. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ ახორციელებდა ურანის ნედლეულის გამამდიდრებელ სამუშაოებს საფრანგეთის ატომური სადგურისათვის.

1974 წლის დეკემბერში პარიზში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა და საფრანგეთის ფირმებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს საბჭოთა კავშირში მაგნიტური გამშვებების ქარხნისათვის კომპლექსური მოწყობილობების მიწოდებაზე. საფრანგეთის ტექნიკა მაგნიტური გამშვებების წარმოებაში ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში ასეთი ტექნიკის საფუძველზე უნდა აეგოთ ქარხანა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სამრეწველო თანამშრომლობის ობიექტებიდან მწყობრში ჩადგა ივევსკის საავტომობილო ქარხანა, ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, საყოფაცხოვრებო მაცივრების ქარხანა მინსკში, ოთხი რძის ფხვნილის ქარხანა და სხვა მრავალი.

„რენოს“ სახელმწიფო კომპანიასთან ხორციელდებოდა თანამშრომლობა კამის საავტომობილო კომპლექსის მშენებლობისათვის. საფრანგეთის ფირმა „პეშინე“ თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირ-სამრეწველო კომპლექსის მშენებლობაში, რომელსაც უნდა ეწარმოებინა წელიწადში 1 მლნ. ტონა გლინოზემი და 500 ათასი ტონა ალუმინი.

მრავალი მსხვილმასშტაბიანი ობიექტის მშენებლობაზე ორმხრივი თანამშრომლობა ხორციელდებოდა ე. წ. კომპენსაციების

საფუძველზე, რომლითაც ბუიდველი ამოეწვეული მოწყობილობების იმპორტიორებს ვალს ვადაუხდიდა მომავალი საწარმოების მზა პროდუქციის ნაწარმით. ამ საფუძველზე საფრანგეთი აწვდიდა მოწყობილობებს საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობას, უსტ-ილიმსკის ცელულოზ-ქაღალდის კომბლექსს, ამონიაკის წარმოების ოთხ ქარხანას, სტიროლისა და ნახევარსატიროლის წარმოების ქარხნებს და ა. შ.

საფრანგეთის ფირმები დიდ ინტერესს იჩენდნენ სარ კავშირის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ძიებაში მონაწილეობისათვის, კერძოდ, სპილენძის, ნიკელის, ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების მიმართ.

1972 წელს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით 1976 წლიდან საფრანგეთი საბჭოთა კავშირიდან იღებდა ბუნებრივ გაზს, რომლის ყოველწლიურმა მოცულობამ მისი მთლიანად ათვისების შემდეგ შეადგინა 2.5 მლრდ. კუბომეტრი.

ენერგეტიკული კრიზისის გამწვავებასთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობამ სთხოვა საბჭოთა მთავრობას ბუნებრივი გაზის მიწოდების გაზრდა. 1974 წლის დეკემბერში რამბუიეში ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც 1980 წლიდან გაზის ყოველწლიური ექსპორტი 4 მლრდ. კუბომეტრამდე გაიზარდა.

აქ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ საფუძველზე ხორციელდებოდა. ივი ასეული მილიონი მანეთის ღირებულებისა იყო.

ფართო თანამშრომლობა დამყარდა ორივე ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში. აქ ყველაზე მეტი შედეგები მიღწეულია ისეთ დარგებში, როგორიცაა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება, ფერადი ტელევიზია, მედიცინა და ჯანმრთელობის დაცვა.

მაგალითად, ფრანგული ლაზერის სხივების დახმარებით, რომლის მოწყობილობა საბჭოთა მთვარემავალზე დადგეს, გაიზომა მანძილი მთვარესა და დედამიწას შორის 40 სმ სიზუსტით. საბჭოთა რაკეტებმა ორბიტაზე გაიყვანეს საფრანგეთის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერები წარმატებით

თანამშრომლობდნენ თერმობირთვული, მეტალურგიის, ლაზერის ტექნიკის და სხვათა დამუშავებაში. ერთად მუშავდებოდა ისეთი მეცნიერული პრობლემები, როგორიცაა ოკეანის რესურსების გამოყენება, კარემის დაცვა და ა. შ.

ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში მრავალმხრივი კავშირის რეგულირებისათვის შექმნა და წარმატებით მოღვაწეობდა სამთავრობათაშორისო მექანიზმი — საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორი შერეული კომისია („დიდი" და „მცირე").

საბჭოთა კავშირს დასავლეთის არც ერთ ქვეყანასთან ისეთი ფართო კულტურული ურთიერთობა არა ჰქონდა, როგორც საფრანგეთთან. ხორციელდებოდა კონტრაქტები აგრეთვე სამხედრო ხაზით, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების ვიზიტების გაცვლა.

1975 წლის 20 მარტს მოსკოვში ვიზიტით იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟაკ-შირაკი, ხოლო 14 ოქტომბერს ჩამოვიდა პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ'ესტენი, რომლის დროსაც ორივე მხარემ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს და შეთანხმებებს მოაწერეს ხელი: დეკლარაციას საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, შეთანხმებებს სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ, ტურიზმის, ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ და ა. შ.

ამ ხელშეკრულებების შედეგები ის იყო, რომ ეკონომიკური ურთიერთობა ხორციელდებოდა ხანგრძლივვადიან საფუძველზე, რეალიზება ხდებოდა ერთობლივი ნახვილმასშტაბიანი ეკონომიკური და სამრეწველო პროექტებისა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთს შორის ვაჭრობის სტრუქტურა იყო შემდეგნაირი: საბჭოთა კავშირს საფრანგეთში გაქონდა ნავთობი, ქვანახშირი, მარგანეცი, ანთრაციტი, ფერადი ლითონები, აზბესტი, ხე-ტყე, ბამბა, ცელულოზა, ბამბეულის ქსოვილები, ფოტო და კინოაპარატები, ავტომანქანები, ტრაქტორები, სოფლის მეურნეობის მანქანები, თევზის კონსერვები და ა. შ.

საფრანგეთს შემოაქვს ძირითადად სხვადასხვა მანქანები და მო-

წყობილობები, მაღალხარისხოვანი შავი ლითონები, მილები, ქიმიური საქონელი, ფართო მოხმარების საგნები.

1975 წელს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა ახალი სამხედრო სტრატეგია გამოაცხადა, კერძოდ, გენერალი მოითხოვდა საფრანგეთის არმიის ბუნდესვერთან და ნატოს სხვა ძალებთან შეერთებას იმ მიზნით, რათა „პირველ ხაზზე იბრძოლონ“ მოწინააღმდეგესთან, ე. ი. სოციალისტური ქვეყნების აგრესიის წინააღმდეგ.

1975 წლის აგვისტოს ჰელსინკის თათბირის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა და დასავლეთის სხვა მოღვაწეებმა წამოაყენეს „ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის“ შექმნის გეგმა, რომელიც დაკავშირებული იქნება ნატოსთან. ამ გეგმას საფრანგეთის პრეზიდენტი „მცირე ევროპის“ პრობლემების გადაჭრის სახელწოდებით სახავს. ამ და სხვა მრავალ საკითხს შეეხნენ ჟისკარ დ'ესტენი და გფრ-ის კანცლერი ჰ. შმიდტი თავიანთ შეხვედრაზე 1976 წლის თებერვალში ნიცის მახლობლად.

საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო თათბირებში განიარაღების, შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების საკითხებზე. საფრანგეთის პრეზიდენტმა ვაშინგტონში ყოფნის დროს (1976 წლის ზაფხულში) მოითხოვა, რათა დასავლეთის ქვეყნები ჩარეულიყვნენ სოციალისტური ქვეყნების საქმეებში ჰელსინკის თათბირის გადაწყვეტილების შესრულების „შესამოწმებლად“. საფრანგეთის პრეზიდენტი თვლიდა, რომ ევროპის ქვეყნებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები ამ ხალხების სოციალური მოძრაობის შედეგი კი არაა, ისევე როგორც დასავლეთში მიმდინარე მუშათა საგაფიცვო მოძრაობა, არამედ „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის“, ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგია, რომელიც „აღმოსავლეთიდან მომდინარეობს“. მისი აზრით, ასეთი მოვლენები ჰელსინკში მიღწეულ შეთანხმებას ზიანს აყენებს და მისი საწინააღმდეგოა.

„ატლანტური სოლიდარობის“ კურსი განსაკუთრებით გამოიცვეთა შირაკის მთავრობის გადაყენების შემდეგ. ამ მთავრობის შეცვლის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ კოალიციის ძირითად პარტიებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებას ვ. ჟისკარ დ'ესტენის საგარეო პოლიტიკის გამო. პარიზის პრესის ცნობით დეგოლისტური პარტიის რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირი, რომელიც მთავრობის

კოალიციაში შედის, 1976 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე აკრიტიკებდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ცალკეულ ტენდენციებს და მიიჩნევდა, რომ ეს ტენდენციები დე გოლის ხაზიდან გადახვევას ნიშნავს.

საფრანგეთი 70-80-იან წლებში

საფრანგეთი აღნიშნულ პერიოდშიც რჩებოდა კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთ მსხვილ და განვითარებულ ქვეყნად და ასრულებდა წამყვან როლს საერთაშორისო არენაზე. ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების მიზნით, 1975 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა მოხმარების გაზრდის გზით ეკონომიკური ცხოვრების აღორძინების პროგრამა. 1976 — 1980 წლებისათვის შემუშავდა მეშვიდე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დასაქმების გაზრდას, ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციასა და საფრანგეთის ეკონომიკის შემდგომ გაზრდას. მართალია, საფრანგეთის ეკონომიკა თავისი განვითარების ტემპებით 70-80-იანი წლების მიჯნაზე ჩამორჩებოდა აშშ-ს და იაპონიას, მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში იგი სტაბილურად იზრდებოდა და საფრანგეთი ინარჩუნებდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილს.

80-იან წლებში მთავრობა ანხორციელებდა „ნეოკონსერვატორიზმის" პრინციპებს (გადასახადების შემცირება კომპანიებისა და მოსახლეობის შემოსავალზე, კონტროლის გაუქმება ფასებზე, კერძო სექტორისათვის ნაციონალიზებული საწარმოებისა და ბანკების გადაცემა, ე. ი. დენაციონალიზაცია).

1988 წლისათვის საფრანგეთს მეოთხე ადგილი ეკავა მსოფლიო ექსპორტიორებს შორის. მასზე მოდიოდა მსოფლიო ექსპორტის თითქმის 6%. იმპორტის ხარჯვ კი საფრანგეთს მეხუთე ადგილი უკავია და მასზე მოდის ასევე მსოფლიო იმპორტის თითქმის 6%.

საფრანგეთში, როგორც ადრე, ახლაც წვრილი და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში. მრეწველობაში დაახლოებით 700 ათასი საწარმოა, რომლის დიდი ნაწილი (87%) წვრილი საწარმოა, სადაც თითოეულ მათგანში 10 მუშა მუშაობს. ვაჭრობაში არსებობს 570 ათასი წვრილი მაღაზია, მომსახურების სფეროში 430 ათასი წვრილი საწარმო (ატელიები,

ოესტორნები და ა. შ.). მაგრამ ისინი არ ასრულებენ მთავარ როლს. სამრეწველო წარმოების ორი მესამედი მოდის 100 მსხვილ ფირმაზე. საფრანგეთის მონოპოლიები აყვავების გზაზე არიან, მათი მოგებები ალმავალი ხაზით მიდის. აშშ-ს, გფრ-ისა, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლისტური კაპიტალის ურთიერთშერწყმის შედეგად, საფრანგეთის ზოგიერთი ეროვნული მონოპოლია გადაიქცა ინტერნაციონალური ხასიათის საერთაშორისო მონოპოლიად, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-სა და გფრ-ში ფილიალები აქვს. ფართოდ არის ცნობილი საფრანგეთის მსოფლიო კლასის ტექნიკური მიღწევები — უმაღლესი სიჩქარის რკინიგზის მატარებლების განვითარებაში, ბირთვულ ენერგეტიკაში, საავიაციო-კოსმოსურ მრეწველობაში, კავშირგაბმულობის მრეწველობაში, კომპიუტერების საპროგრამო უზრუნველყოფაში, ლაზერის ტექნიკაში, ელექტრო-გამოთვლით მანქანებში, რადარულ დანადგარებში, ელექტრონულ მოწყობილობებში ავიაციისა და წყალქვეშა ატომური ნავებისათვის, რენტგენული აპარატების წარმოებაში, ქირურგიულ ბლოკებსა და სხვა სამედიცინო აპარატურაში, ფერად ტელევიზორებში, მაცივრებში, სარეცხ მანქანებსა და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, სამხედრო ტექნიკაში — დიდ სიშორეზე თვალთვალისათვის რადარული დანადგარებიდან და ბირთვული სტრატეგიული რაკეტებიდან დაწყებული და ტანკების საწინააღმდეგო რაკეტებითა და ნაღმტყორცნით დამთავრებული. სამხედრო პროდუქციის 70% ექსპორტზე გადის.

საფრანგეთს აქვს ულტრათანამედროვე აეროპორტები, საერთაშორისო ავიახაზებზე კი დაფრინავს ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი „კონკორდი" — საფრანგეთის ინჟინერ-ტექნიკური აზროვნების სიამაყე. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადის თანამედროვე ავტოსტრადები. სახელმწიფო-მონოპოლიური კაპიტალიზმი ულმობლად ამსხვრევს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სტრუქტურას და ახალებს მას თავის მოთხოვნებთან. მიუხედავად საწარმოო ძალების განვითარებისა და ქვეყნის მატერიალური რესურსების მაღალი დონისა, მრავალი მშრომელი ჯერ კიდევ ვერ ცხოვრობს კარგად.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საფრანგეთის კაპიტალიზმმა აშკარად დააყოვნა მეურნეობის მოდერნიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნის საქმეში, რის გამოც მისი პოზიციები შრომის სა-

ერთაშორისო დანაწილებაში, ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად ეცა-
მა. მაგალითად, საფრანგეთის ხვედრითი წონა მსოფლიო წარმოე-
ბაში 1979 წელს 5,5% შეადგენდა, 1985 წლისათვის კი მხოლოდ
4,9%. 80-იანი წლების დამდეგს გამომჟღავნდა საფრანგეთის ჩამორ-
ჩენა დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისაგან მეცნიე-
რულ-კვლევით დარგში გაწეული ხარჯებით. საფრანგეთი ყოველ-
წლიურად სამჯერ ნაკლები პატენტის რეალიზაციას ახდენს, ვიდრე
გერმანია, არასაკმარისი ყურადღება ეთმობა საბუნებო ძალის კვალიფი-
კაციის ამაღლებას და გადამზადებას, რაც იმის საშიშროებას ქმნის
(თუ თავის დროზე არ აღიკვეთა ნეგატიური სოციალურ-ეკონომი-
კური ტენდენციები), რომ პერსპექტივაში საფრანგეთმა შეიძლება
დაკარგოს ის დონე, რომელიც მას უკავია დასავლეთის წამყვანი
ქვეყნების კლუბში. მაგრამ, საფრანგეთი იყო და არის განვითარე-
ბული ინდუსტრიალურ-აგრარული ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე
ეროვნული შემოსავლის მეტად მაღალი დონით.

თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება რთული,
მრავალსახოვანი და წინააღმდეგობრივია. აქ შეხვდებით როგორც
რევოლუციურ მასებს, ასევე უკიდურეს რეაქციულ განწყობილე-
ბას გაბატონებულ კლასებს შორის, ერთი მხრივ ძველ რესპუბლი-
კურ ტრადიციებს, ხოლო მეორე მხრივ ადამიანთა პატარა ჯგუფის
ხელში ეკონომიკური და პოლიტიკური ხელისუფლების დიდ კონ-
ცენტრაციას.

70-იანი წლების მეორე ნახევარში ძლიერდება ბრძოლა მთავ-
რობის უმრავლესობასა (რომელშიც შედიოდნენ დამოუკიდებელი
რესპუბლიკელები, დემოკრატიული ცენტრი და დეგოლელები) და
უმცირესობას შორის, რომელიც აერთიანებდა საფრანგეთის სოცია-
ლისტურ პარტიას (1969 წლის ივნისში ახალი სოციალისტური პარ-
ტია შეიქმნა, რომელმაც გააერთიანა რიგი დემოკრატიული და სო-
ციალისტური ორგანიზაციები ფ. მიტერანის მეთაურობით), კომუ-
ნისტურ პარტიასა და მემარცხენე რადიკალების მოძრაობას — რა-
დიკალების პარტიასა და რადიკალ-სოციალისტებს. ეს მემარცხენე
ძალების კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ თვით მიც შიგნით გაჩაღ-
ებული იყო ბრძოლა ლიდერობისათვის, აძლიერებდა თავის გავ-
ლენას. მემარჯვენეთა უმრავლესობაშიც იყო გაჩაღებული ბრძო-
ლა ლიდერობისათვის, რის გამოც მემარჯვენეების გავლენა უფუ-
ტდებოდა. 1976 წელს დეგოლისტების ლიდერმა ჟაკ შირაკმა მო-

ახდინა თავისი რესპუბლიკის დემოკრატთა კავშირის პარტიის რეორგანიზაცია და შექმნა ფართო კოალიცია „რესპუბლიკისათვის მხარდაჭერის გაერთიანება (რმგ). მალე ჟ. შირაკი გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან პრეზიდენტ ჟისკარ დ'ესტენთან არსებული წინააღმდეგობის გამო. 1977 წლის მაისში ჟ. დ'ესტენის ხელმძღვანელობით არსებულმა „დამოუკიდებელი რესპუბლიკების ეროვნულმა ფედერაციამ", აგრეთვე „სოციალურმა და ლიბერალურმა თაობამ" და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციებმა ჩაატარეს რესპუბლიკური პარტიის ყრილობა მიიგრობის კოალიციის განმტკიცებისა და ჟ. შირაკის მიერ შექმნილი რმგ-ის წინააღმდეგ. 1978 წლის იანვარში რესპუბლიკური პარტია, სოციალური დემოკრატების ცენტრი და რადიკალები გაერთიანდნენ ფედერაციად და მიიღეს „საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირის" (სდპ) სახელწოდება. ასეთი გზით მემარჯვენე ძალებმა შეძლეს თავისი ხელისუფლების შენარჩუნება.

საფრანგეთის კომპარტიაც თავის მხრივ მიზნად ისახავდა ქვეყნის მემარცხენე ძალების თავისი ხელმძღვანელობით გაერთიანებას და მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიებისადმი დაპირისპირებას. ასეთი წინადადებით კომუნისტებმა არაერთხელ მიმართეს სოციალისტებსა და რადიკალებს. 1977 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შემდგარ სამი მემარცხენე პარტიის მოლაპარაკების დროს სოციალისტებმაც და რადიკალებმაც უარყვეს კომუნისტების პროგრამული საკითხები და კომუნისტებთან ერთად მემარცხენე ბლოკის შექმნის იდეა და მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. სოციალისტები იმისათვის იბრძოდნენ, რომ თვითონ გამხდარიყვნენ ქვეყნის მემარცხენე ძალების ხელმძღვანელ ძალად და თავისი პოლიტიკა განეხორციელებინათ, ხოლო კომუნისტები მეორეხარისხოვან პარტიად გადაექცეოთ. უნდა ითქვას, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან სოციალისტებმა ფ. მიტერანის მეთაურობით და აგრეთვე კომუნისტურ მოძრაობაში შექმნილ არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გამო, რომელიც გამოიწვია ე. წ. „პერესტროიკამ" საბჭოთა კავშირში, მიაღწიეს თავის მიზანს და საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ომის წინ და ომის შემდეგ 40-60-იან წლებში ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალა იყო ქვეყანაში, დღეისათვის მეორეხარისხოვან პარტიად არის გადაქცეული. ეს რა თქმა უნდა იმითაც არის გამოწვეული, რომ ის სოციალური პროგ-

რამ, რომელიც საფრანგეთის კომუნისტებს ჰქონდათ, ფაქტობრივად უკვე განხორციელდა კანონმდებლობის აქტებით.

1981 წლის აპრილში საფრანგეთში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური. არჩევნების წინ ვერც მემარცხენე და ვერც მემარჯვენე ძალებმა ვერ მოახდინეს თავისი ძალების კონსოლიდაცია. მთავრობის კოალიციამ „საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირმა“ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ჟისკარ დ'ესტენი.

„რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანებამ“ დიდი შიდა წინააღმდეგობის შემდეგ წამოაყენა ჟ. შირაკი. არც ოპოზიციაში იყო ყველაფერი წესრიგში. 1981 წლის იანვარში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ფ. მიტერანი. კომუნისტებმა კი წამოაყენეს ჟორჟ მარშე.

პრეზიდენტის არჩევნების პირველმა ტურმა ვერც ერთ კანდიდატს ვერ მოუტანა წარმატება. პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ორი კანდიდატურა იყო დაპირისპირებული. ფ. მიტერანი და ჟისკარ დ'ესტენი. წარმატებას მიაღწია ფ. მიტერანმა, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების 51,76%, (15,7 მილიონი ხმა) ჟისკარ დ'ესტენმა მიიღო 48,24% (14,6 მილიონი ხმა).

1981 წლის 14 და 21 ივნისში შედგა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები, რომელშიც წარმატება ასევე მემარცხენე ძალებს მოუტანა. მათ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 57%. ეროვნულ კრებაში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა სოციალისტურმა პარტიამ მიიღო. მან მემარცხენე რადიკალებთან ერთად მიიღო 285, ხოლო კომუნისტებმა — 44 ადგილი.

არჩევნების შემდეგ შეიქმნა მთავრობა სოციალისტ პ. მორუას მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ 34 სოციალისტი, 4 კომუნისტი, 2 მემარცხენე რადიკალი და 1 მემარცხენე გოლისტი. ამრიგად, საფრანგეთში მემარჯვენე პარტიების 23 წლიანი მმართველობის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მემარცხენე ძალების კოალიცია. მემარჯვენე ძალებს ვერ უშველა ხმის მიცემის მაჟორიტარულმა სისტემამ, რომელიც შემოიღეს აქ დეგოლის დროს იმ მიზნით, რომ ბურჟუაზიული პარტიების ხელისუფლება განემტკიცებინათ. ეს სისტემა უბიძგებდა მათ უფრო მსხვილი პოლიტიკური ფორმირებები შეექმნათ და უარი ეთქვათ ძალე-

ბის დაქსაქსვაზე. მაგრამ 1981 წლის არჩევნებში ეს სისტემა საფრანგეთის მემარცხენე ძალებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. სოციალისტების მთავრობამ გააუქმა არჩევნების მაჟორიტარული სისტემა და შემოიღო უფრო დემოკრატიული, არჩევნების პროპორციული სისტემა.

სოციალ-ეკონომიკურ დარგში სოციალისტებმა ფ. მიტერანის მეთაურობით განახორციელეს ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა ხალხთა მასების მდგომარეობას. რიგგარეშე ღონისძიების სახით პირველ რიგში გაიზარდა მინიმალური ხელფასები 10%-ით, პენსიები და დახმარებები ოჯახებისათვის — 20-25%-ით. შემდეგ თანდათანობით მცირდებოდა სამუშაო კვირა, იზრდებოდა ანაზღაურებელი შვებულების ხანგრძლივობა, იღებდნენ ღონისძიებებს უმუშევრობის წინააღმდეგ, იზრდებოდა დახმარებები ოჯახებისათვის, პენსიები დაწესდა 60 წლის ასაკიდან. განხორციელდა ღონისძიებები ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისათვის, გაუქმდა საგანგებო ტრიბუნალები.

სენატის მიერ ხანგრძლივი ბლოკირების შემდეგ მიიღეს კანონპროექტი 18 ბანკის, 2 ფინანსური და 5 უმსხვილესი სამრეწველო ფირმის ნაციონალიზაციის შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა ზოგიერთი მეტალურგიული და სამხედრო კომპანიები. ამ ღონისძიებების გატარების შედეგი ის იყო, რომ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა საბანკო კრედიტების 75%, ხოლო სახელმწიფო სექტორის წილი მრეწველობაში შეადგენდა 18 ან 22%-ს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზებულ საწარმოებში წარმოების დაბალი ტემპების გამო ამ ღონისძიებამ ვერ გაამართლა და შემდეგ იგივე სოციალისტების მთავრობამ გაბედულად განახორციელა ნაციონალიზებული საწარმოების დენაციონალიზაცია.

პოლიტიკურ სფეროში სოციალისტების მთავრობამ გააუქმა სახელმწიფო უშიშროების სასამართლო, სიკვდილის სასჯელის მუხლი შეცვალა მუდმივი პატიმრობით, გამოაცხადა ამნისტია, მიიღო კანონები დეცენტრალიზაციის შესახებ და ა. შ. მაგრამ მემარცხენე მთავრობის ეს ღონისძიებები მემარჯვენე ძალების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ისე როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის წინ იყო, ხალხთა ფრონტის მთავრობის წლებში, ახლაც ბურჟუაზიამ საბო-

ტაჟა ჟიჟიართა, ახდენდა თანიარსებობას კაპიტალის ანალოგიურად „გაქცევას“, მკვეთრად ამცირებდა ქვეყნის ეკონომიკასა და ეკონომიკის დაფინანსებას, დაძაბულობას ქმნიდა ბაზარზე საბრძოლო და სასურსათო საქონლის მომარაგების მიზნით, და ა. შ. მაგრამ ოფიციალურ ტენდენციათა მთავრობამ თავი გააცთვა შექმნილ ინიციატივებს. განხორციელდა ფრანკის დევალვაცია, დიდი რაოდენობის სესხები აიღო საზღვარგარეთის ბანკებიდან. 1982 წლიდან გადავიდა „მკაცრი ეკონომიის“ პოლიტიკაზე. 1983 წლის მარტიდან ვამოცხადდა საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ლიკვიდაციის კურსი. 1983 — 1985 წწ. ხოლ ციელდებოდა ფასებზე კონტროლის გაუქმება, რომელიც ანტიინფლაციურ ღონისძიებად ითვლებოდა. რა თქმა უნდა ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუარესა ხალხთა მასების მდგომაოეობა, ოაც მაშინვე გამოიყენა მემარჯვენე ოპოზიციამ და დაიწყო მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა. ისინი სამართლიანად აკრიტიკებდნ-ნ მთავრობის ნაციონალიზაციის კურსს და მოითხოვდნენ მწარმოებლობის სრულ თავისუფლებას.

მემარცხენე ექსტრემისტულმა ძალებმაც გააღლიერეა თავისი ტერორისტული საქმიანობა. მარტო 1982 წელს ასზე მეტი ტერორისტული აქტი განხორციელდა. მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღო ტერორისტების წინააღმდეგ. ქვეყანაში შექმნილი სიძნელეების გამო მემარცხენე ბლოკის გავლენა ხალხში ეცემოდა. მკვეთრად დაეცა კომუნისტური პარტიის გავლენაც. ამიტომ, როცა 1984 წელს მემარცხენე ბლოკის ახალი მთავრობა შეიქმნა სოციალისტ ლ. ფაბიუსის მეთაურობით, კომუნისტები აღარ შევიდნენ ახალ მთავრობაში.

მემარჯვენე პარტიებმა ისარგებლეა რა მემარცხენე პარტიების გავლენის დაცემით ამომრჩევლებში. 1986 წელს ჩატარებული ეროვნული კრების არჩევნების დროს, მიიღწიეს წარმატებას. მემარჯვენე პარტიებმა ყველამ ერთად მიიღო ამომრჩეველთა ხმების — 46%. სოციალისტებმა — 31% და 217 ადგილი, კომუნისტებმა უფრო ნაკლები, ვიდრე წინა არჩევნებში — 10% და 35 ადგილი (ადრე 45 ადგილი ჰქონდათ), პროფაშისტურმა დაჯგუფებამ ლე პენის მეთაურობით მიიღო ამომრჩეველთა ხმების 9,7% და 35 ადგილი. თუ 1981 წლის არჩევნებში ხმების ბალანსი ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის იყო 55:45, მემარცხენე ბანაკის ასარგებლოდ, 1986 წლის არჩევნებში კი პირიქით, ასეთივე შეფარდება მემარჯვენეების სა-

სარგებლოდ იყო. სოციალისტების დამარცხების მთავარ მიზეზად მიჩნეულია მშრომელთა უკმაყოფილება სოციალისტების მიერ განხორციელებული „მკაცრი ეკონომიის“ კურსის გამო, რასაც მოჰყვა ნშრომელთა მდგომარეობის გაუარესება.

ეროვნული კრების არჩევნების პარალელურად ჩატარდა ადგილობრივი გამგებლობის ორგანოების არჩევნები, სადაც სოციალისტებმა დაკარგეს უმრავლესობა და თავმჯდომარის 4 ადგილი 6 რეგიონალური საბჭოდან. მემარჯვენე უმრავლესობამ თავისი მდგომარეობა განამტკიცა სენატშიც, პარლამენტის მეორე პალატაში, რომლის შემადგენლობის მესამედის განახლება მოხდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საფრანგეთის სოციალისტური პარტია მაინც ყველაზე დიდ პარტიად რჩებოდა მემარცხენე ბანაკშიც, ქვეყნის ეროვნულ კრებაში და ქვეყანაში — მას სხვა ცალკეულ პარტიებთან შედარებით ყველაზე მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა და პირველ ადგილზე გამოვიდა მიღებული ხმების რაოდენობით. მემარჯვენე პარტიებმა კი ეროვნულ კრებაში უმრავლესობა მიიღეს ნეოფაშისტებისა და სხვა აშკარა რეაქციული პარტიების წყალობით, რომელთა გარეშე მათი უმრავლესობა მხოლოდ დეპუტატის 2-3 ადგილით განისაზღვრებოდა. მაგალითად, „საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირმა“ (ჟ. დ'ესტენი) „რესპუბლიკის მხარდამჭერის გაერთიანებამ“ (ჟ. შირაკი) ერთად მოაგროვეს 40,9% ამომრჩეველთა ხმებისა და სხვა მემარჯვენე ჯგუფებთან ერთად (3,8 ხმებით) პარლამენტში მიიღეს 291 მანდატი (ადრე კი ჰქონდათ — 150 მანდატი) ეროვნულ კრებაში ამ დროს ადგილების რაოდენობა 491-ან 577 გაიზარდა. (სოციალისტებმა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიიღეს 217 მანდატი). ასეთ ვითარებაში ორივე მემარჯვენე პარტიას წინდახედულად უნდა ემოქმედა და აშკარად არ უნდა შეკროდა რეაქციონერებს, რაც არაფერს კარგს არ უქადდა მათ პოლიტიკურად საღად მოაზროვნე ფრანგ ამომრჩეველებს შორის.

1986 წლის არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ჟაკ შირაკი, რომელსაც ამავე დროს ეკავა პარიზის მერის ადგილი. მთავრობაში ადგილების უმრავლესობა მიიღო მისი პარტიის წარმომადგენლებმა. მის მოკავშირეებს კი ერგო 4 მინისტრის ადგილი. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა უპარტიო ჟ. რემონი, თავდაცვის მინისტრის ადგილზე კი ასევე „უპარტიო სპეციალისტი“ ა. ჟირო.

აბრიგად, პრეზიდენტი იყო სოციალიტი ფ. მიტერანი, ხოლო მთავრობის სათავეში კი იდგნენ მემარჯვენე პარტიები, რის გამოც, დაწყარდა „თანაარსებობა“ ორ — მემარცხენე და მემარჯვენე ბანაკს შორის.

ახალი მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. პოლიტიკური ღონისძიებებიდან აღსანიშნავია არჩევნებში მაჟორიტარული სისტემის შემოღება პროპორციულის ნაცვლად. ამასთანავე რიგი კანონით შეეზღუდა საფრანგეთში უცხოელი ათუშაო ძალის იმიგრაცია. განხორციელდა ღონისძიებები უმაღლესი სკოლისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის.

ჯერ კიდევ ჟ. შირაკის მთავრობამდე 80-იანი წლების დასაწყისიდან აქციების კურსი პარიზის ბირჟაზე 4 პროცენტზე მეტით გაიზარდა, წარმოება კი უფრო ნელა იზრდებოდა, რის გამოც ერთგვარი შეუსაბამობა შეიქმნა ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის შედეგი ის იყო, რომ ნიუ-იორკში 1987 წლის 19 ოქტომბერს დაწყებული საბირჟო კრახი საფრანგეთსაც მოედო. 1987 წლის ბოლოს აქციების კურსი პარიზში 37%-ით დაეცა, ე. ი. აშშ-ზე უფრო დაბლა. ამ გარემოებამ დიდი დარტყმა მიაყენა მთავრობის პრესტიჟს. საქმე იმაში იყო, რომ ჟ. შირაკის მთავრობა ანხორციელებდა სახელმწიფო საწარმოების დენაციონალიზაციას (პრივატიზაციას) და ამას დიდი ხმაურით აკეთებდა. სახავდა მას როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის ღონისძიებას. ამიტომ ბევრმა ფრანგმა დენაციონალიზებული საწარმოების აქციები შეიძინა. მოკლე დროში წვრილ მფლობელთა რაოდენობა 4 მილიონი კაცით გაიზარდა და მიაღწია 5,5 მილიონ კაცამდე. პოლიტიკური გავლენის მოპოვების მიზნით მთავრობა უფრო აქტიურად დაადგა პრივატიზაციის განხორციელების კურსს. უკვე 1987 წელს განხორციელდა 1991 წლისათვის გათვალისწინებული 65 საბანკო და საშრეფველო ფირმების დენაციონალიზაცია. გაღებულმა თანხამ 50 მილიარდ ფრანკს გადააჭარბა. ეს თანხის დიდი ნაწილი მიხმარდა სახელმწიფო ვალების გადახდას. საბირჟო კრახის შედეგად კი აქციების მფლობელთა უდიდესმა ნაწილმა დიდი ზარალი ნახა, რის გამოც ჟ. შირაკის მთავრობის ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა. პრეზიდენტი ფ. მიტერანი კი თავს არიდებდა მთავრობის მიერ გატარებული არაპოპულარული ღონისძიე-

ბებისათვის მხარი დაჭერას და ცდილობდა გამოსულიყო „ხეპარტიულ“ გარანტად, კონსტიტუციური წესების დამცველად.

მთავრობის ავტორიტეტს სერიოზული დარტყმა მიაყენა ქვეყანაში გახშირებულმა ტერორმა. 1986 წლის მარტში და სექტემბერში არაბმა ექსტრემისტებმა მოაწყვეს ბომბების აფეთქება, რომლის დროსაც 11 კაცი დაიღუპა და 200 დაიჭრა. ექსტრემისტები მოითხოვდნენ ირან-ერაყის ომში საფრანგეთის მხრიდან ერაყისათვის მხარდაჭერას და 3 ექსტრემისტის საფრანგეთის ციხიდან განთავისუფლებას. ნოემბერში მოკლეს — „რენოს“ საავტომობილო ქარხნის პრეზიდენტი-ენერალური დირექტორი ჟ. ბესი.

მთავრობამ ტერორისტულ გამოხდომებს მკაცრი ზომებით უპასუხა მათ წინააღმდეგ.

მშვიდობიანი „თანაარსებობა“ ხშირად ირღვეოდა იმ წინააღმდეგობების გამო, რომელიც ვლინდებოდა განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიც იყო ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო საკითხები. ჟ. შირაკის მთავრობა მოითხოვდა ბირთვული იარაღის ოპერატიულ-ტაქტიკური მიმართულებით განვითარებას, ფ. მიტერანი კი უპირატესობას ანიჭებდა ატომური წყალქვეშა ნავების გაზრდას. ფ. მიტერანი წინააღმდეგი იყო „ვარსკვლავეთის ომის“ პროგრამისა, ჟ. შირაკი მხარს უჭერდა მას და მომხრე იყო ამ პროგრამაში საფრანგეთის ფირმების მონაწილეობისა. მართალია, ასეთი წინააღმდეგობა არსებობდა, მაგრამ განხეთქილებამდე საქმე არ მისულა. „თანაარსებობა“ ორ ბანაკს შორის გრძელდებოდა.

საბირჟო კრახმა დიდი დარტყმა მიაყენა მემარჯვენე ბანაკს და მათ შორის თავი იჩინა შიდა წინააღმდეგობამ. მართალია მემარჯვენე დეპუტატები პარლამენტში მხარს უჭერდნენ ჟ. შირაკის მთავრობას, მაგრამ ისინი იბრძოდნენ პირველობისათვის მთავრობაში. ამის გამო იყო რომ ჟ. შირაკმა 1987 წელს ორჯერ დააყენა (აპრილში და დეკემბერში) მთავრობის ნდობის საკითხი და გადადგომის შუქარით აიძულა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლიბერალურ-ცენტრისტულ საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირის პარტიის ლიდერი რ. ბარი და მისი პარტია, რომ მისთვის მიეცათ მთავრობისადმი ნდობის ხმა და ამით დაედასტურებინათ თავისი თანხმობა მთავრობის პოლიტიკისადმი, მთავრობის საშინაო პოლიტიკას კი აკრიტიკებდა როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ბანაკი. მაგალითად, კრიტიკის ქარცეცხლში იყო მთავრობის ღონისძიებები ტე-

ტორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ისეთ საკითხებში, როგორიცაა რეპრესიული ორგანოების უფლებების გაფართოება. 1986 წლის 14 სექტემბერს პრემიერ-მინისტრთან შეიქმნა შიდა უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაში შეიდნენ შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ეროვნული თავდაცვის მინისტრები. აიკრძალა უცხოელთა შემოსვლა საფრანგეთში ვიზების გარეშე (ეს არ ეხებოდა „საერთო ბაზრის", აფრიკის ზოგიერთ ფრანგულენოვან სახელმწიფოებს, შვეიცარიასა და ავსტრიას), დაწესდა საზღვრებზე ჯარების საყარაულოები, ტერორისტებთან ურთიერთობაში ეჭვმიტანილთა პატიმრობის ვადა გახანგრძლივდა, პოლიციის უფლებები გაფართოვდა დოკუმენტების გასინჯვისას.

აკრიტიკებდნენ აგრეთვე მთავრობის ისეთ ღონისძიებებს, როგორიც იყო კერძო სექტორისათვის სახელმწიფო ტელევიზიის პროგრამისა და სარეკლამო-საინფორმაციო სააგენტოების გადაცემა. დიდი კრიზისი გამოიწვია კანონპროექტმა უმაღლესი სკოლების გარდაქმნის შესახებ, რომელიც მემარცხენე ბანაკმა მიიჩნია, როგორც უნივერსიტეტის ინტერესების მონოპოლიებისადმი დამორჩილება (დიპლომის ერთიანი სისტემის გაუქმება, მილებისა და კურსიდან კურსზე გადასვლისას მკაცრი შერჩევის დაწესება, აგრეთვე სწავლის ქირის გაზრდა, რომელიც უპირატესობას შეძლებულ ფენებს ანიჭებდა). ამ კანონპროექტმა სტუდენტთა დიდი მოძრაობა გამოიწვია, რომლის დროსაც ერთი სტუდენტი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე კაცი კი დაიჭრა. ამ გამოსვლების შედეგად მთავრობამ უკან დაიხია და უკან წაიღო თავისი კანონპროექტები.

1986 წლიდან მოყოლებული მემარჯვენე უმრავლესობა ეროვნულ კრებაში და ასეთივე მთავრობა ჟ. შირაკის მეთაურობით ერთი მეორეზე იღებდნენ ისეთ კანონებს, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის მსხვილი კაპიტალის პოზიციების გაძლიერებას. გატარდა მსხვილი სახელმწიფო საწარმოების — სამრეწველო გაერთიანებების, ტელესადგურების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების დენაციონალიზაცია, ე. ი. ადრე ნაციონალიზებულის კერძო კომპანიებისათვის უკან დაბრუნება. და ბოლოს, მემარჯვენეებმა პარლამენტს მიაღებინეს გამალებული შეიარაღების ხუთწლიანი გეგმა (1987 — 1991 წწ.) 500 მლრდი ფრანკის ოდენობით. საფრანგეთის პოლიგონებზე წყნარ ოკეანეში გახშირდა ბირთვული იარაღის გამოცდები. საფრანგეთი შეუდგა ქიმიური იარაღის წარმოებას და უკვე

შეუძლია ხელიტროხული იარაღის წარმოება, უარი თქვა განიარაღების შესახებ ყველა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე. ჟ. შირაკის მთავრობა გულგრილად შეხვდა სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციაზე ევროპაში, დაიწყო გაფაციცებული ეამბედოო თანამშრომლობა დასავლეთ გერმანიასა და ნატოს სხვა ქვეყნებთან. პოლიციამ დაიწყო „არასასურველი უცხოელების" გაძევება, ნუშათა საგაფიცვო მოძრაობის და სტუდენტთა დემონსტრაციების დევნა.

1988 წელი, ჩატარებული არჩევნების რაოდენობით, ერთგვარი საარჩევნო რეკორდის წელი იყო: 24 აპრილს და 8 მაისს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები ორ ტურად, შემდეგ 5 და 12 ივნისს ეროვნული კრების რიგგარეშე არჩევნები. 25 სექტემბერს და 2 ოქტომბერს ჩატარდა კანტონალური არჩევნები, რომელმაც განაახლა დეპარტამენტების გენერალური საბჭოების ნახევარზე მეტი შემადგენლობა. შემდეგ 6 ნოემბერს შედგა საერთო ეროვნული რეფერენდუმი ახალ კალედონიაში ეთნოკონფლიქტის მოგვარების თაობაზე.

ამ მრავალრიცხოვანი არჩევნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები იყო. მემარჯვენე პარტიების ბლოკმა პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ჟ. შირაკი.

ლე პენის (ფრანგი ფაშისტი) და ეროვნული ფრონტის უკიდურესად მემარჯვენე ლიდერის კანდიდატურა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე, წამოაყენა ეროვნულმა ფრონტმა.

სოციალისტური პარტიის შიგნით პრეზიდენტის არჩევნების წინ საკმაოდ რთული სიტუაცია იყო. 1987 წლის აპრილში გამართულ სოციალისტური პარტიის ყრილობაზე დელეგატთა უმრავლესობამ მოითხოვა, რათა ფ. მიტერანს წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევისათვის. მაგრამ ფ. მიტერანი აქიანურებდა გადაწყვეტილებას პრეზიდენტის არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე.

სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელმა მ. როკარმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა და ფაქტობრივად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ამავე პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა ჟ. პ. შევენმანმაც გამოთქვა სურვილი თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე, მაგრამ სოციალისტურ პარტიაში განხეთქი-

ლებამდე საქმე არ მისულა და არჩევნების წინ, მხოლოდ 22 მარტს — ფ. მიტერანმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა.

არჩევნების პირველი ტურის სენსაცია იყო ლე პენის ერთგვარი წარმატება, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 14,44% მოაგროვა. ფ. მიტერანმა მიიღო 34,04%, ხოლო ჟ. შირაკმა 19,89%. რ. ბარმა მიიღო 16,56% ამომრჩეველთა ხმებისა. მეორე ტურში ორი კანდიტატურა იყო. ფ. მიტერანისა და ჟ. შირაკის. მეორე ტურში ჟ. შირაკი დამარცხდა მიუხედავად მისი ენერგიული კამპანიისა, რომლის ძირითადი არსი იყო დაპირება მრეწველობის დენაციონალიზაციისა, გადასახადების შემცირება მოგებებზე, კერძო ინიციატივისათვის მეტი თავისუფლების მიცემა და ა. შ. საქმე იმაში იყო, რომ მემარჯვენე ბანაკში ერთგვარი დეზორგანიზება იყო. ლე პენმა თავის ამომრჩევლებს მოუწოდა, რომ მეორე ტურში აღარ მიეღოთ მონაწილეობა, ხოლო მიუხედავად იმისა, რომ ბარსა და შირაკს შორის შეთანხმება იყო, მეორე ტურში მათ შორის არსებული კანდიდატის ურთიერთ მხარდაჭერისა, ეს ასე არ მოხდა. ოფიციალური ცნობით რ. ბარის მომხრეთა 30%-მა ან თავი შეიკავა არჩევნებში მონაწილეობისაგან, ან ფ. მიტერანს მისცა ხმა. ფ. მიტერანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 54 პროცენტი, ხოლო ჟ. შირაკმა კი 46%.

ფ. მიტერანის ესოდენ დიდი წარმატების მიზეზად მიჩნეულია ის, რომ ხელისუფლების „თანაარსებობის“ ვითარებაში ფ. მიტერანი, არ ერეოდა რა ჟ. შირაკის მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში, ამავე დროს დრო და დრო აკრიტიკებდა მთავრობის ყველაზე უფრო არასწორ ღონისძიებებს, რითაც თავის თავს წარმოადგენდა როგორც ერის „უმაღლეს არბიტრად“ არა რომელიმე დაჯგუფების ან პარტიის იდეოლოგად და ამით ზრდიდა თავის პოლიტიკურ კაპიტალს საფრანგეთის საზოგადოების თვალში. ფ. მიტერანის დეიდეოლოგიზაციის პოლიტიკამ მხარდაჭერა ჰპოვა, არა, მარტო მემარცხენე და ცენტრალისტურად განწყობილ ამომრჩევლებში, არამედ მემარჯვენე ძალებს შორისაც. ფრანგების უმრავლესობამ, ხმა მისცა რა ფ. მიტერანს, ამით გამოხატა თავისი მისწრაფება სოციალური ზომიერებისაკენ, ჰუმანური მიდგომისადმი რთული პრობლემების გადაწყვეტაში.

ჟ. შირაკმა პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხების შემდეგ აღარ ისურვა პრემიერ-მინისტრად დარჩენა და გადადგა. ფ. მიტე-

რანმა დანიშნა რიგგარეშე არჩევნები. ეროვნული კრების არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ორ ტურად ჩატარდა (5 და 12 ივნისს). ასარჩევ 577 დეპუტატის ადგილზე 2880 კანდიდატი იბრძოდა. პირველ ტურში (1988 წლის 5 ივნისს ჩატარდა) მხოლოდ 100 დეპუტატი აირჩიეს, ე. ი. ისინი, ვინც ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო. მეორე ტურში (არჩენილ ადგილებზე ბრძოლას აგრძელებდნენ ის კანდიდატები, რომელთაც არა ნაკლები 12.5% ხმა მიიღეს და გამარჯვებისათვის საკმარისი იყო ხმის უბრალო უმრავლესობის მიღება. ეროვნული კრების მეორე ტურის არჩევნების ჩატარებამდე რამოდენიმე დღით ადრე შეიქმნა „მემარჯვენე პარტიების კოალიცია. „გაერთიანებისა და ცენტრის კავშირმა", რომელშიც შედიან გოლისტური რეაპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანება ჟ. შირაკის მეთაურობით (ჰქონდა 155 ადგილი), საფრანგეთის დემოკრატიისათვის მებრძოლი კავშირი, რომელიც მემარჯვენე ცენტრისტული პარტიების კავშირია (ჰქონდა 131 ადგილი) შეკრეს კავშირი ულტრამემარჯვენე „ეროვნულ ფრონტთან" (ჰქონდა 33 ადგილი), რომელთა ხელმძღვანელია ფაშისტი ლე პენი. მემარჯვენე პარტიების ფაშისტებთან გარიგებამ მოსახლეობის ზომიერი ფენების აღშფოთებაც კი გამოიწვია. მეორე ტურის არჩევნებში მემარჯვენე ძალების დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნიათ სწორედ აღნიშნული გარიგება. მეორე ტურის არჩევნების შედეგები შემდეგნაირია: სოციალისტურმა პარტიამ და მოკავშირეებმა მიიღეს 276 ადგილი (ადრე 212 ჰქონდა), მემარჯვენე პარტიების ბლოკმა მიიღო — 271 (ჰქონდათ 292). მართალია სოციალისტებმა და მისმა მოკავშირეებმა მეტი ადგილი მიიღეს, ვიდრე მემარჯვენეებმა) რითაც ბოლო მოეღო 1986 წლიდან დაწყებულ სოციალისტებსა და მტრულ მემარჯვენე ძალებს შორის „თანაარსებობას", მაგრამ მემარცხენე ძალებმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღეს. კომპარტიამ წინა რიგ არჩევნებში წარუმატებლობის შემდეგ, შედარებით წარმატებას მიაღწია. ეროვნულ კრებაში მან მიიღო 27 ადგილი გამანადგურებელი მარცხი განიცადა ფაშისტურმა „ეროვნულმა ფრონტმა", რომელმაც ეროვნულ კრებაში მხოლოდ ერთი ადგილი მიიღო (ადრე 33 ჰქონდა). თვით ამ პარტიის ხელმძღვანელ ლე პენიც კი არ იქნა არჩეული.

ამ არჩევნებმა ისიც ცხადყო, რომ, ფრანგებს „მობეზრდათ" ხმის მიცემა. ამომრჩეველთა 30% თავი შეიკავა ხმის მიცემაზე. რაც რე-

კორდულ ციფრად არის მიჩნეული მეხუთე რესპუბლიკის მთელი არსებობის მანძილზე.

ამ არჩევნებში სოციალისტებმა და სხვა მემარცხენეებმა, როგორც აღვნიშნეთ მიიღეს დეპუტატთა 275 ადგილი (1986 წ. 214 ადგილი). კომპარტიამ მიიღო 27 (1986 წ. 35 ადგილი), ე. ი. მემარცხენეებმა ჯამლიანად მიიღეს 303 (1986 წ. 249 ადგილი). მემარჯვენეებმა 272 ადგილი (1986 წ. 328 ადგილი) მიიღეს.

მთავრობის შედგენა კვლავ ჟ. როკარს დაეკალა. მან ჟ. შირაკის საქმეები 1988 წლის მაისიდან გადაიბარა.

მ. როკარის მთავრობას უფრო ხელსაყრელ ეკონომიკურ ვითარებაში მოუხდა თავისი საქმიანობა, ვიდრე 1981 წლის არჩევნებში გამარჯვებულ სოციალისტების მთავრობას პ. მორუას მეთაურობით. 1986 წლისათვის საფრანგეთის ეკონომიკა აღმავლობის გზაზე იდგა. ხდებოდა მრეწველობაში, მშენებლობაში და სხვა დარგებში აღმავლობა იზრდებოდა ინვესტიციები, დაეცა ინფლაცია, გაიზარდა საგარეო ვაჭრობა.

როკარის მთავრობას არ წამოუყენება არც ახალი კურსი და არც ღრმა ვარიაქმნების რაიმე პროგრამა. როკარმა გამოაცხადა, რომ მისი მთავრობა ამჯობინებს მცირე, მაგრამ კონკრეტულ საქმეებს და „ფართო დეკლარაციებს" ამასთანავე მან დაუფარავად განაცხადა, რომ გაავრძელებს „მკაცრი ეკონომიის" პოლიტიკას.

1988 წლის 30 ივნისს როკარი ეროვნულ კრებაში თავისი პროგრამული განცხადებით გამოვიდა. მან ამ გამოსვლაში ჩამოაყალიბა მთავრობის პოლიტიკა განათლების, ქალაქის მეურნეობის, ლტაკთათვის დახმარების, გაწევის, ბიუროკრატიული პრაქტიკისათვის კონტროლის დაწესების საკითხებში.

კომპრომისულ საფუძვლებზე, მოლაპარაკების შედეგად საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებსა და კალედონიის ეროვნულ ფრონტს შორის მოგვარდა ეთნიკური კონფლიქტი საფრანგეთის ზღვის გაღმა კოლონიის ახალი კალედონიის საკითხზე. ეს შეთანხმება ითვალისწინებს 10 წლის შემდეგ რეფერენდუმის ჩატარებას კალედონიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამ შეთანხმების შესახებ ჩატარდა რეფერენდუმი. მონაწილე ფრანგთა 80 პროცენტმა მოიწონა იგი.

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს გამწვავდა საერთაშორისო ვითარება ახალი საბჭოთა რაკეტების ევროპაში შეტანისა და განლაგებისა, საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეყვანისა და ნატოს 1979 წლის დეკემბრის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო დასავლეთ ევროპაში აშშ-ს ბირთვული პერშინგ-2-ს და ფრთოსანი რაკეტების შეტანისა და განლაგების გამო. მაგრამ საფრანგეთი არ ჩაერთო ცივ ომში და ძველებურად მოითხოვდა დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელებას. 1980 წლის მაისში საფრანგეთის პრეზიდენტი ჟ. დ'ესტენი ვარშავაში იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით და განაცხადა, რომ შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ დაძაბულობის შენელების კურსი. ხელისუფლების შეცვლისა და ფ. მიტერანის ქვეყნის სათავეში ჩადგომის შემდეგაც საგარეო პოლიტიკაში ცვლილება არ მომხდარა და ახალი მთავრობაც დაძაბულობის შენელების კურსს ანხორციელებდა. მაგრამ თუ დე გულის დროს საფრანგეთი ჩამოშორდა ნატოს, შემდეგი პრეზიდენტები, მათ შორის ვ. ჟ. დ' ესტენი და ფ. მიტერანი ატლანტიკური სოლიდარობის კურსის მომხრედ გამოდიოდნენ და ამას საბჭოთა კავშირის აგრესიულობით ხსნიდნენ. საფრანგეთი, საბჭოთა ბირთვული რაკეტების ზრდასთან დაკავშირებით, ზრდიდა თავის შეიარაღებას, განსაკუთრებით ბირთვულ იარაღს და თვით 1996 წლის სექტემბრამდე აგრძელებდა ბირთვული იარაღის გამოცდას საფრანგეთმა ნხარი დაუჭირა ნატოს გადაწყვეტილებას (1979 წლის დეკემბრის სესიაზე) აშშ-ს რაკეტების დასავლეთ ევროპაში განლაგების შესახებ. მართალია, საფრანგეთის ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტები არ განულაგებიათ, მაგრამ მიტერანი ნხარს უჭერდა დასავლეთ ევროპაში ამერიკული საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტების განლაგებას. „ატლანტიკური სოლიდარობის" პოლიტიკამ თავისი გამოხატულება იმაშიც ჰპოვა, რომ საფრანგეთმა მნიშვნელოვნად გააქტიურა თავისი ურთიერთობა აშშ-თან, ინგლისთან და განსაკუთრებით გფრ-თან და „საერთო ბაზრის" სხვა ქვეყნებთან. მაგრამ, ამავე დროს, საფრანგეთი ყოველთვის აცხადებდა, რომ იგი წინააღმდეგია აშშ-სა და სსრ კავშირს შორის კონფრონტაციისა, მოითხოვდა ორ ქვეყანასა და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საერთოდ ყველა არსებული საკითხის

მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოგვარებას. საფრანგეთი გამოდიოდა იმის მოსახრედ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაწყებულიყო მოლაპარაკება აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ბირთვული რაკეტების შემცირებისათვის და აგრეთვე ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების აკრძალვისათვის და მოითხოვდა მისი მთელი მარაგის განადგურებას. 1984 წლის სექტემბერში საფრანგეთი შეუერთდა 1972 წლის კონვენციას ბაქტერიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის წარმოების და მარაგის შექმნის აკრძალვაზე და მისი საერთო მოსპობის შესახებ. საფრანგეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარიზში ქიმიური იარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაში (1989 წლის იანვარში) და ამ კონფერენციის მიერ დასკვნითი დეკლარაციის შემუშავებაში, რომელშიც ფიქსირებულია ნათხოვნა, რომ უახლოეს დროში დაიდოს კონვენცია ყველა სახის ქიმიური იარაღის შექმნის, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის, აგრეთვე მისი მოსპობის თაობაზე.

საფრანგეთმა მხარი დაუჭირა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკებას, შემდეგ კი ხელშეკრულების დადებას საშუალო და ნაკლები სიშორის ბირთვული რაკეტების მოსპობაზე.

1985 წლის აპრილში საფრანგეთში წამოაყენეს წინადადება შეექმნათ საკოორდინაციო გამოკვლევის ევროპული სააგენტო („ევრიკა"), რომელსაც საფრანგეთის ხელმძღვანელობის აზრით, უნდა დაეძლია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მეცნიერულ-ტექნიკური ჩამორჩენილობა აშშ-სა და იაპონიისაგან.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალ ეტაპზე, როდესაც ყურადღების ცენტრშია მიკროელექტრონიკა და ბიოტექნოლოგია, მწვავე მეტოქეობაა გაჩაღებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ყველაზე უფრო პერსპექტიულ დარგებში პირველობისათვის. მიჩნეულია, რომ ის, ვინც კონტროლს უწევს უმნიშვნელოვანეს გამოგონებებს და აღმოჩენებს, იღებს „გეოპოლიტიკური გავლენის" უძლიერეს საშუალებას. ამ საქმეში ჯერჯერობით იაპონია და აშშ ლიდერობენ, დასავლეთ ევროპა კი ჩამორჩება.

ჩამორჩენის დასაძლევად საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა, დასავლეთ ევროპის დაჩქარებული განვითარების მიზნით წამოაყენა თანამშრომლობის კომპლექსური პროგრამის პროექტი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში. ამ პროგრამამ „ევრიკას" სახელწოდება მიიღო. „ევრიკას" ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ

ხელუხლებლად დატოვოს ევროპის ეკონომიკური განვითარების მექანიზმი და პარალელურად, მისი შეზღუდვისა და მუდმივი გადაუწყვეტელი პრობლემების გვერდის ავლით განავითაროს თანამშრომლობა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ამასთანავე „ევრიკა" ისწრაფვის მოიცვას არა მარტო „საერთო ბაზრის" ქვეყნები, არამედ ის კაპიტალისტური ქვეყნებიც, რომელნიც არ შედიან ამ გაერთიანებაში. აღნ. მოწმობს 1985 წლის ივნისში პარიზში მოწვეული 17 კაპიტალისტური ქვეყნის თათბირი, რომელშიც „საერთო ბაზრის" 12 ქვეყნის გარდა მონაწილეობდნენ ავსტრია, შვეიცია, ფინეთი, ნორვეგია, შვეიცარია და ევროპის გაერთიანების კომისიის წარმომადგენლები. თათბირმა ოფიციალურად გამოაცხადა „ევრიკის" შექმნა, ყველა ამ 17 ქვეყნის წარმომადგენლის საკონსულტაციო ჯგუფის დაარსება.

ფ. მიტერანის, „ევრიკას" სულიერი მამის ამ საკითხზე გამოთქმული აზრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ევრიკა" მარტო მშვიდობიან მიზნებს არ ისახავს. „სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ" და „ევრიკამ", აღნიშნა ფ. მიტერანმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, შეუძლიათ, რომ ზოგიერთ დარგში ერთმანეთი შეავსონ". ფ. მიტერანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ „ევროპის პროგრესს ტექნოლოგიაში მოჰყვება ევროპის პროგრესი პოლიტიკაში". ამრიგად, საერთო ევროპული ტექნოლოგიური პროგრამა მოახდენს უშუალო გავლენას დასავლეთ ევროპის სამხედრო-პოლიტიკურ კონსოლიდაციაზე.

მაგრამ ძირითადი მიზანი კი მაინც არის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართოდ დანერგვა ეკონომიკაში: „ევრიკას" პროექტი ითვალისწინებს ფართო თანამშრომლობას ელექტრონიკის, ინფორმატიკის, ბიოტექნოლოგიის, რობოტოტექნიკის, ახალი მასალების შექმნისას.

1986 წელს მიტერანმა განაცხადა, რომ „ევრიკას" პროექტისათვის საფრანგეთი გამოყოფს 1 მილიარდ ფრანკს და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა, რომ მისი მაგალითისათვის მიებაძათ. „ევრიკას" დაფინანსება საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მიერ შემდგომ წლებშიც ხდებოდა.

საფრანგეთმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ურთიერთობა აფრიკის, განსაკუთრებით ფრანგულენოვან ქვეყნებთან. აგრეთვე ახ-

ლო აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ლათინურ ამერიკაში.

საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა, მცირე შეფერხებით, აქტიური იყო. ფ. მიტერანი გამოდიოდა საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული ურთიერთობის განვითარების მომხრედ. 1982 წლის იანვარში საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 25 წლის ვადით 1984 წლიდან საფრანგეთისათვის 8 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე. გააქტიურდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დიალოგი. 1984 წლის ივნისში პრეზიდენტი ფ. მიტერანი იმყოფებოდა მოსკოვში, ხოლო 1985 წლის ოქტომბერში კი მ. ს. გორბაჩოვი იყო ოფიციალური ვიზიტით პარიზში. ამის შემდეგ ვიზიტები ორივე ქვეყნის მეთაურებისა მრავალჯერ განმეორდა, რამაც ხელი შეუწყო ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაზრდას ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა სფეროებში. ეს ტრადიცია გრძელდება ამჟამად რუსეთთან. 1990 წელს ნაყოფიერი იყო მ. გორბაჩოვის ვიზიტი პარიზშიც (ნოემბრის დამდეგს). საფრანგეთმა საბჭოთა კავშირს გაუწია დახმარება 5 მილიარდი ფრანკის ოდენობით და სხვადასხვა კრედიტებით. ამ თანხიდან სამი მილიარდი ფრანკით უკვე შეძენილია სასურსათო პროდუქტები. დარჩენილი 2 მილიარდი გათვალისწინებულია ვალისათვის, რომლის საერთო რაოდენობაა 1,2—1,5 მილიარდი ფრანკი. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ბრუნვაში საფრანგეთის უარყოფითი სალდო მარტო 1990 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში შეადგენდა 5,4 მილიარდ ფრანკს, 1989 წელს კი 5,8 მილიარდ ფრანკს, ასეთ მდგომარეობას ხსნიან საბჭოთა კავშირის ფინანსური სიძნელეებით. საფრანგეთი თავისი მოთხოვნების თითქმის მესამედს ნავთობპროდუქტებზე აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის ხარჯზე, ნავთობპროდუქტების ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთში 1982 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ყოველწლიურად იზრდება. მარტო 1990 წლის პირველ შვიდ თვეში საფრანგეთის ექსპორტმა საბჭოთა კავშირში 5 მილიარდი ფრანკი შეადგინა, იმპორტმა კი 10,4 მილიარდი ფრანკი. 1989 წელს საფრანგეთის ექსპორტი სსრ კავშირში 10,9 მილიარდ ფრანკს უდრიდა.

მაგრამ საქმე ამ ციფრებში და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში როდია, თუმცა მათაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ჯაბანასკნელი პერიოდის ურთიერთობაში აისახულია ახალი ურთიერთობის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენში ახალი ევროპული სახლის მშენებლობას ვეძახით, საფრანგეთში კი ევროპულ ფედერაციას უწოდებენ. ამიერიდან ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობას იხილავდნენ, როგორც მეგობრული ახალმწიფოების ურთიერთობას, დაფუძნებულს ნდობაზე, სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე — ჩვენი კონტინენტის საერთოევროპულ სახლად, ევროპულ კონფედერაციად გადაქცევისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულებაში ჩაქსოვილი იყო საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ერთიანობის იდეა ევროპის შემდგომი მოწყობის შესახებ, რომელიც გულისხმობდა დემოკრატიის უზრუნველყოფას კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ადამიანის უფლებებისათვის პატივისცემას, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, საზღვრების ხელშეუხებლობას, უარის თქმის მუქარაზე ან ძალის გამოყენებაზე, გარდა გაეროს წესდების დარღვევის შემთხვევისა. ორივე ჰხარე გამოდიოდა საყოველთაო და მთლიანი განიარაღების მომხრედ და მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების მოთხოვნით. ორივე მხარე მომხრე იყო იმისა, რომ მათ შორის უფრო ფართოდ განვითარდეს ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა გარემოს დაცვის დარგში, სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკაში, ატომური სადგურების უშიშროებაში, ტრანსპორტში, ტელეკომუნიკაციებში, ტელევიზიაში და კოსმოსში, საერეწველო რეკონვერსიაში საწარმოებს შორის პირდაპირი ურთიერთობის დამყარებაში.

თავი VI

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა[1]

მდგომარეობა ომის შემდეგ. 1945 წლის 5 ივნისს ბერლინში მარშალმა გ. ჟუკოვმა, გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა, ფელდმარშალმა ბ. მონტგომერიმ და გენერალმა დელარტიე დე ტასინიმ ხელი მოაწერეს გერმანიის დამარცხების დეკლარაციას და შეთანხმებას ოთხივე სახელმწიფოს მიერ გერმანიაში უმაღლესი ხელისუფლების ხელში აღების შესახებ.

კაპიტულაციის აქტისა და გერმანიის დამარცხების დეკლარაციის საფუძველზე გერმანიის მმართველობა საოკუპაციო ხელისუფლების ხელში გადადიოდა.

გერმანია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად — საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შევიდა აღმოსავლეთ გერმანია — მეკლენბურგი, საქსონია, ტიურინგია-საქსონიის პროვინცია და ბრანდენბურგი. ეს უკანასკნელი 1947 წელს გადაკეთდა საქსონია-ანგალტის მიწად. ზონის მთავარი ქალაქი ბერლინი[2].

ამერიკის ზონაში შევიდა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; ჰესენი, ბავარია, ვიურტენბერგი-ბადენი და ბრემენი. ზონის მთავარი ქალაქი მაინის ფრანკფურტი.

---

[1] ტერიტორია — 356,8 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა 77 მლნ. (1994), დედაქალაქი — ბონი (მცხ. 299,4 ათასი, 1972 წ.).

[2] აღმოსავლეთ გერმანიის საოკუპაციო ზონის ტერიტორია აღმოსავლეთ ბერლინთან ერთად შეადგენდა — 108,2 ათას კვ კმ. მოსახლეობა — 17,3 მლნ კაცს. 1972 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გდრ-ში ცხოვრობდა — 17,011 ათასი კაცი, აღმოსავლეთ ბერლინში — 1097 ათასი კაცი.

ინგლისის ზონაში შევიდა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი: შლეზ-ვიგ-ჰოლშტაინი, ქვედა საქსონია, ჩრდილოეთ რაინი-ვესტფალია და ჰამბურგი. მთავარი ქალაქი ჰამბურგი. საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში შევიდა: რაინლანდ-ფფალცი, ბადენი, ვიურტენბერგ-ჰოჰენ-ცოლერნი. ზონის მთავარი ქალაქი — მაინცი. ბერლინიც დაყოფილი იქნა ოთხ საოკუპაციო ზონად. აღმოსავლეთ ბერლინი შევიდა საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონაში, ხოლო დასავლეთ ბერლინი კი აშშ-ს, ინგლისის და საფრანგეთისაში. დასავლეთის სახელმწიფოების ზონებში შევიდნენ გერმანიის მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებული რაიონები. აქ წარმოებდა მთელი ომამდელი გერმანიის ქვანახშირის ამოღების 82%, მანქანათმშენებლობის 58%, მეტალურგიის 90%. 1945 წლისათვის დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა 43,4 მლნ კაცი.

ყირიმის და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებების საფუძველზე ომის შემდგომ გერმანიაში უნდა აღმოფხვრილიყო ნაციზმი, ფაშიზმი, შოვინიზმი, მილიტარიზმი და შექმნილიყო პირობები, რომ გერმანიას აღარასოდეს დაერღვია მშვიდობა. ამ მიზნით უნდა გატარებულიყო ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, უზრუნველყოფილიყო გერმანიის გაერთიანება მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ქვეყნის გაბატონებული კლასები მთლიანად განიარაღებული აღმოჩნდნენ. მათ განკარგულებაში აღარ იყო სახელმწიფო აპარატი, არმია, პოლიცია, პრესა, რომლებშაც შეწყვიტეს არსებობა. ძალზე შერყეული იყო გერმანიის ბურჟუაზიის პოზიციები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მოგვიანებით ჩატარებული აღწერით დადგინდა, რომ ომის დროს წარმოებული დაბომბვების შედეგად დაზიანდა მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალური პოტენციალის 15%. სამრეწველო წარმოება ომამდელ დონეზე მაღალი იყო, მაგრამ ნედლეულისა და ენერგიის უქონლობის გამო მთელი სამრეწველო ცხოვრება შეწყდა. ქვანახშირის უქონლობისა და უწყლობის გამო პარალიზებული იყო აგრეთვე სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა. მკვეთრად დაეცა მარკის კურსი. შავ ბაზარზე ურთიერთ გაცვლის, ან ყიდვის ერთეულად გადაიქცა სიგარეტები, ვისკი, პენიცილინის ამპულები, ან ამერიკული დოლარი.

ამრიგად, ომის დამთავრებისას გერმანიაში გაბატონდა სამეურ-

ნეო ქაოსი. სამეურნეო ნგრევამ გამოიწვია უმუშევრობა, ეკაბლკარობა, შიში და შიმშილი. გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში შენობების 50% დანგრეული იყო, არ მოქმედებდა წყალსადენი, გაზის საწარმოები და ელექტროსადგურები, შეწყვეტილი ან არასაკმარისი იყო ქალაქების მომარაგება სურსათ-სანოვაგით. 1936 წლის დონესთან შედარებით გერმანიის ეროვნული სიმდიდრე 1/3-ით, სამუშაო ძალა კი 15—20%-ით შემცირდა.

გერმანიის ბურჟუაზიის ეკონომიკური პოზიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ძალზე შერყეული იყო და მას თავისი საკუთარი ძალებით არ შეეძლო დამოუკიდებელი მოქმედება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გერმანიის ბურჟუაზია, როგორც კლასი განადგურდა, ან მისი ეკონომიური სიძლიერე მოისპო. მას იმედი ჰქონდა დასავლეთის ქვეყნების ბურჟუაზიის მხარდაჭერისა.

1945 წლის დასასრულამდე დასავლეთის ზონებში საოკუპაციო ხელისუფლება კრძალავდა ყოველგვარ პოლიტიკურ და პროფკავშირულ საქმიანობას და მხოლოდ 1946 წლიდან იყო ნებადართული ამგვარი საქმიანობა ყველა ზონის მასშტაბით.

ომის დამთავრების პირველ დღიდანვე დასავლეთ გერმანიის კომუნისტებმა დიდი მუშაობა გაიჩალეს ფაშიზმის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად განადგურებული ორგანიზაციების აღსადგენად. გკპ-მ 1946 წლისათვის ძირითადად აღადგინა პარტიული ორგანიზაციები და 1947 წლისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 324 ათას წევრს.

ფაშიზმის კრახის შემდეგ გერმანიის ბურჟუაზია იდეურად და პოლიტიკურად განიარაღებული აღმოჩნდა. ჰიტლერული დიქტატურის დამყარებაში გერმანიის ყველა პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიულსაც დიდი დანაშაული მიუძღოდა, ამიტომ ამ პარტიებმა დაკარგეს პოლიტიკური წონა ქვეყანაში და მათი მექანიკური აღდგენაც გამორიცხული იყო. დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერით დასავლეთ გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია 1947 წლის თებერვალში გაერთიანდა კათოლიკურ პარტიაში — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში, რომელიც შეიქმნა ინგლისის ზონაში. ამ პარტიის ლიდერი გახდა კონდრად ადენაუერი. ეს პარტია დასავლეთ გერმანიის ერთიან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა 1950 წელს. 1945 წელს აშშ-ის ზონაში, ბავარიაში შეიქმნა

აგრეთვე კათოლიკური პარტია ქრისტიან-სოციალური კავშირის სახელწოდებით. ეს ორივე პარტია არ გაერთიანებულა, მაგრამ მათ ურთიერთშორის დადეს პარლამენტური უნია.

1948 წლის დეკემბერში შეიქმნა თავისუფალი დემოკრატიული პარტია, რომელიც ქდპ-გან განსხვავებით აშკარად გამოვიდა ბურჟუაზიული საკუთრების დამცველად.

დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა აგრეთვე სხვადასხვა წვრილი მილიტარისტული, რევანშისტული, რეაქციული ორგანიზაციები, რომელნიც თავიანთ თავს პარტიებს უწოდებდნენ[1].

1946 წელს თავისი მოღვაწეობა განაახლა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც, რომლის იდეური და ორგანიზაციული ცენტრი გახდა 1945 წლის მაისში ჰანოვარში შექმნილი „შუმახერის ბიურო", რაიხსტაგის ყოფილი დეპუტატის კ. შუმახერის მეთაურობით. კურტ შუმახერმა 1945 წლის ზაფხულში განაცხადა, რომ მსხვილმა კაპიტალმა „გერმანიის მართვაში საბოლოოდ გამოავლინა თავისი უუნარობა... ვანამდე, სანამ გერმანიაში შესაძლებელია, რომ დიდი ქონება თავს იყრიდეს უპასუხისმგებლო კერძო პირების ხელში, დემოკრატია არ შეიძლება ითვლებოდეს გარანტირებულად. კონცერნების წარმოუდგენელი ეკონომიკური სიძლიერე საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს, სხვანაირად იგი როგორც პოლიტიკური ძალა ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ იმოქმედებს". სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ მრეწველობის ზოგიერთი დარგის და წამყვანი ბანკების გასახელმწიფოებრიობას, მსხვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვას, მუშათა წარმომადგენლობის გაფართოებას წარმოებაში. პოლიტიკურ დარგში მათ წამოაყენეს სოციალიზმის დამყარების ლოზუნგი. ისინი აცხადებდნენ, რომ ნაციზმთან ერთად გერმანიაში დაემხობა კაპიტალიზმი და დღის წესრიგში დადგება სოციალიზმიო, სოციალიზმის დამყარებას მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ფიქრობდნენ არჩევნების გზით.

ფართო დემაგოგიას მიმართავ აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა (ქდკ), რომელმაც 1945 წლის ივლისში კელნში მიღებულ მანიფესტში მოითხოვა „მსხვილი კაპიტალის, კერძო მონოპოლიების და კონცერნების ბატონობის მოსპობა". 1947 წლის თე-

---

[1] „გერმანელ ჯარისკაცთა კავშირი", „გერმანიის საიმპერიო პარტია", „ეკონომიკური ლორძინების პარტია", „ფოლადის მუზარადის პარტია" და ა. შ.

ეერაალბი. ბოლოს საერთ. პროგრამაში წამოაყენებდნენ. იყო ანტიფაშისტური და ანტიკაპიტალისტური წინადადებები. აქ ლაპარაკი იყო მუშათა მონაწილეობაზე ეკონომიკის მართვაში, მრეწველობის ზოგიერთი დარგის „სოციალიზაციის“ შესახებ და ა. შ.

1948 წლის აპრილამდე კომპარტიის ორგანიზაციები მუშაობდნენ ცალკეული ზონების მიხედვით, რომელთა გაერთიანება დასავლეთ გერმანიის ერთიან კომპარტიად მოხდა 1948 წლის 30 აპრილს კომპარტიის პირველ კონფერენციაზე. კონფერენციამ აირჩია გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობა მაქს რაიმანის მეთაურობით.

§ 19. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა

1946 წლის სექტემბერში აშშ-ისა და ინგლისის მთავრობებმა დადეს შეთანხმება მათი საოკუპაციო ზონების გაერთიანებისა და ბიზონიის შექმნის შესახებ. 1948 წელს ბიზონიას საფრანგეთის ზონაც შეუერთდა და შეიქმნა ტრიზონია. ამავე წელს დასავლეთ გერმანიაში განხორციელდა ფულის რეფორმა, რომელიც დასავლეთ ბერლინზეც გავრცელდა. ანის შედეგი ის იყო, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა დაირღვა. რამაც გამოიწვია გერმანიის ეკონომიკური გათიშვა.

1948 წლის თებერვალ-ივნისში ლონდონში მოიწვიეს კონფერენცია აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის წარმომადგენლებისა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის დამფუძნებელი კრების მოწვევისა და მომავალი სახელმწიფოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ.

1948 წლის 1 სექტემბერს ბონში კ. ადენაუერის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო პარლამენტის საბჭომ, რომელიც შემდგარი იყო ადრე დანიშნული ცალკეული ოლქების ლანდტაგებისა და წამყვანი ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებისაგან. ამ საბჭოს დამფუძნებელი კრება ეწოდა, რომელსაც საოკუპაციო ხელისუფლებამ დაავალა კონსტიტუციის შემუშავება. 1949 წლის 8 მაისს პარლამენტის საბჭომ მოიწონა კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე იქმნებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ). მასში შევიდა 10 ოლქი. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გა-

მოცალადდა პარლამენტი, რომელიც შედგება ბუნდესტაგისა და ბუნ-დესრატისაგან. ბუნდესტაგს (ე. ი. დეპუტატთა პალატას) ირჩევენ საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე 4 წლის ვადით და იგი ასრულებს პარლამენტის ძირითად ფუნქციებს. ბუნდესრატის დეპუტატებს ნიშნავენ ოლქის მთავრობები. სახელმწიფოს მეთაურად ცხადდება პრეზიდენტი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს ბუნდესტაგის დეპუტატებისა და ოლქის ლანდტაგების დელეგატებისაგან შემდგარი სპეციალური საარჩევნო კორპუსი, მაგრამ პრეზიდენტს ბევრად მცირე უფლებები აქვს, ვიდრე ვაიმარის რესპუბლიკის დროს ჰქონდა. აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობის ხელშია, რომელსაც სათავეში უდგას კანცლერი. მას პრეზიდენტის წარდგენით ირჩევს ბუნდესტაგი. საყურადღებოა, რომ კონსტიტუცია კანცლერს ძირითადი პოლიტიკური კურსის ერთპიროვნულად განსაზღვრის უფლებას აძლევს.

გფრ-ში შემავალი ოლქები (მიწები) ავტონომიურ უფლებებს იღებდნენ ფინანსური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხების გადაჭრაში.

კონსტიტუციით დაშვებული იყო ეკონომიკის ცალკეული დარგების ნაციონალიზაცია „სამართლიანი“ კომპენსაციით.

კონსტიტუციით ცხადდებოდა სიტყვის, პრესის და პარტიების თავისუფლება. პროფკავშირებს უფლება ეძლეოდათ მეწარმეებთან კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისა და ა. შ.

კონსტიტუციით, აშშ-ის მსგავსად, წესდებრდა უმაღლესი კონსტიტუციური სასამართლო, რომელსაც ირჩევდა პარლამენტის ორივე პალატა.

1949 წლის აგვისტოში კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა არჩევნები, რომელმაც უმნიშვნელო წარმატება მოუტანა ქდკ-ქსკ ბლოკს (31%). სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 29,2%, კომუნისტებმა — 5,7%.

კანცლერი გახდა კ. ადენაუერი, რომლის მთავრობაში გარდა თავისი პარტიის წარმომადგენლებისა შევიდნენ თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გერმანელთა პარტიის წარმომადგენლები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტებმა 1949 წლის 7 ოქტომბერს ბერლინში საზეიმოდ გამოაცხადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბ-

ლიკის შექმნა. პრემიერ-მინისტრად აირჩიეს ოტო გროტეოლი, რომელმაც შექმნა მთავრობა. ამ მთავრობის შექმნით გერმანიის გათიშვა ორ ნაწილად ფაქტობრივად დაკანონდა.

1949 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცა მთელი ადმინისტრაციული ფუნქციები, რომელსაც მანამდე ასრულებდა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია. იმ გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი, რომელიც გერმანიას ეხებოდა, გადაეცა საბჭოთა საკონტროლო კომისიას.

1949 წლის ოქტომბერში დროებითმა სახალხო პალატამ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც მანამდე მოწონებული იყო გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ. ამ კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა სახალხო საბჭო. პრემიერ-მინისტრის კანდიდატს აყენებდა მხოლოდ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელიც პალატაში „ყველაზე ძლიერ“ ფრაქციას წარმოადგენდა. პრემიერ-მინისტრი პალატაში შემავალ ფრაქციებიდან რაოდენობის შესაბამისად ქმნიდა მთავრობას.

ბ. ადენაუერის მთავრობის საშინაო პოლიტიკა

1950 წელს მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო დაწესებულებებში კომუნისტების საქსახურს, 1951 წლის გაზაფხულზე კი მთავრობამ გკპ არაკონსტიტუციურ პარტიად გამოაცხადა, ხოლო კომპარტიასთან დაკავშირებული გერმანელი ახალგაზრდობის თავისუფალი კავშირი აკრძალა. იმავე წელს მიღებული „საგანგებო კანონით“ დაწესდა 15 წლის პატიმრობა „სახელწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის“. ამ კანონს მთავრობა იყენებდა ყველა იმ დემოკრატიული ძალის წინააღმდეგ, რომელიც გაბედავდა მთავრობის რეაქციული პოლიტიკის გაკრიტიკებას. რეპრესიები განიცადეს ანტიფაშისტებმა, გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრებმა; ამ საზოგადოების ხელმძღვანელს ჰ. ჰამფერს 3 წლის პატიმრობა მიესაჯა. ყველაზე დიდ დევნას კომუნისტები განიცდიდნენ.

გკპ-ის ფრაქციამ ბუნდესტაგში 1949 წლის დეკემბერში შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმადაც მთავრობისათვის

უნდა აეკოლალათ შეიარაღებული [illegible] ხელეშეწყობა და [illegible] წარმოების გაფართოება.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გფრ-ში აკრძალული მაღალი კონიუნქტურის გამო, რასაც ადგილად მშრომელთა [illegible] ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა, ძალზე გაძნელდა კომუნისტების მოღვაწეობა. გკპ-ის მოწოდებები ვერ პოულობდა მხარდაჭერას. 1956 წლის აგვისტოში გკპ აიკრძალა.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია გერმანიის პროფკავშირების გაერთიანება. იგი შეიქმნა 1949 წლის ოქტომბერში და თავის რიგებში აერთიანებდა 5,5 მლნ წევრს. მისი პროგრამა ითვალისწინებდა ბრძოლას მილიტარიზმის წინააღმდეგ, მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციის, ქვეყნის დემოკრატიზაციის და ა. შ. მოთხოვნას. ამ მასობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელობა ჰ. ბეკლერის მეთაურობით ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი, რასაც შედეგად მოჰყვა კომუნისტების განდევნა პროფკავშირებიდან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც (კ. შუმახერის გარდაცვალების შემდეგ) 1952 წლიდან ხელმძღვანელობდა ე. ოლენჰაუერი, თავის მხრივ გამოდიოდა ქვეყნის მილიტარიზაციის და გფრ-ის ნატოს დაჯგუფებაში მონაწილეობის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ დაგმო ადენაუერის მთავრობის მილიტარიზაციის კურსი და მოითხოვა, რომ „მილიტარიზაციის წინააღმდეგ ებრძოლათ ყოველგვარი საშუალებებითა და ფორმებით“. მაგრამ ამ დადგენილებამ ვერ პოვა თავისი განვითარება. სოციალ-დემოკრატები მხოლოდ ოპოზიციით იზღუდებოდნენ პარლამენტში და თავისი მიზნების მიღწევას პარლამენტური ბრძოლის მეთოდებით ცდილობდნენ. ვინაიდან სოციალ-დემოკრატები პარლამენტში უმცირესობას შეადგენდნენ, ისინი ვერ ახდენდნენ მთავრობაზე ზეგავლენას. 1952 წლის იანვარში სოციალ-დემოკრატებმა ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს მიმართეს თხოვნით იმის შესახებ, რომ პარლამენტში რემილიტარიზაციის კანონის მიღებისათვის დადგენილიყო ხმებისუმრავლესობა (2/3. სოციალ-დემოკრატებს ასეთ შემთხვევაში ექნებოდათ მთავრობაზე ზეგავლენის შესაძლებლობა. ამ საკითხებში, მაგრამ ფედერალურმა სასამართლომ უარყო სოციალისტების წინადადება.

ამასთანავე ეს პარტია სასტიკი მოწინააღმდეგე იყო კომუნისტებთან ყოველგვარი თანამშრომლობისა და პირადად მონაწილეობდა გფრ-ში გაჩაღებულ ანტიკომუნისტურ კამპანიაში. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ ომის შემდგომ დადგენილი საზღვრების გადასინჯვას და გდრ-ის ლიკვიდაციას.

გფრ-ის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 50—70-იან წლებში

გერმანიის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს შექმნამ გამოიწვია დისპროპორცია სახალხო მეურნეობაში. გფრ-ის ეკონომიკა 50-იანი წლების შუა პერიოდამდე ამ დისპროპორციის აღმოფხვრის ღონისძიებებით იყო დაკავებული, რომლის დროსაც გაჩაღდა ახალი სამრეწველო მშენებლობა, შეიქმნა ქიმიური, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის, ზუსტი მექანიკის და ოპტიკის ახალი საწარმოები. ბუნებრივია, რომ ახალი საწარმოების შექმნამ და მათი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით აღჭურვამ ხელი შეუწყო წარმოების ზრდას. მრეწველობის აღდგენის პროცესი 1951 წლამდე გაგრძელდა, როდესაც გფრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობამ მესამედით გადააჭარბა ომამდელ დონეს, 1956 წლისათვის კი იგი ორჯერ გაიზარდა.

1949 წლის ოქტომბერში გფრ დაუშვეს „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში", რომელიც შექმნეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც დახმარებას იღებდნენ „მარშალის გეგმით". მართალია, დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებისათვის მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა მთელი რიგი შეზღუდვები ფოლადის წარმოებაზე და ვალდებულებანი გამარჯვებული ქვეყნებისათვის ქვანახშირის მიწოდებაზე და ა. შ. მაგრამ ყველა ეს შეზღუდვა 1951 წლის 18 აპრილის „შუმანის გეგმის" მიღების შემდეგ დასავლეთ გერმანიაზე მოიხსნა. აღნიშნული გეგმა ძალაში შევიდა 1952 წლის 28 ივნისიდან, როდესაც იგი რატიფიცირებულ იქნა ამ ორგანიზაციაში შემავალი ყველა სახელმწიფოთა პარლამენტების მიერ. „შუმანის გეგმით" დასავლეთ გერმანია ისეთივე თანასწორუფლებიანი წევრი გახდა „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანებისა", როგორც საფრანგეთი, იტალია, ბელგია. ჰოლანდია და ლუქსემ-

ბურგი. „შუმანის გეგმის“ მიღების შემდეგ დასავლეთ გერმანიამ მოკლე ხანში წამყვანი ადგილი დაიკავა დასავლეთ ევროპის ბაზარზე. ფოლადის გამოდნობა დასავლეთ გერმანიაში 1948 წლისათვის აღწევდა სულ რაღაც 5,5 მილიონ ტონას, 1956 წლისათვის მიაღწია 23 მილიონ ტონას, ე. ი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ არსებულ დონეს. 1957 წლისათვის დასავლეთ გერმანიამ, საარის ოლქთან ერთად, რომელიც შეუერთდა მას 1957 წლის 1 იანვარს, გამოადნო 27 მილიონი ტონა ფოლადი.

გფრ-მა სამრეწველო განვითარების ტემპებით გაუსწრო ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას (მათ შორის აშშ-ს). 50-იანი წლების შუა ხანებში გფრ-ის წილი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოებაში აღწევდა 10%-ს, ხოლო მზა პროდუქციის ექსპორტით მან უკან ჩამოიტოვა საფრანგეთი და მიუახლოვდა ინგლისს. 1947 წელს გფრ-ის ექსპორტის ხვედრითი წონა მთელი კაპიტალისტური სამყაროს საერთო ექსპორტში შეადგენდა 0,5%-ს, 1950 წელს შეადგენდა 3,6%, 1955 წელს — 7,3%, 1960 წელს კი მიაღწია 10,2%-მდე. ინგლისის ხვედრითი წონა საერთო ექსპორტში 1950—1960 წლებში შემცირდა 11%-დან 8,9%-ამდე. ამრიგად, უკვე 50-იან წლებში გფრ-მა თავისი ექსპორტის მოცულობით უკან ჩამოიტოვა ინგლისი, რასაც მან ვერ მიაღწია ვერც პირველ და ვერც მეორე მსოფლიო ომების წინა პერიოდში. უკვე 1953 წლისათვის გფრ-ის ექსპორტი დასავლეთ ევროპაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა ინგლისის ექსპორტს.

გფრ-ის მრეწველობის სწრაფად ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძირითადი კაპიტალის განახლებამ და წარმოების გაფართოებამ ახალი ტექნიკით აღჭურვის საფუძველზე, რომლის ხარისხით და წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვით გფრ-მა გაუსწრო სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამის საბოლოო შედეგი კი წარმოების საშუალებათა სწრაფი ზრდა იყო. ომის დროს ოკუპირებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯის შედეგად გერმანიის მონოპოლიებმა დააგროვეს უზარმაზარი თანხები, რომელთა საერთო რაოდენობა 40 მლრდ. ოქროს მარკით განისაზღვრებოდა. ამის წყალობით, თუ 1950 წელს კაპიტალის დაბანდება ეკონომიკაში 18,3 მლრდ. მარკას შეადგენდა, 1955 წელს 41 მლრდ. მარკას მიაღწია. ამრიგად, ეს უზარმაზარი თანხა გფრ-ის მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას მოხმარდა. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა

ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა აშშ-ის კაპიტალდაბანდებები და სესხები. „მარშალის გეგმით" გფრ-მა აშშ-საგან მიიღო 4 მლრდ. დოლარი. შეიარაღებაში აღრეული შეზღუდვები და აკრძალვები გამორიცხავდა დიდ საცხედრო ხარჯებსაც. აღმოსავლეთ ევროპიდან გფრ-ში გადასახლებულმა 13 მლნ-მა გერმანელმა და აგრეთვე სხვა უცხოელი მუშების მასობრივმა ჩამოსვლამ აქ შექმნა იაფი სამუშაო ძალის დიდი რეზერვები, რამაც ასევე ხელი შეუწყო წარმოების ზრდას. მუშათა კლასის ექსპლუატაციის ნორმა გფრ-ში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მრეწველობის ზრდას მოჰყვა უმსხვილესი სამრეწველო კონცერნების პოზიციების აღდგენა და გაძლიერება. 50-იანი წლებისათვის ძველი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს, მაგრამ უკვე მაშინ იწყებოდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ახალი გიგანტური ხასიათის მონოპოლიების შექმნა, რომელთაც წამყვანი ადგილი დაიკავეს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

50-იანი წლების ბოლომდე მაღალი კონიუნქტურის წყალობით უმუშევრობა გფრ-ში არ იყო, იზრდებოდა მუშათა რეალური ხელფასი და ფასებიც სტაბილური ხდებოდა. ასეთ ვითარებაში ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა შექმნეს მითი გფრ-ში „ეკონომიკური სასწაულის", კლასთა წინააღმდეგობის გაქრობისა და სხვათა შესახებ.

სინამდვილეში კი განვითარების ბაღალი ტემპები განპირობებული იყო სრულიად რეალური მიზეზებით. ამერიკის სესხმა და კაპიტალურმა დაბანდებებმა 50-იანი წლების შუა ხანებისათვის მიაღწია უზარმაზარ თანხას. ამ პერიოდში გფრ-ს არ ჰქონდა დიდი სამხედრო ხარჯები და თავისუფალ კაპიტალს იყენებდა დიდი საწარმოების შესაქმნელად, რომელიც აღიჭურვა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ამასთან ეკონომიკა ვითარდებოდა 13 მილიონი ახალმოსახლე და გადაადგილებული პირის შედარებით იაფი შრომის ხარჯზე.

50-იანი წლების შუა პერიოდიდან მრეწველობის განვითარება გფრ-ში კვლავ სტაბილურობით ხასიათდებოდა, მაგრამ თუ 1951—1955 წლებში სამრეწველო პროდუქციის ზრდა ყოველწლიურად საშუალოდ 12,3%-ს შეადგენდა, 1956—1960 წლებში იგი უდრი-

და 6—7%-ს 1961—1972 წლებში — 5,1%-ს, ე. ი. ზრდა მკვეთრად დაეცა.

სამრეწველო განვითარების ტემპებით გფრ წინ უსწრებდა აშშ-ს და ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს. 1951—1972 წწ. გფრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობა 4,5-ჯერ გადიდდა.

1960 წლისათვის გფრ კაპიტალისტურ სამყაროში აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზე გამოვიდა სამრეწველო წარმოების მოცულობით, ექსპორტით და ოქროს ვალუტის რეზერვებით. 1960 წლისათვის გფრ-ზე მოდიოდა „საერთო ბაზრის" (რომლის წევრი გფრ გახდა 1958 წლიდან) ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მთელი წარმოების 44%.

მაგრამ ვინაიდან სამოციან წლებში ეროვნული პროდუქციის მატების ტემპები თანდათანობით შემცირდა, გფრ-ს წინ გაუსწრო იაპონიამ, რის შემდეგ 1970 წლიდან გფრ-მა მესამე ადგილზე გადაინაცვლა კაპიტალისტურ სამყაროში სამრეწველო წარმოების მოცულობით.

საყურადღებოა, რომ ტრადიციული დარგების სულ უფრო დიდი ნაწილი იწყებს ჩამორჩენას. მაგალითად, მრეწველობის 14 დარგიდან 50-იანი წლების დამლევიდან 60-იანი წლების დამლევამდე ხვედრითი წონა საერთო ეროვნულ წარმოებაში შეამცირა 9 დარგმა, 5 კი გაიზარდა. ამ ხუთი დარგიდან ფაქტობრივად თავისი ხვედრითი წონა გაზარდა მხოლოდ ორმა (ნავთობდამამუშავებელმა მრეწველობამ და პლასტმასების წარმოებამ), რომლებიც მაღალშზარდი დარგებია. მათი ხვედრითი წონა გაიზარდა 2—3-ჯერ. ამასთანავე ზრდა ამ დარგებისა მიმდინარეობდა კრიზისების დროსაც. სამმა დანარჩენმა დარგმა: ქიმიამ, ელექტროტექნიკამ, საავტომობილო მშენებლობამ — თავისი ხვედრითი წონა 1956—1962 წლებში გაზარდეს 20—30%-ით. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისიდან მათი ხვედრითი წონა მრეწველობის საერთო ბრუნვაში ერთ დონეზე იყო სტაბილიზებული.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი გფრ-ში გაძლიერდა 60-იანი წლების დამდეგიდან, მანამდე კი, კერძოდ 50-იანი წლების შუა ხანებამდე, გფრ-ის მონოპოლიებმა ქვეყნის ეკონომიკაში თავიანთი ომამდელი პოზიციები მთლიანად აღადგინეს.

გფრ-ის შექმნის მომენტიდან სახელმწიფო თავის ეკონომიკურ

პოლიტიკაში ახორციელებდა ღონისძიებებს ფინანსური კაპიტალის ადრე არსებული სტრუქტურის აღორძინებისათვის. ამ მიზნით გამოიცა: 1949 წელს „დაუყოვნებლივ დახმარების ფონდის კანონი“, 1951 წელს „საინვესტიციო დახმარების კანონი“, 1952 წელს „დატვირთვის გათანაბრებისა კანონი“, 1954 წელს „ეკონომიკაზე მთავრობის ზემოქმედების საინვესტიციო პროგრამა“. ყველა ამ კანონის მთავარი ამოცანა იყო შეღავათებისა და ხელსრების მიცემა კონცერნებისათვის. 60-იან წლებამდე წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია ხორციელდებოდა უმთავრესად უკვე არსებული სამრეწველო კონცერნებისა და დიდი ბანკების საფუძველზე. ჩატარდა ტრადიციული მონოპოლიების ე. წ. რეორგანიზაცია და გამსხვილება, რომელიც ძირითადად შეეხო მეტალურგიულ მრეწველობას, ქიმიურ კონცერნ „იგ ფარბენინდუსტრიას“ და სამ დიდ ბანკს. ეს „გამსხვილება“ და „რეორგანიზაცია“ არ ეხებოდა კერძო საკუთრებას და, მაშასადამე, მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის საფუძველს. უნდოდათ, შეექმნათ იაფი შთაბეჭდილება თითქოს პოტსდამის შეთანხმება სრულდებოდა, სინამდვილეში კი ხორციელდებოდა ფინანსური ოლიგარქიის შენარჩუნების პოლიტიკა.

შემთხვევითი არაა, რომ 50-იან წლებში ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებაში წამყვანი პოზიციები დაიკავეს ტრადიციულმა კონცერნებმა „ტისენმა“, „ხეშმა“, „კრუპმა“, „მანესმანმა“ და „კლეკნერმა“. ქიმიურ მრეწველობაში წამყვანი ადგილი დაიკავა „იგ ფარბენინდუსტრიის“ სამმა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულმა მემკვიდრე კონცერნებმა: „ჰოეხსტმა“, „ბაიერმა“, „ბასფმა“. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს კონცერნებმა: „სიმენსმა“, „აეგმა“, „ბოშმა“; საავტომობილო მრეწველობაში — „დიდმა ხუთეულმა“; „ფოლკსვაგენმა“, „დაიმლერ-ბენცმა“, „ოპელმა“, „ფორდმა“ და „ბმვემ“.

1952 წლის კანონით გფრ-ის ტერიტორია სამ საბანკო რაიონად (ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის) დაიყო, რომლებშიც თითოეულს ამ სამი დიდი ბანკიდან ერთი მემკვიდრე ჰყავდა.

ამრიგად, 60-იანი წლების დასაწყისისათვის წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან სამრეწველო საწარმოების კაპიტალი (50 მლნ. მარკაზე ზემოთ) იზრდებოდა 2-ჯერ უფრო სწრაფად. კიდრე 60-იანი წლების პირველ ნახევარში. 1970 წლისათვის 304

მსხვილმა საწარმომ, რომლებიც მთელი საწარმოების 0,5% შეადგენდა, თავის ხელში მოაქცია მრეწველობის მთელი ძირითადი კაპიტალის 60%.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გფრ-ში მკვეთრად ძლიერდება კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესი მსხვილი კონცერნების გაერთიანების ფორმით.

1966 წლის დამლევს ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა „დიდი კოალიციის" (ქდკ — ქსკ — გერმანის სოციალ-დემოკრატიული პარტია) მთავრობამ ოფიციალურად წამოაყენა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროგრამა. ფ. შტრაუსი და კ. შილერი იყვნენ 1967 წელს გამოცემული კანონის ინიციატორები, რომელიც ითვალისწინებდა გაერთიანების შემთხვევაში შეღავათებს გადასახადებში. ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე დიდი გაერთიანებები სწორედ ამ დროიდან იწყება.

კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის ფორსირებული პროცესი „მცირე კოალიციის მთავრობის (ს/დ, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი) ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრი კ. შილერი და სახელმწიფო მდივანი ხ. არნდტი ძალებს არ იშურებდნენ გფრ-ის ეკონომიკის მონოპოლიზაციის პროცესის ხელის შეწყობისათვის, უკანასკნელ წლებში მონოპოლიზაციის პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო, რის გამოც კ. შილერს შეარქვეს „კონცენტრაციით შეპყრობილი მინისტრი".

ბურჟუაზიული ეკონომისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს „მსხვილი კორპორაციები" სახელმწიფოსთან ერთად ქმნიან „ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებას", რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს კაპიტალიზმთან, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს". 60-იანი წლების დამდეგს მონოპოლიზაცია გფრ-ში ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიმდინარეობდა მსხვილი ფირმა-კონცერნებიდან გადასვლით დარგობრივამდე, შემდეგ მთელ ეროვნულ მეურნეობამდე და, ბოლოს, საერთაშორისო მონოპოლიზაციამდე. ამრიგად, მონოპოლიზაციის პროცესი გამოდის ეროვნული ჩარჩოებიდან და იწვევს საერთაშორისო მონოპოლისტური გაერთიანებების შექმნას. დასავლეთ ევროპის მონოპოლიებს შორის წამყვანი ადგილი უკავიათ გფრ-ის მონოპოლისტებს. მაგალითად, 1969 წელს, გფრ-ის შვიდი მსხვილი საწარმოს

რეალიზაციის თითქმის ნახევარი თანხა საზღვარგარეთზე მოდიოდა. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო კონცერნები ამჟამად ვითარდებიან არა მარტო ფილიალების შექმნით, ანდა აქციების შეძენით, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლისტური გაერთიანებების შერწყმითაც. მაგალითად, 60-იანი წლების მეორე ნახევარში შეიქმნა გაერთიანებანი გფრ-ის კონცერნის „ჰეშის" და ჰოლანდიის „ჰოოგოვენსის", რომელნიც ფოლადის წარმოებით არიან დაკავებული. თვითმფრინავების მშენებლობის დარგში გაერთიანდნენ გფრ-ის და ჰოლანდიის კონცერნები, ატომისა და სამხედრო მრეწველობის დარგებში შეიქმნა დასავლეთ ევროპის მრავალეროვანი ჯგუფები, რომლებშიც მონაწილეობდნენ გფრ-ის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიისა და იტალიის კონცერნები.

საერთაშორისო სამრეწველო კონცერნებთან ერთად ანალოგიური მონოპოლიები იქმნება საკრედიტო სფეროში. საბანკო მონოპოლიების ეროვნული ჩარჩოებიდან გამოსვლამ ამ ბოლო დროს მიიღო ინტენსიური ხასიათი და ყველა ამ პროცესში გფრ-ს წამყვანი ადგილი უკავია[1].

1976 წლის ნოემბრის ბოლოს გფრ-ში გამოქვეყნდა უდიდესი სამრეწველო კონცერნების ნუსხა, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაში. ამ რეესტრებში შეტანილია 115 მონოპოლია, რომლებიც ქმნიან ე. წ. „მილიარდერთა კლუბს", რომლის საერთო ბრუნვა თითქმის 500 მლრდ. მარკას აღწევს. ეს ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა მთელი ბრუნვის 66%-ს შეადგენს.

ნუსხაში პირველი ადგილი უჭირავს ელექტროქიმიურ კონცერნს „ფებას", რომლის წლიური ბრუნვა 25 მლრდ. მარკაა, მეორე ადგილზეა ტისენის ფოლადსასხმელი მონოპოლია, მესამეზე — ქიმიური ფირმა „ჰესსტი".

ელექტროტექნიკური მონოპოლია „სიმენსი", რომელსაც ნუსხაში მე-6 ადგილი უჭირავს, ყველას უსწრებს მის საწარმოებში დასაქმებულთა საერთო რიცხვით (300 ათასამდე კაცი).

1974—1975 წლების ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში ყველაზე მეტად დაზარალდა გფრ-ის საავტომობილო მრეწველობა. ამის გამოა, რომ „ფოლკსვაგენის" კონცერნი, რომელიც მრავალი

---

[1] 1973 წელს 50 საერთაშორისო კერძო ბანკი არსებობდა.

წლის განმავლობაში ათასეულში ედგა „მილიარდერთა კლუბს“. ახლა მხოლოდ მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა.

გფრ-ის კაპიტალს მტკიცე პოზიციები უკავია მსოფლიო ბაზარზეც. დასავლეთ გერმანიის რვა კონცერნი მსოფლიოს 30 უდიდესი მონოპოლიის რიცხვში შედის.

გფრ-ის ეკონომიკური წარმატებები 50—60-იან წლებში ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა მონათლეს „ოქროს ხანად“, „საყოველთაო აყვავების“ და სოციალური „სიმშვიდის“ პერიოდად.

დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით გფრ-ში ფაქტობრივად არ განხორციელებულა რაიმე მნიშვნელოვანი ნაციონალიზაცია. სახელმწიფოს ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში ძირითადად მოხმარებაზე მოდის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის როგორც დამკვეთი და საბონლის მომხმარებელი. სახელმწიფო იხმარს მთელი ეროვნული პროდუქციის 1/6.

გფრ-ში სახელმწიფოს საკუთრებაშია: მიწის ცალკეული ნაკვეთები[1], რკინიგზები, შარაგზები, ფოსტა, ენერგეტიკა, საკრედიტო დაწესებულებების დიდი ნაწილი, რიგი სამრეწველო საწარმოები[2]. ზოგიერთ დარგში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო სექტორის ძირითადი რგოლებია: ცენტრალური საემისიო ბანკი, შემნახველი სალაროები, სპეციალური ბანკები, კომერციული ბანკები და ა. შ. ყურადღებას იპყრობს გფრ-ის სახელმწიფოს მონაწილეობა საერთაშორისო საკალუტო ფონდებსა და ევროპულ ფონდებში, სადაც მას საკმაოდ დიდი თანხა — 4,8 მლრდ. მარკა აქვს დაბანდებული. გფრ-ის სახელმწიფო მონაწილეობს აგრეთვე: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში, განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში, ევროპის საინვესტიციო ბანკში, საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციაში, აზიის განვითარების ბანკში და ა. შ.

---

[1] სახელმწიფოს ხელშია მიწისა და ტყის მასივები დაახლოებით 333,3 ათასი ჰექტარის რაოდენობით.

[2] სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებია კონცერნი „ფოლკსვაგენი“, ალუმინის წარმოების 77%, რკინის მადნის წარმოების 54,3%, მსუბუქი მანქანების 44,5%, გემთმშენებლობის 50,0%, ნავთობის წარმოების 30%, საავიაციო ტრანსპორტის 75% და ა. შ.

ცვლილებები სოციალურ სტრუქტურაში. ბურჟუაზიული პარტიების სოციალური სახე. 1950 წლიდან 1969 წლამდე დაქირავებული შრომის ხვედრითი წონა შრომისუნარიან მოსახლეობას შორის გაიზარდა 70,9%-დან 82%-მდე (15,63 მლნ-დან 21,84 მლნ-მდე), ხოლო მესაკუთრეთა რაოდენობა, ხელოსნიდან დაწყებული მსხვილი კაპიტალისტით დამთავრებული, შემცირდა 3,26 მლნ-იდან 2,29 მლნ-მდე, ანუ 42%-ით.

წვრილი და საშუალო მესაკუთრეების გაკოტრების პროცესი თანამედროვე გფრ-ში ფართო ხასიათს ატარებს, საშუალოდ ყოველწლიურად შეადგენს 120—150 ათას კაცს, რომლებიც დაქირავებული შრომის კატეგორიას ემატებიან.

მნიშვნელოვნად იზრდება აგრეთვე დაქირავებული შრომის კატეგორიაში ახალგაზდობის ხვედრითი წონა. 1969 წელს 5 მლნ. ახალგაზრდიდან 25 წლის ასაკამდე 4,84 მლნ. დაქირავებულ შრომას ეწეოდა. დაქირავებული შრომის კატეგორიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა ხვედრითი წონაც. ქალთა რაოდენობა 60-იანი წლების მეორე ნახევარში შეადგენდა 1/3, მაგრამ მათი ხელფასი მამაკაცების ხელფასის მხოლოდ 60%-ს უდრიდა[1].

დაქირავებული შრომის კატეგორიაში აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი გადმოსახლებულნი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და გდრ-დან.

გფრ-ში არიან უცხოელი მუშებიც, რომლებიც ყველაზე მძიმე სამუშაოზე მუშაობენ და ყველაზე დიდ ექსპლუატაციას განიცდიან. უცხოელი მუშები ძირითადად ჩამოდიან თურქეთიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან. მაგალითად, 1957 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 104 ათას კაცს, 1976 წელს კი — 2,5 მლნ. კაცს (ე. ი. 26,5 მლნ. დაქირავებული სამუშაო ძალის 9,4%). ეკონომიკური კრიზისების დროს უცხოელ მუშებს, როგორც წესი, აძევებენ სამუშაოდან და ქვეყნიდან. მაგალითად, 1973 წლის სექტემბრიდან 1975 წლის მარტამდე გფრ-ში უცხოელ მუშათა რაოდენობა 0,5 მლნ. კაცით შემცირდა. საქმე იმაშია, რომ 1973 წლის ნოემბერში გფრ-ის მთავრობამ გამოაცხადა, რომ წყვეტს საზღვარგარეთის მუშების შეკრებას იმის გამო, რომ გფრ-ში ემიგრანტ მუშათა შორის თავი იჩინა უმუშევრობამ.

---

[1] დაქირავებულ შრომას ეწეოდა 14,5 მლნ. მამაკაცი და 7,3 მლნ. ქალი.

60-იანი წლების მეორე ნახევარში გფრ-ში შრომისუნარიანი მოსახლეობიდან მუშათა კლასის ხვედრითი წონა შეადგენდა 70%[1], ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენებისა — 15%, ბურჟუაზიის 3,7%.

მომსახურეობის სფეროში მომუშავე სამუშაო ძალის რაოდენობა გფრ-ში ამ ბოლო დროს განუწყვეტლივ იზრდება.

გფრ-ის მმართველი წრეები საგაფიცვო მოძრაობის თავიდან აცილებისა და თავისი ქვეყნის პოლიტიკური წყობის სტაბილიზაციის მიზნით რიგ დამმობებზე წავიდნენ მშრომელთა მასების წინაშე. 1950 წელთან შედარებით მუშათა რეალური ხელფასი 60-იანი წლების შუა პერიოდამდე გაორკეცდა, ხოლო 1966—1969 წლებში მუშათა სუფთა ხელფასი გაიზარდა 9,1%. ამასთანავე გაიზარდა ახალშწიფო გადასახადები ხელფასზე, შემოღებულ იქნა 40 საათიანი სამუშაო კვირა, ყოველწლიური 3 კვირიანი ფასიანი შვებულება, გაიზარდა პენსიები (იგი ფასების ზრდასთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ გაიზარდა), გაიზარდა დახმარებები მარტოხელა ქალებისათვის და აგრეთვე ბავშვთა რაოდენობის მიხედვით და ა. შ. ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს მილიონობით დასავლეთ გერმანელს, მათ შორის მუშებს, აქციების წვრილ მფლობელებად იქცნენ და ამით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული მონაწილეობა ჰიიღონ მრეწველობის მოგებებში. გერმანელმა სოციოლოგებმა სხვადასხვა ტერმინით მონათლეს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. 50-იანი წლების შუა პერიოდამდე გფრ-ის მშრომელები ცდილობდნენ ომისა და ომის შემდგომ პერიოდში გადატანილი ქრონიკული შიმშილის კომპენსირებას და ამ პერიოდს „სიმაძღრის ტალღას“ (1951—1952 წწ.) და „ჩაცმის ტალღას“ (1952—1953 წწ.) უწოდებენ. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება მოსახლეობის გადასვლა ხანგრძლივი მოხმარების საგნებისა (მაცივრები, ტელევიზორები, ავეჯი და ა. შ.) და ბინის შეძენაზე. ამას ეწოდა „საოჯახო ქონების შეძენის ტალღა“. 60-იანი წლების დასაწყისში ტურიზმის მასობრივ გავრცელებასთან დაკავშირებით გაიზარდა ხარ-

---

[1] მუშათა კლასს თავისი მდგომარეობით უახლოვდება დაქირავებული სამუშაო ძალა, რომელშიც შედის მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკური და სამეცნიერო ინტელიგენციის საშუალო ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჯები დასვენებასა და ტრანსპორტზე, რის გამოც ამ პერიოდს ეწოდა „მოგზაურობის ტალღა". 60-იან წლებში გაიზარდა საქონლის ასორტიმენტის რაოდენობა, მაგრამ ხარჯების დიდი ნაწილი მოდიოდა ავტომანქანების შეძენასა და ამასთან დაკავშირებულ ექსპლუატაციის ხარჯებთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ხარჯები ბინის მოწყობაზე, განათლებაზე[1], დასვენებასა და გართობაზე. მაღალი კონიუნქტურის წყალობით ქრისტიან-დემოკრატიულმა — ქრისტიან-სოციალურმა კავშირმა 20 წლის განმავლობაში შეძლო ხელისუფლების სათავეში შეუცვლელად ყოფნა[2]. ადენაუერმა თავისი პარტია ხალხთა პარტიად გამოაცხადა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ პარტიამ შეძლო თავის მხარეზე მიემხრო ბურჟუაზიის ყველა ფენისა და მშრომელთა მასების უმრავლესობა. მაღალი სამეურნეო კონიუნქტურის და ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების შედეგად, რასაც პარტია თავის „გონივრულ ხელმძღვანელობას" მიაწერდა, ადენაუერის პარტია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა არჩევნების დროს. მაგალითად, 1949 წელს ქდ კავშირმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 32,1%, 1953 წელს — 46,2%, 1957 წ. — 50,7%. შემდეგ იწყება თანდათანობით დაქვეითება და ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის ამ პარტიისაგან ჩამოშორება. მაგალითად, 1961 წელს პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 45,3%, 1965 წელს — 47,6%, 1969 წ. — 46,1%, 1972 წელს — ვადაზე ადრე ჩატარებულ არჩევნებში კი — 44,9%. ამ პარტიის მოკავში-

---

[1] ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებით გფრ-ში 1966 — 1970 წლებში 7,5 მლნ-მა მშრომელმა, ე. ი. შრომისუნარიანთა ყოველმა მესამე წარმომადგენელმა შეიცვალა პროფესია ან კვალიფიკაცია აიმაღლა, 1971 — 1975 წლებში კი — დაახლოებით, 5,2 მლნ-მა კაცმა. სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მაღალია — 1,1-დან 2,5%-მდე გაიზარდა, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა განვითარებულ ქვეყნებს (აშშ-ში — 5,3%, საფრანგეთში — 5%, ინგლისში — 4,2%, იაპონიაში — 5% და ა. შ.).

[2] ქდკ 1973 წლის თავის რიგებში 450 ათას წევრს აერთიანებდა, აქედან 70% კათოლიკეები არიან, 2,5% — ევანგელები. სოციალური ნიშნის მიხედვით ქდკ წმინდა ბურჟუაზიული ხასიათისაა — 30% მეწარმეები და თავისუფალი პროფესიის პირები არიან, 24% — მოსამსახურეები, 13% — მოხელეები, 12% — მუშები. ქდკ-ის ყრილობამ (1973 წ. ივნისში) აირჩია პარტიის ფედერალური გამგეობა და ფედერალური პარტიული კომიტეტები. პარტიის მართვას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი. პარტიის თავმჯდომარეა ჰელმუდ კოლი, ბუნდესტაგში პარტიის ფრაქციის თავმჯდომარეა კარლ კარსტენსი.

რის — ქრისტიან-სოციალური კავშირის პოზიცია აღნიშნულ არჩევნებში შედარებით მყარი იყო და უცვლელი რჩებოდა. 50—60-იან წლებში პარტიისათვის ამომრჩევლების მიერ მიცემული ხმები საშუალოდ 9,5% უდრიდა[1].

გფრ-ში აშკარა ულტრამემარჯვენე რეაქციული ძალები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ შეექმნათ თავიანთი პარტია. ჯერ კიდევ 1946 წლის ივლისში ჩრდილოეთ გერმანიის მიწებზე, შემდეგ კი რაინ-ვესტფალიასა და ჰესენში შეიქმნა ულტრარეაქციული ჯგუფი გერმანელთა მემარჯვენე პარტიის სახელწოდებით, რომელმაც თავისი თავი კონსტიტუციური მონარქიული წყობილების მომხრედ გამოაცხადა. 1950 წელს იგი შეუერთდა გერმანიის საიმპერიო პარტიას. 1964 წლის ნოემბერში კი ამ პარტიამ შექმნა ახალი ნეოფაშისტური პოლიტიკური ორგანიზაცია — გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (ნდპ). მართალია, ნდპ არ გადაქცეულა მასობრივ პარტიად[2], მაგრამ გფრ-ის ოლქებში ლანდტაგის არჩევნებში 1966—1968 წწ. მისი ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა[3].

1969 წელს ნდპ წარმოდგენილი იყო გფრ-ის 7 ოლქის ლანდტაგებში 61 დეპუტატის მანდატით. ბუნდესტაგის 1969 წლის არჩევნებში ნდპ მიიღო 4,3% (1965 წ. კი — 2,1%), მაგრამ პარლამენტში გასვლა მან ვერ მოახერხა. 1972 წლის არჩევნებში ნდპ მიიღო მხოლოდ 207 ათასი ხმა, ე. ი. ამომრჩეველთა ხმების 0,6%, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ პარტიამ შეწყვიტა არსებობა. მან დროებით უკან დაიხია და ხელსაყრელ მომენტს უცდის თავისი რეაქციული საქმიანობის შემდგომი გაჩაღებისათვის.

რაც შეეხება ბურჟუაზიულ ცენტრისტულ-თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, 1966 წლამდე იგი მონაწილეობდა ადენაუერის თითქმის ყველა მთავრობაში. პარტიის ხელმძღვანელობა უფრო

---

[1] 1949 წ. — 5,8%, 1953 წ. — 8,6%, 1957 წ. — 10,5%, 1961 წ. — 9,6%; 1969 წ. — 9,5%, 1972 წ. — 9,7%, 1970 წლისათვის პარტია აერთიანებდა 120 ათას წევრს. ამ პარტიის ლიდერები შტრაუსის მეთაურობით აშკარა ძალის პოზიციაზე იდგნენ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

[2] 1969 წელს ეს პარტია აერთიანებდა 44 ათას წევრს.

[3] ჰესენში მან მიიღო 7,9% ხმა, ბავარიაში — 5,3%, რაინლად-ფვალცში — 6,9%, შლეზვიგ-ჰოლშტეინში — 5,8%, ქვედა საქსონიაში — 7%, ბრემენში — 8,8%. პარტიის თავმჯდომარეა მარტის მუსგნუგი.

მემარჯვენე ფრთის ხელში იყო. ამ პარტიამ თავიანი თავი „მარქსიზმისა და სოციალისტური ექსპერიმენტების“ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა (1957 წელს მიღებულ პროგრამაში). მიუხედავად ამისა ეს პარტია ვერ ზრდიდა გავლენას ამომრჩევლებზე და ვერ აღწევდა წარმატებებს[1]. 1969 წლიდან პარტია მონაწილეობს კოალიციაში სოციალ-დემოკრატებთან. საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელობა გადავიდა მემარცხენეების ხელში და მან აიღო რეალისტური საგარეო პოლიტიკის კურსი.

ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ ძალას ქვეყანაში წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია. მას მხარს უჭერს მუშათა კლასის დიდი ნაწილი, პროფკავშირები და აგრეთვე წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენები. 1959 წელს პარტიის მიერ მიღებული პროგრამა (ბად-გოდესბერგში) კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე ხელშეუხებლად აცხადებს. პროგრამა უარს ამბობს მარქსიზმზე, კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარულ დიქტატურაზე. პარტიის მიზნად გამოცხადებულია „დემოკრატიული სოციალიზმი“, რომლის იდეურ წყაროებად მიჩნეულია „ქრისტიანული ეთიკა“, „ჰუმანიზმი“, „კლასობრივი ფილოსოფია“; ამ ყრილობის შემდეგ ჩატარდა „წმენდა“ პარტიის რიგებისა და პარტიიდან კლასობრივი ბრძოლის ყველა მომხრე გარიცხეს.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ჩვეულებრივ მმართველ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ფაქტობრივად ყოველგვარი ზღვარი წაიშალა, 1973 წლის აპრილში ამ პარტიის ყრილობამ ჰანოვარში იგი გამოაცხადა „სახალხო პარტიად“[2].

---

[1] ამ პარტიის სოციალური ბაზა ძალზე კიწროა, იგი უმნიშვნელო გავლენით სარგებლობს წვრილ და საშუალო მეწარმეებს, მოსელეებსა და მოსამსახურეებს შორის, რომელთა ინტერესების ამსახველად აცხადებს თავის თავს და მათი ინტერესების შესაბამისად მოითხოვს მსხვილი კაპიტალის პოზიციების შესუსტებას. 1949 წელს მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 11,9%; 1953 წ. — 9,5%; 1957 წ. — 7,7%; 1961 წ. — 12,8%; 1965 წ. — 9,5%; 1969 წ. — 5,8%; 1972 წ. — 8,4%, (მიიღო 41 მანდატი ნაცვლად 30 მანდატისა 1969 წელს). პარტიის ხელმძღვანელებია გ. ჰენშერი, ბეეკი და ვ. მიშნეკი.

[2] ს დ პ თავის რიგებში 1 მილიონ წევრს აერთიანებს. პარტიის თავჯდომარე იყო ვილი ბრანდტი, ცენტრალური ორგანოა ყოველკვირეული გაზეთი „ფორვერსტი“ („წინისკენ“).

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარტია თავის რიგებში ძირითადად მაინც „სამუშაო ძალის“ წარმომადგენლებს ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ს[1]. ამიტომ იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამას და წამოაყენოს მათი ინტერესების შესაბამისი მოთხოვნები, რათა ამ ფენებზე თავისი გავლენა შეინარჩუნოს. ეს პარტია მხარს უჭერდა პროფკავშირების მოთხოვნებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხელფასის მომატება, გადასახადების შემცირება მშრომელებზე და გაზრდა მსხვილ კაპიტალზე, პენსიების გაზრდა, შრომის პირობების გაუმჯობესება, მუშათა კლასის პარიტეტული წარმომადგენლობის უფლებების დაცვა საწარმოებში არსებულ წარმომადგენლობათა კომიტეტებში. ასეთი მოთხოვნებისათვის მხარდაჭერის შედეგი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატებმა რიგ არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს[2], მაგრამ მიუხედავად ამისა 1967 წლამდე სოციალ-დემოკრატები „მუდმივი ოპოზიციის“ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

გფრ-ის შესვლა ნატოში. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ზრდა

გფრ-ის შექმნის პირველი დღიდანვე ამ სახელმწიფოს მმართველი წრეები აშშ-ის მხარდაჭერითა და წაქეზებით დაადგნენ შეიარაღებული ძალების აღდგენისა და ქვეყნის მილიტარიზაციის გზას.

ამერიკის სამხედრო წრეები, რომელთა ხელში იმყოფება ნატოს ხელმძღვანელობა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღნიშნულ დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის შეყვანის საქმეს. მათ მიზნად ჰქონ-

---

[1] ეს აშკარად ჩანს სდპ პარტიის რიგითი წევრების შედარებისას ქდკ/ქსკ პარტიის წევრებთან. 1968 წლის მონაცემებით დადგინდა, რომ სდპ-ის წევრების 31% შეადგენდნენ 800 მარკაზე დაბალი ხელფასის მქონენი, ხოლო ქდკ-ის წევრების — 15%. 1400 მარკაზე მეტი ხელფასის მქონენი სდპ-ის წევრების 17% შეადგენენ, ქდკ-ისა კი — 34% (ასეთი კატეგორიის — 12%). ის პირები, რომელნიც დაქირავებული შრომით არ ცხოვრობენ, სდპ-ის წევრების მხოლოდ 6% შეადგენდნენ, ხოლო ქდკ-ის — 31%. მოსამსახურეები სდპ-ში — 23%, ქდკ-ში — 27%, მოხელეები სდპ-ში — 5%, ქდკ-ში — 18%, მუშები სდპ-ში — 47%, ქდკ-ში — 13%.

[2] ბუნდესტაგის არჩევნებში სდპ-მ მიიღო ამომრჩეველთა ხმები: 1949 წელს — 29,2%, 1953 წ. — 28,8%, 1957 წ. — 31,8%, 1961 წ. — 36,6%, 1965 წ. — 39,9%, 1969 წ. — 42,7%, 1972 წ. — 45,8%.

დათ დასახული ახალი ვერმახტის აღდგენა რეალურად არსებულ საბჭოთა საშიშროების ზრდის გამო. 1950 წლის გაზაფხულზე ნატოს სამხედრო კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების (ბუნდესვერის) შექმნის შესახებ იმ მიზნით, რათა მოემზადებინათ გფრ-ის ნატოს დაჯგუფებაში შეყვანა. 1950 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში მოწვეულ აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა და ნატოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიაში სამხედრო წარმოებაზე შეზღუდვის მოხსნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენის ლეგალიზებას და მათ მონაწილეობას დასავლეთის ქვეყნების ე. წ. გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში. ამის საპასუხოდ 1950 წლის 24 ოქტომბერს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პლევენმა წამოაყენა გეგმა („პლევენის გეგმა"), რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ერთიანი არმიის შექმნას და მასში დასავლეთ გერმანიის შეყვანას. ამ გეგმამ ფართო მხარდაჭერა პოვა გფრ-ში, რის შემდეგ გფრ-ის მთელი საგარეო პოლიტიკა სწორედ ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას ემსახურებოდა.

1952 წლის 26 მაისს აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა ბონში ხელი მოაწერეს გფრ-თან „საერთო" ან ბონის ხელშეკრულებას, რომლითაც დასავლეთ გერმანიაში უქმდებოდა საოკუპაციო სტატუსი და გერმანია იღებდა სახელმწიფო სუვერენიტეტს. ამავე დროს „საერთო ხელშეკრულებით" დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე განუსაზღვრელი დროის განმავლობაში რჩებოდა აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის ჯარები. გარდა ამისა, დასავლეთის სახელმწიფოები უფლებას იტოვებდნენ განსაკუთრებულ საშიშ ვითარებაში შემოეღოთ საალყო მდგომარეობა და მთელი ძალაუფლება თავიანთ ხელში აეღოთ.

მეორე დღეს, 27 მაისს, პარიზში ხუთმა სახელმწიფომ, მათ შორის დასავლეთ გერმანიამ, ხელი მოაწერეს ე. წ. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ხელშეკრულებას, მაგრამ იგი 1954 წლის აგვისტოში უარყო საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ.

მალე ამის შემდეგ დადებული პარიზის შეთანხმების მიხედვით დასავლეთ გერმანია შეყვანილი იქნა ჩრდილოეთ ატლანტის ბლოკისა და დასავლეთ ევროპის კავშირის შემადგენლობაში. მას ნება დაერთო შეედგინა 12 დივიზია.

პარიზის შეთანხმებანი ძალაში შევიდა 1955 წლის გაზაფხულზე. დასავლეთ გერმანია 1955 წლის მაისში გახდა ნატოს და ახლად შექმნილ „დასავლეთ ევროპის კავშირის" წევრი.

ამრიგად, პარიზის შეთანხმებით დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენა დაკანონდა. პარიზის შეთანხმებით განისაზღვრა ნახევარმილიონიანი არმიის შექმნა 12 დივიზიის შემადგენლობით.

შეიარაღებული ძალების შექმნასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა 1956 წლის ივლისში მიიღო საყოველთაო სამხედრო სამსახურის კანონი, რომლითაც სამხედრო ვალდებულად ცხადდებოდა მამაკაცები 18-დან 45 წლის ასაკამდე, ომის დროს კი — 60 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ასეთი რაოდენობის შემთხვევაში სამხედრო სამსახური მოიცავს 12 მლნ-ზე მეტ გერმანელს.

პარიზის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ გფრ-ში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების გაზრდა სწრაფი ტემპით წავიდა წინ. ბუნდესვერის პირველი შენაერთები უკვე 1956 წელს შეიქმნა. მალე ამას მოჰყვა საყოველთაო სამხედრო-სავალდებულო სამსახურის შემოღება, სამხედრო სამინისტროს შექმნა და ა. შ.

გფრ-ში აღორძინდა მილიტარისტული ეკონომიკის ბაზა სამხედრო სამრეწველო კონცერნების სახით. აგრეთვე გავლენიანი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. გფრ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიც თავდაპირველად იფარგლებოდა იარაღის საშინაო ბაზრის მიტაცებით და უხმაუროდ ავიწროებდა ოკეანისგაღმელ კოლეგებს. შემდეგ გფრ-ის წელში გამართულმა მონოპოლიებმა შეაღწიეს თავიანთი ნატოელი მოკავშირეების იარაღის ბაზრებში და ჩაებნენ გააფთრებულ ბრძოლაში არა მარტო ფრანგი, ბრიტანელი და ამერიკელი, არამედ იარაღის სხვა მიმწოდებლების წინააღმდეგ. ახლა, როცა თავის მზარდ ძალას გრძნობს, გფრ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ახორციელებს ქმედითს ექსპანსიას სხვა ქვეყნებში და ნატოს ფარგლებს გარეთაც — აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში. გფრ უკვე 60-იან წლებში დაწინაურდა კაპიტალისტურ სამყაროში იარაღის მეოთხე ექსპორტიორის ადგილზე.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩარჩოებში განვითარდა

სამხედრო-სამრეწველო მონოპოლისტური კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი, ხდება მისი ერთიან მექანიზმში შერწყმა სახელმწიფოს სამხედრო-ადმინისტრაციულ აპარატთან, იქმნება სამხედრო წარმოების კაპიტალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმები.

1970 წლიდან დაიწყო სამხედრო ეკონომიკის მართვის სფეროს რეორგანიზაცია, რომლის შედეგად უფრო განმტკიცდა სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების კავშირი სამხედრო-ადმინისტრაციულ ბიუროკრატიასთან. 1970 წლის შუა პერიოდში შეიქმნა გფრ-ის „სამხედრო ეკონომიკის პრობლემების სამუშაო კომიტეტი". მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიის 27 წარმომადგენელმა. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები (თავდაცვის მინისტრი და შეიარაღების საკითხების მთავარი სამმართველოს უფროსი) ბუნდესვერის მაღალი წოდების პირები. ამრიგად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და ბუნდესვერს შორის თანამშრომლობას უფრო მტკიცე ორგანიზაციული ფორმები მიეცა. რეორგანიზაციის შედეგად თავდაცვის სამინისტროში ნაცვლად, „სამხედრო ეკონომიკის" და „სამხედრო ტექნიკის" განყოფილებებისა შეიქმნა შეიარაღების საკითხების მთავარი სამმართველო, რომლის ფუნქციაშია შეიარაღების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ცალკეული შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბების როლი ახალი სისტემის შეიარაღების შემუშავების სფეროში, განმტკიცდა მათი კავშირი მრეწველობასთან და ამით გაფართოვდა შესაძლებლობა გამალებული შეიარაღების დაჩქარებაზე გავლენის მოსახდენად. სამხედრო დაკვეთების განაწილების ე. ი. იარაღის და სამხედრო ტექნიკის შესყიდვის ცენტრალური ორგანოა სამხედრო ეკონომიკისა და ტექნიკის ფედერალური სამმართველო, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 20 ათას კაცამდე აღწევს, და რომელსაც ძალზე მჭიდრო კონტაქტი აქვს სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიებთან. სამხედრო ეკონომიკასა და ტექნიკის სამმართველო თავისი დაკვეთებით სამხედრო წარმოების მოცულობას ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონოპოლიებმა, როდესაც ისინი შეუდგებიან წარმოებას, უკვე იციან

საქონლის რეალიზაციის მინიმალური მოცულობის გასაღების შესაძლებლობა[1].

ბავარია[2] გადაიქცა (კალიფორმიის მსგავსად აშშ-ში) გფრ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მთავარ ბასტიონად. აქაა ადგილსამყოფელი ქვეყნის წამყვანი სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების შტაბ-ბინებისა, ჯქ მუშაობდნენ საწარმოები, რომლებზეც ხვედრითი წონით ყველაზე მეტი სამხედრო დაკვეთები მოდის, იზრდება სამხედრო ბიუჯეტიც. 1974 წელს სამხედრო ბიუჯეტი გფრ-ში შეადგენდა საერთო ბიუჯეტის 21,6%, 1975 წელს შეადგენდა 35,5 მლრდ. მარკას, 1976 წელს კი 47 მლრდ. მარკამდე გაიზარდა. ამ დროს გფრ-ში სამხედრო წარმოებაში დაკავებული იყო 200 ათასზე მეტი კაცი, ხოლო ბუნდესვერის პირადმა შემადგენლობამ 675 ათას კაცამდე მიაღწია. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1958 წლის მარტში ბუნდესტაგმა მიიღო კანონი ბუნდესვერის „თანამედროვე", ე. ი. ბირთვული იარაღით აღჭურვის შესახებ (სოციალისტებმა ამ კანონის მიღების წინააღმდეგ მისცეს ხმა). მალე ამის შემდეგ, 1960 წელს გამოქვეყნდა გფრ-ის „გენერლების მემორანდუმი", რომელიც მოითხოვდა ბუნდესვერის შეიარაღებას საკუთარი ბირთვული იარაღით, გერმანელი გენერლების გავლენის გაზრდას ნატოში და ქვეყნის მილიტარიზაციას. „მემორანდუმი" თავის მოთხოვნებს ამართლებდა აღმოსავლეთიდან აგრესიის საშიშროებით. საყურადღებოა, რომ პარიზის 1954 წლის შეთანხმებით გფრ-მა ვალდებულება იკისრა თავის ტერიტორიაზე არ ეწარმოებინა ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღები. 60-იანი წლების შუა პერიოდში გფრ-ს ჰქონდა მაღალგანვითარებული ატომუ-

---

[1] ამ წინასწარი დაკვეთებით, 1965 — 1970 წლებში „კრაუს-მაფეის" კომპანიის წარმოებამ გამოუშვა 2700 ტანკი, რომელთა საერთო ღირებულებაა 3 მლრდ. მარკა. მანვე, 1975 წლიდან დაიწყო „ავაზა — II" ტიპის ტანკების სერიული გამოშვება, რომლისთვისაც, ოფიციალური ცნობით, 4 მლრდ. მარკის თანხის დაკვეთა მიიღო. ასეთი დაკვეთები მრავალია სხვაცასხვა კონცერნზე.

[2] ბავარიის მოსახლეობა შეადგენს 9,5 მლნ. მცხოვრებს, აქედან 5,8 მლნ. კათოლიკეა. საყურადღებოა, რომ ბავარიის მოსახლეობა ომის შემდგომ შეავსეს გადასახლებულთა დიდმა ნაკადმა აღმოს. ევროპიდან გადასახლებულთა ნაკადი ძალზე ინტენსიური იყო. მან შეადგინ მთელი მოსახლეობის 1/4.

რი მრეწველობა. გფრ-ის მთავრობა წინ აღუდგა ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და განაცხადა, რომ არასოდეს არ მოაწერს ხელს მასზე, ვინაიდან იგი მიზნად ისახავს გფრ-ის შეიარაღებული ძალების განიარაღებას. მან კვლავ მოითხოვა ბუნდესვერის ბირთვული იარაღით შეიარაღება.

1966 წლის დამლევს „დიდი კოალიციის" მთავრობამ (ქდკ/ქსკ — სოციალ-დემოკრატიული პარტია) შეკვეცა თავისი პრეტენზიები ბირთვულ იარაღზე, მაგრამ ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ ამ იარაღს დაპატრონებოდა. ამასთანავე, ტაქტიკა ამ მიზნის მიღწევისა მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, გფრ-ის მთავრობა მოითხოვდა, რათა ამ ხელშეკრულებას ხელი არ შეეშალა მომავალში „ევროპის გაერთიანებული ატომური ძალების" შექმნისათვის. ამით აიხსნება ის, რომ გფრ-მა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მხოლოდ 1969 წლის ნოემბერში, ე. წ. „მცირე კოალიციის" მთავრობის დროს. მაგრამ ხელშეკრულების რატიფიკაცია კიდევ დიდხანს გაჭიანურდა იმის გამო, რომ მოწინააღმდეგენი ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ჩაშლას. მხოლოდ 1975 წლის თებერვლის ბოლოს ბუნდესტაგმა ხმების უმრავლესობით — 355 დადებითი და 90 უარყოფითი ხმით — მიიღო გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციის მომხრედ მარტო მთავრობის პარტიის უმრავლესობა კი არ გამოდიოდა, არამედ ოპოზიციის ნაწილიც. მაგრ ამის შემდეგ ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის გადაწყვეტილება მიიღო ბუნდესრატმაც. ამრიგად, რამდენიმე წელიწადს გაჭიანურებული ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი დადებითად დასრულდა. საყურადღებოა, რომ გფრ-ის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციას ელოდებოდნენ დასავლეთ ევროპის და აგრეთვე იაპონიის მთავრობები.

შეუერთდა რა აღნიშნულ ხელშეკრულებას, გფრ-მა ვალდებულება იკისრა, არ აწარმოოს და არ შეიძინოს ბირთვული იარაღი და არ მიიღოს არავითარი დახმარება მისი წარმოებისათვის. ხელშეკრულება გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას ბირთვული იარაღის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავრცელებაზე და ითვალისწინებს კონტროლის საიმედო სისტემას. კონტროლის გაწევა დაეკისრა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს). შე-

თანხმება კონტროლის შესახებ გფრ-ში ერთდროულად რატიფიცირებულ იქნა ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მიერ. ეს ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, არ ზღუდავს გფრ-ის უფლებებს, მონაწილეობა მიიღოს ატომური ენერგიის მშვიდობიანი გზით გამოყენებაში. პირიქით, ხელშეკრულება ამ მხრივ მოითხოვს ატომურ დარგში საახელმწიფოთა მშვიდობიანი მიზნებისათვის საახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის განვითარებას.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილეთა გამარჯვებას გფრ-ში ხელი შეუწყო აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმაც, განსაკუთრებით იმ დადებითმა ძვრებმა, რომლებიც მოხდა ევროპის კონტიენტზე, კერძოდ, ხელშეკრულების დადებამ გფრ-სა და სსრ კავშირს, პოლონეთსა, გფრ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის. მაგრამ ამის შემდეგაც ბუნდესვერის სხვა სახის იარაღით აღჭურვა მთელი ძალითა და სისწრაფით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში გამალებული შეიარაღების გამო.

ოცი წლის განმავლობაში ბუნდესვერის შეიარაღებისათვის დაიხარჯა 370 მლრდ. მარკა. ბუნდესვერი თანამედროვე დამანგრეველი ტექნიკით უფრო ძლიერადაა შეიარაღებული, ვიდრე მისი პარტნიორები დასავლეთ ევროპაში, რაც მეზობელი ქვეყნების შეშფოთებას იწვევს. ამ მხრივ დამახასიათებელია საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ'ესტენის 1976 წლის 6 მაისს საფრანგეთის ტელევიზიაში გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადება. მან აღნიშნა, რომ საფრანგეთი უნდა აძლიერებდეს თავის შეიარაღებულ ძალებს იმიტომ, რომ გფრ-ის „ძალზე ძლიერად შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ წონასწორობა დაარღვიონ ევროპაში".

მართლაც, ოცი წლის განმავლობაში ბუნდესვერი, ოფიციალურად შექმნის მომენტიდან, გადაიქცა ყველაზე ძლიერ არმიად დასავლეთ ევროპაში, ნატოს დამრტყმელ ძალად. ბუნდესვერის მომარაგების, მომსახურების და დაკომპლექტების საქმით დაკავებულია 185 ათასი სამოქალაქო მომსახურე პერსონალი[1].

---

[1] 1975 წლისთვის ბუნდესვერს ჰქონდა 4 ათასი ტანკი, 7 ათასზე მეტი ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა და ჯავშნიანი ტრანსპორტიორი, ათასზე მეტი თვით-

დასავლეთ გერმანიას საბრძოლო ხარჯებითა და ჯარის სიძლიერით მეორე ადგილი უკავია ნატოში აშშ-ის შემდეგ. ამიტომ გფრ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნატოს სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შემუშავებაზე, თავის საბარგებლოდ ანაწილებს შეიარაღების დაკვეთებს. ნატოში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა ყიდულობს გფრ-ის სამხედრო ტექნიკას. გარდა ამისა, გფრ-ის სამხედრო კონცერნები იარაღს აწვდიან 50 სახელმწიფოს. გფრ-ში დაიწყეს ე. წ. „სასწაული იარაღის" წარმოება. ეს არის საფანტის მსგავსი ბომბების ერთ-ერთი სისტემა, რომლისადმი აშშ დიდ ინტერესს იჩენს.

ბუნდესვერის ჯარები განლაგებული არიან და თავისი სამხედრო მიზნებისათვის იყენებენ ნატოს დაჯგუფების საპოლიგონო ცენტრებს. გფრ-ის მფრინავები და მეზღვაურები სწავლობენ და წვრთნას გადიან ამერიკის ბაზებში არიზონში, სარდინიისა და გრიტოსის კუნძულებზე. გერმანიის ტანკები, წლების განმავლობაში წვრთნას გადიან აგრეთვე კანადის ალბერტის პოლიგონებზე მანიტობში. „ნატოს ჩრდილოეთის ფლანგის დაცვის მიზნით" ბუნდესვერმა, 1977 წ. პირველად ომის შემდეგ მანევრებში მონაწილეობის უფლება მიიღო ნორვეგიის ტერიტორიაზე.

70-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო ბუნდესვერის ფარ-

მავალი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული უმბარებით, 1800 თვითმავალი საზენიტო ქვემეხი, 800-ზე მეტი სხვა სახის თვითმავალი ქვემეხი. ბუნდესვერი შეიარაღებულია ამერიკის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტებით „პერშინგით" და „ლანსით", გამანადგურებლებით „F — 4 ფანტომით", საზენიტო მართვადი რეაქტიული უმბარებით, „ნიკაჰერკულესით". ჯარებს განუწყვეტლივ აწვდიან ისეთ ახალ საბრძოლო ტექნიკას, როგორიცაა ტანკი „ავაზა II", ქვეითი ჯარების საბრძოლო მანქანები „მარდერი", „მილანი" და ა. შ.

გარდა იმ 15 დივიზიონისა, რომლებიც შეიარაღებულია რაკეტებით — „ონესტ ჯონ" და „სერჟანტი", ბუნდესვერს პეინდა აგრეთვე 75 რაკეტა „პერშინგის" დანადგარი, 24 კომპლექსური რაკეტა „ლანსი", 400-ზე მეტი უახლესი ტიპის ბომბდამშენი თვითმფრინავი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბუნდესვერს დიდი რაოდენობით აქვს ყველა სახის რაკეტები ტაქტიკური ბირთვული იარაღისათვის.

თო რეორგანიზაციის განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი იყო ჯარების მობილირების და დარტყმის ძალის ამაღლება[1].

1976 წელს ბუნდესტაგმა მოიწონა ბუნდესვერის თანამედროვე იარაღით აღჭურვის ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო ნაწილების გაძლიერებას, სამხედრო საჰაერო ძალების აღჭურვას 324 მრავალსამიზნო გამანადგურებელ „ტორნადოთი". 1978—1980 წლებში ბუნდესვერის საჰაერო ძალებს შეემატათ 175 „ალფა-ჯეტის" ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი.

---

[1] 1975 წლისათვის სახმელეთო ჯარების განკარგულებაში იყო 17 მოტოქვეითი და ქვეითი ბრიგადა, 16 სატანკო და 3 საპარაშუტო სადესანტო ბრიგადა. ამათგან 5 ბრიგადა მობილური დამრტყმელი შენაერთებია, რომელნიც უაღრესად თანამედროვე შეიარაღებით არიან აღჭურვილი. რეორგანიზაციის შედეგად (რასაც მოჰყვა ახალი შენაერთების შექმნა ქვეით ჯარებში) მნიშვნელოვნად გაიზარდა ტანკების, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების და არტილერიის რაოდენობა.

1975 წელს დაიწყეს სამი ახალი პოლკის შექმნა, რომელთა განკარგულებაში იქნება 200 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით აღჭურვილი ვერტმფრენი.

გფრ-ში თავმოყრილია ნატოს მთავარი ბაზები — როგორც სარაკეტო, ასევე ქვეითი. 1970 წლისათვის დანიიდან ბავარიამდე კონცენტრირებული იყო ნატოს 26 დივიზია, 3 ათასამდე თვითმფრინავი, ორასამდე აეროდრომი. აქ ათასობით კმ-ზე გაყვანილია აგრეთვე მილები საწვავისათვის. აქვეა მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები. დასავლეთ გერმანიაში დისლოცირებულია (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) ამერიკელთა მე-7 არმია 210 ათასი კაცის რაოდენობით (4 დივიზია), რომელიც შეიარაღებულია სარაკეტო-თერმობირთვული იარაღით, დაახლოებით 8 ათასი ატომის და წყალბადის ბომბი აქვს და ამ ბომბების ადგილზე მიტანის 2250 საშუალება.

რაინ-რურის რაიონშია განლაგებული ინგლისური 3 დივიზია 58 ათასი კაცის ოდენობით, რომელნიც ასევე სარაკეტო-ატომური იარაღით არიან შეიარაღებულნი. რაინის არმია ნატოს ემორჩილება.

საფრანგეთის 50 ათასიანი არმია განლაგებულია ტრირსა და ფრაიბურგში. ეს არმია გფრ-თან ორმხრივი შეთანხმებით საფრანგეთის სარდლობას ემორჩილება იმის გამო, რომ საფრანგეთი ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში აღარაა.

დასავლეთ გერმანიაში გფრ-ის ჯარებთან ერთად 1 მლნ-მდე თავიდან ფეხბურთამდე შეიარაღებული ჯარია.

გფრ-ის ნატოში შესვლისა და პარიზის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ გერმანიაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც გფრ-მა დასავლეთ ევროპის კავშირში და ნატოში შესვლის შემდეგ წამყვანი ადგილი დაიკავა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო სისტემაში, იგი გადაიქცა ნატოს სამხედრო დაჯგუფების მთავარ დასაყრდენ ძალად. რა თქმა უნდა, უფროსი პარტნიორის როლს ნატოში ძველებურად აშშ ასრულებდა, მაგრამ გფრ-ის მმართველი წრეები ფიქრობდნენ, ამ დაჯგუფებაში შემავალ სახელმწიფოთა სამხედრო კავშირზე დაყრდნობით თავიანთი პოზიციები და გავლენა გაეძლიერებინათ ევროპასა და მთელ მსოფლიოში და მიეღწიათ მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვისათვის, 1937 წლის საზღვრების აღდგენისათვის. გფრ-ის მმართველმა წრეებმა იმას მიაღწიეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა და ნატოს საბჭომ მხარი დაუჭირეს ამ კურსს. გფრ-ის მმართველმა წრეებმა მიზნად დაისახეს გდრ-ის შთანთქმა. ბონში ამ მიზნით შეიქმნა საერთო-გერმანული საკითხების სამინისტრო[1].

გფრ-ის მთავრობა უარს ამბობდა ეცნო გდრ-ის საერთაშორისო უფლებრიობა. პრეტენზიებს აცხადებდა მთელი გერმანიის წარმომადგენლობაზე. აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ ახორციელებდა მისი გფრ-თან ძალით შერწყმის კურსს.

1955 წლის დეკემბერში ადენაუერის მთავრობის მიერ მიღებული „ჰალშტეინის" დოქტრინა იმ სახელმწიფოებისაგან, რომელთაც გფრ-თან დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ, ულტიმატუური წესით მოითხოვდა ასეთივე ურთიერთობა არ დაემყარებინათ გდრ-თან. ეს დოქტრინა გფრ-მა 1957 წელს გამოიყენა იუგოსლავიის, 1963 წელს კი კუბის წინააღმდეგ, როდესაც მათ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს გდრ-თან. და გაწყვიტა მათთან ურთი-

---

[1] ოფიციალური მონაცემებით გფრ-ში მცხოვრებთა 27%. ე. ი. 14 მლნ-ზე მეტ კაცს ჰყავდა ნათესავები გდრ-ში. გარდა ამისა გფრ-ში კომპაქტურად არიან დასახლებული და სხვადასხვა გაერთიანებაში იმყოფებიან გადმოსახლებულნი, რომელნიც ადრე ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გდრ. 1969 წელს მათი საერთო რაოდენობა იყო 13 მლნ. კაცი.

�itoba. აზიისა და აფრიკის რიგი განვითარებადი ქვეყნები არ შეუშინდნენ გფრ-ის მუქარას და დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა გდრ-თან. 1955 წლის სექტემბერში დასავლეთ გერმანიის მთავრობის დელეგაცია კ. ადენაუერის მეთაურობით მოსკოვში ჩავიდა, რომლის დროსაც დაიდო შეთანხმება სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. საბჭოთა კავშირმა განსხვავებული პოზიცია დაიკავა გერმანიის გაერთიანების საკითხში. თუ აღრე საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა გერმანიის გაერთიანებას საყოველთაო არჩევნების ჩატარების გზით, გფრ-ის შესვლამ ნატოში და დასავლეთ კავშირში, დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა მრავალწლიანმა ანტიკომუნისტურმა და ანტისაბჭოურმა დამუშავებამ შეცვალა საბჭოთა მთავრობის პოზიცია გერმანიის გაერთიანების საკითხში. გფრ-ში 3-ჯერ მეტი ამომრჩეველი იყო, ვიდრე გდრ-ში, და, გასაგებია, თუ როგორი შედეგი მოჰყვებოდა საერთო არჩევნებს. მით უმეტეს აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობა გაერთიანებას დაეჭერდა მხარს. დასავლეთის ქვეყნები „იდეების გეგმის" საფუძველზე წინადადებას იძლეოდნენ გერმანია ვაეერთიანებინათ უცხოელების კონტროლით ჩატარებული თაკისუფალი არჩევნების გზით. 1955 წლის ოქტომბერში ჟენევაში მოწვეულ ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანება უნდა მოხდეს გდრ-თან და გფრ-თან შეთანხმების საფუძველზე. ხოლო ოთხმა სახელმწიფომ მათ ხელი უნდა შეუწყოს გერმანიიდან თავისი ჯარების გაყვანით. საბჭოთა მთავრობის მითითებით გდრ-ის მთავრობამ 1961 წლის აგვისტოში გფრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის არსებულ საზღვრებზე დააწესა კონტროლი, ხოლო მალე ამის შემდეგ მთელ დასავლეთ ბერლინს ქვიტკირის მაღალი კედელი შემოავლეს.

საბჭოთა კავშირმა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მთლიანად მხარს უჭერენ გდრ-ის მთავრობის ღონისძიებებს. კ. ადენაუერმა ნატოს პარტნიორების მხარდაჭერის იმედით მზადყოფნაში მოიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები და სამხედრო აქციებით ფიქრობდა გდრ-ის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას.

კარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, დაიცვან გდრ-ის სახელმწიფო უცხოელთა ჩარევისაგან. რაც შეეხება გფრ-ის ნატოელ პარტნიორებს, მათ სწორად შეაფასეს ძალთა თანაფარდობა და 85 წლის მოხუცი კანცლერი დაარწმუნეს მისი მოქმედების ავანტიურისტულ ხასიათში, რომელსაც შეიძლებოდა კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა.

„ადენაუერის ერის" დასასრული. ლ. ერჰარდისა და კ. კიზინგერის მთავრობები. მთავრობის „დიდი კოალიცია"

15 წლის განმავლობაში კ. ადენაუერის ხელისუფლების საათავეში ყოფნის დროს ქდპ-ში მოხუცი კანცლერის წინააღმდეგ შეიქმნა ძლიერი ოპოზიცია რომელიც კანცლერის გადადგომას მოითხოვდა. ადენაუერის გადადგომას მოითხოვდნენ აგრეთვე ბურჟუაზიის გავლენიანი წრეები და მთავრობის კოალიციაში შემავალი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიდერები. თვითონ კ. ადენაუერი ჯიუტად უბლაუჭებოდა ხელისუფლებას და არ სურდა გადადგომა, მაგრამ მიმდინარე ამბებმა აიძულეს. გადამდგარიყო. 1961 წელს ჩატარდა ბუნდესტაგის არჩევნები. რომლის დროსაც ქდკ/ქსკ პარლამენტში 30 დეპუტატით ნაკლები ადგილი მიიღო. პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 45,4% (1957 წელს კი — 50,2%). მან მიიღო 242 მანდატი (ადრე კი ჰქონდა 270). არჩევნების შემდეგ მთავრობას კვლავ კ. ადენაუერი ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მთავრობის კოალიციაში თავისუფალ დემოკრატთა კავშირი იმ პირობით შევიდა. თუ კ. ადენაუერი გადადგებოდა. ადენაუერის მთავრობას დიდი მორალური დარტყმა მიაყენა აგრეთვე ქრისტიანდემოკრატიულ კავშირთან უნიაში მყოფი ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერისა და თავდაცვის მინისტრის ფ. შტრაუსის ფინანსური ქმედებების გამოაშკარავებამ ჟურნალ „შპიგელის" მიერ. რამაც მთელი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. 1963 წელს შტრაუსი იძულებული გახდა გადამდგარიყო ამავე წლის ოქტომბრის ბოლოს კი გადადგა 87 წლის მოხუცი კ. ადენაუერი.

რომელმაც პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა მაინც დაიტოვა[1]. კანცლერი გახდა დ. ერჰარდი, რომელმაც 1966 წლიდან პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაც დაიკავა. ფინანსურ-მონოპოლისტური წრეები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე და ცდილობდნენ მისთვის პოპულარობა და ავტორიტეტი შეექმნათ. „აღმოსავლეთის პოლიტიკაში" ერჰარდმა არავითარი ცვლილებები არ შეიტანა და ძველებურად „ძალის პოლიტიკის" პოზიციებზე დარჩა, რომელიც აღმოსავლეთში არავის არ აშინებდა. 1964 წლის მარტში თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ერჰარდმა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების გადასინჯვა მოითხოვა და ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა პოლონეთს. ჩეხოსლოვაკიის სუდეტელი გერმანელების წინაშე გამოსვლისას მისი მთავრობის წევრები მიუნხენის სამარცხვინო გარიგებას ძალაში დატოვებულად აცხადებდნენ. საბჭოთა საშიშროების ზრდის გამო ბუნდესვერის ჯარების გენერალ-ინსპექტორმა ტრეტნერმა წამოაყენა პროექტი ატომური ნაღმების სარტყლის შემოვლებისა, ერთი მხრივ, გდრ-სა და, მეორე მხრივ, გფრ-ის და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს შორის. ერჰარდის მთავრობა მხარს უჭერდა აშშ ომს ვიეტნამში და იქ გააგზავნა თავისი სამხედრო სპეციალისტები და სამხედრო-სანიტარული გემები. ერჰარდი აქტიურად უჭერდა მხარს აგრეთვე ისრაელს, რასაც ათმა არაბულმა ქვეყანამ 1965 წელს გფრ-თან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით უპასუხა. ერჰარდის მთავრობის თაოსნობას მიაწერენ გფრ-ის გენერლების მიერ ისრაელის ჯარებისათვის ელვისებური ომის გეგმის შედგენას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ (ისრაელის ექვსდღიანი ომი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ 1967 წელს).

---

[1] გფრ-ის პირველი კანცლერი კ. ადენაუერი (1876 — 1967) თავის მოგონებებში აღიარებს, რომ კანცლერად „მე ამირჩიეს პირველ ტურში კენჭის ყრის დროს ბუნდესტაგის ყველა წევრის აბსოლუტური ხმების უმრავლესობით, თუმცა მხოლოდ 1 ხმის უმრავლესობით. უფრო გვიან მე მკითხეს, მივეცი თუ არა ჩემ თავს ხმა, მე ვუპასუხე: „რასაკვირველია. სხვანაირად მოქცევა მე თვალთმაქცობად მიმაჩნდა". როდესაც კ. ადენაუერი კანცლერად აირჩიეს, იგი 73 წლისა იყო. მის სახელთან დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიის სწრაფი ეკონომიკური აღორძინება დე გაძლიერება. ამიტომაა, რომ კმაყოფილმა ბურჟუაზიამ მის მმართველობას „ადენაუერის ერა" უწოდა.

ერჰარდის დროს ბუნდესტაგში დაჩქარდა ჯერ კიდევ 1960 წელს ადენაუერის მიერ შედგენილი კანონპროექტების, ე. წ. „საგანგებო კანონების“ განხილვა. ამ კანონპროექტმა დიდი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია გფრ-ში. ამიტომ მთავრობა მთელი ხუთი წლის განმავლობაში ვერ ბედავდა „საგანგებო კანონპროექტის“ ბუნდესტაგში განსახილველად შეტანას. ერჰარდმა ამ კანონპროექტებიდან გამოყო ე. წ. „უბრალო“ კანონები და ისინი განსახილველად ბუნდესტაგში ცალ-ცალკე შეიტანა. 1965 წლის ზაფხულში მიიღეს რამდენიმე კანონი, რომელთა შორის აღსანიშნავია კანონი „თავშესაფარი ნაგებობების შესახებ“ და „თავდაცვის შესახებ“, რომელმაც პროგრესული საზოგადოებრიობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

მთავრობას აუმხედრდა კოალიციაში შემავალი ერჰარდის პოლიტიკით უკმაყოფილო და თავისი პარტიის რიგითი წევრების აღშფოთებით შეშინებული თავისუფალ დემოკრატთა ხელმძღვანელობა[1], რომელიც 1966 წლის შემოდგომაზე კოალიციიდან გამოვიდა. საყურადღებოა, რომ ეს პარტია მთავრობის კოალიციაში მთელი 17 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ამას მალე ერჰარდის გადადგომა და მთავრობის კრიზისი მოჰყვა.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1965 წლის არჩევნებამდე ქდკ/ქსკ ზოგიერთი ხელმძღვანელი მომხრე იყო სოციალ-დემოკრატებთან ერთად „დიდი კოალიციის“ შექმნისა. თავისუფალი დემოკრატების კოალიციიდან გამოსვლის შემდეგ ქდკ/ქსკ სხვა გზა აღარ ჰქონდა, სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებაზე უნდა წასულიყო. 1966 წლის 1 დეკემბერს ამ ორივე პარტიის მონაწილეობით შეიქმნა კოალიციური მთავრობა კურტ-გეორგ კიზინგერის (ქდკ) მეთაურობით. ვიცე-კანცლერის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამ-

---

[1] 1965 წლის არჩევნების დროს ქდკ/ქსკ ბუნდესტაგში მიიღო 245 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა — 202 ადგილი, თავისუფალმა დემოკრატებმა — 49 ადგილი. კვლავ კოალიციური მთავრობა შეიქმნა ქდკ/ქსკ და თავისუფალი დემოკრატების მონაწილეობით და ერჰარდის მეთაურობით

დებობა დაიკავა კ�d ბრანტდმა[1], ფინანსთა მინისტრის პოსტი კი — ფ. შტრაუსმა.

„დიდი კოალიციის" შექმნით მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის პოზიციები პარლამენტში და აგრეთვე მისი სოციალური ბაზა სახელმწიფოში. სწორედ მთავრობის შექმნის დროს გფრ-ში თავი იჩინა ჭარბი წარმოების კრიზისმა, რომელიც მოედო მრეწველობის ყველა დარგს და გამოიწვია წარმოების შეკვეცა. უმუშევართა რაოდენობამ 0,5 მლნ. კაცამდე მიაღწია. 1967 წელს ბუნდესტაგმა მიიღო „კანონი სტაბილიზაციის შესახებ", რომლითაც ბიუჯეტიდან იქმნებოდა საკონიუნქტურო ფონდი. მთავრობას შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ შემოეღო 10%-იანი საშემოსავლო გადასახადები კორპორაციებზე. ამით მთავრობას უფლება ეძლეოდა ჩარეულიყო სახალხო მეურნეობაში მისი რეგულირებისა და საქმიანი აქტივობის შეკვეცის ან გაზრდის მიზნით.

1968 წლის 30 მაისს ბუნდესტაგმა აღმოსავლეთიდან საშიშროების გამო დეპუტატთა ხმების ორი მესამედით მიიღო „საგანგებო კანონმდებლობა" იგი მთავრობას უფლებას აძლევდა „განსაკუთრებული საშინაო ან საგარეო სიტუაციის" ამა თუ იმ მოტივით ქვეყანაში გამოეცხადებინა საალყო მდგომარეობა, გაეუქმებინა კონსტიტუციური და პარლამენტური მმართველობა და არმიაზე დაყრდნობით „ეწარმოებინა ბრძოლა საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ".

„დიდი კოალიციის" მთავრობამ საგრძნობლად შეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს იმაში გამოიხატა, რომ „ჰალშტეინის დოქტრინა" უარყოფილ იქნა და გფრ-მა აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა იუგოსლავიასთან და და-

---

[1] ვ. ბრანდტი დაიბადა ლიუბეკში 1913 წელს. იგი ისტორიკოსია. პარტიაში 1930 წელს შევიდა. ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ იყო ემიგრაციაში ნორვეგიაში, სადაც ჟურნალისტობასა და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, 1937 წელს ესპანეთში იბრძოდა სახალხო ფრონტის მთავრობის მხარეზე და ამავე დროს სკანდინავიის გაზეთების კორესპონდენტი იყო. 1945 წელს გერმანიაში დაბრუნდა. 1957—1966 წლებში ბრანდტი დასავლეთ ბერლინის ბუოგომისტრი იყო. ე. ოლენჰაუერის გარდაცვალების შემდეგ 1964 წლიდან ხდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი. ვ. ბრანდტი აირჩიეს აგრეთვე სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარედ.

აძლარა ასევე. ურთიერთობა ლუმინელებთან. მაგრამ არ მოელოდა უარი თქვა გდრ-ის ცნობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1956 წლის აგვისტოში გფრ-ში კომუნისტური პარტია აიკრძალა. 1968 წელს მათ მიაღწიეს ლეგალური მოღვაწეობის უფლებას 1968 წლის სექტემბერში გერმანელთა კომუნისტური პარტია შექმნილად გამოცხადდა.

1969 წლის აპილში ესენში მოიწვიეს პარტიის I ყრილობა, რომელზედაც დასრულდა პარტიის შექმნა. ყრილობამ მიიღო პროგრამა და წესდება. პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტია თავის მოღვაწეობას აგებს „მარქსის, ენგელსის და ლენინის მოძღვრებათა საფუძველზე, მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე, რომლის მიზანია სამყაროს შეცვლა. გკპ იბრძვის იმისათვის, რათა მშრომელმა ხალხმა ხელმძღვანელი როლი მოიპოვოს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში“ პარტიის ამოცანაა „საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა და მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა მშრომელთა სხვა ფენებთან ერთად“.

პარტია უახლოეს ამოცანად აცხადებდა სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიულ განახლებას, მონოპოლიების ხელისუფლების შეზღუდვას, ნეონაციზმის ლიკვიდაციას და მილიტარიზმის დაძლევას, მუშათა კლასის ერთიანი მოქმედების მიღწევას. გკპ-ის თავმჯდომარედ აირჩიეს კურტ ბახმანი. შემდეგ კი ჰერბერტ მისი.

„მცირე კოალიციის“ მთავრობა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1969 წელს ჩატარდა ბუნდესტაგის მორიგი არჩევნები, რომლის დროსაც ქდკ/ქსკ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 46,1%, სოციალდემოკრატებმა — 42,7%, თავისუფალმა დემოკრატებმა — 5,8% და პირველად ომის შემდეგ ძლივს შეინარჩუნეს ადგილები ბუნდესტაგში. მართალია, ნეოფაშისტებმა 1,4 მლნ. ხმა მიიღეს მაგრამ იგი 5% დაბალი იყო (4,3%). ამიტომ მათ ვერ გაიყვანეს თავიანთი წარმომადგენელი ბუნდესტაგში. ამ არჩევნების შემდეგ პირველად მოხდა, რომ გფრ-ის შექმნის დროიდან ქდკ/ქსკ არ ჩაუდგა მთავრობას სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პარტიებთან შედარებით

მან ყველაზე მეტი ხმა მიიღო. კოალიცია შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა, რომელთაც ბუნდესტაგში მხოლოდ 12 დეპუტატით მეტი ჰყავდათ, ვიდრე ქდკ/ქსკ პარტიას. პირველად 20 წლის განმავლობაში მთავრობის გარეშე დარჩნენ და ოპოზიციაში გადავიდნენ ქდკ/ქსკ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ვილი ბრანდტი. ვიცე-კანცლერი გახდა ვალტერ შეელი[1].

საყურადღებოა, რომ სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების დროს ფართო წინასაარჩევნო პროგრამა წამოაყენეს, რომელიც შიდა რეფორმებს ითვალისწინებდა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში — „აღმოსავლური პოლიტიკის" შეცვლას.

„მცირე კოალიციის" მთავრობის მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი მხარე იყო მისი საგარეო პოლიტიკა. ვ. ბრანდტი თავის წიგნში „მშვიდობის პოლიტიკა ევროპაში" გფრ-ის საგარეო პოლიტიკის წინაშე შემდეგნაირ ამოცანებს სახავდა: „შევიცნოთ შესაძლებლობის ზღვარი, გავიგოთ საკუთარი სიძლიერის საზღვრები". იგი, პირდაპირ მიუთითებდა რა მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეუვალ სიძლიერეზე, ხაზს უსვამდა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ომის გზით კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მშვიდობის გზით. იგი წერდა: „ქვეყანას, რომელიც ომის შემთხვევაში უდაბნოდ გადაიქცევა, არ შეიძლება სხვა მიზანი ჰქონდეს, გარდა მშვიდობისადმი მისწრაფებისა".

გფრ-ის აღმოსავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გადასინჯვის აუცილებლობა იმითაც იყო ნაკარნახები, რომ 60-იანი წლების დამლევს ევროპასა და, საერთოდ, მთელ მსოფლიოში დაიწყო „ცივი ომიდან" შემობრუნება, ტენდენცია დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ასეთ პირობებში მეორე მსოფლიო ომის შედეგად დარჩენილი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა მთელი სიმწვავით დგებოდა.

ქდკ/ქსკ საგარეო პოლიტიკური კურსი მთელი ოცი წლის გან-

---

[1] სდპ-თან კოალიციის შექმნის შემდეგ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში გაძლიერდა მემარცხენე მიმდინარეობა ვ. შეელის მეთაურობით, მნიშვნელოვნად შემცირდა ამ პარტიაში მემარჯვენეების გავლენა, რომლებიც ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტებთან კოალიციის შექმნისა. ამ პარტიის ყრილობამ პარტიის თავმჯდომარედ აირჩია ვალტერ შეელი, რომელიც მომხრე იყო სოციალისტებთან კოალიციისა.

მაგლობაში იყო საბჭოთა საშიშროების გამო „ძალის პოზიციის", სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის, რევანშისტული მოწოდებებისა, და ომის შედეგად რეალურად არსებული საზღვრების ცნობაზე უარის თქმისა. ბონის აშკარა რევანშისტული პრეტენზიები უკმაყოფილებას იწვევდა ქვეყნის შიგნითაც და მის პარტნიორებშიც. ძველ პოლიტიკაზე უარის თქმა და სოციალისტურ ქვეყნებთან პრინციპულად ახალი ურთიერთობის გზაზე დადგომა მომწიფებული იყო და ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგრამ გფრ-ის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლა, რომელსაც იგი თავისი შექმნის პირველი დღიდან ახორციელებდა, იოლი როდი იყო. ძველი კურსის შეცვლისათვის საჭირო იყო სიმტკიცე და თანამიმდევრობა.

ასეთი ალტერნატივის წინაშე იდგა ბრანდტ-შეელის მთავრობა, მას უნდა გადაელახა როგორც პოლიტიკური, ასევე ფსიქოლოგიური სიძნელეები და დადგომოდა რეალისტურ გზას — გაეუმჯობესებინა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა და ეცნო მეორე მსოფლიო ომის შედეგად დადგენილი საზღვრები. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დაძაბულობის შენელებისა და სოციალისტურ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების განწყობილება სუფევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგით წევრებს შორისაც.

3. ბრანდტის მთავრობის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯი იყო 1969 წლის 28 ნოემბერს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ეს იყო მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვება, რომელნიც იბრძოდნენ ბუნდესვერის ბირთვული იარაღით შეიარაღების წინააღმდეგ. ამის შემდეგ გფრ-ის ახალმა მთავრობამ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს მიმართა წინადადებით, რათა გფრ-სა და მათ შორის დადებულიყო ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარე უარს იტყოდა ერთმანეთთან ურთიერთობაში ძალის გამოყენების პოლიტიკაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 1970 წლის 12 აგვისტოს, მოსკოვში სსრ კავშირმა და გფრ-მა დადეს ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარემ ცნო ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობა, მათ შორის პოლონეთის საზღვრებისა ოდერსა და ნოისზე და საზღვრებისა გფრ-სა და გდრ-ს შორის. ორივე მხარემ ვალდებულება იკისრა თავი შეეკავებინა ძალის მუქარაზე ან მის გამოყე-

ნებაზე. ასევეა სახალ ხელშეკრულებები დაიდო გფრ-სა და პოლონეთს შორის (1970 წ. 7 დეკემბერს). 1970 წლის შემოდგომიდან ბრანდტის მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება გდრ-ის მთავრობასთან. მაგრამ ეს მოლაპარაკება გაჭიანურდა. მოლაპარაკება გაჭიანურდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიასთან. საქმე იმაში იყო, რომ ქვეყნის შიგნით არსებულმა პოლიტიკურმა ძალებმა შტრაუსის ხელმძღვანელობით გააფთრებული იერიშები წამოიწყეს ბრანდტის მთავრობის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებების რატიფიკაცია. ეს საკითხი მთელი წლინახევრის განმავლობაში გადაიქცა შიდაპოლიტიკური ბრძოლის ცენტრალურ საკითხად. ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა გფრ-ის საგარეო პოლიტიკაზე. შტრაუსმა პირდაპირი ბრძოლა გააჩაღა ბრანდტის მთავრობის დამხობისათვის. აღნიშნული ხელშეკრულების წინააღმდეგ შტრაუსი ცდილობდა გაეერთიანებინა ქვეყნის ყველა რეაქციული, კონსერვატორულ-ნაციონალისტური ელემენტი. ამ მიზნით შეიქმნა ე. წ. „მემარჯვენე კარტელი", რომელიც ეყრდნობოდა: გადასახლებულთა გაერთიანებებს, ნეონაცისტურ პარტიას (ნდპ), სამხედრო მილიტარისტულ ორგანიზაციებს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს. მთელი ამ ოპოზიციის სულის ჩამდგმელი იყო შტრაუსი, რომელიც ამავე დროს შეეცადა, რათა თავისი პარტია — ქრისტიან-სოციალური კავშირი — ბავარიის ფარგლებს გარეთ გამოეყვანა და გადაექცია დასავლეთ გერმანიის პარტიად. ამ მიზნით გფრ-ის მთელ რიგ ქალაქებში იქმნებოდა „ქსკ-ს მეგობართა წრეები". მაგრამ მიუხედავად შტრაუსის დიდი საქმიანობისა, მისი პარტიის გავლენა ვერ გასცილდა ბავარიის საზღვრებს. შტრაუსმა იერიში მიიტანა კოალიციაში შემავალ თავისუფალ დემოკრატთა პარტიაზე, რათა გამოეგლიჯა იგი ამ კოალიციიდან. მართალია, ამას ვერ მიაღწია, მაგრამ ის მაინც შეძლო, რომ გამოიწვია განხეთქილება თავისუფალ დემოკრატთა პარტიაში. ამ პარტიის ყოფილი ლიდერები, მემარჯვენეები ე. მენდე, გ. შტარკე და ზ. ცოგლმანი 1970 წლის დეკემბერში გამოვიდნენ პარტიიდან. კენჭისყრის წინ ოპოზიციას მიემხრო კიდევ ამ პარტიის სამი წევრი, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი წარმომადგენელი პარლამენტში მეტოქის მხარეზე გადავიდა. ამრიგად, მთავრობის კოალიციამ დაკარგა 12 ხმის უპირატესობა და ხმები გათანაბრდა (248:248). ოპოზიცია ბრანდტის მთავრობის დამ-

ხლიბას შეეცადა ნდობის კოტაჟის პროცედურით. მაგრამ მთავრობამ ერთი ხმის უპირატესობით შეინარჩუნა ძალაუფლება. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ბრანდტის მთავრობას ეყო გამბედაობა ბუნდესტაგში კენჭის საყრელად შეეტანა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებები.

საყურადღებოა, რომ ამ დროს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პარტიამ ახალი თავმჯდომარე რ. ბარცელი აირჩია, რომლის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს კიზინგერმა და შტრაუსმა, რაც ნიშნავდა ამ პარტიაში აშკარა მემარჯვენეების გამარჯვებას. ამან გამოიწვია ამ პარტიის ცენტრისტული და მემარცხენე მიმდინარეობების უკმაყოფილება. პარტიაში თავი იჩინა წინააღმდეგობამ. პარტიის ერთი ნაწილი მომხრე იყო აღნიშნული ხელშეკრულებების რატიფიკაციისა. გარდა ამისა, გფრ-ის მრეწველთა საკმაოდ გავლენიანი ნაწილიც მოითხოვდა სოციალისტურ ქვეყნებთან პოლიტიკური და განსაკუთრებით ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას. გაითვალისწინა რა ყველაფერი ეს, ქდკ/ქსკ ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებისათვის კენჭისყრის დროს თავისი პარტიის წევრებს ბუნდესტაგში მიუთითა, რათა თავი შეეკავებინა ხმის მიცემაში მონაწილეობისაგან. ამრიგად, 1972 წლის 17 მაისს ხელშეკრულებები საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან 248 ხმით რატიფიცირებულ იქნა.

ამის შემდეგ ბრანდტის მთავრობამ კვლავ განაახლა მოლაპარაკება გდრ-თან, რომელიც 1972 წლის 9 ნოემბერს დამთავრდა გდრ-სა და გფრ-ს შორის ურთიერთობის საფუძველთა შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით. იგი ითვალისწინებდა ამ ორივე სახელმწიფოსა და ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობას, ძალისა და ძალის მუქარის გამოყენებაზე უარის თქმას, ნორმალური კეთილმეზობლური თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებას, პოლიტიკური წარმომადგენლობის გაცვლას და ა. შ.

ბუნდესტაგში შექმნილი ძალთა თანაფარდობა ორივე მეტოქე პარტიას შორის ეჭვის ქვეშ აყენებდა მთავრობის პოზიციების სიმტკიცეს და საბოლოოდ საქმე უნდა გადაეწყვიტა ახალ რიგგარეშე არჩევნებს, რომელიც ჩატარდა 1972 წლის 19 ნოემბერს.

საყურადღებოა, რომ არჩევნების წინ ქვეყნის ძალებმა აღვირახსნილი კამპანია გააჩაღეს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ

წყრილ მესაკუთრეებს აშინებდნენ. სოციალისტების გამარჯვების შემთხვევაში „ბოლშევიკური კოლექტივიზაცია“ დამკვიდრდება და თავისუფალ ვაჭრობასა და კერძო ინიციატივას ბოლო მოეღებაო. მონოპოლიები არ ზოგავდნენ თანხებს, რათა არჩევნებში წარმატებისათვის ქდკ/ქსკ პარტიას მიეღწია. სოციალ-დემოკრატებმა წერილი და საშუალო მესაკუთრეები დაამშვიდეს თავიანთი განცხადებით, რომ პარტია არ ფიქრობს მეწარმეთა თავისუფლების და კერძო ინიციატივის შეზღუდვას.

არჩევნების შედეგები ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატებმა პირველად ომის შემდეგ არჩევნებში სხვა პარტიებთან შედარებით მიიღეს ყველაზე მეტი ხმები — 45,9% და 230 მანდატი (1969 წ. — 42,7 და 224 მანდატი). მათმა მოკავშირეებმაც თავისუფალმა დემოკრატებმაც გაზარდეს მიღებული ხმების რაოდენობა — 8,4% (წინა არჩევნებში — 5.8%). ქდკ/ქსკ მიიღო ხმების 44.8% და 225 მანდატი (წინა არჩევნებში — 46,1% და 242 მანდატი).

ამრიგად, ამ არჩევნების შემდეგ კოალიციურ მთავრობას ბუნდესტაგში ოპოზიციის წინააღმდეგ 46 მანდატით მეტი ჰქონდა.

ნეოფაშისტურმა პარტიამ გამანადგურებელი მარცხი განიცადა. მან მიიღო ხმების 0,6% (200 ათასი ხმა). ამის შემდეგ კვლავ ორპარტიული კოალიციური მთავრობა შეიმნა ვ. ბრანდტის მეთაურობით.

1972 წლის არჩევნებში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დამარცხებამ ცხადყო, რომ გფრ-ის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაძაბულობის შენელების, სოციალისტურ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის მომხრედ გამოდიოდა. მართალია, ვ. ბრანდტის შემდეგ კი ჰელმუტ შმიდტის მთავრობები ასეთ პოლიტიკას არათანამიმდევრულად ახორციელებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული.

1973 წლის ივნისში ორივე გერმანული სახელმწიფოს პარლამენტებმა მოახდინეს 1972 წელს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც ცნობდა ორივე გერმანული სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორუფლებიანობას, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას. 1974 წლის მარტში ვენაში ორივე გერმანული სახელმწიფოს მთავრობების წარმომადგენლებს შორის მიღწეუ-

ლი შეთანხმების საფუძველზე მათ შორის დამყარდა დიპლომატიური და სხვა სახის ურთიერთობანი. მალე ამის შემდეგ ორივე სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღეს.

1973 წლის 11 დეკემბერს პრაღაში გფრ-მა და ჩეხოსლოვაკიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მიუნხენის სამარცხვინო გარიგების გაუქმების შესახებ[1] და ხელშეკრულებას მათ შორის ურთიერთობის შესახებ, რომლის საფუძველზე ამ ორივე სახელმწიფოს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ამავე წელს გფრ-მა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ბულგარეთთან და უნგრეთთან. 1975 წლის იანვარში გფრ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო ხელშეკრულება ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური კოოპერაციის შესახებ, შემდეგ კი ფართო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა დამყარდა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთანაც.

1972 წლის აჩეენების შემდეგ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს შორის გაფართოვდა როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ დარგებში.

პოლიტიკურ სფეროში ორივე სახელმწიფოს შორის მიღწეულ იქნა ერთგვარი ურთიერთგაგება და ნდობა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1972—1976 წწ., ორივე ქვეყნის ხელმძღვანელი ხუთჯერ შეხვდა ერთმანეთს, რაც ნათლად მეტყველებს, რომ ამ სახელმწიფოთა შორის სრულიად ახალი ურთიერთობა დამყარდა. ორივე მხარისათვის საინტერესო ორმხრივი ურთიერთობა, საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვადასხვა დონეზე პოლიტიკური კონსულტაციების მოწყობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

1974 წლის ოქტომბერში მოსკოვში იმყოფებოდა კანცლერი გ. შმიდტი. ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ჰენშერი, რომლის დროსაც ორივე მხარე შეთანხმდა, რომ მათ მთავრობებს შორის ჩატარდეს რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციები აზრთა ურთიერთგაზიარების შემდგომი განვითარების მიღწევისა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიზ-

[1] 1969 წელს ვენაში ხელი მოაწერეს კონვენციას საერთაშორისო ხელშეკრულებების უფლებრიობის შესახებ, რომლის 52-ე მუხლში ნათქვამია, რომ თუ ხელშეკრულება დადებულია იძულებით ან ძალის გამოყენების მუქარით, იგი ბათილად ცხადდება.

ნით. დადგინდა, რომ ასეთი კონსულტაციები რიგრიგობით ჩატარდეს მოსკოვსა და ბონში არანაკლებ წელიწადში ერთხელ საგარეო საქმეთა მინისტრების ან მათი წარმომადგენლების დონეზე.

საბჭოთა კავშირსა და გფრ შორის მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. 70-იანი წლების დამდეგს დასავლეთის სახელმწიფოთა და მათ შორის გფრ-ის ეკონომიკა მრავალი ისეთ მწვავე პრობლემის წინაშე დადგა, როგორიცაა ეკონომიკის უზრუნველყოფა ენერგეტიკული და ნედლეულის რესურსებით. ამიტომ საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობა ძალზე ხელსაყრელია მათთვის. გ. შმიდტმა მოსკოვში ყოფნის დროს (1974 წ. ოქტომბერში) განაცხადა, რომ „ენერგიის გაძვირებისა და ნედლეულის უკმარისობის პერიოდში საბჭოთა კავშირის მზად ყოფნას თანამშრომლობისათვის სწორედ ამ სფეროში ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს“.

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სსრ კავშირსა და გფრ შორის დაიდო მრავალი სამთავრობათაშორისო და საუწყებათაშორისო შეთანხმება, რომლებიც აუცილებელი იყო სამრეწველო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური სტაბილური კავშირის განხორციელებისათვის. 1972 წლის 5 ივლისს დადებული ხანგრძლივვადიანი შეთანხმება ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ითვალისწინებს ხელსაყრელი პირობების შექმნას ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებისა და საქონლის ბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ეკონომიკური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით მოგვარებას, კერძოდ სამრეწველო საწარმოების მშენებლობას, ლიცენზიების და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლას.

1973 წლის მაისში გფრ-ში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს ათწლიან შეთანხმებას სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ. 1974 წლის იანვარში ხელმოწერილ იქნა ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური ურთიერთ-განვითარების პერსპექტიული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა რიგი ერთიანი პროექტების განხორციელებას.

1974 წლის ოქტომბერში გ. შმიდტის მოსკოვში ყოფნის დროს დაიდო შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელიც ეკონომიკურ,

სამრეწველო და ტექნიკური დაინგებში უზრუნველყოფს შემდგომ პროგრესს, კერძოდ, ითვალისწინებს თანამშრომლობას ნედლეულის დამუშავებისა და ენერგეტიკის სფეროში.

ხუთი წლის განმავლობაში (1970—1975) საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის 4-ჯერ მეტად გაიზარდა. მარტო 1974 წელს იგი 58% გაიზარდა. 1975 წელს გფრ-ის ვაჭრობამ სოციალისტურ ქვეყნებთან შეადგინა 8 მლრდ. მარკა. 1976 წელს კი — 10 მლრდ. მარკა. გფრ გახდა სსრ კავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი.

მნიშვნელოვანია, ორივე ქვეყნის თანამშრომლობა მსხვილმასშტაბიანი ობიექტების მშენებლობაში, კერძოდ ატომურ ენერგეტიკაში, ნავთობქიმიაში, ახალი საბადოების ათვისებაში (ნავთობის, გაზის, შავი და ფერადი ლითონების). სსრ კავშირში ხორციელდებოდა ენერგეტიკული პროდუქციის ერთობლივი ათვისება, რომლის პროდუქციის შემდეგ გფრ-ს მიაწვდიან. მრავალი ხანგრძლივვადიანი კონტრაქტებია დადებული აგრეთვე საკომპენსაციო საწყისებზე:

მეორე დიდი შეთანხმებაა საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდება გფრ-ისათვის და ამ მიზნით დასავლეთ გერმანიაში რუსეთის გაზის მრეწველობისათვის მსხვილდიამეტრიანი ფოლადის მილების შესყიდვა. 1974 წლის ოქტომბერში ორივე მხარემ ხელი მოაწერა მესამე შეთანხმებას, რომლითაც 1978—2000 წლებში რუსეთი გფრ მიაწვდის 60 მლრდ. კუბომეტრ გაზს. ამ და ადრე დადებული შეთანხმების საფუძველზე 1980 წლისათვის საბჭოთა კავშირი გფრ-ს ყოველწლიურად აწვდიდა 10 მლრდ. კუბომეტრ გაზს. ხოლო გფრ-დან იღებდა დიდი დიამეტრის მილებს.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ორივე ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. იგი უპირველეს ყოვლისა მოიცავს მანქანათმშენებლობას და ლითონის დამუშავებას, შავ მეტალურგიას, ქიმიას, ელექტრონიკას და რადიოტექნიკას. ასეთი თანამშრომლობის მიზნით საბჭოთა ორგანიზაციებმა გფრ-ის ფირმებთან დადეს ორმხრივი შეთანხმებები, რომლებშიც მონაწილეობენ: „კრუპი", „სიმენსი", „ჰეჰსტი", „ბაიერი", „დაიმლერ-ბენცი", „აეგ-ტელეფუნკენი" და სხვა უმსხვილესი ფირმები. სულ უფრო ვითარდებოდა სპეციალისტთა, აგრეთვე ინფორმაციების გაცვლა, ხელსაწყოების და სხვადასხვა ნიმუშის ურთიერთმიწოდება და ა. შ.

ამრიგად, მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ამ

ორი ქვეყნის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი შემობრუნება და ძვრები მოხდა.

ბუნდესტაგის არჩევნები 1976 წლის ოქტომბერში. 1976 წლის 3 ოქტომბერს გფრ-ში ჩატარდა ბუნდესტაგის რიგით მერვე არჩევნები. წინასაარჩევნო კამპანია ხასიათდებოდა ძალზე მწვავე ბრძოლით. ურთიერთშორის მებრძოლმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინეს, რათა წარმატებისათვის მიეღწიათ. გფრ-ის პრესამ ამ ბრძოლას „პოლიტიკური სამოქალაქო ომი“ უწოდა. რეკლამის ხარჯები ამ არჩევნებში ძალზე დიდი იყო. პარტიების ხარჯებმა ამ კამპანიის დროს მიაღწია 280 მლნ. მარკას, რაც 12 პროცენტით მეტია, ვიდრე 1972 წლის კამპანიის დროს.

1976 წლის მაისში გფრ-ის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა წინასაარჩევნო პროგრამა. საგარეო პოლიტიკაში იგი მოითხოვდა სოციალისტურ ქვეყნებთან თანაარსებობის, ურთიერთგაგების, ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკური კურსის განხორციელებას. დოკუმენტში მითითებულია, რომ ამ ურთიერთობის მნიშვნელოვანი შედეგია ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებთან.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პარტიის საშინაო პოლიტიკის საკითხებიც, მოცემულია დაპირება ისეთი ღონისძიებების განხორციელებისა, რომლებიც ბოლოს მოუღებენ უმუშევრობას და ეკონომიკის დაქვეითებას. ამასთანავე, აქ ლაპარაკია ნატოს აგრესიული დაჯგუფების გაძლიერების აუცილებლობაზე.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის — ლიდერები ქვეყნის ეკონომიკურ სიძნელეებს, ინფლაციას, ფასებისა და უმუშევრობის ზრდას აბრალებდნენ მთავრობას და ამით ცდილობდნენ მმართველი პარტიებისათვის სახელის გატეხას. არახელსაყრელმა კონიუნქტურამ იმედი მისცა ქდკ/ქსკ ლიდერებს ამ არჩევნებში წარმატებებისა და მთავრობაში დაბრუნებისა. საყურადღებოა, რომ ქდკ/ქსკ ლიდერებმა ბრძოლა ხელისუფლებისათვის 1972 წლის არჩევნებში დამარცხების მეორე დღიდანვე დაიწყეს. ამ ბრძოლამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

ქდკ/ქსკ ლიდერებმა წამოაყენეს ლოზუნგი „სოციალიზმის ნაცელად თავისუფლება!“ და ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს არჩევნების დროს წყდებოდა არსებული სოციალ-ეკონო-

მიკური წყობის და არა პარტიების ხელისუფლებაში შეცვლის საკითხი. ბურუაზიულმა ლიდერებმა ანტიკომუნისტური ისტერიაც გააჩაღეს და ლაყბობდნენ, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა „სახალხო ფრონტის“ შექმნის გზისკენ მიდისო.

ქდკ/ქსკ ლიდერები განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ სოციალ-დემოკრატების სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის პოლიტიკას, რომელსაც „ცალმხრივი დათმობების“ პოლიტიკას უწოდებდნენ.

სოციალ-დემოკრატები ეკონომიკურ საკითხებში მეტოქეებს დაუსაბუთებლად უმტკიცებდნენ, რომ დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით გფრ ნაკლებად მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც თავის დამსახურებად მიიჩნევდნენ, საგარეო პოლიტიკაში კი ცხადყოფდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკური კურსის უპირატესობას „ცივი ომის“ კურსთან შედარებით. სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ხმა მიეცით მშვიდობას!“. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 37 მილიონზე მეტმა კაცმა (ხმის უფლების მქონეთა 91%-მა).

არჩევნების შედეგები შემდეგნაირია: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმების 42,6% და ბუნდესტაგში 214 დეპუტატის ადგილი მიიღო (1972 წელს კი — 45,8% და 230 ადგილი), მისმა პარტნიორმა მთავრობის კოალიციაში თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ — ხმების 7,9% და 39 მანდატი (1972 წ. — 8,4 და 41 ადგილი).

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიამ ხმების 38% და 191 ადგილი მიიღო, ხოლო მისმა ბავარიელმა პარტნიორმა — ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა — 10,6% და 53 მანდატი, ორივემ ერთად კი — 48,6% და 244 ადგილი (1972 წ. — 44.9% და 225 ადგილი).

არჩევნების მთავარი შედეგი ის არის, რომ მთავრობის კოალიციამ ბუნდესტაგში მიიღო დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა — 253 მანდატი 496-დან, რამაც უფლება მისცა მას 4 წლის ვადით კვლავ შეექმნა მთავრობა.

როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, 1972 წლის არჩევნებთან შედარებით სოციალ-დემოკრატებსაც და თავისუფალ დემოკრატებსაც მოაკლდათ ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილი, ხოლო ქდკ/ქსკ ბლოკს მოემატა. საქმე ისაა, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა, თითქმის მილიონმა უმუშევარმა, განუწყვეტელმა სიძვი-

რემ (თუმცა არც ისე ძლიერად, როგორც დასავლეთის ახვა ქვეყნებში). ბინის ქირისა და გადასახადების გადიდებამ — ყველივე ამან საფუძველი მისცა ისეთ გამოცდილ პოლიტიკოსს, როგორიც იყო შტრაუსი, მმართველი კოალიციისათვის დაებრალებინა „ცრუელი გაკოტრება", „ქვეყნის მართვის უუნარობა" და ა. შ. ამავე დროს ქდკ/ქსკ ლიდერები დემაგოგიურად იკაენებდნენ რიგითი ამომრჩევლების ინტერესების დამცველთა პოზიციას, პირდებოდნენ მათ მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ ხელისუფლების სათავეში მოექცეოდნენ.

უნდა გავითვალისწინოთ ის როლიც, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ შეასრულა ამ არჩევნებში. იგი მოუწოდებდა ხალხს „ხმა მიეცით ქრისტიანულად", ე. ი. სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ. და პოლოს, არჩევნების შედეგებმა გამოავლინა მმართველი პარტიების პოლიტიკის ზოგიერთი სუსტი მხარე. ამი მრჩეველთა ფართო წრეები, განსაკუთრებით მშრომელები და ახალგაზრდობა, უკმაყოფილო იყვნენ ამ პარტიების არათანმიმდევრული და გაუბედავი მოქმედებით, იმ ნელი ტემპით, რომლითაც ისინი ახორციელებდნენ დიდი ხნის წინათ მომწიფებულ სოციალურ რეფორმებს.

განვლილი არჩევნების შედეგებს მარტო გფრ-თვის როდი ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. არჩევნების შედეგებმა დადებითი რეაქცია გამოიწვია დასავლეთში, ვინაიდან იქ შიშობდნენ, რომ ქდკ/ქსკ გამარჯვება სიძნელეებს შექმნიდა დასავლეთის კავშირისათვის საერთაშორისო ურთიერთობაში და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობაში.

ამრიგად, გფრ-ის ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა ხმა მისცა მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების კურსის გაგრძელებას. თუ გავითვალისწინებთ გფრ-ის წარსულსა და ევროპაში მის მდგომარეობას, მასზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ჩვენი კონტინენტის ბედი.

ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეკონომიკის ტემპების საშუალო ზრდის დონით გფრ წინ უსწრებდა საერთო ბაზარში შემავალ ყველა ქვეყანას. განსაკუთრებით მაღალ ტემპებს მიაღწიეს მინერალური ნედლეულის გადამუშავებაში, საფეიქრო მრეწველობაში, ინდუსტრიის მშენებლობაში. მოხდა მარკის სტაბილიზაცია. გფრ-მ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ვაჭრობაში, ხოლო თავისი კაპიტალის გატანით აშშ-ს გაუტოლდა. 1988 წელს მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა 8,5%-ით გაიზარდა (1987 წელს კი 5,5%-ით). მსოფლიო ვაჭრობა ლირებულების სახით 14%-ით გაიზარდა და შეადგინა 2 ტრილიონ 740 მილიარდი დოლარი. ასეთ დონეს ფაქტობრივად მიაღწიეს სავაჭრო გაცვლის მოცულობის ზრდის ხარჯზე. 1988 წელს მსოფლიო ექსპორტიორებს შორის პირველი ადგილი აშშ-მა და გფრ-მ გაიყო (11,3 და 11,4%). შემდეგ ადგილზე მოდის იაპონია (9,3%), საფრანგეთი (5,9%) და დიდი ბრიტანეთი (5,1%). იმპორტშიც ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მოდის აშშ-ზე (15,6%), მეორე ადგილზეა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (8,4%), შემდეგ დიდი ბრიტანეთი — (6,4%), იაპონია (6,3%) და საფრანგეთი (5,9%). საბჭოთა კავშირს მსოფლიო ვაჭრობაში მერვე ადგილი ეკავა იტალიისა და კანადის შემდეგ.

გფრ სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობით მესამე ადგილზეა აშშ და იაპონიის შემდეგ. 1985 წლისათვის წარმოებული საერთო ეროვნული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 1830 მილიარდ მარკას (1984 წელს კი — 1746 მილიარდ მარკას). განვითარების უმაღლესი დონით ხასიათდება მეტალურგიული, ქიმიური, ელექტრო-ტექნიკური, მანქანათმშენებლობის დარგები და სამშენებლო მრეწველობა. ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. 25 უმსხვილესი ფირმა აწარმოებს გფრ-ის მთელი წარმოებული პროდუქციის მეოთხედზე მეტს.

გფრ-ის მაღალინტენსიური, ფერმერულ-კაპიტალისტური სოფ-

ლის მეურნეობა აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე 80%-ზე მეტით. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია — მეცხოველეობა (მასზე მოდის სოფლის მეურნეობის წარმოებული პროდუქციის ღირებულების 68%) და მარცვლეულის წარმოება. მარცვლეულის საშუალო მოსავალია — 51,7 ც/ჰა.

ქვეყნის მეურნეობაში დაკავებულია 2 1 მილიონი უცხოელი მუშა. 1985 წელს გფრ-ში 4,4 მილიონი უცხოელი ცხოვრობდა.

გფრ-ს პირველი ადგილი უკავია რუსეთთან ვაჭრობაში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. 1985 წელს საგაჭრო ბრუნვა გფრ-სა და სსრ კავშირს შორის შეადგენდა 7,05 მილიარდ მანეთს. 70-იანი წლებიდან დაწყებული, განსაკუთრებით კი 80-იან წლებში, გფრ-ის ეკონომიკა სწრაფი ტემპებით იზრდებოდა ექსპორტის, კერძო ინვესტიციისა და პირადი მოხმარების ზრდის წყალობით.

1976 წლის 3 ოქტომბერს გფრ-ში ჩატარდა ბუნდესტაგის არჩევნები. სოციალ-დემოკრატები თავისუფალ დემოკრატთა კავშირთან ერთად ხელისუფლების სათავეში იდგნენ 1969 წლიდან. 1974 წლის 16 მაისამდე კანცლერი იყო ვ. ბრანდტი, შემდეგ კი — ჰ. შმიდტი, ხოლო თავისუფალ დემოკრატთა კავშირის პარტიის ლიდერს ჰენრიხ-დიტრიხ ჰენშერს კი ეკავა ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. 1976 წლის არჩევნების შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 42,6%, თავისუფალ დემოკრატებმა — 7,9%, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ქრისტიან სოციალური კავშირის ბლოკმა კი მიიღო ამომრჩეველთა ხმების — 48,6%. არჩევნების შედეგად მმართველი კოალიციის პოზიციები მნიშვნელოვნად შემცირდა. მას მხოლოდ 8 ადგილით მეტი ჰქონდა ბუნდესტაგში ოპოზიციასთან შედარებით. არჩევნების შემდეგ შიდაპოლიტიკური ვითარება დაიძაბა. ოპოზიციურმა ძალებმა ქრისტიან-დემოკრატებიდან გააძლიერეს ბრძოლა მთავრობის კოალიციის წინააღმდეგ, კერძოდ იმისათვის, რომ კოალიციიდან, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ჩამოეშორებინათ თავისუფალი დემოკრატები. 1977 წ. ჩატარდა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ყრილობა, რომელზეც ამ პარტიის ლიდერმა ჰელმუტ კოლმა (იგი ამ პარტიის თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს 1975 წელს 696 ხმით — 707 ხმიდან) მოუწოდა თავისუფალ დემოკრატებს გა-

ეწყვიტათ კავშირი სოციალ-დემოკრატებთან და მისი პარტიისათვის დაეჭირათ მხარი.

სოციალ-დემოკრატები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას და ამ მიზნით მათ რიგი ღონისძიებები განახორციელეს. 1976 წელს მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებით „მუშათა მონაწილეობაზე სამრეწველო საწარმოების მმართველობაში" მუშებს საწარმოების გამგებლობაში მონაწილეობის უფლება მიეცათ, მაგრამ მთელი მმართველობის პროცესი კვლავ მეწარმეების ხელში რჩებოდა. 1977 წელს მიღებული კანონით ცვლილებები შეიტანეს მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში, რომლითაც პენსიები შესაბამისად უნდა გაზრდილიყო ცხოვრების ღირებულების ზრდის შემთხვევაში. სოციალ-დემოკრატები ამ და სხვა სოციალ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების გზით ცდილობდნენ თავის მხარეზე მიემხროთ მუშათა კლასთან ერთად წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენები. ამ მიზანს ემსახურებოდა 1977 წელს ამ პარტიის შემდგარ ყრილობაზე გამოცხადებული დაპირება ჯანმრთელობის დაცვის და პროფესიული განათლების სისტემაში ახალი რეფორმების განხორციელების შესახებ და მართლაც, ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, რომლის წყალობით კოალიცია შენარჩუნებულ იქნა. ამ მთავრობის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა შემდეგი თავისებურებებით: ჰ. შმიდტმა ხელი მოაწერა ჰელსინკის დასკვნით აქტს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. 1978 წლის მაისში გფრ-სა და სსრ კავშირს შორის დაიდო შეთანხმება ვაჭრობის გაფართოების შესახებ. მაგრამ იმის გამო, რომ სსრ კავშირმა ჩეხოსლოვაკიასა და გდრ-ში ძველი სისტემის ბირთვული რაკეტები შეცვალა ახალი საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტებით და გაზარდა კიდეც მათი რაოდენობა, 1979 წლის დეკემბერში ჰ. შმიდტის ინიციატივით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მიიღეს რეზოლუცია დასავლეთ ევროპაში ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგებისათვის მხარის დაჭერის შესახებ. ამის შემდეგ გფრ ნატოს 1979 წლის დეკემბრის სესიაზე დათანხმდა ამერიკის ბირთვული საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგებაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე გფრ-მა 3%-ით გაზარდა სამხედრო ხარჯები ნატოში. გაიზარდა გფრ-ის მიერ ამე-

რიკული იარაღის შეწყვეტაც. ამასთანავე იზრდებოდა გფრ-ის გავლენა დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის სისტემაში. შმიდტმა მხარი დაუჭირა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში პოლიტიკურ ინტეგრაციას და ევროპის პარლამენტის არჩევნებს.

ამასთანავე გფრ-სა და სსრ კავშირს შორის 25 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში ურთიერთობის გაღრმავებისა და კონტრაქტი, ასევე 25 წლით საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე, გაზსადენის მილების სანაცვლოდ.

1980 წლის 5 ოქტომბერს შედგა ბუნდესტაგის არჩევნები, რომლის დროსაც სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 42,9%, თავისუფალ დემოკრატებმა — 10,6%, ქრისტიან-დემოკრატებმა — 44,5%. ამრიგად, მთავრობის კოალიციამ მიიღო ამომრჩეველთა აბსოლუტური ხმების უმრავლესობა — 53,5%. მაგრამ არჩევნების შემდეგ მთავრობის კოალიციაში თავი იჩინა წინააღმდეგობებმა მთელ რიგ საშინაო და საგარეო საკითხებში, განსაკუთრებით, საშინაო პოლიტიკის ისეთ საკითხებში, როგორიცაა მუშათა უფლებების გაფართოება საწარმოების მართვაში და ა. შ. საგარეო პოლიტიკაში კი მოითხოვდნენ ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას გფრ-ის ტერიტორიაზე.

1982 წლის 17 სექტემბერს მოხდა მთავრობის კრიზისი. თავისუფალი დემოკრატები გამოვიდნენ მთავრობის კოალიციიდან, მხარი დაუჭირეს ქრისტიან-დემოკრატებს და მათთან ერთად შექმნეს კოალიციური მთავრობა. ბუნდესტაგმა 1 ოქტომბერს გფრ-ის კანცლერად აირჩია ჰ. კოლი, ვიცე-კანცლერად და საგარეო საქმეთა მინისტრად ჰ. დ. ჰენშერი. ამრიგად, 1982 წლის 17 სექტემბრიდან 13 წლის განმავლობაში (1969 წლიდან) ხელისუფლების სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატებისა და თავისუფალ-დემოკრატების კოალიციური მთავრობა შეიცვალა ქრისტიან-დემოკრატებისა და თავისუფალ-დემოკრატების კოალიციური მთავრობით[1]. 1983 წლის გაზაფხულზე (6 მარტს) შედგა ბუნდესტაგის რიგგარეშე არჩევნები. ამ არჩევნების შემდეგ ბუნდესტაგში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: ქრისტიან-დემოკრატების ბლოკმა მიიღო ხმების 48,8% და 244 დეპუტატის ადგილი, მასთან კოალიციაში მყოფმა თავისუ-

[1] ამ კოალიციამ 1990 წლის 2 დეკემბერს არჩევნებშიც გაიმარჯვა და სათავეში ჩაუდგა ერთიანი გერმანიის მთავრობას.

ფალ-დემოკრატებმა — ხმების 10,3%. ახალმა მწვანეთა პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 5,6% და 27 დეპუტატის ადგილი. ეს პარტია შეიქმნა 1980 წელს სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად და გამოეცხადა გარემოს დაცვის მომხრედ. სოციალ-დემოკრატებმა ხმების 38,2% და 193 ადგილი მიიღეს.

1984 წელს ფედერალურმა კრებამ აირჩია ახალი პრეზიდენტი — რ. ფონ ვაიცზეკერი (1979—1984 წლებში კი იყო კ. კარსტენსი).

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ შეცვალა თავისი დამოკიდებულება ამერიკული ბირთვული იარაღის ევროპაში განლაგების საკითხში. ამ პარტიის ყრილობა კელნში (1983 წლის ნოემბერში) გამოვიდა ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ გფრ-ის ტერიტორიაზე და მოითხოვდა ამ საკითხზე მოლაპარაკების გამართვას სსრ კავშირთან. ხოლო 1984 წლის ამ პარტიის მორიგ ყრილობაზე ესენში წამოაყენეს მოთხოვნა, რათა ჰ. კოლის მთავრობას შეეჩერებინა ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგება გფრ-ის ტერიტორიაზე და სსრ კავშირთან მოლაპარაკება გაემართა. 1984 წ. ქრისტიან დემოკრატების ავტორიტეტს დიდი ზიანი მიაყენა „ფლიკის აფიორამ", რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენლები. საქმე ეხებოდა კონცერნ ფლიკის მიერ გაღებულ ფულად შეწირულობას „ცალკეულ პარტიებისა და პირების მიმართ", სინამდვილეში კი ქრთამების მიცემას, რომლის შედეგად გადადგნენ მეურნეობის მინისტრი ო. ლამბსდორფი და ბუნდესტაგის თავმჯდომარე რ. ბარცელი (მის ნაცვლად აირჩიეს ფ. ენინგერი).

გფრ-ის მთავრობამ მხარი დაუჭირა აშშ-ს სტრატეგიული ინიციატივის („ვარსკვლავეთის ომის") გეგმას და ვალდებულება აიღო მასში მონაწილეობაზე.

1985 წ. გფრ-ში აღინიშნა გერმანიის ომში დამარცხების 40 წელი, როგორც გლოვის დღე. ამავე წელს ქრისტიან-დემოკრატებმა მარცხი განიცადეს ადგილობრივი ორგანოების — ლანდტაგების არჩევნებში ისეთ უმნიშვნელოვანეს ოლქებში, როგორიცაა ზაარის ოლქი (მარტი) ჩრდილოეთ-რაინ-ვესტფალიაში (მაისში) და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში ჰესენში (მარტში). ამ სამივე ოლქში ადგილობრივი გამგეობა სოციალ-დემოკრატების ხელში გადავიდა.

ცვლილებები მოხდა თავისუფალ-დემოკრატიული პარტიის

ხელმძღვანელობაში. პარტიის თავმჯდომარედ გადამდგარი ჰ. დ. ჰენშერის ნაცვლად გახდა მარტინ ბანგემანი.

სოციალ-დემოკრატების წარმატება არჩევნებში გამოწვეული იყო ქვეყნის უშიშროების საკითხებში მათი რეალისტური პოლიტიკით. ისინი მოითხოვდნენ: გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, უარს ამბობდნენ „ვარსკვლავეთის ომის“ პროგრამისათვის მხარდაჭერაზე და მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გამართვას ყველა სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის მიზნით. 1987 წლისათვის დანიშნული პარლამენტის არჩევნებისათვის სოციალ-დემოკრატებმა კანცლერის კანდიდატად 1985 წლის დეკემბერში წამოაყენეს ჩრდილოეთ რაინვესტფალიის პრემიერ-მინისტრი იოჰანეს რაუ[1].

1986 წელს ქრისტიან-დემოკრატებმა მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებები განახორციელეს, რომლის წყალობით მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა 80—90 მილიარდი მარკით გაიზარდა. ასეთი ზრდა 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა. ეს ზრდა მოხდა შემდეგი ღონისძიებების წყალობით: გადასახადების შემცირების შედეგად მოსახლეობამ მიიღო 10 მილიარდი დოლარი, ხელფასის მომატებამ მოსახლეობას მისცა 24 მილიარდი, პენსიების მომატებამ 5 მილიარდი, წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის შემოსავალი გაიზარდა 14 მილიარდით. 1986 წელს 300 ათასით გაიზარდა (1985 წელს 189 ათასით) სამუშაო ადგილები, რის წყალობითაც მოხმარების მოთხოვნა 15 მილიარდი მარკით გაიზარდა. გაიზარდა კერძო ინვესტიციები; განსაკუთრებით ტექნიკური რაციონალიზაციის მიზნით. ამავე წელს ერთგვარი ბუმი იყო საფონდო ბირჟაზე, რაც დაკავშირებული იყო აქციებზე კონცერნების მოგებებიდან გადახდის გაზრდასთან.

მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გაიზარდა ქრისტიან-დემოკრატთა გავლენა მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ბავარიაში. 1986 წ. ოქტომბერში ბავარიაში და განსაკუთრებით ჰამბურგში (ნოემბერი) ჩატარებული არჩევნების დროს

---

[1] ი. რაუ დაიბადა 1931 წ. გსდპ-ის წევრია 1957 წლიდან. 1958 წელს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ოლქის დეპუტატია, 1970 — 1978 წწ. მეცნიერების მინისტრია, 1977 წ. ამ ოლქის გსდპ-ის თავმჯდომარეა, 1978 წლიდან ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის პრემიერ-მინისტრია, 1982 წლიდან გსდპ-ის თავმჯდომარის მოადგილეა.

წარმატებას მიაღწიეს ქრისტიან-დემოკრატებმა. სოციალ-დემოკრატებმა კი სასტიკი მარცხი განიცადეს.

1987 წლის 25 იანვარს შედგა პარლამენტის არჩევნები, ქრისტიან-დემოკრატების ბლოკმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 44,3% (1983 წ. კი 48,8%) და ხელისუფლება შეინარჩუნა იმის წყალობით. რომ მისმა პარტნიორმა კოალიციაში — თავისუფალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 9,1% ხმა. ახალ ბუნდესტაგში მთავრობის კოალიციამ მიიღო 269 ადგილი (497-დან). სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 186 ადგილი (ამომრჩეველთა ხმების 37%), (1983 წ. 38,2% და 193 ადგილი). დიდ წარმატებას მიაღწია წინა არჩევნებთან შედარებით „მწვანეთა პარტიამ", რომელმაც მიიღო 8,3% ხმა (1983 წ. მიიღო — 5,5%), მაგრამ არჩევნების დამთავრებისთანავე თავი იჩინა სერიოზულმა წინააღმდეგობამ მმართველ პარტიაში საგადასახადო პოლიტიკასა და მართლწესრიგის დაცვის საქმეში, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის კურსის ასპექტთან დაკავშირებით. ამის გამო გართულდა ფედერალური მთავრობის შექმნა. ჰ. კოლის არჩევისას ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე საკუთარი მმართველი პარტიის ბუნდესტაგის 15 დეპუტატმა მისი კანდიდატურის წინააღმდეგ მისცა ხმა. ამის გამო ჰ. კოლმა მხოლოდ 4 ხმით მეტი მიიღო, ვიდრე საჭირო იყო მისი არჩევისათვის (საჭირო ხმების მინიმუმისათვის). ახალ კაბინეტში თავისუფალმა დემოკრატებმა ადრე მის ხელში მყოფი სამინისტროების (საგარეო, იუსტიციისა და ეკონომიკის) გარდა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც.

ახალმა მთავრობამ კვლავ გააგრძელა ნახევილი ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მოგებების გაზრდისა და კაპიტალის დაგროვებისათვის. ამასთანავე მთავრობამ და მეწარმეებმა შეასუსტეს წერილი და საშუალო მეწარმეებისა და მშრომელებისათვის ბიზნესში მონაწილეობისათვის არსებული ხელშემშლელი პირობები.

მთავრობა და მეწარმეები იძულებული გახდნენ გაეთვალისწინებინათ პროფკავშირებისა და ხალხის მოთხოვნები 35-საათიანი სამუშაო კვირის შემოღებაზე და დათანხმებულიყვნენ ზოგიერთ საწარმოებში შემოეღოთ 37 საათიანი სამუშაო კვირა.

ქრისტიან-დემოკრატებმა, ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობისა და ხალხში სიმდიდრის ზრდის მიზნით, 1987 წლის

4 მაისს გამოაქვეყნეს გადაწყვეტილება თავისუფალ ბაზართან ერთად „რეგულირებული ბაზრის“ გახსნის შესახებ. კერძო საწარმოების გაფართოების შესაძლებლობის მიზნით ხდებოდა აქციების გამოშვება და რეალიზაცია. ვინაიდან ბევრი წვრილი და საშუალო მეწარმეებისათვის საფონდო ბირჟა მიუწვდომელი იყო დიდი თანხის მინიმუმის არსებობის გამო, მთავრობამ საფონდო ბირჟებზე შეამცირა თანხის შეძენის მინიმუმი და დააწესა 500 ათას მარკამდე, შემცირდა საბირჟო გადასახადები და ა. შ. ერთი სიტყვით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საწარმოებში კერძო კაპიტალის დაბანდებისათვის. ერთი წლის განმავლობაში 15,6 მილიარდი მარკის ოდენობის აქცია გაიყიდა. მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო საწარმოების გაყიდვა (პრივატიზაცია) და ასეთი საწარმოებისათვის აქციების გამოშვება და რეალიზაცია. გამოშვებული აქციების დიდ ნაწილს მშრომელები იძენდნენ. ჯერ კიდევ 1982 წლიდან დაიწყეს ქრისტიან-დემოკრატებმა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პოლიტიკა. 1988 წლის მეორე ნახევრისათვის 808 სახელმწიფო საწარმოდან გაიყიდა 309, რომლის შედეგად ფედერალურ ბიუჯეტში 1984 წლიდან 1988 წლამდე შევიდა 6,6 მილიარდი მარკა. პრივატიზაციის ანგარიშიდან 0,4%-ით დაფინანსდა ფედერალური ხარჯები. კერძო პირების ხელში გადავიდა ეფექტურად მომუშავე ისეთი მსხვილი სახელმწიფო კონცერნები, როგორიცაა „ფოლკსვაგენი“, „ფება“, „ფაგი“. დენაციონალიზაციის კურსის გატარებასთან ერთად ხორციელდებოდა კაპიტალის მკაცრი ცენტრალიზაციის კურსი. „დოიჩე ბანკმა“ ხელთ იგდო უმსხვილესი სამრეწველო და ფინანსური კონცერნები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ფინანსურ სფეროში. მისი განხორციელება (პირველი ეტაპი) 1986 წელს დაიწყო, როდესაც მიიღეს კანონი გადასახადების შემცირების შესახებ. მეორე ეტაპი 1989—1990 წელს განხორციელდა, როდესაც 40 მილიარდი მარკის ოდენობით შემცირდა საშემოსავლო გადასახადები და გადასახადები კორპორაციებზე. ამის გამო მკვეთრად შემცირდა საშემოსავლო შესატანი სახელმწიფო ბიუჯეტში. 1990 წელს ძალაში შევიდა კიდევ ერთი საგადასახადო რეფორმა, რომლითაც ბიუჯეტში ამ გზით მიღებული თანხა 44 მილიარდი მარკით შემცირდა. ამ ღონისძიებების განხორციელებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მმართველი ქრისტიან-დემოკრატების ბლოკის გავლენა მასებზე. 1987

წლის მაისში ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში 40 წლიანი ბატონობის შემდეგ ჰესენის ოლქში მარცხი განიცადა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და გაიმარჯვეს ქრისტიან-დემოკრატებმა (42,1%, წინა არჩევნებში კი მხოლოდ 39,4%). დიდ წარმატებებს მიაღწია თავისუფალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მწვანეთა პარტიამ. აქ შეიქმნა ქრისტიანებისა და თავისუფალ-დემოკრატების ბლოკი. სოციალ-დემოკრატები დამარცხდნენ ბრემენში, მაგრამ გაიმარჯვეს ჰამბურგში და შლეზვიგ-ჰოლშტეინში.

!

საგარეო პოლიტიკა

იმასთან დაკავშირებით, რომ ჰელსინკის დასკვნით აქტზე ხელმოწერის შემდეგ უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა მთავრობამ ფარატინა ქაღალდად აქცია ეს დოკუმენტი, ევროპაში შეიტანა და განალაგა საშუალო და ნაკლები სიშორის ბირთვული რაკეტები, ჰ. შმიდტის მთავრობამ თავისი ქვეყნის უშიშროების მიზნით მხარი დაუჭირა ნატოს ახალი სახეობით შეიარაღების გეგმას, გაზარდა სამხედრო ხარჯები, ახორციელებდა ბუნდესვერის (შეიარაღებული ძალების) მოდერნიზაციას და ხელახლა შეიარაღებას, გამოვიდა დასავლეთ ევროპაში ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგების მომხრედ, მხარს უჭერდა აშშ-ს პოზიციას ჟენევის მოლაპარაკებაზე, ბოიკოტი გამოუცხადა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის გამო. ჰ. კოლის მთავრობის დროს გფრ-ში დაიწყო ამერიკის ბირთვული რაკეტების განლაგება. ჰ. კოლი მკაცრად იცავდა ნატოს გრაფიკს ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგებაზე. ჰ. კოლმა პირველმა დაუჭირა მხარი ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების" გეგმებს და 1986 წლის მარტში ხელი მოაწერა აშშ-სთან „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამაში გფრ-ის მონაწილეობის პირობების შესახებ. გფრ-ის მთავრობა აგრძელებდა დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის განმტკიცებასა და განვითარებას. ჰ. კოლს ინტენსიური კონტაქტები ჰქონდა არა მარტო „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან, არამედ აშშ-ნაც, მათ შორის უმაღლეს დონეზე, რომლის ძირითადი მიზანი იყო სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება, უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში ერთობლივი პოზიციის შემუშავება და ა. შ.

მაგრამ ამასთან ერთად გფრ-ისა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებსა და გფრ-სა და აშშ-ს შორის არსებობდა წინააღმდეგობებიც. ასე, მაგალითად, 1984 წლის ივნისში ფონტენბლოში სატარებული ევროპის საბჭოს სესიაზე გფრ-ის მთავრობამ მოითხოვა დასავლეთ გერმანიის ფერმერებისათვის საკომპენსაციო გადასახადების გაზრდა 1 მილიარდი მარკით და ეს მოთხოვნა დაუკავშირა თავისი თანხმობის მიცემას დიდი ბრიტანეთის მოთხოვნებზე „საერთო ბაზარში" შესატანის შემცირების შესახებ. გფრ-ის მოთხოვნებიც დაკმაყოფილდა და ინგლისის შესატანიც შემცირდა „საერთო ბაზარში". მაგრამ 1984 წლის დეკემბერში დუბლინში შემდგარ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სესიაზე ბონმა ვერ მიაღწია ყველა წევრის მხარდაჭერას ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში ევროპის პოლიტიკური კავშირის შექმნის გეგმას, რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რათა ერთობლივი პოლიტიკა განხორციელებულიყო თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში. გფრ-ის მთავრობა, შეშინებული იყო რა სსრკ-ს სამხედრო ძლიერების ზრდითა და საბჭოთა რაკეტების განლაგებით აღმოსავლეთ ევროპაში, ცდილობდა დასავლეთ ევროპის კავშირის მოღვაწეობის გააქტიურებას და ამ ორგანოს გამოყენებას უპირველეს ყოვლისა ამ კავშირში შემავალი ქვეყნების მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობისა და შეიარაღების წარმოებაში კოორდინაციისათვის. გფრ-ის მოთხოვნით ეს კავშირი დათანხმდა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე არსებული აკრძალვების გაუქმებაზე გფრ-ის მიერ სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციისა და აგრეთვე შორსმოქმედი რაკეტების წარმოებაზე.

1985 წლის ბოლოსათვის დამთავრდა გფრ-ის ტერიტორიაზე ყველა 108 ამერიკული ბირთვული რაკეტის განლაგება (პერშინგ 2-ისა და ფრთოსანი რაკეტების).

გფრ-ის დიდი მეცადინეობის შედეგი იყო, რომ 1986 წლის ივნისში ჰააგაში და ლონდონში (დეკემბერში) შემდგარ ევროპის საბჭოს სესიებზე მიაღწიეს შეთანხმებას ინტეგრაციული პროცესების შემდგომი განვითარების საკითხებზე. გფრ აქტიურად უჭერდა მხარს ფ. მიტერანის მიერ წამოყენებული „ევრიკას" პროგრამის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის გაძლიერებას მრეწველობის უახლესი დარგების განვითარების საქმეში. მაგრამ ჰ. კოლის მთავრობაში ჰთავარი ადგილი ეკავა ევროპის საბჭოს ქვეყნებს შორის სამხედ-

რო თანამშრომლობის გაძლიერებას და პოლიტიკური ინტეგრაციის შემდგომ განვითარებას. ამ მიზნით, მარტო 1985 წელს, ჰ. კოლი ათჯერ შეხვდა ფ. მიტერანს. ეკონომიკური ინტეგრაციის დარგში შემდგომი წინსვლისათვის გფრ-ის მთავრობას ძირითად ამოცანად მიაჩნდა 1992 წლის ბოლოსათვის „საერთო ბაზრის" ქვეყნების „ერთიანი შიდა ბაზრის" ჩამოყალიბება და არა ამ ორგანიზაციის შემდგომი კაფართოება ახალი ქვეყნებისა მიღების გზით. ერთხანს გფრ-ის მთავრობა წინ აღუდგა ესპანეთისა და პორტუგალიის მიღებას „საერთო ბაზარში", თუმცა აღნიშნული ქვეყნების მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ამ ქვეყნების „საერთო ბაზარში" შესვლა გფრ-ს ახალ ბაზარს მისცემდა და დათანხმდა ამ ქვეყნების მიღებაზე „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში", მაგრამ 1990 წლამდე თავს იკავებდა ამ ორგანიზაციაში თურქეთის მიღებაზე.

1988 წლიდან გფრ არსებული წესების შესაბამისად, სათავეში ჩაუდგა ევროპის „აერთიანების საბჭოს, რაც მან იმისათვის გამოიყენა, რომ დაეჩქარებინა ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ინტეგრაციაც. ამ მხრივ ჰ. კოლის მთავრობა უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა საფრანგეთთან, ინგლისთან, იტალიასთან და სხვებთან თანამშრომლობის გაფართოებას. ამ მიზნით ეწყობოდა ხშირი შეხვედრები საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის ხელმძღვანელებთან, რომლის დროსაც იხილავდნენ ამ ორგანიზაციის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კოორდინაციისა და სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერების საკითხებს.

ჰ. კოლის მთავრობამ ინტენსიური კონტაქტები დაამყარა აშშ-თან, რ. რეიგანთან, და მხარს უჭერდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის კურსს. მარტო 1984 წელს ჰ. კოლი ორჯერ შეხვდა (მარტში და ნოემბერში) აშშ-ს პრეზიდენტს რ. რეიგანს. ნოემბრის შეხვედრის დროს ორივე მხარე შეთანხმდა ნატოს „ჩვეულებრივი თავდაცვითი ძალების გაძლიერებაზე". აშშ-თან ყველაზე მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებას ჰ. კოლის მთავრობა აცხადებდა „გფრ-ის უშიშროების საძირკვლის" ძირეულ პოლიტიკად, რომ აშშ-ს მხარდაჭერის გარეშე გფრ — დაუცველი დარჩება აღმოსავლეთიდან, საბჭოთა კავშირიდან აგრესიის შემთხვევაში. გფრ-სა და აშშ-ს შორის პოლიტიკური კონტაქტები ინტენსიური ხასიათისა იყო და საბჭოთა

დიპლომატების აშკარა აგრესიული კურსი ხელს უწყობდა ამ პროცესს. 1985 წლის ოქტომბერში ჰ. კოლი და ჰ. დ. ჰენშერი იმყოფებოდნენ აშშ-ში. ხოლო უფრო ადრე მაისში რ. რეიგანი იმყოფებოდა გფრ-ში, ივნისში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, დეკემბერში კი სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი. 1985 წელს ჰენშერი და შულცი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ყველა ამ შეხვედრის დროს განხილვის ცენტრალური საკითხები იყო ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება, უპირველესად სამხედრო დარგში, „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის ჩარჩოებში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამოკიდებულება. გფრ მხარს უჭერდა აშშ-ს პოზიციას საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებისას ჟენევაში, სტოკჰოლმის კონფერენციაზე, ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებას შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ევროპაში, რეგიონალური კონფლიქტების შესახებ და ა. შ. ჰ. კოლის მთავრობას თავისი საკუთარი პოზიციაც ჰქონდა ისეთ საკითხებში, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვის და ლიბიაზე თავდასხმის საკითხში. თავის სამთავრობო განცხადებაში 1986 წლის 9 იანვარს და 11 აპრილს ჰ. კოლი მოითხოვდა ქიმიური და ბირთვული იარაღების შეზღუდვას, ევროპაში ურთიერთ სამხედრო დაპირისპირების შესუსტებას, მაგრამ წინააღმდეგი იყო ბირთვული იარაღის მთლიანად ლიკვიდაციისა და იგი მიიჩნდა „შეკავების უმნიშვნელოვანეს საშუალებად". მაგრამ ბონი ყოველთვის მოითხოვდა ნატოს დაჯგუფებაში აშშ-ს და გფრ-ის თანამშრომლობის გაზრდის აუცილებლობას და ასეთი თანამშრომლობის გაზრდას მშვიდობის დაცვის მთავარ გარანტიად მიიჩნევდა. აშშ-სა და გფრ-ს თანამშრომლობა ნატოს ჩარჩოებში უფრო მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1988 წლის 1 ივლისიდან ნატოს გენერალური მდივანი ლორდ კარინგტონის ნაცვლად გახდა გფრ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრი გ. ვერნერი (გფრ-ის თავდაცვის მინისტრი კი გახდა რ. შოლცი).

განვითარებადი ქვეყნების მიმართ ჰ. კოლის მთავრობა თავის პოლიტიკის კოორდინირებას აშშ-ს მთავრობასთან ახდენდა, მაგრამ თავის საკუთარი ინტერესებიდანაც გამომდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას. ამ მიზნით კოლი, ჰენშერი და კარსტენსი, შემდეგ კი (1984 წლიდან) ახალ პრეზიდენტი

ვაიცზეკერი არაერთხელ იყვნენ აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში და მრავალი შეთანხმება და საგაჭრო-ეკონომიკური ხასიათის გარიგება დაიდვა ამ ქვეყნების ხელმძღვანელებთან. შედეგი ამისა კი ის იყო, რომ 80-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გფრ-ის ეკონომიკური ურთიერთობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან. სამხრეთ აფრიკაში კი კაპიტალის დაბანდებაში 300 გერმანული ფირმა მონაწილეობდა.

ჰ. კოლის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ამ მიზნით აღნიშნულ ქვეყნებში ეწყობოდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე.

გფრ-ს აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა აქვს დამყარებული იაპონიასთან და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან.

გეოგრაფიული მდებარეობა საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან გფრ-ს მთავრობას აიძულებდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა მოსკოვთან, განსაკუთრებით 1985 წლიდან, ხელისუფლების სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ. მართალია ურთიერთობა გფრ-სა და სსრ კავშირს შორის გაუარესდა 80-იანი წლების დასაწყისში გფრ-ის ტერიტორიაზე ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგებასთან დაკავშირებით, მაგრამ დასავლეთ გერმანია წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩებოდა.

მაგალითად, 1983 წლისათვის ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვამ 7 მილიარდ მანეთს მიაღწია, 1984 წელს კი 7,5 მილიარდამდე გაიზარდა.

1980 წელს ჰ. შმიტმა მოსკოვში ხელი მოაწერა ხანგრძლივვადიან შეთანხმებას გფრ-სა და სსრ კავშირს შორის თანამშრომლობაზე ეკონომიკისა და მრეწველობის დარგებში.

1985 წლის მარტში მოსკოვში მოხდა შეხვედრა მ. ს. გორბაჩოვსა და ჰ. კოლს შორის, ხოლო ოქტომბერში კი ნიუ-იორკში ერთმანეთს შეხვდნენ ჰენშერი და შევარდნაძე, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს აგრეთვე ვენაში და ჰელსინკში. ამ შეხვედრების დროს თანდათან ისახებოდა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების გზები.

სსრ კავშირის მიერ წამოყენებულმა სამშვიდობო ინიციატივამ

ხელი შეუწყო გფრ-ის მმართველ წრეებში მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების მისწრაფებებს. 1986 წლის ივლისში შედგა ჰენშერის ვიზიტი მოსკოვში, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის შეთანხმებას მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ოქმს გფრ-ის გენერალური საკონსულოს დაარსებაზე კიევში და სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს დაარსებაზე მიუნხენში. 1987 წელს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იყო გფრ-ის პრეზიდენტი ვაიცზეკერი, რომელმაც საბჭოთა მთავრობასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ და აგრეთვე თანამშრომლობის შესახებ ავარიული კვლევის საკითხებში, მედიცინის, მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დარგში. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე დადებითი გავლენა მოახდინა გფრ-ის მთავრობის მიერ უარის თქმამ პერშინგ-I რაკეტის მოდერნიზაციაზე, რამაც ხელი შეუწყო ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების დადებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციაზე. 1987 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში ვიზიტით იყო ბავარიის ქრისტიან სოციალური კავშირის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი შტრაუსი, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირთან დაახლოების პირველი მოწინააღმდეგე იყო. 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ხდება. ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელების შეხვედრები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. შედეგი კი იყო 1988—1989 წლებში რიგი შეთანხმების და ხელშეკრულების დადება: თანამშრომლობის შესახებ გარემოს დაცვის დარგში, ბირთვული ავარიების შემთხვევაში ოპერატიული გაგებინების შესახებ, ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ ზღვაში ტერიტორიული წყლების გარეთ. „დოიჩე ბანკმა“ 1 მილიარდი მარკისა სესხი მისცა საბჭოთა კავშირს მსუბუქი და კვების მრეწველობის 200 საწარმოს მოდერნიზაციისათვის. დაიდო შეთანხმება მეცნიერების, ხელოვნებისა და მთელ რიგ სხვა დარგებში, გფრ-ის კოსმონავტის საბჭოთა კოსმოსურ ხომალდ „მშვიდობაზე“ ერთობლივი ფრენის შესახებ და ა. შ.

80-იანი წლების ბოლოს გფრ-სა და გდრ-ს შორის დაიწყო ინტენსიური დიალოგი თანამშრომლობის შესახებ ვაჭრობის, მეცნიერულ. კულტურულ და სხვა დარგებს შორის. დემოკრატიულმა

გარდაქმნებმა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში შესაძლებელი გახადა დაეძლია ევროპის კონტინენტის ურთიერთსაპირისპირო ძალთა დაპირისპირება და საფუძველი ჩაეყარა მომავალი „საერთო ევროპული სახლის" შენებლობისათვის". ამასთანავე, გფრ-ის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა გდრ-ის მოსახლეობისათვის მიმზიდველს ხდიდა. გარდა ამისა, გფრ-ის მთავრობის თანმიმდევრული გერმანიის ერთობის აღდგენის პოლიტიკამ 70—80-იან წლებში ხელი შეუწყო ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განვითარებას და გერმანელების ეროვნული ერთიანობის გრძნობის მნიშვნელოვნად განმტკიცებას. ავსტრიისა და უნგრეთის საზღვრების გახსნამ და გდრ-ის მოსახლეობის მასობრივმა ლტოლვამ გფრ-ში დაიჩქარა გდრ-ის შიდაპოლიტიკური კრიზისი.

გდრ-ის მოსახლეობის დიდი ზეგავლენის შედეგად ქვემოდან მოკლე რეკორდულ დროში მთლიანად შეიცვალა მთავრობის შემადგენლობა და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობა. პოლიტიკურ ასპარეზზე გაჩნდნენ ისეთი ორგანიზაციები და პარტიები, რომელნიც ქვეყნის ერთობის აღდგენის მომხრენი იყვნენ. 1989 წლის 9 ნოემბერს დაეცა გერმანიისა და ევროპის გაყოფის სიმბოლო — ბერლინის კედელი და ორივე ბერლინსა და გერმანიას შორის თავისუფალი მიმოსვლა დაწყდა. 25 დეკემბრიდან საერთოდ გაუქმდა ვიზები ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის. გდრ გეოგრაფიული რუკიდან წაშლილია და ფსევდო რევოლუციის შედეგად მოკლე ხანში გაქრა. ამბები, რომელიც ამ სახელმწიფოს გაქრობას უძღოდა წინ, რადაც ერთ წელზე ნაკლები ხანის განმავლობაში ისეთი თავბრუდამხვევი ინტენსივობით განვითარდა, რასაც გერმანიის გაერთიანების ყველაზე თავგამოდებული მომხრეებიც არ მოელოდნენ.

1989 წლის მიწურულს, 3—4 თვით ადრე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკოსები თელავდნენ, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება შორეული მომავლის საქმეა. 1990 წლის დასაწყისისათვის კი გერმანიის საერთო დეგენერული პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა. ე. ჰონეკერის რეჟიმის დანგრევამ და ახალი, ჰ. მოდროვის მთავრობის შექმნამ ვერ შეაჩერა გერმანელი ხალხის სწრაფვა ერთობისაკენ. ამის ზეგავლენით იყო, რომ გდრ-ის პრემიერ-მინისტრმა ჰ. მოდროვმა წამოაყენა გდრ-ის და გფრ-ის სამ-

ხედრო ნეიტრალიტეტის კონცეფცია ფედერაციის შექმნამდე და თვით გერმანიის დემილიტარიზაცია. მაგრამ ეს იდეები მაშინვე უარყოფილი იქნა გფრ-ისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მიერ, როგორც არარეალური. ზოგიერთ პოლიტიკოსს მიაჩნდა, რომ გაერთიანებული გერმანია ნატოში უნდა იყოს, მაგრამ თავდაპირველად საკითხის ასე დაყენების წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში.

ჯერ კიდევ 1989 წლის 28 ნოემბერს გფრ-ის კანცლერმა ჰ. კოლმა წამოაყენა გერმანიის გაერთიანების თავისი გეგმა, რომელიც ათი პუნქტისაგან შედგებოდა. იგი ითვალისწინებდა ორი გერმანული სახელმწიფოს სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის ახალ დონეზე გადაყვანისა და პირველ ეტაპზე გდრ-ის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას პოლიტიკური უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. გდრ-თვის ეკონომიკური დახმარების გაწევა განპირობებული იყო წინასწარი პირობებით, კერძოდ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მონოპოლიის ლიკვიდაცია ხელისუფლებაზე, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ორივე გერმანულ სახელმწიფოს კონფედერაციის სტრუქტურების შექმნა, რომელსაც ჰ. კოლის აზრით უნდა მოემზადებინა საფუძველი ორივე გერმანიის დაახლოებისათვის — კონფედერაციის სტრუქტურის შექმნის გზით. ამრიგად, მოდროვის გეგმისაგან განსხვავებით ჰ. კოლის გეგმა მიზნად ისახავდა არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ კავშირსაც. ჰ. კოლის გერმანიის გაერთიანების გეგმამ გამოიწვია ოთხივე დიდი სახელმწიფოს — აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის შეშფოთება, ვინაიდან ამას შეიძლება მოჰყოლოდა გართულებები და დესტაბილიზაცია ევროპაში. ოთხივე დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გერმანიის ასეთი დაჩქარებული გაერთიანება ნაადრევად მიიჩნიეს. ოთხივე სახელმწიფოს ხელმძღვანელები არ უარყოფდნენ რა გერმანელების უფლებებს გაერთიანებაზე, იმის შიშით, რომ ამას არ გამოეწვია დესტაბილიზაცია ევროპაში, არჩევდნენ ორი გერმანული სახელმწიფოს შენარჩუნებას. ამასთანავე აშკარად ჩანდა, რომ დიდ სახელმწიფოებს გერმანიის გაერთიანებაში ხელის შეშლის გამო არ უნდოდათ ურთიერთობა გაეფუჭებინათ ბონთან, მაგრამ მდგომარეობის დესტაბილიზაციამ გდრ-ში, მმართველი პარტიის მიერ ყოველგვარი ავტორიტეტის დაკარგვამ

და აღმოსავლეთ-გერმანიის მოსახლეობის მასობრივმა ლტოლვამ გფრ-თან გაერთიანებაზე დააჩქარა გერმანიის გაერთიანება. მდგომარეობას აყოვნებდა ის, რომ გფრ-ის კანცლერი ჰ. კოლი უარყოფდა ომის შედეგად დადგენილი საზღვრების ხელშეუხებლობას და აცხადებდა, რომ იგი გაერთიანებული გერმანიის მომავალმა მთავრობამ უნდა სცნოსო. ეჭვის ქვეშ დგებოდა პოლონეთის დასავლეთის საზღვრები. გფრ-ის კანცლერის ასეთ პოზიციას არ დაუჭირეს მხარი მისმა მოკავშირეებმა. ბუნდესტაგმა, გაითვალისწინა რა შექმნილი ვითარება, 1990 წლის 8 მარტს განაცხადა, რომ იგი სცნობს პოლონეთის დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობას. მანამდე 1989 წ. დეკემბერში, მოეწყო ლიდერების — მოდროვისა და კოლის შეხვედრა დრეზდენში, 1990 წლის თებერვალში — კოლისა და ჰენშერის ვიზიტი მოსკოვში, შემდეგ კი მარტში — გდრ-ის სახალხო პალატის პირველი თავისუფალი არჩევნები, რომლის დროსაც გაიმარჯვეს დემოკრატიულმა პარტიებმა, ქრისტიან-დემოკრატებმა. ახლად შექმნილმა დე მეზიერის მთავრობამ აქტიური საქმიანობა დაიწყო გერმანიის გასაერთიანებლად, ერთმანეთს მოჰყვა მოლაპარაკებები ფორმულით „ორი პლუს ოთხი“ (ე. ი. ოთხი სახელმწიფო: სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და გფრ და გდრ), სახელმწიფო შეთანხმება გდრ-სა და გფრ-ს შორის საკავალუტო, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შესახებ, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გერმანიის ორივე პარლამენტის მიერ პოლონეთის დასავლეთი საზღვრების ხელშეუხებლობის ცნობა. კოლის შეხვედრა გორბაჩოვთან; გდრ-ის კოალიციური მთავრობის დაშლა; გაერთიანების ხელშეკრულებისა და არჩევნების შესახებ დოკუმენტების მომზადება, რომლებიც იურიდიულად ამტკიცებდნენ გაერთიანების პროცესს; და ბოლოს, 23 აგვისტოს, გდრ-ის პარლამენტის მიერ ისტორიული გადაწყვეტილების მიღება გფრ-ის კონსტიტუციის 23-ე მუხლის გამოყენების შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყდა, რომ 3 ოქტომბერს მოხდარიყო ორივე გერმანიის გაერთიანება.

1990 წლის სექტემბრის დამდეგს ბერლინში ორივე გერმანიის მთავრობამ ხელი მოაწერა მეორე ხელშეკრულებას — დოკუმენტს გდრ-ის გფრ-ის შემადგენლობაში შესვლაზე, ადრე ორივე ქვეყანა შეთანხმდა საკავალუტო-ეკონომიკური კავშირის შექმნაზე, მეორე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ გდრ უნდა სრულიად გაერ-

თანებულიყო გფრ-თან და, როგორც ახალმწიფოს, შეეწყვიტა არსებობა. 12 სექტემბერს დასრულდა მოლაპარაკება „ორი პლუს ოთხი“.

შვიდი თვე გავიდა ოტავაში მიღებული შეთანხმებიდან გერმანიის გაერთიანების საკითხზე მოლაპარაკების მექანიზმის შექმნა შესახებ და. აი, 12 სექტემბერს, მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე დასკვნითი შეხვედრა გერმანიის ერთიანობის საგარეო ასპექტების ნებადართულობის მოწესრიგებისათვის შექმნილ „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკების მექანიზმის ფარგლებში.

1990 წლის 12 სექტემბერი ისტორიაში შევა როგორც მნიშვნელოვანი შემოტრიალება ომის შემდგომი ევროპის განვითარების გზაზე, ვინაიდან ამ დღეს, ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოსკოვში პრეზიდენტ მ. ს. გორბაჩოვის თანდასწრებით, ხელი მოაწერეს გერმანიასთან ურთიერთობის საბოლოო მოგვარების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს გერმანიის გაერთიანებისა და საგარეო ასპექტების გადაწყვეტილების მთელ კომპლექსს. მოლაპარაკება „ორი პლუს ოთხი“, რომელსაც შედეგად მოჰყვა ერთიანი გერმანიის შექმნა, საკმაოდ დაძაბულად, მთელი 7 თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

ხელშეკრულება საფუძვლიანია და პოლიტიკური პრეამბულისაგან და 10 მუხლისაგან შედგება. მასში საკმაოდ საიმედოდ არის რეგულირებული საზღვრების ყველა ასპექტი, განსაზღვრულია გაერთიანებული გერმანიის საზღვრები, ფიქსირებულია ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა. საყურადღებოა, რომ საბჭოთა მხარემ ამ ხელშეკრულების ტექსტი პირადად გადასცა პოლონეთს. გფრ-სა და გდრ-ის მთავრობებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ გერმანიის ტერიტორიიდან აღარასოდეს წარმოიშობა ომი და იგი მხოლოდ მშვიდობის ბურჯი იქნება, უარს ამბობს მასობრივი მოსპობის იარაღის — ბირთვულის, ქიმიურის, ბიოლოგიურის წარმოებაზე, მფლობელობაზე და გამგებლობაზე.

ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ საბჭოთა კავშირმა და გაერთიანებულმა გერმანიამ უნდა მოაგვარონ შეთანხმების წესით, გდრ-ში მყოფი საბჭოთა ჯარების ყოფნისა და აგრეთვე 1994 წლამ-

დე მათი მთლიანად გამოყვანის პირობები. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა ჯარების გამოყვანამდე გდრ-ის ყოფილ ტერიტორიაზე უნდა განლაგდნენ გერმანიის მხოლოდ ისეთი ნაწილები, რომლებიც არ არიან ნატოში ინტეგრირებული. საბჭოთა ჯარების გამოყვანის შემდეგ კი აქ განლაგდება გერმანიის ჯარების ნებისმიერი ფორმირებები, ბირთვული იარაღის გარეშე. ხოლო უცხოეთის ჯარები, ბირთვული იარაღი ან მათი მატარებლები აღმოსავლეთ გერმანიაში აღარ განლაგდება. საბჭოთა ჯარების გამოყვანა აღმოსავლეთ გერმანიიდან უნდა დამთავრდეს 1994 წლის 31 დეკემბერს. ხელშეკრულება ითვალისწინებს გერმანიის მთავრობის მონაწილეობას რუსეთის ჯარების აღმოსავლეთ გერმანიაში ყოფნის, გამოყვანისა და რუსეთის ტერიტორიაზე განლაგების ხარჯებში, მათ შორის ასრ კავშირის ტერიტორიაზე რუსეთის საშუალო პერსონალისათვის საბინაო მშენებლობაში. ამ მიზნით, ხელშეკრულების თანახმად, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იკისრა ვალდებულება საბჭოთა კავშირს 1994 წლის ბოლომდე გადაუხადოს 12 მილიარდი მარკა. ამ თანხიდან 7.8 მლრდ განკუთვნილია საწმობლოში მომავალი საშუალო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დასაფინანსებლად. 3 მლრდ-ს გფრ-ის მთავრობა გამოყოფს საბჭოთა ჯარების შესანახად 1991 წლიდან 1994 წლამდე პერიოდისათვის, 1 მილიარდი განკუთვნილია ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებული ატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად. ზემოთ აღნიშნული თანხის გარდა საბჭოთა კავშირს მიეცემა უპროცენტო კრედიტი — 3 მილიარდი მარკა, ხუთი წლის ვადით.

გაერთიანებულმა გერმანიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანაფარდობა კონტინენტზე. მარტო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას (გდრ-ს გარეშე) მესამე ადგილი ეკავა (აშშ-სა და იაპონიის შემდეგ) მსოფლიოში საერთო ეროვნული პროდუქციის წარმოების მოცულობით. იგი აწარმოებდა 1,5 ტრილიონი მარკის ოღენობის პროდუქციას. გფრ-ზე მოდიოდა მსოფლიო ექსპორტის მეოთხედი. 1989 წელს გფრ როგორც კრედიტორი სახელმწიფო, მეორე იყო მსოფლიოში (იაპონიის შემდეგ), მისი აქტივი — ნეტტო შეადგენდა 427 მლრდ მარკას. ახლა ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გახდება გერმანია გფრ-სა და გდრ-ს გაერთიანების შემდეგ. გდრ ხომ მაღალ განვითარებული ინ-

დუალისტური ქვეყანა იყო და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი ეკავა.

ამრიგად, გდრ-მა, როგორც სოციალისტურმა სახელმწიფომ, შეწყვიტა არსებობა. სოციალისტურმა ექსპერიმენტმა გერმანიის მიწაზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში არ გაამართლა.

ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება გერმანელი ხალხის არა მარტო კანონიერი უფლებებისა და იმედების რეალიზაცია, არამედ პოლიტიკაში რეალიზმის გამარჯვებაცაა. მთავარი ახლა ისაა, რომ ამ პროცესმა გზა გაუკაფოს ერთიანი საერთოევროპული გაერთიანების შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთმოქმედებაზე. ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა დღის წესრიგში აყენებს ევროპაში დაგროვილი მრავალი პრობლემის გადაჭრის საკითხს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთიანი გერმანიის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების საკითხი, რომელიც ყველა მისი უშუალო თუ დაშორებული მეზობლის სამართლიან შეშფოთებას იწვევს. მოსკოვში მ. გორბაჩოვსა და ჰ. კოლს შორის გამართული მოლაპარაკების დროს მიღწეული იქნა შეთანხმება გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალების შეზღუდვაზე. საბჭოთა კავშირი თანახმაა ნატოს წინადადებაზე, რომ გაერთიანებული გერმანია, ნატოს შემადგენლობაში დარჩეს, მაგრამ ორივე დაჯგუფებამ თანაბრად შეამციროს და გაიყვანოს ევროპის ცენტრიდან თავისი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები.

1990 წ. დიდი წარმატებით დამთავრდა მ. გორბაჩოვის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც, სადაც ორივე მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კეთილმეზობლობაზე, პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე, რომელიც კარგი საფუძველია ორივე ქვეყნის ხალხებს შორის ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის და, რაც მთავარია, მშვიდობის განმტკიცებისათვის ევროპაში. ხელშეკრულება აღიარებს, ორივე ქვეყნის ურთიერთპატივისცემას, სუვერენულ თანასწორობას, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მასში აღიარებულია ყველა ხალხის და სახელმწიფოს უფლებები თავისუფლად და გარედან ჩარევის გარეშე განსაზღვროს თავისი ბედი და განახორციელოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. ამასთან სადავო საკითხი გადაჭრას მშვიდობიანი, პოლიტი-

კური მოლაპარაკების გზით. ერთი სიტყვით ხელშეკრულება ეს ღირსშესანიშნავი დოკუმენტი გამსჭვალულია მხოლოდ მშვიდობიანი, ურთიერთნდობის, მეგობრობის და თანამშრომლობის პრინციპებით. ხელშეკრულება გმობს ყველა სახის ომს, ბირთვულს, ჩვეულებრივს და აცხადებს, რომ იბრძოლებს კაცობრიობის სიცოცხლის შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის და გარემოს დაცვისათვის. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საბჭოთა კავშირსა და ერთიან გერმანიას შორის იწყება ურთიერთობის ახალი ეტაპი. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ამ ურთიერთობას საფუძვლად დაედო კეთილმოსურნეობა. ურთიერთკეთილგანწყობილება, სოლიდარობის გრძნობა, ყველა საკითხისადმი მიდგომის მასშტაბურობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დიდ პერსპექტივებს და შესაძლებლობებს ქმნის ამ ორ ქვეყანას შორის ფართო თანამშრომლობისა და მეგობრული პარტნიორობისათვის.

1990 წლის ევროპის „საერთო სახლის“ მშენებლობაში, მშვიდობის საქმეში, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში მიღწეული წარმატებები იმედს იძლევა, რომ ჯერ კიდევ მოუგვარებელი საერთაშორისო პრობლემებიც მოლაპარაკების გზით გადაიჭრება და პლანეტაზე მტკიცე მშვიდობა დამკვიდრდება.

თავი VII

იტალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[1]

(1945—1990 წწ.).

§ 21. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იტალიაში 40—50-იან წლებში

ომის შედეგები. ომმა დიდი ზარალი მიაყენა იტალიას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1945 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა ორჯერ ნაკლები იყო ომამდელთან შედარებით. ინგლის-ამერიკის მიერ იტალიის ტერიტორიაზე წარმოებული სამხედრო ოპერაციებისა და გერმანიის ავიაციის ნიერ განუწყვეტელი დაბომბვის შედეგად დაინგრა მთელი საწარმოების $^1/_5$, რკინიგზების $^1/_4$, ხიდების $^1/_3$, გაანადგურდა ნავსადგურებისა და ეროვნული ფლოტის $^9/_{10}$, ხოლო ეროვნული სიმდიდრე $^1/_3$-ით შემცირდა. ქვეყნის საერთო ზარალი 10 მლრდ. ლირათია შეფასებული. მოკლულთა სახით დანაკარგი 450 ათას კაცს შეადგენს.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობაც. ომამდელთან შედარებით მოსავალი $^1/_3$-ით შემცირდა.

სამეურნეო ნგრევამ, სახალხო მეურნეობის დაცემამ და ფასების არნახულმა ზრდამ გამოიწვია ხალხთა მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგაც პურის ყოველდღიური ნორმა 200 გრამს არ აღემატებოდა.

ამრიგად, ომის დამთავრებისას იტალიაში სრული სამეურნეო ქაოსი იყო. ყოველივე ამას მოჰყვა უმუშევრობა. უმუშევართა რაოდენობამ ომის დამთავრების შემდეგ 2 მლნ. კაცს მიაღწია. დიდ სამრეწველო ქალაქებში არ მოქმედებდა წყალსადენი, მოსახლეო-

---

[1] ტერიტორია — 301,2 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 59,9 მლნ. (1990 წლის ოქტომბერი), დედაქალაქი — რომი (გარეუბნებიანად 3,9 მლნ., 1990 წ.).

ბალ არ აწვდიდნენ გაზს, არ მუშაობდა ელექტროსადგურები. შეწყვეტა ან არაეკონომიური იყო ქალაქების მობარაგება სურსათ-საქონელით. ეს უკანასკნელი სპეკულანტების ხელში აღმოჩნდა, გაბატონდა შავი ბაზარი. ისედაც გაპირვებული ხალხი უფრო ცუდ მდგომარეობაში მოექცა.

მთავრობა გაბონებული ლირის სტაბილიზაციას ცდილობდა ხელფასის ერთ ადგილზე გაყინვით, მსხვილ საწარმოებზე გადასახადების შემცირებით, წვრილი და საშუალო მეწარმეებისათვის კრედიტების გაცემის შემცირებით და ა. შ.

იტალიის ბურჟუაზიის ხელისუფლების წინააღმდეგობაში დიდი მსარდაჭერა გაუწია „მარშალის გეგმის“ საფუძველზე მიღებულმა დახმარებამ. მრეწველობის აღდგენა განხორციელდა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებია საფუძველზე შექმნილი მანქანა-დანადგარების დანერგვით. 1950—1951 წლებში იტალიის მრეწველობამ მიაღწია ომამდელ დონეს. ამ დროისათვის „მარშალის გეგმის“ წყალობით იტალიის მსხვილმა საწარმოებმა აწმ-გან მიღებული მანქანა-დანადგარებით ძირითადად დაამთავრეს თანამედროვე მრეწველობის მოდერნიზაცია: 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იტალიის მრეწველობის განვითარებაში იწყება ე. წ. „ეკონომიკური“.

ომის დამთავრების შემდეგ ეროვნული განთავისუფლების კომიტეტებში[1] შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც მრეწველობის მხრივ ქვეყნის ყველაზე განვითარებული რაიონია. მანამდე კომიტეტებში დიდი იყო კომუნისტების გავლენა. ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში კი ჭარბობდნენ კონსერვატორული ძალები. ჩრდილოეთ იტალიაში ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება ეროვნული კომიტეტების ხელში იყო. ბევრი ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონემ მიატოვა თავისი საწარმოები, რომელთა ხელმძღვანელობა ხელში აიღეს მუშათა მართვის საბჭოებმა.

ფაშიზმის კრახმა ძალზე დასუსტა იტალიის ბურჟუაზია. ფაშიზმის საშინაო-პოლიტიკური აპარატი ლიკვიდირებულ იქნა. ძალიან დასუსტებული იყვნენ ომამდე არსებული და მუსოლინის

[1] ეროვნული განთავისუფლების კომიტეტები 1943 წელს შეიქმნა, რომლის მიზანი იყო ქვეყნის განთავისუფლება „საკუთარი“ და გერმანელთა ფაშისტური ღელისაგან. კომიტეტებში კომუნისტებთან ერთად შედიოდნენ სოციალისტები, ქრისტიან-დემოკრატები, ლიბერალები და სხვა პარტიები.

დიქტატურის მიერ ლიკვიდირებული ბურჟუაზიული პარტიები, რომელთა გავლენა ქვეყანაში უმნიშვნელო იყო.

ომის დამთავრების შემდეგ ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი იყო კომუნისტური პარტია. კომუნისტების თავგანწირულმა ბრძოლამ ფაშიზმის წინააღმდეგ, მისი აღმოცენებიდან ომის დამთავრებამდე, არნახულად გაზარდა კომუნისტების ავტორიტეტი და გავლენა. განსაკუთრებით დიდი იყო ეს გავლენა ქვეყნის სამრეწველო რაიონებში. 1945 წლისათვის იტალიის კომუნისტური პარტია თავის რიგებში 1,7 მლნ. წევრს აერთიანებდა. კომუნისტების დასაყრდენს წარმოადგენდნენ რიგი მასობრივი ახალგაზრდათა, ქალთა და სხვა ორგანიზაციები და 1944 წელს შექმნილი იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაცია, რომელიც თავის რიგებში 6 მლნ. კაცს აერთიანებდა. კონფედერაციის გენერალური მდივანი იყო კომუნისტი დ. ვიტორიო. კომუნისტები პროლეტარიატის[1] გარდა დიდი დემაგოგიური დაპირებების წყალობით დიდი გავლენით სარგებლობდნენ გლეხობასა და ინტელიგენციაში.

დიდი იყო სოციალისტური პარტიის გავლენაც. იგი თავის რიგებში აერთიანებდა 900 ათას წევრს. პარტიის ლიდერი იყო პ. ნენი. სოციალისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ კომუნისტებთან წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1946 წელს მუშათა ორივე პარტიამ დადო ერთიანი მოქმედების პაქტი.

ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც 1943 წელს ვატიკანის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ამ პარტიის ორგანიზატორები ფიქრობდნენ ომის დროს გარევოლუციონერებული მასების რელიგიური გავლენის ქვეშ მოქცევას და ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნებას. ამ პარტიამ გლეხობას, წვრილ ბურჟუაზიულ ფენებსა და მუშათა კლასში თავისი დასაყრდენის შექმნის მიზნით შეიმუშავა სოციალური რეფორმების პროგრამა. იგი თავის ამოცანად აცხადებდა მსხვილი კაპიტალის ბატონობის მოსპობას და პროლეტარიატის წვრილ მესაკუთრე კლასად გადაქცევას. პროგრამა დაპირებას იძლეოდა აგრარული, სამრეწველო და ფინანსური

[1] ფაშიზმის დროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად მოხდა ცვლილებები მუშათა კლასის სტრუქტურაში. 1941 წლის აღწერით მუშათა კლასი შეადგენდა მოსახლეობის 35%. მუშათა კლასი წინააღმდეგობის მოძრაობის პირველ რიგებში იბრძოდა.

რეფორმების განხორციელების შესახებ, კერძოდ-კი უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს პირდებოდა მიწას[1], მუშებს — აქციების შეძენას და საწარმოების მოგებებში მონაწილეობას.

ამ პარტიის ლიდერები, ვატიკანის მხარდაჭერით, იტალიელი ხალხის წინაშე ცდილობდნენ წარმდგარიყვნენ, როგორც რელიგიური პარტიის წარმომადგენლები. გარდა რიგი დაპირებებისა ისინი ქადაგებდნენ „ქრისტიანულ სამართლიანობას“, მაღალ ქრისტიანულ ზნეობრიობას, კლასობრივ მშვიდობას და ა. შ. ამიტომ იყო, რომ ამ პარტიის გავლენის ქვეშ მოექცა მშრომელი კათოლიკების მნიშვნელოვანი ნაწილი — გლეხობა, ქალაქის საშუალო ფენები და მუშათა ნაწილი. პარტიაში შედიოდნენ აგრეთვე საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესების ფაქტობრივი ამსახველი იყო იგი. პარტია თავის რიგებში 1 მლნ. წევრს აერთიანებდა. პარტიის ლიდერი პ. დე გასპერი ომის შემდგომ პირველ წლებში მუშათა პარტიებთან თანამშრომლობის მომხრედაც კი გამოდიოდა.

ომამდელი პარტიებიდან ჯერ კიდევ ომის დროს გააჩაღა მოღვაწეობა ლიბერალურმა პარტიამ, რომლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის ეროვნულ კომიტეტებში, მაგრამ ამ პარტიის გავლენა აშკარა კონსერვატორული პოზიციის გამო უმნიშვნელო იყო.

ომის დამთავრებისთანავე წინააღმდეგობამ თავი იჩინა ანტიფაშისტურ პარტიებში. კომუნისტები მონაწილეობდნენ 1944 წელს ბონომეს მეთაურობით შექმნილ მთავრობაში. 1945 წლის ივნისში ეროვნული განთავისუფლების კომიტეტებში შემავალი ანტიფაშისტური პარტიებისაგან შეიქმნა მთავრობა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, „მოქმედების პარტიის“ ლიდერის ფ. პარის მეთაურობით.

1946 წლის 1 იანვრიდან მოკავშირეთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ჩრდილოეთი იტალია 1945 წლის 10 დეკემბერს შექმნილ დე

---

[1] მთელი მიწების ნახევარი იმყოფებოდა 20 — 25 ათასი ოჯახის ხელში, ხოლო გლეხთა ოჯახების 80% (4200 ათასი ოჯახი) უმიწო ან მცირე მიწის მქონე იყო. მსხვილი მიწათმფლობელობა განსაკუთრებით იტალიის სამხრეთში ბატონობდა. 1946 წელს იტალიაში იყო 1,8 მლნ. გლეხი მონახევრე, 2,3 მლნ. დღიური მომუშავე და მოჯამაგირე.

გაბატონების მთავრობას გადასცა. აწშ-ის ჯარები იტალიაში კიდევ ორი წელი დარჩნენ.

ომის დამთავრების შემდეგ ბურჟუაზიული პარტიები მხარს უჭერდნენ ამერიკა-ინგლისის ოკუპაციურ ხელისუფლებას. კომპარტიის წარმომადგენლები 1944—1947 წწ. (მაისამდე) შედიოდნენ იტალიის მთავრობების შემადგენლობაში.

1946 წლის შემოდგომაზე მთავრობაში შემავალი კომუნისტები ზეგავლენით შემოიღეს საგანგებო გადასახადი ქონებაზე, გაიზარდა ხელფასები და ა. შ.

დემოკრატიული და კონსერვატორული ძალები ერთმანეთს ებრძოდნენ სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში. მემარცხენე პარტიები მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, მონარქიის ლიკვიდაციას, ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადებას და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას.

კონსერვატორული ძალები კი, ვატიკანის მეთაურობით და ამერიკა-ინგლისის ჯარების მხარდაჭერით, მონარქიის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. მონარქის გადარჩენის მიზნით ისინი იძულებული გახდნენ გაეწირათ სახელგატეხილი ვიქტორ ემანუილ III და მის ნაცვლად 1946 წლის მაისში ტახტზე აეყვანათ მისი შვილი უმბერტო II. მაგრამ მონარქიის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. მემარცხენე ძალები ამ საკითხში ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ.

რესპუბლიკის შექმნის ფართო ფენები უჭერდნენ მხარს. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ (1946 წლის აპრილში) მოითხოვა რესპუბლიკური წყობილების დამყარება.

1946 წლის 2 ივნისს ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყნის მართვის ფორმის შესახებ. 12,7 მლნ. კაცმა ხმა მისცა რესპუბლიკური წყობილების დამყარებას, 10,7 მლნ-მა კი მოითხოვა მონარქიის შენარჩუნება. მონარქიის მომხრედ ძირითადად გამოვიდნენ ჩამორჩენილი სამხრეთის, უმეტესად არჩევნებში მონაწილე გლეხი ქალები. 1946 წლის 18 ივნისს იტალია რესპუბლიკად გამოცხადდა.

ერთდროულად ჩატარდა ავრეთვე დამფუძნებელი კრების არჩევნები. ყველაზე მეტი ხმა ბიიღო ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ (8,1 მლნ., ე. ი. ამომრჩეველთა 35,5%), მეორე ადგილზე იყო სოციალისტური პარტია (4,7 მლნ., 20%), მესამეზე — კომუნისტური (4,3 მლნ., 13%).

კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა 556 ადგილიდან კრებაში მიიღეს 229 ადგილი, ქრისტიან-დემოკრატიულმა — 207 ადგილი.

არჩევნების შემდეგ ცალკეა კოალიციური მთავრობა შეიქმნა დე გასპერის მეთაურობით. რომლის შემადგენლობაში კომუნისტური და სოციალისტური პარტიებიც შევიდნენ. დამფუძნებელ კრებაში ძალთა ურთიერთგანაწილება მემარცხენე პარტიების მხარეზე იყო.

ოპოზიციელ ყოველ ხერხს ბრძოლობდა, რათა ჩაეშალა მემარცხენე პარტიების ერთიანობა და თანამშრომლობა. 1947 წლის იანვარში სოციალისტური პარტიის ყრილობაზე მემარჯვენე სოციალისტებმა დასვეს სოციალისტების კომუნისტებთან ერთიანი მოქმედების შეწყვეტის საკითხი. ყრილობის უმრავლესობამ უარყო ეს მოთხოვნა, რის შემდეგ მემარჯვენეთა ფრაქციამ (100 ათასი წევრი) დატოვა ყრილობა და შექმნა სოციალ-რეფორმისტული პარტია, რომელმაც 1952 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება მიიღო. სოციალისტურ პარტიაში მოხდარმა განხეთქილებამ ბიძგი მისცა ოპოზიციას, რათა კომუნისტების წინააღმდეგ აქტიურად გამოსულიყო. 1947 წლის 13 მაისს დე გასპერის კოალიციური მთავრობა გადადგა. 30 მაისს მანვე შეადგინა ახალი მთავრობა, რომლის შემადგენლობა მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრებისგან შეიქმნა. ამ მთავრობამ მემარჯვენე პარტიების მხარდაჭერით დამფუძნებელ კრებაში მიიღო ნდობის ვოტუმი (274 მომხრე 231 წინააღმდეგ).

კომუნისტების და სოციალისტების მთავრობიდან განდევნის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ ფაქტობრივად უარი თქვა თავის დაპირებებზე რეფორმების გატარების შესახებ. დე გასპერიმ მოითხოვა, რომ გადაედოთ რეფორმების გატარება, როგორც „არასასურველი ლინამიტი", რომელიც „ეწინააღმდეგებოდა" ბ

ნაისის ამბების შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია გადაიქცა ბურჟუაზიის მთავარ პარტიად. ამ პარტიასთან თანამშრომლობა. გზას დაადგნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები და რეპუბლიკელები, რომელთა წარმომადგენლები 1947 წლის დეკემბერში დე გასპერის მიწვევით შეეიდნენ ნიკ მთავრობაში. მთავრობას პარლამენტში მხარს უჭერდნენ მემარჯვენე პარტიები.

მემარჯვენე ძალების კონსოლიდაციას მემარცხენეებმაც თავიან-

თი ძალების გაერთიანებით უპასუხეს. 1947 წლის ოქტომბერში მოქმედების პარტია გაერთიანდა სოციალისტურ პარტიასთან, ხოლო დეკემბერში კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა შექმნეს სახალხო-დემოკრატიული ფრონტი, რომელიც დემოკრატიული ძალების მუდმივი ორგანიზაცია უნდა გამხდარიყო მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახალი კონსტიტუციის მიღება და 1948 წლის პარლამენტის არჩევნები. 1948 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და 1947 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებული კონსტიტუცია. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები პ. ტოლიატი და პ. ნენი შედიოდნენ დამფუძნებელი კრების მიერ საგანგებოდ შექმნილ საკონსტიტუციო კომისიაში.

კონსტიტუცია იტალიას შრომის რესპუბლიკად აცხადებდა. საკანონმდებლო ორგანო გახდა პარლამენტი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. პირველს ირჩევენ 5 წლით, მეორეს კი — 6 წლის ვადით. ამასთანავე, ორივე პალატის არჩევნები ხდება საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე.

აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი ასრულებს. პრეზიდენტს ირჩევს ორივე პალატა 7 წლის ვადით. იგი ნიშნავს მთავრობას იმ პარტიიდან, რომელიც პარლამენტში ხმების უმრავლესობას მიიღებს. პარლამენტს უფლება აქვს დეპუტატთა ხმების უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს და გადააყენოს მთავრობა.

კონსტიტუცია აცხადებს სიტყვის, პრესის, კრების, სინდისის, პიროვნების, პარტიების და ორგანიზაციების თავისუფლებას, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას, უფლებებს შრომასა და დასვენებაზე, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობას, 8 წლიან უფასო და სავალდებულო განათლებას.

კონსტიტუცია აცხადებდა მსხვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვას, მსხვილი მონოპოლისტური საწარმოების ნაციონალიზაციას, მშრომელთა უფლებებს წარმოების მართვაში მონაწილეობაზე და ა. შ.

ამგვარი კონსტიტუციის მიღება დემოკრატიული ძალების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა და იძლეოდა იტალიაში ფართო დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლის შესაძლებლობას.

კონსტიტუციაში ძალაში დარჩა 1929 წლის ლათერანის შეთანხმება, სკოლაში კათოლიკური დოგმების სწავლება, სამოქალაქო და საეკლესიო ქორწინების თანასწორუფლებიანობა, ცოლ-ქმრის თანასწორუფლებიანობა, განქორწინება ძველებურად იკრძალებოდა.

კონსტიტუციამ აკრძალა ფაშისტური პარტიები და ორგანიზაციები, მეფის საგვარეულოს იტალიაში ცხოვრება, დააწესა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპები.

1948 წლის იანვარში აშშ-მა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც აშშ დახმარებას აღუთქვამდა იტალიას. აშშ-ის ელჩი იტალიაში თან დაჰყვებოდა პურით დატვირთულ მატარებელს, ყოველ სადგურზე სიტყვით გამოდიოდა და იტალიელებს პირდებოდა ამერიკის დახმარებას, თუ ისინი ხმას მისცემდნენ ქრისტიან-დემოკრატებს. დიდი შეხვედრები ეწყობოდა აგრეთვე ამერიკის სურსათით ან ნედლეულით დატვირთულ გემებზე. ფართო აგიტაციას ეწეოდა პრესაც.

1948 წლის აპრილში ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ომის შემდგომი პირველი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში სოციალისტურ-დემოკრატიულმა ფრონტმა მიიღო 8,1 მლნ. ხმა (31,1%), ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ — 12 მლნ. ხმა (48%). ქრისტიან-დემოკრატებმა ხმები მემარჯვენე პარტიების ხარჯზე გაზარდეს. კომუნისტებმა და სოციალისტებმა თავიანთი დეპუტატების რაოდენობა პარლამენტში შეინარჩუნეს. დე გასპერის მეთაურობით შექმნილ მთავრობაში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ ლიბერალური, რესპუბლიკური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები.

მემარჯვენეების შეტევაზე გადასვლა. მემარჯვენე ძალების არჩევნებში გამარჯვებას მოჰყვა დემოკრატიის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა. ჯერ კიდევ 1946 წელს ნეოფაშისტებმა შექმნეს ახალი პარტია დემაგოგიური სახელწოდებით „იტალიის სოციალური მოძრაობა“. თავიანთი მოღვაწეობა მათ ტერორისტული აქტებით დაიწყეს. 1948 წლის 14 ივლისს პარლამენტის შენობის შესასვლელში მძიმედ დაჭრეს პ. ტოლიატი. გარდა ამისა მოკლეს პროფკავშირთა მოღვაწენი, ცეცხლი წაუკიდეს კომპარტიისა და პროფკავშირთა შენობებს. ტყვიით გაუმასპინძლდნენ დემონსტრაციისა და მიტინგის მონაწილეებს და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით აკ-

რეალურია ფაშისტური ორგანიზაციები არსებობა. მთავრობა თვალებს ხუჭავდა მათ საქმიანობაზე. 3. ტოლიატზე თავდასხმის ცნობა მთელ იტალიას ელვისებური სიჩქარით მოედო და ნაშრომელთა ნასების გრანდიოზული დემონსტრაციები გამოიწვია, რომლებიც სტიქიურად გადაიზარდა საყოველთაო გაფიცვაში. გაფიცვა ორ ღღეს გრძელდებოდა. მასში 7 მლნ. კაცი მონაწილეობდა. მთელ რიგ ქალაქებში და მაგისტრალურ ხაზებზე შეწყდა რკინიგზისა და სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა. ტურინში მუშებმა დაიკავეს ფიატის ქარხნის შენობები. მასობრივი დემონსტრაციები მოეწყო რომში, მილანში, გენუაში, ფლორენციაში. გაფიცული მუშების წინააღმდეგ მთავრობამ დაძრა პოლიცია და ჯარი, რასაც მოჰყვა შეტაკებანი. რომელთა დროსაც მოკლეს 20 და დაჭრეს 600 კაცი. გაფიცვის 7 ათასი მონაწილე დააპატიმრეს. განსაკუთრებით დიდი შეტაკებები მოხდა გენუაში, სადაც ქალაქის მერი იყო კომუნისტი ჯ. ადამოლი.

14 ივლისის ეროვნული გაფიცვის შემდეგ ვატიკანის ზეგავლენით განხეთქილება მოხდა იტალიის შრომის კონფედერაციაში, სადაც გამოვიდნენ ქრისტიან-დემოკრატიული პროფკავშირები და შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია — „შრომელთა პროფკავშირების იტალიის კონფედერაცია. იგი დე გასპერის მთავრობის მხარდამჭერის პოზიციას დაადგა. მთავრობის ცდები, დაერღვიათ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების თანამშრომლობა, უშედეგოდ დამთავრდა.

14 ივლისის აბპების შემდეგ მთავრობა გადავიდა შეტევაზე, რომლის მიზანი იყო დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვა.

1948 წლის 19 ივლისს მთავრობის მითითებით პოლიციამ ათასობით აქტიური მუშა და პროფკავშირთა ხელმძღვანელი დააპატიმრა. 1950 წლის 17 მარტის დეკრეტით კი პრეფექტებს უფლება ენიჭებოდათ ერთი თვის განმავლობაში ყველა სახის დემონსტრაციები და კრებები აეკრძალათ. ექსტრემისტთა გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შინაგან საქმეთა მინისტრმა შექმნა სპეციალური მოტორიზებული პოლიცია „ჩელერის“ სახელწოდებით. ასეთმა პოლიციამ 1950 წლის იანვარში ესროლა ქალაქ მოდენის მუშებს, რომლებიც გაიფიცნენ ქარხნის დახურვისა და მათი ამხანაგების დათხოვნის გამო. შეტაკებისას მოკლეს 6 კაცი. დახოცილთა დაკრძალვაზე 300 ათასი კაცი გამოვიდა.

1946-1950 წლების საპარლამენტო რეტაკეებია. მეოცდაათ დაიღუ-ბა 62 კაცი, დაიჭრა 3 ათასზე მეტი და დაპატიმრეს 92 ათასზე მეტი კაცი. რეპრესიებს შუშები ვიდევ უფრო მასობრივი გაფიცვებია და დემონსტრაციებით პასუხობდნენ.

მთავრობას მიემხრო ვატიკანიც. 1949 წელს ოთხი პაპის სიტყვა XII განკიცხა კომუნისტები, სოციალისტები და ყველა ის ამომრჩეველი, რომლებმაც 1946 წლის არჩევნებში ხმა მისცა ამ პარტიებს. 1950 წელს მიღებული კანონით ესპანეთში იტალიასა და საფრანგეთში ლიკვიდირებულ იქნა ლატიფუნდიების დიდი ნაწილი. მათ ჩამოერთვათ 1,5 მლნ. ჰექტარი მიწა. მომავალ არჩევნებში ქრისტიანული პარტიის გამარჯვების უზრუნველსაყოფად 1952 წელს მიღებულ კანონი (მაჟორიტარული), რომლითაც თუ პარტია 50%-ზე მეტი ამომრჩეველის ხმას მიიღებდა, პარლამენტში დაიკავებდა ლეგიტუტატთა ადგილების $^2/_3$.

1953 წლის ივნისის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების 40% (10,8 მლნ) მიიღეს. ეს კამეა, პარლამენტში 44 ადგილი დაკარგეს.

კომუნისტურმა პარტიამ ძალა 6,1 ძლ (22,7%) ხმა და 142 ადგილი დეპუტატთა პალატაში და 52 სენატში. სოციალისტურმა - 3,5 მლნ ხმა (12,7%) ოთივე პარტიამ ერთად 2 მლნ ხმით მეტი მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებში ამბრიგად, ქრისტიან-დემოკრატების იმედი არ გამართლდა. მათ ვერ უშველა ახალმა კანონმა. ახლად შეკრებილმა პარლამენტმა ეს „თაღლითური" კანონი, როგორც მან ტოლიატმა უწოდა, გაუქმა.

დე გასპერი აღადგენის გამო იძულებული გახდა გადადგა. ეს ოიყო 1954 წელს. ეგი გარდაიცვალა. ამიერიდან ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში ორი პოლიტიკური მიმართულება ჩამოყალიბდა. უფრო ადრე მოაზროვნე ლიდერები ფანფანის (პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი) და გრონ ეის მეთაურობით თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ფაშისტი სოციალურ დათმობებზე წასვლა, სოციალისტურ პარტიასთან დაახლოება რომ კომუნისტებისაგან ჩამოშორების მიზნით. ფანფანი ჯგუფს ეწოდა „მემარცხენე ცენტრისტული". ბეორე მიმართულება ეროვნული იყო დე გასპერის პოლიტიკური კურსის გაგრძელებისა. მათ მიმართ ჯვენეები უწოდეს.

ქრისტიან-დემოკრატებმა სოციალ-დემოკრატებთან ერთად შექმნეს კოალიციური მთავრობა შელბა[1] სარაგატის მეთაურობით. ამ მთავრობამ გააგრძელა რეპრესიები. მაგალითად, მილანში, სიცილიაში. 1954 წლის დეკრეტით სახელმწიფო დაწესებულებებში კომუნისტების დევნა დაიწყო. შელბას მთავრობა ამ ანტიკომუნისტურ კურსს ამართლებდა განცხადებით იმის შესახებ, რომ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წევრები საბჭოთა კავშირის „ბეზუთე კოლონას" წარმოადგენდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა კომპარტია 1954 წლისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 2 მლნ. 145 ათას წევრს, ახალგაზრდობის ფედერაციასთან ერთად კი — 2,5 მლნ. კაცს.

კომპარტიის ლიდერები ქვეყნის ეკონომიკურ სიძნელეებს, ინფლაციას, ფასებისა და უმუშევრობის ზრდას აბრალებდნენ მთავრობას და ამით ცდილობდნენ მმართველი პარტიებისათვის სახელის გატეხას, თუმცა მთელი ამ კრიზისული მდგომარეობის მიზეზი იმდენად მთავრობა როდი იყო, რამდენადაც ეროვნულსაყრელი კონიუნქტურა.

ომის შედეგად დასუსტებულ ბურჟუაზიას ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში დიდი დახმარება და მხარდაჭერა გაუწია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ აშშ-ის და ვატიკანის მხარდაჭერით და დემაგოგიური დაპირებებით შეძლო მოსახლეობის უმრავლესობის თავის მხარეზე დროებით მიმხრობა. დე გასპერის ხელისუფლების ანტირეფორმისტულმა კურსმა გამოიწვია ამ პარტიისა და მემარჯვენეების გავლენის დაცემა და მათ ხარჯზე კომუნისტების ხელმძღვანელობით მემარცხენე ძალების პოზიციების გაძლიერება.

---

[1] მარიო შელბას დე გასპერის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. იგი მომხრე იყო „ბრბოს" წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენებისა. მას „პოლიციის მინისტრი" უწოდეს. იგი დაკავშირებული იყო სიცილიის ტერორისტულ ორგანიზაციასთან — მაფიასთან.

საგარეო პოლიტიკა ომის შემდეგ 50-იან წლებამდე

დე გასპერის მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარი საზრუნავი იყო ისეთი საზავო ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც უზრუნველყოფდა იტალიის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ეს ხელშეკრულება 1947 წლის 10 თებერვალს გაფორმდა პარიზში ანტიჰიტლერულ კოალიციასა და იტალიას შორის. იტალიის საზღვრები დადგინდა 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ფარგლებში. იტალიამ უარი თქვა თავის კოლონიებზე ჩრდილოეთ აფრიკაში, ცნო ომამდე მიტაცებული ქვეყნების — ეთიოპიისა და ალბანეთის დამოუკიდებლობა, ხოლო საბერძნეთს უბრუნდებოდა დოდეკანეზის კუნძულები. ქალაქი ტრიესტი[1] ცხადდებოდა დამოუკიდებლად, რომლის გუბერნატორის დანიშვნა დაევალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. იტალიის შეიარაღებული ძალები 300 ათასი კაცით განისაზღვრა. ომის დროს მიყენებული ზარალი მას უნდა აენაზღაურებინა სსრ კავშირს, იუგოსლავიის, ალბანეთისა და საბერძნეთისათვის.

საბჭოთა მთავრობა გამოვიდა იტალიაში სხვა სახელმწიფოთა ე. წ. თანასწორუფლებიანობისა და უცხოეთის კაპიტალის შეჭრის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მოთხოვნით ამერიკა-ინგლისის საოკუპაციო ჯარები იტალიიდან უნდა გაეყვანათ საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 3 თვის შემდეგ. იკრძალებოდა ფაშისტური პარტიების და ორგანიზაციების საქმიანობა. ხელშეკრულება უზრუნველყოფდა ქვეყნის ეროვნულ სუვერენიტეტს.

საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ დე გასპერის მთავრობამ აიღო აშშ-თან დაახლოების კურსი. 1947 წელსვე იტალიასა და აშშ-ს შორის დაიდო ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამერიკის კაპიტალის დანერგვას იტალიაში. 1948 წლის თებერვალში კი დაიდო „ხელშეკრულება მეგობრობისა, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ", რომელიც აშშ-ის მოქალაქეებს იტალიაში ვაჭრობის, მრეწველობის და კერძო ინი-

[1] 1954 წელს იტალიასა და იუგოსლავიას შორის შეთანხმების საფეძველზე ტრიესტი ორ ნაწილად გაიყო. ქალაქი ტრიესტი იტალიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო გარეუბნების ნაწილი — იუგოსლავიაში.

ცალკეული, [illegible] ოფალი ოჯახებიდან [illegible] 1948 წლის [illegible] იტალია [illegible] „მარშალის გეგმაში“.

„მარშალის გეგმა“ [illegible] წელიწადს მოქმედებდა [illegible] ხანგრძ[illegible] ლობაში იტალიაში შეიტანეს 1,5 მლრდ. დოლარის ღირებულები[illegible] ამერიკული საქონელი. ამერიკულ მოწყობილობებით ჰოლიანად [illegible] ძოდერნიზებულ იქნა იტალიის მსხვილი საწარმოები, [illegible] „ფიატის“, „ფალაის“ და სხვ.

იტალია ნატოში შეიყვანეს [illegible] ეს [illegible] ინ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

იტალიის ეკონომიკური და სოციალური განვითარება 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1977 წლამდე

ეკონომიკური განვითარება. 50-იანი წლების დასაწყისიდან იტალიის მრეწველობა ახასიათებდა განვითარების მაღალი ტემპები, მაგრამ იგი არათანაბარი იყო[1]

სამრეწველო წარმოების ტემპები ზრდით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის იტალიამ პირველი ადგილი დაიკავა, მსოფლიოში კი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის — მეორე, იაპონიის შემდეგ.

იტალიის ეკონომიკას ყოველ 5—6 წელიწადში ახასიათებდა აღმავლობაც და კრიზისის გამო დაცემაც. 20 წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოების მოცულობა (1953—1973 წლებში) გაიზარდა 4,6-ჯერ. ფრიად საყურადღებოა, რომ წარმოების საერთო მოცულობის ზრდა მრეწველობის ცალკეულ დარგში ერთნაირი რიდი იყო. განსაკუთრებით დიდი წარმატებები ახასიათებდა ჰოლიმერულ მრეწველობას, რომელიც გაიზარდა 5-ჯერ ტემპები. ზრდით მეორე ადგილზეა ზუსტი მანქანათმშენებლობა, რომელიც აწარმოებს საანგარიშო, საბეჭდ და ელექტროგამომთვლელ მანქანებს. მომდევნო ადგილებზეა ნავთობისა და გაზის მრეწველობა. ადრე თვლიდნენ, რომ აპენინის ნახევარკუნძულზე არ იყო ნავთობისა და გაზის საბადოები. მაგრამ ომის შემდეგ სიცილიაში აღმოაჩინეს დაბალხარისხოვანი ნავთობი. სიცილიის ნავთობი უფრო ძვირია ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანილ ნავთობთან შედარებით. ჩრდილოეთ იტალიაში აღმოჩენილ იქნა გაზის მდიდარი საბადოები, რომელთა გადამუშავებისათვის მრავალი საწარმო აიგო. შემუშავდა გაზისაგან მაღალხარისხოვანი ხელოვნური კაუჩუკის მი-

---

[1] 1953 წლიდან 1955 წლამდე საძრეწველო პროდუქციის ყოველწლიური საშუალო მატება შეადგენდა 9%, 1958 წელს დაეცა 4%-მდე, 1960 წელს მიაღწია სარეკორდო დონე — 15%-ს მაგრამ 1964 წელს შეადგინა 1%, შემდგომ წელიწადს — 5%, 1966 წელს კვლავ ნახტომი გაკეთდა და მან შეადგინა 11,2%, შემდეგ ისევ თანდათანობით დაცემა განიცადა და 1969 წელს შეადგინა 3,9%, 1971 წელს — 4%, 1972 — 1973 წლებში — 8%. 1974 წელს დაწყებული კრიზისი იტალიასაც შეეხო, მაგრამ წარმოება ამ წელიწადს მაინც 6%-ით გაიზარდა. 1975 წელს კი იგი წინა წლიან შედარებით 12%-ით დაეცა, 1976 წელს დაცემის პროცესი გრძელდებოდა.

ღების საშუალებანი. გაზის საბადოები და საწარმოები ხელთ იგდო სახელმწიფო მონოპოლია „ენიმ“[1].

ომის შემდგომ იტალიაში სწრაფად ვითარდებოდა საავტომობილო მრეწველობა, რომლის კონტროლი ძირითადად მონოპოლისტური გაერთიანება „ფიატის“ ხელშია (წარმოების 80%). „ფიატის“ კონსტრუქტორებმა შექმნეს მცირელიტრაჟიანი და დაბალფასიანი ავტომანქანები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნაა ევროპასა და ამერიკაში[2].

იტალიაშიც გავრცელდა ეკონომიკის განვითარების სახელმწიფოს მიერ წინასწარი პროგრამირება. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელმწიფო დაწესებულების „სამხრეთის სალაროს“ შექმნა, რომლის მთავარი მიზანი იყო იმ დიდი განსხვავების ნაწილობრივ მაინც ლიკვიდაცია, რომელიც არსებობდა ეკონომიკური განვითარების დონით ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. გარდა ამისა, 1955 წელს ეკონომიკის მინისტრმა ვანონმა შეიმუშავა 1955—1964 წწ. იტალიაში დასაქმებისა და შემოსავლის განვითარების სქემა, რომელიც მოითხოვდა კაპიტალდაბანდებების გაზრდას. ვანონის სქემა ეკონომიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვანს. კომუნისტური და სოციალისტური პარტიები იბრძოდნენ ქვეყნის ეკონომიკის გეგმური წესით განვითარებისა და მრეწველობის მართვაში მუშათა კლასის მონაწილეობისათვის.

ეკონომიკური პროგრამირების და დაგეგმვის განხორციელება ბურჟუაზიას იმ შემთხვევაში უნდოდა, თუ პროფკავშირები აიღებ-

---

[1] 1956 წელს ირანთან ამ მონოპოლიამ დადო შეთანხმება „ენის“-თვის ნავთობისა და გაზის ძიების კონცესიის მიცემის შესახებ, რომლითაც ნაცელად ადრე არსებული სანახევრო მოგების იმპერიალისტური ფორმულისა 50%:50%-ზე, იგი დათანხმდა 75%:25%-ზე, რამაც დასავლეთის სახელმწიფოების დიდი პროტესტი გამოიწვია. ასეთივე 25%-იანი მოგების ხელშეკრულება „ენიმ“ დადო მაროკოსთან და ტუნისთან. იტალიის მაგალითს მალე მიბაძა იაპონიამაც.

[2] „ფიატის“ მარკებიდან განსაკუთრებით ცნობილი იყო „ფიატ-600“, „ფიატ-850“, „ფიატ-124“.

1952 წლისათვის 1 მუშაზე მოდიოდა წარმოებული 2,22 ავტომანქანა წელიწადში, 1965 წელს — 10,24. „ფიატის“ წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია მილანის და ტურინის ქარხნებში.

„ფიატის“ მონოპოლია მრავალდარგობრივია. ავტომანქანების გარდა იგი აწარმოებს მძიმე გემების დიზელებს, ტრაქტორებს, თვითმფრინავ-გამანადგურებლებს და ა. შ.

დნენ ვალდებულებას ამეთი გეგმების განხორციელებაზე და უარ-
იტყოდნენ გაფიცვებზე. ასეთ შემთხვევაში იტალიის მმართველი
წრეები თანახმა იყვნენ პროფკავშირების მონაწილეობაზე. რო-
გორც ამას კონსტიტუცია ითვალისწინებდა. სახელმწიფოს ეკონო-
მიკური ცხოვრების დაგეგმვაში.

1965 წლის დასაწყისში მაშინდელი ბიუჯეტის მინისტრის სო-
ციალისტ ჯოლიტის ხელმძღვანელობით შემუშავდა გეგმა, რომელიც
ითვალისწინებდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში
სტრუქტურული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, მაგრამ სო-
ციალისტების მთავრობიდან გასვლის შემდეგ ჯოლიტის გეგმაში
ცვლილებები შეიტანეს.

პარლამენტში განხილვის დროს ეს გეგმა უარყოფილ იქნა. ეკო-
ნომიკური განვითარების პროექტები შემდეგაც შემუშავდა, მაგრამ
ისინი, როგორც წესი, ბურჟუაზიის წინააღმდეგობას აწყდებოდნენ
და განუხორციელებელი რჩებოდნენ; ბოლოს, 1967 წელს ძალაში
შევიდა დიდი დავის და განხილვის შემდეგ მიღებული ერთიანი სა-
ერთო ეროვნული ხუთწლიანი გეგმა. ამრიგად, იტალია საბოლოო
ჯამში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სახელმწიფოს მიერ რე-
გულირებისა და გეგმური წარმოების გზას დაადგა.

ომის შემდგომი იტალიის ეკონომიკური წარმატებები ბურჟუა-
ზიულმა იდეოლოგებმა „იტალიური სასწაულის" სახელწოდებით
მონათლეს. მაგრამ სინამდვილეში აქ არავითარი სასწაული არ მომ-
ხდარა. როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების ზრდისათ-
ვის აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნილება და სყიდვითუნა-
რიანობა. ომის პერიოდში ხალხი ვერ იკმაყოფილებდა ელემენტა-
რულ მოთხოვნებს, ომის შემდეგ კი მოთხოვნები ფართო მოხმარე-
ბის საგნებზე დიდი იყო, ხოლო სყიდვითუნარიანობა — დაბალი.

ომის წინა პერიოდში მთელი 20 წლის განმავლობაში ავთარქიის
პოლიტიკამ, რომელიც ომის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა, გა-
მოიწვია იტალიის საწარმოების მანქანა-დანადგარების მთლიანი
გაცვეთა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელი იქნებო-
და ამ გაცვეთილი დანადგარების ახალი დანადგარებით შეცვლის
გარეშე. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო თავისუფალი კაპიტალი.
რაც შეეხება სამუშაო ძალას, იგი იტალიაში ყოველთვის საკმარის-
ზე მეტი იყო.

„მარშალის გეგმა" კაპიტალის ერთგვარ „პირველად დაგროვე-

ბად" გადაიქცა, რომლის ძეშვეობით იტალიამ აღადგინა თავისი მრეწველობა, რამაც შემდეგ ბიძგი მისცა სამრეწველო წარმოების ზრდას. აქონლის ნოლი გასაღება ახალ კაპიტალს იძლეოდა წარმოებისა გაფართოებისათვის.

1950—1956 წლებში იტალიის მრეწველობაში დაიწყო ძეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე შექმნილი მანქანა-დანადგარების დანერგვის პროცესი, რამაც 60-იანი წლებიდან გამოიწვია სამრეწველო პროდუქციის რეკორდული ზრდა. 60-იანი წლების შუა პერიოდიდან საწარმოებში ხდება ტექნიკის მაღალი მიღწევების საფუძველზე შექმნილი მანქანა-დანადგარების ახალი დანერგვა, რასაც მოჰყვა სამრეწველო წარმოების კიდევ უფრო მეტი ზრდა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იტალიის ეკონომიკური განვითარების „სასწაულისა". წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვამ მოჰყვა შრომის ნაყოფიერების გაზრდა, რომლითაც იტალიამ უკან ჩამოიტოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. 1948 წლიდან 1960 წლამდე შრომის ნაყოფიერება იტალიაში 2-ჯერ გაიზარდა. იგი კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა შემდგომ წლებში.

ომის შემდგომი იტალიის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიჩნეულია ქვეყნის დაბალი სამხედრო ხარჯები და მუშახელის სიიაფე, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამ მხრივ დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. მუშახელი ყოველთვის ჭარბი იყო იტალიაში, თუმცა კვალიფიციური მუშების „სიჭარბე" არ შეიმჩნეოდა. ახლა ეს ნაკლიც მნიშვნელოვნად გაძოსწორდა, რადგან ემიგრაციაში წასული არაკვალიფიციური მუშები სამშობლოში დაბრუნდნენ მაღალი კვალიფიკაციით[1].

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებასა" და „საერთო ბაზარში" შესვლამაც შეუწყო ხელი იტალიის მრეწველობის რიგი დარგების წინსვლას. განსაკუთრებით მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. ამ დარგში არსებობს მხოლოდ ერთი კერძო ნსხვილი მონოპოლია „ფალკი", რომელიც ჯერ კიდევ „მარშალის გეგმით" დიდ კრედიტებს და დანადგარებს იღებდა აშშ-დან.

[1] 20 წლის განმავლობაში (1946 — 1966 წწ.) იტალია დატოვა 6 მლნ-მა არაკვალიფიციურმა მუშამ რომელთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა როგორც კვალიფიციური.

ამ დაგვიანებულ განვითარებას ხელს უშლიდა ის, რომ იტალიას არა აქვს საკუთარი რკინის მადნის საბადოები.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებაში" იტალიის შესვლის შემდეგ მეტალურგიულ საწარმოებში უფრო დიდი თანხები დაბანდდა და საწარმოებში მაღალი ტექნიკური დონის დანადგარები დაიდგა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მეტალურგიული წარმოების სიმძლავრე. იტალიის მეტალურგია განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობდა „ევროპულ გაერთიანებაში", რის შედეგად ფოლადის წარმოება მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, 1953 წელს ფოლადის წარმოება 3 მლნ. ტონას შეადგენდა. 1963 წელს — 10 მლნ. ტ. 1968 წელს — 16 მლნ. ტონას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, დიდ თანხებს აბანდებდა პერსპექტიულ დარგებში და ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან ფინანსურ და სამრეწველო გაერთიანებებს. 1968 წლისათვის სახელმწიფოს ხელში იყო ელექტროენერგიის წარმოების 90%, თუჯის წარმოების — 94%, ფოლადის — 58%, დიდი დიამეტრის მილების წარმოების — 100%, გემთმშენებლობის — 80%, ნავთობისა და გაზის წარმოების — 97%, საზღვაო-სამგზავრო ფლოტის — 65%, ქვანახშირის წარმოების — 100%, მთელი ელექტროტექნიკური მრეწველობა, სატელეფონო ქსელი, რადიოსადგურები და ტელეგადაცემები, ავიაკომპანიები, სავაჭრო ფლოტი და მთელი რკინიგზების — 80%.

სახელმწიფო საწარმოებში მონაწილეობდა კერძო კაპიტალი, მათ შორის უცხოურიც. ასევე კერძო საწარმოებში დაბანდებული იყო სახელმწიფო კაპიტალი. მთელი დაბანდებული კაპიტალის 60% სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

მრეწველობის განვითარება იტალიაში უპირატესად ჩრდილოეთის რაიონებში მიმდინარეობდა, სამხრეთი კი ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. 1950 წელს მთავრობამ შექმნა სპეციალური სახელმწიფო დაწესებულება „სამხრეთის სალარო", რომლის ათავეში ჩააყენეს უპორტფელო მინისტრი. კერძო ფირმებმაც და სახელმწიფომაც ამ სალაროში დიდი კრედიტები დააბანდეს და სამხრეთის განვითარება რაოდენობის თვალსაზრისით შესრულდა. „სამხრეთის სალარო" დაგეგმილი იყო 15 წლით, მაგრამ ვინაიდან

იგი არასაკმარისი აღმოჩნდა. კიდევ 5 წლის ვადით გაგრძელება. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ იტალიაში მრავალი მსხვილი საწარმო აიგო, იგი მაინც ბევრად ჩამორჩებოდა განვითარების დონით ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებს.

იტალიის კაპიტალიზმის გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა ქრონიკული უმუშევრობა. მიუხედავად მაღალი კონიუნქტურისა, უმუშევართა რაოდენობა იტალიაში ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენდა 1 მლნ-ზე მეტ კაცს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ იტალიიდან ყოველწლიურად დასავლეთ ევროპაში საშოვარზე 300 ათასი კაცი მიდის, რომელთაც არავითარი პროფესია არა აქვთ.

თუ ადრე იტალიელები სამუდამოდ ან ხანგრძლივი დროით მიდიოდნენ საშოვარზე, ახლა მიდიან სეზონურ სამუშაოზე 4—6 თვით.

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარებას, რომლის ხელშემშლელი მიზეზი იყო პარცელარული მეურნეობის არსებობა. 1961 წლისათვის 1 ჰექტარი მიწა შეადგენდა მეურნეობის $^1/_3$-ს, 3 ჰექტარამდე კი — $^2/_3$. კაპიტალისტური და მემამულური მიწათმფლობელობა ძირითადად სამხრეთში შემორჩა და შეადგენდა სახნავ-სათესი მიწის $^1/_3$-დან $^1/_5$-მდე. სოფლის მოსახლეობის დენადობის პროცესი ომის შემდგომ იტალიაში ძალზე მაღალია. 1953 წლიდან 1966 წლამდე სოფლიდან წავიდა სამუშაო ძალის 50%, მაგრამ ამასთანავე გაიზარდა სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დანერგვა და სოფლის მეურნეობის წარმოების ინდუსტრიალიზაცია. მაგალითად, 1950 წლისათვის სოფლად 57 ათასი ტრაქტორი იყო, 1968 წლისათვის კი ტრაქტორთა რიცხვი 10-ჯერ გაიზარდა. მაგრამ იტალიის სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობით და შრომის ნაყოფიერებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთის სხვა ქვეყნებს. მაგალითად, 1964—1965 წწ. შრომის ნაყოფიერება აშშ-ის დონესთან შედარებით იტალიაში შეადგენდა 21%, საფრანგეთსა და გფრ-თან შედარებით კი ორჯერ დაბალი იყო.

„საერთო ბაზარში" იტალიის შესვლა ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგების ერთი ნაწილისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, მეორე ნაწილზე კი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

იტალია ვერასოდეს ვერ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნას მესაქონლეობის პროდუქტებზე. მას ხორცი, ხორცის პროდუქტები და

კარაქი დიდი რაოდენობით შემოჰქონდა და შემოაქვს საზღვარგარეთიდან. 50-იანი წლების ბოლოს იტალიაში ეწეოდნენ მარცვლეულისა და ხილის ბაღების შემცირებისა და მათ ხარჯზე მესაქონლეობის გაზრდის პროპაგანდას. მაგრამ დაბალი ტექნიკური დონის გამო იგი არარენტაბელური აღმოჩნდა. ხორცის დიდი ფაბრიკების შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეფრინველეობაში, სადაც მოცულობით ისეთ დიდ დონეს მიაღწიეს, რომ 1965 წლისათვის ქათმის ხორცი ამ სახის პროდუქტებს შორის ყველაზე იაფი იყო. საქონლის ხორცით მომარაგების პრობლემა კი იტალიაში დღევანდლამდე გადაუჭრელი რჩება.

იტალიის მთავრობა დიდი თანხების დაბანდების გზით ცდილობდა ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის, უპირატესად მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებისათვის. 1961 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო პირველი ე. წ. „მწვანე გეგმა“, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის დაფინანსებას ხუთი წლის განმავლობაში 550 მლრდ. ლირათი. მაგრამ ეს დახმარება გათვალისწინებული იყო მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობისათვის. „მწვანე გეგმა“ მიზნად ისახავდა მეურნეობის გამსხვილებას და წვრილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას. ამ გეგმის განხორციელებას მართლაც მოჰყვა გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის განდევნა სოფლიდან.

სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე მომსახურების სფეროში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. იტალიის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ტურიზმი, რომელიც საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს. ტურიზმი, განსაკუთრებით საავტომობილო, ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 1968 წელს იტალიაში 27 მლნ. ტურისტი იყო, 1970 წელს — 32 მლნ., 1975 წელს — 34 მლნ. ტურისტები დიდ თანხებს ხარჯავენ იტალიაში, რაც ხელს უწყობს საგადასახადო ბალანსის მუდმივ დადებით სალდოს შექმნას და იტალიის ლირას პოზიციების გაძლიერებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე. ამასთანავე, საავტომობილო ტურიზმის განვითარებას ის მოჰყვა, რომ იტალიაში გაიყვანეს ექსტრაკლასის ავტოსტრადები, უზრუნველყოფილი სათანადო მომსახურებით; აღსანიშნავია „ავტოსტრადა მზე“, რომელიც მთელ ქვეყანას კვეთავს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში. ეკონომიკურმა განვითარებამ 50—60-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სტრუქტურაში. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა სამუშაო ძალის კვალიფიციურ სტრუქტურაში, სპეციალობის თვალსაზრისით იგი მრავალდარგობრივად გადააქცია. გაიზარდა ტექნიკური ინტელიგენციის რაოდენობა, რომელიც შედარებით პრივილეგიურ მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, იგი დაქირავებულ შრომას ეწევა, ექსპლუატაციას განიცდის და თავისი უფლებრივი მდგომარეობით დიდად არ განსხვავდება მუშათა კლასისაგან. სამრეწველო პროლეტარიატის რაოდენობა ოცი წლის განმავლობაში (1950—1970 წწ.) 4 მლნ-დან 6,8 მლნ-მდე გაიზარდა. ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდა არაკვალიფიციური ჰუშების რაოდენობა.

მრეწველობის ზრდას ომის შემდგომ პერიოდში იტალიის სოციოლოგებმა უწოდეს როგორც „მეორე ტექნიკური რევოლუცია" და ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების განსაკუთრებულ ფაზაში, ე. წ. შემოსავლის ზრდის რევოლუციაში, რომლის შედეგად თითქოს გაქრნენ კაპიტალისტებისა და დაქირავებულ მუშათა კლასები, მათი ადგილი „საშუალო კლასმა" დაიკავა. ასეთი სახელი შეარქვეს მათ საშუალო ფენას შემოსავლის მიხედვით. საყურადღებოა, რომ მსხვილი მონოპოლიების მოგება ყოველწლიურად საშუალოდ 30% შეადგენს, მუშათა რეალური ხელფასი 1950—1963 წლებში კი მხოლოდ 12% გაიზარდა, ისიც მუშათა კლასის მძლავრი მოძრაობის ზეგავლენით. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის მუშათა ხელფასი მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

ამრიგად, ეკონომიკურმა აღმავლობამ 50—60-იან წლებში განამტკიცა იტალიის კაპიტალიზმის პოზიციები და გავლენა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

ცენტრისტული ძალების საშინაო პოლიტიკა. ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის

ცენტრისტული მთავრობა იტალიაში შეიქმნა დე გასპერის მთავრობის დაცემის შემდეგ. ცენტრისტული მთავრობა ხელისუფლების სათავეში 1950 წლის ივლისამდე იყო. ექვსი წლის განმავლობაში ბევრი მთავრობა შეიცვალა. რომელთა სათავეში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ა. სეგნი, ა. ძოლი და ა. ფანფანი. მთავრობაში ქრისტიან-დემოკრატების გარდა შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები და ლიბერალები.

სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიებსა და აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის შიგნით ხშირად იქმნებოდა მთელი რიგი მიმდინარეობანი, რომლებიც იშლებოდა, ერთიანდებოდა და ისევ იშლებოდა. ამ შიდა პოლიტიკური ბრძოლის მთავარი მიზანი იყო გამოეცალა ხელი, რათა შეეფერხებინათ კომუნისტების გავლენის ზრდა ქვეყანაში.

ეს მთავრობები ცდილობდნენ ქვეყანაში „ძლიერი ხელისუფლების" დამყარებას. მაგრამ ასეთ პოლიტიკას ყველა ბურჟუაზიული ძალა ერთ-ერთ უპირველეს მხარს. ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, მათ შორის მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიაც კი, თვლიდა, რომ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მუშათა კლასისა და ჭრონელთა მასების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებესება. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ფიატის მონოპოლიაც. 50-იანი წლების დასაწყისში მან წამოაყენა ლოზუნგი: „ჩხვლილ ფირმები პირველები არიან ტექნიკურ პროგრესში, პირველები არიან სოციალურ პროგრესშიც". 1955 წლის მარტში ფიატის ადმინისტრაციამ მუშებისა[1] ასალი კოლექტიური ხელშეკრუ-

[1] 50-იანი წლების დამდეგს ფიატის ადმინისტრაციამ ტურინში ააგო ახალი დიდი ქარხანა „მირაფიორი", რომელიც მოწყობილი იყო უახლესი ტექნიკური დანადგარებით. ამ ქარხანაში რეორგანიზებულ იქნა მთელი საწარმოო პროცესი. „მირაფიორმა" დაიწყო მცირელიტრაჟიანი მანქანების „ფიატ-600" მასობრივი წარმოება. ეს მანქანა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. ამ მანქანას ყიდდნენ შედარებით იაფად, მაგრამ უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე იგი უჯდებოდათ ფიატის ადმინისტრაციამ ძალზე დიდი მოგებები მიიღო, რომელთა უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენა პატერნალიზმის პოლიტიკის გასატარებლად (პატერნალიზმი ლათინური სიტყვაა და სულერ მამას ნიშნავს)

ლების დადების დროს არა მარტო დათანხმდა მათთვის ხელფასის გაზრდას და სამუშაო დღის შემცირებას, არამედ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ შემოიღებს დამატებით პრემიებს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ფიატის ქარხანაში სტაჟიანი მუშებისათვის გაუმჯობესებს მათ სამედიცინო და სოციალურ მომსახურებას. ამასთანავე, ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ყველა ეს ღონისძიება განხორციელდება ადმინისტრაციასთან მუშათა ლოიალური თანამშრომლობის შემთხვევაში. ფიატის ადმინისტრაციამ თავისი დაპირებები შეასრულა. ამ ღონისძიებებს თავისი პოლიტიკური მიზანი ჰქონდა — საფუძველი გამოეთხარა მუშებზე პროფკავშირთა გავლენისათვის.

პროფკავშირთა ლოზუნგი „მეტი ხელფასი, ნაკლები სამუშაო დღე!" ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. თვით პროფკავშირებშიც ამან დაბნეულობა გამოიწვია. ამასთანავე, ფიატის ქარხნის რეორგანიზაციის მოტივით პროფკავშირის აქტივისტები სხვადასხვა საბაბით განდევნეს ქარხნიდან. „მირაფიორის" ქარხანაში ადმინისტრადიციამ შექმნა მუშათა არისტოკრატიის ახალი ფენა, რომელსაც მაღალი ხელფასები და მრავალი შეღავათი დაუწესა.

ფიატის ადმინისტრაციის ამ ღონისძიებების შედეგად პროფკავშირთა გავლენა მუშათა კლასზე მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამასთანავე, ფიატის მაგალითს ბევრმა მეწარმემ მიბაძა. ფიატის ადმინისტრაციამ შექმნა მეწარმეთა პროფკავშირები ყვითელი პროფკავშირები — სიდას — სახელწოდებით.

ასეთ ვითარებაში მმართველი პარტიის შიგნით თანდათანობით იზრდებოდა გავლენა „მემარცხენე ცენტრისტული" მიმართულებისა, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ ა. ფანფანი და ჯ. გრონკი.

„მემარცხენე ცენტრისტები", როგორც მათ უწოდებდნენ, მოითხოვდნენ სოციალური რეფორმების გატარებას და ასეთი გზით კომუნისტების იზოლირებას მასებისაგან. დე გასპერის მიმდევარი შჩელბა, რომელიც ამ დროს ხელისუფლების სათავეში იდგა, წინააღმდეგი იყო ყოველგვარი დათმობებისა. მას დიდი დარტყმა მიაყენა საპრეზიდენტო არჩევნებმა. ძველ პრეზიდენტს რწმუნების ვადა გაუვიდა და 1955 წლის აპრილში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. მრავალმა კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე ვერ მოაგროვა საჭირო ხმების რაოდენობა. პრეზიდენტად კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მხარდაჭერით აირჩიეს ჯ. გრონკი. ამის

შემდეგ ივნისში გადადგა შჩელბას მთავრობა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ანტონიო სენი. იგი უკვე ცნობილი იყო როგორც ავტორი 1953 წლის კანონპროექტისა, რომელშიც წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო სახელმწიფო საწარმოების მართვის სპეციალური სამინისტრო.

ა. სენის მთავრობა კოალიციური იყო. მასში ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად შეეიდნენ სოციალ-დემოკრატები და ლიბერალები. ამ მთავრობამ უარყო ნენარჯენე პარტიების — ნეოფაშისტების და მონარქისტების წინადადება, მათთან ერთად შეექმნათ კოალიციური მთავრობა, მაგრამ 1957 წლის მაისში ცენტრისტული კოალიცია დაიშალა, ვინაიდან ლიბერალები წინააღმდეგი იყვნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა. ასეთი პოლიტიკის მომხრედ გამოდიოდა ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ეკონომიკის პროფესორი. ა. ფანფანი, რომელიც 1958 წლის 2 ივლისს გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. იგი წინააღმდეგი იყო დემოკრატიული მოძრაობის პოლიციური მეთოდებით ჩახშობისა. ა. ფანფანი მოითხოვდა მსხვილი მონოპოლიების გაფანტვის გამოყენებას და მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით მემარცხენე ძალების პოლიტიკურ განიარაღებას. ა. ფანფანის მომხრეები მოითხოვდნენ შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობას ეკონომიკის განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით. მონოპოლიებისა და ვატიკანის მხარდაჭერით ა. ფანფანმა ვერ ძლო პარტიის შიგნით არსებული სხვადასხვა მიმდინარეობის დამორჩილება. იგი ამ პარტიის მდივნად აირჩიეს ჯერ კიდევ 1955 წელს. ასეთივე პოზიციაზე იდგა ახლად არჩეული პრეზიდენტი ჯ. გრონკი. მან თავის პირველ მიმართვაში პარლამენტისადმი მოითხოვა, რომ არ გადაეხვიათ კონსტიტუციური მმართველობისაგან, მკაცრად დაეცვათ მისი პრინციპები. ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, უარი ეთქვათ მუშათა მოძრაობის ჩახშობაზე და განეხორციელებინათ სოციალური რეფორმები. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ამ უმნიშვნელო ხასიათის დაპირებებმაც კი საშინაო რეაქციის შეშფოთება გამოიწვია. პირველ რიგში იერიში მიიტანეს ა. ფანფანის წინააღმდეგ და 1959 წლის 25 იანვარს ის აიძულეს გადამდგარიყო პარტიის მდივნობიდან და მთავრობის მეთაურის თანამდებობიდან. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გახდა მანამდე ნაკლებად ცნობილი ალდო მორო,

ბოლო მთავრობა ბეთმანი ჰოლვეგი ანტიფაშისტი ელიტა ამორგალ. საფრანგეთის მსგავსად თითქმის ერთდროულად მემარჯვენე ძალებმა გაიმარჯვეს. მმართველი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობაც მემარჯვენე მიმდინარეობის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ საფრანგეთისაგან განსხვავებით იტალიის მემარჯვენე იალებს მხარს არ უჭერდნენ მასები. ამით აიხსნება მთავრობის ხშირი ცვლილებები. საქმე ისაა, რომ ცენტრისტული მთავრობისათვის მხარდაჭერაზე პარლამენტში უარს ამბობდნენ სხვა პარტიები. ამიტომ 1960 წლის თებერვალში სენის მთავრობაც გადადგა. იგი უკანასკნელი ცენტრისტული მთავრობა იყო. მარტში ერთპარტიული მთავრობა შექმნეს ტამბრონმა. მან პარლამენტში ნდობის ვოტუმი ძალიან ნეოფაშისტების მხარდაჭერის წყალობით. რაც ცხადყოფდა, რომ ეს მთავრობა აშკარა მემარჯვენე ხასიათისა იყო. ამ მთავრობის დროს ნეოფაშისტები იმდენად გათამამებულნენ, რომ 1960 წლის ივლისის დასაწყისში პარტიის ყრილობის ჩატარებაც კი განიზრახეს. ანტიფაშისტური ბრძოლა. ტრადიციების მქონე ქალაქ გენუაში, რომელიც ფაშიზმთან ბრძოლის გამო ოქროს medali ჰქონდა მიღებული. ეს იყო დემოკრატიული ძალების აშკარა გამოწვევა. ამის საპასუხოდ 29—30 ივნისს გენუის მშრომელებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა და მოაწყვეს ანტიფაშისტური დემონსტრაციები. მთავრობის ბრძანებით პოლიციამ დემონსტრანტებს ტყვია დაუშინა. რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. გენუის ამბები, ელვისებური წრაფით გავრცელდა მთელ ჩრდილოეთ იტალიაში, გამოიწვია ყოველთაო გაფიცვა და ანტიფაშისტური მანიფესტაციები.

19 ივლისს ტამბრონი ფანფანიმ შეცვალა. უკანასკნელმა დაგმო ნეოფაშისტების პროვოკაციები, მთავრობის რეპრესიები და მოითხოვა კონსტიტუციური მმართველობის აღდგენა

ბურჟუაზიის მმართველ წრეებში ფანფანის მეთაურობით ძლიერდება მემარცხენე მიმდინარეობის გავლენა, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ახალი რეფორმების და სოციალური დათმობების პოლიტიკური კურსის განხორციელების მომხრე იყო. იმედი ვერ გაამართლა „ცენტრიზმის პოლიტიკამაც". იგი უფრო მემარჯვენე ხასიათის იყო და სოციალისტური პარტიის გვერდის ავლით ცდილობდა ქვეყნის მმართველობას. ამით აიხსნება ის გარემოება რომ გავლენიანმა ბურჟუაზიულმა წრეებმა ასპარეზზე გამოუშვეს „მემარცხენე ცენტრისტული მთავრობა".

1962 წელს ნეაპოლში შედგა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო „მემარცხენე ცენტრისტული“ მთავრობის შექმნის შესახებ. „მემარცხენე ცენტრისტული“ სახელწოდება მიიღეს არა მარტო ფანფანმა და მისმა მიმდევრებმა, არამედ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე, კონსერვატორულმა მიმდინარეობამაც. ისინი მომხრე იყვნენ შექმნილიყო კოალიციური მთავრობა რესპუბლიკურ, სოციალურ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებთან ერთად. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე მიმდინარეობის შემობრუნება მარცხნივ აიხსნება არა მათი დემოკრატიულობით, არამედ მასობრივი მოძრაობისა და დემოკრატიული ძალების გავლენის ზრდით. 1947 წლის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა პირველად დათანხმდა სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობაზე. ასეთი ტაქტიკა მიზნად ისახავდა მასებისაგან კომპარტიის იზოლირებას, მუშათა კლასის იმ ნაწილის თავის მხარეზე მიმხრობას, რომელიც სოციალისტური პარტიის გავლენის ქვეშ იყო. მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკაზე გადასვლა შესაძლებელი გახდა თვით სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის შეხედულებებში ცვლილებების გამო.

იტალიის მრეწველობის მაღალმა კონიუნქტურამ და ეკონომიკაში მომხდარმა წარმატებებმა ცვლილებები გამოიწვია სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. თუ ეს პარტია ომისა და ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტებთან თანამშრომლობის მომხრე იყო, 50-იანი წლების დამლევს ისინი ამტკიცებდნენ, კაპიტალიზმი სტაბილიზაციას განიცდისო, ხოლო შემდეგ იმ დასკვნამდეც კი მივიდნენ, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისათვის საჭიროა ბურჟუაზიასთან სოციალისტური პარტიის თანამშრომლობა.

ჯერ კიდევ 1934 წლიდან კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის არსებობდა ერთიანი მოქმედების პაქტი, 1956 წლის შემოდგომაზე უნგრეთში საბჭოთა ინტერვენციის გამო ნენნიმ კომუნისტებთან ერთიანი მოქმედების პაქტი გააუქმა. ნოემბერში სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კომუნისტებთან ერთიანი მოქმედების პაქტის გაუქმების რატიფიკაცია მოახდინა, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ შეუძლებელია კომუნისტებთან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თანამშრომლობა, რადგან არადემოკრატიულად აქვთ წარმოდგენილი ეს თანამშრომლობაო.

ამ ნაბიჯის გამაოთლებისათვის სოციალისტები უნგრეთის ამბებთან ერთად იშველიებდნენ სკკპ XX ყრილობის მიერ სტალინის კულტის კრიტიკასაც.

დისკუსიები სკკპ XX კრილობის შედეგების შესახებ იტალიის პარტიულ ორგანიზაციებში მთელი კვირაობით გრძელდებოდა. უნგრეთის ამბები კი ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ გამოიყენა საბჭოთა სახელმწიფოსათვის სახელის გასატეხად, ნათლად წარმოადგინა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის აგრესიული ხასიათი და გაიძახოდა: იტალიაში მალე რუსი კაზაკები მოვლენო.

საერთოდ, უნგრეთში საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებმა რევოლუციური ძალების განადგურების საქმეში დიდი დავა გამოიწვია იტალიის კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებში. განსაკუთრებით მწვავე კრიზისი განიცადა სოციალისტურმა პარტიამ. პ. ნენი და მისი მომხრეები გამოვიდნენ საბჭოთა ჯარების უნგრეთში ინტერვენციის წინააღმდეგ და ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიულ პრესის ბრალდებას „თავისუფლების ჩახშობის", „ხალხთა გამოსვლების ჩახშობის", „აგრესიის" და სხვათა შესახებ.

1957 წლის თებერვალში სოციალისტური პარტიის XXIII ყრილობაზე უნგრეთის ამბების გამო პ. ნენიმ და მისმა მომხრეებმა მოითხოვეს სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანება აშკარა ანტი-კომუნისტურ საფუძველზე. მაღალმა კონიუნქტურამ და ეკონომიკური განვითარების „იტალიურმა სასწაულმა", მასთან დაკავშირებულმა მუშათა მოძრაობის შეფარდებითმა შესუსტებამ სოციალისტური პარტიის ლიდერებს სწორი შეხედულებები შეუქმნა. მაგალითად, პ. ნენიმ და მისმა მიმდევრებმა წამოაყენეს რეალისტური დებულებები, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს სუსტდება ბურჟუაზიული დიქტატურა და ანტაგონისტურ კლასებს შორის მყარდება „სოციალურ ძალთა თანაფარდობა".

მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკაზე გადასვლას მხარი დაუჭირა ვატიკანმაც. 1958 წლის ოქტომბერში გარდაცვლილი რომის პაპის პიუს XII ნაცვლად აირჩიეს იოანე XXIII, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ვატიკანის პოლიტიკა. იგი წინამორბედი არისტოკრატიული წარმოშობის პაპებისაგან განსხვავებით გლეხთა ფენიდან იყო გამოსული. მას შედარებით რადიკალური შეხედულებები ჰქონდა. თუ პიუს XII, მისი სამღვდელოება და კათოლიკური ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ

ბრძოლაში, ახალი პაპი იოანე XXIII სასულიერო პირების მონაწილეობას ყოველდღიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ეკლესიისათვის საზიანოდ თვლიდა. ახალი პაპი „ცივი ომის“ წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვა საერთაშორისო მშვიდობის დაცვა და განმტკიცება. იოანე XXIII-მ გააუქმა პიუს XII-ის მიერ 1949 წელს გამოცხადებული კომუნისტური და სოციალისტური პარტიებისა და მათი მომხრე მოქალაქეების ეკლესიიდან განკვეთა. იოანე XXIII (გარდაიცვალა 1963 წელს) და მისი მემკვიდრე პავლე VI აქტიურად გამოდიოდნენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მოითხოვდნენ ომის საშიში კერების ლიკვიდაციას და შეიარაღების შემცირებას. მათ დაგმეს „ცივი ომის“ პოლიტიკა და მოუწოდებდნენ ორ სისტემას შორის თანაშრომლობისაკენ. პავლე VI-მ სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოების კურსი აიღო, მაგალითად, 1966 წელს დაამყარა ურთიერთობა იუგოსლავიასთან, შემდეგ კი — უნგრეთთან.

1966 წელს პავლე VI-მ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე მოითხოვა მშვიდობის დაცვა მთელ მსოფლიოში. აქ იგი შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. გრომიკოს, 1967 წლის იანვარში კი რომში შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. პოდგორნის, როცა იგი პრეზიდენტ სარაგატის მოწვევით ვიზიტით იყო იტალიაში.

იოანე XXIII-მ და პავლე VI-მ განახორციელეს ეკლესიის რეფორმები. ზოგიერთი მოძველებული და დრომოჭმული წეს-ჩვეულება გაუქმდა. საეკლესიო მოძღვრების და წირვა-ლოცვის რიტუალები მოდერნიზებულ იქნა და სხვა[1].

რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ეკლესიის ავტორიტეტი, მისი იდეური გავლენა მოსახლეობაზე, რის შედეგადაც ეკლესია კომუნისტური მოძღვრების უფრო ძლიერი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე გახდა. ამიერიდან ვატიკანი უფრო მოქნილად და მოხერხებულად ებრძვის კომუნიზმს და სხვა ათეისტურ იდეოლოგიას.

ვატიკანის ხელმძღვანელები გამოვიდნენ კაპიტალისტური წყობილების ზოგიერთი მანკიერი მხარის კრიტიკითაც.

1961 წელს იოანე XXIII გამოაქვეყნა ენციკლიკა[2] „დამრიგე-

---

[1] საეკლესიო კრებამ ეს გადაწყვეტილება მიიღო 1962 წელს.

[2] ენციკლიკა — რომის პაპის მიმართვა მისდამი დაქვემდებარებული ეკლესიებისადმი.

ბელი დედის“ სახელწოდებით. იგი მოითხოვდა სახელმწიფო რეფორმებით ბოლო მოეღოთ ქვეყნის შიგნით არსებული კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეებისათვის, ეკონომიკაში სტიქიურობის აცილებისა და მისი რეგულირების მიზნით სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, რისთვისაც დასაშვებად თვლიდა საზოგადოებრივი საკუთრების შემოღებას. ამასთანავე ენციკლიკა კერძო საკუთრებას ხელშეუხებლად აცხადებდა.

ამრიგად, რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით ვატიკანი მოითხოვდა დათმობებზე წასვლას და მასების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვატიკანის ამ ახალი სოციალური და იდეოლოგიური დებულებების შედეგი იყო ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში მემარცხენე ცენტრისტული მიმართულების გაძლიერება.

ვატიკანი მხარს უჭერდა ა. ფანფანის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებას, განათლების სისტემის გარდაქმნას, ადმინისტრაციული და საგადასახადო რეფორმების გატარებას, მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციას, იტალიის სამხრეთი რაიონების განვითარებას.

1963 წლის 22 თებერვალს ფანფანის მეთაურობით შეიქმნა მემარცხენე ცენტრის პირველი მთავრობა, რომელშიც მთავარი ადგილი მემარჯვენე ქრისტიან-დემოკრატებმა დაიკავეს, რაც ზღუდავდა ფანფანის უფლებებს. ამიტომ იყო, რომ მან განზრახული რეფორმებიდან მხოლოდ ელექტროენერგიის კომპანიების ნაციონალიზაციის განხორციელება მოახერხა და ისიც კომუნისტი დეპუტატების მხარდაჭერის შედეგად. გაიზარდა ხელფასები ზოგიერთი კატეგორიის მუშებისათვის და საპენსიო მინიმუმი.

1963 წლის აპრილში ჩატარდა პარლამენტის მორიგი არჩევნები. კომუნისტებმა მიიღეს ხმების 25,3%, რაც 7,8 მლნ-მდე ხმას შეადგენდა. ეს იყო კომუნისტების ყველაზე დიდი წარმატება ადრინდელ არჩევნებთან შედარებიით. მათ წინა არჩევნებთან შედარებით 1 მლნ-ით მეტი ხმა მიიღეს.

სოციალისტებმა მნიშვნელოვნად დაკარგეს ხმები, მიიღეს 13,8% (წინა არჩევნებში 14,2%), ქრისტიან-დემოკრატებმა კი — 38,2% (წინა არჩევნებში — 42,3%).

ამრიგად, მემარცხენე ცენტრმა ვერ გაამართლა მონოპოლისტუ-

რი ბურჟუაზიის იმედი, რომ ქვეყანაში კომუნისტების გავლენა შესუსტებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი კურსი კვლავ გრძელდებოდა.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. მემარჯვენეები არ ენდობოდნენ ფანფანის და 1963 წელს მის გადადგომაც მიაღწიეს. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ა. მორო.

მთავრობაში ოთხი პარტია შედიოდა: ქრისტიან-დემოკრატები, სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია[1].

განხეთქილება მოხდა თვით სოციალისტურ პარტიაშიც. 1964 წლის იანვარში ამ პარტიის მემარცხენეებმა ტ. ვაკეტის მეთაურობით ურთიერთობა გაწყვიტეს მემარჯვენეებთან და ახალი პარტია შექმნეს — იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის სახელწოდებით (პესპ). იგი აერთიანებდა 170 ათას წევრს.

იტალიის სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები 1966 წელს გაერთიანდნენ.

1964 წლის დეკემბერში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჯ. სარაგატი.

ა. მოროს მთავრობა (1964—1968 წწ.) ფანფანის მთავრობასთან შედარებით უფრო მემარჯვენე ხასიათისა იყო. 1964—1965 წლებში ეკონომიკური კრიზისის შედეგად იტალიის მრეწველობის რიგმა დარგმა სიძნელეები განიცადა.

1966 წლის ნოემბერში ამას დაერთო წყალდიდობა, რომლის მსგავსი იტალიას ჯერ არ ახსოვდა. განსაკუთრებით დაზარალდა ცენტრალური და ჩრდილოეთი ნაწილი. ზარალი ასეული მილიარდი ლირათი განისაზღვრა. განსაკუთრებით დაზარალდა ფლორენცია, ვენეცია, გროსეტო და სხვა ქალაქები და რაიონები ქვეყნის

---

[1] რესპუბლიკური პარტია 1832 წელს შეიქმნა მაძინისა და გარიბალდის მეთაურობით. ფაშიზმის დიქტატურის დროს ამ პარტიის ლიდერების დიდი ნაწილი ემიგრაციაში იყო. ომის შემდეგ მან კვლავ განაახლა თავისი მოღვაწეობა. იგი ძირითადად ეყრდნობოდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის და ინტელიგენციის ნაწილს. აერთიანებდა 60 ათას წევრს.

ნდგომარეობა განსაკუთრებით 1968 წელს დაიძაბა, როდესაც მუშათა კლასმა, კომუნისტების ხელმძღვანელობით, რიგი გაფიცვები მოაწყო. აღსანიშნავია სტუდენტთა მღელვარება, რომელიც 3 თვეს გრძელდებოდა და მასში 0,5 მლნ. ახალგაზრდა მონაწილეობდა. სტუდენტობა მოითხოვდა უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმებს მისი დემოკრატიზაციის მიზნით, სწავლის ქირის გაუქმებას და სტიპენდიების დაწესებას. სტუდენტთა მღელვარებები ხშირად პოლიციასთან შეტაკებით და მსხვერპლით მთავრდებოდა.

1968 წლის მაისში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის ვითარებაში მიმდინარეობდა. მან კვლავ დიდი წარმატებები მოუტანა კომუნისტებს. მათ ხმა მისცა 8,5 მლნ-მა კაცმა (ამომრჩეველთა 26,9%).

ქრისტიან-დემოკრატებმაც გააძლიერეს თავიანთი პოზიციები (0,8%). მათ მიიღეს 12 მლნ. ხმა (39,1%). ამ პარტიამ მრავალი ამომრჩეველი დაკარგა, მაგრამ ის ამომრჩევლები, რომელნიც ადრე მემარჯვენე პარტიებს უჭერდნენ მხარს, ამჯერად ქრისტიან-დემოკრატების მხარეზე გადავიდნენ. გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ სერიოზული მარცხი განიცადა. თუ წინა არჩევნებში მან ამომრჩეველთა ხმების 28% მიიღო, ამჯერად — 14,5%.

1968 წლის არჩევნებში დიდმა მარცხმა დაბნეულობა გამოიწვია გაერთიანებული სოციალისტური პარტიის მემარჯვენე და ცენტრისტულ ხელმძღვანელობაში. მათ უარი თქვეს კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე. ამასთანავე მემარჯვენე სოციალისტების ცდა, ხელთ აეღოთ პარტიის ხელმძღვანელობა, უშედეგოდ დამთავრდა. 1969 წლის ზაფხულში მემარჯვენეები გამოვიდნენ სოციალისტური პარტიიდან და შექმნეს უნიტარული სოციალისტური პარტია, რომელმაც შემდეგ კვლავ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება მიიღო. რაც შეეხება სოციალისტურ პარტიას, იგი მაინც შევიდა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მდივნის გ. რუმორის მიერ შექმნილ კოალიციურ მთავრობაში, პ. ნენი მალე გადადგა პარტიის ხელმძღვანელობიდან. ახალი მდივანი გახდა დე მარტინო, მისი მოადგილე კი — მანჩინი.

განხეთქილებას სოციალისტურ პარტიაში მოჰყვა მ. რუმორის მენარაცხენე ცენტრისტული მთავრობის გადადგომაც. ამან გამოიწვია მთავრობის გაჭიანურებული კრიზისი. მთავრობა ისევ მ. რუმორმა შექმნა, მაგრამ ამჯერად იგი მხოლოდ ერთპარტიული იყო.

ბემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა პრეზიდენტ სარაგატის ბბარ-დაბერით წამოაყენეს ულტიმატური მოთხოვნა, რომ ისინი მთავ-რობაში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ კოალიციაში შემავალი პარტიები ყოველგვარ ურთიერთობას გაწყ-ვეტენ კომუნისტებთან. ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში ამას-თან დაკავშირებით განხეთქილება მოხდა. ბემარჯვენეების ნაწილ-მა და ცენტრისტული ჯგუფის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ფ. პიკ-კოლის (მაშინდელი პარტიის მდივანი), მ. რუმორის (პრემიერ-მი-ნისტრი) და ა. ფანფანის მეთაურობით მხარი დაუჭირეს ამ მოთხოვ-ნას. ცენტრისტების ნაწილი კი ყოფილი პრემიერ-მინისტრის მო-როს მეთაურობით შესაძლებლად თვლიდა ბემარცხენეებთან თანა-მშრომლობას. 1969 წლის ოქტომბერში ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში მოხდა განხეთქილება. იტალიის ცნობილმა პოლიტიკურ-მა მოღვაწეებმა დ. ანდრეოტიმ, ე. კოლომბომ და სხვებმა უარი თქვეს ბემარჯვენეებთან თანამშრომლობაზე. ეს ეკანასკნელნი მკაც-რი რეჟიმის კურსის მომხრე იყვნენ და უარს ამბობდნენ ახალი რეფორმების გატარებაზე. ისინი უარს ამბობდნენ მშრომელთა მი-მართ დათმობების პოლიტიკის გატარებაზე, მათ წინააღმდეგ რეპ-რესიებს მოითხოვდნენ.

ბემარცხენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა

ბემარცხენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა არ განსხვავდებოდა წინა მთავრობისაგან. ჯერ კიდევ 1958 წელს ფან-ფანის მთავრობის თანხმობით იტალიაში განლაგდა ნატოს დაჯგუ-ფების საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტები, ხოლო სარდინია ამ დაჯგუფების საწვრთნელ პოლიგონად გადაიქცა.

იტალია რჩება ნატოს დაჯგუფების ყველა კომისიაში და კომი-ტეტში და აქტიურად მონაწილეობს ყველა სამხედრო და პოლიტი-კური ხასიათის ღონისძიებაში.

60-იანი წლებიდან გაუმჯობესდა იტალიის ურთიერთობა სოცი-ალისტურ ქვეყნებთან.

1960 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირში ვიზიტით ჩავიდა იტა-ლიის პრეზიდენტი ჯ. გრონკი, ერთი წლის შემდეგ კი — მინისტრ-

თა საბჭოს თავმჯდომარე ა. ფანფანი. 1966 და 1970 წლებში იტალიაში იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო, 1967 წელს — ნ. პოდგორნი. ამ ვიზიტების შედეგად ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის გაუმჯობესდა. იტალიის 60-იანი წლების ყველა მთავრობა საპროგრამო განცხადებებში გამოთქვამდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოების სურვილს.

იტალია-საბჭოთა კავშირს ურთიერთობაში შემობრუნების პუნქტად შეიძლება ჩაითვალოს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და ფიატის მონოპოლიას შორის დადებული კონტრაქტი ტოლიატში მსუბუქი მანქანების ქარხნის მშენებლობის შესახებ. სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიაში პირველად დაიდო ასეთი მნიშვნელოვანი შეთანხმება.

ამ შეთანხმებამ ბიძგი მისცა კაპიტალისტურ ქვეყნებს, საბჭოთა კავშირთან უფრო მსხვილმასშტაბიანი ხელშეკრულებები გაეფორმებინა.

1970 წელს იტალიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩინეთთან. 1970 წელს საგარეო საქმეთა მინისტრი მორო ვიზიტებით იყო ევროპის რიგ სოციალისტურ ქვეყნებში, 1971 წელს კი — საბჭოთა კავშირში.

70-იანი წლების დამდეგისათვის იტალიამ სხვა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით დაკარგა საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის ინიციატივა და ამ საქმეში პოზიციები დათმო სხვა სახელმწიფოთა წინაშე.

1970 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებული იყო იუგოსლავიის პრეზიდენტის ბ. ტიტოს ვიზიტი იტალიაში, მაგრამ მემარჯვენე ძალების ზემოქმედებით იგი გადაიდო, რადგან მორომ რამდენიმე პრეტენზიული ხასიათის განცხადება გააკეთა ტრიესტის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც იუგოსლავიას ეკუთვნის.

იტალიის მთავრობამ მოიწონა ვ. ბრანდტის მთავრობის აღმოსავლური პოლიტიკა, გფრ-სა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსი. თავის მხრივ იტალიამ მხარი დაუჭირა საბჭოთა ინიციატივას ევროპის სახელმწიფოების თათბირის ჩატარების შესახებ აშშ-ის მონაწილეობით.

ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარებაში იტალია მხარს უჭერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის გა-

დაწყვეტილებას და გმობდა სამხედრო მოქმედების განახლებას ამ რაიონში.

1968 წლის არჩევნების შემდეგ იტალია, საერთოდ, უფრო აქტიურად გამოდიოდა მსოფლიოში დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებისა და ლიკვიდაციის მომხრედ. მაგალითად, იტალიამ მოითხოვა ინდოჩინეთის და განსაკუთრებით ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, მოიწონა ამერიკის ჯარების შემცირება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მაგრამ იტალიის მთავრობას თითქოს თავი ვალდებულად მიაჩნდა, ხაზი გაესვა „ატლანტიკური სოლიდარობის პოლიტიკური კურსის ერთგულებაზე“.

„მემარცხენე ცენტრისტული“ კოალიციის დაშლა და ჯ. ანდრეოტის „ცენტრისტული“ მთავრობა

1970—1971 წლებში მემარჯვენე და უკიდურესად მემარჯვენე პარტიებში, ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ დაჯგუფებებში მოხდა ძალების ერთგვარი გადანაცვლება. მათ მიზნად დაისახეს პოლიტიკური კურსის მარჯვნივ შემობრუნება. მთავრობის კოალიციაში შემავალი მემარჯვენეების ხელში იყო პოლიციისა და კარაბინერების ხელმძღვანელობა. მათ დაძაბული ვითარება შექმნეს ქვეყანაში, ფაქტიურად აქეზებდნენ ფაშისტებს მეწარცხენე ძალების წინააღმდეგ. ნეოფაშისტებმა ისარგებლეს მთავრობის ფაქტიური წაქეზებით, უმოქმედობით და თავს დაესხნენ მემარცხენე პარტიების აქტივისტებს, პარტიულ შენობებს, გაზეთის რედაქციებს.

ამ პროვოკაციებს მემარცხენე ძალებმა გრანდიოზული დემონსტრაციებითა და გაფიცვებით უპასუხეს. ხალხი მოითხოვდა ფაშისტთა პროვოკაციების აღკვეთას, მათ დაპატიმრებას და დასჯას. გამოსვლებმა მთავრობა აიძულა, ზომები მიეღო ნეოფაშისტთა წინააღმდეგ. 1970 წლის დეკემბერში, როდესაც ფაშისტები ბორგეზის ხელმძღვანელობით შეეცადნენ სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდებას, ისინი დააპატიმრეს.

1971 წ. ქვეყნის ასეთ მწვავე ვითარებაში ჩატარდა პრეზიდენტის მორიგი არჩევნები, რომელმაც ცხადყო სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის არსებული დიდი წინააღმდეგობები. ორი

კვირის განმავლობაში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო საჭირო რაოდენობის ხმების მოგროვება. ქრისტიან-დემოკრატებმა მემარჯვენე ლიბერალური პარტიის[1] ხმა-ზარდაჭერით შეძლო თავისი კანდიდატის ჯოვანი ლეონეს[2] გაყვანა, რაც მემარჯხენე „ცენტრის“ კოალიციის კრახს ნიშნავდა.

სოციალისტები გამოვიდნენ კოალიციური მთავრობიდან, რასაც მოჰყვა მთავრობის ხანგრძლივი კრიზისი. ახალმა პრეზიდენტმა პარლამენტი ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე დაითხოვა და დანიშნა რიგგარეშე არჩევნები.

ამ არჩევნების დროს გამოვლინდა ბურჟუაზიის აშკარა შემობრუნება მარჯვნივ. 1972 წლის მაისის არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 27,2%. ქრისტიან-დემოკრატებმა ოდნავ გაზარდეს (0,5 მილიონით) მიღებული ხმები წინა არჩევნებთან შედარებით. ნეოფაშისტებმა (ნაციონალ-მემარჯვენეებმა) მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 8%, სოციალისტებმა ძირითადად შეინარჩუნეს თავიანთი ხმები. მემარცხენე პარტიებმა შეაგროვეს ამომრჩეველთა ხმების 40%.

არჩევნების შემდეგ შეიქმნა ცენტრისტული მთავრობა, რომელ-

---

[1] ლიბერალური პარტიის მოღვაწეობა XIX ს. 40-იან წლებში იწყება, ორგანიზაციულად იგი XX ს. დამდეგს ჩამოყალიბდა. 1926 — 1943 წლებში ფაშიზმის დროს შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა. 1943—1945 წწ. წინააღმდეგობის მოძრაობის დროს მონაწილეობდა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტში. 1972 წლამდე ოპოზიციაში იყო და მემარჯვენე პოზიციაზე იდგა. ლიბერალური მსხვილ ბურჟუაზიისა და მემამულეების პარტია წინააღმდეგია სოციალური რეფორმებისა.

[2] ჯ. ლეონე დაიბადა 1908 წელს ნეაპოლში. 1929 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგად მუშაობდა. იგი მრავალი ნაშრომის ავტორია სამართლის საკითხებზე. 1946 წელს აირჩიეს დამფუძნებელ კრების დეპუტატად და შედიოდა კონსტიტუციის შემუშავების კომისიაში. 1948 წლიდან ყველა პარლამენტში ირჩევდნენ დეპუტატად. 1950 — 1955 წწ. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1955 — 1963 წწ. მისი თავმჯდომარეა. 1963 წელს ჯ. ლეონე მთავრობის მეთაურია. 1964 წელს იტალიის პრეზიდენტი სენი ავადმყოფობის გამო ვადაზე ადრე გადადგა. ქდპ-მ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ჯ. ლეონე, მაგრამ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მხარდაჭერით პრეზიდენტად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სარაგატი.

1967 წელს ჯ. ლეონე ინიშნება მუდმივ სენატორად, 1968 წელს იგი კვლავ მთავრობის მეთაურია, 1971 წელს კი პრეზიდენტად ირჩევენ.

ზიც ქდპ-ის გარდა შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიები, რაც ნიშნავდა მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკის კრახს.

1972 წლის 26 ივნისს მთავრობა შექმნა ჯ. ანდრეოტიმ. ა. მორომ კატეგორიული უარი თქვა ანდრეოტის წინადადებაზე, მის მთავრობაში რომელიმე მინისტრის თანამდებობა დაეკავებინა. ანდრეოტის მთავრობაში აშკარა მემარჯვენე ბოლოაწენი შევიდნენ. საგარეო საქმეთა-მინისტრის ადგილი დაიკავა ქდპ-ის მემარჯვენეების მიმდევარმა ჯ. მედიჩიმ.

ანდრეოტიმ პარლამენტში მიაღწია დროებით მხარდაჭერას როგორც მემარჯვენეების, ასევე ზოგიერთი მემარცხენე ძალის მხრივ. იგი მათ აშინებდა კომუნისტური და ფაშისტური საშიშროებით.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა. მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა პირველივე დღიდან პროამერიკული ორიენტაციისა იყო. 1972 წლის ივლისში მან ხელი მოაწერა შეთანხმებას ამერიკის ატომური წყალქვეშა გემების ბაზების მშენებლობაზე. საყურადღებოა, რომ იტალია მანამდე 9 წლის განმავლობაში უარს ამბობდა ამერიკის ამ თხოვნაზე, მაგალითად, პირველად უარით უპასუხა აშშ-ს 1963 წლის 11 თებერვალს.

„მემარჯვენე ცენტრისტული" მთავრობის თავდაცვის მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა მ. ტანასმა განაცხადა, რომ 1973 წლისათვის იტალიის სამხედრო ბიუჯეტი 15% გაიზრდებოდა და შეადგენდა 2294,5 მლრდ. ლირას, რაც 450 მლრდ. ლირით მეტი იყო, ვიდრე 1972 წელს.

ჯ. ანდრეოტის[1] მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა აშკარად ცნობდა აშშ-ის უფლებას გლობალური პოლიტიკის გატარებაზე. ანდრეოტიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ იტალიის მიზანი უნდა იყოს აშშ-სა და ევროპას შორის ყოველმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესება. სავალუტო კრიზისის დროს აშშ-ის მთავრობამ ორ-

---

[1] ჯ. ა ნ დ რ ე ო ტ ი, როგორც მემარჯვენე პოლიტიკური მოღვაწე და ბურჟუაზიული წყობილების დამცველი პირველად დე გასპერიმ დაიახლოვა.

ჯ. ანდრეოტის მთავრობა პირველად 1972 წლის 18 თებერვალს შეიქმნა, მაგრამ მან 26 თებერვალს ვერ მიიღო ნდობის ვოტუმი. პარლამენტის დათხოვნის შემდეგ პრეზიდენტის თხოვნით ჯ. ანდრეოტი არჩევნების დამთავრებამდე დარჩა მთავრობის სათავეში.

ჯერ განახორციელა დოლარის დევალვაცია, რომელსაც, სხვათა შორის, მოჰყვა დასავლეთ-ევროპელი პარტნიორების დოლარის რეზერვების გაუფასურება; ნიქსონის მთავრობამ თავისი პარტნიორებისაგან ამასთანავე მოითხოვა დასავლეთ ევროპის ვალუტის თავისუფლად ცვალებადი კურსის შემოღება. აშშ ცდილობდა მთელი ფინანსური და სავაჭრო კრიზისის სიმძიმე დასავლეთ ევროპისა და, კერძოდ, იტალიისათვის დაეკისრებინა.

1973 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ურთიერთშორის ვალუტის თავისუფალი ცვალებადი კურსი შემოიღეს და უარი თქვეს აშშ-ის მოთხოვნაზე. როდესაც აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის უშუალო ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა, მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა აშშ-ის მხარეზე გამოვიდა. ამით მადლიერმა ვაშინგტონმა ბაჟები შეამცირა იტალიის ექსპორტზე აშშ-ში.

„საერთო ბაზარში" ინგლისის შესვლისა და ამასთან დაკავშირებით იტალიის პოზიციების შესუსტების კომპენსირებას ანდრეოტის მთავრობა ცდილობდა იტალიის უფრო მჭიდრო დაახლოებით აშშ-თან. 1973 წლის აპრილში ვაშინგტონში ვიზიტის დროს ანდრეოტიმ აშშ-თან მეგობრობას იტალიის საგარეო პოლიტიკის „გზის მაბათობელი ვარსკვლავი" უწოდა. მან განაცხადა, რომ იტალიის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის ყოველმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებას.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა ცდილობდა მომრიგებლის როლში გამოსულიყო აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის. აშშ-ში ანდრეოტის და მედიჩის ვიზიტის დროს თეთრმა სახლმა პრესისათვის განცხადებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აშშ-სა და იტალიას შორის მოლაპარაკების მთავარი საკითხი იყო ამერიკა-ევროპის ურთიერთობის მოწესრიგება. იტალია 70-იანი წლებიდან თანდათან ჩამორჩა და თავისი პოზიციები დაკარგა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობაში. მაგალითად, თუ 1971 წელს იტალიას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის IV ადგილი ეკავა სსრ კავშირთან ვაჭრობაში, 1972 წელს მან უკვე VII ადგილზე გადაინაცვლა (გფრ-ის, იაპონიის, ფინეთის, ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ის შემდეგ).

იტალია მნიშვნელოვნად ჩამორჩა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეშიც ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სკკპ ცკ-ის გენერალური

მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შემდეგ საფრანგეთში, რ. ნიქსონისა — მოსკოვში, სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის 1970 წლის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით ჯ. ანდრეოტიმ დეპუტატთა პალატაში არა ერთხელ განაცხადა, რომ „ატლანტის კავშირის ჩარჩოებში იტალიის მთავრობა გააგრძელებს საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან კონტაქტების ინტენსიფიკაციას". ამიტომ საბჭოთა მთავრობის მოწვევით ანდრეოტი 1972 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩავიდა საბჭოთა კავშირში. 27 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-იტალიის ოქმი კონსულტაციების შესახებ. ეს დოკუმენტი ორივე მხარეს ავალებდა ინტენსიურად ეწარმოებინათ კონსულტაციები ორმხრივი ურთიერთობისა და ძირითადი საერთაშორისო პრობლემების საკითხებზე, საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განიარაღების საკითხში პროგრესის მიღწევისა და ევროპაში უშიშროების განმტკიცების მიზნით.

ანდრეოტის მთავრობამ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში გააქტიურა თავისი საგარეო პოლიტიკა და ცდილობდა მთავარი როლი შეესრულებინა ამ რაიონში. 1973 წლის თებერვალში საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. მედიჩი იმყოფებოდა ეგვიპტეში, ლიბანში, საუდის არაბეთში, ისრაელში და იუგოსლავიაში. იტალიის დიპლომატიამ წამოაყენა სუეცის არხის გახსნის გეგმა, რითაც შუამავლის როლის შესრულება სურდა. ამასთანავე იტალიის მთავრობა მხარს უჭერდა კისინჯერს, რომელიც ცდილობდა არაბულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტებას.

ანდრეოტის მთავრობამ პირველად ომის შემდეგ მთავრობის მეთაურთა დონეზე კონტაქტი დაამყარა ესპანეთთან.

ახალი „მემარცხენე ცენტრისტული მთავრობა"

1973 წლის ივნისში ანდრეოტის მთავრობა გადადგა. 1973 წლის გაზაფხულიდან მთავრობა არა ერთხელ დამარცხდა პარლამენტში. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ თვით მთავრობის კოალიციის და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის გავლენიანი წრეები — ა. ფანფანი (სენატის თავმჯდომარე), ა. მორო (ქდპ-ის ლიდერი), მ. ტანასი

(პრემიერის მოადგილე, სოციალ-დემოკრატი) და სხვები. ა. მორომ ოფიციალურად განაცხადა, რომ „ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ დავუბრუნდეთ „მემარცხენე ცენტრს“.

პარლამენტში ანდრეოტის მთავრობისადმი მხარდაჭერაზე უარი თქვა რესპუბლიკურმა პარტიამაც, რის შემდეგ მთავრობა უმცირესობაში აღმოჩნდა და 12 ივნისს გადადგა.

1973 წლის 6—10 ივნისს ქდპ-ის XII ყრილობამ „მემარჯვენე ცენტრისტული ექსპერიმენტი“ დამთავრებულად გამოაცხადა და მოითხოვა „მემარცხენე ცენტრისტული“ კოალიციის პოლიტიკისაკენ დაბრუნება. ყრილობაზე პარტიის პოლიტიკურ მდივნად აირჩიეს ა. ფანფანი. „მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკა“, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ითვალისწინებდა სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობას. ამ კონცეფციის ავტორია ა. ფანფანი, რომელიც ასეთ კურსს კომუნისტების პოლიტიკური იზოლირებისა და კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის თანამშრომლობის ჩაშლის ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს[1].

1973 წლის 7 ივლისს ქდპ-ის ერთ-ერთი ლიდერის მარიანო რუმორის[2] მეთაურობით ახალი „მემარცხენე ცენტრის“ მთავრობა შეიქმნა, რომელშიც 17 ქრისტიან-დემოკრატი, 5 სოციალისტი, 4 სოციალ-დემოკრატი და 2 რესპუბლიკელი შევიდა.

მ. რუმორის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ერთგული იქნება კონსტიტუციის პრინციპებისა. თავის მთავარ ამოცანად მან გამოაცხადა ფასების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლა, სამხრეთ იტალიის გან-

---

[1] ამ პოლიტიკას პარტიაში ყველა როდი იზიარებდა. XII ყრილობაზე გამოირკვა, რომ ქდპ-ის შიგნით ცხრა სხვადასხვა დაჯგუფება იყო, რომელთაც ქვეყნის გამგებლობის საკითხებზე სხვადასხვანაირი შეხედულება ჰქონდათ, მაგრამ ყველა მათგანს ერთი მიზანი ამოძრავებდა — როგორმე ხელი შეეშალათ კომუნისტების ძალების ზრდისათვის.

[2] მ. რუმორი 1915 წელს დაიბადა. 1948 წელს პარლამენტის წევრია. პირველად მთავრობაში 1951 წელს შევიდა. 1959 — 1963 წწ. ეკავა მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების თანამდებობები. 1968 წლის დეკემბერში პირველად გახდა პრემიერ-მინისტრი და სათავეში ედგა „მემარცხენე ცენტრისტულ“ მთავრობას, 1969 წლის ივლისიდან კი — ერთპარტიულ მთავრობას. მთავრობის კრიზისის შემდეგ (1970 წლის თებერვალ-მარტში) 1970 წლის ივლისამდე კვლავ სათავეში ედგა „მემარცხენე-ცენტრისტულ“ მთავრობას. ადრეოტის „მემარჯვენე ცენტრისტულ“ მთავრობაში იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, 1964 — 1969 წლებში ქდპ-ის პოლიტიკური მდივანი.

ვითარებისათვის ხელის შეწყობა და „კორექტული დამოკიდებულება პარლამენტის ოპოზიციასთან“. საგარეო პოლიტიკაში მთავრობა დაპირების იძლეოდა, რომ იბრძოლებდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

რუმორის მთავრობამ თავდაპირველად მართლაც განახორციელა რიგი ღონისძიება, კერძოდ, ინფლაციის წინააღმდეგ. 1973 წლის ოქტომბრამდე ფასები სამრეწველო და ძირითად სასურსათო საქონელზე „გაყინულად“ გამოცხადდა, გაიზარდა ხორცის, რძის და ბრინჯის იმპორტი, რომლითაც ქვეყანა ადრე თავის მოთხოვნებს ვერ იკმაყოფილებდა. 1 ნოემბრიდან დაიწყო ფასებზე კონტროლის მეორე ეტაპი. ამასთანავე მთავრობამ უარყო კომპარტიისა და პროფკავშირების წინადადება პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების ერთ დონეზე შეკავების შესახებ სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე. ფასები ბენზინზე, მაკარონსა და სხვა საქონელზე კვლავ გაიზარდა.

კომპარტიის და პროფკავშირების ხელმძღვანელობით მოწყობილი გაფიცვებისა და დემონსტრაციების ზეგავლენით მთავრობამ სამრეწველო მუშების პენსიების მინიმუმად დააწესა ამ კატეგორიის მუშების საშუალო ხელფასის 27,5%. დახმარება უმუშევრობისათვის გაიზარდა 400—800 ლირამდე თვეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა საოჯახო და სხვა სახის დახმარებები.

ახალი „მემარცხენე ცენტრისტული“ მთავრობის საგარეო პოლიტიკა კვლავ აშშ-ისა და ნატოს ორიენტაციისა იყო, რუმორის მთავრობა გამოვიდა აგრეთვე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის ეფექტური შენელების მომხრედ. „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუჯობესების მიზნით და აგრეთვე ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით პრეზიდენტი ჯ. ლეონე და საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მორო ვიზიტით იყვნენ 1973 წელს საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში და ლუქსემბურგში, მ. რუმორი კი იყო გფრ-სა და ინგლისში.

ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დროს მ. რუმორის მთავრობამ განაცხადა, რომ ამ საკითხის მოგვარება უნდა მოხდეს არაბული ქვეყნების და ისრაელის თანაარსებობის პრინციპებზე.

1973 წლის ოქტომბერში იტალიასა და ალჟირს შორის დაიდო შეთანხმება სახარიდან აპენინამდე გაზსადენის გაყვანის შესახებ, რომლითაც იტალია 25 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 11

მლრდ კუბ. მეტრ მეთანს მიიღებს, რაც ქვეყნის დღევანდელი ბუნებრივი აირის მოხმარების 70% შეადგენს. გაზსადენი ექსპლუატაციაში გადაეცა 1978 წელს.

რუმორის მთავრობა სოციალისტურ ქვეყნებთან აგრძელებდა დაახლოების კურსს. 1973 წლის იანვარში იტალიამ ცნო გდრ და დემოკრატიული ვიეტნამი. აპრილში გდრ-თან დაიდო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. პოლონეთს საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ოლშევსკის რომში ყოფნის დროს განიხილეს ათწლიანი ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური შეთანხმების დადების პირობები. იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. მატეოტი იყო ბულგარეთში, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩ. ბენსი — კუბაში.

1973 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის დაიდო ხანგრძილვვადიანი შეთანხმება საბჭოთა კავშირისათვის 500 მლნ. მანეთის ღირებულების სამრეწველო მოწყობილობების მიწოდებაზე შვიდი მსხვილი საწარმოს მშენებლობისათვის. მის სანაცვლოდ იტალია მიიღებს მზა პროდუქციის ნაწილს. 1973 წელს საქონლის ბრუნვა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის შეადგენდა 613,6 მლნ. მანეთს, რაც წინა წლებთან შედარებით 32,4%-ით მეტი იყო.

1974 წლის 2 მარტს მ. რუმორის მთავრობა გადადგა იმის გამო, რომ რესპუბლიკელები და სოციალისტები ვერ შეთანხმდნენ დეფლაციონიზმის საკითხში. რესპუბლიკელები მოითხოვდნენ დეფლაციონისტური ღონისძიებების გატარებას, კერძოდ ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ზედმეტი ქაღალდის ფულის ხმარებიდან ამოღებას და სოციალური ხარჯების შემცირებას. 15 მარტს მთავრობას ისევ მ. რუმორი ჩაუდგა სათავეში. მთავრობა კვლავ „მემარცხენე ცენტრისტული“ იყო, მაგრამ მასში ამჯერად სამი პარტია შევიდა: ქდპ, სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები. რესპუბლიკური პარტია მთავრობაში არ შევიდა, მაგრამ პარლამენტში მხარს უჭერდა მას. წინაალმდეგობანი მთავრობის კოალიციაში შემავალ პარტიებსა და თვით ცალკეულ პარტიებს შიგნით ძალზე დიდი იყო. საქმე იმაში იყო, რომ ეკონომიკური კრიზისის შედეგად ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე მდგომარეობის მოგვარებას მემარჯვენე და მემარცხენე ძალები სხვადასხვა გზით ფიქრობდნენ. მე-

მარჯვენეებს უნდოდათ მდგომარეობა ხალხის ხარჯზე მოეგვარებინათ, მემარცხენეებს კი — რადიკალური ღონისძიებების გატარების გზით.

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი. 1974—1975 წლების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური კრიზისის თავისებურება ის იყო, რომ იგი მეტ-ნაკლებად, მაგრამ ერთდროულად მოედო ყველა წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოს. იგი შეეხო იტალიასაც და გამოიწვია სამრეწველო ტემპების ზრდის და შემდეგ საერთო წარმოების შემცირება.

სამრეწველო წარმოების ინდექსი (1970-100%)

1971	1972	1973	1974	1975	1976
100	104	114	120	108	109

ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდაზე. 1974 წელს მისი ზრდა შენელდა, 1975 წელს წინა წელთან შედარებით 7,5% შემცირდა.

იტალიაში ეკონომიკის დაქვეითებას მოჰყვა წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება მრეწველობის საკვანძო დარგებში. თუჯისა და ფოლადის წარმოება 1975 წლის დასაწყისში წინა წელთან შედარებით 16% შემცირდა, ნაგლინის — 6%. 1976 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 1.2%-ით შემცირდა.

1974—1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია სავაჭრო და საგადასახადო ბალანსის დეფიციტი. წარმოების დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა.

კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საგარეო ვაჭრობაზე. 1975 წელს ექსპორტის ფიზიკური მოცულობა შემცირდა 1%, 1976 წელს — 14%. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქონლის იმპორტიც. ადრე თუ შედარებით დაბალი იყო უმუშევართა რიცხვი, კრიზისის შემდეგ იგი ყოველდღიურად იზრდებოდა.

უმუშევართა დონე პროცენტებში
აქტიური მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

1965 წ.	1970 წ.	1976 წ.
3,6	3,1	5,7

1976 წლის დეკემბრის ბოლოსათვის უმუშევართა რაოდენობამ იტალიაში შეადგინა 1,2 მილიონი კაცი. უმაღლესი და საშუალო პრიფესიის ყველა უმუშევარი ორ-ორად რომ ჩაეყენებინათ რიგში, იგი გაიჭიმებოდა რომიდან ნეაპოლამდე[1].

დიდი იყო უმუშევრობა ახალგაზრდობას შორისაც, რომელსაც სტატისტიკა ასევე იშვიათად აღრიცხავს, როგორც ქალებს. საშუალო ან უმაღლესი განათლების დიპლომი არ იძლევა სამუშაოზე მოწყობის გარანტიას.

ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საშუალო და შეძლებული იტალიელებიც. ბევრი წვრილი და საშუალო საწარმო გაკოტრდა. გარდა ამისა გაძვირდა ფუფუნებისა და სხვა ისედაც ძვირად ღირებული მოხმარების საგნები. მაგალითად, 1975 წლის თებერვლიდან 10%-ით გაიზარდა „ფიატისა" და სხვა ფირმების მსუბუქი ავტომანქანების ფასი. 1976 წელს ფასმა კვლავ მოიმატა მსუბუქ მანქანებზე, საწვავსა და სხვა საგნებზე.

მთავრობისა და მონოპოლიების ცდებმა, რომ ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელთა მასებისათვის დაეკისრებინათ, გამოიწვია მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობა.

---

[1] 1975 წელს ნეაპოლის ფოსტამტში 10 ვაკანტური მოსამსახურის ადგილზე 3 ათას კაცს ჰქონდა პრეტენზია (აქედან 110 უმაღლესი განათლებით). სახელმწიფო რკინიგზაზე 4 ათასი კაცი უცდის შავი მუშის ადგილს (აქედან 1/3 უმაღლესი განათლებითაა). ქალაქ კალიარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 15 მომვლელის ადგილზე 1100 მთხოვნელი იყო, აქედან 600 — უმაღლესი განათლებით (ჟურნალ „ექსპრესის" 1976 წლის სექტემბრის ცნობის მიხედვით).

ნეოფაშისტების ტერორისტული გამოსვლები

ჯერ კიდევ 1952 წელს დემოკრატიული და მემარცხენე ძალების ზეგავლენით პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც აიკრძალა ფაშისტური პარტიები და ორგანიზაციები. მაგრამ მემარჯვენე ექსტრემისტები სხვადასხვა სახელწოდებით ნათლავდნენ თავიანთ ბანდებს, მთავრობა კი რეაგირებას არ ახდენდა ნეოფაშისტების საქმიანობაზე. 1969 წლის 12 დეკემბერს ნეოფაშისტებმა ბომბი ააფეთქეს მილანის სასოფლო-სამეურნეო ბანკში, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს.

1973 წლის გაზაფხულზე მილანში ტერორისტმა ჯ. ბერტოლიმ ხელყუმბარით ოთხი კაცი მოკლა და ათობით დაჭრა. სასამართლომ მას მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. იმავე წლის ნოემბერში გაასამართლეს „ახალი წესრიგის" ნეოფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა. ორგანიზაცია დაითხოვეს. გარდა ამისა პარლამენტმა დეპუტატის ხელშეუხებლობა აჰყარა იტალიის ნეოფაშისტური პარტიის სოციალური მოძრაობის ლიდერთა ჯგუფს.

ფაშისტური პარტიის იტალიის სოციალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ფრანჩესკო ფრანკის, რომელიც სენატორად იყო არჩეული, 4 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. მან სასამართლოზე აღიარა, რომ იგი აქეზებდა ორგანიზაციის წევრებს ტერორისტულ აქტებზე.

მემარცხენე ძალების აქტიური მოთხოვნითა და მხარდაჭერით მთავრობის მიერ გატარებულ ამ ღონისძიებებს ნეოფაშისტებმა ტერორისტული აქტებით უპასუხეს. 1975 წლის 7 იანვარს ნეოფაშისტებმა ბომბი ააფეთქეს ქალაქ არეცოს მაბლობლად რომ-ფლორენციის რკინიგზის უბანზე. 1975 წლის თებერვალში კი ქალაქ ვიარეჯოში შვიდი ტერორისტული აფეთქება მოაწყვეს.

1975 წლის მარტის დამდეგს მილანის მშრომელებმა ჩაშალეს ნეოფაშისტთა (იტალიის სოციალური მოძრაობა) ცდები, რომ პროვოკაციული მიტინგი ჩაეტარებინათ. საყურადღებოა, რომ მილანის ქალაქის პოლიციამ ნეოფაშისტებს მიტინგის ჩატარების ნება დართო.

კომუნისტური და სხვა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოწოდება მიიღეს, რომ მთელ ქვეყანაში გაეშალათ კამპანია რესპუბლიკური წყობი-

ლების დასაცავად. მოწოდება გაეგზავნათ პრეზიდენტს, პარლამენტს ორივე პალატის თავმჯდომარეს და მთავრობის მეთაურს.

მილანის ამბებმა გამოხმაურება ჰპოვა იტალიის სხვა ქალაქებშიც — რომში, გენუაში, ვენეციაში და ი. შ., სადაც გრანდიოზული ხასიათის ანტიფაშისტური დემონსტრაციები გაიმართა. 1975 წლის 18 აპრილს 1 საათიანი საყოველთაო გაფიცვა მოეწყო ფაშისტური ძალადობის მიმართ პროტესტის ნიშნად.

თვით შინაგან საქმეთა მინისტრმა ლ. გუიმ აღიარა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრობლემა ფაშისტების ხულიგნური და ტერორისტული გამოხდომების გამო ძალზედ გამწვავდა, მან პირობა დადო, რომ მთავრობა ზომებს მიიღებს ნეოფაშისტების წინააღმდეგ. მართლაც პოლიციამ რამოდენიმე ფაშისტი მოთავე დააპატიმრა.

არჩევნების წინ განსაკუთრებით გააქტიურდა ნეოფაშისტების ტერორისტული აქტები, რომლითაც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ რესპუბლიკის დემოკრატიული საფუძვლებისათვის. შავსამოსიანთა ბოროტმოქმედებანი იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთებას იწვევდა.

1976 წლის 10 ივლისს ნეოფაშისტებმა მოკლეს რომის გენერალური პროკურორის მოადგილე ვიტორიო ოკორსიო, რომელიც ბრალმდებლად გამოვიდა „ახალი წესრიგის“ წევრ-დამნაშავეთა დიდი ჯგუფის პროცესზე. დამნაშავენი დიდი ძებნის შემდეგ დააპატიმრეს, რომელთა შორის აღმოჩნდა შავსამოსიანთა ტერორისტული ორგანიზაციების „ახალი წესრიგის“ რამდენიმე წევრი, მაგრამ მთავარი დამნაშავე, ვინმე პიერო ლუიჯი კონკუტელი, რომელმაც ავტომატით მოკლა ვ. ოკორსიო, და მარიო პელეგრონი დაუსჯელი დარჩნენ. გამოძიებით დადასტურდა, რომ ოკორსიოს მკვლელობა, — ფაშისტების მხრივ, შურისძიების აქტი კი არ იყო, არამედ მკვლელობა იყო „ღალატისათვის“.

მკვლელობის მომზადებასა და განხორციელებაში ერთობლივად მონაწილეობდნენ ნეოფაშისტური პარტიები: იტალიის სოციალური მოძრაობა — ეროვნული მემარჯვენეები, „შავი თავადის“ ბორგეზის მებრძოლები, „ახალი წესრგის“ ტერორისტები, ფარული ფაშისტური ორგანიზაციების წევრები, რომელნიც ეწევიან ადამიანთა მოტაცებას გამოსასყიდის მიღების მიზნით და შავსამოსიანები,

რომელნიც ესპანეთსა და საფრანგეთში აფარებენ თავს. რამდენიმე ფაშისტური ორგანიზაციის ასეთი ერთდროული მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა საერთო ცენტრის გარეშე. მართლაც გამოძიებისას ცნობილი გახდა, რომ „ცენტრმა" თავისი აგენტურა დანერგა სახელმწიფო აპარატში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, პოლიციაში, სასამართლო ორგანოებსა და დაზვერვის სამსახურში. უფრო მეტიც, იტალიაში „შავი არმიის" რაოდენობა და საქმიანობა სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1973 წლის ნოემბრამდე ოკორსიო თვითონ იყო ნეოფაშისტური „ახალი წესების" ორგანიზაციის წევრი, მაგრამ შემდეგ ზურგი შეაქცია მათ. 1973 წელს მან პარლამენტში მისცა „ახალი წესრიგის" 42 ხელმძღვანელი სხვადასხვა ტერორისტული აქტების განხორციელებისათვის. ანალოგიური ღონისძიება გაატარა მომდევნო წელს 119 კაცის მიმართ, ხოლო სიკვდილის წინ მან ხელი მოაწერა 261 ფაშისტის დაპატიმრებაზე, რომლებიც იტალიის სხვადასხვა პროვინციებიდან იყვნენ.

ოკორსიომ გამოიკვლია „შავი არმიის" დაფინანსების წყარო და დაადგინა, რომ „პუტჩისტებმა" თავისი აგენტებით გაავსეს იტალიის არმია, დაზვერვა, პოლიცია და სახელმწიფო ორგანოები. სწორედ ეს აგენტურაა, რომ ბოლო წლებში აქეზებდა და წარმართავდა ნეოფაშისტების საქმიანობას.

ნეოფაშისტების დაპატიმრებას კმაყოფილებით შეხვდა იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა, რომელმაც გადაჭრით მოითხოვა რეაქციის დანაშაულებრივი გამოხდომების წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარება. თუმცა, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ტერორისტები ჯერ კიდევ თავისუფლად თარეშობენ და დაუსჯელი დარჩნენ დამნაშავენი.

1975 წლის ივნისის საოლქო საბჭოების და 1976 წლის ივნისის პარლამენტის არჩევნები და კომუნისტების დიდი წარმატებები

ფაშისტებმა სიცხლიანი ტერორი გააჩაღეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ, რომელიც 1975 წლის 15 ივნისს გაიმართა. არჩევნებში პირველად მონაწილეობდა 2.5

მლნ. 18 წლის ახალგაზრდა, რაც დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი იყო.

1975 წლის იანვარში დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონით ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ 18 წლის ასაკს მიღწეულებს, სენატის არჩევნებში კი — 22 წლის ახალგაზრდებს.

1975 წლის ივნისში საოლქო საბჭოების არჩევნებმა გრანდიოზული წარმატება მოუტანა კომპარტიას. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 33,4%, ე. ი. 5,1%-ით მეტი, ვიდრე 1970 წლის საოლქო არჩევნებში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა პარტიამაც. ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ კი 3,2%-ით ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე 1970 წლის საოლქო არჩევნებისას.

კომუნისტებმა და მემარცხენე ძალებმა გაიმარჯვეს ქვეყნის ყველა მხარეში. ნეაპოლში კომუნისტებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 35%-მა და პირველად ქალაქის ისტორიაში კომუნისტები პირველ ადგილზე გამოვიდნენ, ისევე როგორც სხვა დიდ ქალაქებში: რომში, მილანში, ტურინში, გენუაში, ფლორენციაში, ბოლონიაში, ვენეციაში, პერუჯეში, კალიაირში და ანკონში. სამი „წითელი" ოლქის — ემილი-რომანიეს, ტოსკანის და უმბრიის — გარდა, მემარცხენეები კომუნისტების და სოციალისტების შემადგენლობით უმრავლესობას წარმოადგენდნენ ლიგურიაში. მემარცხენეებმა ადგილების ნახევარი მიიღეს პიემონტის საოლქო საბჭოებში. მათი წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა საოლქო საბჭოში.

როგორც ითქვა, არჩევნების შედეგად რიგ ქალაქებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში კომუნისტებმა ხელმძღვანელი ადგილები დაიკავეს. რომში ქალაქის მერად აირჩიეს კომპარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატი. ლაციოში ახალ საოლქო ჯუნტაში (ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო) შევიდნენ კომუნისტი და სოციალისტი. ჯუნტის თავმჯდომარედ აირჩიეს კომუნისტი, ცკ-ის წევრი მაურიციო ფერარა. ამრიგად, პირველად იტალიის ისტორიაში ლაციოს საოლქო ჯუნტის შემადგენლობის სათავეში კომუნისტები აღმოჩნდნენ.

არჩევნების შემდეგ გაძლიერდა წინააღმდეგობანი მმართველთა ბანაკში, რასაც მოჰყვა მთავრობათა ხშირი ცვლა. 1976 წლის 7 იანვარს მთავრობა გადადგა და კრიზისი მთელი თვე გრძელდებოდა.

რეაქციულ ძალებს ამ ვითარების გამოყენება სურდათ ე. წ. „ძლიერი ხელისუფლების“ დამყარებისათვის.

მთავრობის ეს კრიზისი ყველაზე რთული აღმოჩნდა ომის შემდგომ პერიოდში, რაც გამოიწვია იმან, რომ სოციალისტურმა პარტიამ უარი თქვა წინა მთავრობისადმი მხარდაჭერაზე; გარდა ამისა ეს განაპირობა თვით პარტიის შიგნით არსებულმა წინააღმდეგობამაც. ქდპ-ის მემარჯვენე ფრთა კრიზისის გახანგრძლივებას ცდილობდა. მას სურდა, თვითონ შეედგინა მთავრობა.

12 თებერვალს ქრისტიან-დემოკრატმა ა. მოროომ შეადგინა მთავრობა, რომელშიც მხოლოდ ქდპ-ის წარმომადგენლები შევიდნენ. მას პარლამენტში მხარს უჭერდნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები.

ა. მოროს ცდები, რომ მთავრობაში სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკელებიც შეეყვანა, უშედეგოდ დამთავრდა. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ წლების განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი „მემარცხენე ცენტრის“ კოალიციის შიგნითაც გაძლიერდა წინააღმდეგობანი, რაც უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური და სოციალური კრიზისით იყო გამოწვეული.

ადრინდელ კოალიციაში ქდპ-ის ყოფილმა პარტნიორებმა — სოციალისტებმა და რესპუბლიკელებმა — უარი განაცხადეს მხარდაჭერაზე პარლამენტში ახალი მთავრობისათვის ნდობის ვოტუმის კენჭისყრისას. მაგრამ ერთპარტიული მთავრობის პოზიციები მეტად სუსტი იყო. მთავრობის ნდობის ვოტუმს ხმა მისცა 287 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 220.

ამრიგად, მოროს მთავრობა „მემარცხენე ცენტრისტული“ ხასიათისა აღარ იყო, იგი ერთპარტიული მთავრობა იყო, რომელსაც დიდხანს არ ეწერა ხელისუფლების სათავეში ყოფნა.

ახალი კაბინეტი მეტად რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მან თავი ვერ გაართვა ეკონომიკური კრიზისის შედეგად ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. მძლავრმა საგაფიცვო მოძრაობამ იგი წალეკა. მთავრობა გადადგა. მთავრობის კრიზისი სამ თვეზე მეტხანს გაგრძელდა. ვერც ერთმა ლიდერმა ვერ მიიღო ხმების უმრავლესობა პარლამენტში. მაშინ პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ ვადაზე ადრე დაითხოვა პარლამენტი და 1976 წლის 20 და 21 ივლისს დანიშნა არჩევნები.

ამ არჩევნებმა კომუნისტებს გრანდიოზული წარმატება მოუტანა. დეპუტატთა პალატის არჩევნებში იტალიის კომპარტიამ მიიღო 12, 620 509 ხმა, რაც 34,4%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 1972 წელს იგი 27,2% იყო. კომპარტიამ დეპუტატთა პალატაში მიიღო 288 ადგილი — 49-ით მეტი, ვიდრე ადრე ჰქონდა. სენატში მიიღო 118 სენატორის ადგილი (ჰქონდა 95)[1].

იტალიის სოციალისტურმა პარტიამ საერთოდ შეინარჩუნა თავისი პოზიციები. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 9,6%, 29 ადგილი სენატში (33 ადგილის ნაცვლად) და 57 — დეპუტატთა პალატაში (61 ნაცვლად).

ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ხმების 38,7% (იმდენივე, რაც 1972 წელს).

ნეოფაშისტებმა მიიღეს 15 სენატორის ადგილი ნაცვლად 26-ისა, დეპუტატთა პალატის არჩევნებში კი მიიღეს ხმების 6% (9% ნაცვლად), დაკარგეს 21 ადგილი.

სასტიკად დამარცხდა შემარჯვენე ლიბერალური პარტია, რომელმაც სენატში 2 ადგილი მიიღო (ნაცვლად 8-ისა); დეპუტატთა პალატაში — 5 (20-ის ნაცვლად).

შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ქდპ, რომელიც 30 წლის განმავლობაში უცვლელად იდგა ხელისუფლების სათავეში, პრაქტიკულად დაკარგა ქვეყნის მართვის შესაძლებლობა.

არჩევნების შემდეგ კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ პარლამენტის დიდმნიშვნელოვან კომისიას. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე გახდა კომუნისტი პ. ცნიგრაო. ასეთ პირობებში უფრო ხელშემწყობი ვითარება შეიქმნა, რათა კონსტრუქციულად გადაიჭრას ქვეყნის წინაშე მდგარი რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

არჩევნებს შემდეგ კიდევ საკმაო ხანს გრძელდებოდა მთავრობის კრიზისი, რადგან ქრისტიან-დემოკრატებს პარლამენტში არ ჰქონდათ ხმების უმრავლესობა.

---

[1] 1975 წელს პარტიის რიგებში გაერთიანებული იყო 1658 ათასი წევრი. პარტიის XIV ყრილობას ესწრებოდა საბჭოთა პარტიული დელეგაცია სკკპ ცკ-ის მდივნის ა. პ. კირილენკოს მეთაურობით. მან იტალიის კომპარტიის თავმჯდომარეს ლ. ლონგოს გადასცა ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ შექმნა ერთპარტიული მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჯ. ანდრეოტი. სოციალისტებმა ამ მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადეს.

არჩევნების შედეგად შეცვლილი პოლიტიკური ძალების თანაფარდობის გავლენით ჯ. ანდრეოტის მთავრობამ პროგრამაში მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი შეიტანა. იგი ითვალისწინებდა ახალგაზრდობის შრომით უზრუნველყოფას, კაპიტალის უკანონოდ გატანის აღკვეთას, სავაჭრო დეფიციტის შემცირებას, მრეწველობის გარდაქმნას. მიუხედავად ამისა, მთავრობის პროგრამა კომუნისტებს არ აკმაყოფილებდა და ამიტომაც იტალიის კომპარტიამ გადაწყვიტა თავი შეეკავებინა ნდობის ვოტუმის კენჭისყრისას.

პარლამენტში გადაუდებელ ეკონომიკურ ღონისძებათა განხილვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იტალიის პოლიტიკურ სტაბილურობასთან და მმართველი კაბინეტის ბედთან, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მთავრობა პარლამენტის უმრავლესობას არ შეადგენდა, ხოლო ნეიტრალურ პოზიციებზე მდგომი პარტიების უმრავლესობა თავის დამოკიდებულებას მთვარობისადმი განსაზღვრავს იმით, თუ რამდენად შეძლებს ეს უკანასკნელი ეკონომიკურ დარგში ნაკისრ პირობათა შესრულებას.

კონსერვატორული და კლერიკალური ძალები პარლამენტში ცდილობდნენ ხელი შეეშალათ დემოკრატიული კანონების მიღებისათვის, კერძოდ აბორტის შესახებ. საქმე ეხებოდა მოძველებული, ფაშიზმის დროს მიღებული კანონმდებლობის გაუქმებას და იტალიელი ქალისათვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს დედობის საკითხი. მემარჯვენეებმა უბრალო არითმეტიკული უმრავლესობაც დაკარგეს პარლამენტში და აღარ შეუძლიათ ძველებურად თავს მოახვიონ ხალხს თავიანთი ნება-სურვილი.

ე. ბერლინგუერმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგად პარლამენტში შეიცვალა ძალთა თანაფარდობა, გაჩნდა ახალი უმრავლესობა, რომელშიც კომპარტია შედის. ამრიგად, ბურჟუაზიამ მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკით ვერ მიაღწია

თავის მთავარ მიზანს — კომუნისტების მასებისაგან იზოლირებას. პირიქით, კომუნისტების გავლენა პარტიის ახალი ხელმძღვანელობის სწორი ტაქტიკური კურსის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა[1].

იტალიის კომპარტიის პროგრამა და ტაქტიკა შეიმუშავა პ. ტოლიატიმ, ხოლო VIII ყრილობამ (1956 წ.) მიიღო საპროგრამო დოკუმენტები. ამის შემდეგ მასში დამატებები და შესწორებები რეზოლუციების სახით შექონდათ მორიგი ყრილობების დროს.

ამ არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო კომპარტიის წარმატებები. კომპარტია მემარცხენე და, საერთოდ, პოლიტიკურ პარტიებს შორის თავისი დემაგოგიური სოციალური ლოზუნგების წყალობით მთავარ პოლიტიკურ ძალად რჩებოდა ქვეყანაში. იგი იბრძოდა მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 1969 წლის თებერვალში პარლამენტში კომუნისტებმა განსახილველად შეიტანეს კანონპროექტები პენსიების გაზრდის, განქორწინების დაშვების, ავტონომიური ოლქების შექმნის, საბინაო მშენებლობის და პროფკავშირების უფლებათა გაფართოების შესახებ. კანონპროექტების მხარდასაჭერად კომუნისტებმა მოაწყვეს გრანდიოზული, ეროვნული მასშტაბის გაფიცვები, რომლებშიც 20 მილიონამდე კაცი მონაწილეობდა. 1969 წლის გაფიცვებისას, ოფიციალური მონაცემებით, დაიკარგა 300 მლნ-მდე სამუშაო სა-

---

[1] 1964 წელს ყირიმში გარდაიცვალა პ. ტოლიატი. იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი გახდა ლუიჯი ლონგო (დაიბადა 1900 წელს). იგი კომპარტიის ცკ-ის წევრია 1926 წლიდან. სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში ლ. ლონგო ინტერნაციონალური ბრიგადების გენერალური კომისარი იყო და ესპანელ ხალხთან ერთად მხარდამხარ იბრძოდა ადგილობრივი და გერმანია-იტალიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ. 1943 — 1945 წლებში იგი იყო იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1946 — 1964 წლებში იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილეა, 1964 — 1972 წლებში კი გენერალური მდივანია. 1972 წლიდან იტალიის კპ-ის XIII ყრილობაზე ლ. ლონგო ცკ-ის თავმჯდომარედ აირჩიეს. გენერალური მდივანი კი გახდა ე. ბერლინგუერი.

ე. ბერლინგუერი (დაიბადა 1922 წ.) იკპ-ის წევრია 1943 წლიდან, იკპ-ის ცკ-ის წევრია 1948 წლიდან. 1950 — 1956 წლებში იგი იტალიის კომუნისტური ახალგაზრდობის ფედერაციის მდივანია, 1950 — 1953 წლებში — დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წევრი. 1960 წლიდან ბერლინგუერი იკპ-ის ხელმძღვანელობის წევრია, 1966 — 1972 წლებში — გენერალური მდივნის მოადგილე, 1972 წლიდან კი — გენერალური მდივანი.

ათი[1]. 1969 წლის „სიცხიანი შემოდგომის“ (როგორც მუშებმა უწოდეს) გაფიცვებმა იტალიის გაბატონებული კლასები აიძულა, დათმობაზე წასულიყვნენ. მუშებმა მიაღწიეს ხელფასების გაზრდას, 40-საათიან სამუშაო კვირაზე გადასვლას, პენსიების გაზრდას, საბინაო მშენებლობის პროგრამის მიღებას, პროფკავშირთა უფლებების გაფართოებას, მეწარმეებთან შრომის პირობებზე შეთანხმებას (ნორმების, ნიხრის, პრემიების და ჯარიმების განსაზღვრაში)[2]. 1970 წლის 19 დეკემბრიდან ძალაში შევიდა კანონი განქორწინების უფლების შესახებ. როგორც ყოველთვის ამჯერადაც ამ კანონის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ვატიკანმა. მაგრამ იტალიის საზოგადოებრიობამ დაგმო ვატიკანისა და მემარჯვენე ქრისტიან-დემოკრატების პოზიცია და მოითხოვა ბოლო მოღებოდა საუკუნეების განმავლობაში არსებულ ეკლესიისადმი ოჯახის სრულ მორჩილებას და ოჯახურ საქმეებში მის ჩარევას. ამ კანონის მიღებით მნიშვნელოვნად შეიკვეცა ეკლესიის უფლებები.

1973 წლის შემდეგ მუშათა საგაფიცვო მოძრაობა კვლავ იზრდებოდა.

მუშები კომუნისტების ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში იბრძოდნენ ქვეყნის ელექტროტექნიკური მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის. ეს მრეწველობა „ედისონის“ კომპანიის ხელში იყო, რომელიც თვითნებურად ზრდიდა ტარიფებს ელექტროენერგიაზე. 1962 წელს მუშათა ამ ბრძოლის ზეგავლენით პარლამენტმა მიიღო კანონი „ედისონის“ ტრესტის ნაციონალიზაციის შესახებ. მთავრობამ შექმნა სახელმწიფო ორგანო — „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ეროვნული გაერთიანება“, რომლის ხელში გადავიდა მთლიანად ქვეყნის ენერგეტიკული მეურნეობა.

თავისებური ტაქტიკა შეიმუშავა კომპარტიამ მემარცხენე ცენტრისტული პროგრამის წინააღმდეგ. იგი მხარს უჭერდა ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც პროგრესული იყო, მაგრამ დაუყოვნებლივ

---

[1] 1965 წელს გაიფიცა 2,3 მლნ., 1966 წ. — 1,9 მლნ., 1967 წ. — 2.2 მლნ., 1968 წ. — 4,9 მლნ., 1969 წ. — 7,5 მლნ., 1970 წ. — 3,7 მლნ.. 1971 წ. — 3,9., 1972 წ. — 4,4 მლნ., 1973 წ. — 9,4 მლნ. კაცი. 1974 წელს მოხდა საყოველთაო გაფიცვა და ყოველ მათგანში 14 მილიონი კაცი მონაწილეობდა.

[2] საკომპენსაციო სალაროები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელფასის ანაზღაურების გარანტიას აძლევს მათ, ვინც ექვსი თვის განმავლობაში სურვილს გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა სამუშაო.

ილაშქრებდა უარყოფითი, კონსერვატორული და პრომონოპოლისტური კურსის წინააღმდეგ საშინაო პოლიტიკაში და პროამერიკული კურსის წინააღმდეგ საგარეო პოლიტიკაში[1].

საგარეო პოლიტიკა 1974—1977 წლებში

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად ურთიერთობა „საერთო ბაზარში" შემავალ ქვეყნებს შორის ძალზე გამწვავდა, რადგან ისინი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალს ერთმანეთის ხარჯზე ეძებდნენ. 1975—1976 წლებში აღნიშნულ რეგიონში შემავალ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ხშირ მოლაპარაკებას მართავდნენ ერთმანეთთან.

1976 წლის 3 დეკემბერს საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ'ესტენი იმყოფებოდა რომში, შეხვდა პრეზიდენტ ჯ. ლეონეს და პრემიერ-მინისტრ ჯ. ანდრეოტის. მოლაპარაკებისას ცენტრალური საკითხი იყო ეკონომიკური პრობლემები. კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით საფრანგეთის პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა, რათა 1977 წლის ზაფხულში მოეწვიათ დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების თათბირი, თუმცა მანვე სინანულით შენიშნა, რომ ასეთმა წინა შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღოო. ვიდრე იტალიაში ჩავიდოდა, იგი შეხვდა ინგლისისა და გფრ-ის მთავრობათა მეთაურებს, რომლებთანაც საუბარი ჰქონდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის ეკონომიკური კრიზისის შედეგად შექმნილი წინააღმდეგობების დაძლევის გზების გამონახვის შესახებ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ შეხვედრების დროს „საერთო ბაზრის" ქვეყნები მეტ ყურადღებას უთმობდნენ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, ვიდრე პოლიტიკურს.

1977 წლის 18 იანვარს პრემიერ-მინისტრი ჯ. ანდრეოტი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ბონში და შეხვდა კანცლერ ჰ. შმიდტს.

---

[1] კომპარტიის XIV ყრილობამ (1975 წლის მარტში) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ვითარებაში აუცილებელია პარტიამ აირჩიოს რევოლუციური პროცესის განვითარების უპირატესად მშვიდობიანი გზა, იბრძოლოს მაქსიმალურად ფართო ანტიმონოპოლისტური ფრონტის შექმნისათვის, რომელიც გააერთიანებს მოსახლეობის ყველა ფენას — პროლეტარიატიდან დაწყებული წვრილი მეწარმეების ჩათვლით.

მოლაპარაკებისას მთავარი ყურადღება დაეთმო მძიმე ეკონომიკურ და ფინანსური მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების განხილვას. აშკარა გახდა, რომ ბონის გარკვეულ წრეებს იტალიისათვის ფინანსური დახმარების გაწევა სურდათ გამოეყენებინათ მასზე პოლიტიკური და სამხედრო ზეგავლენის მოსახდენად. იტალიაში ამასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამდნენ ანდრეოტის მთავრობის ცდებზე, რომ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საზღვარგარეთიდან მიღებული სესხით გამოესწორებინა, რაც საშიშროებას შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კრიზისის ვითარებაში იტალიის მმართველმა წრეებმა მოლაპარაკება გამართეს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის ხელმოწერილია მსხვილი კონტრაქტები, რომელთა შედეგად 1971 წლიდან 1975 წლამდე საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის სამჯერ გაიზარდა და 1 მლრდ. მანეთი შეადგინა.

იტალიაში „საუკუნის გარიგება" უწოდეს საბჭოთა კავშირთან ხელმოწერილ შეთანხმებას 100 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდების შესახებ. სამაგიეროდ სსრკ-ს მრეწველობა იტალიიდან იღებს გაზის 2.5 მლნ. ტონა დიდი დიამეტრის მილებს.

1974 წლის მაისში მილანში შედგა გაზსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირიდან გაზის მიწოდება იტალიისათვის. პერსპექტიული გახდა ამ ორ ქვეყანას შორის გარიგება საკომპენსაციო საფუძველზე. ასეთ პირველ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა ორგანიზაციებმა და ფირმა „მონტედისონმა". იგი ეხება საბჭოთა კავშირში შვიდი ქიმიური ქარხნის მშენებლობას. თავისი დანადგარების საფასურად იტალია იღებს ამ ქარხნების პროდუქციის ნაწილს. ასეთი სახის მრავალი შეთანხმება დაიდო იტალის სხვა მსხვილ ფირმებთანაც. 1974 წელს საკომპენსაციო შეთანხმებამ და საქონელბრუნვამ შეადგინა 1,140 მლნ. მანეთი.

1976 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის დაიდო ხანგრძლივვადიანი ათწლიანი შეთანხმება.

საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობას ახალი სტიმული

მიეცა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრების შემდეგ.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ამ ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი (1975 წლის ოქტომბერში, რომში) ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის 10-წლიანი პროგრამა. იგი განსაზღვრავს თანამშრომლობის საერთო პრინციპებს, ფორმებს და ობიექტებს.

1975 წლის ნოემბრის ბოლოს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის პრეზიდენტი ჯ. ლეონე. მან ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან ახალ ხუთწლიან შეთანხმებას 1975—1979 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ და საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივ დეკლარაციას; ორივე ქვეყანა სურვილს გამოთქვამდა ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ.

1976 წლისათვის საბჭოთა კავშირ-იტალიის საქონელბრუნვამ შეადგინა 1 მლრდ. 800 მლნ. მანეთი. 1974—1976 წლებში საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის სამჯერ გაიზარდა, ხოლო 10 უკანასკნელი წლის მანძილზე — 6-ჯერ. მარტო 1976 წელს იგი 20%-ით და მეტად გადიდდა. ორი ქვეყნის თანამშრომლობა კომპენსაციურ შეთანხმებათა საფუძველზე ხორციელდებოდა, რამაც განამტკიცა საბჭოთა ორგანიზაციებისა და იტალიის მსხვილი კომპანიების საქმიანი ურთიიერთობა.

საბჭოთა კავშირ-იტალიის პოლიტიკური ურთიერთობა ვითარდებოდა საბჭოთა კავშირ-იტალიის ოქმის საფუძველზე კონსულტაციების შესახებ. ამ ოქმს ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს 1972 წელს. მისი მთავარი არსია პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგება კონსულტაციებით. იგი ითვალისწინებდა ასევე ევროპის და მთელი მსოფლიოსათვის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების განხილვას. კონსულტაციათა ფარგლებში პრაქტიკულად დამკვიდრდა საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტების გაცვლა.

1977 წლის 10—14 იანვარს მოსკოვში, საბჭოთა მთავრობის მოწვევით, იმყოფებოდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფორლანი. ამ ვიზიტის დროს შედგა მოლაპარაკება ორივე ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდა უმნიშვნელოვანეს

საერთაშორისო საკითხებზე. მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკე, რომელმაც ცხადყო, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობის თვალსაზრისი ერთია მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

ორივე მხარე კომუნიკეში აცხადებს, რომ ვიზიტის დროს შეხვედრები და მოლაპარაკებები ხელსაყრელი იყო და ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას.

იტალია 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იან წლებში

იტალია — მაღალგანვითარებული ინდუსტრიალურ-აგრარული ქვეყანაა. მისი ხვედრითი წონა კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებაში 1986 წელს შეადგენდა 5%, 1989 წლისათვის კი 5,8%. 70-იანი წლების დამდეგამდე ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ 70-იან წლებში სამრეწველო ზრდის ტემპები შეანელდა. პირიქით, სწირად ხდებოდა წარმოების დაკნინება. 80-იანი წლების დამდეგს იტალიის მრეწველობამ გადაიტანა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 3 წელიწადს გრძელდებოდა, მაგრამ 1984 წელს დაიწყო წარმოების გამოცოცხლება, შემდეგ კი ზრდა (2,6% ყოველწლიურად). ასევე კაპიტალდაბანდებების სფეროში იზრდება აქტივიზაცია-საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა. 1988 წლისათვის დასავლეთის ექსპერტები დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამეურნეო პოტენციალის შედარებისას იტალიას შედარებით მცირე ადგილს მიაკუთვნებენ მის ეკონომიკურ სიძლიერეს. და მართლაც ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა ერთ სულ მოსახლეზე შიდა საერთო პროდუქტის წარმოებით იტალია დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას ჩამორჩება და უსწრებს ნაწილად ესპანეთს, საბერძნეთს, პორტუგალიასა და ირლანდიას. იტალიის ეკონომიკის ყველაზე უარყოფით მხარეს წარმოადგენდა რეგიონალური დისპროპორცია. ქვეყნის სამხრეთის ნაწილი თავისი ეკონომიკური განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩრდილოეთის და ცენტრალურ რაიონებს. მაგრამ იტალიის ეკონომიკის ბოლო ათწლეულის განვითარების ფაქტები ცხადყოფენ იმას, რომ იტალიის პოზიციები მსოფლიო ბაზარზე კი არ სუსტდება, არამედ ვითარ-

დება. იტალიის საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდის საშუალო ტემპები 1976-87 წლებში შეადგენდა 3%, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში იგივე მაჩვენებლები გფრ-ის 2,5%-ით, საფრანგეთისა — 2,4%, დიდი ბრიტანეთისა 2% აღინიშნებოდა.

იტალიის ეკონომიკური ფენომენი დასავლეთის სპეციალისტების აზრით, დაკავშირებულია საშუალო და წვრილი საწარმოების მოქნილობაზე, მათი ხვედრითი წონა აღემატება სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. მაგრამ იტალიის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მსხვილი წარმოება, მსხვილი მონოპოლიები, მსხვილი მონოპოლიური კაპიტალი: 1100 ყველაზე უფრო მსხვილი სააქციონერო საზოგადოებაზე (2,4% მათი მთელი რაოდენობა) მოდის ქვეყნის სააქციონერო კაპიტალის 54%. ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო სექტორი, რომლის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში შეადგენს 58%. ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოურ კაპიტალს. 70-იან, განსაკუთრებით კი 80-იან წლებში განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა საავტომობილო წარმოება, ინფორმაციის დამუშავების საშუალებები, რადიოტექნიკური ნაწარმი, სამშენებლო მასალები, ფარმაცევტული საქონლის წარმოება და ა. შ. ამასთანავე შემცირდა გამოშვება ფეხსაცმლის, ნავთობპროდუქტების, სამკერვალო წარმოების ნაწარმის.

იტალია ღარიბია სათბობი რესურსებით და სამრეწველო ნედლეულით. ქვეყანაში არის თუთიის, ტყვიის, გოგირდის, ბოქსიტების, ვერცხლის წყლის, მარმარილოს და ა. შ. მარაგი. მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკული რესურსები.

ჩრდილოეთ იტალიის სოფლის მეურნეობაში უპირატესად განვითარებულია მსხვილი ფერმერული კაპიტალისტური მეურნეობა, ხოლო სამხრეთში შემორჩენილია ფეოდალური ურთიერთობა მიწის მფლობელობაში. სოფლის მეურნეობის კულტურის ყველაზე უფრო განვითარებული დარგებია: მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის წარმოება, მებაღეობა, მევენახეობა, ციტრუსების წარმოება.

იტალიის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნები და აშშ. კონკურენციის უნარიანობა მსოფლიო ბაზარზე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების საწინდარს. ამ გარემოებას იტალიაში უდიდესი ყურადღება ექცევა და ამ მიზნით იტალიაში სახელმწიფო

ყოველწლიურად 10 მილიარდი დოლარით აფინანსებს სამეცნიერო კვლევის ეროვნულ საბჭოს, რომლის მთავარი ამოცანაა მეცნიერების ყველა დარგისა და გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისათვის ზრუნვა. გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისათვის ზრუნავენ სხვა მსხვილი სამრეწველო ჯგუფები: „ფიატი", „მონტედისონი" და სხვები, აგრეთვე წვრილი და საშუალო კომპანიები, რომელნიც იმუშავებენ ახალ ტექნოლოგიის. მაგალითად, „ფიატი" ამუშავებს მსოფლიო დონის სტანდარტის მანქანების საავტომობილო წმენებლობას. იტალია აქტიურად მონაწილეობს „ევრიკას" პროგრამის ჩარჩოებში. 1988 წლისათვის „ევრიკას" ჩარჩოებში იტალია 66 ახალი ტექნოლოგიის დამუშავებაში მონაწილეობდა. ახალ ტექნოლოგიურ ინიციატივებს შორის არის ისეთი პროგრამები, როგორიცაა პროექტები გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ბიოლოგიის, მედიცინისა და ტელეკომუნიკაციების. 1987 წელს იტალიის კომპანიებზე მოდიოდა აშშ-ს დაბეგვრების 2,5% დასავლეთ ევროპაში „ევრიკა-ევროპის პროგრამის" მიხედვით.

1988 წლის მაისში შეიქმნა იტალიის [illegible] საბიუჯეტო, რომლის ამოცანაა ეროვნის დარგში მეცნიერული და ტექნიკური პროგრამების დამუშავება. ამ მიზნით ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა უზარმაზარი თანხა — 400 მილიარდი ლირა. კიდევ 400 მილიარდი ლირის გამოყოფა ხდება იტალიის მონაწილეობის დასაფინანსებლად ევროპის კომერციული საავტომობილო პროგრამაში.

70-იან წლებში ქრისტიან-დემოკრატიული პარტია ყველაზე ინარჩუნებდა უპირატესობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პარლამენტო არჩევნებში საშუალოდ იგი აგროვებდა ამომრჩეველთა ხმების 38%. მაგრამ 70-იანი წლები განსაკუთრებით მეორე ნახევარში მემარცხენე პარტიები, განსაკუთრებით კომუნისტური და სოციალისტური პარტიები აღწევენ წარმატებებს, რის გამოც ქრისტიან დემოკრატები, როგორც წესი, თავისი ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ხშირად მიმართავდნენ კოალიციური მთავრობების შექმნას, ან პარლამენტში საკანონმდებლო ხელს ეხმარებოდნენ სხვა პარტიების (სოციალისტების, ლიბერალების და [illegible] შ.) ეხარდაგებრივ. მაგ ამ ასეთი კოალიციები ბლოკის შიგნით არსებული წინააღმდეგობების შედეგად ხშირად იშლებოდა. რომლის შედეგი იყო მთავრობის ხშირი კრიზისები. მთავრობის ასეთი კრიზისი მოხდა 1976 წელს,

როდესაც პარლამენტი დაითხოვეს და 20—21 ივნისს ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები. ქრისტიან-დემოკრატებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 38.8% და 263 დეპუტატის ადგილი 630-დან. დიდ წარმატებას მიაღწიეს კომუნისტებმა. მათ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 34,4% და დეპუტატთა 228 ადგილი. სოციალისტებმა 9,7% და 57 დეპუტატის ადგილი. ამრიგად, პარლამენტში ისეთი ძალთა თანაფარდობა შეიქმნა, რომ იტალიის კომპარტიის პოზიციის იგნორირება შეუძლებელი იყო. იტალიის სოციალისტებმა ძველი პოზიცია შეინარჩუნეს, მაგრამ არჩევნების შედეგები წარუმატებლად მიიჩნიეს და პარტიის ახალ გენერალურ მდივნად ბ. კრაკსი აირჩიეს.

არჩევნების შემდეგ შეიქმნა ერთპარტიული მთავრობა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ჯონ ანდრეოტის მეთაურობით, რომელიც პარლამენტში ეყრდნობოდა მემარცხენე პარტიების უმრავლესობას. მასში შედიოდნენ კომუნისტებიც და სოციალისტებიც.

მემარცხენე ძალების ზეგავლენით იტალიის მთავრობამ პარლამენტში რიგი კანონები გაატარა, რომელთა შორის აღსანიშნავია ახალგაზრდობის პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე მოწყობის შესახებ; შეიარაღებული ძალების დემოკრატიზაციის შესახებ, რომლითაც სამხედროებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ; სახელმწიფოს რწმუნებების ნაწილის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ; კანონმდებლობის გზით ბინის ქირის საკითხის მოგვარების შესახებ და ა. შ.

1977 წლის ივნისში იტალიის სოციალისტურმა პარტიამ წამოაყენა წინადადება, რომელიც მოიწონა პარლამენტის პარტიების უმრავლესობამ (მათ შორის კომუნისტებმა) კომპრომისული ღონისძიებების გატარებაზე უახლოეს 6—12 თვის განმავლობაში. იგი ითვალისწინებდა წესრიგის დაცვის ღონისძიების გაძლიერებას, ინფლაციის დაძლევას და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, საბინაო მშენებლობის გაფართოებას და მშრომელთა დასაქმების გაზრდას. მემარცხენე ძალების ზეგავლენით და მხარდაჭერით მთავრობამ განახორციელა ჩამოთვლილი ღონისძიებების დიდი ნაწილი. მაგრამ ამ ღონისძიებების განხორციელებას წინ აღუდგნენ ნეოფაშისტები და ექსტრემისტული ძალები, რომლებიც ებრძოდნენ პარლამენტის უმრავლესობის ერთიან მოქმედებას,

ცდილობდნენ მის დაშლას. ამ მიზნით მათ გააძლიერეს ძირგამოშთხრელი საქმიანობა. 1976 წლის ბოლოდან დაწყებული გაძლიერდა ბომბების აფეთქება, მკვლელობა, თავდასხმები მემარცხენე პარტიების შენობებზე და ლიდერებზე. 1977 წლის თებერვალსა და მარტში წვრილბურჟუაზიულმა ექსტრემისტებმა გამოიწვიეს სტუდენტთა გამოსვლები რიგ ქალაქებში, რომლებიც უპირველეს ყოვლისა კომუნისტებისა და სხვა მემარცხენე პარტიების ბლოკის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1978 წლის გაზაფხულზე „წითელმა ბრიგადელებმა" მოიტაცეს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ა. მორო და 9 მაისს მოკლეს იგი. ა. მორო კომუნისტების კოალიციურ მთავრობაში შეყვანის მომხრედ გამოდიოდა. მალე გათიშვა დაიწყო პარლამენტის მემარცხენეთა უმრავლესობაში, რაშიც კომუნისტებს მიუძღვით ბრალი. 1978 წლის დეკემბერში ქრისტიან-დემოკრატებმა პარლამენტის მემარცხენეთა უმრავლესობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე პარლამენტში შეიტანეს განსახილველად და მემარჯვენეების მხარდაჭერით (კომუნისტები წინააღმდეგ გამოვიდნენ) მიიღეს გადაწყვეტილება იტალიის ევროპის სავალუტო სისტემაში შესვლაზე. 1979 წლის იანვრის ბოლოს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ იგი მოდის პარლამენტის უმრავლესობიდან. რეაქციის ტერორისტულ გამოხდომებს იტალიის მშრომელებმა საყოველთაო გამოსვლებით და გაფიცვებით უპასუხეს. 1977 წლის 18 მარტს მილანის და ქვეყნის სამხრეთის 8 ოლქის 10 მილიონი მშრომელი მონაწილეობდა ბრძოლის დღეში (ასე გამოცხადდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა). 15 ნოემბერს მოეწყო საერთო ეროვნული გაფიცვა, რომელშიც 8 მილიონი კაცი მონაწილეობდა. 1978 წლის მარტში და მაისში მილიონობით იტალიელი მშრომელი მონაწილეობდა მანიფესტაციაში ა. მოროს მოტაცებისა და მოკვლის გამო. 1979 წლის 19 ივნისს კი პროფკავშირთა ფედერაციის გადაწყვეტილებით მოეწყო საერთო ეროვნული გაფიცვა, რომელშიც 13 მილიონ კაცი მონაწილეობდა. გაფიცულები მოითხოვდნენ ინფლაციის აღკვეთას, უმუშევრობის მოსპობას, ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას.

მთავრობის გაჭიანურებული კრიზისისა და ხშირი ცვლების შემდეგ, 1979 წლის 2 აპრილს პარლამენტი დაითხოვეს და 3—4 ივნისს ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები. არჩევნებში ქრისტიან-დემოკრა-

ტებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 38,3% და 262 დეპუტატის ადგილი, თითქმის იმდენივე, რამდენიც 1976 წლის არჩევნების დროს; სოციალისტებმა 9,8% და 62 ადგილი, კომუნისტებმა — 30,4% და 201 ადგილი (1976 წელს კი 34,4% და 228 ადგილი), ამრიგად კომუნისტებმა ხმების 4% და 26 დეპუტატის ადგილი დაკარგეს წინა არჩევნებთან შედარებით. არჩევნების შემდეგ მთავრობის შექმნა საკმაოდ დიდხანს გაჭიანურდა. მხოლოდ 1979 წლის აგვისტოში ქრისტიან-დემოკრატმა ფ. კოსიგამ შექმნა კოალიციური მთავრობა, რომელშიც შეეიდნენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და უპარტიოები. მიუხედავად ამისა, ახალ მთავრობას პარლამენტში არ ჰქონდა დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერა, რის გამოც მისი მდგომარეობა არ იყო სტაბილური, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატები მაინც ინარჩუნებდნენ მონოპოლიას ხელისუფლებაზე სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერის წყალობით. ეს უკანასკნელნი ამკარა ანტიკომუნისტურ პოზიციაზე იდგნენ და არც თუ უსაფუძვლოდ ამჯობინებდნენ ბლოკის შეკვრას ქრისტიან-დემოკრატებთან.

ფ. კოსიგას, შემდეგ კი ა. ფორლანის მთავრობებმა (1980 წლიდან) რიგი ანტიინფლაციური ღონისძიებები განახორციელეს, რომელმაც „ძვირი ფულის" პოლიტიკის სახელი დაიმსახურა. კერძოდ, ხორციელდებოდა საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შეკავება, კრედიტებისა და იმპორტის შეზღუდვის, შემდეგ ფასების შეკავების, ხელფასების გაყინვისა და სხვა ღონისძიებები. ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირების მიზნით 1982 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 6 000 მილიარდი ლირა მსხვილი კომპანიების დასაფინანსებლად.

1981 წელს იტალიაში დიდი პოლიტიკური სკანდალი მოხდა. საქვეყნოდ ცნობილი გახდა ფარული მასონის ლოჟა — „პროპაგანდა — 2-ის" (პ-2) რეაქციული საქმიანობა. ამ ჯგუფში ჩათრეული აღმოჩნდნენ ქდპ-ის და სხვა მმართველი პარტიების, არმიისა და უშიშროების ორგანოების წარმომადგენლები. ამ პოლიტიკური სკანდალის გამო, პირველად 35 წლის განმავლობაში ქრისტიან-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაეთმოთ რესპუბლიკელი ჯ. სპადოლინისათვის. მაგრამ ეს მთავრობაც დიდხანს არ იდგა ხელისუფლების სათავეში და პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში კვლავ გრძელდებოდა. ასეთ ვითარებაში

პარლამენტი დაითხოვეს და ახალი რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. ქრისტიან-დემოკრატებმა მართალია პირველი ადგილი დაიკავეს სხვა პარტიებთან შედარებით, მაგრამ მნიშვნელოვნად დაკარგეს ხმები 1979 წლის არჩევნებთან შედარებით. მათ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 32,9% (1979 წ. — 38,3%). სოციალისტებმა ერთგვარად გაზარდეს მიღებული ხმები, კომუნისტებმა კი შეინარჩუნეს თავისი პოზიციები. არჩევნების შემდეგ შეიქმნა ხუთპარტიული კოალიციური მთავრობა ბურჟუაზიული პარტიების მონაწილეობით სოციალისტ ბ. კრაკსის მეთაურობით, რომელიც ხელისუფლების სათავეში 3 წლის განმავლობაში იდგა. მთავრობაში სოციალისტებისა და ქრისტიან-დემოკრატების გარდა შედიოდნენ ლიბერალური პარტია, რესპუბლიკური პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია.

80-იან წლების პირველ ნახევარში იტალიის ეკონომიკაში შეინიშნება ტექნოლოგიური ჩამორჩენა დასავლეთის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, რის გამოც საერთაშორისო ბაზარზე იტალიის საქონელი კონკურენციას ვერ უძლებდა. ამ ტექნოლოგიური ჩამორჩენის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო და კერძო მეწარმეები შეთანხმდნენ, რომ უფრო დიდი თანხები გამოეყოთ ახალი ტექნოლოგიური ძიებისა და განვითარების მიზნებისათვის. მაგალითად, სამრეწველო რეკონსტრუქციის სახელმწიფო ინსტიტუტმა ამ მიზნებისათვის 1986—1990 წლებში დახარჯა 45 ტრილიონი ლირა[1].

ამ უზარმაზარი თანხის დიდი ნაწილი მოხმარდა ახალი მეცნიერულ-კვლევითი ცენტრების შექმნას იმ მიზნით, რათა მათ სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შექმნან საერთო ეროვნული მნიშვნელობის კვლევითი კვანძი.

1985 წლის ქვეყნის შიდა ამბებიდან აღსანიშნავია მაისში ჩატარებული ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების არჩევნები. ქრისტან-დემოკრატებმა პირველი ადგილი დაიკავეს (35,1% ხმა), კომუნისტებმა — მეორე (30.2%), სოციალისტებმა — მესამე (13,3%).

მეორე დიდი მნიშვნელობის ამბებიდან აღსანიშნავია საერთო

---

[1] 1985 წლის 1 სექტემბრისათვის 1 ამერიკული დოლარი უდრიდა 1950 ლირას, ამავე წლის ბოლოს კი დოლარის კურსის დაცემის შედეგად 1750 ლირას.

ეროვნული რეფერენდუმის (ივნისში) ჩატარება ხელფასის გაყინვის კურსის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობის 1984 წლის დეკრეტის საფუძველზე ხორციელდებოდა და ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ მთავრობის გადადგომისა და ეკონომიკური ქაოსის მუქარით რეფერენდუმში მონაწილეთა 54,3%-მა მხარი დაუჭირეს მთავრობის 1984 წლის დეკრეტს ხელფასის ინდექსაციის შესახებ.

საყურადღებოა აღინიშნოს ის ამბავი, რომ იტალია აქტიურად მონაწილეობდა ევროპის პარლამენტის შექმნაში. 1979 წლის ივნისში იტალიაში ჩატარდა ევროპის პარლამენტის არჩევნები, რომლის დროსაც ქრისტიან-დემოკრატებმა მიიღეს ხმების — 36,5%, კომუნისტებმა — 29,6%. სოციალისტებმა — 11%. საყურადღებოა, რომ ე. ბერლინგუერის იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ (1975 წ.) იტალიის კომპარტიამ მოხსნა ლოზუნგი იტალიის ნატოდან გამოსვლის შესახებ და შეცვალა იგი ნატოსა და ვარშავის ორგანიზაციის ერთდროულად დათხოვნის მოთხოვნით. 1984 წლის ივნისში ა. ბერლინგუერის გარდაცვალების შემდეგ გენერალური მდივანი გახდა ალესანდრო ნატა. მან განაცხადა, რომ „სოციალისტური იდეალები" იტალიის კომუნისტებისათვის რჩება „ინტელექტუალურ და მორალურ სტიმულად, რომელიც შეესაბამება საზოგადოების სულ ახალ მოთხოვნებს".

1985 წლის ოქტომბერში კოალიციურ მთავრობაში „საგარეო ფაქტორის" გამო კვლავ გამწვავდა მდგომარეობა. მთავრობის კრიზისი გამოიწვია რესპუბლიკური პარტიის კოალიციიდან გამოსვლამ იმასთან დაკავშირებით, რომ, მისი აზრით, იტალიის მთავრობამ „დაარღვია სამოკავშირეო სოლიდარობა" ამერიკასთან და არ დააკმაყოფილა ვაშინგტონის თხოვნა პალესტინის განთავისუფლების ფრონტის მიერ გატაცებული თვითმფრინავის დაკავებაზე, თვითმფრინავისა, რომელიც იტალიაში დაჯდა, საწვავი მიიღო და ეგვიპტეში გაფრინდა, სადაც ტერორისტები ეგვიპტის მთავრობას ჩაბარდნენ.

კრაკსის ახალი მთავრობა ორპარტიული იყო: სოციალისტებისა და ქრისტიან-დემოკრატების მონაწილეობით.

1986 წლის მარტში მორიგი პოლიტიკური კრიზისის გამო, რაც გამოწვეული იყო კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის წინააღმდეგობით, თავიდან აიცილეს მთავრობის გადადგომა, მაგრამ ივ-

ნისში მთავრობის ახალი, თანაც გაჭიანურებული კრიზისის შემდეგ კრაკსი გადადგა, მაგრამ აგვისტოში კვლავ ხუთპარტიული მთავრობა შეიქმნა ისევ კრაკსის მეთაურობით იმ პირობით, რომ მისი რწმუნებები 1987 წლის მარტამდე შეიზღუდებოდა. შემდეგ კი ძალაუფლებას ქრისტიან-დემოკრატებს გადასცემდნენ. მაგრამ მიღწეულმა კომპრომისმა როდი აღმოფხვრა პარტიებს შორის წინააღმდეგობანი. იგი მხოლოდ ძირითადი პოლიტიკური პარტიების სურვილს გამოხატავდა, რომ თავიდან აეცილებინათ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები.

1986 წლის სექტემბერში მმართველ კოალიციაში დიდი განხეთქილება გამოიწვია მთავრობის მიერ პარლამენტში განსახილველად შეტანილმა მომდევნო სამი წლით ეკონომიკური პროგრამის დოკუმენტმა, რომლის საფუძველზე უნდა შეემუშავებინათ ფინანსური კანონი და 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. პროგრამის დოკუმენტი მიზნად ისახავდა „მკაცრი ეკონომიის“ პოლიტიკაზე გადასვლას, სოციალური ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირებას და ა. შ. ეს პროგრამა გააკრიტიკეს ოპოზიციურმა პარტიებმაც. მთელი 1987 წლის განმავლობაში იტალიის პარლამენტსა და მთავრობაში დაძაბული მდგომარეობა იყო. მთელი 3,5 თვის განმავლობაში ქვეყანაში მთავრობის კრიზისი იყო, რომლის გადასაწყვეტად პარლამენტი დაითხოვეს და რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა. განსაკუთრებით, გამწვავდა ბრძოლა კოალიციაში შემავალი ხუთი მმართველი პარტიიდან სოციალისტებსა და ქრისტიან-დემოკრატებს შორის. ამ ორ პარტიას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის. მათ შორის 1986 წლის ივნისში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მ. კრაკსი 1987 წლის მარტში უნდა გადამდგარიყო და ადგილი უნდა დაეთმო ქრისტიან-დემოკრატებისათვის. მაგრამ უკვე თებერვალში კრაკსი გამოვიდა შეთანხმების ავტომატური ხასიათის უარყოფით, რომელიც მისი აზრით რეკომენდაციის ხასიათს ატარებდა. ამის გამო აღნიშნულ ორ პარტიას შორის გამწვავდა ურთიერთობა. მათ შორის ურთიერთობა გართულდა აგრეთვე ივნისში ორი რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით: პირველი იყო მართლმსაჯულების ორგანოების რეფორმისა და მეორე ატომური ელექტროსადგურების შესახებ. 1987 წლის მარტში ამ საკითხების განხილვის დროს მინისტრთა საბჭოში გაიმართა დავა, რომლის შემდეგ ბ. კრაკსიმ პრეზიდენტ ფ. კოსიგას

ოფიციალურად გადასცა თხოვნა მისი კაბინეტის გადადგომის შესახებ. მთავრობის კრიზისი გაჭიანურდა და მხოლოდ 18 აპრილს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, სენატის თავმჯდომარემ ფ. ფანფანიმ შექმნა ერთპარტიული მთავრობა, მაგრამ ახალმა კაბინეტმა ვერ მიიღო დეპუტატთა უმრავლესობის ნდობის ვოტუმი. ამის შემდეგ ფ. კოსიგა იძულებული გახდა პარლამენტი დაეთხოვა და ახალი არჩევნები დაენიშნა. რიგგარეშე არჩევნები 1987 წლის 14—15 ივნისს ჩატარდა. ორივე მთავარმა კონკურენტმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია წინა არჩევნებთან შედარებით, განსაკუთრებით, სოციალისტურმა პარტიამ, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების 14,3% დეპუტატთა პალატაში და 94 დეპუტატის ადგილი (1983 წ. კი 11,5% და 73 ადგილი). მაგრამ სენატში სოციალისტებმა ნაკლები ხმა მიიღეს (10,9% და 36 ადგილი) 1983 წლის არჩევნებთან შედარებით (11,4%, 38 ადგილი). ქრისტიან-დემოკრატებმა დეპუტატთა პალატაში მიიღეს 34,3% (1983 წ. 32,9%) და 234 (1983 წ. 225) ადგილი, სენატში — 33,6% და 125 ადგილი (1983 წ. 32,4% 120 ადგილი). იტალიის კომპარტიამ ყველაზე მნიშვნელოვნად დაკარგა ამომრჩეველთა ხმების 3%. მან მიიღო ამომრჩეველთა 26,6% (ადრე 29,9%) და 177 ადგილი (ადრე 198) დეპუტატთა პალატაში და 28,3% (30,8%) ხმა და 100 (107) სენატორის ადგილი, თანაც კომპარტიამ ძირითადად დაკარგა ხმები ახალგაზრდობის ხარჯზე, მათ ხმა მისცეს ახალ „მწვანეთა პარტიას", რომელმაც მიიღო 2.5% ხმა და 13 ადგილი დეპუტატთა პალატაში და 20% და 1 ადგილი სენატში.

არჩევნების შემდეგ მეტად გამწვავდა ურთიერთობა სოციალისტებსა და ქრისტიან-დემოკრატებს შორის. ეს იმაში გამოიხატა, რომ სოციალისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ქრისტიან-დემოკრატების პოლიტიკური მდივნის დე-მიტის დანიშვნას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. მთავრობის კრიზისი მთელი თვე გრძელდებოდა და მხოლოდ ივლისში ქრისტიან-დემოკრატ ჯოვან გორიმ შეძლო ახალი მთავრობის შექმნა ისევ ადრინდელი ხუთი პარტიის მონაწილეობით. მაგრამ არ გასულა ერთი თვეც და ოქტემბერში მთავრობის ახალი კრიზისი დაიწყო, რომელიც ფინანსურმა და საგადასახადო საკითხების განხილვამ გამოიწვია, თუმცა საქმე მთლიან გათიშვამდე არ მისულა. 1988 წლის თებერვალში ჯონ გორის კაბინეტი პარლამენტში კვლავ წააწყდა დიდ წინააღ-

ძლეგობას ფინანსური საკითხის გახხილვისას. მთავრობის კრიზისი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. მხოლოდ 1988 წლის 13 აპრილს, რომის შემდეგ, შეიქმნა ახალი, 48-ე მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი დე მიტა. ესეც ხუთპარტიული კოალიციური მთავრობა იყო, რომელიც უკვე ზედიზედ რვა წლის განმავლობაში იქმნებოდა.

საშინაო პოლიტიკაში თავისი ამოცანების განსაზღვრისას დე მიტას მთავრობამ ერთმანეთს დაუკავშირა მთავრობის პროგრამის განხორციელება 1992 წლისათვის ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისათვის. მთავარ შიდაპოლიტიკურ პრობლემებს შორის, რომლის გადაწყვეტა გადაუდებელია „ერთიანი ევროპული ბაზრის" შექმნის წინ, დე მიტამ დაასახელა სახელმწიფო ფინანსების გამოჯანსაღება. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, სამხრეთ იტალიის პრობლემების მოგვარება, დასაქმების გაფართოება. მნიშვნელოვან პრობლემად გამოცხადდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მართლაც ამ მიმართულებით მთავრობა აქტიურად მოქმედებდა. 1988 წლის 6 და 7 სექტემბერს ღამით იტალიის პოლიციამ რომში განახორციელა ყველაზე დიდი ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ოპერაცია ტერორისტების წინააღმდეგ. დააპატიმრეს 21 ტერორისტი, „მესამე თაობის" ტერორისტების მეთაურები „წითელი ბრიგადიდან" — ე. წ. „მებრძოლი კომუნისტური პარტიის" მებრძოლი ფრთის ლიდერები. იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით 1988 წელს პოლიციამ სულ 62 ოპერაცია მოაწყო ტერორისტების წინააღმდეგ, დააპატიმრა მემარცხენე დაჯგუფებების 48 წევრი, ნეოფაშისტური ტერორისტული ორგანიზაციების 19 წევრი, 19 „საერთაშორისო ტერორისტი". გარდა ამისა, კარაბინერების კორპუსმა, რომელიც პოლიციისაგან ავტონომიურად მოქმედებს, დააპატიმრა 47 „მემარცხენე ექსტრემისტი", ორი ნეოფაშისტი, აღმოაჩინა იარაღის დიდი საწყობები.

70-იანი წლების დამთავრებიდან დაწყებული და 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე დამთავრებული იტალიაში მკვეთრად ეცემა მანამდე ქვეყნის მეორე პოლიტიკური ძალის, იტალიის კომპარტიის გავლენა და მის ხარჯზე ძლიერდება ერთი მხრივ სოციალისტური და მეორე მხრივ, „მწვანეთა პარტიის" გავლენა. თუ, მაგალითად, 1976 წლის არჩევნებისას განსხვავება კომუნისტებისა და სოციალისტების მიერ მიღებული ხმებით 24% იყო კომუნისტების

სასარგებლოდ, 1988 წლის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისას ასეთი განსხვავება მხოლოდ 3% იყო.

იტალიის კომპარტიის გავლენის კატასტროფულად დაცემა არ შეიძლება აეხსნათ მარტო ახალი აზროვნების დამკვიდრებით სსრკ-ში და საერთაშორისო ურთიერთობაში. არც ის იქნებოდა სწორი, რომ კომპარტიის პოზიციის შესუსტებას საფუძვლად დავუდოთ მარტო ობიექტური მიზეზები: სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მკვეთრი ცვლილებები ქვეყანაში, რომელიც გამოიხატა მშრომელთა ხვედრითი წონის შემცირებაში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და მათი ხვედრითი წონის გაზრდით მომსახურების სფეროში და არამწარმოებლურ დარგებში. აღსანიშნავია, აგრეთვე სუბიექტური ფაქტორები, რომელიც კომპარტიის მიერ დაშვებული შეცდომებითაა გამოწვეული.

1985 წელს გარდაიცვალა იტალიის კპ ცკ-ის გენერალური მდივანი ე. ბერლინგუერი და გენერალური მდივანი გახდა ა. ნატა.

1988 წლის ივნისში შემდგარ იტალიის კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე ა. ნატა გადადგა გენერალური მდივნობიდან. იკპ-ის ცკ-ის ახალი გენერალური მდივანი გახდა ა. ოკეტო. 1988 წლის მარტში კი შედგა იკპ-ის XVIII ყრილობა. ა. ოკეტომ თავის საანგარიშო მოხსენებაში საერთაშორისო საკითხების განხილვისას აღნიშნა, რომ კლასობრივი ბრძოლის ადგილი დაიკავა საერთო საკაცობრიო ინტერესების უზენაესობის იდეებმა, თანამედროვე სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებამ. საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო ურთიერთობაში მომხდარი ეს ცვლილებები.

საშინაო პოლიტიკის განსაზღვრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ იკპ-ა თავის ძირითად ამოცანად სახავს არა კლასობრივ, არამედ საერთო სოციალურ და ეროვნულ ინტერესებს. ყრილობამ კომპარტიის ცკ-ის ახალი შემადგენლობა აირჩია. ცკ-ის გენერალურ მდივნად ა. ოკეტო აირჩიეს, ხოლო თავმჯდომარედ კი ა. ნატა. 1990 წელს კი იტალიის კომპარტიამ სოციალისტური პარტიის სახელწოდება მიიღო.

1989 წლის 19 მაისს ჩ. დე მიტას მთავრობა გადადგა. გაჭიანურებული კონსულტაციების შემდეგ ივლისის ბოლოს ისევ ხუთპარტიული კოალიციური მთავრობა შეიქმნა გამოცდილი და ხანდაზმუ-

ლი მოღვაწის ჯულიო ანდრეოტის მეთაურობით. უფრო ადრე კი, 1985 წელს ა. პერტინის გაუვიდა პრეზიდენტობის ვადა. პრეზიდენტად აირჩიეს ფრანჩესკო კოსიგა.

საგარეო პოლიტიკა

70—80-იან წლებში იტალია კვლავ აქტიურად მონაწილეობდა ნატოსა და „საერთო ბაზარში", აფართოებდა ურთიერთობას ამ დაჯგუფებებში შემავალ ქვეყნებთან: 1978 წ. იტალიამ მხარი დაუჭირა ნატოს ქვეყნების სამხედრო ხარჯების გაზრდის პროგრამას. იმავე წელს იტალიამ და აშშ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ სამხედრო დარგში 20 წლის ვადით. 1979 წლის დეკემბერში შემდგარ ნატოს სესიაზე იტალიამ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას დასავლეთ ევროპაში, მათ შორის, იტალიის ტერიტორიაზე ამერიკული საშუალო რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ. 1986 წელს იტალიის მთავრობამ ნება დართო თავის ფირმებს მონაწილეობის მიღებაზე აშშ-ს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" პროგრამაში. იტალიის ინიციატივით 1984 წლის ოქტომბერში შედგა დასავლეთ-კავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, რომელმაც დასახა ერთობლივი შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელება შეიარაღების საქმეში.

1984 წ. იტალია მონაწილეობდა ნატოს ქვეყნების საერთაშორისო აქციაში ახლო აღმოსავლეთში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ლიბანში გააგზავნა თავისი ჯარის კონტიგენტი „მრავალეროვანი ძალების" შემადგენლობაში; იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები მონაწილეობდნენ ნატოს ოპერაციაში მეწამულ ზღვაში. შეინიშნებოდა, რომ საერთოდ იტალიის მთავრობები ნატოს და „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან შეთანხმებულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდნენ მსოფლიოს ყველაზე უფრო მწვავე პრობლემების ირგვლივ. კერძოდ, 1984 წელს ჯ. ანდრეოტი შეხვდა აშშ-ს პრეზიდენტ რ. რეიგანს სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს და თავდაცვის მინისტრს კ. უაინბერგერს რათა შეეთანხმებინათ ევროპაში ნდობის, უშიშროებისა და განიარაღების სტოკჰოლმის კონფერენციაზე საერთო პოზიციების შემუშავება.

იტალიის საგარეო პოლიტიკაში ევროპის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინტეგრაციას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. იტალია აქტიურად უჭერდა მხარს ე. წ. ევროპის კავშირის შექმნის იდეას, მხარს უჭერდა ევროპის პარლამენტის უფლებების გაფართოებას და ერთმხრივობის პრინციპიდან უმრავლესობის პრინციპებზე გადასვლას.

1986 წ. აპრილში იტალიამ მხარი დაუჭირა აშშ-ს სამხედრო აქციებს ლიბიის წინააღმდეგ და შეზღუდა იტალიის კავშირი ლიბანთან ეკონომიკურ და დიპლომატიურ დარგებში. 1988 წლის ივნისში იტალია დათანხმდა თავის ტერიტორიაზე განელაგებინა ესპანეთიდან გამოძევებული ამერიკული 72 გამანადგურებელი ბომბდამშენი. აშშ-ს ზეგავლენით 1987 წლის სექტემბერში იტალიამ გააგზავნა თავისი სამხედრო-საზღვაო ესკადრა სპარსეთის ყურეში, მაგრამ 1988 წლის ივლისში იტალიამ გამოიყვანა ამ საშიში რეგიონიდან თავისი საზღვაო ფლოტის ნაწილი.

როგორც ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფო იტალია აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა ახლო აღმოსავლეთში. იტალიის ხელმძღვანელები რეგულარულად აწყობდნენ ვიზიტებს თურქეთში, ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში და ანვითარებდნენ ამ რეგიონის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. რომი მხარს უჭერდა მოლაპარაკებას იორდანია-პალესტინის 1985 წლის თებერვლის შეთანხმების ბაზაზე, მოითხოვდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ყველა დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით და გაეროს წევრ სახელმწიფოებთან ერთად. ამ მიმართულებით არა ერთი შეხვედრა მოეწყო როგორც არაბულ ქვეყნებთან, ასევე ისრაელთან. იტალიამ დაგმო ისრაელის ავიაციის თავდასხმა ტუნისზე (1984 წლის ოქტომბერში) და ერაყის ატომურ სადგურზე და ა. შ.

არაბულ ქვეყნებზე, მაგალითად 1984 წლისათვის, მოდიოდა იტალიის დახმარების 23% განვითარებადი ქვეყნებისადმი — 50 მილიარდი ლირა, რომელიც განაწილებული იყო ეგვიპტეზე, სუდანზე, ჩრდლოეთ იემენზე, ტუნისზე, მაროკოზე, იორდანიასა და ლიბანზე. ფაქტიურად ეს იყო შეღავათიანი სესხები; რომელიც გათვალისწინებული იყო იტალიის საქონლისათვის. მომდევნო წლებში ეს შეღავათიანი სესხები კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, 1990 წლისათვის იგი შეადგენდა 80 მილიარდ ლირას.

იტალია ანვითარებდა ურთიერთობას აზიის სხვა ქვეყნებთანაც. განსაკუთრებით იაპონიასთან. ფართო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა იტალიამ აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ამ ურთიერთობის ძირითადი მიზანი იყო იტალიის დაინტერესება თავისი სამრეწველო საქონლის ფართოდ გატანით ამ ქვეყნებში, საჭირო ნედლეულის მიღებით და თავისი გავლენის გაზრდით.

იტალიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. იგი მონაწილეობდა 1975 წ. ჰელსინკის თათბირში და ხელი მოაწერა მის დასკვნით აქტს. იტალია მნიშვნელოვნად ანვითარებდა ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან. 1975 წელს საბჭოთა კავშირმა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ გარემოს დაცვის დარგში. 1975 წელს იტალიის პრეზიდენტი ჯ. ლეონე ვიზიტით იყო მოსკოვში, სადაც ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირ-იტალიის დეკლარაციას და აგრეთვე შეთანხმებას 1975—1979 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. 1979 წლის დეკემბერში ორივე მხარემ ხელი მოაწერა ახალ შეთანხმებას 1980—1985 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხანგრძლივვადიანი პროგრამის ოქმს სსრ კავშირსა და იტალიას შორის ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. მაგრამ საბჭოთა ჯარების აღლანეთში შეყვანასთან დაკავშირებით იტალიამ ბოიკოტი გამოუცხადა მოსკოვის ოლიმპიადა — 80-ს, მკვეთრად შეკვეცა ვაჭრობა და საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ფაქტიურად უარი თქვა საბჭოთა კავშირთან ახალ საკრედიტო შეთანხმებაზე. იტალია მონაწილეობდა პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებში აქ საალყო მდგომარეობის შეწოღებისა და ოპოზიციური ძალების დაპატიმრების გამო.

1982 წლის დეკემბერში იტალიის მთავრობამ ყალბი ბრალდება წაუყენა ბულგარელ მოქალაქეს ს. ანტონოვს, რომელიც მუშაობდა რომში საავიაციო კომპანია „ბალკანში". 1985 წელს რომში დაიწყო პროცესი „ანტონოვის საქმესთან" დაკავშირებით. მაგრამ ს. ანტონოვი გამართლებულ და განთავისუფლებულ იქნა.

80-იან წლებში განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში იტალიის კერძო ფირმები ანვითარებდნენ ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან. 1980 წელს კონცერნ

„მონტედისონსა“ და საბჭოთა/სავაჭრო ორგანიზაციებს შორის დაიდო გენერალური შეთანხმება საკომპენსაციო საფუძველზე 6 წლის ვადით საბჭოთა კავშირში ქიმიური ქარხნის შენებლობასა და ქიმიური საქონლის ურთიერთმიწოდებაზე. იტალიის საქმიანი წრეები მონაწილეობდნენ გაზსადენის მშენებლობაში დასავლეთ ციმბირიდან სსრ კავშირის დასავლეთ საზღვრებამდე.

1984 წლის აპრილში მოსკოვში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. ანდრეოტის ვიზიტის დროს სსრ კავშირში ხელი მოაწერეს შეთანხმებას იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხანგრძლივვადიანი პროგრამის საფუძველზე 1990 წლამდე ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

1987 წლისათვის სავაჭრო ბრუნვა ორივე ქვეყანას შორის შეადგენდა თითქმის 3,5 მილიარდ მანეთს (1986 წ. — 3 მილიარდზე ცოტა მეტს).

ეკონომიკურ თანამშრომლობასთან ერთად ვითარდებოდა პოლიტიკური ურთიერთობა იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის. 1984 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში მოეწყო საგარეო საქმეთა მინისტრების ჯ. ანდრეოტისა და ა. გრომიკოს შეხვედრა, სადაც განიხილეს საკვანძო საერთაშორისო ააკითხები. 1985 წელს მოეწყო ა. გრომიკოს ვიზიტი რომში და მოლაპარაკება ბ. კრაკსისთან და ჯ. ანდრეოტისთან, მაისში კი ბ. კრაკსისა და ჯ. ანდრეოტის ვიზიტი მოსკოვში, სადაც მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ აღიარა, რომ „დაძაბულობის შენელებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება გამალებული შეიარაღების შეჩერებას“. 1985 წლის აგვისტოში ხელი მოაწერეს ერთ-ერთ უდიდეს შეთანხმებას იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ქალაქ ვოლჟსკში მილების ქარხნის მშენებლობის შესახებ.

იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის 80-იანი წლების მეორე ნახევარში მუდმივი პოლიტიკური კონსულტაცია დამყარდა და ხდებოდა აზრთა გაზიარება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე. ჯ. ანდრეოტის ვიზიტის დროს (1987 წ.) მოსკოვში და შ. გორბაჩოვთან და ე. შევარდნაძესთან შეხვედრის დროს, აგრეთვე ჯ. ანდრეოტისა და ე. შევარდნაძის შეხვედრის დროს ვაშინგტონში აზრი გამოთქვეს, რომ გადაუდებლად გადაეწყვიტათ ბირთვული იარაღის მკვეთრად შემცირებისა და ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხები. იტალია მიესალმა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის

დადებულ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. 1988 წლის ოქტომბერში მოსკოვში ვიზიტით იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი ჩ. დემიტა და მისი კაბინეტის რვა მინისტრი, რომლის დროსაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ კოსმოსის კვლევის საქმეში და კოსმოსის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ, აგრეთვე შეთანხმებას იტალიელი ბანკების მიერ საბჭოთა საგარეო ეკონომიკური ბანკისათვის კრედიტის მიცემის შესახებ.

1990 წლის ზაფხულში მ. ს. გორბაჩოვი ვიზიტით იყო რომში (ეს უკვე მეორე ვიზიტია იტალიასა და ვატიკანში). აღსანიშნავია, რომ იტალიამ ესპანეთთან და საფრანგეთთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა არაოფიციალური „მარშალის გეგმის“ რეალიზაციაში საბჭოთა კავშირის მიმართ. დაიდო შეთანხმება სსრ კავშირისათვის კომერციული კრედიტის მიცემაზე 1 მილიარდი დოლარის ოდენობით და კიდევ 2 მილიარდი დოლარის სესხის მიცემაზე წლინახევრის განმავლობაში უპირველეს ყოვლისა მანქანებისა და მოწყობილობების მიწოდებისათვის საბჭოთა კავშირისათვის და აგრეთვე ხანგრძლივი გამოყენების სამომხმარებლო საქონლის, ქიმიური პროდუქციის და ქსოვილების საფასურის გადახდისათვის.

მ. გორბაჩოვის ვიზიტის დროს იტალიაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორი ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელების იტალიისა და საბჭოთა კავშირს შორის პირდაპირი კავშირის დამყარებას — „კრემლი — პალაცო კიჯი“. მ. ს. გორბაჩოვს იტალიაში ყოფნის დროს გადასცეს საერთაშორისო პრემია „ფუჯი“ მისი „პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო, რომელიც, როგორც აღნიშნულია ჟიურის გადაწყვეტილებაში მ. ს. გორბაჩოვს მიენიჭა „ადამიანის უფლების დამკვიდრების ბრძოლისათვის“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი I. თანამედროვე სამყაროს თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

შესავალი 3

§ 1. თანამედროვე კაპიტალიზმი 4

კაპიტალიზმის სამი ცენტრი. ინტეგრაცია

„ევროპის ეკონომიკური გაერთიანება" 13

დიდი შვიდეული 24

§ 2. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლა 27

§ 3. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა 48

თ ა ვ ი II ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945—1990 წწ.)

§ 4. ომის შედეგები 65

§ 5. საშინაო და ეკონომიკური მდგომარეობა 40—50-იან წლებში 69

§ 6. „ცივი ომის" გაძლიერება 40-იანი წლების ბოლოს და 50-იან წლებში 79

მაკარტიზმი და მაკარტისტული რეაქციის გაღვივება 1950—1954 წწ. 87

დ. ეიზენჰაუერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა 92

§ 7. აშშ 60—70-იან წლების პირველ ნახევარში. დიალოგის დასაწყისი კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. „ცივი ომის" განახლება 95

ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საშინაო პოლიტიკა 102

ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საგარეო პოლიტიკა 111

§ 8. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება. ეკონომიკური განვითარება 60—70-იან წლებში. მეცნიერ-ტექნიკური პროგრესის მასობრივად დანერგვა წარმოებაში 115

რესპუბლიკური პარტიის მთავრობის საშინაო და
საგარეო პოლიტიკა 1968—1976 წწ. 125
§ 9. აშშ 70—80-იანი წლების მიჯნაზე „ცივი ომისა" და გამალებული
ბირთვული შეიარაღების გაძლიერება 129
1976 წლის არჩევნები და დემოკრატიული პარტიის
გამარჯვება. ჯ. კარტერის საშინაო პოლიტიკა 148
ჯ. კარტერის საგარეო პოლიტიკა 153
§ 10. აშშ 80-იან წლებში. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება
რ. რეიგანის მთავრობის საშინაო პოლიტიკა „რეიგანომიკა" 158
რ. რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა 187
აშშ-ს ურთიერთობა კომუნისტური რეჟიმისა და სხვა
ქვეყნების მიმართ 207
ისტორიული ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები სიშორის
ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ 208
აშშ-ს ურთიერთობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებთან 216
პრეზიდენტ ჯ. ბუშის პირველი ნაბიჯები. „ცივი ომის" დასასრული 231

თ ა ვ ი III. დიდი ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

§ 11. ინგლისის იმპერიალიზმის დასუსტება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 238
კ. ეტლის მთავრობის საშინაო პოლიტიკა 241
კ. ეტლის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა 244
§ 12. კონსერვატორული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა
50-იან წლებში და 60-იანი წლების პირველ
ნახევარში (1951—1964 წწ.) 247
§ 13. დიდი ბრიტანური 60—70-იან წლებში. ვილსონის მთავრობის
საშინაო და საგარეო პოლიტიკა 60-იან წლებში (1964—1970 წწ.) 259
ე. ჰიტის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 266
ჰიტის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა 268
ინგლისის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი მეორე
მსოფლიო ომის შემდეგ. ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში 272
§ 14. ჩრდილოეთ ირლანდიის ხალხის ბრძოლა მოქალაქეობრივი
უფლებებისათვის 288
§ 15. დიდი ბრიტანეთი 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან
და 80-იან წლებში 296
კონსერვატორული და ლეიბორისტული პარტიების
მთავრობები 1970—1979 წწ. 298
კონსერვატორების საგარეო პოლიტიკა 299
ლეიბორისტული მთავრობის საშინაო და საგარეო
პოლიტიკა (1974—1979 წწ.) 299
ლეიბორისტების საგარეო პოლიტიკა 302
მ. ტეტჩერის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 304
მ. ტეტჩერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა 312

ინგლისის ურთიერთობა „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან
ინგლის-არგენტინის ომი
კონსერვატორების საგარეო პოლიტიკა აზიის ქვეყნების მიმართ
დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის ურთიერთობა მ. ტეტჩერის მთავრობის დროს
ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მ. ტეტჩერის მთავრობის დროს

თ ა ვ ი IV. საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საფრანგეთი მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში

§ 16. საფრანგეთი დროებითი რეჟიმის დროს (1944—1946 წწ.)

§ 17. საფრანგეთი 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 50-იან წლებში. IV — რესპუბლიკა

სამპარტიული კოალიციური მთავრობა კომუნისტების მონაწილეობით
„მესამე ძალის“ მთავრობის საშინაო, საგარეო და კოლონიური პოლიტიკა (1947—1951 წწ.)
„მესამე ძალის“ კოალიციის საგარეო და კოლონიური პოლიტიკა
მეოთხე რესპუბლიკის კრიზისი. „მემარჯვენე ცენტრისტული“ მთავრობა (1951—1956 წწ.)
1956 წლის არჩევნები. რესპუბლიკური ფრონტის მთავრობის შექმნა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

თ ა ვ ი V. საფრანგეთი მეხუთე რესპუბლიკის დროს

§ 18. მეხუთე რესპუბლიკა. საშინაო პოლიტიკა (1958—1968)

საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლა
საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მისი თავისებურებანი
ცვლილებანი კლასობრივ სტრუქტურაში. ხალხთა მასების მდგომარეობა მეხუთე რესპუბლიკის დროს
დე გოლის საშინაო პოლიტიკა
1968 წლის მაის-ივნისის ამბები. გენერალ დე გოლის გადადგომა
დე გოლის საგარეო პოლიტიკა

მეხუთე რესპუბლიკა 1969—1974

მეხუთე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგს
საფრანგეთი 70—80-იან წლებში
საგარეო პოლიტიკა

თ ა ვ ი VI. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (40-იანი წლების მეორე ნახევრიდან — 80-იან წლებში) 419

§ 19. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 423
კ. ადენაუერის მთავრობის საშინაო პოლიტიკა 425
გფრ-ის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 50—70-იან წლებში 427
გფრ-ის შესვლა ნატოში. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ზრდა 440
კ. ადენაუერის საგარეო პოლიტიკა . . 449
„ადენაუერის ერის“ დასასრული. ლ. ერჰარდისა და კ. კიზინგერის მთავრობები. მთავრობის „დიდი კოალიცია“ 451
„მცირე კოალიციის“ მთავრობა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა 455

§ 20. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში.
ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება 467
საგარეო პოლიტიკა 475

თ ა ვ ი VII. იტალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945—1990 წწ.)

§ 21. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იტალიაში 40—50-იან წლებში 488
საგარეო პოლიტიკა ომის შემდეგ 50-იან წლებამდე 499
იტალიის ეკონომიკური და სოციალური განვითარება 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1977 წლამდე 501
ცენტრისტული მთავრობის საშინაო პოლიტიკა. ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის 509
მემარცხენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა 519
„მემარცხენე ცენტრისტული“ კოალიციის დაშლა და ჯ. ანდრეოტის „ცენტრისტული“ მთავრობა 521
ახალი „მემარცხენე ცენტრისტული მთავრობა“ 525
ნეოფაშისტების ტერორისტული გამოხდომები 531
1975 წლის ივნისის საოლქო საბჭოების და 1976 წლის ივნისის პარლამენტის არჩევნები და კომუნისტების დიდი წარმატებები 533
საგარეო პოლიტიკა 1974—1977 წლებში . . 540
იტალია 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იან წლებში 543
საგარეო პოლიტიკა 555

ნიკოლოზ ნანიტაშვილი

ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945—1990 წწ.)

მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები

II ნაწილის II ნაკვეთი მეორე გადამუშავებული
და შევსებული გამოცემა

მთ. რედაქტორი — ლ. წიკლაური
რედაქტორი — ქ. არჩვაძე
ტექრედაქტორი — რ. მუმლაძე
კორექტორი — თ. პარასტაევა

შეკვ. № 390 ტ. 500.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „აღმაშენებელი“ გრ. რობაქიძის გამზ. № 7.
სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი“ გრ. რობაქიძის გამზ. № 7.